ცნობილი ფაქტია, მრავალჯერ შენიშნული და მრავალთა მიერ აღიარებული, რომ "თუ ვერ გაიგე რაზე გესაუბრებიან, იცოდე ფულზე გელაპარაკებიან". მართლაც, როდესაც დაინტერესდები რა არის ფული, მრავალ განმარტებას მოიძიებ, მაგრამ გიჩნდება უკმარისობის გრძნობა, რადგან ბოლომდე მაინც ვერ გაიგე რა არის იგი. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ფულის შესახებ ადამიანები სხვადასხვა წარმოდგენისანი არიან. მაგალითად:

- ჰენრი ფორდი უფროსი გვასწავლიდა, რომ „ფული ისეა, როგორც ხელი ან ფეხი, გამოიყენე თორემ დაკარგავ მას“;
- ფრენსის ბეკონის აზრით კი „ფული ნაკელივითაა, თუ არ გაჰფანტავ მისგან მცირე სარგებელს მიიღებ“;
- ქალბატონი ქეტრინ უოლტხორნი ურჩევს მშობლებს, რომ „თქვენი ბავშვი უკეთესად გაიგებს რა არის ფული, თუ ის თქვენ არ გექნებათ“;
- ბატონ ბენჟამინ ფრანკლინს კი უთქვამს: „დრო ფულიაო“;



- ჯონ გელბრეიტი კი ამტკიცებს, რომ „ფული ერთნაირად მნიშვნელოვანია იმისათვის ვისაც იგი აქვს და იმისათვის ვისაც იგი არ აქვს“.

მხოლოდ მცირეოდენი გამონათქვამები მოვიყვანეთ ცნობილი ადამიანებისა, თორემ რა ჩამოთვლის, ამ, ადამიანის შემოქმედების უძველესი და უმნიშვნელოვანესი პროდუქტის, ყველა მნიშვნელობას. დიახ, ის ფული, რომელიც დღესა გვაქვს და ისიც, რომელსაც ჩვენი წინაპრები იყენებდნენ ადამიანის შემოქმედების ნაყოფია. მას მხოლოდ ადამიანები იყენებენ და არიან მეცნიერები, რომლებიც საზოგადოებაში მისი წევრების მიერ ფულია გამოყენების მეთოდებითა და ხარისხით ამ საზოგადოების განვითარების დონესაც განსაზღვრავენ.

ყველასათვის ცხადია, რომ ფული ეკონომისტების კვლევის საგანია. ამიტომ, რა არის ფული? ამ კითხვას ეკონომისტებს უსვამენ. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით რომ უსვამდნენ წარსულში და როდესაც დარწმუნდნენ, რომ პასუხი ყოველთვის არ იყო ცხადი და გასაგები, დაანებეს თავი მათ და საკუთარი თავის წვალებას. ეს კითხვა ახლა მხოლოდ ეკონომიკის სასწავლო დისციპლინების სემინარებზე და გამოცდებზე გაისმის, სადაც პროფესორები სტუდენტებს, რიხიანად და საკუთარი აკადემიური ღირსების გრძობით, გამოკითხავენ სტუდენტებს მათ მიერ გადაცემულ მასალას. სამწუხაროდ ამ სემინარებზეც ხშირად შეხვედებით ბევრი რეალობასთან დაშორებული და უარგუმენტო აზრის დემონსტრირებას, რომელიც კი არ გვაახლოვებს ფულის არსისა და გამოყენების მექანიზმის შესწავლასთან, არამედ ზოგჯერ გვაშორებს კიდევც ჭეშმარიტებას. ამიტომ სრულიად არ არის გასაკვირი, რომ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებში, რომელთა დაკვირვების არეალშიც ფული ხვდება, ეკონომისტებისადმი ნდობა საკმაოდ შერყეულია. ასე იყო ადრეც, როდესაც ფულადი ეკონომიკა მყარდებოდა და ადამიანების მისწრაფებები ფულად ფორმაში პოულობდა თავის გამოხატულებას, ეკონომისტების აზრი ერთობ სერიოზული კრიტიკის ობიექტს წარმოადგენდა.

ის უნდობლობა, რომელიც დღეს ეკონომისტების მიმართ იგრძნობა, და არა მარტო ფულისა და მისი გამოყენების სკითხში, საზოგადოების საერთო განწყობიდან კი არ მომდინარეობს, არამედ სამეცნიერო აკადემიურ წრეებშიც შეინიშნება. თორემ ყოველდღიურობის სირთულეებთან მარტო დარჩენილ ჩვეულებ-

რივი ადამიანსათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვის აზრს დაეთანხმება, აქ საკმარისია ფულზე და მისი გამოყენების საკითხებზე ვინმე: მსახიობი, მხატვარი, სკულპტორი და ა.შ. ხალხისათვის ცნობილი პირი, დამაჯერებელ ტონალობაში საუბრობდეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის ტრიბუნიდან, რომ მისი რჩევები, ადამიანებმა თავიანთ სამოქმედო გეგმებად აქციონ. ჩვეულებრივ ხშირია შემთხვევები, როდესაც ფულის საკითხებზე აზრს გამოთქვამენ ისეთი სპეციალობის ადამიანები, რომლებსაც ფულთან და მისი გამოყენების პროფესიულ ასპექტებთან არავითარი შეხების წერტილები არ აქვთ. მაგალითად, 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს კანონმდებლობა ნებას რთავდა ფინანსური შუამავლობა განეხორციელებინა ნებისმიერ რეგისტრირებულ სამეურნეო ერთეულს, შესაბამისად მრავალმა გადაწყვიტა ამ მიმართულებით ეცადა ბედი, გაჩნდნენ სხვადასხვა დასხელების იურიდიული პირები, რომლებიც შემდეგ, როგორც მოულოდნელად და უცაბედად აღმოცენდნენ ისევე გაკოტრდნენ და გაქრნენ. ზიანი მიაყენეს მიმდობ და გულუბრყვილო მოსახლეობის დიდი ნაწილს, იმათ ვინც მათთან ითანამშრომლა. დაზარალებულ მოქალაქეს, როდესაც უსვამდნენ კითხვას რატომ ენდეთ, კიბის ქვეშ განთავსებულ, რომელიმე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, ვთქვათ ”ოქროს სწმისს” და მთელი თქვენი დანაზოგები მათ გადაეცით განსაკარგავადო, გაკვირვებული შემოგხედავდა და პასუხობდა: ”როგორ არ უნდა ვენდო, როდესაც ერთერთ ტელეგადაცემაში ცნობილი მწერალი (ან მსხიობი, გვარს და სახელს დაასახელებდა) მათზე კარგ სიტყვებს ამბობდაო”. ასეა საერთოდ საზოგადოებაში, ზოგიერთი მეცნიერის გაამოანგარიშებების საფუძველზე მიიჩნევენ, რომ ფულისა და კაპიტალის ბაზარზე გამოსული „კლიენტების” ოთხმოცი პროცენტი „ფეხის ხმასაა” აყოლილი და როგორც წესი ზარალს ნახულობს. ფულის საკითხებისადმი საზოგადოებრივი დამოკიდებულების ეს ერთი მთავარი მომენტი, რომელიც ჩნდება მისი გამოშუშავების და გამოყენების ერთგვარი სიილიდან, იქედან რომ მოსახლეობის დიდი ნაწილს მიაჩნია, რომ საკმარისდ არის გათვითცნობიერებული და მისგან ფულის გამოყენების პრობლემების შესწავლა დამატებით ძალისხმევებს არ მოითხოვს.

მეორე მომენტი, კი იმაში მდგომარეობს, რომ აკადემიურ წრეებში ფულის საკითხების შესწავლაში ეკონომისტებისადმი ერთგვარი

უნდობლობა გაჩნდა, ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ დღეს, როდესაც მიმდინარეობს ფულისა და მისი გამოყენების მექანიზმის ფართომასშტაბიანი მულტიდისციპლინარული შესწავლა, ხშირად ეკონომისტების ნააზრევი გაუგებარი და მიუღებელია სხვა მეცნიერების წარმომადგენლებისათვის. ამ პრობლემაზე ღიად წერენ ინგლისელი ფსიქოლოგები, ანდრეას ფერნანი და მაიკლ არგაილი<sup>1</sup>, რომლებიც არსებითად სვამენ საკითხს ფულის შესწავლის კროსდისციპლინარულ კვლევებში ეკონომისტების მონაწილეობისა და ამ საკითხებზე მათი შეხედულებების გამოყენების მნიშვნელობაზე. მართლაც, ფულს მის წარმოშობას და გამოყენების მექანიზმს და მათ ზემოქმედებას ადამიანებზე დღეს იკვლევენ: ფსიქოლოგები, სოციოლოგები, ანთროპოლოგები, ისტორიკოსები, ლინგვისტები, თეოლოგები, მათემატიკოსები და მათი მოთხოვნები ეკონომისტებისადმი ბევრად აღემატება ჩვეულებრივი ადამიანების მიერ წაყენებულ პრეტენზიებს. შესაბამისად ეკონომისტების პასუხები ფსიქოლოგების მიერ დასმული კითხვებზე ყოველთვის არაა დამაჯერებელი. ასეთივე სიტუაციები ხშირია სხვა მეცნიერებებშიც, მათემატიკოსები და ისტორიკოსებიც გამოთქვამენ ერთგვარ უკმაყოფილებას ეკონომისტების კვლევის შედეგებზე, რაც ბადებს უნდობლობას ეკონომისტების კვლევის შედეგების მიმართ. ამიტომ, როდესაც ვარკვევთ, თუ საიდან გაჩნდა ეკონომისტებისადმი უნდობლობა, რომელზედაც ამახვილებენ ყურადღებას ფერნანი და არგაილი, დაფიქრებას მოითხოვს. ეკონომისტებისადმი უნდობლობა იმ საკითხში, რომელიც მათი კვლევის ობიექტია და შეიძლება ითქვას, მიუხედავად საკითხის შესწავით დაინტერესებულ დისციპლინათა რაოდენობის ზრდისა, მათ ვერავინ შეეცილება, უფრო სწორად, მათ გარეშე ვერცერთი პროფესიის მკვლევარები თავისთვის საინტერესოს ვერ დაადგენს, ჩვენი აზრით, სერიოზული წანამძღვრები აქვს. კერძოდ, თუ ამ თემის (ეკონომისტებისადმი უნდობლობის საკითხის) საფუძველი (რეალური მიზეზი) გვანტერესებს, მოგვიწევს გავიხსენოთ ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან რამდენიმე ფუნდამენტალური მნიშვნელობის საკითხი, რომლებიც დაგვეხმარება არა მარტო დასმული პრობლემის, არამედ საერთოდ ჩვენი ნაშრომის

<sup>1</sup> Андриас Фернами и Маикл Аргайл, Денги в современном обществе. М. 2007.

სხვა მნიშვნელოვანი დებულებების, გარკვევაშიც.

ეკონომიკა ორი დიდი ნაწილისაგან შედგება: ერთია წარმოება, ხოლო მეორე მოხმარება. ერთი წარმომადგენს ბუნებაზე ადამიანის აქტიური ზემოქმედების, მუდმივად განახლებად და განვითარებად, მატერიალური დოვლათის შექმნის მიზნით ორგანიზებულ სფეროს, ხოლო მეორე არის ნაწარმოები პროდუქტის განადგურების არეალი. კარლ მარქსი წერდა, რომ „ადამიანები თავს ვერ დაანებენ წარმოებას, რადგან ამ უკანასკნელიზე დამოკიდებულია მოხმარება“,<sup>2</sup> ანუ ადამიანის ყოველგვარი აქტიობა მისი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებლობიდან გამომდინარეობს, ხოლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება კი სასურველი პროდუქტის მოხმარებითაა შესაძლებელი. ამასვე ამბობდა პიერ პრუდონი,<sup>3</sup> როდესაც ასაბუთებდა, რომ არ არსებობს ხალხი, რომელთა სამომხმარებლო ძალას აღემატება საწარმოო ძალა, ადამიანისათვის აუცილებელია ჭამა (მოხმარება) და რომ ჭამოს ამისათვის, რადგან ბუნების მზა პროდუქტი საკმარისი არ არის, უნდა იშრომოს (მოაწყოს წარმოება). აქ პატივცემული მეცნიერები „ძველი ალთქმის“ პერიფრაზირებას აკეთებენ, კერძოდ, გვახსენებენ ადამიანისადმი მამა ღმერთის პირველ და უმნიშვნელოვანეს შეგონებას — „პიროფლიანი ჭამდე პურს ვიდრე მიწად მიიქცეოდე“<sup>4</sup> -ო. ამგვარად, ადამიანები იმისათვის, რომ მათ სასიცოცხლო მოთხოვნილებები დაიკმაყოფილონ ვალდებული ხდებიან იყვნენ მწარმოებელნი. მაგრამ წარმოება-მოხმარების პროცესი საკმაოდ რთულია და უშუალო ხასიათის არ არის. ამიტომ, თანდათანობით, საზოგადოებრივ ურთიერთობათა გართულებისა კვალობაზე, იქმნება წარმოება-მოხმარების პროცესის გაშუალების რთული მექანიზმი და ურთიერთობათა სისტემა. წარმოება-მოხმარებას შორის არსებული რთული დამოკიდებულების კარგი მაგალითია დღევანდელ მსოფლიოში არსებული სიღარიბე. როგორც გაეროს „ადამიანის განვითარების შესახებ“ ყოველწლიური მოხსენებებიდანაა ცნობილი, განვითარებულ ქვეყნებში

<sup>2</sup> კარლ მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, შესავალი. გვ. 11.

<sup>3</sup> Пьер Прудон, Философия нищеты, М., 1934. с. 1.

<sup>4</sup> ბიბლია, ძველი ალთქმა, დაბადება, თავი მესამე, 19. საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989. გვ. 15.

მოხმარებისათვის მზა სურსათის რა რაოდენობაც ნაგვის ყუთებში იყრება ის, რომ ღარიბებს დაურიგდეს, დედამიწაზე შიმშილი არ იქნებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ მოხმარებისათვის დამზადებული პროდუქტი ჯერ ბზარზე საქონლის სახით გამოდის, იგი ხელმისაწვდომი არ არის მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ნაწილისათვის. ამიტომ, საკმარისი სიმდიდრის არსებობის პირობებშიც კი დღევანდელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანი არასაკმარისი კვების გამო იღუპება.

ფერნან ბროდელი<sup>5</sup> შენიშნავს, რომ წარმოებისა და მოხმარების სფეროთა შორის ჩნდება „წვრილი ნაკადულივით ცოცხალი და ჯანსაღი ნაკადი გაცვლის სახით“. იგი უწონებს მარქსს იმ აზრს, რომ მან ბიოლოგიის, კერძოდ ფიზიოლოგიის სფეროდან, გაცვლის ურთულესი პროცესის აღსანიშნავად გადმოიტანა სიტყვა „მიმოქცევა“. და შემდეგ, როდესაც რწმუნდება, რომ სერვისის მიერ სისხლის მიმოქცევის სისტემის აღმოჩენამდე დიდი ხნით ადრე, არისტოტელე ფულის ტრიალს საზოგადოებაში ადამიანის ორგანიზმში სისხლის დინებას ადარებდა, ამ ჰუმანიტარული მიგნებით აღტაცებული, ცდილობდა დაამკვიდრებინა ეს ტერმინი მეცნიერულ კვლევებში, როგორც წარმოებასა და მოხმარებას შორის არსებული ეკონომიკური პროცესების აღმნიშვნელი ცნება. როგორც ვხედავთ, წარმოებასა და მოხმარებას შორის, ადამიანთა თანაცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, მყარდება მძლავრი კავშირი, რომლის საფუძველზეც სამეურნეო ურთიერთობების, წარმოებისა და მოხმარების ურთიერთკავშირის უწყვეტი განვითარების მიზნით იქმნება ეკონომიკურ ფასეულობების მიმოქცევის რთული მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ხდება ადამიანის მიერ ორგანიზებული წარმოების შედეგების, გაცვლის პროცესის გავლით, მოხმარებლამდე მიტანა.

ამ დიდი და ერთიანი სისტემისათვის, სადაც მწარმოებლები და მოხმარებლები ბაზარზე გარდაიქმნებიან მყიდველებად და გამყიდველებად, უმთავრეს მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ფული, რომელის მეშვეობითაც დაიძლევა შრომის სპეციალიზაციის ბაზარზე გაჩენილ საინფორმაციო ვაკუმი და მუდმივად ირღვევა ხილული საბაზრო სივრცის საზღვრები. ვერც ფული და ვერც ის, რისი საზომიც ფულია, ეკონომიკურ ფასეულებათა ერთობლი-

ობა, ვერ გაჩნდებოდა, რომ არ ყოფილიყო შრომის დანაწილება, ამიტომ ადამ სმიტი, საგნებით ლოგიკურად, თავის ეკონომიკური სისტემის აგებას იწყებს შრომის დანაწილებით. მას მიაჩნია, რომ ერთმანეთისაგან გამოცალკეებული საზოგადოებები ვითარდებიან იმის და მიხედვით, თუ როგორ ღრმავდება შრომის დანაწილება და რამდენად აღწევს სპეციალიზებული ადამიანი თავის შრომითი საქმიანობის სრულყოფას. სიტყვამ მიტანა და დღეისათვის მისი დიდი აქტუალობის გამო შევნიშნავ, რომ ადამ სმიტი ადამიანებს, ვინც ხშირად იცვლის შრომის იარაღს და თავისი ზემოქმედების საგნებს, ე.ი. ეწევა სხვადასხვა საქმიანობას, მიიჩნევს პროგრესის შემაფერხებელად.

ადამ სმიტის აზრი, შრომის დანაწილების გაღრმავების ობიექტური აუცილებლობის შესახებ, რომლის საფუძველზეც ხორციელდება შრომითი ფუნქციების სრულყოფა და ადამიანების პროფესიული დაოსტატება, ცალკეულ კონკრეტულ სფეროების მიხედვით, ძლიერი სტიმული აღმოჩნდა დარვინის ბუნებრივი შერჩევის თეორიისათვის და დიდი იმპულსი მისცა ზოგადად მეცნიერების განვითარებას. ადამიანის მოთხოვნათა დაკმაყოფილება, მათი სიმდიდრე ადამ სმიტის აზრით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რაციონალურადაა შრომის პროცესი ორგანიზებული, რამდენად ღრმავა შრომის დანაწილება და რა მწვერვალებს აღწევს მისი ოსტატობა ცალკეული საგნების წარმოებაში. ამ გამოცალკეებულ საქონელმწარმოებლებს შორის კი კავშირს დაამყარდება ერთგვარი „ფარული ხელის“ მეშვეობით. და ეს ფარული ხელი სხვა არაფერია, თუ არა ბაზარი, რომელიც გაცვლის გამარტივებისა და ინტენსიობისათვის იქმნება. „ბაზარი არის განთავისუფლება, გარღვევა, სხვა სამყაროსთან მიახლოების შესაძლებლობა, ზედაპირზე ამოყვინთვის შესაძლებლობა. ადამიანების საქმიანობა ნელნელა გაცვალონ საქონელი, გაძვრენ ნემსის ყუნწში ბიბლიური აქლემივით, დროთა განმავლობაში იზრდება და როგორც ზიგმუნდ ფროიდი ამბობდა „შეიქმნა საყოველთაო ბაზრის საზოგადოება“.<sup>6</sup>

სმიტის მოძღვრებით გამოწვეული აღტაცება საწარმოო პროცესებისა და მოხმარების რაციონალიზაციის, კვლევის პროცესების აუცილებლობის შესახებ დიდხანს არ გაგრძელებულა. დავით რიკარდოს ასპარეზზე გამოსვ-

<sup>5</sup> Фернан Бродель, Игры обмена., с. 9. М. "Прогресс" 1985

<sup>6</sup> ფერნან ბროდელის ციტირებული ნაშრომი, გვ. 11.

ლისთანავე საზოგადოებრივი ყურადღება მიიპყრო სფერომ, რომელსაც, როგორც ახლა უკვე ვიცით, კარლ მარქსმა მიმოქცევა უწოდა. 1820 წელს, მალთუსისადმი მიწერილ წერილში, რიკარდო წერდა: „თქვენ თვლით, რომ პოლიტიკური ეკონომია არის მეცნიერება სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, მე კი მიმაჩნია, რომ მას საჭიროა ეწოდოს პროდუქტის წარმოებაში მონაწილე კლასებს შორის განაწილების გამო არსებული კანონების შემსწავლელი მეცნიერება. საერთო რაოდენობის მიმართ არ შეიძლება რაიმე კანონების დადგენა, მაგრამ არსებობს შესაძლებლობა დანესდეს შედარებით სწორი კანონი პროპორციების მიმართ. ყოველდღიურად სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ პირველი საკითხის კვლევა უმიზნოა და მცდარია, რომ მხოლოდ უკანასკნელი შეადგენს მეცნიერების ჭეშმარიტ საგანს.“ ამგვარად: „რიკარდომ შეგნებულად უარყო ეროვნული შემოსავლის განაწილების გარდა მისი სიდიდის სხვა ასპექტების ანალიზი.“ წერს ჯონ კეინსი, რითიც მან (დავით რიკარდომ) დაუშვა, რომ შესაძლებელია ერთობლივი მოთხოვნების მნიშვნელობის უგულვებელყოფა.<sup>7</sup> ჯონ კეინსის აზრით, მეცხრამეტე საუკუნის ინგლისში და შემდეგ მთელს ევროპაში, რიკარდოს თეორიის სრული გამარჯვება მეტად საინტერესო მოვლენაა. ეს იმიტომ რომ რიკარდოს თეორია ძალიან მოეწონა იმ საზოგადოებას ვისკენაც ის იყო მიმართული. მას მიყავდა მოუმზადებელი ადამიანები სრულიად მოულოდნელ დასკვნებთან, რაც ზრდიდა მის ინტელექტუალურ პრესტიჟს. ამ თეორიას, თუ მას პრაქტიკის ენაზე ვთარგმნით, მივყვართ მკაცრ და მიუღებელ დასკვნებამდე. ხელისუფლებას მოსწონდა, რომ უსამართლობისა და ნამდვილი გულქვაობის მრავალი შენთხვევა იხსნებოდა პროგრესის<sup>8</sup> აუცილებლობით, ხო-

<sup>7</sup> Дж. М. Кейнс, Общая теория занятости процента и денег, с. 56, М, "Прогресс", 1978. რიკარდომ იმდენად არსებითად მიიპყრო საზოგადოების ყურადღება, რომ ამ იდეას, მხოლოდ „ქურდულად, იატაკქვეშეთში, უკანა ოთახებში კარლ მარქსთან, სილვიო გეზუელთან ან მაიორ დუგლასთან“ შეეძლო ეარსება. აღმიშნავს კეინსი. იხ. ციტირებული ნაშრომი გვ.85

<sup>8</sup> დღესაც ფართოდ ტირაჟირდება ფონ ხაიეკის მსგავსი მოსაზრებები, კერძოდ ის, რომ „პროგრესის მატარებელია ხარბი ობივატელი“, რომ ამ სიმკაცრისა და ადამიანთა ღირსების შელახვის გარეშე არ გვექნებოდა ცათამბჯენები და მოკირწყლიული ქუჩები. იხ. ფონ ხაიეკი, დამლუპველი თავდაჯერებულობა, თ.2003. გვ.38

ლო ამგვარი დამოკიდებულების შეცვლის ცდა, განიხილებოდა როგორც მოქმედება, რომლსაც შეუძლია მოგვიტანოს მეტი ბოროტება, ვიდრე სარგებელი. ეს ყოველივე ამართლებდა თავისუფალი კაპიტალისტების თვითნებურ ქმედებებს, რითაც უზრუნველყოფდა გაბატონებული სოციალური ძალის მხარდაჭერას.<sup>9</sup>

ამის შემდეგ — აგრძელებს მსჯელობას კეინსი, — რიკარდოს დოქტრინა პროფესიონალი ეკონომისტებში არავითარ ეჭვს არ იწვევდა და მეცნიერული პროგნოზირებისათვის მისმა უვარგისობამ სერიოზულად შეარყია მისი ადვოკატების ავტორიტეტი. „პროფესიონალ ეკონომისტები, მალთუსის შემდეგ, რჩებოდნენ გულგრილები მათი თეორიული ნააზრებისა და პრაქტიკული შედეგების შეუსაბამობათა მიმართ. ეს წინააღმდეგობა არ შეიძლებოდა არ შეემჩნია რიგით ადამიანს, რომელმაც პატივისცემა შეინარჩუნა მათ მიმართ ვისი თეორიული დასკვნები ეთანხმება ცდის მონაცემებს.“<sup>10</sup> ამ მოვლენამ ასახვა ჰპოვა იმ დრინდელ კულტურულ მოღვაწეთა შემოქმედებაში. ძალიან მწვავედ აკრიტიკებს ეკონომისტებს ჯორჯ ბაირონი, იგი „დონ ჟუანი“, შენიშნავს, რომ დროა ეკონომისტები თავიანთი ბნელი მოძღვრებიდან გადავიდნენ რეალური პროცესების შესწავლაზე.<sup>11</sup> მაგრამ ყველაზე მძაფრი შეფასება ამ ფაქტს მაინც ეკონომისტმა პოლ სამუელსონმა მისცა თავის „ეკონომიკაში“, სადაც იგი ამბობს: „თუთიყუშისაგანაც შეიძლება განათლებული ეკონომისტი გამოვიდეს, თუ მას დააზებირებინებთ ორ სიტყვას, მიწოდება-მოთხოვნა“.<sup>12</sup>

როგორც ვხედავთ ფულისა და მასთან დაკავშირებული მრავალი საკითხების შესწავლი-

<sup>9</sup> იხ. კეინსის ციტირებული ნაშრომი.

<sup>10</sup> იხ. კეინსის ციტირებული ნაშრომი გვ. 57. როგორც ვხედავთ მალთუსის შემდეგ, ე.ი. 1860-იანი წლებიდან ეკონომისტებმა დაკარგეს ავტორიტეტი ჩვეულებრივ ადამიანებს შორის. სამწუხაროა, რომ ეს ავტორიტეტი კვლავ მოსაპოვებელია. აქ ჩვენთან საქართველოში. იქ და იმდროს კი, თუ როგორი წარმოდგენა ქონდათ ეკონომისტებზე, დაინტერესებულ პირებს, ვურჩევ ნაიკითხონ ჯორჯ ბაირონის „დონ ჟუანი“.

<sup>11</sup> იხ. ჯორჯ ბაირონი, დონ ჟუანი, ტექსტის შესაბამისი მონაკვეთის ინესა მერაბიშვილის თარგმანი. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2012 წელი. რუსულ თარგმანში ტექსტის ეს ნაწილი სულ სხვა, საპირისპირო შინაარსს გამოხატავს.

<sup>12</sup> П. Самуэльсон Экономика, с., 74. М. Прогресс. 1964

სას ეკონომისტებისადმი უნდობლობას არსებითი საფუძველი ქონია და მისი დაძლევა თვით ეკონომისტებისათვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. აქ მთავარ და უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს ის რაზეც სამართლიანად მიუთითა ჯონ კეინსმა: თეორიულ ნააზრევსა და პრაქტიკულ შედეგებს შორის არსებული შეუთავსებლობისადმი მათი გულგრილობა, არის მთავარი მიზეზი ეკონომისტებისადმი უნდობლობისა, რაც ჩვენი ცხოვრების ყველა სტრუქტურულ რგოლში ვლინდება. არა საჭირო იყო სპეციალისტი კადრების მომზადების საკითხში, რომ შენიშნო ეკონომიკის განვითარებაზე პასუხისმგებელ თანამდებობებს, ეკონომისტებისადმი ერთგვარი უნდობლობის გამო, ხშირად სხვა სპეციალისტების ადამიანები იკავებენ. ასეა მთელ მსოფლიოში და ასეა ჩვენს ქვეყანაშიც. და ადამიანთა თანაცხოვრების ურთულეს და უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ასეთმა დამოკიდებულებამ კი არ შეიძლება თავისი ნეგატიური შედეგები არ გამოიღოს, რომელიც კონკრეტულად ჩვენს მატერიალურ მდგომარეობაზე აისახება. როგორც გამოდის ფულისადმი ჩვენი დამოკიდებულების მრავალგვარობის ერთერთი მიზეზი ეკონომისტებისადმი უნდობლობაცაა, რადგან მათი აზრები ხშირად გაუგებარია და არც თუ იშვიათად არასწორიც. ამიტომ, მეტად რთულია დამწყებ ადამიანს ურჩიო, როგორ შეისწავლოს ფული. მეტიც, ხშირად თანამედროვე მულტიდისციპლინარული მკვლევარი, რომელიც სწავლობს ფულის ზემოქმედებას, მაგალითად ადამიანის ფსიქიკაზე, ვერ გარკვეულა რომელი ამოსავალი დებულებებით დაიწყო კვლევა, ეკონომისტებს დაეყრდნოს, რომელთა ნააზრევი დღევანდელ პროფესიულ ენაზე, იმდენად მათემატიზირებული და ფორმალიზებულია, „შეფუთულია“ ისეთ რთულ სპეციალურ ტერმინოლოგიაში, რომ მისი შესწავლა საფუძვლიან წინასწარ მომზადებას მოითხოვს, ამიტომ უფრო სხვა სპეციალისტების, მაგალითად ანთროპოლოგების, ნაშრომებს ეყრდნობიან, რომლებიც საინტერესო ეთნოგრაფიული მასალით და სიძველეთა რომანტიკულით ერთგვარ პოეტურ ელფერს ანიჭებენ ფულის წარმოშობისა და გამოყენების ურთულეს პრობლემებს. ფულის მნიშვნელობისა და მისი გამოყენების დღევანდელი სირთულეების ახსნისათვის სრულიად არასაკმარისი ის ცოდნა, რასაც ფულის შესახებ, ეკონომისტები იძლევიან და შემთხვევითი არაა, რომ დღეს ფულის და მისი გამოყენების შესწავლისათვის აუცილებელი ხდება ეკონომი-

კური ანთროპოლოგიის, კოგნიტიური ფსიქოლოგიის და სოციოლოლოგიის ავტორთა ნაშრომების შესწავლა. დღეს ფულის არსისა და გამოყენების მრავალგვარ ეფექტთა შესწავლით დაინტერესებული ადამიანებისათვის განსაკუთრებით პოპულარული ხდება კარლ პოლანისა<sup>13</sup> და ბრონისლავ მალინოვსკის<sup>14</sup> შრომები, რომლებსაც ეკონომისტებიც ფართოდ იყენებენ. ეს ყოველივე მიგვანიშნებს, რომ ფულის კვლევის არეალი ფართოვდება და იგი ხდება საყოველთა შესწავლის ობიექტი. მის შესახებ დიკუსიაშიც ახალი ძალები ერთვებიან და შესაბამისად უფრო საინტერესო და ადრე უხილავი მხარეებით წარმოგვიდგება ფული, მისი შესწავლით დაინტერესებულ პირებს.

## 2. მოსაზრებები ფულის წარმოშობის შესახებ

მეცნიერებს, ვინც ფულს იკვლევს და მისი არსისა და ფუნქციების შესწავლა თავისი პროფესიულ საქმედ გაუხდია მიაჩნიათ, რომ ფული წარმოიშვა დედამიწაზე:

➤ *შემთხვევით.* საქონელგაცვლის პროცესის გართულებამ მოითხოვა მისი შედარებით გამარტივება და თანდათანობით საქონელთა გროვას გამოეყო ერთ ერთი, ყველაზე სასურველი და მნიშვნელოვანი საქონელი, რომელსაც ფული უწოდეს.

ამგვარად, მეცნიერთ ერთი ჯგუფის: ქსენოფონტეს, ადამ სმიტის, კარლ მარქსის, მიურეი როტბარტისა და სხვა მრავალთა აზრით, ფული საზოგადოებაში წარმოიშვა ობიექტურად, ადამიანების ნების დამოუკიდებლად, საქონელგაცვლის პროცესის მათგანიშვლად და მეოხად. ასეთ მოსაზრებას ფულის წარმოშობის ევოლუციურ თეორიას ეძახიან. ამ თეორიის მიმდევრები ფულის ონტოგენეზის<sup>15</sup> განიხილავენ, როგორც საქონელგაცვლის ხანგრძლივ ევოლუციურ პროცესში შექმნილი ინ-

<sup>13</sup> კარლ პოლანი, ამერიკელი მეცნიერი, რომლის ნაშრომებიც სახელმძღვანელო ხდება მემარცხენე მიმართულების პოლიტიკური ძალებისა და მკვლევარებისათვის. მის კვლევებს ფართოდ იყენებენ ლიბერტარიანელებიც

<sup>14</sup> ბრონისლავ მალინოვსკი, პოლონური წარმოშობის ინგლისელი სოციოლოგი და ეთნოგრაფი, რომელიც ითვლება ეკონომიკური ანთროპოლოგიის ფუძემდებლად.

<sup>15</sup> ონტოგენეზისი-ბიოლოგიური ტერმინი, ნიშნავს ორგანიზმის წარმოშობას და ინდივიდუალურ განვითარებას.

ფორმციული კრიზისის სპონტანური<sup>16</sup> გადალახვის გზის დასრულებას და ახალი ფულადი ურთიერთობების საწყისის დასაწყისს.

მაგრამ ამ მეცნიერებს ყავთ ოპონენტები, არისტოტელე: ჯონ ლოკი, დავით ჰიუმი და სხვები, რომლებიც არ ეთანხმებიან მათ და ამტკიცებენ, რომ ფული წარმოიშვა:

➤ **შეთანხმების საფუძველზე.** რომ ადამიანები გართულებული ალებმიცემობის გასამარტივებლად შეთანხმდნენ შექმნეს ისეთი დამოუკიდებელი ფასეულობა, რომელიც, საქონელთა ექვივალენტის როლს აკმაყოფილებდა.

ამ მეცნიერთა აზრით ფული ადამიანთა შემოქმედებითი აქტივობის შედეგია. ფულის წარმოშობის შესახებ ასეთ მოძღვრებას „სუბიექტივისტურ, ან ნომინალისტურ თეორიას“ უწოდებენ, რომელიც ამტკიცებს, რომ ფულს აქვს თავისი განვითარების დამოუკიდებელი ფილოგენეტიკური<sup>17</sup> გზა. არსებობს ფულის წარმოშობის შესახებ სხვა, მესამე მოსაზრებაც, რომელსაც ფულის მკვლევარი ეკონომისტები არ განიხილავენ, მაგრამ იგი არსებობს და გვარწმუნებს რომ ფული ქვეყანაზე გაჩნდა.

➤ **ფულის ნებით.**

მართლაც, როგორც სოციალურმა ანთროპოლოგებმა დაასაბუთეს, ცივილიზაციის დასაწყისში, როდესაც ადამიანის ყოფითი, ყოველდღიური ზრუნვის სამყარო და მისი წარმოდგენები უზენაეს შემოქმედ ძალებზე ერთიანობაში, ერთი სოციალური პროცესის სახით ვლინდებოდა ფული, რომელიც მატერიალურ ფასეულობათა რაოდენობრივი საზომის და ამავე დროს, საკრალური მნიშვნელობის საგანს წარმოადგენდა. დაინტერესებული პირები ბიბლიაშიც იპოვიან პირდაპირი მითითებები, თუ როგორ და რანაირად უნდა მოახდინოს ადამიანმა თავისი საქმიანობის შედეგების აღრიცხვა და მისი რეალური ექვივალენტური გამოხატვა მატერიალურ ფასეულობებში. ამ პროცესში უმთავრესსაც, კერძოდ იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს ფულის წინაშე წარმოქმნილ ვალდებულებათა გადახდა, ადამიანის მიერ, ფულის მეშვეობით.

როგორც ვხედავთ ფულის წარმოშობის შესახებ არსებობს სამი დამოუკიდებელი თეორია:

<sup>16</sup> სპონტანურობა-თვითნებურობა, გამოიყენება იმ პროცესების დასახასიათებლად, რომლებიც გარეგანი ფაქტორების გარეშე წარმოიქმნებიან.

<sup>17</sup> ფილოგენეზი-ბიოლოგიური ტერმინი, ნიშნავს ორგანიზმის ისტორიული განვითარებას.

1. ფული წარმოიშვა სპონტანურად, ადამიანების ყოველგვარი გარეგანი ჩარევის გარეშე;
2. ფული ადამიანების შემოქმედებითი აქტივობის შედეგად წარმოიშვა;
3. ფულის გამოყენება ფულის ნებით შეძლო ადამიანმა.

ამგვარად, ისმება კითხვა: ფული ხელთქმნილია ადამიანების მიერ, თუ გაჩნდა მათი ნებასურვილის გარეშე? ამ კითხვას, რომ ვუპასუხოთ ერთჯერ კიდევ გადავხედოთ ფულის წარმოშობის სამივე თეორიას და დავინახავთ, რომ მათ შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ არსებობს, ისინი ოდენ, იმით განსხვავდებიან, თუ საიდან აკვირდებიან მკვლევარები საკვლევ ობიექტს, რომელ ზოგად ფილოსოფიურ მსოფმხედველობის ფარგლებში განიხილავენ იმ აისბერგის ხილულ ნაწილს რომელსაც ადამიანებმა ფული უწოდეს. ამ საკითხზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ჩემი აზრით, ფულის წარმოშობის შესახებ არსებულ სამივე კონცეფციის შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს. რადგან, ობიექტური პირობების არსებობის, საზოგადოების მომნიშვნელობის გარეშე, ვერავითარი მოლაპარაკება ვერ შექმნიდა ფულს, ხოლო თავის მხრივ ფული, როგორც ადამიანთა ურთიერთობების ერთერთი გამოხატულება, შინაგანი წესრიგის განმსაზღვრელი ფასეულობა, ვერც ასეთი მოლაპარაკების გარეშე გაჩნდებოდა. რაც შეეხება მესამე თეორიას, რომელიც თავისი მნიშვნელობით პირველია, მრავალთა მიერ აღიარებულია და სწორედ ამ ორი პირველი თეორიის სინთეზს გულისხმობს. უზენაესმა ძალამ, მაშინ შთააგონა ადამიანებს შეექმნათ ფული, როდესაც ისინი ამისათვის მზად იყვნენ, როდესაც მათი საქმიანობის სწორი და რაციონალური წარმართვისათვის ამ ეკონომიკური ფასეულობის გამოყენების შესაძლებლობა გაჩნდა. ასეთი დამოკიდებულება ფულის წარმოშობისადმი, ნებისმიერი, ჩვენთვის ნაცნობი რელიგიის წარმომადგენელი მეცნიერისათვის პირველ ორ არგუმენტს მიგვიყვანს.

მართლაც თუ ყურადღებით დავაკვირდებით ბიბლიაში გადმოცემულ ფულთან დაკავშირებულ საკითხებს, დავინახავთ რომ უფალმა მოსეს შთააგონა შეექმნა ისეთი კვალიმეტრული სისტემა, რომელიც ადამიანებთან მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული და ამავე დროს არ შეზღუდავდა მათ პირად დამოუკიდებლობას. გავიხსენოთ ბიბლიის, კერძოდ ეგვიპტიდან იერუსალიმის მიმართულებით ებრაელთა

მსვლელობის ერთი მომენტი. როგორც მამა ღმერთი მიუთითებდა, ადამიანები არ შეიძლება დათვალო, მაშინ როგორ გავიგოთ რამდენი ადამიანია საზოგადოების შემადგენლობაში? ამ წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით მოსემ მოიფიქრა შემდეგი რამ, თვითნებულ ადამიანს უნდა ჩაეგდო საერთო ყულაბაში ერთი შეკელი, როდესაც ყველა შეასრულებდა ამ დავალებას შეკვლების გროვა გადაითვლებოდა და ცნობილი გახდებოდა, თუ რამდენი კაცისაგან შედგებოდა ადამიანთა ის ერთობა, ვინც მოსეს იერუსალიმისაკენ მიჰყავდა. ასე გახდა ფული (შეკელი), საყოველთაო ქვალიმეტრიული სიდიდე ადამიანური ურთიერთობების მრავალ სხვადასხვა გამოვლინებათა შესადარებლად და მათ შორის რაოდენობრივ თანაფარდობათა დასადგენად. მხოლოდ ერთი მაგალითი მოვიყვანეთ „ძველი აღთქმიდან“, საიდანაც ჩანს, თუ როგორ ასწავლის ადამიანებს უფალი, თვისი ყოველდღიურ საქმიანობაში ერთმანეთისადმი და თვით უფლისადმიც წარმოქმნილი ვალდებულებები რა თანმიმდევრობითა და წესით აღასრულონ. მათ შორის არის ფულის გამოყენების ის წესიც, რომელიც მისი მფლობელის ვალდებულებათა გამომხატველი რაოდენობის სახით გვევლინება<sup>18</sup> (ლევიანი, 27).

გარდა ამისა პირველყოფილი ტომებზე დაკვირვებით მეცნიერებმა დაინახეს ფულსა და მათ ღმერთებს შორის პირდაპირი კავშირი. მაგალითად, ახალი ზელნდიის და ოკიანეთის სხვა კუნძულებზე მცხოვრები აბორიგენი ტომების ურთიერთობები წესრიგდება ისეთი რელიგიური სანჯისით, როდესაც კულტის საგანი, პირველყოფილი ღმერთი, თვით ხდება ექვივალენტურობის დაცვის საშუალება. სოციალური ანთროპოლოგ მარსელ მოსისი<sup>19</sup> დაკვირვებით, ახალზელანდიელი მაურების ყოფაში შეინიშნებოდა საკულტო საგანის სპილენძის ფულად და ღმერთად ჩამოყალიბების ერთდროული პროცესი. ასეთივე მოვლენას, მესოპოტამიაში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში და ძველი საბერძნეთის მაგალითზე განიხილავს

<sup>18</sup> იხ. ბიბლია. ძველი აღთქმა. ლევიანი. ოცდამეშვიდე თავი. ეს თავი მთლიანად ეთმობა უფლისათვის აღთქმული შესანიშნავი ვალდებულების ფულად (შეკელში) ექვივალენტში გამოხატვის წესებს. აქ უფალი მოსეს, აარონს და მის შვილებს უყალიბებს იმ ფულად ექვივალენტებს, რითაც უნდა იქნას ანაზღაურებული უფლის წინაშე წესის მიხედვით დადგენილი შესანიშნავი.

<sup>19</sup> Марсель Мосс, Общество. Обмен. Личность.

ეკონომიკური ანთროპოლოგიის ერთ ერთი ფუნქციონირება კარლ პოლანიც. რომელიც შენიშნავს, რომ ფული მას მერე, როდესაც მოცემულ ტერიტორიაზე საყოველთაო ექვივალენტი ხდება, იქნის საკულტო მნიშვნელობას და ხალხი მას აღმერთებს.<sup>20</sup>

როგორ წარმოშვა ფული ობიექტურმა პროცესებმა ამაზე ბევრია დაწერილი და ეს თეორია გაბატონებულია ეკონომიკურ ლიტერატურაში. ჩვენ მოკლედ მოვიყვანთ ამ შეხედულებას და შევეცდებით იგი მოკლედ გადმოვცეთ კარლ მარქსისა<sup>21</sup> და ლიბერტარიანული მიმართულების ეკონომისტის მიურრეი როტბარტის<sup>22</sup> მიხედვით. ამ თეორიის მიხედვით გაცვლას ჯერ შემთხვევითი ხასიათი აქვს, მეზობლად მცხოვრები ხალხები ერთმანეთს უცვლიან საკუთარ შრომით მოპოვებულ ბუნების მზა პროდუქტებს. მაგრამ ამ შემთხვევითი გაცვლისას ყალიბდება დამოკიდებულება, რომლის დროსაც ერთ ერთი საქონელი ასრულებს ექვივალენტის როლს. კარლ მარქსს მიაჩნია, რომ ჩანასახი ფორმაში წარმოქმნება დამოკიდებულება, როდესაც შეფარდებითი ღირებულება ტოლია ექვივალენტური ფორმისა. გაცვლის დროს წარმოქმნილი ასეთი პროპორციული თანაფარდობა, რომელიც  $Ax=By$  გამოხატავს, საკმარისი იყო ფულის წარმოშობის გასარკვევად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც დაიწყეს „კაპიტალის“ შესწავლა, გაუგებარი აღმოჩნდა. მაშინ მარქსმა ოთხ ეტაპად დაჰყო და ასახა საქონლის ფულად გადაქცევის მთელი ონტოგენეზი: 1. ღირებულების შემთხვევითი ფორმა, როდესაც  $X$  რაოდენობის  $a$  საქონელი უდრის რაოდენობის  $b$  საქონელს 2. ღირებულების გაძლიერი ფორმა  $X$  რაოდენობის  $a$  საქონელი უდრის რაოდენობის  $1-n$  ნებისმიერ საქონელს: 3. ღირებულების ექვივალენტური ფორმა  $X1-n=Ym$  და 4. ღირებულების ფულადი ფორმა, თანმიმდევრულად განიხილა.

მიურრეი როტბარტი ყოველგვარი ისტორიული წიაღვსვლების გარეშე მიიჩნევს, რომ

ფული წარმოიშვა ბარტერიდან და იგი ადამიანის შემოქმედების ნაყოფია, მის საფუძველს კი წარმოადგენს ის დიდი მრავალმხრიობა, რომელსაც ბუნება ქმნის და ის აუცი-

<sup>20</sup> Карль Полани, Великая трансформация, с 127.

<sup>21</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1.

<sup>22</sup> Миуреи Ротбарт Деньги и Государство

ლებლობა, რომელსაც ადამიანები აწყდებიან თავიანთი განვითარების გზაზე. ხოლო, როდესაც სახელმწიფოები ერევან ამ პროცესში და აწესებენ ფულზე მონოპოლიას ისინი ძალადობენ საბაზრო ძალებზე და ამით მეტ პრობლემებს ქმნიან ვიდრე წყვეტენ. შესაბამისად, სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ პროცესებში ზედმეტია და საჭიროა შეიქმნას ისეთი საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც ეკონომიკას გაანთავისუფლებს პოლიტიკური ძალმომრეობისაგან. როტბარტის ავტორიტეტმა განაპირობა ის ფაქტი, რომ ლიბერტარიანიზმის მხარდამჭერი გახდა ცნობილი ლინგვისტი ნაომ ჩომსკი და მოხუცებულობაში აღარც მილტონ ფრიდმენი მაღადა, რომ იგი ლიბერტარიანელი იყო.

თეორიას, რომლის მიხედვითაც, ფული წარმოიშვა ადამიანთა შორის მოლაპარაკების გზით, როგორც ერთგვარი საზოგადოებრივი ნორმატივი, რომლითაც შესადარი ხდება მათი საქმიანობის შედეგები, კლასიკური წარმომადგენელია გერმანელი მეცნიერი გეოგ კნაპი. ყველა საცნობარო, თუ სასწავლო სახელმძღვანელოში ფულის სუბიექტურ-ნომინალისტური თეორიის მთავარ წარმომადგენლად მას მიიჩნევენ. მას მიაჩნდა, რომ ფული არის საზოგადოებრივი წესრიგის პროდუქტი, რომლის შემოქმედიც არის სახელმწიფო. უდაოა, რომ მისმა ნაშრომებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფულის რაოდენობრივი თეორიის ფორმირებაში და აგრეთვე კეინსის მიერ ფულის ზოგადი თეორიის შექმნაში. მაგრამ დღეისათვის ამ კონცეფციის წარმომადგენელთა შორის ყველაზე პოპულარულია კარლ პოლანი<sup>23</sup>, რომელიც ფულის წარმოშობის ობიექტივისთურ თეორიის ყველა ნაირსახეობას განიხილავს, როგორც ყალბ ფილოსოფიურ კონსტრუქციას. იგი წერს, რომ „ჩვენ შევეჩვიეთ ფულზე ვიფიქროთ ამ სიტყვის ვინრო გაგებით, როგორც საბაზრო ეკონომიკაში მოქმედი გაცვლის საშუალებაზე.“<sup>24</sup> არსებითად ფული არცერთი საგანი არ არის<sup>25</sup>, მაგრამ ნებისმიერი პროდუქტი

<sup>23</sup> Карль Полани Великая трансформация

<sup>24</sup> უნდა ითქვას, რომ მიურეი როტბარტი სწორედ ასე განსაზღვრავს ფულს. იგი წერს რომ ფულს აქვს ერთად ერთი ფუნქცია გააშუალოდს გაცვლის პროცესი, რომელიც შემდგომ შეიძლება გამოიხატოს მრავალი სხვა ფუნქციით.

<sup>25</sup> კარლ მარქსი თვლის რომ ოქრო ფულია და სინაარსით ფული ოქროა. მათ შორის შეიძლება დაისვას ტოლობის ნიშანი.

გარკვეულ სიტუაციაში შეიძლება ფულად გადაიქცეს. ჭეშმარიტად ფული არის სიმბოლოთა სისტემა, რომელიც გავს ენას, დამწერლობას და ზომანონას. ყველა ჩამოთვლილი ნიშნობრივი სისტემები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმ ძირითადი მიზნებით რომელსაც ემსახურებიან თვით სიმბოლოებით და მიზნის რომელიმე ერთეულის ასახვით.“<sup>26</sup> ამ ციტატაში მოსჩანს კარლ პოლანიმ მტკიცე პოზიცია და იგი, კნაპისა და მისი მიმდევრებისაგან განსხვავებით, მთლიანად უარყოფს ფულის ონტოგენეტიკური განვითარების შესაძლებლობას, რომელიც შესანიშნავად აღწერა მარქსმა და ცდილობს დაასაბუთოს, რომ ფული იმთავითვე ჩნდება, როგორც სიმბოლო, როგორც გარკვეული ნიშანი და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს რისგან დამზადდება იგი.

თანამედროვე მკვლევარი პოლ კოგმოტი ეყრდნობა კნაპისა და პოლანის ნაშრომებს და ფულის წარმოშობას აკავშირებს სახელმწიფოს ფისკალური ფუნქციის ამოქმედებასთან. მისი აზრით ფული არის სახელმწიფოს აქტიობის პროდუქტი, რომელიც ზომანონის ერთეულის მსგავსად ყალიბდება და მისი თავდაპირველი ვარაინტი სიდიდით უღლიანი სასწორისათვის განსაზღვრულ წონით ერთეულის ტოლია. საკუთარი მოსაზრების განმტკიცების მიზნით მას მოჰყავს აზრობრივი მაგალითი, თუ როგორ იწყებს სახელმწიფო ფულის ბეჭდვას საკუთარი საგადასახადო სისტემის ორგანიზაციის მიზნით და მის მიერ გამოშვებული ფული, როგორ ხდება საბაზრო სისტემის განვითარების რეალური სტიმულატორი, ის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც გაცვლა, როგორც წარმოება მოხმარების პროცესის გამშუალებელი პროცესი, აღწევს სახელმწიფოს ყველაზე შორ და მიუვალ ტერიტორიებზეც.<sup>27</sup>

ჩვენს მიერ მოყვანილი რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები, არც ის შორს არიან ერთმანეთისაგან როგორც ეს გარეგნულად ჩანს. საქონელგაცვლის განვითარების კვალობაზე მთელ შეფარდებით საცვლელ ღირებულებათა მასივიდან გამოიყოფა ერთი, რომელიც ყველაზე უკეთესად ასრულებს ექვივალენტურ ფუნქციას. ეს ერთი ხდება ფული, რომლის გამოყენებასაც იწყებს სახელმწიფო, რადგან იგი ბაზრის მონაწილესა და იყენებს ბაზარს საკუთარი მიზნების მისაღწევად. ამ

<sup>26</sup> იხ. კარლ პოლანი, ციტირებული ნაშრომი, გვ. 125

<sup>27</sup> იხ. პოლ კოგმოტის ნაშრომების ინტერნეტ ვერსია.



მიზეზებიდან გამომდინარე საკუთარი მიზნების უკეთესი შესრულებისათვის სახელმწიფო ბაზარზე მოქმედი რამოდენიმე ექვივალენტიდან არჩევს ერთერთს და მისი გარკვეული სტანდარტიზაციისა და სტილიზაციის შემდეგ ანიჭებს მას ლეგიტიმური საცვლელი საშუალების სტატუსს. რის შემდეგაც იწყება ამ ფენომენის, ფულის ფილოგენეტიკური სრულყოფის პროცესი. მონეტა მისი ნაირსახეობები, ქალაქის ფული და სხვა ფულადი ნიშნები, რომლებიც ფულის ფილოგენეტიკური განვითარების შედეგად წარმოიშებიან, მისაღები და სასურველი ხდება საზოგადოების ყველა ფენისათვის. იგი როგორც, ადამიანთა საქმიანობის შედეგების შეფასების დადგენილი ლეგიტიმური ნორმატივი, სცილდება საბაზრო სივრცეს და შემოდის ადამიანთა ყოველდღიურობის თითქმის ყველა სფეროში, როგორც ერთგვარი ქვალიმეტრული სისტემა. ამგვარად ფული რომელიც გაცვლის პროცესში სპონტანურად წარმოიშვა, შემდგომ ჩამოყალიბდა, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობათა მონესრიგების წინასწარ დადგენილი ლეგიტიმური სიმბოლო, ნიშანი საზოგადოების განვითარების კვალობაზე, რაც უპირატესად თვითოეული მისი წევრის ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლინებასა და დომინირებაში გამოიხატებოდა, გახდა მხოლოდ გარეშე საგნების, როგორიცაა გასაცვლელად დამზადებული ნივთები-საქონელი ღირებულების საზომი, არამედ იგი იქცა ადამიანთა საქმიანობისა და მისი გამოვლინებების ნებისმიერი ფორმების შეფასების საშუალებაც.

სამი კონცეფცია ჩამოვაყალიბეთ, ვთქვით, რომ ფული წარმოიშვა: (1) ან ნორმატულად, ადამიანთა მოლაპარაკების შედეგად, (2) ან სპონტანურად, როგორც ბაზარზე საქონელგაცვლის გაიოლების საშუალება, (3) ანდა ღმერთმა გვასწავლა, როგორ გაგვეხორციელებინა ურთიერთ გაცვლა და შექმნილი დოვლათის აღრიცხვა. სამივე შემთხვევაში იგი ბაზრის ინფორმაციული ნაკადის თავმოყრის (ინტეგრირების) საშუალებაა, ისაა, რითაც ხდება ბაზრებზე ინფორმაციული ვაკუმის დაძლევა. სამივე ახსნა ერთია, ვამბობთ, რადგან სამივე შემთხვევაში იგი საქონელგაცვლის შედეგია, შრომის დანაწილების საფუძველზე წარმოქმნილ მრავალფეროვნებათა ურთიერთ მიმართებაა, პირველ საწყისთან შრომასთან, როგორც საერთო ფასეულობასთან და მის შედეგებთან თანაფარდობის რაოდენობრივი განზომილებაა. მისი გაჩენის მიზანი ერთია, გააიოლოს საქონელგაცვლა, დაეხმაროს ადამიანებს

დაძლიონ ის ინფორმაციული ვაკუმი, რაც მათ შრომის დანაწილებით გართულებულმა სამეურნეო სიტუაციამ შეუქმნა. ამიტომ ფული ხდება ის შუამავალი, რომლითაც დგინდება ცალკეულ კონკრეტულ შრომითი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი განსხვავებული ღირებულებებს შორის რაოდენობრივი თანაფარდობა. იქმნება ცალკეული შრომითი აქტივობის საზოგადოებრივი მნიშვნელობის განსაზღვრის შესაძლებლობა.

### 3. რაზე და რატომ ვერ თანხმდებიან ეკონომისტები

როგორც ვხედავთ, ფულის არსის, წარმოშობისა და მოქმედების არეალის პრობლემები დრესაც კამათის საგანია. ასე, რომ ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორია, მეცნიერულად, მკაცრად განსაზღვრული არ არის. მეტიც, ფულის არსისა და მნიშვნელობის შესახებ არსებული წარმოდგენებიდან გამომდინარე მსჯელობებმა მიიყვანა ეკონომიკური მეცნიერება იმ მრავალპარადიგმაიანობასთან, რომელიც დღეს გვაქვს. მონეტარისტები, ლიბერტიანელები, ავსტრიული სკოლა, ორდო ლიბერალები, კეინსელები და ინსტიტუციონალისტები (თავიანთი ახალ-ახალი განშტოებებით), ფულისადმი საზოგადოების დამოკიდებულების გარკვევისას, გამოთქვამენ ურთიერთ საწინააღმდეგო შეხედულებებს და საფუძველს უყრიან სხვადასხვა პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიმდინარეობებს. როგორც ვხედავთ ფულისადმი სწორი და ნათელი წარმოდგენის გამომუშავება უაღრესად აქტუალურია. ჩვენ შევეცადეთ ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გარკვევა დაგვეწყო კითხვით, რატომ არის ფული დღესაც დისკუსიის საგანი? მივედით, იქ სადაც ჩვენამდეც ბევრი მკვლევარი მისულა, ჩვეულებრივ ბანალურ აზრამდე: ფული ადამიანთა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე აღმოცენდება და მას შემდეგ იგი, როგორც განვითარების პროდუქტი და პროგრესის ხელისშემწყობი ფაქტორი ამზადებს თავისი არსებობის არეალის ცვლილებებს, რის საფუძველზეც იცვლება თვითონაც.

ახალი ეპოქები ახალ ამოცანებს სვამენ სამეურნეო ცხოვრების წინაშე, შესაბამისად ფული, როგორც ეკონომიკური ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი არსებობის ფორმებს იცვლის. იგი, საზოგადოების ევოლუციური პროცესების გავლენით მოქმედების, ახალ სამეურნეო პროცესებს და მექანიზმებს

ემსახურება, შესაბამისად გამოვლენის სახესაც იცვლის. ყველასათვის ცნობილია, რომ იგი ისტორიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე კეთილშობილი მეტალების თანაბარ წონით ერთეულების სახით გამოდიოდა ბაზარზე, შემდეგ მას ჩაენაცვლა ქალაქში გამოსახული ნიშნები. ამიტომ, მისი რაობა ყველა ისტორიულ ეპოქაში ხელახლა დასადგენი ხდება, მოცემული ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესატყვისად. იმ ეპოქაში, იმ ხალხს, ვინც ფულზე არ საუბრობს, არ მსჯელობს და მას თავის ძალისხმევით ერთერთ მთავარ საგნად არ აქცევს, ცუდად ესმის მიმდინარე ეკონომიკური პროცესების თავისებურებანი და ცუდადაც მიუდის საქმე.

მიუხედავად იმისა, რომ ფულის შესახებ ყველა საუბრობს და ადამიანები დიდ ნდობას ეკონომისტებისადმი არ გამოხატავენ, მაინც უნდა ვალიაოთ, რომ ამ საკითხებში ყველაზე ავტორიტეტული ხალხი, მაინც ეკონომისტებია. მერე რა, რომ ეკონომისტები დღესაც კამათობენ ფულის საზრისის, გამოვლენის ფორმებისა და მნიშვნელობის შესახებ. წარმოდგენილია ეს დისკუსია როდესმე შეწყდეს, სანამ იარსებებს ეს ყველასათვის ცნობილი და სასურველი ფენომენი, ფული.

ფული გამომდინარე მისი მნიშვნელობიდან, როგორც „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა“ უნევს ყველა საერთაშორისო სუბიექტს რეკომენდაციას, „ყველა ქვეყანაში ყოველწლიურად საჭიროებს განმარტებას.“<sup>28</sup> ეს ციტატი იმაზე მიგვითითებს, რომ ეს დიდი და მრავალმხრივი მოვლენა, რომელსაც ფულს ვუნოდებთ, არ იმყოფება სტატიკურ მდგომარეობაში, იცვლის გამოვლენის ფორმებს, სხვადასხვა რაკურსებით წარმოჩნდება დამკვირვებლისადმი, მისი გამოყენების ხასიათის განმსაზღვრელი სუბიექტიც სხვადასხვა ძალითა და მიმართულებით ზემოქმედებს მასზე, რაც დრო და დრო განაპირობებს მისი განმარტების აუცილებლობას. რაც ხშირად განსხვავებულად ხდება.

საზოგადოებისადმი ეკონომისტების მიერ ფულის განსხვავებული განმარტებების შემოთავაზება განპირობებულია იმით, რომ მიმოქცევაში ფულის მასის მოცულობის ცვლილებები და მისი ნაზრდის ტემპები მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ ეროვნული ეკონომიკის მიზნობრივ მახასიათებლებზე. მართლაც ინფლაცია,

<sup>28</sup> იხ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (თეთრი წიგნი), რუსულ ენაზე, ტ.1.

საპროცენტო განაკვეთი, დასაქმება, ეროვნულ შემოსავალ ეროვნული ფულის საცვლელ კურსზე სხვა ქვეყნების ფულთან მიმართებაში, მთლიან შიდა პროდუქტი და მათი დინამიკა რამდენამდე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორაა უზრუნველყოფილი ეკონომიკა ფულის მასით, როგორ იცვლება მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობა. ფულის ასეთი დიდი მნიშვნელობა ეკონომიკურ პროცესებზე ამდენად ცხადია, რომ ამ საკითხზე არავინ კამათობს, მაგრამ გამომდინარე სწორედ ამ სიცხადიდან და მისი აქტუალობიდან, ეკონომისტები ვერ შეთანხმდნენ, თუ რას ეწოდოს ფული და როგორ გაიზომოს მისი რაოდენობა.

რადგანაც ფულის მასის ოდენობა და მისი ზრდის ტემპები აქტიურად ზემოქმედებენ მთელს ეკონომიკაზე, ისინი ზემოქმედებენ ეროვნული ეკონომიკის ძირითადი მიზნებზე, მოსახლეობის დასაქმების მაღალი დონესა და ფასების სტაბილურობაზე (სიტუაცია, რომელიც უკავშირდება ინფლაციისდა დეფლაციის დაბალ ტემპებს), ეკონომიკური ზრდაზე. ყველა ეს პრობლემა პირდაპირ, ან ირიბად უკავშირდება ფულის ერთობლივ მიწოდებას და ფულის მასის ზრდის ტემპს. ამიტომ ფულის მასის მატების ოპტიმალური მაჩვენებლები გვძლევენ საშუალებას მივალწიოთ ამ მიზნებს. ეროვნული ეკონომიკის მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ქვეყანაში რეგულირდება ფულის მიმოქცევის პროცესი, ფულად საკრედიტო პოლიტიკა ეწოდება, რომელსაც შემუშავებს ქვეყნის ხელისუფლება. ამიტომ ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც პასუხისმგებლურად ანხორიელებს ეროვნული ეკონომიკის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო ღონისძიებებს. ხელისუფლების ვალდებულება გაზარდოს ან შევამციროს ფულის მასის ოდენობა. საზოგადოება მისგან მოითხოვს წინასწარ განმარტოს რა არის ფული. კერძოდ, ფულად საკრედიტო პოლიტიკამ უნდა უპასუხოს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. უნდა არსებობდეს მკაფიო და ფულის განმარტების მკაცრი შესაბამისობა მის თეორიულ და რაოდენობრივად გამოხატულ ემპირიულ განსაზღვრულებებს შორის. რეალური სამყარო არ აძლევს საშუალებას მეცნიერებს, რომ ზუსტად გაზომონ ის სიდიდეები, რომლებიც წარმოადგენენ თეორიულ კონსტრუქციებს და ეს პრობლემა განსაკუთრებულ სიმწვავეთ ვლინდება ფულადი პოლიტიკის შემთხვევაში;

2. ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს ხელი-სუფლებათაში შემავალი ინსტიტუტი, ქვეყნის ცენტრალური ბანკი. რამდენადმე განსხვავებული სისტემა არსებობს აშს-ში სადაც ფულად საკრედიტო პოლიტიკაზე, 1913 წლიდან, პასუხისმგებლობელია ფედერალური სარეზერვო სისტემა. საქართველოში კი მოქმედებს ცენტრალური ბანკი, რომელსაც „საქართველოს ეროვნული ბანკი“ ეწოდება. ცენტრალური ბანკი, რომელიც მუდმივად უნდა აკონტროლებდეს ფულის მასის მოცულობას, რომელსაც იგი ემპირიულად განსაზღვრავს. იგი ვალდებულია შესძლოს ფულის მასის რაოდენობის რეგულირება მის ხელში არსებული ინსტრუმენტებით. ცენტრალურ ბანკს არ შეუძლია პირდაპირ იმოქმედოს ეკონომიკის უშუალო მიზნებზე, ამიტომ იგი მათზე ზემოქმედებს ირიბად მის განკარგულებაში არსებული ფულის ცვლადი მაჩვენებლებით.

3. ფულის ემპირიული განმარტება უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული ეროვნული ეკონომიკის ძირითად მიზნებთან. ის, რომ ცენტრალური ბანკი შეცვლის ფულის მასის მახასიათებლებს, მისი ნაზრდის სიდიდეს, არ ექნება ქვეყანას სარგებლობა, თუ ეკონომიკური სიტუაცია არ იცვლება სასურველი მიმართულებით.

ფულის განმარტების ფორმულირებისა და ფულის მასის რაოდენობის განსაზღვრის საკითხში მწვავე შეუთანხმებლობა საფუძველზე გამოიკვეთა ორი ძირითადი მიდგომა:

- ფული არის მიმოქცევის საშუალება და ამიტომ იგი უპირველესყოფლისა ტრანსაქციული საშუალებაა;
- ფული არის გადახდის საშუალება, ამიტომ იგი ღირებულების შენახვის მთავარი და შესაბამისად ლიკვიდური საშუალებაა.

ამგვარად, ფულად საკრედიტო პოლიტიკის სფეროში ჩამოყალიბდა, მოქმედების ორი განსხვავებული მიდგომა, რომლებსაც ეკონომიკურ მეცნიერებაში ტრანსაქციული და ლიკვიდური მიდგომები ეწოდება.

ტრანსაქციული მიდგომა ეყრდნობა ფულის ფუნქციას მიმოქცევის საშუალება. ამ მიდგომის მომხრეები თავიანთ თეორიას აფუძნებენ ფულის არსზე, რომელიც მათი აზრით იმაში ვლინდება, რომ მხოლოდ ფული გამოიყენება სხვა საქონლის და მომსახურეობის ღირებულების გადასახდელად. ისინი განმარტავენ, რომ ფულსა და აქტივებს შორის, რომლებიც ასრულებენ მიმოქცევის საშუალების როლს და სხვა აქტივებს შორის, არსებობს გან-

სხვავება. აქტივები ემსახურებიან ღირებულების შენახვას, ხოლო ფული ემსახურება მიმოქცევის პროცესს.

ასეთი თეორიული განმარტებიდან გამომდინარე მიაჩნიათ, რომ როდესაც ემპირიულად განსაზღვრავენ ფულის მასას, მათში უნდა ჩერთოს არა მარტო ის აქტივები, რომლებიც რომლებიც მიმოქცევის საშუალებად გამოდიან (ბანკნოტები და მონეტები), არამედ მათში უნდა შევიდეს, აგრეთვე საჩეკო დეპოზიტებიც (მიმდინარე ანგარიშები). ტრანსაქციური მიდგომის მომხრეები მიიჩნევენ, რომ სებისათვის საკმარისია გააკონტროლოს ფულის ის მასა, რომელიც საჭიროს ყიდვა-გაყიდვის აქტებისათვის. მრავალი ეკონომისტი მათ შორის: ადამ სმიტი, დავით რიკარდო, კარლ მარქსი, სტიუარტ მილი, თომას მალთუსი, ლეონ ვალრასი, მარშალი, ფილოსოფოსი დავით იუმი და თვით ნიკოლა კოპერნიკი ასეთი მიდგომის საფუძველზე შექმნეს თეორია როგორ უნდა იცვლებოდეს ფულის რაოდენობა მიმდინარე პერიოდში, და დაასაბუთეს, რომ ფულის მასის რაოდენობრივი ცვლილებები მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს ეკონომიკის ძირეულ მიზნებს. ადამიანებს, საოჯახო მეურნეობებს და ფირმებს ესაჭიროებათ ფული, მათი მიმდინარე ხარჯების დასაფარავდა და სამომავლო პრობლემების გადასაწყვეტად. ასეთ დამოკიდებულებას ეკონომისტები უწოდებენ ტრანსაქციულ მოტივს. ეს არ უნდა აფუროთ ფულის შენახვასთან, რომელიც გამონეულია ხარჯების წინასწარი განუხაზღვრელობით, რომელიც შეიძლება წარმოიქმნეს უცაბედად და გაუთვალისწინებელ დროს. ამ მოვლენას ეკონომისტები უწოდებენ სიფრთხილის მოტივს.

ლიკვიდური მიდგომის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფული მიჩნეულია ყველაზე ლიკვიდურ აქტივად. ლიკვიდურობა ნიშნავს, რომ მისი მფლობელს შეუძლია იგი გაყიდოს უმოკლეს ვადებში დადგენილ ფასად და გაყიდვისათვის არ განიოს დამატებითი ხარჯები. ლიკვიდური მიდგომა ეყრდნობა ფულის თვისებას მოახდინოს ღირებულების შენახვა და უგულვებლყოფს მის თვისებას იყოს გაცვლის შუამავალი. შინაარსობლივად ეს მიდგომა ასაბუთებს, რომ ფული არ განსხვავდება სხვა აქტივებისაგან, რადგან ლიკვიდურობა ყველა აქტივის მახასიათებელია. ამიტომ, თუ მოვახდენთ აქტივების კლასიფიკაციას მათი ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით ფულს გარდა სხვა აქტივებზეც შეგვიძლია გადავიდეთ. ყვე-

ლა ასეთი აქტივი ემსახურება ღირებულების შენახვის პროცესს, მაგრამ აქვს ლიკვიდობის სხვადასხვა მახასიათებელი.

ფული ყველაზე ლიკვიდური აქტივია, რადგან მისი მფლობელი არ გრძნობს აუცილებლობას და ვალდებულებას იგი გადაცვალოს სხვა რაიმე ფასეულობაზე. ამას გარდა იმის გამო, რომ ქვეყნის ფულადი ერთეული ამავე დროს არის ანგარიშგების ერთეულიც, მისი ნომინალური ღირებულება არ შეიცვლება. საქმე ასე არ არის, თუ ავიღებთ სხვა მაგალითს, ვთქვათ სახლს, იგი არ არის ლიკვიდური აქტივი. უძრავ ქონებაზე ფასები ცვალებადია, ამიტომ ის ფასი, რომელიც მას მომავალში ექნება, განსხვავდება მისი ფულში გამოხატული დღევანდელი ფასისაგან. ამას გარდა სახლს გაყიდვისათვის შეიძლება დიდი დრო დაგვჭირდეს და მოითხოვოს მნიშვნელოვანი საშუალო ხარჯები და აქტივი, რომელსაც ვეძახით, „სახლი“, რომ გადავიყვანოთ აქტივში, რომელსაც ვეძახით, „ფული“, ამისათვის უნდა განვახორციელოთ ძალისხმევები, რაც უკავშირდება ახალ ხარჯებს და დამატებით სამუშაო დროს.

ლიკვიდური მიდგომის გამოყენება იმისათვის, რომ გაირკვეს საზოგადოებაში ფულის მნიშვნელობა, მოითხოვს მის უფრო ფართო განმარტებას, ვიდრე ტრანსაქციული განსაზღვრების დროს კეთდება. ლიკვიდური მიდგომის დროს ფულად მიიჩნევა ნებისმიერი მაღალლიკვიდური აქტივები, რომლებიც ეროვნული ფულით გამოხატული ფასით შეიძლება უსწრაფესად იქნას გადაყვანილი ფულად აქტივებში ისე, რომ არ დაიკარგოს მისი ნომინალური ღირებულება.

ამგვარად ნებისმიერი აქტივი, რომელიც თავის მფლობელს აძლევს გარანტიას, რომ არ შეუმცირდება მისი ნომინალური ღირებულება მომავალში, შესაძლებელია ჩართული იყოს ფულის შემადგემლობაში, და ლიკვიდური მიდგომის საფუძველზე განვიხილოთ, როგორც ფულადი აქტივი. ეს აზრი სხვა სიტყვებით, შეგვიძლია ასე გამოვხატოთ: ნებისმიერი ის აქტივი, რომლის ეროვნულ ფულად ერთეულში ასახული მინიმალური ნომინალური ღირებულება არც იზრდება და არ მცირდება, განიხილება, როგორც სრულიად ლიკვიდური და ამიტომ არის ფული. გასაგებია, რომ ის აქტივები, რომლებიც ემსახურებიან მიმოქცევის სფეროს შეესაბამებიან ამ განმარტებას.

გამომდინარე, ფულის განმარტების ასეთი, ტრანსაქციული და ლიკვიდური მიდგომებიდან

გამომდინარეობს, მოსახლეობის რეაქციაც ფულის მიმართ. მაგალითად, ქვეყნის თუ პარლამენტი ამტკიცებს ცენტრალური ბანკის მოხსენებას, სადაც ნათქვამია, რომ მიმდინარე პერიოდში ფულმა უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის გადახდის უნარიანობა, მაშინ გასაგებია, რომ უნდა ველოდოთ ზომიერ ინფლაციას, ხოლო თუ მოხსენებაში აქცენტი გაკეთდება ფულზე, როგორც ლიკვიდობის საშუალებაზე, მაშინ ფასების ზრდა არ მოხდება. ამგვარად ფულის ტრიალის მთავარი მაორგანიზებელი სახელმწიფო ინსტიტუტი, ცენტრალური ბანკი, მიზანდასახულად ახდენს ქვეყანაში ფულის გამოყენების მართვას, მისი საშუალებით არეგულირებს საზოგადოების განვითარების მიმართულებებს, გამოდის რა ქვეყნის კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან, იგი ცდილობს ისეთი ღონისძიებების გატარებას რაც გულისხმობს ფულის გამოყენების საყოველთაო შესაძლებლობების გაუმჯობესებას, მაგრამ მის გაგებას გამარტივების ნაცვლად კიდევ უფრო ართულებს.

გარდა ცენტრალური ბანკის მიერ განმარტებული ფულისა, ხშირად მოცემულ ქვეყანაში ფულის დეფინიციას აკადემიურ წრეებში მოქმედი ეკონომისტები შეიმუშავენ. მათი განმარტებები ხვდება ენციკლოპედიებში, სხვა ლექსიკონებში, საცნობარო ლიტერატურაში, სასწავლო სახელმძღვანელოებში და ა.შ. ეს დეფინიციები ხშირად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ეს ორი მიზეზით ხდება პირველია ის, რომ მოცემულ ქვეყანაში შესაძლებელია ეკონომისტთა შორის ბატონობდეს, რომელიმე ეკონომიკური მოძღვრება, მაგალითად ნეოკლასიკური სკოლა, რომელიც ფულს განსხვავებულად წარმოადგენს, ვიდრე სხვა ეკონომიკური მოძღვრება, დავუშვათ კეინსიანელები. ამის მონმენი გავხდებით, თუ ეკონომიკის შემსწავლელ სახელმძღვანელო ლიტერატურას თვალს გადავაავლებთ. მაგალითად, ამერიკელი ნეოკლასიკური სინთეზის მთავარი წარმომადგენლის პოლ სამუელსონისათვის<sup>29</sup> ფულს მხოლოდ ორი ფუნქცია აქვს. სამაგიეროდ ნეოკლასიკოსი გრიგორი მენქიუსათვის<sup>30</sup> ფულს სამი ფუნქცია აქვს, ხოლო ნეოკეინსიან-

<sup>29</sup> იხ. П. Самуельсон ЭКОНОМИКА, М. Прогресс, 1964. ст. 310-311.

<sup>30</sup> გრიგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები. თბილისი 2005. გვ. 75.

ნელები როჯერ მილერი და დევიდ ვან-ჰიუსი<sup>31</sup> ოთხ ფუნქიას გამოყოფენ. ამასთან, ეს ავტორები არც კი ცდილობენ ჩამოაყალიბონ ფულის რაიმე, მათთვის მისაღები განმარტება, რადგან ფულის არსი, მათ მიერ, მთლიანად განსაზღვრება გაცვლის პროცესში იმ ადგილითა და როლით, რომელსაც ანიჭებენ ეს ავტორები.

მეორე მიზეზი არის ის, რომ ქვეყნები ეკონომიკის განვითარების დონით განსხვავდებიან და მათ საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც, შესაბამისად ფული განსხვავებული შინაარსის მატარებელია. ე.ი. ფულის უზოგადესი მახასიათებლის, ერთიანობის მიუხედავად, მისი დეფინიციები განსხვავდება. ამ დებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითად, ფულის განმარტების რამოდენიმე შემთხვევას. შესადაურისობის კორექტურულობის მიზნით, ავიღოთ ინტერნეტ ენციკლოპედია "ვიკიპედია". ვნახოთ როგორაა იქ განმარტებული ფული.

ინგლისურენოვანი "ვიკიპედიის" მიხედვით, „ფული არის, გარკვეულ სოციალურ ეკონომიკურ პირობებში, მოცემულ ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების გადასხდელად და ვალის გასასტუმრებლად აქცეპტირებული“<sup>32</sup> ფიზიკური ნივთი ან საანგარიშსწორებო ჩანაწერი“. რუსულენოვანი "ვიკიპედიის" მიხედვით, ფული არის მაქსიმალური ლიკვიდობის<sup>33</sup> სპეციფიკური საქონელი, რომელიც სხვა საქონლისა და მომსახურების უნივერსალურ ექვივალენტად გამოდის“. ქართულენოვანი "ვიკიპედია" კი გვეუბნება, რომ "ფული საქონელბრუნვის საშუალებაა, ის წარმოების, საბითუმო და საცალო საქონელბრუნვის დამაკავშირებელი კონკრეტული სახმარი ღირებულებაა. კლასიკური პოლიტიკურეკონომიკური აღქმით ფული საქონლის ეკვივალენტია, შეფასებითი კატეგორიაა." ამ სამ განმარტებას შორის არსებულ პრინციპულ განსხვავებები ცხადია და შეუიარაღებელი თვალითაც კარგად მოსჩანს. ამ პრაქტიკულად სამი წინადადების განხილვა

გვიჩვენებს თუ რა დიდი განსხვავებაა ფულის შესახებ მსჯელობისას ამ ენებზე მოლპარაკე ადამიანებს შორის.

ენის სტრუქტურის დიდი მკვლევარის იური ლოტმანი<sup>34</sup>, რომლის შრომებსაც ამ სფეროში ქრესტომათიული ღირებულება აქვს განმარტავს, რომ ნებისმიერი წინადადება, რომელიც აზრს გამოხატავს, სამი ასპექტით უნდა განვიხილოთ: 1. სინტაქსურად, სადაც სიტყვები ერთმანეთს უკავშირდებიან ენის ბუნებიდან გამომდინარე ჩვეულებრივი გრამატიკული ფორმით, რომლისთვისაც წინადადებით გამოხატულ აზრს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; 2. სემანტიკურად, წინადადების თითოეული წევრის მნიშვნელობის მიხედვით, რადგან წინადადებაში განლაგებული სიტყვებით გამოხატული საზრისები გვიხსნიან ამ წინადადებაში გადმოცემულ აზრს; 3. პრაგმატულად, რომელიც ამ წინადადების ჩამოყალიბების მიზანს გვიხსნის.

გამომდინარე ასეთი, სტრუქტურულ ლინგვისტიკაში მიღებული, პოზიციიდან, ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ ეს განმარტებები ერთმანეთს. მაშინ ცხადად დავინახავთ, რომ რუსულენოვანი და ქართულენოვანი განმარტებები მიუხედავად იმისა, რომ (1) სინტაქსურად გამართულ წინადადებებდ უნდა ჩაითვალოს, (2) სემანტიკის თვალსაზრისით რუსული განმარტება და ქართული განმარტების მეორე და მესამე წინადადებები წმინდა წყლის უაზრობებია. შესაბამისად (3) მათი პრაგმატულობა კი შეიძლება განიხილო, როგორც მკითხველის დაბნევისა და მცდარ გზაზე დაყენების მცდელობა. ამ თვალსაზრისით, თავს ვანებებ ქართულენოვან განმარტებას, როგორც საკითხის ამკარა უცოდინრობის გამოვლინებას, რომელის კრიტიკაც, უბრალოდ სალი აზრის ჩარჩოებში ვერ თასდება და მოკლედ შევეხებით რუსულ ენოვან განმარტებას. აქ ფულის მთავარი შინაარსობლივი მახასიათებელი არის სიტყვა „ლიკვიდობა“, რომელიც თავის მხრივ რაიმეს ფულად ქცევის შესაძლებლობას აღნიშნავს. გამოდის, რომ განმარტება აგებულია ტავტოლოგიაზე: **A** არის ის, რომელსაც შეუძლია ყველაზე სწორად გადაიქცეს **A**-დ. თუ კი რაიმე უკვე არის, არსებობს, მაშინ როგორ გადაიქცევი ისევ იმად რაც არის? რუსულენოვანი ეკონომიკური მეცნიერებისათვის ასეთ განმარტებას გარკვეული აზრი აქვს. ის დაკავშირებუ-

<sup>31</sup> Роджер Лерой Миллер, Дэвид Д. Ван-Хуз, Современные деньги и банковская дело, ИНФР-М, 2000. стр. 5-7.

<sup>32</sup> აქცეპტი - ეკონომიკური ტერმინი, აღნიშნავს ანაზღაურების შესახებ სრული და უდაო თანხმობას. ფინანსურ ბაზარზე, აქცეპტი არის იმ პირის პასუხი რომლისადმიც არის მიმართული ოფერტა (წინადადება გარიგების დადებისადმი).

<sup>33</sup> ლიკვიდურობა - ეკონომიკური ტერმინი, აღნიშნავს აქტივის თვისებას სწრაფად იქნას გაყიდული საბაზროსთან მიახლოებულ ფასად.

<sup>34</sup> იხ. Ю. Лотман, Семосфера.

ლია რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების თავისებურებებთან და ფულისადმი, როგორც სახელმწიფოს მიერ ემიტირებული საცვლელი საშუალებისადმი გარკვეული უნდობლობით. ასეთ უნდობლობის არსებობას კი სახელმწიფო პოლიტიკა უწყობს ხელს. რაც შეეხება ინგლისურენოვან განმარტებას, აქ ცხადად ჩანს, რომ მთავარი სიტყვა, რომლითაც იხსენება საკითხის შინაარსი, არის "აქცეპტი", რაც ნიშნავს იმას რომ ფული არის ის რასაც ყველა ენდობა, ყველასათვის მისაღება და სხვა ალტერნატიულ საშუალებათა შორის მას ანიჭებენ უპირატესობას, როგორც კანონმდებლობით განმტკიცებულ საცვლელ საშუალებას. ჩვენს მიერ საილუსტრაციოდ მოტანილი განმარტებებს შორის არსებული განსხვავებების მიზეზები, რა თქმა უნდა ამ არგუმენტებით არ ამოიწურება, მაგრამ ისინი საკმარისია საკითხის არსისი გასარკვევად.

#### 4. რაზე შეთანხმდნენ ეკონომისტები

როგორც ვხედავთ ფულის შესახებ დისკუსიის საფუძველს ქმნის არა მარტო ის, რომ მას სხვადასხვა ასპექტებიდან იკვლევენ და იგი ჩვენი ყოველდღიურობის მნიშვნელოვანი საგანია, არამედ:

1. ქვეყნის კულტურისა და განვითარების სხვადასხვა დონეებიდან გამომდინარე,

2. თვით განმარტებლის მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, ფულის შესახებ სხვადასხვა წარმოდგენები ყალიბდება, ასე, რომ ფულის შესახებ კამათს ობიექტური და საკმაოდ ძლიერი საუძველი აქვს, რომელიც არ შეწყდება მანამ, სანამ ადამიანის წინაშე იარსებებს მისი შროითი და შემოქმედებითი აქტიობის შედეგების, საბაზრო პრინციპებზე ორგანიზებულ საზოგადოებაში, მითვისების აუცილებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ფულის შესახებ კამათი გრძელდება და მას არასოდეს არ ექნება დასასრული, ეკონომისტებმა ცალკეულ საკითხებში მიაღწიეს შეთანხმებასაც, რადგან სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა მათ შორის სამეურნეო ხასიათის თანამშრომლობა. დღეისათვის, როდესაც მსოფლიო გლობალიზებულია და ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაცია და ურთიერთ ადაპტაცია კიდევ უფრო ღრმავდება, როდესაც არსებობს ერთიანი მსოფლიო მონეტარული (ფულადი) სისტემა, შეუძლებელია ეფექტური და ყოვლისმომცველი ეკონომიკური ურთიერთობების განხორციელება მსოფლო ბაზარზე, თუ მისი მთავარი

ატრიბუტი, ფული არ იქნებოდა გარკვეული შინაარსობლივად, მისი საზრისი არ იქნებოდა ყველასათვის მისაღები და გასაგები. ამ თვალსაზრისით ცოდნა, რომელიც ფულს უკავშირდება, უკვე აღარ არის ეროვნული ჩარჩოებით შეზღუდული და მისი ინტერპრეტაცია წარმოადგენს პრინციპულ საერთაშორისო შეთანხმებას სახელმწიფოთა შორის.

რაციონალური ფილოსოფიის სათავეებთან მდგარი ფილოსოფოსები გვასწავლიდნენ, „სახელი შეიძლება ეწოდოს ყოველივეს, რისი დათვლაც შეიძლება, ანუ რაც შეიძლება შეკრიბო და ჯამი მიიღო, ან რასაც შეიძლება რაიმე გამოაკლო და სხვაობა დაგრჩეს. რომაელები ფულად ანგარიშებს ეძახდნენ rationes, ხოლო ანგარიშთა ოპერაციებს ratiocinatio, ხოლო იმას, რასაც ჩვენ სასესხო ვაღებულებათა ხელწერილებში და საბუღალტო წიგნებში ვეძახით ანგარიშის სტატიებს, ისინი ეძახდნენ nomina, ე.ი. დასახელებას და აქედან სიტყვა, რაციო გაავრცელეს ყველს სხვა მოვლენისა და საგნის მიმართ.“<sup>35</sup> ამგვარად, როგორც ვხედავთ, რომაელთა მიერ განხორციელდა ფულის პირველი, ყველასათვის მისაღები განმარტება და იგი ეს განმარტება საფუძველად დაედო მსჯელობების ისეთ მიმართულებას, რომელთა განსჯის საგანთა რაოდენობრივი ინტერპრეტაციები ეჭვს არ იწვევდა. ასეთი მიდგომა საკითხების კვლევაში არ ეწინააღმდეგებოდა ძველ ბერძნულ ფილოსოფიას. მართალია ძველი ბერძნებისათვის, განსხვავებით გვიანდელი რომაელებისაგან, რომლებიც განასხვავებდნენ ალსანიშნს (ენისგარე ობიექტს) ალმნიშვნელისაგან (ენაში შემავალი სიტყვებისაგან), „ლოგოსი“ ერთდროულად ასახავდა საგნის, როგორც აზრობრივ, ასევე ენობრივ ნიშანს. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს მათ მიაჩნდათ, რომ შესაძლებელია არსებობდეს ენა საზრისის გარეშე. ალსანიშნსა (საგნისა) და ალმნიშვნელის (სიტყვის) შორის ასეთი დამოკიდებულება იმაზე მიუთითებდა, რომ არ შეიძლება არსებობდეს აზრი, რაიმე საგნისა და მოვლენის შესახებ, ენობრივი ფორმაში მისი გამოხატულების გარეშე. შესაბამისად, ხდებოდა შეთანხმება სიტყვის მნიშვნელობისა (მისი ენისგარე ობიექტის საზრისის) და თვითონ ამ სიტყვის იდენტურობის შესახებ. ამ თვალსაზრისით სიტყვა ფული და ის ენისგარე ობიექტი, რასაც

<sup>35</sup> Томас Гоббс, Левиафан, или материя, форма и власть государство церковного и гражданского., см., сочинение двух томах, том 2, М. "Мысль", 1991. с. 27.

ეს სიტყვა გამოხატავდა, ანტიკურ ეპოქაში, ყველასათვის გასაგები და მისაღები იყო.

შემდეგ, როდესაც გაჩნდა ქარალდის ფული, მისადმი ნდობის გამომხატველი, უკვე ადამიანის გრძნობითი ორგანოებით აღქმული, იგი როგორც გარკვეული დალდასმული საგანი კი აღარ არის, არამედ, უპირატესად იმ იურიდიული აქტის გამომხატველი ერთგვარი საბუთია, რის ძალითაც მისი გამომშვები ქვეყანა ხდება მის მიერ დაკისრებული ფუნქციების აღსრულებაზე პასუხისმგებელი. საქმე გვაქვს უკვე ახალ ქვეყანათა შორის შეთანხმებასთან, რომლის დაცვა სავალდებულოა მისი გამომშვები ქვეყნისათვის, თუკი იგი მონაწილეობას იღებს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, პასუხისმგებლურად ანხორციელებს საერთაშორისო მასშტაბით კაპიტალის მოძრაობას, მიუხედავად იმისა, თვითონ ქვეყნის შიგნით რა თეორიულ პლატფორმაზე დგას და როგორი ეფექტურობით ანხორციელებს ფულის მიმოქცევა კონტროლს საზოგადოება. დღეს, გამომდინარე ამგვარი საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული მიდგომებიდან, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ფული არის:

- აბსტრაქტული საანგარიშო საშუალება, ერთგვარი „მათემატიკური აპარატი“ რომელსაც იყენებენ ყოველგვარი საქმიანობის შედეგების შესაფასებლად;
- ფასების მასშტაბის დადგენის საშუალება, საერთოდ აღიარებული ღირებულების საზომია და უზრუნველყოფს ადამიანებს შორის დადებულ გარიგებათა სიზუსტეს;
- საქონლის მიმოქცევის უზრუნველყოფის და მომსახურების ანაზღაურების საშუალება.

გარდა ამისა, ფულს აქვს სამართლებრივი სტატუსი, მაგრამ მისი ნებისმიერი განმარტებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს მისი, არსებული ფორმით, სყოველთაოდ აღიარების იდეა;

- ნივთობრივ მატერიალურ ფორმით წარმოდგენილი ფული უნდა გამოირჩეოდეს სიმტკიცით, იოლი გადასადგილებელი უნდა იყოს, დაშლადი ნაწილებად და აუცილებლად საყოველთაოდ ცნობადი;
- საერთოდ საზოგადოებრივად აღიარებულ საანგარიშო სიდიდეს უნდა ჰქონდეს შესაბამისი აღნიშვნა;
- დღეისათვის აღარაა საჭირო, რომ ფულს ჰქონდეს საკუთარი ღირებულება;

იმის გამო რომ ბარტერი აღიარებულია, როგორც საზოგადოებრივი პროგრესის დამამუხრუჭებელი, ამიტომ ფულის საშუალებით შექმნილი სისტემა მიჩნეულია, როგორც მსყიდველობითი უნარიანობის მაგენერალიზებული და ხელს უწყობს როგორც გაცვლის პროცესს ასევე პროდუქციის სრულ რეალიზაციას.

ფული, როგორც ცნობადი და საყოველთაოდ გაცვლის საშუალებად აღიარებული ნივთი ხმარებაში იცვითება და იგი დროთა განმავლობაში უნდა შეიცვალოს. ფულის ცვლილებისას ნებისმიერი მდგრადი ფსეულობა (ოქრო და ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ქვები და ა.შ.) შესაძლებელია გახდეს ფულის ძველ და ახალი მასშტაბების დადგენის დამაკავშირებელი რგოლი, ან იგივე ფუნქცია შეიძლება იტვირთოს რომელიმე სხვა ქვეყნის ფულმა.

ფულად იგულისხმება ფულადი სესხებიც, ამიტომ არსებობს საკრედიტო ბაზარი, სადაც ფულს იღებდნენ და ფულის ფასს განსაზღვრავს პროცენტი, რომელსაც იხდი ამ ფულის სარგებლობის გამო და რომლის სიდიდეც დგინდება ფულის სესხად აღების მომენტში.

ფულთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებისას ბაზარზე ანსხვავებენ: რეალურ, ნომინალურ და ლეგალურ კაპიტალს.

- რეალურ კაპიტალს უწოდებენ ეკონომიკაში მოქმედ მთელი კაპიტალისა და მომსახურების ნატურალურ ერთობლიობას;
- ნომინალური კაპიტალი არის მიმდინარე ფასებში გამოხატული რეალური კაპიტალი;
- ლეგალური კაპიტალი კი არის ის, რასაც კომპანიები იხდიან ფიქსირებული პროცენტულ განაკვეთების და დივიდენდების დაფარვის მიზნით.

ფულისად მისი გამოყენების შესახებ მსჯელობისას, მისი სხვადასხვა მდგომარეობის ასახვის მიზნით გამოიყენება სხვადასხვა ტექნიკური ტერმინები. მოვიყვანო რამდენიმე მათგანს რომლებიც ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში:

1. კანონიერი საგადამხდელო საშუალება, ამ ტერმინის გამოყენებისას გულისხმობენ არა თვით ფულს, არამედ გადახდის კანონიერ ფორმას;
2. ფული-მიმოქცევის საშუალება ამ ტერმინით აღინიშნება, ბანკნოტები, მონეტები და ყველა დანარჩენი მატერიალური საცვლელი საშუალებები;

3. ნაღდი ფული ყველაფერი, რაც გადახდის დროს გამოიყენება. განსაკუთრებით ბანკნოტები და მონეტები;

4. სრულფასოვანი სასაქონლო ფული ოქროს მონეტები და ზოდები, აგრეთვე სხვა ძვირფასი ლითონები;

5. არასრულფასოვანი ფული ჩვეილებრივი, იაფი ლითონების შენადნობებით დამზადებული მონეტები;

6. სრულად უზრუნველყოფილი ქალაქის ფული ამ ტერმინს იყენებენ, როდესაც საუბარია ფულის ნიშნებზე, რომლებიც თავისუფლად იცვლება (იცვლებოდა) სრულფასოვან სასაქონლო ფულზე, დღეისათვის, კი აღნიშნავს ფულს, რომელიც სახელმწიფოს გარანტიით ტრიალებს ქვეყანაში, როგორც კანონიერი საცვლელი საშუალება;

7. საბანკო ფული, ცალკეული ბანკების მიერ გამოშვებული ბანკნოტები და საბანკო დეპოზიტები;

8. ფულის შემცვლელი. დეპოზიტები, საკრედიტო წერილები, სახაზინო ვალდებულებების ჩათვლით;

9. კრედიტი, უკანდაბრუნების პირობით გაცემული ფული;

10. ოვერდრაფტი, ფულის ის რაოდენობა რომელიც გაიცემა ანგარიშზე რიცხული თანხის ზევით.

ის რაზეც თანხმდებიან ეკონომისტები და რაც შემდეგ საფუძვლად ედებ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, მათ შორის ფულადი პოლიტიკის სფეროში, თვითოეული ქვეყნის მიერ დამოუკიდებლად ხორციელდება. ყველა ქვეყანა თვითონ სხვებისაგან დამოუკიდებლად შეისწავლის განვითარების საკუთარ ტენდენციებს და ქმნის ამ ტენდენციების შესაბამის სამეურნეო სისტემას.

როგორც ვხედავთ ეკონომისტებმა შექმნეს ფულის შესახებ მნიშვნელოვანი ცოდნა, რომელიც საშუალებს აძლევს დაინტერესებულ პირებს საფუძვლიანად გაეცნონ ამ რთულ პრობლემას. უფრო სწორად გაერკვნენ ფულით სარგებლობისა და მისი გამოყენების შესაძლებლობებში. წარმოდგენა შეიქმნა იმ სირთულეებზე, რომელიც გამოდინარეობს საბაზრო ეკონომიკის მრავალმხრიობა და მის მონაწილეთა ინტერესების ერთობლიობა. გარდა ამისა, საკითხთა გარკვეული წრე, რომელიც ფულს და მისი გამოყენების პრობლემებს უკავშირდება არა მარტო ეკონომისტების საკეთებელი საქმეა. არამედ ფულთან დაკავშირებული მთელი სამეურნეო მექანიზმი, რომ მოქმედებაში მოი-

ყვანო ამისათვის მრავალი პროფესიის ადამიანია საჭირო. გარდა ამისა არის იმის აუცილებლობაც, რომ ჩვეულებრივმა ადამიანებმა უფრო ღრმად გაეცნონ ეს მათი ყოველდღიურობის აუცილებელი ატრიბუტი. ამაში ყველა დარწმუნდება ვინც ყურადღებით გაეცნობა ზემოთ მოყვანილ ჩამონათვალს, რომლის ცალკეულ ასპექტებსაც გავაშუქებთ ამ ნაშრომის შემდეგ თავებში.

## 5. ბოლომდე უნდა ვიცოდეთ, თუ არა, რა არია ფული

თითქმის 200 წელია გასული მას შემდეგ, რაც ფულს აქტიურად იკვლევდნენ გარდა ეკონომისტებისა და პოეტებისა სხვა სპეციალობის ადამიანებიც. მართალია ფული და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა დაიწყო ადამიანთა ყოფის ცივილიზებული ორგანიზაციის წარმოშობასთან ერთად, იგი უცხო არ არის უძველესი რელიგიური დოქტრინებისათვის და ასევე, თალეს მიღებულ დანაშაულებული, ანტიკური ფილოსოფია გვაძლევს ფულის შესახებ მრავალი ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხის შესახებ მსჯელობის მაგალითებს, რაც დღესაც სახელმძღვანელო ნებისმიერი მკვლევარისათვის. ხოლო აღორძინების ხანაში ლუკა პაჩიოლიმ, კარდანომ, ნიკოლოზ კოპერნიკმა, თომას ჰობსმა, ჯონ ლოკმა, დავით ჰიუმმა და სხვებმა უშუალო წვლილი შეიტანეს ამ მრავალმხრივი პრობლემის კვლევაში. მაგრამ მეცნიერული შრომის დანაწილების შემდეგ, მას შემდეგ რაც ცალკე გამოყო ეკონომიკური მეცნიერება, ერთგვარად შეწყდა "სხვის საქმეში ჩარევები" და ფული გადაიქცა ეკონომისტთა კვლევის პრეროგატივად. ამიტომ როდესაც სხვა, ნებისმიერი მიმართულების, მეცნიერები ეხებიან მას ისინი ცდილობენ თავიანტი საგნიდან გამომდინარე გააშუქონ იგი. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ფული გახდა მათემატიკოსების, ეტოლოგების, ანთროპოლოგების, ფსიქოლოგების, იურისტების, სოციოლოგების, ისტორიკოსების, პოლიტოლოგების, ფილოლოგების, და სხვათა კვლევის საგანი. გაჩნდა ფულისა და მასთან დაკავშირებული საკითხების ინტერდისციპლინარული და კროსდისციპლინარული კვლევების აუცილებლობაც. შეიძლება ითქვას, რომ ფულის კვლევა დღეს თვისობრივად ახალ დონეზე ადის.

რა გვაქვს მხედველობაში, როდესაც ვამბობთ, რომ დღეისათვის ფულის შესწავლა



თვისობრივად ახალ დონეზე ადის? უპირველეს ყოვლისა ის, რომ გაჩნდა კროსდისციპლინარული შრომების შედეგები, რომლებიც ფულს განიხილავენ, როგორც ზოგადობას, ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში მოქმედ ფენომენს, რომელსაც აკისრია საზოგადოების დინამიზმის, მისი კულტურულ-ისტორიული განვითარების ამსახველი, ერთგვარი, მეტრული სისტემის მისია. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ბოლოსათვის ადამიანებს ვინც იცის ფულის გამოყენება (ფინანსისტები, ფისკალისტები, კომერსნტები და ა.შ.) და მათი საქმიანობა ფულის როგორც ეკონომიკური პროცესების მარგანიზებული მექანიზმის შესწავლას უკავშირდება, არ განიხილავენ მას კულტურის არეალში. კერძოდ კულტურის (კულტურების) შესწავლისას ფულის ბეჭდვის, ტრიალის, კონვერტაციის, დაგროვებისა და აღრიცხვა-ანგარიშების საკითხები არ მოიაზრება კულტურის საერთო შემადგენელ ელემენტად. ჩემი აზრით ეს მეტად დამაფიქრებელი და არასწორი დამოკიდებულებაა ადამიანთა თანაცხოვრების ამ მნიშვნელოვან და აუცილებელ ატრიბუტის მიმართ. სამართლიანად აღნიშნავდა მერაბ მამარდაშვილი, რომ "დეფინიციის თანახმად, კაცი რომელმაც იცის ფულის გამოყენება არ არის კულტურული, ის არ შედის კულტურაში! ყოფით მეტყველებაში კულტურის სახით ჩვენ გვესმის რაღაც უფრო მაღლი, დიდებული, ამაღლებული, სულიერი;... კულტურა არის ცოდნის ერთ ერთი სახე, არა მეცნიერული ცოდნა, არამედ შეუცნობლის (გამოუცნობის) პირისპირ დგომის ხელოვნება. ყველგან სადაც არის კულტურა, არის რაღაც შეუცნობელი და აუცილებელია, რომ ის დატოვო უცნობად. ფულის მაგალითი, ... არის კულტურული ინსტიტუციის მაგალითი. ... ფული არის სიმბოლური საგანი, რომელიც ინფორმაციას აზუსტებს, ადგენს კულტურის წარმოსახვით პროდუქტს, რომელსაც ქმნის არა ფიზიკური, არამედ კულტურული დროის ველს და არა ფიზიკური, არამედ კულტურული სივრცის ველს. არავინ არ იცის ფულის ბუნება, ფულის მოქმედების პირობაა მხოლოდ ის, რომ მისი ბოლომდე გაგება არ უნდა მოხდეს. სხვაგვარად არასოდეს გვექნება ფული."<sup>36</sup>

როგორც ვხედავთ მერაბ მამარდაშვილმა დასვა საკითხი ფულის შესახებ არა ჩვეული ყველასათვის ცნობილი ასპექტით, არამედ

<sup>36</sup> მ.მამარდაშვილი, ცნობიერების ტოპოლოგია, თბილისი, 2011.

პრინციპულად მოითხოვა არ განსაზღვროს მისი ადგილი ადამიანთა თანაცხოვრების კულტურულ არეალში. მას არ აინტერესებს ფული როგორც ღირებულების საზომი, ან მიმოქცევის საშუალება, არც მისი ლიკვიდურობის ხარისხს აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, იგი პირდაპირ "რქებში სწვდა ხარს" და მოითხოვა განხილული ყოფილიყო ეს ფონომენი, როგორც კულტურის სპეციფიკური გამოვლინება. როგორც საჭირო და ინტენსურად გამოყენებული აზროვნების ინსტრუმენტი, როგორც ყოფიერების კომპონენტი, მაგრამ არა ბოლომდე. რადგან ბოლომდე მისი შეცნობა შეუძლებელია და არც სასურველია. მისი აზრი გამარტივებულად ასე გამოითქმის: (1) ფული აუცილებელია, მის გარეშე შეუძლებელია ადამიანთა თანაარსებობა, იგი უნდა გქონდეს, რომ საზოგადოების ღირსეულ წევრად ირძნო თავი, (2) იგი უნდა შეისწავლო, გაიცნო, "მოიშინაურო", მაგრამ (3) მისი ბოლომდე გაგება არ უნდა მოხდეს, "რადგან მაშინ არ გექნება ფული". მართლაც ძალიან ძნელია გულდამშვიდებულმა იკითხო ლექცია და მაშინ როდესაც იცი, რომ წარმოებული სიმდიდრის საქონლური ფორმის გამო, იმის გამო, რომ წარმოებული პროდუქტი, რომ მოიხმარო ჯერ უნდა იყიდო და ფულის უქონლობის გამო, იქვე მახლობლად, შიმშილით დაუძღურებული ბავშვები დადიან. როდესაც იცი, რომ განვითარებულად წოდებულ ქვეყნებში იმდენი სურსათი გადაიყრება სანაგვეში ყოველდღიურად, რამდენიც საკმარისია სხვა ქვეყნებში მოშიმშილე ადამიანთა დასაპურებლად, ძნელია მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე იზრუნო.

დღეს უამრავი ავტორი იკვლევს ფულს ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ეზოტერული და ა.შ. ასპექტით. მათ ინტერესს წარმოადგენს ფული როგორც ყოფიერების მატარებელი განიხილავენ მას, როგორც ფენომენს, აინტერესებთ როგორ აღიქმება იგი გრძნობითი ორგანოების მიერ და განიხილავენ მას როგორც ადამიანების განვითარების ატრიბუტულ შემადგენელს, როგორც "ნივთს თავისთავად", რომელიც გვევლინება პროგრესის სტიმულირების უდიდეს ფაქტორად. ხშირდ მოვლენათა ზედაპირზე გვეჩვენება, რომ დიამეტრალურად სანინალმდეგო აზრებს ანვითარებენ ცალკეული ავტორები, მაგრამ მათი დაკვირვებული შესწავლის საფუძველზე ვხედავთ, რომ ეს მხოლოდ ერთი და იგივე საგნისადმი, სხვადასხვა დისტანციიდან წარმოქმნილი ხედვების შედეგად გაჩენილი განსხვავებებია. თუ, მაგალითად

მილტონ ფრიდმენის,<sup>37</sup> ფულის რაოდენობრივი თეორიის ამ უდავო ავტორიტეტის ნაშრომი "ფული რომ ალაპარაკდეს" სწორედ ფულის შემეცნების სირთულეებს ეძღვნება და იგი მიიჩნევს, რომ დადგა დრო, ვისწავლოთ მისი ენა და და ფულის შესახებ ბევრად მეტი გვეცოდინება ვიდრე დღეს ვიცით. "ფული ლაპარაკობს" ავტორიტეტულად აცხადებს ჰერბერტ მაკლუხენი, ფილოსოფოსი საზოგადოებასთან კავშირის თანამედროვე ტექნოლოგიების სპეციალისტი. ლიტერატურასა და ფულს შორის, ისე როგორც ენასა და ფულს შორის არსებობს ნათესაური კავშირი, ამტკიცებს იგი, "ფული არის მეტაფორა, იგი თარგმანია, იგი ხიდია. სიტყვებსა და ენის მსგავსად ფული არის ნივთების, შესაძლებლობებისა და გამოცდილების საკუჭნაო. ჩვენს დღეებში ფული არის ფერმერის საქმიანობის პარიკმახერის საქმიანობაში გადასვლის საშუალება. ასევე თანაზომადს და ურთიერთ შესადარს ხდის იგი ინჟინრის, ექიმის და სანტექნიკოსის საქმიანობას. იგი ფართო სოციალური მეტაფორაა, რომელიც გაცვლის საშუალებაა და ამყარებს კავშირებს ნებისმიერ საზოგადოებაში."<sup>38</sup> როგორც ვხედავთ მაკლუხენის მიერ "მოსმენილი" ფულის საუბარი კარგად ესმის ფრიდმენსაც, მაგრამ იგი მას არ მიაჩნია, რომ ეს საკმარისი არაა, ვალდებულები ვართ უფრო საფუძვლიანად ავითვისოთ ის "ხმაური", რომელიც ფულის გამოყენებას მოსდევს თან. ფრიდმენი ფულის ენას სხვა სტანდარტებს უყენებს. მართლაც, ფული გამოსცემს ერთგვარ ხმაურს, რომელსაც საზოგადოება თუ არ ჩაახშობს ერთგვარი კულტურული ყესტით, რომელსაც დღეს იყენებს და ქმნის საზოგადოებრივ აზრს მის შესახებ, ბევრ რამეს გვეტყვის და გავაგებინებს. მართლაც, "ფული... რატომ გვეზიზღება ეს ჩვენი ერთგული მსახური? განა სესხი, სარგებელი, ღირებულება, გაცვლა, ფული" არ ქმნიან ჩვენი დღევანდელი ეროვნული მისტიკურ ლექსიკონს?" მოყავს პოლ კლოდელის ეს სიტყვები ირინა ესკოვიჩს, რომელიც მერაბ მამარდაშვი-

ლის კვალზე ცდილობს დაადგინოს, თუ რატომ აღმოჩნდება ხოლმე ფული კულტურის ერთგვარ მენტალურ ეპიცენტრში და ემსახურება პროცესებს, რომელთა საზრისიც შორსაა თავისი შინაარსით, ცნება "ეკონომიკურისაგან".<sup>39</sup>

როგორც ვხედავთ მაკლუხენი, მილტონ ფრიდმენი და მათ კვალზე ესკოვიჩი, რომელსაც საფუძვლიანი ეკონომიკური განათლება აქვს, ცდილობენ სხვა ასპექტით წარმოაჩინონ ფულის უნივერსალური საზოგადოებრივი მნიშვნელობა. თუ არსებობს ისეთი აზრი, რომელიც გვეუბნება "ფულის ცოდნა საჭირო არ არის, რადგან მაშინ არასოდეს გვექნება ფული", ამ ფენომენს წარმოგვიდგენს რალაც აუცილებელი, ადამიანებისათვის უაღრესად საჭირო ნივთის სახით, რომლის გამოც და რომლის მიერ გაშუალებული ურთიერთობაში გარდაუვლად იღებენ მტრულ, დაუნდობელი და ამორალურ ფორმებს, რომელთა ძალითაც "ხარბი ობივატელი" ივინყებს ზნეობის ელემენტარულ ნორმებს და ხდება ფულის, მისი დიდი რაოდენობის განმკარგავი და საკუთარი ქონების ძალით საზოგადოების განვითარების მიმართულებათა განმსაზღვრელიც.<sup>40</sup> ამიტომ საჭიროა, რომ იგი განერიდოს რეალობას, არ დაინახოს საკუთარი თავი სარკეში, თორემ ვერასოდეს ექნება ფული. და რადგან ჩვენ ყველანი რალაც ზომით ეს ხარბი ობივატელები ვართ, არასოდეს ვამბობთ უარს ფულზე და ჩვენი საქმიანობაც, ჩვენი საზოგადოებრივი მნიშვნელობის, ჩვენი უნივერსალური წარმოდგენის დაცვის მიზნით არ გვესაჭიროება ბოლომდე შევიცნოთ იგი. ზემოთ დასახელებული ავტორები კი ცდილობენ აგვიხსნან, რომ ფულის ბოლომდე შეცნობა საშიში არაა, პირიქით, თუ ყურს დავუგდებთ მას, ბევრი რამ უკეთესად გვეცოდინება და მზად ვიქნებით თვალეში შევხედოთ რეალობას, უკეთესად გავარკვიოთ საკუთარი ადგილი და როლი საზოგადოებაში.

ფულის შესწავლისადმი ასეთი, ჩვენს მიერ განხილული მიდგომის აქტუალობა კულტურის ისტორიისა და საერთოდ საზოგადოებრივ განვითარებაში კულტურის ადგილისა და მნიშვნელობის გააზრებისათვის ცხადია, მაგრამ მიმაჩნია, რომ იგი განსაკუთრებით საყურადღებო უნდა იყოს მათთვის ვინც გადანყვიტა, რომ პროფესიონალურად უნდა ისწავლოს ფუ-

<sup>37</sup> იხ. მილტონ ფრიდმენ, *Если бы деньги заговорили*. М. 2005

<sup>38</sup> იხ. Маршалль Мак Лухан *Деньги говорят* М 2011 ზოგიერთ ლიტერატურულ წყაროებში, მათ შორის საცნობარო გამოცემებში, ჰერბერტ მარშალ მაკლუხენი მოიხსენიება, როგორც მარშალ მაკლუხენი. მისი სახელისა და გვარის ასეთ მეტამორფოზას ალბათ რაიმე საფუძველი აქვს, რომელიც ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობია.

<sup>39</sup> Ириева Есевич, *Метафизика денег*. М. 2013

<sup>40</sup> იხ. ფონ ჰაიეკ. ის, დამლუპველი თავდაჯერებულობა. გვ. 34

ლი, გახდეს ფულისა და მისი მრავალგვარი გამოვლინებების სპეციალისტი. ფულის სპეციალისტს (ვისაც ასეთად მიიჩნევს თავს) უნდა ესმოდეს, რომ მისი ცოდნა ყოველთვის მოითხოვს სრულყოფას, ის რაც მან იცის შეიძლება ასახავდეს ამ კატეგორიის შესახებ არსებულ ცოდნას, რაც ეკონომისტებს დაუგროვებიათ და რაც მან საკუთარი გამოცდილებით შეამონმა, მაგრამ მას უნდა ახსოვდეს — რომ ცხოვრების მრავალფეროვნება უამრავ ახალ და საინტერესო მოვლენებს გვთავაზობს, რომელშიაც გარკვევა მისი, როგორც საზოგადოების კულტურულ არეალში მოქმედი ადამიანის ვალდებულებაა. მკაფიოდ უნდა გაცნობიერდეს, რომ რამდენი წიგნიც არ უნდა წავიკითხოთ, როგორი დიდი საქმეებიც არ უნდა ვაკეთოთ ფულის გამოყენების სფეროში, ჩვენი ცოდნა არ იქნება, რაღაც საბოლოო, რაციონალური ცოდნა, რომელიც ჩვენი საქმიანობის მიმართულებებს წინასწარ განსაზღვრავს. ჩვენს მიერ მიღებული ცოდნა წარმოადგენს იმ აუცილებელ ინტელექტუალურ ბაზისს, რომელზედაც უნდა დავაშენოთ ჩვენი შემოქმედებითი აქტივობა. ჩვენ უნდა შევძლოთ ჩვენთვის ბოლომდე შეუცნობლის, უცნობის წინაშე თავისუფლად დგომა და საქმიანობა. ხოლო როგორ შეფასებას მისცემენ ჩვენს საქმიანობას გარეშემომყოფნი ეს საზოგადოების განვითარების გამომხატველია და არა ფულის გამოყენების სპეციალისტების საქმიანობის უშუალო შედეგებისა. არის შემთხვევები როდესაც ფულის გამოყენების სპეციალისტებს გაუსწრიათ ხოლმე საზოგადოებრივი აზრისათვის და მათი საქმიანობა სათანადოდ ვერ შეფასებულა. ამის მაგალითად მიმაჩნია 2005 წლის ფინანსური კრიზისის დროს ისრაელის ცენტრალური ბანკის აღმასრულებელი დირექტორის სტენლი ფიშერის<sup>41</sup> საქმიანობა. მან კრიზისის დროს შეკვლასა და აშს დოლარს შორის ისეთი დინამიური თანაფარდობა „დაიჭირა“, რომ სწრაფად იქცა საზოგა-

დობის კრიტიკის ობიექტად. მაგრამ საკითხებზე ღრმად დაფიქრებული ხალხი მალვე გამოერკვა და მისი საქმიანობა შეადარა აეროპორტის დაცვას: მართალია არ მოგვწონს, მაგრამ უნდა შევეგუოთ, რადგან ასეთი ძალისხმევა ჩვენი კეთილდროების სანინდარიოა, ამბობდნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი შედეგი აღმოჩნდა. სტენლი ფიშერისა და მისი მეგობრების ძალისხმევით საბოლოოდ მომზადდა დიდი ფულადი რეფორმა იზრაელში და „შეკელი“ შეცვალა „ახალმა შეკელმა“, რომელიც თავის საერთაშორისო ავტორიტეტით გაუთანასწორდა ისეთ ფულად ერთეულებს როგორცაა შვეიცარული ფრანკი, ავსტრალიური დოლარი და ინგლისური ფუნტი.

ამგვარად ვხედავთ რომ ფულის შესწავლისას, რა სიტუაციაშიც და ვის მიერაც არ უნდა ხდებოდეს ეს პროცესი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვით შემსწავლელის პიროვნებას, მის სურვილებს, რომლებიც იმ ამოცანებიდან გამომდინარეობს რის გამოც შეისწავლება ფული. ამასთან, ყური დაუგდო იმ „ენას, თუ ხმაურს“ რომელსაც ფული გამოსცემს და შმდეგ გამოთქვა ან ტექსტად აქციო დამოკიდებული იმ ადამიანზე რომელიც ანხორციელებს ამას. ექსპერიმენტატორის მონაწილეობა ექსპერიმენტში, ქვანტური მექანიკის ის უდიდესი აღმოჩენა, რომელიც მეოცე საუკუნეში განხორციელდა, თურმე ფულის და მისი გამოყენების შემსწავლელ მეცნიერებებში რამდენიმე საუკუნით უფრო ადრე იყო თვალსაჩინო.

ამ საკითხზე, თუ როგორ ესმის საზოგადოებას ფულის გამოყენებაზე სპეციალიზებული ადამიანების საქმიანობის შინაარსი იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ ჩვენს ყოველდღიურობაში, ფული ფართოდ გამოიყენება ყველას მიერ და ყველას აქვს უფლება იგი თავისად საყვარელ ან საძულველ მოვლენად წარმოიდგინოს. სწორედ მისი ამგვარობა წარმოქმნის მისადმი ასეთ დიდ ინტერესს, რომელიც ადამიანთა ურთიერთობებში აისახება.

<sup>41</sup> სტენლი ფიშერი, ცნობილი მაკროეკონომისტი, მისი (შმლენზისა და დორბუშთან თანაავტორობით) დაწერილი სახელმძღვანელო, "ეკონომიკისი" თარგმნილია ქართულ ენაზე. იგი საერთაშორისო მონეტარული ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პოსტზე მუშაობის დროს პირადად კურირებდა საქართველოში მიმდინარე მონეტარულ რეფორმებს. იმყოფებოდა საქართველოში და უშუალოდ მონაწილეობდა ფინანსური საკითხების განხილვაში. ამჟამად ბატონი სტენლი აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის პერზიდენტის, ქალბატონ ჯანეტ იელლენის მრჩეველია.

# სექცია I. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები

## SECTION I. The Main Directions of the National Economy Development

### თანამედროვე განათლების მიღების აუცილებლობა და მსოფლიო კრიზისი

გურამ ჯოლია — სტუ-ს პროფესორი

#### The importance of modern education and world crisis

Guram Jolia, professor at GTU

#### Summary

Civilized world is on new stage of its development, on the second stage of postindustrial society – on the stage of knowledge creation and development that sets different requirements for every individual and entire society. Today modern education and its continuous updating takes on the agenda as an universal necessity. Information technologies are actively developed and distributed that simplifies the accessibility of receiving new knowledge and even accelerates it.

In such a situation the crisis has been observed in the world education system that in influenced negatively. There are basically two reasons for this: 1. The education system is inert for its nature; 2. There is less attention and care for it.

To balance this inconsistency, it is essential to carry out key activities on a timely manner, namely, modernization of education system and reinforcement of attention.

**Keywords:** civilization, culture, adequate, hyper competition, technological, innovation, individualization, informational technologies, degradation, dehumanization, relevant, paradigm, snobbism.

#### რეზიუმე

განვითარებული სამყარო თავისი განვითარების ახალ ეტაპზე, პოსინდუსტრიული საზოგადოების მეორე საფეხურზე — ცოდნის საზოგადოების შექმნისა და განვითარების სტადიაზე — გადადის, რომელიც ყოველი ინდივიდისა და მთლიანად საზოგადოების წინაშე თვისებრივად განსხვავებულ მოთხოვნებს აყენებს. დღის წესრიგში დგება თანამედროვე ცოდნის მიღებისა და მისი უწყვეტი განახლების საყო-

ველთაო აუცილებლობა. აქტიურად ვითარდება და ვრცელდება ინფორმაციული ტექნოლოგიები, რაც ახალი ცოდნის მიღების ხელმისაწვდომობას აიოლებს და აჩქარებს კიდევ.

ასეთ ვითარებაში მსოფლიო განათლების სისტემაში კრიზისი შეინიშნება, რაც ნეგატიურ ტენდენციებში ვლინდება. აღნიშნული, ძირითადად ორი მიზეზითაა გამოწვეული: 1. განათლების სისტემა თავისი ბუნებით ინერტულია; 2. მისდამი ყურადღება და მზრუნველობა ნაკლებია. ამ შეუსაბამობის დასაბალანსებლად აუცილებელია მნიშვნელოვანი ღონისძიებების დროული გატარება, კერძოდ, საგანმანათლებლო სისტემის საფუძვლიანი მოდერნიზაცია და მისდამი ყურადღების გაძლიერება.

**საკვანძო სიტყვები:** ცივილიზაცია, კულტურა, ადეკვატური, ჰიპერკონკურენცია, ტექნოლოგიური, ინოვაციური, ინდივიდუალიზაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიები, დეგრადაცია, დეჰუმანიზაცია, რელევანტური, პარადიგმა, სნობიზმი.

კაცობრიობის ცივილიზაცია ადამიანთა განათლების შედეგად მიღებული ცოდნის (კულტურის) მიერ შექმნილი სამყაროა. თავის მხრივ, განათლება ცოდნის სახით განივთებულია ადამიანებში და მათ მიერ შექმნილ შექმნილ ნივთებსა და სულიერ ღირებულებებში.

რატომ ისწრაფვის ადამიანი განათლების (ცოდნის) მისაღებად?

იმიტომ, რომ სურს შეიცნოს ის სამყარო, რომელშიც ცხოვრობს და მასში ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს, სასიცოცხლოდ აუცილებელი სულიერი და მატერიალური მოთხოვნები დააკმაყოფილოს, სხვებთან ურთიერთობაში საიმედოდ და კომფორტულად იგრძ-

ნოს თავი. განათლება (ცოდნა) აუცილებელია თანამედროვე ადამიანისთვის, მით უმეტეს შემოქმედისთვის.

განათლებით ადამიანი იღებს ცოდნას, რომელიც არის საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკით შემოწმებული და ლოგიკურად დადასტურებული სინამდვილის ჭეშმარიტი, ადეკვატური ასახვა ადამიანის ცნობიერებაში წარმოდგენების, ცნებების, მსჯელობებისა და თეორიების სახით. [1; 240]

სამყაროში არსებული ცოდნა უსასრულოა. მის შეცნობას ადამიანის სიცოცხლე არ ყოფნის. ამიტომ „უნდა ვისწავლოთ მხოლოდ აუცილებელი და არა ყველაფერი, რაც გზად შეგვხვდება“. — რომაელი ფილოსოფოსი ლუციუს ანეუს სენეკა.

აღნიშნულით, ინდივიდების დონეზე განათლების (ცოდნის) მიღება და გამოყენება ნათელია, მაგრამ ქვეყნის მასშტაბით რატომაა აუცილებელი განათლების სფეროსადმი ყურადღების მიქცევა?

თანამედროვე გლობალურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში, სადაც საქმიანობის ყველა სფეროში ჰიპერკონკურენცია მძვინვარებს, ქვეყნის განვითარების სამი მოდელი ჩამოყალიბდა:

1. **სანედლეული**, რომელიც დამახასიათებელია იმ ქვეყნისთვის, რომელიც ბუნებრივი რესურსების დიდი რაოდენობის მარაგებს ფლობს და აუცილებელი მეცნიერებატევადი სამრეწველო პროდუქციის იმპორტს ახორციელებს;
2. **ტექნოლოგიური**, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების იმპორტირებით მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოებას უზრუნველყოფს;
3. **ინოვაციური**, რომელიც ორიენტირებულია ფუნდამენტური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ბაზაზე საკუთარი მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების შექმნითა და სამეურნეო ბრუნვაში დანერვით. [2]

განვითარებისათვის სწორედ ეს უკანასკნელი მოდელია ყველაზე პროგრესული და გადამრჩენი მომავალში.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში, როცა ადამიანს განათლების (ცოდნის) მისაღებად გაცილებით მეტი შესაძლებლობა მიეცა, მსოფლიო მასშტაბით განათლების კრიზისი შეიმჩნევა, რაც შემდეგ ნეგატიურ ტენდენციებში ვლინდება:

- ნერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა მატულობს;

- განათლების ხარისხი კლებულობს;
- განათლებასა და კულტურას, განათლებასა და მეცნიერებას შორის სხვაობა დიდდება;
- განათლების პროცესიდან თანდათან მოსწავლის (სტუდენტის) განრიდება ხდება.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-ან წლებში საუბრობდნენ განათლების მსოფლიო კრიზისზე. კრიზისი იმაში გამოიხატება, რომ განათლების სისტემა ძალიან ნელა ეგუება იმ სწრაფ ცვლილებებს, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგებში, განსაკუთრებით მეცნიერებაში, ტექნიკაში, ტექნოლოგიებში, ეკონომიკასა და პოლიტიკაში, საერთოდ ახალ სოციალურ რეალობებში ხდება. განათლება საზოგადოებისაგან სულ უფრო მეტ დანახარჯებს მოითხოვს. ამასთან, ეს დანახარჯები თვითმდიდარ და წარმატებულ ქვეყნებშიც კი სრულად არ ანაზღაურდება.

განათლების სფეროს ცნობილი ფრანგი მკვლევარი **ფილიპ კუმბსი (1922-1996)** განათლების მსოფლიო კრიზისის გამომწვევ ოთხ სპეციფიკურ მიზეზს ასახელებს:

1. განათლებისადმი ხალხთა მასების მიმზიდველობის ზრდას არსებული საგანმანათლებლო ქსელი ვერ აკმაყოფილებს;
2. ფინანსური საშუალებების უკმარისობის გამო, განათლების სისტემა ახალ მოთხოვნებს სრულად ვერ პასუხობს;
3. განათლების სისტემისთვის დამახასიათებელი ინერტულობის გამო, მისი შინაგანი ნყოფა, ძალიან ნელა იცვლება;
4. საზოგადოების ინერტულობა, რასაც დადგენილი ტრადიციები და რელიგიური ჩვეულებები განაპირობებს. [3]

კუმბსის აზრით, აუცილებელია განათლების სისტემის მოდერნიზაცია (პედაგოგიური კადრებისა და სწავლების პროცესის სრულყოფა, ფინანსური მდგომარეობის განმტკიცება). იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ცვლილებებისადმი დამოკიდებულებას და თვლიდა, რომ „მეცნიერებებში ნობელის პრემიები ენიჭებათ ძველი, ფესვგადგმული წარმოდგენების უარყოფაში და ახალი ჭეშმარიტების აღმოჩენაში. ძველისადმი ნობელიანტებისთვის დამახასიათებელი ამგვარი დამოკიდებულება და სიახლისადმი სითამამე, ნორმა უნდა გახდეს განათლებაში“.

ინფორმაციულმა რევოლუციამ განათლების სისტემის წინაშე არა მარტო ახალი ამოცანები დააყენა, არამედ რიგი ცვლილებებიც

შეიტანა, რომელთა შორის შედარებით მნიშვნელოვანია:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების გამო, **არაფორმალური განათლების იდეა ინერგება**. ტრადიციული დახურული საგანმანათლებლო გარემო გამჭვირვალე გარემოთი იცვლება, რომელიც ცოდნის ქსელისგან შედგება;

- **შეინიშნება განათლების ინდივიდუალიზაცია**, რის გამოც ყურადსაღებია კონკრეტული ადამიანის შესაძლებლობები. თუ ტრადიციული საგანმანათლებლო სისტემა კოლექტიურ სწავლებას ეფუძნებოდა, ახალი სისტემა საგანმანათლებლო პროცესის ელემენტების არჩევას გვთავაზობს;

- **თვითგანათლება თანდათან განათლების ნამყვან ფორმად ყალიბდება**. თუ ტრადიციული საგანმანათლებლო სისტემა მასწავლებლის (ლექტორის) მიერ მოსწავლის (სტუდენტის) ცალმხრივ სწავლებას ეფუძნებოდა, ახალი სისტემით მასწავლებელი (ლექტორი) მრჩეველი ან კონსულტანტია;

- **ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები ახალი ცოდნის შემქმნელ განათლებას მოითხოვს**, რაც, სავარაუდოდ, განათლების რელევანტურობას და ხარისხის პრობლემას ძირეულად გადაწყვეტს. თუ ინდუსტრიულ საზოგადოებაში განათლება ორიენტირებული იყო ინფორმაციებით სტუდენტის გონების დატვირთვაზე, ცოდნის საზოგადოებაში მას შემოქმედებითი მიდგომები ცვლის;

- **მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების სისტემის ფორმირება**. განათლების ტრადიციული სისტემა ორიენტირებული იყო ახალგაზრდობის წლებში ადამიანის სწავლებაზე, რომელსაც იგი სიცოცხლის განმავლობაში იყენებდა. ახალი სისტემა სიცოცხლის განმავლობაში სწავლას გვთავაზობს. ცოდნის საზოგადოებაში მეტ ყურადღებას მონიჭულთა და ასაკოვანთა განათლება მოითხოვს, რადგან აუცილებელია ამ კატეგორიის ადამიანებისთვის სოციუმში მიმდინარე ცვლილებებისადმი ადაპტაცია. [4; 25-27]

იაპონელი სოციოლოგის **ენძი მასუდას** აზრით, ცოდნის საზოგადოება აუცილობლად იწვევს განათლების სისტემის შინაარსობრივ ცვლილებას. ნიშნავს თუ არა ეს, რომ განათლების კრიზისი ბუნებრივად მოგვარდება? რა თქმა უნდა, არა.

უპირველესად აუცილებელია გავითავისოთ, რომ კრიზისშია არა მარტო განათლების მსოფლიო სისტემა, არამედ თვით ცოდნისა და გამოცდილების გადაცემის პარადიგმა. [5]

**განათლების კრიზისის გამომწვევი მიზეზებია:** [6]

1. ცოდნის უსწრაფესი განახლება მისი მოცულობის მკვეთრი ზრდის პირობებში, რაც ცოდნის საზოგადოების გარდაუვალი მოვლენაა. განათლებისა და სოციალური პოლიტიკის ექსპერტების აზრით, საინჟინრო ცოდნა სწრაფად ძველდება. [7; 24]

ამავე შეხედულებისაა **XX** საუკუნის მენეჯმენტის თეორეტიკოსი, „მენეჯმენტის მამად“ ნოდებულის ამერიკელი მეცნიერი პიტერ დრუკერი (1909-2005), რომელიც თვლის, რომ „ცოდნა ყოველ 10 წუთში ძველდება“ [8]. ამგვარად, ცოდნის საზოგადოების პირობებში თეზისი — „განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ — საგანმანათლებლო პრაქტიკაში სულ უფრო მეტად მკვიდრდება და აუცილებელი ხდება;

2. **ინფორმაციული „კვლავნარმოება“ ზრდადი აზრობრივი დეგრადაციის პირობებში**. აშშ-ის ექს-ვიცე პრეზიდენტი, ნობელიანტი მშვიდობის დარგში (2007) **ალბერტ გორი** თვლის, რომ „ჩვენ განათლების კრიზისი გვაქვს ჭარბი ინფორმაციის პირობებში, და ეს არ არის უბრალო დამთხვევა. აღმოჩნდით რა უმეცრების წინაშე, კიდევ უფრო მეტ ინფორმაციას ვანარმოებთ და არ გვსურს გავიგოთ, რომ მართალია მას აქვს ძველი ცოდნის ღირებულება, მაგრამ სიბრძნის შეცვლა არ შეუძლია“; [9]

3. **არსებული რეალიებისადმი განათლების შინაარსის შეუსაბამობა**. რეგულარულად გამოყენებადი ტექნოლოგიური ნაკადი დროის მოთხოვნებზე ადეკვატურად ვეღარ რეაგირებს. სამყარო გაცილებით სწრაფი ტემპებით იცვლება, ვიდრე განათლება შინაარსობრივად ახლდება;

4. **დეჰუმანიზაციის ფონზე ტექნოკრატიული სნობიზმის გაძლიერება, ფასეულობების, მსოფლმხედველობითი და ზნეობრივი ორიენტირების აღრევა**. დღევანდელი მრავალი პრობლემის ბაზისი არა ტექნიკური, არამედ ჰუმანიტარულია. თანამედროვე სპეციალისტის მომზადებაში ჰუმანიტარული ასპექტების უყურადღებობად მათი „ზნეობრივ-ეთიკური დეგრადაცია“ განაპირობა.

ჰუმანიტარული „აცრის“ გარეშე, საზოგადოების ტექნოგენური ინტენსიური განვითარება უცილობლად გამოიწვევს დეჰუმანიზაციას, აზროვნების ტექნოკრატიას, ფასეულობებისა და ზნეობრივი ორიენტირების აღრევას. ბოლო ათწლეულებმა აჩვენა, რომ „თანამედროვე ცივილიზაციის კრიზისი თვით ადამიანის

კრიზისია, მისი წარმოდგენებისა და ფასეულობების კრიზისია“. [10]

თანამედროვე სპეციალისტზე თავსმოხვეული ზღვა ინფორმაცია ცოდნის განახლებას გამუდმებით მოითხოვს, ტექნიკის სფეროში ახალი აღმოჩენებისა და სახეების გამოჩენა, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ სფეროებს შორის მეცნიერული ცოდნის მეთოდოლოგიური სიცარიელე და სხვ., ინვესტორები ტექნიკური საწყისების გაფეტიშებას და ჰუმანიტარული იგნორირებას. აღნიშნული კი, კულტურასა და ცივილიზაციას შორის წინააღმდეგობას აძლიერებს, რაც განათლების კრიზისის სერიოზული წყარო ხდება. ზნეობრივი განვითარების გარეშე, კულტურის უკმარისობის პირობებში, მეცნიერება შეუძლებელია სოციალური პროგრესის ფაქტორი იყოს, ამიტომ საზოგადოებაზე ყოველგვარი ცივილიზაციის გავლენა უნდა უცილობლად ემთხვეოდეს კულტურის „კომპენსაციურ ნვლილს“. როგორც პოსტინდუსტრიული საზოგადოების კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი, ამერიკელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი, **ელვინ ტოფლერი** (დ. 1928) მიიჩნევს, „ჩვენ იმ პერიოდში ვართ, როცა კულტურას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ოდესმე. კულტურა არ არის რაღაც გაქვავებული ქარვა, ესაა, რასაც ჩვენ ყოველდღიურად ვქმნით“. [11]

21 უნივერსიტეტის საერთაშორისო ქსელმა, ქ. მელბურნის გამოყენებითი ეკონომიკისა და სოციალური კვლევების ინსტიტუტის მეთოდის მიხედვით, შეინაწავლა უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის დონე მსოფლიოს 50 ქვეყანაში და 2015 წლის რეიტინგული შკალა წარმოადგინა. რეიტინგი შეფასდა 24 ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, რომლებიც გაერთიანებულია 4 ჯგუფში:

1. **რესურსები** (კერძო და სახელმწიფო სექტორების ინვესტიციები) — 25%;
2. **შედეგები** (სამეცნიერო კვლევები და პუბლიკაციები, კურსდამთავრებულთა დასაქმება და სხვ.) — 40%;
3. **კავშირები** (საერთაშორისო თანამშრომლობის დონე) — 10%;
4. **გარემოცვა** (სახელმწიფო პოლიტიკა და რეგულირება, განათლების მიღების შესაძლებლობა) — 25%.

რეიტინგის პირველ ხუთეულში შევიდა: აშშ, შვეიცარია, დანია, ფინეთი და შვედეთი. საქარ-

თველო მსოფლიოს 50 ქვეყნის სიაში არ ფიქსირდება. [12]

## დასკვნა

ზემოაღნიშნული უარყოფითი ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა მნიშვნელოვანი ღონისძიებების დროულად გატარება, რომელთა შორის მთავარია:

1. სახელმწიფოს მიერ განათლების სისტემისადმი ყურადღებისა და მზუნველობის გაძლიერება, რაც გამოიხატება საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაში, დაფინანსების გადიდებასა და, კერძო სექტორთან ერთად, კოორდინაციული მუშაობის გატარებაში;

2. კლასიკური (ინფორმაციული) საგანმანათლებლო პარადიგმის სისტემურ-საქმიანობითი პარადიგმით შეცვლა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბ., 1987, ტ.11.
2. Дроговоз П.А., Кашеварова Н.А. Анализ зарубежных моделей и механизмов управления интеллектуальной собственностью и их адаптация. М.: МГТУ, 2013. Выпуск № 3. <http://engjournal.ru/catalog/indust/hidden/645.html>
3. Кумбс Ф. Кризис образования в современном мире: системный анализ: Пер. с англ. М.: Прогресс, 1970. 293 с.
4. Молчанова О.П. Социально-экономические проблемы управления образованием в современном мире. Ч.1. М., 1996.
5. Masuda Y. The Information Society as Postindustrial Society. Washington: World Future Soc., 1983. 171 p.
6. Самойлов Л. П. Инженерное образование в современных условиях: проблемы и перспективы. <http://www.volpi.ru/files/publications/pdf>
7. Глобализация и конвергенция образования: технологический аспект. М.: «Маркет ДС Корпорейшн», 2004.
8. Друкер, П. Ф. Практика менеджмента: Пер. с англ. М.: Вильямс, 2000. 398 с.
9. Гор А. Земля на чаше весов. В поисках новой общей цели // Новая постиндустриальная волна на Западе. М.: Academia, 1999. С. 568.
10. Крутликowa Г. Г. Проблема человека в философии Иммануила Канта и фило-софско-педагогических концепциях русских мыслителей второй половины XIX – первой трети XX века: автореф. дис. к. филос. н. Екатеринбург, 2003. С. 3.
11. Тоффлер О. Третья волна//Новая технократическая волна на Западе. М.: Прогресс, 1986. С. 228.
12. <http://gtmarket.ru/news/2015/06/17/7207>

# ბიზნეს პროცესთა ინჟინერინგის სტრუქტურის ISO26000-ის რეკომენდაციებთან ადაპტაციის მიმართულება

ირინა გოგორიშვილი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

## რეზიუმე

ბიზნეს-ინჟინერინგის საკითხები მუდმივი კვლევისა და ნოვაციების სფეროს წარმოადგენს. ISO26000 და IC CSR-08260008000-ის სტანდარტი არის ბიზნესინჟინერინგისა და სოციალური პასუხისმგებლობის საპროგრამო დოკუმენტი.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნეს პროცესთა ინჟინერინგის მნიშვნელოვანი შემადგენელია. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში მრავალი მეცნიერი და პრაქტიკოსი მუშაობს აღნიშნულ თემებზე კონსენსუსი მიღწეული არ არის. მთელ რიგ მეცნიერთა აზრი დღემდე გაყოფილია ბიზნესისათვის სოციალური პასუხისმგებლობის პოზიტიური მნიშვნელობის აღიარებასა და მეორეს მხრივ მის მიმართ როგორც იძულებითი, დამზარელებელი ვალდებულებების მიკუთვნებას შორის. ბიზნეს-ინჟინერინგის სტრუქტურული განფენილობის სქემის შემუშავების საფუძველზე შესაძლებელია სავარაუდოდ განვსაზღვროთ სოციალური პასუხისმგებლობის ელემენტების ჩართვა კომპანიის ბიზნესინჟინერინგის განხორციელებაზე ზემოქმედ ეგზოგენურსა და ენდოგენურ ფაქტორებში.

ნაშრომში მოცემულ ბიზნეს-ინჟინერინგის სქემაში სოციალური პასუხისმგებლობის ინსტრუმენტების შესაძლო ჩართულობა საერთაშორისო სტანდარტის IS26000:2010 და IC CSR-08260008000 რეკომენდაციების საფუძველზეა შემუშავებული. ეს სტანდარტები უნდა გახდეს ნიმუში რომელზეც იქნება ორიენტირებული საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (CFT) გარდამავალი პერიოდის პროცესში განსახორციელებელი ცვლილებები.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური პასუხისმგებლობა, ISO26000, ბიზნესინჟინერინგი.

## Направления адаптации структуры бизнесинжиниринга с рекомендациями ISO26000

### Резюме

Вопросы бизнесинжиниринга это сфера непрерывных исследований и инноваций. ISO26000 и стандарт IC CSR-08260008000 является документом в области социальной ответственности бизнеса и важной составляющей процессов бизнесинжиниринга. В то время как многие ученые и практики работают над этими вопросами, в этой области консенсус еще не достигнут. Мнение ученых по-прежнему разделено между признанием важности социальной ответственности бизнеса и предоставление о нем как о принужденных обязательствах приносящих потери. На основании структурной схемы бизнесинжиниринга возможно предположительно определить включение элементов социальной ответственности в экзогенные и эндогенные факторы влияющие на процесс бизнесинжиниринга.

Включение инструментов социальной ответственности в представленную схему бизнесинжиниринга основано на разработке рекомендаций по международному стандарту ISO26000: 2010 и стандарту IC CSR-08260008000 Эти стандарты должны стать образцами на которые будет ориентировано Глубокое и всеобъемлющее оглашение о зоне свободной торговли (DCFTA) между Грузией и ЕС.

**Ключевые слова:** социальная ответственность, ISO26000, бизнесинжиниринг

## Direction of adapting the structure of Business Process Engineering to the recommendations ISO26000

### Summary

Business process engineering is a field of continuous research and innovations. ISO26000 and standard IC CSR-08260008000 Is a policy document for Social responsibility of business and important component of business process engineering. While many scientists and practitioners are working on these issues, consensus is not achieved yet in a number of areas. The opinion of scientists is still divided between reco-



gnizing importance of social responsibility of business and granting compulsory and damageable obligations. In terms of rational economic policy developing countries must focus from the benefit and subsidy methods to the development of obligations. Only directive decisions, propaganda and social advertising introduced by the state, can establish business engineering and correct perception of social responsibility in the society.

Based on the structural scheme of business engineering scope, it is expected to define the elements of social responsibility and their involvement in a variety of fields.

In this scheme of business process engineering possible involvement (installation) of social responsibility tools (provide as a digital code) is based on the recommendations of international standard ISO26000: 2010 and standard IC CSR-08260008000. These standards have to become a target example which will be driving force for a series of changes during the transition period of implementing Deep and Comprehensive Free Trade Area Agreement (DCFTA) between Georgian and EU.

**Keyword:** social responsibility, ISO26000, business engineering structure

ზოგადსაკაცობრიო ფუნდამენტურ ღირებულებათა მდგრადობა განაპირობებს რელიგიურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ფილოსოფიურსა და ზნეობრივი მრწამსის მრავალსახონებას რაც ბიზნესის სოციალურ ვალდებულებათა საფუძველსა და შედეგს წარმოადგენს. წარმატებული ბიზნეს-ინჟინერინგი სოციალური ვალდებულებებიდან სოციალურ პასუხისმგებლობას აყალიბებს.

ნაშრომის მიზანია გამოიკვეთოს ლოგიკური ურთიერთკავშირები და განპირობებულობა ბიზნეს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას შორის წარმატებული ბიზნეს ინჟინერინგის და სამკვიდრებლად განვითარებად ქვეყნებში. კვლევის პროცესში ჩვენს მიერ გამოყენებულია ლოგიკური ანალიზის, მეცნიერული აბსტრაქციის, დედუქციის, ინდუქციისა და სტატისტიკის მეთოდები.

ბიზნეს პროცესთა ინჟინერინგის საკითხები მუდმივი კვლევისა და ნოვაციების სფეროს წარმოადგენს. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნეს პროცესთა ინჟინერინგის მნიშვნელოვანი შემადგენელია. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში მრავალი მეცნიერი და პრაქტიკოსი (Freeman, Moutchnik, (2013); Visser, Matten, Pohl, Tolhurst, (2008); Sankar, Bhattacharya, Korschun (2006); Baker, (2008) Fialka, (2006); Carroll, Buchholtz, (2006); Sacconi (2004); Jastram (2007);

Porter, Kramer (1994); Bulkeley, (2001); Maignan, Ferrell, Tomas, (1999); Friedman, (1970) და სხვა) მუშაობს აღნიშნულ თემებზე კონსენსუსი მთელ რიგ მეცნიერთა აზრი დღემდე გაყოფილია ბიზნესისათვის სოციალური პასუხისმგებლობის პოზიტიური მნიშვნელობის აღიარებასა და მეორეს მხრივ მის მიმართ როგორც იძულებითი, დამზარებელი ვალდებულებების მიკუთვნებას შორის.

სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის სამენარმეო ინიციატივის ხელშეწყობა, განვითარება და ფილანტროპია არ წარმოადგენს ეკონომიკური მოგების მიღების პირდაპირ გზას. იგი უფრო ვალდებულებათა განხორციელებისა და თვითრეალიზაციის მიზნით მიმდინარეობს. ამავე დროს მდგრადი ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გარეშე. ბიზნეს-ინჟინერინგის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს სოციალური პასუხისმგებლობის ის საზღვრები რომლებშიც ეკონომიკური აგენტები ნებაყოფლობითი აქტივობით სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სფეროების განვითარებას ახორციელებენ (რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი 2011). საგულისხმოა აგრეთვე, რომ ხშირ შემთხვევაში აღნიშნული აქტივობა კანონით დადგენილ ჩარჩოპირობებს სცილდება. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა განვითარებულ ქვეყნებში კომპანიების აქტივობის თანმხლები პროცესია მათი ფუნქციონირების ნებისმიერ სფეროში. იგი ბიზნეს ინჟინერინგში კომპანიის მისიის ჩამოყალიბების სტადიიდან ჩნდება და შემდგომ ეგზოგენური და ენდოგენური სფეროების ყველა შემადგენელში სხვადასხვა დონით ფიგურირებს. განვითარებად ქვეყნებში ცხადია ასეთი ნებაყოფლობითი აქტივობა იშვიათად შეინიშნება და როგორც წესი იგი ძირითადად ფილანტროპიის ხასიათს ატარებს.

საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციის „განსხვავებული უნარების მქონე პირთა გაერთიანების“ ინიციატივით ჩატარებული კვლევის საფუძველზე მოხდა მსხვილი კომპანიების (100 კომპანიის) მენეჯერთა გამოკითხვა. კვლევამ შემდეგი ტენდენციები გამოავლინა:

- ტრადიციულ მენარმეთა გარემოში ძირითადად სუფევს პირადი კეთილდღეობის ამალღების მოტივი;
- გამოკითხულთა 27% თვლის, რომ მათ აქვთ საჭირო ინფრასტრუქტურა სამსახურში შშმ პირთა ადაპტირებისთვის, 18 % მიიჩნევს,

რომ ასეთი პირობები არ გააჩნია, ხოლო 55%-მა არ იცის აქვს თუ არა საერთოდ ასეთი შესაძლებლობა;


- შპს პირებისთვის კომპანიის სახსრებით ადაპტირებული გარემოს შექმნის მზადყოფნის შესაძლებლობების არსებობის შესახებ 56% არ იცის (და არც დაინტერესებულა ამ საკითხით), 33%-მა იცის ასეთი შესაძლებლობების არსებობის შესახებ, ხოლო 11%-მა საერთოდ უარყო შესაძლებლობათა არსებობის აუცილებლობა;
- გამოკითხულთა 86% მზადყოფნას გამოთქვამს, შეუქმნას შპს პირებს შესაბამისი ადაპტირებული გარემო, თუკი იქნება სახელმწიფოს მხრიდან ნაწილობრივი ან სრული ფინანსური მხარდაჭერა და თანამონაწილეობა.

მოცემული ემპირიული შედეგების ანალოგიურია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიღებული მონაცემები (პროგრამა ხორციელდებოდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის დაფინანსებით). ჩატარებული კვლევის შედეგად ზოგადად პოსტსაბჭოურ ქვეყნებში გამოიკვეთა სიტუაცია სადაც ნათლად სჩანს, რომ ბიზნესმენტა უმრავლესობას საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ხარჯზე (სახელმწიფო სუბსიდიების, დაბეგვრის შეღავათების, სახელმწიფო შესყიდვებში უპირატესობის მიღებასა და სხვა) სურს განახორციელოს. ცხადია ამ მდგომარეობას თავისი ახსნა აქვს იგი განპირობებულია:

- ეკონომიკის განვითარების დაბალი დონით;
- სტაბილური ეკონომიკური ნტერესების ჯგუფების არარსებობით;
- სახელმწიფოს როლის მიმართ გადაჭარბებული პრიორიტეტის მიკუთვნების ინერციით;
- სოციუმის მხრიდან საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან შესაბამისი ღირებულებათა სისტემის ნაწილობრივი აღიარების მდგომარეობით.

მიუხედავად ობიექტური მიზეზების არსებობისა ასეთი მიდგომა სრულიად მიუღებელია, რადგან იგი კორუფციულ სქემებს წარმოშობს და გაართულებს მასთან ბრძოლას. რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით განვითარებად ქვეყნებში აქცენტი შეღავათებისა და სუბსიდიების მეთოდებიდან ვალდებულებების ჩამოყალიბებაზე უნდა გადავიტანოთ. მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული დირექტიული ხასიათის გადანყვე-

ტილებით, პროპაგანდითა და სოციალური რეკლამით დაინერგება ბიზნეს-ინჟინერინგსა და საზოგადოებაში სოციალური პასუხისმგებლობის სწორი აღქმა.



**ნახაზი №1.** ბიზნეს-ინჟინერინგის სტრუქტურული განფენილობის მოდელი.

ბიზნეს-ინჟინერინგის სტრუქტურული განფენილობის მოდელის შემუშავების საფუძველზე (რომელიც №1 ნახაზზეა ნაჩვენები) შესაძლებელია სავარაუდოდ განვსაზღვროთ სოციალური პასუხისმგებლობის ელემენტების ჩართვა კომპანიის ბიზნეს-ინჟინერინგის განხორციელებაზე ზემოქმედ ეგზოგენურსა და ენდოგენურ ფაქტორებში.

რაც შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

ფირმის გარე key შეზღუდვებისა და შესაძლებლობების ფაქტორები:

- **ეკონომიკა** — 6.3.9; 6.3.10; 6.5.4; 6.6.3; 6.6.5; 6.6.6; 6.6.7; 6.7.5; 6.8.5; 6.8.6; 6.8.7;
- **ტექნოლოგიური ინოვაციები** — 6.3.3; 6.7.5; 6.8.6; 6.8.8;
- **ეკონომიკური პოლიტიკა** — 6.3.4; 6.3.5; 6.3.7; 6.3.8; 6.3.9; 6.4.3; 6.6.3; 6.6.6;
- **სოციო კულტურული** — 6.3.3; 6.3.7; 6.3.8; 6.4.5; 6.6.6; 6.6.7;
- **ბუნებრივი რესურსები** — 6.3.3; 6.5.4; 6.5.5; 6.5.6; 6.6.7;
- **ეკოლოგია** — 6.5.3; 6.5.4; 6.5.5; 6.5.6.

ფირმის შიგა (საბაზრო) key შეზღუდვებისა და შესაძლებლობების ფაქტორები:

- **სტრატეგიული კონკურენტული უპირატესობები** (რისი კეთება შეუძლია ფირმას

ყველაზე კარგად კონკურენტებთან შედარებით) — 6.7.3; 6.7.4; 6.7.6; 6.7.8; 6.7.9; 6.8.3;

➤ ფირმის key ტექნოლოგიები (მმართველობითი, ოპერაციული, საინფორმაციო, კომპიუტერულიდასხვა) — 6.4.3; 6.4.5; 6.7.3; 6.8.6;

ფირმის key რესურსები (აქტივები-ფიზიკური და საფინანსო კაპიტალი, პერსონალი-ადამიანური კაპიტალი, ცოდნა-საინფორმაციო (ვირტუალური) კაპიტალი-6.4.3; 6.4.4; 6.4.6; 6.8.4; 6.8.5; 6.8.6; 6.8.8; 6.8.9;

➤ ფირმის კორპორაციული კულტურა (ფორმალური და არაფორმალური) — 6.3.6; 6.6.5;

➤ ფირმის მესაკუთრეები — 6.3.10; 6.4.5; 6.6.3; 6.6.7; 6.7.5; 6.7.7; 6.8.9;

➤ ფირმის სოციოეკოლოგია — 6.5.5; 6.5.6; 6.8.4.

ბიზნეს პროცესთა ინჟინერინგის მოცემულ სქემაში სოციალური პასუხისმგებლობის ინსტრუმენტების (მოცემულია შესატყვისი ციფრული კოდით) შესაძლო ჩართულობა (ინსტალაცია) საერთაშორისო სტანდარტის ISO26000: 2010 და 2011 წლის 1 აპრილს დამტკიცებული სტანდარტის IC CSR-08260008000 რეკომენდაციების საფუძველზეა შემუშავებული. ეს სტანდარტები უნდა გახდეს ნიმუში, რომელზეც იქნება ორიენტირებული საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) გარდამავალი პერიოდის პროცესში განსახორციელებელი მთელი რიგი ცვლილებები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი. ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი მეორე. „გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი 2011.
2. რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი. ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაბამისობა. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2012.
3. Freeman, Edward; Moutchnik, Alexander (2013): Stakeholder management and CSR: questions and answers. In: Umwelt Wirtschafts Forum, Springer

- Verlag, Bd. 21, Nr. <http://link.springer.com/article/10.1007/s00550-013-0266-3>
4. Bulkeley, H. (2001). «Governing Climate Change: The Politics and Risk Society». Transactions of the Institute of British Geographers, New Series, Vol.26, No.4, pp. 430-447.
5. Fialka, J. (2006). «Politics & Economics: Big Businesses Have New Take on Warming; Some Companies Move From Opposition to Offering Proposals on Limiting Emissions». WallStreet-Journal. pg.A.4.
6. Grace, D; S. Cohen (2005). Business Ethics: Australian Problems and Cases. Oxford University Press. ISBN 0-19-550794-0.
7. Roux, M. (2007). «Climate conducive to corporate action: 1 All-round Country Edition». The Australian. Canberra, A.C.T. pg.14. onlinearticle
8. Sacconi, L. (2004). A Social Contract Account for CSR as Extended Model of Corporate Governance (Part II): Compliance, Reputation and Reciprocity. Journal of Business Ethics, No.11, pp. 77-96.
9. Visser, W.; D. Matten, M. Pohl, N. Tolhurst (eds.) (2008). The A to Z of Corporate Social Responsibility. Wiley. ISBN 978-0-470-72395-1.
10. Baker, Mallen. «Arguments against Corporate Social Responsibility». BusinessRespect. Retrieved 2008-03-07.
11. Carroll, A.; A. Buchholtz (2006). Business and Society: Ethics and Stakeholder Management, 6th ed. Mason, OH: Thomson/South-Western. ISBN 0-324-22581-4.
12. International Business Report (2008). Corporate Social Responsibility: a necessity not a choice, Grant Thornton.
13. Jastram, Sarah (2007). «The Link Between Corporate Social Responsibility and Strategic Management». CIS Papers No.17. Centre of International Studies, Hamburg.
14. Maignan, I; O. Ferrell, G. Tomas (1999). «Corporate Citizenship: Cultural Antecedents and Business Benefits». Journal of the Academy of Marketing Science. Vol.27, No.4, pp. 455-469.
15. Porter, Michael; Mark Kramer. «The Link Between Competitive Advantage and Corporate Social Responsibility» (PDF). HarvardBusinessReview.
16. Friedman, Milton. The Social Responsibility of Business is to Increase its Profits. The New York Times Magazine. 1970-09-13. Retrieved on 2008-03-07
17. SeTanxmeba evrokavSirsa da saqarTvelos Soris asocierebis Sesaxeb <http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/association-agreement>
18. <http://media.rspp.ru/document/1/6/4/64150d953949a8b84b2e0c315e8e4318.pdf>
19. [http://eeas.europa.eu/georgia/assoagreement/a\\_ssoagreement-2013\\_en.htm](http://eeas.europa.eu/georgia/assoagreement/a_ssoagreement-2013_en.htm)

# ინვესტიციების ადგილი და როლი ბიზნესის ეფექტიან ფუნქციონირებაში

რუსუდან ქუთათელაძე — სტუ-ს პროფესორი,  
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი  
გუგული ყურამვილი — სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

## რეზიუმე

ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემა განუყოფლად უკავშირდება კაპიტალის ეფექტურად დაბანდებას მისი მატების მიზნით. ბაზრის პირობებში ინვესტირების შესაძლებლობები საკმაოდ ბევრია. ყველა სანარმო მეტნაკლებად უკავშირდება საინვესტიციო საქმიანობას.

ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდისათვის მეტად მნიშვნელოვანია უცხოელ ინვესტორთა უშუალო მონაწილეობა წარმოების პროცესში, ინვესტიციების მოზიდვა. ინვესტიციების რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოს კრიზისიდან გამოყვანისა და ბიზნესის განვითარებისათვის. იგი ხელს შეუწყობს საზღვარგარეთის პროგრესული ტექნოლოგიების ეროვნულ ბიზნესში განვითარებას, მენეჯმენტისა და მარკეტინგის თანამედროვე მეთოდების დანერგვას, ადგილობრივი ბიზნესის ექსპორტის გაზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გააფართოვებს საქართველოს საგარეო კონტაქტებს და ეკონომიკის მსოფლიოში ინტეგრირებას.

**საკვანძო სიტყვები:** მენეჯმენტი, ინვესტიციები, ბიზნესის ეფექტიანობა

## Summary

Enhance the effectiveness of the country's economic problems is inseparably linked to its growth in order to invest capital efficiently. Market conditions, investment opportunities are high. All enterprises are more or less related to investment activities.

Effective functioning of business for any country's potential economic growth is very important for foreign investors to participate in the production process and to attract investment. It's an important factor to use rationally investment to bring out Georgia from crisis and for business management and development. It will contribute foreign progress technologies to develop it in national business and introduce modern marketing methods, to increase local business exports and create new jobs. It will expanse Georgia's foreign contacts and integration economy in the world.

ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემა განუყოფლად უკავშირდება კაპიტალის ეფექტურად დაბანდებას მისი მატების მიზნით. ბაზრის პირობებში ინვესტირების შესაძლებლობები საკმაოდ ბევრია. ყველა სანარმო მეტნაკლებად უკავშირდება საინვესტიციო საქმიანობას.

შრომის მწარმოებლურობის ზრდისა და ეკონომიკის სტაბილური განვითარების პროცესში დანაზოგები რეალურად იქცევა ინვესტიციად. არასტაბილური ეკონომიკური განვითარების პირობებში კი, ეკონომიკის კრიზისული განვითარებისა და ინფლაციის ტემპების გამო დანაზოგები იხარჯება პირადი მოხმარების საგნებზე და ინვესტიციის სახეს ვერ ღებულობს. იგი ძირითადად გამოიყენება საქონლის ან ვალუტის შესაძენად.

საინვესტიციო პროცესში სახელმწიფოს როლი შემდეგში მდგომარეობს: ერთის მხრივ სახელმწიფო ახდენს სახელმწიფოებრივ კაპიტალურ დაბანდებათა პოლიტიკის რეალიზებას, როგორც ცენტრალიზებული, ისე დეცენტრალიზებული. მეორე მხრივ, სახელმწიფოს ფუნქცია მდგომარეობს საინვესტიციო პროცესის რეგულირებაში, მოქნილი ეკონომიკური პროცესის გატარებით, საკრედიტო ბაზარზე არსებული სახსრების მოძრაობის რეგულირებით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პროცენტის განაკვეთის მართვით და ა.შ. სწორედ ამ მომენტზე უნდა ამახვილებდეს ყურადღებას სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც მიმართული უნდა იყოს სოციალურ და სამეცნიერო-ტექნიკურ განვითარებაზე და ამას სახელმწიფო ორგანოები უნდა უზრუნველყოფდნენ.

მსოფლიომ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ განვითარებადი ქვეყნების დაჩქარებული ეკონომიკური ზრდა გარკვეულ პირობებში რეალურად განხორციელებადია. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის დასამზადებლად ფინანსური რესურსების გარდა საჭიროა ისეთი კომპონენტები, რომელებიც პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენს მენარმეების, ბიზნესმენების მიერ შექმნილი პრო-

დუქციის ხარისხზე და კონკურენტუნარიანობაზე.

ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდისათვის მეტად მნიშვნელოვანია უცხოელ ინვესტორთა უშუალო მონაწილეობა წარმოების პროცესში, ინვესტიციების მოზიდვა. ინვესტიციების რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოს კრიზისიდან გამოყვანისა და ბიზნესის განვითარებისათვის. იგი ხელს შეუწყობს საზღვარგარეთის პროგრესული ტექნოლოგიების ეროვნულ ბიზნესში განვითარებას, მენეჯმენტისა და მარკეტინგის თანამედროვე მეთოდების დანერგვას, ადგილობრივი ბიზნესის ექსპორტის გაზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გააფართოვებს საქართველოს საგარეო კონტაქტებს და ეკონომიკის მსოფლიოში ინტეგრირებას.

ბიზნესში უცხოელ ინვესტორთა უშუალო მონაწილეობის, თანამშრომლობის ერთ-ერთი ხელსაყრელი ფორმაა ერთობლივი საწარმოები. პირდაპირი ინვესტიციების ეს ფორმა არა მხოლოდ კაპიტალის დაბანდების, არამედ ახალი ტექნოლოგიების მართვისა და მარკეტინგის მონაწილე მეთოდების შემოტანის წყაროა. პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები ეთანხმებიან იმ აზრს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკის რესტრუქტურისაში, ამიტომაც ინვესტიციური ნაკადების ზრდა ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ინვესტიციური პოლიტიკა, წარმოადგენს რა ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს, ასევე ერთ-ერთი მოქნილი ინსტრუმენტია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად. სწორი ინვესტიციური პოლიტიკის შედეგად შეიძლება გადაიჭრას საზოგადოების ისეთი სოციალური პრობლემები როგორცაა: ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ჯამრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის სრულყოფა.

თანამედროვე ეტაპზე უცხოელ ინვესტორსა და ინვესტიციის მიმღებ ქვეყანას შორის ურთიერთობები კომპრომისის მატარებელია. ინვესტორს გააფართოება და წარმოების იაფი კომპონენტების, ქვეყნის მთელი რიგი დადებითი თავისებურებების გამოყენების ხარჯზე, ნაციონალურ მთავრობას კი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის პირობების შექმნა აინტერესებს,

სწორედ მათი შეხამებაა უცხოური ინვესტიციების წარმატებული მოზიდვის საფუძველი.

უცხოელ ინვესტორებს საქართველო იზიდავს იმიტომ, რომ აქ გარკვეულ უპირატესობებს იძენს წარმოების ხარჯების შესამცირებლად. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ახლოსაა დსთ ქვეყნების ბაზრებთან. ის საზღვაო, საჰაერო, სარკინიგზო, საავტომობილო და მილსადენი ტრანსპორტით უკავშირდება მსოფლიო ბაზარს. უძველესი აბრეშუმის გზის პროექტის მოქმედება მომავალში მეტ უპირატესობებს შეუქმნის ადგილობრივ და უცხოელ ბიზნესმენებს წარმოების ხარჯების შემცირებაში და საბოლოო ჯამში მაქსიმალური მოგების მიღწევაში. საქართველოში უცხოური კაპიტალის მოზიდვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ისიც, რომ ბევრია აუთვისებელი რესურსები და ნაკლებია კონკურენტული გარემო. ასეთ შემთხვევაში უცხოელი ინვესტორის ძირითადი მოტივია ინვესტორი კომპანიის უფრო მომგებიან და კონკურენტუნარიან კომპანიად ჩამოყალიბება.

ეროვნულ ეკონომიკაში, ადგილობრივ ბიზნესში უცხოური კაპიტალის განთავსების სტრატეგია უნდა ემყარებოდეს გარკვეულ დონისძიებათა სისტემას, რაც გულისხმობს განსაზღვრული მიზნების განხორციელებას, ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოებას. თავის მხრივ, რეციპიენტი ქვეყანა, ადგილობრივი ბიზნესით ცდილობს ინვესტიციების ყველაზე იაფად, შეძლებისდაგვარად შეღავათიანი პირობებით მიღებას. რაც იმას ნიშნავს, რომ ინვესტიციების გამცემსა და ინვესტიციების მიმღებს შორის გარკვეული წინააღმდეგობაა. ამასთან ინვესტირებისას, შენარჩუნებულია პარტნიორობის ეკონომიკური უთანაბრობა.

ამჟამად მსოფლიოში ძირითადად უკვე დამყარდა ისეთი ურთიერთობები, რომ ინვესტიციის მიმღებსა და ინვესტიციის შემომტანს შორის თანამშრომლობის საფუძველად გამოდის ერთმანეთის ინტერესებისა და ურთიერთსარგებლიანობის და თანხვედრის პრინციპი. ამ ინტერესების დაბალანსებით ხელი ეწყობა მაკროდონეზე საზოგადოებრივი წარმოების, ხოლო მიკროზე ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლებას.

ყველაზე მთავარი ასპექტი რაც დონორსა და რეციპიენტს შორის ურთიერთობაშია, არის ის, რომ ხშირად ინვესტორები კაპიტალს დებენ იქ, სადაც ადგილობრივ ბიზნესმენებს შეუძლიათ საქმიანობის დაწყება, წარმოების განვითარება. ყოველივე ეს დაუშვებელია, ჩემი აზრით, ეკონომიკის იმ სექტორში, სადაც ადგი-

ლობრივ ბიზნესს შეუძლია ეფექტიანად ფუნქციონირება და წარმოება, უპირატესობა მას უნდა მიენიჭოს, თუნდაც ეს სახელმწიფოს ძვირი დაუჯდეს.

როცა ლაპარაკია ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების კომპრომისულ ხასიათზე, ურთიერთდამატებასა და ეფექტურ სინთეზზე, ბიზნესის გააქტიურების თავლსაზრისით საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ერთ მტკივნეულ საკითხზე, საქმე ეხება ინვესტიციის მიმღებ, რეციპიენტისა და ინვესტიციის შემომტანს, დონორს შორის ურთიერთობის ზოგიერთ ასპექტს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მსოფლიო კრიზისის პირობებში.

მსოფლიო ეკონომიკის კრიზისის პირობებში მოცემული ქვეყნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რეციპიენტსა და დონორს შორის ურთიერთობას. არაკეთილსინდისიერი ინვესტორი სარგებლობს რა კრიზისის დროს ინვესტიციური შიშებით, თავის სახსრებს წარმართავს არაკეთილსინდისიერი მიზნების სარეალიზაციოდ. უცხოელ ინვესტორთა უმრავლესობა საქართველოში დაინტერესებულია უფრო მეტად მომსახურების სფეროს სანარმოებით და არ იჩენენ ყურადღებას იმ სამრეწველო სანარმოებისადმი, სადაც სამამულო პროდუქციის წარმოების გადიდების რეალური პირობები არსებობს.

უცხოური ინვესტიციები, უნდა განვიხილოთ ბიზნესზე მისი გავლენის დადებით და უარყოფით მხარეთა კომპლექსში, მართალია ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესია უცხოური კაპიტალის მოზიდვა, მაგრამ ამავდროულად არ უნდა შეილახოს სამამულო ინვესტორთა შესაძლებლობები და უფლებები. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს, როგორც უცხოურ ასევე შიდა ინვესტიციების მოზიდვას. ინვესტორებისადმი სწორი, მოქნილი სახელმწიფო პოლიტიკის დადებით მაგალითად გამოდგება ლათინური ამერიკის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მთელი რიგი ქვეყნები, სადაც მიღწეულ იქნა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები, მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონე.

როცა ინვესტიციებზე, მითუმეტეს უცხოურ ინვესტიციებზე ვმსჯელობთ, არ შეიძლება იმის დავინწყება, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინვესტორთა რაოდენობა, არამედ ხარისხიც. უცხოური ინვესტიციები-უმთავრესად ახალი ტექნოლოგიები, სრულყოფილი მენეჯმენტი, პროდუქციის მაღალი ხარისხი უნდა იყოს. სწორედ ესაა, რაც აკლია აგილობრივ ბიზნესს ეფექტიანად მუშაობისათვის.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბიზნესის საინვესტიციო პოტენციალი ჯერ კიდევ ისევ დაბალია, განუვითარებელია ის სტრუქტურები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ დანაზოგების აკუმულირება და ინვესტიციებში ტრანსფორმირება. ეს ჯერ ერთი კარნახობს საბაზრო სტრუქტურების დაჩქარებული განვითარების საჭიროებას და მეორე, გვიჩვენებს, რომ უახლოეს პერიოდში ეკონომიკაში ინვესტიციების ძირითადი მასა უცხოური რესურსების ხარჯზე განხორციელდება.

როგორც საქართველოს ეკონომიკის, ისე ბიზნესის წინაშე მოცემულ ეტაპზე დგას არა მხოლოდ წარმოების სტაგნაციის დაძლევის პრობლემა, რამდენადაც მისი ახალ ტექნიკურ ტექნოლოგიურ დონეზე ამოქმედების საკითხი. რამაც უნდა უზრუნველყოს მსოფლიო ბაზარზე ადგილობრივი ბიზნესის მეშვეობით შექმნილი ნაწარმის კონკურენტუნარიანობა, ხელი შეუწყოს მსოფლიო კავშირებში საქართველოს ეკონომიკურ ინტეგრაციას.

მოცემულ ეტაპზე გულობრვყოლობაა გვეფიქრა, რომ უცხოელ ინვესტორს აინტერესებდეს ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის ნებისმიერი დარგის განვითარება. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჯერჯერობით, საქართველოში პირდაპირ უცხოური ინვესტიციები არ არის მრეწველობაზე ორიენტირებული. ასევე ხელი არ ეწყობა ექსპორტზე ორიენტირებული ინვესტიციების დაბანდვას. არადა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია საქართველოს ეკონომიკის ზრდის დაჩქარება, განსაკუთრებით ისეთ სექტორში, როგორცაა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. ტურიზმი, სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების წარმოება. 2014 წელს განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა ნიდერლანდებია (26%), მეორე და მესამე ადგილებზე აზერბაიჯანი (24%) და ჩინეთია (15%). ამ სამი უმსხვილესი ქვეყნის წილმა მთლიან ინვესტიციებში 65% შეადგინა. სექტორულ ჭრილში გასულ წელს განხორციელებული ინვესტიციების 27%, 343 მლნ აშშ დოლარი, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში დაიხარჯა. მეორე ადგილზეა მშენებლობა, 295 მლნ აშშ დოლარით, და მესამეზე — დამამუშავებელი მრეწველობა, 174 მლნ აშშ დოლარით.

ინვესტიციების ხელშეწყობა მარტივად მიმდინარეობს, როდესაც იგი საერთო ეროვნული განვითარების სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. უცხოური კაპიტალის მოზიდვა ნებისმიე-

რი რეგიონული მცირე და საშუალო ბიზნესის, ან ზოგადი სამრეწველო სტრატეგიის ძირითადი კომპონენტია. ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები და წევრობის კანდიდატები მოტივირებული არიან სწორედ ასეთი სტრატეგიების შემუშავებით, რადგან სწორედ ამ სტრატეგიებიდან გამომდინარე ხდება ევროკავშირის სტრუქტურული ფონდებიდან დახმარების გაცემა. ახალი ტანამედროვე საერთაშორისო დონის წარმოების დასაწყებად ინვესტიციების მოზიდვაზე ყურადღების გამახვილებით საქართველომ უნდა შეძლოს პრაქტიკული სტრატეგიების შერწყმა და უცხოური კაპიტალის დახმარებით ადგილობრივი ბიზნესის აღორძინება-განვითარება. ინვესტიციების ხელშწყობა ინდუსტრიული პოლიტიკის ქვაკუთხედს უნდა წარმოადგენდეს, რადგან საბოლოო ჯამში, მხოლოდ ის სექტორები მოიზიდავს ინვესტიციებს, რომლებიც კონკურენტუნარიანია რეგიონულ დონეზე მაინც.

კონკურენტუნარიანი, საექსპორტოდ ორიენტირებული დარგების განვითარების შედეგად მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ჩართვა ფიზიკურად და მორალურად თითქმის გაცვეთილი ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენებით შეუძლებელია. ეკონომიკის სტრუქტურული გარადქმნისთვის, წარმოების საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე გაახლებისათვის საჭიროა დიდალი ფინანსური სახსრების გამონახვა, ეფექტიანი გამოყენების გზებისა და მეთოდების ოპტიმიზაცია წარმოადგენს ამჟამად საქართველოში სახელმწიფო პოლიტიკის, პრაქტიკული ბიზნესისა და თუნდაც ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, 2014 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 მლრდ 272 მლნ აშშ დოლარი შეადგინა,

რაც 2013 წლის დაზუსტებულ მაჩვენებელს 35 %-ით აღემატება და 2008 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფომ უნდა შექმნას ნორმალური მიკრო და მაკრო ეკონომიკური გარემო საკუთრების ნებისმიერი ფორმისათვის. ასეთმა პროგრამამ, ჩემი აზრით, უნდა დაიცვას ადამიანის ჯანმრთელობა ბიზნესისაგან, უცხოური ინვესტიციების მისწრაფებისგან, არ მოზიდოს ჩვენს ქვეყანაში ისეთი ტექნიკა და ტექნოლოგიები, ნაწარმი, რომლებიც სხვა ქვეყანაში აკრძალულია და მორალურად საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. ეს მომენტი ყველაზე მეტად გასათვალისწინებელია რეციპიენტი და დონორი ქვეყნების ურთიერთობაში სწორი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებისას.

ამრიგად, ეკონომიკის ნორმალური განვითარება ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირება ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციათა ეფექტური სინთეზისა და ურთიერთდამატების გარეშე შეუძლებელია. სწორედ ამიტომ აქვს ინვესტიციებს უზარმაზარი მნიშვნელობა ბიზნესის გააქტიურებაში და იგი ჩემი აზრით გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისა და რიგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტის საქმეში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქოქიაური ლ. საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა, თბ. 2008
2. ბარათაშვილი ე, ქუთათელაძე რ. გვაჯაია ლ, ყურაშვილი გ. საინვესტიციო მენეჯმენტი 2011
3. [www.geostat](http://www.geostat). [www.Ekon.Ge](http://www.Ekon.Ge). [www/hhh](http://www/hhh)

# ეროვნული ეკონომიკის უნივერსალოვანესი პრობლემა - ეფექტური მენეჯმენტის დეფიციტი

ემზარ ჯულაკიძე — ეკონომიკის აკად. დოქტორი,  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

## The most significant problem of national economics Deficit of efficient management

Emzar Julakidze

Summary

All the economical problems existing in our country have specific exposures and they require appropriate survey. Though one point which unites these problems is the fact that there is sharp deficit of management on various levels of state management as well as in many commercial and on commercial organizations. As it is known, the effective management is not focused on problems, but on abilities, with the help of which they avoid expected problems.

Accordingly the results of effective management are evaluated by raising such targets, which are specific, timed and oriented on real results. That is to say, effective management is practiced only when the results of subordinate business work are successful, in spite of the existing unexpected external factors, in conditions of which the advantage will be given to knowledge, initiative, and aspiration for implementation of new ideas to achieve better final results.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური პრობლემები; მენეჯმენტის დეფიციტი; ეფექტური მენეჯმენტი; ორიენტირება შესაძლებლობებზე; მიზნის ღირებულება; მოქნილი სტრატეგია.

ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირება, ლარის კურსის დაცემა, უმუშევრობა, სიღარიბის მაღალი დონე, დემოგრაფიული პრობლემები, ემიგრანტთა კოლოსალური რაოდენობა და ა.შ. აი, ის ძირითადი ეკონომიკური პრობლემები, რომელიც ყველა ჩვენთაგანს ანუხებს. ბუნებრივია, ყველა მათგანს თავისებური გამოვლენა აქვს და შესაბამის კვლევას საჭიროებს. თუმცა, ჩვენი აზრით, რაც ამ პრობლემებს აერთიანებს არის ის რომ საქმე გვაქვს მენეჯმენტის მკვეთრ დეფიციტთან. მენეჯმენტის დეფიციტია როგორც სახელმწიფო მართვის სხვადასხვა დონეზე, ასევე ბევრ კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებშიც. ანუ, შედარებით რბილად თუ ვიტყვით, ბევრ სფეროში გვაკლია ეფექტური მენეჯმენტი. არადა, თანამედროვე მენეჯმენტის პრაქ-

ტიკულად ყველა სპეციალისტი აღიარებს, რომ წარმატების მიღწევა შეუძლებელია ეფექტური მენეჯმენტის გარეშე. ამას ადასტურებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილებაც, სადაც ზემოაღნიშნული და სხვა მსგავსი პრობლემების წარმოშობის ძირითადი მიზეზი მეტ-ნაკლებად მაინც არაეფექტური მენეჯმენტი იყო.

დავსვათ კითხვა – რას ნიშნავს ეფექტური მენეჯმენტი და რით განსხვავდება იგი მიმდინარე საქმიანობის მართვისაგან? პირველ რიგში, ეს განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ ეფექტური მენეჯმენტი პრობლემებზე კი არა ორიენტირებული, არამედ ორიენტირებულია შესაძლებლობებზე, მათგან გამოდიან და ამით — თავიდან იცილებენ მოსალოდნელ პრობლემებს. ანუ, თანამედროვე საფინანსო, ეკონომიკური, ფულად-საკრედიტო, პოლიტიკური, თუ დემოგრაფიული პრობლემების პირობებში, ქვეყნის ხელისუფალთა ძირითად ამოცანას წარმოადგენს როგორც მიმდინარე სამეურნეო საქმიანობის მართვა, ასევე მისი სწორი ხედვა სამომავლო პოზიციების შესახებ, დაქვემდებარებულ სტრუქტურათა (ეკონომიკის დარგი, მისი ცალკეული ინდუსტრია, მხარე, ქალაქი, რაიონი, ორგანიზაცია) განვითარების სწორი სტრატეგიის შემუშავება და მისი პრაქტიკული განხორციელების უზრუნველყოფა, რაც მხოლოდ ეფექტური მენეჯმენტით მიიღწევა.

ეროვნული ეკონომიკის მენეჯმენტი კი – მხოლოდ შექმნილ პრობლემებზეა ორიენტირებული. ანუ, ფაქტიურად მოქმედებს პრინციპი, რომ „მხოლოდ მოჭრიალე ბორობალი საჭიროებს შეკეთებას“. ანუ, იქ, სადაც განსაკუთრებულად არაფერი „ჭრიალებს“ – ასეთი ხელმძღვანელი „წარმატებულია“. არადა, ცალკეული წარმატება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფას. წარმატებულობა არის მოკლევადიანი, ეფექტურობა კი — უფრო ხანგრძლივი. ანუ, წარმატებული არის ხელმძღვანელი, ვინც გარკვეულ მომენტში მოხსნა „პრობლემები“, ხოლო ეფექტური მენეჯმენტისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია სასურველი მიზნების მიღწევა. შესაბამისად, ოპტიმალური მიზნების ფორმირება ეფექტური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი პირობაა.



მიზანი, ეს არის ხელმძღვანელთა მცდელობა მიიღოს გარკვეული შედეგი გარკვეულ დროში. მიზანი ყოველთვის რაოდენობრივად უნდა იზომებოდეს. მიზნის გაზომვა ნიშნავს იმას, რომ მოსალოდნელი შედეგი, რომელიც დადგენილ დროში უნდა მივიღოთ, კონკრეტული მაჩვენებლებში უნდა გამოიხატოს. ანუ, უნდა განისაზღვროს ამ მიზნის ღირებულება. შესაბამისად, მენეჯმენტის ეფექტურობა და მისი შედეგები ფასდება სწორედ ისეთი მიზნების დასახვით, თუ რამდენად კონკრეტული, დროში გათვლილი და რეალურ შედეგზეა ორიენტირებული იგი.

ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკა მკვეთრად დაადგა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზას და მაინც დღევანდელი მინისტრები, მხარის გუბერნატორები, რაიონის გამგებლები, სახელმწიფო საწარმოთა (და არც თუ ცოტა — არასახელმწიფო საწარმოთა) ხელმძღვანელები მხოლოდ იმის მოლოდინში არიან, თუ რას დაავალებენ ზემოდან. შესაბამისად, მათი წარმატება — ზემდგომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკულ განხორციელებაში გამოიხატება. ანუ, დღეს კარგი „მენეჯერობისათვის“ საკმარისია იყო კარგი შემსრულებელი. არადა, მენეჯმენტი ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როცა იგი ირჩევს როგორც განვითარების საკუთარ ორიენტირს (სასურველ მიზანს), ასევე მისი მიღწევის საშუალებებს.

ბუნებრივია, მიზნის სწორ ჩამოყალიბებას მისი სწორი ხედვის უნარი სჭირდება. არადა, წარმატების ხედვის უნარი — ეს ნიჭია და ბუნებრივია, ყველას არ გააჩნია. აღნიშნულთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ბატონ ნ. მარკოზაშვილს — „ახალი ხედვის უნარი ადამიანს ან აქვს, ან არა. ამ უნარის გარეშად შემოტანა, ვთქვათ, სპეციალურად შედგენილი სასწავლო კურსის მეშვეობით, პრაქტიკულად შეუძლებელია. არსებობს გარკვეული ანალოგია ახალ ხედვასა და ლიდერის თვისებებს შორის. ადამიანს ან აქვს ლიდერის თვისებები, ან — არა. ძნელია ასწავლო ლიდერობა იმას, ვინც ლიდერად არ დაბადებულა“ [2, გვ. 41].

მიზნებს ჩვენ ვასრულებთ სტრატეგიის მეშვეობით. შესაბამისად, ეფექტური მენეჯმენტის მისაღწევად საჭიროა ორი რამ — კარგი სტრატეგია და მისი კარგი აღსრულება. მხოლოდ ძლიერი სტრატეგია და მისი ზუსტი აღსრულება არის სასურველი მიზნის მიღწევის აუცილებელი პირობა. პრაქტიკა მოწმობს, რომ

ყველა ხელმძღვანელმა, რომლებმაც მიაღწია სასურველ შედეგებს, პირველ რიგში, განპირობებული იყო მკვეთრად განსაზღვრული სტრატეგიით. ზოგადად, სტრატეგია განიხილება როგორც გრძელვადიანი განვითარების ძირითადი მიმართულება, რომელიც მოიცავს სამართავი ობიექტის საქმიანობის სფეროს, მიზნის მიღწევის გზებსა და საშუალებებს, ორგანიზაციის შიგა ურთიერთობებსა და მის პოზიციას გარე სამყაროსადმი. მაგრამ სწრაფად ცვლად და რიგ შემთხვევებში არასაკმარისად პროგნოზირებად გარემოში რთულდება ეს პროცესი. შესაბამისად, ეფექტური მენეჯმენტი ვალდებული ხდება იმუშაოს იმაზე, რომ ჩაანაცვლოს უკვე შექმნილი სტრატეგია ევოლუციური სტრატეგიით. ამისათვის კი, ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს იმის უნარი, რომ დაინახოს საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები და მის სამოქმედო სფეროში განხორციელებული ცვლილებები, რომ მის საფუძველზე შეიძლოს სწორად დაგეგმოს საქმიანობა. ანუ, შეიძლოს მოქნილი სტრატეგია. აქაც შეიძლება გავაკეთოთ ასეთი დასკვნა, რომ ეფექტური მენეჯმენტის მიღწევის შემდეგი პირობა ცვლად გარემოსადმი ადაპტირებულ სტრატეგიაშია.

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ გარკვეულ შემთხვევებში, საუკეთესო სტრატეგია და მისი კარგი აღსრულებაც წარმატების გარანტიას მაინც ვერ იძლევა. კარგადმართული სტრუქტურებიც კი აწყდებიან მოულოდნელ ხელისშემშლელ გარემო ფაქტორებს, რომელთა წინასწარი პროგნოზირება, სტრატეგიის ფორმირების ეტაპზე, შეუძლებელი იყო. თუმცა, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ის გამოწვეული, იგი მაინც ვერ მოუხსნის ხელმძღვანელს პასუხისმგებლობას. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეფექტური მენეჯმენტი არის მხოლოდ ის, რომლის დროსაც მისი საქმიანობის შედეგები იქნება წარმატებული, გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი ექსტერნალური ფაქტორების არსებობის მიუხედავად.

ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა მისი სტრუქტურა. ანუ, ის კავშირები, რომელიც ორგანიზაციის ელემენტებსა და მის კონსტრუქციას შორის არსებობს და რომლის საფუძველზეც ხდება მისი მართვა. როგორც მენეჯმენტის დარგის უდიდესი თეორეტიკოსი პიტერ დრაკერი აღნიშნავს — „რამდენადაც მისია განსაზღვრავს სტრატეგიას, იმდენად სტრატეგია განსაზღვრავს ორგანიზაციულ სტრუქტურას“ [5, გვ. 5]. ჩვენთან კი, ისე იცვლება მთავრობათა შემად-

გენლობა, გუბერნატორები, გამგებლები, მერები და ა.შ. შესაბამისად, ისე იცვლება მიზანი და მისი მიღწევის სტრატეგია, რომ თითქმის არ იცვლება სტრუქტურა. არადა, ეფექტური მენეჯმენტი მკაცრად მოითხოვს, რომ აუცილებელია შეიქმნას მოქმედ სტრატეგიაზე მორგებული ორგანიზაციული სტრუქტურა, თავისი ფორმალური და არაფორმალური ურთიერთობებით, რომლის პირობებშიც უპირატესობა მიენიჭება ცოდნას, გამოცდილებას, ინიციატივას და ახალი იდეების განხორციელებისკენ სწრაფვას უკეთესი საბოლოო შედეგების მისაღწევად.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., ბაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გენზაია ბ., მესხიშვილი დ. თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2011წ.
2. მარკოზაშვილი ნ., ნდობა, ჟურნალი — ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები. მარტი, 2007 წ, №1. [www.sapientisat.ge](http://www.sapientisat.ge)
3. რამიშვილი ბ., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბილისი, 2013 წ. [old.press.tsu.ge/GEO/internet](http://old.press.tsu.ge/GEO/internet)
4. ცომაია აკ., სტრატეგიული მენეჯმენტი. ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველო. <http://www.nesgeorgia.org/publicationsa.php>
5. Питер Ф. Друкер. Задачи менеджмента в XXI веке, [http://www.koob.ru/drucker\\_peter/](http://www.koob.ru/drucker_peter/)

# საინვესტიციო ბაზრის განვითარება საქართველოში

ვლადიმერ კეკელიძე — სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

მალხაზ სულაშვილი — ინჟინერიის დოქტორი

ბელა ხოტენაშვილი — სტუ-ს დოქტორი

## რეზიუმე

ინვესტიციური ბაზრის წარმოშობის, მისი განვითარების გზებისა და მიმართულებების ძიებას საქართველოს ეკონომიკის აღმავლობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში ინვესტირების საბაზრო მექანიზმის ჩამოყალიბებას არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი ხასიათი აქვს. რეალური სექტორისაგან მოწყვეტით იქმნება საინვესტიციო ინფრასტრუქტურის ინსტიტუტები, რაც მათი, როგორც ფინანსური შუამავლების, დაბალ ეფექტიანობას განაპირობებს. ასეთ პირობებში ბიზნესში იმ სახსრებსაც კი ვერ იყენებენ, რომლებიც რეალურ საინვესტიციო პოტენციალს შექმნიდა. აქედან გამომდინარე, ინვესტირების დაფინანსების წყაროების მოძიება, მათი მოზიდვა და ეფექტიანად გამოყენება, ამ სფეროში წარმოქმნილი მწვავე ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის უმთავრეს პრიორიტეტად გვესახება. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ აღნიშნული სფერო საქართველოში სისტემური სახით ნაკლებადაა შესწავლილი. არ არის გამოკვლეული ინვესტიციის, როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ისე პრაგმატული ხასიათის მრავალი ასპექტი. მთლიანობაში, საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში ინვესტიციის ბაზრის ფორმირებისა და განვითარების პრობლემა მეტ ყურადღებას მოითხოვს.

**საკვანძო სიტყვები:** საბაზრო მექანიზმი, საინვესტიციო ინფრასტრუქტურის ინსტიტუტები, ინვესტიციური ბაზარი.

## Summary

Investment market of origin, the development of roads and directions in search of economic prosperity is very important. Georgia to invest in the establishment of the market mechanism, inconsistent and contradictory character. Real sector investment in infrastructure is set up as independent institutions, giving them as financial intermediaries, resulting in low efficiency. In such circumstances, the funds are not used in the business, which would create a real investment potential. Therefore, investment funding sources, their attraction and effective use of this severe economic problems arising in the field of solving the

main priority that we face. Nevertheless, there is still the system in the form of poorly researched areas in Georgia. Investments have been studied as a theoretical-methodological and pragmatic nature of many aspects. Overall, the transition to a market economy in the investment and development problems require more attention.

დღეს მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, ახლო პერსპექტივაში მსხვილი კაპიტალ-დაბანდების გარეშე საქართველოს ეკონომიკის გამოცოცხლება, განვითარება და შემდგომი აღორძინება ალბათ გაძნელდება, არადა მსოფლიოში დღეს მიმდინარე გლობალიზაცია ხელს უწყობს ცალკეული ქვეყნის ამ პროცესში სხვადასხვა საშუალებით ჩართვას. ასეთი საშუალება ინვესტიციებია, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტიმულად უნდა იქცეს და საქართველომ, განვითარებული ეკონომიკით, მყარი ადგილი უნდა დაიმკვიდროს მსოფლიო თანამეგობრობაში და მტკიცედ ჩაერთოს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების, მათ შორის საქართველოს კრიზისიდან გამოყვანის ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამ მიმართულებით მსოფლიო პრაქტიკამ დაგვანახა, რომ უცხოური ინვესტიციები, მათი მოზიდვის და გამოყენების შემთხვევაში, თითქმის ყველა ქვეყანაში სასიკეთო ძვრებს ახდენს.

დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობს უმკაცრესი კონკურენციის პირობებში მოიძიოს და შესაბამისად მოიზიდოს უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, რადგანაც ისინი ასოცირდებიან ეკონომიკურ ზრდასა და პროგრესთან.

ეკონომიკური დონის ზრდისა და მისი შემდგომი შენარჩუნებისათვის, რაც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების წინაპირობაა, საინვესტიციო პროცესების განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია საქართველოს მსგავსი, პატარა, მცირე რესურსების მქონე ქვეყნისათვის.

იმისათვის, რომ კომპანიებმა განახორციელონ ინვესტიციები, გააფართოვონ საქმიანო-

ბის მასშტაბები და შექმნან ახალი სამუშაო ადგილები, აუცილებელია დამატებითი სტიმულებისა და შესაძლებლობების მიცემა, რაც საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში კაპიტალის ჩადებისათვის მიმზიდველი პირობების შექმნაში უნდა ავსახოთ. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ უპირველესად გულისხმობს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იურიდიული პირობების შექმნას.

კონკრეტულად ჩვენი ქვეყნის მაგალითზე რომ ვიმსჯელოთ, ინვესტორსა და რეციპიენტს შორის ურთიერთკავშირი უფრო კომპრომისული ხასიათისაა. როგორც წესი, ინვესტორის მთავარ მიზანს მოგების მაქსიმიზაცია, იაფი მუშახელისა და ქვეყნის ბუნებრივი რესურსების გამოყენება წარმოადგენს. ასევე, გასაღების ბაზრის ათვისება და გაფართოება მინიმალური დანახარჯებით.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა, რაც ხელშემწყობი ფაქტორი იქნება მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის. მსოფლიო ბანკის მოხსენების „ინვესტიციები საზღვრებს გარეთ 2010“ მიხედვით, საქართველომ მსოფლიო 87 ქვეყანას შორის ერთ-ერთი ყველაზე გახსნილი ქვეყანაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის. საქართველომ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან პირველმა განახორციელა ღია პოლიტიკა უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო უცხოური კაპიტალის შემოდინებას და მშპ-ს ზრდას. ცალკეულ სეგმენტს თუ განვიხილავთ, უცხოური კაპიტალის ზრდა გამოიწვია ნავთობსა და ენერჯო სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა, ბენზინგასამართი სადგურების, მაღაზიათა ქსელების, მშენებლობის და ტურიზმის, მომსახურების სფეროს, საბანკო სექტორის ინვესტირებამ. შემდეგ განხორციელდა საკანონმდებლო რეფორმები, მიღებული იქნა საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი სპეციალური კანონები („საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“, „ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ“, „საინვესტიციო ფონდების შესახებ“), ფინანსურ სფეროებში ცვლილება განხორციელდა – საგადასახადო და საბაჟო კუთხით.

საქართველოს ეკონომიკის ზრდა და შესაბამისად განვითარება დამოკიდებულია ისეთი დარგების სტაბილურად განვითარებასა და შესაბამისად ინვესტიციების ჩადებაზე, როგორ-

ცაა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მონესრიგება, კონკრეტულად კი ათვისება და გამოყენება იმ პოტენციალისა, რომელიც საქართველოს საავტომობილო გზებს, სარკინიგზო მაგისტრალებს, საზღვაო პორტებს, ოქროს მოპოვებას, ქართული ჩაის წარმოებას მოიცავს.

ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად – დარგების მიხედვით. ყველაზე დიდი ინვესტიცია ჩადებულა მრეწველობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგებში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის მთავარ სექტორებად სამთო მოპოვება და წარმოება რჩება (47%), ასევე მიმზიდველია სამშენებლო სექტორი (23%) და ტრანსპორტი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არხია, რომლის მეშვეობითაც განვითარებადი ქვეყნები ახორციელებენ ტურიზმის სექტორის განვითარებას. ამ მხრივ საქართველოს ძალზე მიმზიდველი გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია. ამ სექტორის განვითარება მოიცავს ისეთ ურთიერთ გადაჯაჭვულ დარგებს, როგორც არის: სასტუმროების ბიზნესი, გართობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა და სხვა. ამ სეგმენტში ქვეყანას შეუძლია მოიზიდოს ეკონომიკური აგენტები ტრანსნაციონალური კომპანიებიდან დაწყებული, მცირე და საშუალო საწარმოებით დამთავრებული, და მოხდეს ბაზრის სხვადასხვა შრეების ათვისება.

საქართველოს აქვს შესაძლებლობა შეიძინოს საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცია, რომლის მიხედვითაც ქვეყანა უნდა გახდეს ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც დღეს რკინიგზისა და სატრანსპორტო პორტების საშუალებით არაერთ მნიშვნელოვან ტვირთს ატარებს. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის რეკომენდირებულია ასევე საინვესტიციო ფონდების, სატრასტო და სალიზინგო კომპანიების ქსელის შექმნა.

გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა და აგვისტოს ომმა ქვეყანაში ეკონომიკური დეპრესია გამოიწვია. უმსხვილესი ინვესტორების გადინება მოხდა ქვეყნიდან, არაერთი მსხვილი საინვესტიციო პროექტიც შეჩერდა.

დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოდინება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანუ სამენარმეო კაპიტალის ფორმით ხორციელდება. ინვესტორთა დაინტერესება მიმართულია პირველ რიგში იმ დარგებისაკენ, სადაც საქართველოს მეტ-ნაკლებად უპირატესობები გააჩნია, ზოგადად სტაბილურია და მინიმალური თავდაპირველი დანახარ-

ჯებით სწრაფი უკუგების მიღება შესაძლებელი. ამგვარ სფეროებად ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია განხილულ იქნეს მომსახურების სფერო, საბანკო და სადაზღვეო საქმე, მაღალი ტექნოლოგიის დარგები. თავის მხრივ უცხოელი ინვესტორებიც დაინტერესებულნი არიან შეაღწიონ აღნიშნულ დარგებში, რათა უზრუნველყონ პოზიციების გამყარება მომავალში. არადა, ეკონომიკური თვალსაზრისით განუვითარებელ ან ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს, რაიონებს, სფეროებს თუ კომპანიებს, რომლებიც ამ მომენტისათვის იმყოფებიან არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში, ყველაზე მეტი საჭიროება გააჩნიათ ინვესტიციური რესურსებით უზრუნველყოფისა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არის შეხედულებები, რომელთა მიხედვითაც უპი-ები უარყოფით ზემოქმედებასაც ახდენენ ეკონომიკურ ზრდაზე, რაც ეფუძნება არასრულყოფილი ეროვნული ბაზრების არსებობას. იოლი წვდომა საფონდო ბირჟაზე და კაპიტალზე, დამატებითი ფინანსური თუ სამართლებრივი გარანტიების მიცემა, რომელიც იშვიათ შემთხვევებში შესაძლოა გადასახადებისაგან თავის არიდების ან ურთიერთბლოკირების საშუალებასაც იძლეოდეს, ასევე, უცხოელ ინვესტორთა მხრიდან მოგების საზღვარგარეთ გატანის უპირობო შესაძლებლობა, რაც ფასებით მანიპულირების საშუალებით ხორციელდება: ისინი ხელოვნურად ზრდიან ფასებს იმპორტირებულ მასალებზე, ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე და ასევე ხელოვნურად ამცირებენ მას ქვეყნიდან გატანილ პროდუქტიაზე. თავის მხრივ აღსანიშნავია ფაქტი, რომ მძიმე ეკონომიურ პირობებში მყოფი ადგილობრივი მენარმეები ადვილად თანხმდებიან მათთვის კაბალური პირობების შემცველი ხელშეკრულების პირობებს, რის შედეგადაც ეკონომიკის ყველაზე მომგებიანი დარგები უცხოელი კერძო ინვესტორების ხელში გადადის. აღსანიშნავია, რომ გარკვეული საფრთხის შემცველია სტრატეგიული აქტივების მაძიებელ ინვესტორთა შემოსვლა ქვეყანაში. საქართველოში არსებული შრომითი და ინტელექტუალური პოტენციალის საუკეთესო ნაწილი, ბუნებრივი რესურსები, იაფად შეძენილი მსხვილი საწარმოები აკლდება ქვეყნის ეკონომიკას. ასევე ხდება ქვეყნიდან ინტელექტუალური პოტენციალის გადინება, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო აფერხებს ისედაც რთულ პირობებში მყოფი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

დღეს საქართველოსათვის უცხოურ ინვესტიციებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ქვეყანაში შემოსვლის მოსურნე ინვესტორები უპირველეს ყოვლისა განიხილავენ და აანალიზებენ იმ საინვესტიციო გარემოს, რომელიც რეციპიენტ ქვეყანას ახასიათებს, შემდგომ კი გარკვეული პოლიტიკური თუ ფინანსური რისკებისაგან დაზღვევას, თავისმხრივ სრულყოფილ სამართლებრივ-საკანონმდებლო ბაზას. ასევე, აუცილებელი წინაპირობაა საკუთრების უფლების დაცვა და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, მარტივი საბაჟო და საგადასახადო მექანიზმები, სტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო.

## დასკვნა

სახელმწიფოს სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირება ყოვლად შეუძლებელია ინვესტიციების გარეშე. ქვეყანა, რომელიც ახდენს ინვესტიციების იმპორტს, მისთვის მნიშვნელოვანია იმ ქვეყნის საინვესტიციო გარემოს შეფასება, სადაც უნდა განახორციელოს ინვესტირება. კერძოდ, იმის გაანალიზება თუ რამდენად ხელსაყრელი პირობები და მონესრიგებული ინფრასტრუქტურაა ინვესტორისათვის კაპიტალის დასაბანდებლად. ინვესტორი, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას, უპირველესად მრავალმხრივ აფასებს სიტუაციას, თუ რამდენად ხელსაყრელია კაპიტალდაბანდება, როგორც პოლიტიკური, ასევე რაც მთავარია ეკონომიკური თვალსაზრისით. ინვესტორი აანალიზებს ინვესტიციების ეფექტიანობის ყველა ფაქტორს და განსაზღვრავს საინვესტიციო რისკს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- 1 მეტრეველი მ., ტურიზმი (დამხმარე სახელმძღვანელო ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტთათვის), თბ., 2003
- 2 ხომერიკი თ., მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., ეკონომიკის და მენეჯმენტის კონსულტანტთა ასოციაცია“. 2007, გვ. 275.
- 3 ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა. მენეჯმენტი და ადმინისტრირება. თბ. 2007, 715 გვ.
- 4 ქოქიაური ლ., ბენიაშვილი ნ. საინვესტიციო ინსტრუმენტები თბ., 2010. 418 გვ.
- 5 ქოქიაური ლ. საინვესტიციო საქმე თბ., 2010. 1361 გვ.
- 6 საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის და განვითარების შესა-

**ზვიად ბეშვენაძე** — ეად, ანსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
**მირანდა კავაძე** — ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

**რეზიუმე**

სტატიაში საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ოპერაციებისა და კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის ძირითადი პუნქტების ცვლილებების დინამიკიდან გამომდინარე გამოვლენილია ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუწევს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას საქართველოში. გაანალიზებულია დევალვაციის ზემოქმედება, როგორც პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე, ასევე მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე.

**საკვანძო სიტყვები:** საგადასახდელო ბალანსი; მაკროეკონომიკური დესტაბილიზაცია; ვალუტის გაუფასურება; ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა; პირდაპირი ინვესტიციები; პორტფელური ინვესტიციები.

**Interrelation between the state of taxation balance, currency devaluation and economic competitiveness**

Summary

In the article there are displayed factors on dynamics of changes of taxation balance current operations and capital and the basic items of the financial statement, which provoked devaluation of the national currency in Georgia. There is analysed influence of devaluation on production competitiveness as well as on competitiveness of economics of the country in general.

ექსპორტ-იმპორტის ბალანსის – სავაჭრო ბალანსის ხანგრძლივადიანი დეფიციტი, რომელიც საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელს წარმოადგენს, უარყოფითად მოქმედებს ეროვნული ვალუტის კურსზე. თუმცა, საქსტატის მონაცემებით რეგისტრირებული სასაქონლო ექსპორტი 2013 წელს 2012 წელთან შედარებით არა თუ შემცირებული, არამედ გაზრდილია 22,4%-ით, ხოლო 2014 წელს კი 2013 წელთან მიმართებაში შემცირებულია მხოლოდ 1,6% -ით. რაც შეეხება 2015 წლის 5 თვის მონაცემებს სიტუაცია მნიშვნელოვნადაა შეცვლილი, საქსტა-

ტის მონაცემებით 2015 წელს 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ექსპორტი 24,7 პროცენტითაა შემცირებული.

იმპორტი კი 2013 წელს 2012 წელთან შედარებით ფაქტობრივად არ შეცვლილა (შემცირდა 0,28%-ით), ხოლო 2014 წელს კი 2013 წელთან მიმართებაში გაზრდილია მხოლოდ 7,1%-ით. რაც შეეხება 2015 წლის 5 თვის მონაცემებს, საქსტატის მონაცემებით 2015 წელს 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იმპორტი 9%-თაა შემცირებული. მთლიანად სავაჭრო ვაჭრობის უარყოფითი სალდო 2013 წელს 2012 წელთან შედარებით შემცირდა 9,8%-ით. მართალია სავაჭრო ვაჭრობის უარყოფითი სალდო 2014 წელს 2013 წელთან მიმართებაში გაიზარდა (გაუმჯობესდა) 12%-ით, თუმცა 2012 წელთან მიმართებაში 2014 წელს გაზრდილია მხოლოდ 1,1%-ით. საქსტატის წინასწარი მონაცემებზე დაყრდნობით მთლიანად სავაჭრო ვაჭრობის უარყოფითი სალდო 2015 წლის 5 თვეში 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირებულია 9%-ით.

ტურიზმი, რომელიც ასევე წარმოადგენს მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის ერთ-ერთ პუნქტს, 2012-2013 წლებში არის გაზრდილი. კერძოდ, ის 2013 წელს 2012 წელთან მიმართებაში ტურიზმიდან შემოსულობები გაიზარდა 21,8%-ით, ხოლო 2014 წელს 2013 წელთან შედარებით კიდევ 3,9 %-ით. რაც შეეხება 2015 წლის I კვარტალის მონაცემებს, ამ მხრივ სტატისტიკა ჯერჯერობით არ არსებობს, თუმცა თუ გავითვალისწინებთ ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემებს მასზედ, რომ მოცემულ პერიოდში 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ტურისტების რაოდენობა 2,3%-ით არის შემცირებული, სავარაუდოდ ტურიზმიდან შემოსულობებიც გარკვეულწილად შემცირებულია.

რაც შეეხება პუნქტს – მიმდინარე ტრანსფერებს, რომელიც აერთიანებს აგრეთვე მაღალი სავალუტო ეფექტის მქონე გზავნილებს და წარმოადგენს ასევე მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის ნაწილს. შრომითი რესურსების ექსპორტიდან მიღებული ფულადი გზავნილები საქართველოში წარმოადგენს სავალუტო შემოსულო-

ბების მნიშვნელოვან ნაწილს, უფრო მეტიც მისი დინამიკა მრავალი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად აჭარბებდა ყოველწლიურად განხორციელებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დინამიკას, ამდენად ის ხანგრძლივად წარმოადგენდა (და წარმოადგენს) ვალუტის კურსის სტაბილურობის შენარჩუნების ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ და ეფექტურ საშუალებას. როგორც პრაქტიკა ადასტურებს სამუშაო ძალის ექსპორტის სავალუტო ეფექტი მნიშვნელოვნად აჭარბებს საქონლით ექსპორტის სავალუტო ეფექტს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, საქონლის ექსპორტიდან მოგების საშუალო ნორმა შეადგენს 20%, მომსახურებიდან – 50%, ხოლო სამუშაო ძალის ექსპორტიდან – საშუალოდ დაახლოებით 100%.

მოცემულ პერიოდში მიმდინარე ტრანსფერების ცვლილებაც მთლიანობაში უმნიშვნელოა. კერძოდ 2013 წელს 2012 წელთან შედარებით ის გაიზარდა 4,1%-ით, 2014 წელს კი 2013 წელთან შედარებით შემცირდა უმნიშვნელოდ – 2,3%-ით. რაც შეეხება 2015 წელს, აქ დაზუსტებული სტატისტიკა არსებობს მხოლოდ ფულად გზავნილებთან დაკავშირებით. ეროვნული ბანკის მონაცემებით 2015 წლის 4 თვეში 2014 წლის იმავე პერიოდთან შედარებით ფულადი გზავნილები შემცირებულია 23%-ით.

აღსანიშნავია, რომ საგადასახდელი ბალანსის მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით 2013 წელს 2012 წელთან მიმართებაში მნიშვნელოვნად – 49,8%-ით (924,5 მლნ. დოლარით) – გაუმჯობესდა, რაც წარმოადგენდა უპრეცედენტო მოვლენას, თუმცა ის 2014 წელს 2013 წელთან მიმართებაში ისევ მნიშვნელოვნად გაუარესდა 73,2%-ით. მთლიანობაში 2014 წელს საგადასახდელი ბალანსის მიმდინარე ანგარიში 2012 წელთან მიმართებაში გაუარესდა 13%-ით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2015 წლის პირველ კვარტალში მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის მთელ რიგ პუნქტებში ადგილი აქვს გაუარესებას, უნდა ვივარაუდოთ, რომ მთლიანობაშიც ისიც შემცირებულია.

კურსზე მოქმედებს, როგორც საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის ნაკადები, მიმდინარე ტრანსფერები და ტურიზმი, აგრეთვე ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური რესურსების მოძრაობასთან, რომელიც აისახება საგადასახდელი ბალანსის კაპიტალითა და ფინანსური ინსტრუმენტებით ოპერაციითა (კაპიტალის მოძრაობის) ანგარიშში. ფინანსურ ნაკადებს შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ მოახდინონ საერთაშორისო ვაჭრობის

ვალუტის კურსზე ზემოქმედების ნეიტრალიზაცია. საქართველოს სინამდვილეში ხდებოდა სწორედ ასე. იმპორტი წლების განმავლობაში ვერ ბალანსდება ექსპორტით, სავაჭრო ბალანსის დეფიციტი წლების განმავლობაში იყო არსებითი და ის იფარებოდა ძირითადად – სესხებით, უცხოური ინვესტიციებითა და ფულადი გზავნილებით. ამდენად საგადასახდელი ბალანსის ბალანსურობა, და მაშასადამე ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა ყოველთვის წარმოადგენდა მყიფეს.

კაპიტალისა და ფინანსური ოპერაციების ანგარიშის ერთ-ერთი პუნქტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომელზედაც აგრეთვე დღესდღეობით ხდება აპელირება, ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით მოცემულ პერიოდში არის გაზრდილი. კერძოდ, 2013 წელს 2012 წელთან შედარებით მან მოიმატა 4,1%-ით, ხოლო 2014 წელს 2013 წელთან მიმართებაში კიდევ 34,8%-ით. რაც შეეხება 2015 წელს, საქსტატის მონაცემებით 2015 წლის პირველ კვარტალში 2014 წლის იმავე პერიოდთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საგრძნობლად 33,9%-ით არის შემცირებული.

საკმაოდ დიდი ცვლილებები იყო მოცემულ პერიოდში წმინდა პორტფელური ინვესტიციების სიდიდეში. თუ ის 2012 წელს შეადგენდა 848 მლნ. დოლარს, 2013 წელს მას ჰქონდა უარყოფითი მნიშვნელობა – 36 მლნ. დოლარი, 2014 წელს მდგომარეობა ამ მხრივ გაუმჯობესდა და მან შეადგინა 209 მლნ. დოლარი. რაც შეეხება 2015 წელს, ამ დროისთვის მონაცემები არ არის.

კაპიტალისა და ფინანსური ოპერაციების ანგარიშის კიდევ ერთი შემადგენელია – სხვა ინვესტიციები. ის აერთიანებს ეროვნული ბანკის, მთავრობისა და სხვა სექტორების მიერ სესხების აღებასა და დაფარვას, დეპოზიტებზე განთავსებებს და სხვ., 2013 წელს უარყოფითმა სალდომ შეადგინა 11,7 მლნ. დოლარი, ხოლო 2014 წელს სალდო იყო დადებითი – 217,5 მლნ. დოლარი. რამდენადაც აღებული და გასტუმრებული სესხები საანგარიშო პერიოდში მთლიანობაში აბალანსებდა ერთმანეთს, ამდენად მისი ნეგატიური ზემოქმედება ვალუტის კურსზე არსებითი არ არის. აგრეთვე არ მოიპოვება 2015 წლის მონაცემები მოცემულ პუნქტთან დაკავშირებით.

საგადასახდელი ბალანსის მიმდინარე ოპერაციებისა და კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის ძირითადი პუნქტების ცვლილების დინამიკიდან შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. 2013 წელს 2012 წელთან შედარებით მიმდინარე ოპერაციების უარყოფითი სალდოს არ-

სებითი – 924,5 მლნ. აშშ დოლარით შემცირების ფონზე, სხვა თანაბარ პირობებში, ეროვნული ვალუტის კურსი უნდა გამყარებულიყო, თუმცა მოხდა პირიქით 2013 წლის ნოემბრის ბოლოდან ლარმა დაიწყო გაუფასურება და მისმა მასშტაბებმა წლის დასასრულამდე შეადგინა 3,5 %. მოცემულ წელს მთლიანობაში ლარი გაუფასურდა 4,8%-ით. ამის მიზეზად მიგვაჩნია ის, რომ, ჯერ ერთი, გაუარესდა კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსი, კერძოდ წმინდა პორტფელური უცხოური ინვესტიციები, რომელიც 2012 წელს იყო 848,3 მლნ. დოლარი, 2013 წელს გახდა უარყოფითი – 36,5 მლნ. დოლარი. შემდეგ მეორე, 2013 წელს ეროვნულმა ბანკმა განახორციელა დოლარის უპრეცედენტო – 575 მლნ. დოლარის – შეისყიდვა (რითაც ძირითადად დაიფარა საგარეო ვალდებულებები), მაშინ როდესაც გაყიდა მხოლოდ 240 მლნ. დოლარი. ანუ დოლარის წმინდა ამოღებამ წლის განმავლობაში შეადგინა 335 მლნ. დოლარი. ის აგრეთვე გარკვეულ ზემოქმედებას მოახდენდა ვალუტის კურსზე გრძელვადიან პერსპექტივაშიც.

2. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტი 2014 წელს გაიზარდა 681 მლნ. დოლარით, ის მნიშვნელოვანწილად დაბალანსდა კაპიტალისა და ფინანსური ოპერაციების ანგარიშის ზრდით (უპირატესად პირდაპირი ინვესტიციების ზრდის ხარჯზე, რომელიც განსაკუთრებით მე-3 კვარტალში გაიზარდა და სავარაუდოთ ჩინური კომპანიების მხრიდან ოლიმპიური სოფლის მშენებლობასთან დაკავშირებული და გარკვეულწილად პორტფელური ინვესტიციების მატების ხარჯზე, რომელიც თიბისი ბანკმა მოიზიდა მე-2 კვარტალში). ამასთან ეროვნულმა ბანკმა განახორციელა 100 მლნ. დოლარის წმინდა ინექციები (მან წლის დასაწყისში გაყიდა 220 მლნ. დოლარი, თებერვლიდან აგვისტოს ჩათვლით შეისყიდა 200 მლნ. დოლარი, ხოლო ნოემბერ-დეკემბერში გაყიდა 80 მლნ. დოლარი). ამ ფონზე ისევე, როგორც 2013 წელს, 2014 წლის ნოემბრის შუა რიცხვებამდე ლარის კურსმა შეინარჩუნა სტაბილურობა და ამ პერიოდთან წლის ბოლომდე ის გაუფასურდა 6,1 %-ით, რაც გარკვეულწილად დაკავშირებული იყო სეზონურ თავისებურებასთანაც (როგორც წესი, წლის ბოლოს დოლარზე მოთხოვნის ზრდის გამო ეროვნული ვალუტა უფასურდება). მთლიანად წლის განმავლობაში გაუფასურების მასშტაბებმა შეადგინა 7,23 %;

3. 2013-2014 წლებში მთლიანობაში საგადასახდელო ბალანსში (საგარეო-სავაჭრო ბრუნვაში, ტურიზმის ნაკადებში, გზავნილების მოცულობაში, პირდაპირი და პორტფელური ინვესტი-

ციების თანაფარდობაში, სესხებისა და კრედიტების მოცულობაში და ა.შ.) მომხდარი ცვლილებები ეროვნული ვალუტის კურსზე მოცემულ პერიოდში (2013 წლის დასაწყისიდან 2014 წლის ბოლომდე) ლოგიკურად აისახა მისი 10,75 პროცენტის გაუფასურებით;

4. 2015 წლის I კვარტალში მიმდინარე ოპერაციებისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის საკვანძო პუნქტების გაუარესება სავარაუდოდ ხელს შეუწყობდა ეროვნული ვალუტის გაუფასურებას, თუმცა, ასევე უნდა ავლნიშნოთ, რომ, როგორც თეორიიდან და პრაქტიკიდანაც ცნობილი, მისი ზემოქმედება შედარებით გრძელვადიანი ხასიათისაა და ასეთი მყისიერ ზემოქმედება ვალუტის კურსზე არ უნდა მოეხდინა. ამ პერიოდში ცენტრალური ბანკის მიერ განხორციელებული ინტერვენციები (2015 წლის თებერვალ-აპრილში მან საკუთარი სავალუტო რეზერვებიდან ბაზარზე გამოიტანა 200 მლნ. დოლარი და მისი შესყიდვა არ განუხორციელებია) საკმარისი არ აღმოჩნდა კურსის შესანარჩუნებლად. 2015 წლის 5 თვეში ის გაუფასურდა 22,8%-ით და 1999 წლის შემდგომ პირველად მიაღწია ისტორიულ მაქსიმუმს 1 დოლარი 2,3112 ლარი. 2013 წლის ნოემბრიდან 2015 წლის მაისის ბოლომდე ლარი გაუფასურდა 37,8%-ით.

მართალია 2014 წელს საგადასახდელო ბალანსში მიმდინარე ნეგატიური შედეგები – განსაკუთრებით მიმდინარე ოპერაციების ბალანსის 73 პროცენტის გაუფასურება – უარყოფითად აისახებოდა 2015 წელს ვალუტის კურსზე, თუმცა ასეთი მასშტაბური გაუფასურება, მაშინ როდესაც ის მნიშვნელოვანწილად დაბალანსდა ფინანსური ნაკადების ხარჯზე, არ უნდა გამოენჯია. ამგვარად, მიზეზები სავარაუდოდ მიმოქცევის სფეროში უნდა ვეძებოთ.

აღსანიშნავია, რომ მთლიანობაში საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა ითვლება ვალუტის კურსის ზოგად ორიენტირად. როგორც წესი, საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს მივყავართ ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურებასთან და პირიქით. ეს მიდგომა გამოყენებადია გრძელვადიანი პროგნოზირებისთვის და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეროვნული ვალუტის კურსის მოკლევადიან პერიოდის მერყეობების ასახსნელად. დამოუკიდებლად არც სავაჭრო ბალანსი, არც კაპიტალის მოძრაობის ბალანსი ვერ წარმოადგენს ვალუტის კურსის პროგნოზირების საიმედო საფუძველს. გაუფასურება ერთის მხრივ შეიძლება წარმოადგენდეს საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობის გაუარესების შედეგს, ხოლო მეორეს მხრივ, მან შემდგომში თვითონ უნდა შეუწყოს ხელი საგადასახდელო



ბალანსის მდგომარეობის გაუმჯობესებას უპირატესად სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების ხარჯზე. თუ გაუფასურებამ თვითონ არ გამოიწვია ექსპორტ-იმპორტის ბალანსის თანაფარდობის გაუმჯობესება, მისი პროგრესირება გარდაუვალია.

ერთის მხრივ სავაჭრო ბალანსის დეფიციტი მიგვანიშნებს იმაზე რომ ეროვნული პროდუქციისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა (ანუ კონკურენტუნარიანობა მიკრო და მაკრო დონეზე) ძალზე დაბალია.

მეორეს მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ ეროვნული ვალუტის დევალვაცია განაპირობებს უცხოური და ადგილობრივი ფასების შეფარდებით ცვლილებას ამ უკანასკნელის სასარგებლოდ (იმპორტირებული პროდუქციის ფასი იზრდება, ხოლო ექსპორტირებულის მცირდება). შედეგად ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ამაღლდება საშინაო და საგარეო ბაზრებზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ მცირე დევალვაციამ შეიძლება მოცემული ეფექტი შესაძლებელია მოგვცეს, ამასთან მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში, ანუ ვიდრე არ გაიზრდება ფასები სამამულო საქონელზე. მაგრამ გაუფასურების დიდი მასშტაბების პირობებში იქმნება მაღალი ინფლაციის განვითარების შესაძლებლობა (როგორც იმპორტირებული ინფლაციის – ფასების ზრდა იმპორტირებულ საქონელზე, აგრეთვე საერთო ინფლაციის – ფასების მატება ეროვნულ პროდუქციაზე) საშუალოვადიან პერსპექტივაში, რაც სრულიად გადაფარავს (ან გადაამეტებს) დევალვაციიდან მოსალოდნელ პირველად დადებით ეფექტს – ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის (მიკრო დონეზე კონკურენტუნარიანობის) გარკვეულ ეტაპზე ამაღლებას. სამამულო პროდუქციაზე ფასების ზრდა მოსალოდნელია იქედან გამომდინარე, რომ დევალვაციის შედეგად იზრდება ფასები არა მხოლოდ იმპორტირებულ სამომხმარებლო საქონელზე, არამედ იმ მაკოპლექტებელ ნაწილებზე, ნედ-

ლეულზე, ენერგომატარებლებზე, მანქანა-დანადგარებზე და სხვ. (მასზე დამოკიდებულების ხარისხი კი ძალზე მაღალია.), რომელსაც იყენებენ ეროვნული საქონელმწარმოებლები პროდუქციის შესაქმნელად.

უფრო მეტიც მაღალი დევალვაციის პირობებში იზრდება არა მარტო ინფლაციის, არამედ სხვა მაკროეკონომიკური დესტაბილიზაციური პროცესების განვითარების საშიშროება, კერძოდ – საშინაო მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსების წარმოშობა და მათი სინქრონული ვარდნა; ეროვნული დანაზოგის, საშინაო და საგარეო კაპიტალდაბანდებებისა და შესაბამისად ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება, უმუშევრობის ზრდა; საგარეო ვალის მოცულობისა და მასზე მომსახურების ზრდა ეროვნულ ვალუტაში და საბიუჯეტო-ფინანსური კრიზისის განვითარების ალბათობა საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში. აგრეთვე: დოლარიზაციის მასშტაბების ზრდა; შემოსავლების გაუფასურება და სოციალური ფონის გაუარესება; უცხოურ ვალუტაში აღებული სესხების ღირებულების მატება და შედეგად გადახდისუნარობის ზრდა, წარმოების მასობრივი გაკოტრებისა და სოციალური დეფოლტის წარმოქმნის საშიშროება (აღნიშნულიდან გამომდინარე პრობლემები შეექმნება აგრეთვე საბანკო-საკრედიტო სისტემასაც) და სხვა. ყველაფერი ეს ნიშნავს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის (ანუ მის მაკროდონეზე) შემცირებას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. A. Kireev, International Economics, M.: „International relations“, 2001, 488 p.
2. <http://geostat.ge/>
3. <https://www.nbg.gov.ge/>

# ქართული ეკონომიკის აღმავლობის ნაციონალური კლასტერი

რამაზ ნამიჭიშვილი — ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

## რეზიუმე

ოჯახებიდან შეიქმნა სახელმწიფო, ამიტომ იგი მისი ფუნდამენტია, თუმცა სახელმწიფოს შეუძლია ოჯახის დაშლა მითუმეტეს, როცა იგი კორპორაციული მართვის ნაწილია. თუ დასავლეთში ტრადიციული ოჯახის რღვევა, უღმერთობამ, ქალისა და მამაკაცის ხელოვნურმა ემანსიფიკაციამ გამოიწვია, საქართველოში იმას ემატება ეკონომიკური სიდუხჭირე, როცა ოჯახის წევრები იძულებულნი არიან სამუშაო სხვა ქვეყნებში ეძებონ ყველამ ერთად ან ცალკე-ცალკე. ოჯახის, როგორც სამეურნეო ინსტიტუტის შენარჩუნებას სახელმწიფომ ხელი ვერ შეუწყო. პირიქით მოხდა-ოჯახური მეურნეობის მოშლით სარგებელს ნახულობენ კერძო პირები. ჩვენში ტრადიციული ოჯახის თვითრეალიზაციის უნარი მანაც ძლიერი აღმოჩნდა და ოჯახური მეურნეობები განვითარებისა და გაფართოების არენაზე გადის, რომელიც არა მარტო სასურსათო საქონელწარმოების ზრდის პერსპექტივებს ხსნის, არამედ ტრადიციული ოჯახის აღორძინების საფუძვლებს ამყარებს. სახელმწიფოს აქამდე არა აქვს ქვეყნის სოფლის ოჯახური მეურნეობის განვითარებისადმი ხელშეწყობის სტრატეგიული პროგრამები, რომელშიც შეღავათიანი, უპროცენტო კრედიტების გარდა ოჯახური მეურნეობის განათლებაც უნდა ვიგულისხმოთ.

**საკვანძო სიტყვები:** ოჯახი, მთელი, ნაციონალური, ტრადიცია, კრეატივი, აზროვნება, რისკი, ბიზნესი, ტიპი.

## Summary

The state has been created by families. That's why it is the foundation, though the state can breakup the family moreover when it is the part of corporation management. If in the west disruption of the traditional family was caused by atheism, artificial emansipation of man and woman, in Georgia economic distress is added to the above listed reasons, the members of the family are forced to seek job together or separately in another countries. The state couldn't provide maintenance of the family as well as economic institute. By destroying domestic farms the private persons receive benefit. As it turned out ability of self-realization of our traditional family is still strong and domestic farms start development and enlargement which leads not only to growing

perspectives of food products producing but it strengthens basis of revival of traditional family. The state doesn't have supporting strategic programs for development of the family farms of the country heretofore, in which we should imply education of the family farm besides reduced, interest-free credits.

ეკონომიკა ადამიანის განვითარების თანხვედრილი ისტორიაა, თუმცა მანაც ქსენოფონტესა და არისტოტელეს შრომების წყალობით გახდა ცნობილი.<sup>11</sup> ქსენოფონტეს ეკონომიკა ესმოდა, როგორც საოჯახო მეურნეობის მართვა კეთილდღეობის მოპოვების მიზნით. არისტოტელესთან ეკონომიკა მოხმარებას ისახავს მიზნად, სადაც ფულს მამოძრავებლის ფუნქცია აქვს. ეკონომიკის იმ ნაწილს, რომელიც ქონების დაგროვებას ემსახურება, არისტოტელემ ქრემატისტიკა ანუ ფულის კეთების ხელოვნება უწოდა. ძველი საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერი იქედან ხედავდა, რომ ფული ეკონომიკას, მომსახურების ნაცვლად ერთ დღეს ყურმოჭრილ მონად გაიხდიდა.<sup>12</sup>

საოჯახო მეურნეობას არისტოტელე სახელმწიფოს ფუნდამენტად მიიჩნევდა, რომლის მიმართ სახელმწიფოს, მისი აზრით, მთელის ფუნქცია აქვს. უდიდესი ბერძენი მეცნიერის მიერ ამით ისიც არის ნათქვამი, რომ ოჯახების სიმრავლე კი არ ქმნის სახელმწიფოს, არამედ ოჯახებს შორის სპონტანურად წარმოქმნილი ურთიერთობებათა მასივები, რომლითაც ისინი

<sup>11</sup> **Ксенофонт А.** Домострой. [Ancientrome.ru/ antlitr/kxenoph/.../ds.htm](http://Ancientrome.ru/antlitr/kxenoph/.../ds.htm). Экономика или хрематистика?-apologetio.ua.apologetio.ua/.../ekonomika\_ili\_hrematisti...

<sup>12</sup> „ეკონომიკის სამყაროში იმის მსგავსი არაბუნებრივი არ არის, ვიდრე საფინანსო სისტემა. ფულის ძირითადი ფუნქცია-განაწილების საშუალებაა. ამიტომ ის, რომ ფული ქმნის ფულს, არა მარტო არაბუნებრივია, არამედ აბსურდულიც. ლოგიკურია, რომ სიმდიდრის აღწარმოებას ბუნება ახორციელებს, რომლის წიაღში ყველა კეთილდღეობას ადამიანური ძალისხმევა ქმნის. მინდორი ქმნის მარცვლოვანს, ხოლო ფაბრიკები ამზადებენ სხვადასხვა პროდუქციას, მაგრამ ის, რომ ბანკები არაფრისაგან ფულს ქმნიან და ამასთან ერთად პროცენტს ღებულობენ, ლოგიკის გარეთაა. ასევე არაბუნებრივია ის, რომ ბანკები, რომლებიც მცირე კაპიტალით იქმნება და არავითარი უზრუნველყოფა არა აქვს, ბოლოსდაბოლოს ყველაფრის პატრონი ხდება“ Дарио Салас и физика морали-живое знание. [Natural word.ru](http://Natural word.ru)> Статьи>путь к победе.

(ოჯახები) წილობრიობიდან მთლიანობაში გარდაისახებიან და სხვა თვისებრიობად-ქვეყნის სახეობად იქცევიან.<sup>13</sup>

კაპიტალისტურ ეპოქაში ოჯახი, როგორც ეკონომიკა და ფინანსური მეურნეობა შრომის ფრონტალურობისა და სიმძიმისაგან შემსუბუქდა, გაიზარდა მისი წარმომადგენლობის მასშტაბები ქვეყნის მთლიან ეროვნულ პროდუქტში. წინა პლანზე გამოვიდა პროფესიონალიზმი, რომელმაც საფუძველი შეუქმნა ტრადიციად ქცეულ კლასობრივი ნოდებების რღვევას. სწორედ პროფესიონალიზმის საფუძველზე აღმოცენდა იდუსტრიალიზაცია, რომელსაც დემოგრაფიული აფეთქება მოჰყვა. სოფლის საოჯახო მეურნეობას გამოეყო მხოლოდ დაქირავებულ შრომაზე დამოკიდებული ოჯახები. ამ პროცესებს დაემგზავრა ქალთა ემანსიფიკაციის ეიფორია, რომლის თანახმად ქალი კაცის თანასწორია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში იგი მასთან ერთად მონაწილეობს. ეს იყო პირველი სასიკვდილო დარტყმა ოჯახის ინსტიტუტზე, რომლის გავლენა მასზე დიდი ხნის მანძილზე საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი დარჩა. ქალის საზოგადოებრივ შრომაში ჩართვამ ოჯახს ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობა სწრაფად გაუმჯობესა, რამაც იმავე დროს ქალის საოჯახო მეურნეობაში მონაწილეობის ასევე სწრაფი შემცირება გამოიწვია, ამის მერენდელია ბავშვთა შობადობის ხელოვნური რეგულირება. დაიწყო ტრადიციული ოჯახების დეგრადაციის სერიאלები — ერთმანეთს დაუპირისპირდა არა მარტო ბავშვთა შობადობის ზრდის ტრადიციული და ახლადფორმირებადი შემცირების ინტერესები, არამედ თვით ოჯახის წევრთა შორის წესად არსებული და ინოვაციურად მოვლენადი უფლება-მოვალეობებიც. სწორედ ამ პროცესების დაჩქარების აქსელერატორი გახდა ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელთა სამენარმეო საქმიანობის შემაფერხებელ ფაქტორებად იქცა ეროვნული ქვეყნების ოჯახური ტრადიციები. უცხოელ ინვესტორს, ბიზნესმენს, მითუმეტეს, კორპორაციას ხელს უშლის ისეთი ქართული ტრადიციები, როგორიცაა საქორწილო და სხვა სარიტუალო პროცესები, მინის საკუთრების მემკვიდრეობის დაუნერელი წესები, და ჩვეულებები, შიდა საოჯახო და საგვარეულო თავისებურებანი და ნათესაური ინსტიტუტები.

<sup>13</sup> „ამიტომ მთელი შემოქმედია, უძლიერესი და ყოვლისმცოდნე პირველადი ენერჯიაა, საიდანაც მომდინარეობს ყოფიერების ყველა ფორმა. ეს სულიერი არსებობა და სასიცოცხლო სუბსტანცია ენერჯისა და მატერიის ყველა ძირითად ფორმაში სუფევს“ (იქვე).

ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ეკონომიკურად არანაირად ხელს არ აძლევს იმ უამრავი ნაციონალური ქვეყნის ტრადიციების მრავალგვარობა, რომელზედაც მათი ბიზნესი ვრცელდება. მისთვის ხელსაყრელი და სასურველი არის ის, რომ მის ბიზნესში მონაწილე ყველა ქვეყნის მოქალაქე ასევე ერთნაირი ტრანსნაციონალური აზროვნების ადამიანი იყოს ანუ დაკარგული ჰქონდეს ეროვნული პასუხისმგებლობა და საოჯახო წეს-ჩვეულებები. ქართველ მილიარდერებსაც უჭირთ სამსობლოს სამსახურში ჩადგომა-უცხოელებისა ეშინიათ. თუკი ადამიანი საზოგადოების გარეშე არ არსებობს, განა მილიარდერი გამონაკლისი იქნება? ყველა ინდივიდი, რანაირი დამოუკიდებელი უნდა იყოს იგი, რაღაც საზოგადოების წევრია, ვინაიდან ადამიანი მარტოსული არც ყოფილა და ვერც იქნება. ადამიანი თავისუფალია მხოლოდ საზოგადოებაში და მასში პოულობს ინდივიდუალობას.

ტრადიციული ოჯახის დაშლაზე ძალიან ბევრი ფაქტორი მოქმედებს — ზოგი ცილივიზაციამ მოიტანა, ზოგი დიდი პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარეობს. აქ მხოლოდ იმ ეკონომიკურ ფაქტორებზე შევჩერდები, რომელიც ტრადიციულ ოჯახზე დამანგრეველად მოქმედებს.

ქართული ტრადიციული ოჯახი კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა სსრ კავშირის დაშლის შემდეგ. სწრაფად გაჩერდა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მსხვილი სანარმო, კრიმინალებმა ხელში ჩაიგდეს უზარმაზარი მოცულობის სანარმოო მარაგები (მარტო ქუთაისის საავტომობილო ქარხანას ფურცლოვანი ლითონის 4 წლის მარაგი ჰქონდა), ჯართად გაიყიდა გაჩერებული ქარხნებისა და ფაბრიკების ჩარხები, დაზგები, მანქანები და მონყობილობები, სარკინიგზო-სამგზავრო და სატვირთო ვაგონები, სამდინარო და საჰაერო ტრანსპორტი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მინიდან ამოყარეს მინდვრის სარწყავი სისტემების მილსადენები და ა.შ. ქვეყნის ეკონომიკა ვიწრო კლანების ხელში აღმოჩნდა, მოახლეობის უმრავლესობამ უცხოეთს მიაშურა სამუშაოს საძებნელად. ძველი ოჯახი გაიყო ცოლმა და ქმარმა. საზღვარგარეთ უმეტესად ქალი წავიდა, სახლში მამაკაცი დარჩა. ბევრი უცხელზე გათხოვდა და იმ ქვეყანაში დამკვიდრდა ან მარტოა და იქვე ცხოვრობს. ოჯახური სიყვარული ჭერქვეშ იბადება და იქვე ბინადრობს. გაყოფილი სიყვარული გაუგებარია, ვინაიდან იგი მთელია.

იმედის მომცემია, როცა შენს გვერდით ცხოვრობენ ოჯახები, რომლებიც დღედაღამ შრომაში არიან, არაფერი ეთაკილებათ, რომ თა-

ვიანთი მეურნეობა ჰქონდეთ. არც იმის გამო შეშინებიათ, რომ ახლობლებმა, თავისიანებმა, იმ უბედურ პერიოდში, დააყარაღეს, თითქმის ყველაფერი წართვეს, მაგრამ მაინც არ შედრკნენ, არ დაეცნენ და მენარმოება ისევ აღადგინეს. კრეატიული აზროვნება თავისი გზით მიდის. გადაცვულები ფეხზე სწრაფად წამოდგნენ და ახლობლებიც თავიანთ ბიზნესში ჰყავთ ჩართული. ასე იკვლევს გზას დამოუკიდებლად საოჯახო მეურნეობა სოფლად. ეს პროცესი უფრო სწრაფი იქნებოდა ხელისუფლება იმათ რომ იცავდეს საზღვარგარეთის ეკონომიკური დივერსიებისაგან. ის, რაც ქვეყნის შიგნით ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობაა, გარედან ხელოვნურად იბლოკება უჯიშო, არაპატრიოტული და არაეროვნული სახელისუფლო პერსონებისაგან.

ტრადიცია მარტო ცხოვრების დამკვიდრებული წესები და ჩვეულებები კი არ არის, თვითრეალიზაციის ენერჯიაა, თვითორგანიზაციის სალაროა, გამოცდილების ბიბლიაა, დამოუკიდებლობის შინაგანი ენერჯია და მისი ალტერნატივების სიმრავლეა, საიდანაც ყველაზე მძიმე მდგომარეობას გამოსავალი ეძებნება.

გამეჩხრებულ ქართულ სოფლებს იმედის ხვალისდელი დღის დილას გვიღვიძებენ ოჯახები, რომლებიც მათი ეკონომიკური აქტივობების, წარმატებების მათემატიკური მიმდევრობის რიგის მიხედვით დალაგება, ქვემოთ მოტანილ სტრუქტურულ ჯგუფებად წარმომიდგენია:

- განათლებული, გამოცდილი, რისკის მაძიებელი, ფათერაკიანი, მოუსვენარი და მტკიცე ნებისყოფის, კრეატიული აზროვნების სახლობა;
- ფრთხილი, მორიდებული აზროვნების ინოვაციური რისკის მერყევი სიმრავლე, სრულიად ეროვნული და ოჯახის შიდა საქვეყნო სოციალური სტერეოტიპული მთელი, შიდასტრუქტურული უთანხმოებების, დაპირისპირების, მაგრამ მაინც ერთმანეთთან შეკავშირებული, აზრობროვად შეჯერებული, მთლად შენარჩუნებული საოჯახო რაციონალური აზროვნების სოციალური სტრუქტურა;
- მორცხვი აზროვნების, სხვა ქვეყნების „შავ მუშათა“ ბაზრებიდან შემოსავლების მომლოდინე ნახევარსახლობა;
- ბედის მორჩილი, შემთხვევითი სამუშაოს მაძიებელი, უიმედონი, სოციალურად დაუცველი ჯალაბების უმცირესობა/უმრავლესობა.

**პირველი ტიპის** ოჯახური მეურნეობები რაოდენობრივად მცირეა, ვინაიდან კრეატიული აზროვნება ადამიანთა მხოლოდ გამორჩეულ რაოდენობას ახასიათებს. ჩემი დაკვირვების

სფეროში მოხვედრილი ოჯახები ამის ნათელი მაგალითია. უმუშევრად დარჩენილმა ინჟინრის ოჯახის წევრებმა ერთმანეთთან შეთანხმების საფუძველზე გაყიდეს ბინა ქალაქში, საცხოვრებლად სოფელში გადავიდნენ. მათი ოჯახი მთელის ფუნქიაა, რომელიც მისი წევრების ტრადიციულ იერარქიას ემყარება და როლური დანაწილება მწვავე კონფლიქტურ სიტუაციებს არ ქმნის, ლიდერის როლიც გამოკვეთილია. მეორე ტიპის ოჯახმაც ასევე რისკის პირობით წამოიწყო ბიზნესი. მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე მოეცარათ ხელი, წარმატების იმედი არ დაუკარგავთ, მცდელობებზე ხელი არ აუღიათ. 2-3 წელიწადი ინიციატივებმა წაილო. მერე პირუტყვი მოამრავლა და ფერმაც შექმნა, მეფრინველეობასაც მიწვდა, ხორცის წარმოებაც წამოიწყო. **მეორე ტიპის** ოჯახი უფრო ხშირი შემთხვევაა. იგი ოჯახის რომელიმე წევრის რისკს ეყრდნობა. მისი დანარჩენები წევრები ან სხვა საქმიანობას ეწევიან, ან საერთოდ არაფერს აკეთებენ. ამიტომ ასეთი საოჯახო ბიზნესის პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია. **მესამე ტიპის** ოჯახები აშკარად სჭარბობს საქართველოში. მათი წევრების აბსოლუტური უმრავლესობა საზღვარგარეთ დასაქმებულთა ხარჯზე ცხოვრობს და ძალიან მცირე რაოდენობა თუ ეწევა დამოუკიდებელ შრომას, მუქთად ცხოვრებას მიეჩვიეს და ეგუებიან. **მეოთხე ტიპის** ოჯახი ეკონომიკურ აქტიურობას მოკლებულია, მისი წევრები ძირითადად შრომის ბირჟის იმედად არიან, მედლეურები არიან, მუდმივი სამუშაო არა აქვთ. ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას უკავშირებენ. ამ ჯგუფს პირობითად ვაკუთვნებ მარტოხელა პენსიონერებსაც.

ოჯახური მეურნეობის აღორძინება ძირითადად ორ გარეშე ფაქტორზე არის დამოკიდებული. პირველია მოსახლეობის მასობრივი განათლება მცირე ბიზნესის საფუძველში კრეატიული აზროვნების ბაზაზე, რომელსაც სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს საგანმანათლებლო ქსელისა და მას-მედიის საშუალებით. მეორე ფაქტორად ვთვლი მასობრივ ხელმისაწვდომობას უპროცენტო და შეღავათიან მცირე მოცულობის საბანკო კრედიტებზე, რომელიც დღემდე რუბიკონის აქეთა ნაწილია.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Ксенофонт А.** Домострой. Ancientrome.ru/ ant-litr/ksenoph/.../ds.htm. Экономика или хрематистика?-apologet-io.ua.apologet.io.ua/.../ekonomika\_ili\_hrematisti...
2. Дарио Салас и физика морали-живое знание. Natural word.ru>Статьи>путь к победе.

# ეროვნული ვალუტის გაუფასურების ფისკალური და მონეტარული ასპექტები

ზვიად ბეშქენაძე — ეად, ანსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
შოთა ლომინაშვილი — ეად, ანსუ-ს ასოცირებული პროფესორი

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია ეროვნული ვალუტის გაუფასურების ფისკალური და მონეტარული ფაქტორები. დასაბუთებულია, რომ ძირითადი მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს სავალუტო კრაზი უპირატესად საშინაოა და მათ მიეკუთვნება: არასწორი საბიუჯეტო პოლიტიკა – სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი, არამიზნობრივი და არაპროპორციული ხარჯვა; ეროვნული ბანკის არათანმიმდევრული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა; ექსტრაპოლაციური მოლოდინები და სავალუტო სპეკულაციები.

გაკეთებულია დასკვნა, რომ დევალვაცია თავდაპირველად წარმოიშვა ენდოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, განავითარა მონეტარულმა და ფისკალურმა ფაქტორებმა, რომელიც შემდგომ გაამწვავა მოლოდინებმა, რამაც მოახდინა სპეკულაციური შეტევის პროვოცირება, ეროვნული ვალუტის შემდგომი გაუფასურება და საბოლოოდ გამოიწვია სრული სავალუტო კრაზი.

**საკვანძო სიტყვები:** ეროვნული ვალუტის გაუფასურება; დევალვაცია; სავალუტო კრაზი; გაუფასურების მოლოდინი; საბიუჯეტო პოლიტიკა; დეფიციტური ხარჯვა; ლიბერალურ მონეტარულ პოლიტიკა; საბანკო სპეკულაციები.

## Fiscal and monetary aspects of national currency devaluation

### Summary

In the article there are discussed factors of the national currency devaluation. There is substantiated that basic reasons which stipulated currency crash is home mainly and the following belongs them: incorrect budgetary policy-socially oriented budget, non-purpose and disproportional expenditure; inconsecutive monetary-credit and currency policy of the national bank; extrapolation expectations and currency speculations.

The conclusion is made that devaluation has been originated at first due to influence of endogenous factors, it was developed by monetary and fiscal fa-

ctors, which was aggravated by expectations and it provoked speculative attack, further devaluation of the national currency and finally it provoked a complete currency crash.

ჩვენი აზრით საფუძველს მოკლებულია არაა მოსაზრება მასზედ, რომ გაუფასურების ერთ-ერთ ხელშემწყობ მიზეზს შეიძლება წარმოადგენდეს არათანმიმდევრული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა. ფისკალური პოლიტიკიდან გამოვყოფთ ხარჯვით პოლიტიკას. ჩვენი აზრით გრძელვადიანი გაუფასურების ტენდენციებზე გარკვეული ზემოქმედება მოახდინა ბიუჯეტის მეტისმეტმა სოციალურმა ორიენტაციამ (სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში 2012 წლიდან 2014 წლამდე სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების წილი იზრდება 26 პროცენტიდან 34,8 პროცენტამდე, ხოლო 2015 წლის სამ თვეში მან მთლიანი ხარჯების 34,9 პროცენტი შეადგინა) და შენარჩუნებულმა და გაზრდილმა მაღალმა ადმინისტრაციულმა ხარჯებმა (მაგალითად შრომის ანაზღაურების ხარჯების წილი მოცემულ პერიოდში მერყეობს 17%-დან 18,7%-მდე, 2015 წლის სამ თვეში – 16,8%-მდე. ხოლო „საქონლისა და მომსახურების“ ხარჯების წილი, რომელიც აერთიანებს აგრეთვე შტატგარეშე მომსახურების ანაზღაურებას, მივლინებებს, ოფისისა და წარმომადგენლობით ხარჯებს და სხვ., 16,2-11,7%-მდე, 2015 წლის სამ თვეში – 11,3%-მდე), რამდენადაც მას იმპორტის წამახალისებელი ეფექტი გააჩნია.

დღესდღეობით მიმდინარე დევალვაციის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება აგრეთვე ბიუჯეტის დეფიციტური ხარჯვა. დეფიციტური ხარჯვა მართალია გარკვეულწილად ზრდის ერთობლივ მოთხოვნას და მაღალი საიმპორტო კვოტის პირობებში იმპორტს, რაც ხელს უწყობს ვალუტის გაუფასურებას. თუმცა დეფიციტი ამალღებს ქვეყანაში სარგებლის განაკვეთს, რაც ასტიმულირებს უცხოური კაპიტალის (ე.წ. „ცხელი ფულის“) შემოდინებას და ზენოლას ახდენს ვალუტის კურსზე მისი გამყარების თვალსაზრისით. ამასთან, მისი ზემო-

ქმედება ვალუტის კურსზე უმეტესწილად დამოკიდებულია ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის წყაროს გამოყენებაზე. ის ზოგადად შეიძლება დაიფაროს საშინაო რესურსების ხარჯზე მაგალითად, როგორცაა: საშინაო სესხების აღება, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება, ქონების პრივატიზება და სხვ., ან/და საგარეო წყაროთი, როგორცაა თავისუფალი კონვერტირებადი ვალუტით დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება, უცხოური მთავრობებიდან, საფინანსო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან უშუალოდ სესხების აღება (შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნას ფულად-საკრედიტო ემისია, საგადასახადო შემოსულობების გაზრდა, თუმცა არც დეფიციტის მონეტიზაცია – სენიორაჟი, არც გადასახადების მასობრივი შემცირება დღეისათვის არ განიხილება). პირველ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებს ყიდის კერძო სექტორზე (და არა ეროვნულ ბანკზე) ეკონომიკაში მონეტარული ბაზა (ფულის მიწოდება) ფაქტობრივად არ იცვლება, შესაბამისად მას ინფლაციური ზენოლაც არ გააჩნია ეკონომიკაზე, თუმცა მოკლევადიან პერიოდში, რამდენადაც ხდება მისი გადავადება. ამასთან, იქედან გამომდინარე, რომ ფულად ბაზარზე ფულადი რესურსების მოპოვებისთვის მთავრობა კონკურენციაში შედიან კერძო სუბიექტებთან საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, ხელს შეუწყობს არა ვალუტის გაუფასურებას, არამედ მის გამყარებას. მეორე შემთხვევაში, როდესაც მთავრობა სესხს ლებულობს უცხოეთიდან ის ზრდის დოლარის მიწოდებას ეროვნულ სავალუტო ბაზარზე, რაც ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის გამყარებას. რამდენადაც სარგებლის განაკვეთის ცვლილებაზე საქართველოში უცხოური კაპიტალის რეაქცია არც ისე მაღალია, ამდენად ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ამ უკანასკნელის სავალუტო ეფექტი მეტია. რაც შეეხება ეროვნული ფულის მიწოდებას, ის ამ შემთხვევაშიც ფაქტობრივად არ იცვლება, რამდენადაც როდესაც მთავრობა ყიდის უცხოურ ვალუტას ის ამცირებს ფულის მიწოდებას, რაც მაშინვე კომპენსირდება მთავრობის მიერ ფულადი სახსრების ხარჯვისას. ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიმდინარე დეფიციტური ხარჯვა ვალუტის გაუფასურებაზე მოკლევადიან პერიოდში არ აისახებოდა. თუმცა ვალუტის კურსის მდგომარეობაზე მოქმედებს ის თუ როგორია საგარეო ვალის აღებისა და დაფარვის დინამიკა, თუ რის ხარჯზე იფარება

ადრე აღებული საგარეო ვალდებულებები. როდესაც უცხოური დავალიანება იფარება საშინაო რესურსების ხარჯზე მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე იზრდება რაც ზენოლას ახდენს ვალუტის კურსზე გაუფასურების თვალსაზრისით მოკლევადიან პერიოდში. თუ ის იფარება ახალი უცხოური სესხების აღების საშუალებით უცხოური ვალუტის მიწოდება იზრდება, ხოლო ეროვნულ ვალუტის – მცირდება, შედეგად ეროვნული ვალუტა მყარდება ასევე მოკლევადიან პერიოდში.

2014 წელს საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 638,9 მლნ. ლარი, ხოლო საშინაო ვალდებულებების დასაფარავად დაიხარჯა – 140,2 მლნ. ლარი. ამავე წელს ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხების სახით აღებულ იქნა 525,14 მლნ. ლარი (მსოფლიო ბანკიდან 92,2 მლნ. დოლარი, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან 355,3 მლნ. ლარი). ანუ მთავრობამ საგარეო ვალის მომსახურებაზე დახარჯა იმაზე მეტი ვიდრე სესხად აიღო უცხოეთიდან, რაც გარკვეულწილად ნეგატიურად აისახებოდა ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე.

არსებობს მოსაზრება, რომ გაუფასურების მიზეზს წარმოადგენს ბიუჯეტის არაპროპორციული ხარჯვა. მართალია წლის ბოლოს (განსაკუთრებით დეკემბრის თვეში), როგორც წესი, ხარჯები ყოველთვის აჭარბებდა მის საშუალო წლიურ მაჩვენებელს, თუმცა მისი ვალუტის კურსზე ზემოქმედება საკმაოდ მოკლევადიანი იყო და მასშტაბურ დევალვაცია არ გამოუწვევია (მაგალითად 2011 წლის დეკემბრის თვეში ხარჯები საშუალო წლიურ ხარჯებს აჭარბებდა 2,09-ჯერ, 2012-ში – 1,5-ჯერ, 2013-ში – 1,87-ჯერ, 2014-ში – 1,79-ჯერ). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის ბოლოს მიმდინარე დევალვაციის ფონზე სახელმწიფო ხარჯების გაზრდას შემდგომი გაუფასურების პროვოცირება შეიძლება გამოეწვია.

მასშტაბური გაუფასურების ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ აგრეთვე არასწორ მონეტარულ პოლიტიკას. ვიდრე განვაზოგადებდეთ მოცემული მოსაზრებას, მოკლედ მიმოვიხილოთ მონეტარული პოლიტიკის თავისებურებები უცხოეთსა და საქართველოში.

ცივილიზებულ მსოფლიოში ფულად-საკრედიტო რეგულირებასთან დაკავშირებით არსებობს შემდეგი ზოგადი ტენდენციები: სახელმწიფოს მაკროეკონომიკური როლი ვლინდება ფულად-საკრედიტო და ფინანსური (საბიუჯეტო) პოლიტიკის საშუალებით; ფულად-სა-

კრედიტო პოლიტიკის საბოლოო მიზანია ეკონომიკური ზრდის, სრული დასაქმების, ფასების სტაბილურობისა და საგადასახდელო ბალანსის მდგრადობის მიღწევა (რაც თავისთავად ვალუტის კურსის სტაბილურობის სანინდარია). შუალედური მიზნობრივი ორიენტირება – ფულადი მასა, საპროცენტო განაკვეთი და გაცვლითი კურსი; მონეტარული პოლიტიკის ირიბ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება: სააღრიცხვო (რეფინანსირების) განაკვეთის ცვლილება, მინიმალური რეზერვების მოთხოვნის ცვლილება და ოპერაციები ღია ბაზარზე. პირდაპირი ინსტრუმენტებია: დაკრედიტების ლიმიტირება და საპროცენტო განაკვეთის პირდაპირი რეგულირება. აგრეთვე გამოიყენება სავალუტო რეგულირების მექანიზმიც; ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გადამცემი მექანიზმი ასეთია: ფულად საკრედიტო პოლიტიკის ცვლილება მოქმედებს კომერციული ბანკების რეზერვებზე და ლიკვიდობაზე, შედეგად იცვლება ფულის მიწოდება, რაც ცვლის სარგებლის განაკვეთს ფულად ბაზარზე, ამ უკანასკნელის დინამიკაზე რეაგირებს ერთობლივი მოთხოვნა (განსაკუთრებით საინვესტიციო დანახარჯები), პასუხად იცვლება გამოშვების მოცულობა, დასაქმება ფასების საერთო დონე და სხვ.; ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია, მაგრამ ის და მთავრობა თანამშრომლობენ ერთმანეთთან ეკონომიკისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს სფეროებში.

საქართველოში კი გვაქვს ასეთი რეალობა: ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია ინფლაციის თარგეთირება. ეროვნულ ბანკის სამიზნე მაკროეკონომიკური მაჩვენებელია ინფლაციის გეგმიური დონეზე შენარჩუნება და მისთვის მეორეხარისხოვანია: მაღალი ეკონომიკური ზრდის, საგადასახდელო ბალანსის მდგრადობის, ვალუტის კურსის სტაბილურობისა და სხვა ფუნდამენტური მაკროეკონომიკური მიზნების მიღწევა. გაცვლითი კურსის დინამიკაზე კი ის რეაგირებს მხოლოდ გაუფასურებიდან გამოწვეული იმპორტირებული ფასების ცვლილების ინფლაციაზე გადაცემის რისკიდან გამომდინარე; ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტებია: მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი, ღია ბაზრის ოპერაციები, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, სავალუტო აუქციონები და სხვ.; ფისკალური და მონეტარული ორგანოები რბილად რომ ვთქვათ ნაკლებად თანამშრომლობენ ერთმანეთთან სტრატეგიული

ეკონომიკური ამოცანებისა და პრობლემების გადაჭრის უზრუნველსაყოფად.

ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს რეფინანსირების განაკვეთი. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2012 წლის დასაწყისიდან წლის ბოლომდე შემცირდა 6,5%-დან 5,25%-მდე; 2013-ში 4,75%-დან 3,75%-მდე; 2014 წლის თებერვლის დასაწყისში მან მოახდინა შერბილებული მონეტარული პოლიტიკიდან გამოსვლის დეკლარირება წელის მეორე ნახევარში ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან მიახლოების მოლოდინიდან გამომდინარე, თუმცა განაკვეთი გაზარდა მხოლოდ 25 საბაზისო (0,25%-ით) პუნქტით და ის შეინარჩუნა მთელი წლის განმავლობაში ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიუხედავად; 2015 წლის თებერვლის თვეში საგარეო შოკების ინფლაციაზე ზემოქმედების რისკიდან გამომდინარე ინფლაციის მოლოდინების ზრდის გასანეიტრალებლად მიღებული იქნა შერბილებული მონეტარული პოლიტიკიდან ეტაპობრივად გამოსვლის გადაწყვეტილება და რეფინანსირების განაკვეთი 0,5%-ით ანუ 4,5%-მდე გაიზარდა, ხოლო მაისის თვეში – 5 პროცენტამდე. ამასთან, მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხებზე საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა პლიუს 150 საბაზისო პუნქტით. ასეთმა პოლიტიკამ განაპირობა ის, რომ აუქციონით გაცემული რეფინანსირების სესხების მოცულობა 2013 წელს 2012 წელთან შედარებით გაიზარდა 45%-ით, 2014 წელს 2013 წელთან შედარებით – 48,5%-ით, 2015 წლის 5 თვეში 2014 წლის 5 თვესთან შედარებით 38%-ით. მაშინ როდესაც 2012 წელს 2011 წელთან შედარებით ის ფაქტობრივად არ გაზარდილა (შემცირდა 0,38%-ით). 2015 წლის მხოლოდ 5 თვეში 2014 მთელ წელთან შედარებით გაიჭა 1,9 მლრდ ლარით მეტი მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხები (საანგარიშო პერიოდის დანარჩენ პერიოდში მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხები უმნიშვნელოდ იცვლებოდა).

დეპოზიტური სერთიფიკატების მოცულობა 2013 წლის პირველ ნახევრამდე მუდმივად იზრდებოდა (ამ პერიოდისათვის მან შეადგინა 850 მლნ. ლარი), ხოლო მეორე ნახევრიდან მან სტაბილურად დაიწყო შემცირება (მიმდინარე წლის აპრილის ბოლოსთვის მან შეადგინა 415 მლნ. ლარი).

რაც შეეხება მინიმალური სარეზერვო მოთხოვნებს, რომელიც შეიძლება დაწესდეს, როგორც მოზიდულ ლარზე, აგრეთვე დოლარზე. სარეზერვო მოთხოვნის შემცირება უცხოური

ვალუტის დეპოზიტზე დადებითად აისახება, ხოლო ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტზე მისი შემცირება უარყოფითად აისახება ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე. სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნა ეროვნული ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე 2012 წლის დასაწყისიდან ბოლომდე შემცირდა 14,15%-დან 13,76%-მდე; 2013-ში 13,85%-დან 12,51%-მდე; 2015-ში 13,14%-დან 12,51%-მდე. მხოლოდ 2015 წელს მაღალი გაუფასურების ფონზე ეროვნულმა ბანკმა გაზარდა სარეზერვო მოთხოვნა 13,51%-დან მაისის ბოლოს 14,56%-მდე.

როგორც ვხედავთ 2013-2014 წლებში ფულადი პოლიტიკა ეროვნული ვალუტის გაუფასურების ფონზე იყო ლიბერალური, რაც გაუმართლებელი იყო, რამდენადაც ქმნიდა დისბალანსს ლარისა და დოლარის მასის თანაფარდობაში დოლარის სასარგებლოდ და ხელს უწყობდა დეველვაციური პროცესების გაღრმავებას. მხოლოდ 2015 წლიდან გაუფასურების მაღალი ტემპების შემდეგ დაიწყო ეროვნულმა ბანკმა პოლიტიკის გარკვეულწილად გამკაცრება, რაც აშკარად დაგვიანებულია.

რა თქმა უნდა იაფი ფულის პოლიტიკა ხელს უწყობდა საპროცენტო განაკვეთის შემცირებასა და საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობის ზრდას ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის. ამას მოწმობს ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დინამიკაც – 2012 წლის დასაწყისში ის შეადგენდა 22,8%-ს და წლის ბოლოსთვის შემცირდა 21,8%-მდე, 2013-ში 22%-დან – 19%-მდე, 2014-ში 18,9%-დან – 17,4%-მდე. 2015 წლის დასაწყისში ის იყო 17,4% და მაისის დასასრულს გაიზარდა უმნიშვნელოდ 17,5%-მდე. კლების ტენდენციით ხასიათდებოდა აგრეთვე დოლარით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი.

ლიბერალურ მონეტარულ პოლიტიკას, რომლის შედეგადაც იზრდებოდა ფულის მიწოდება და მცირდებოდა სარგებლის განაკვეთი ეკონომიკაში, თუ როგორი გადამცემი მექანიზმით შეიძლება ემოქმედა ვალუტის კურსზე ამაზე პასუხს გარკვეულწილად ვალუტის კურსის ფულადი თეორიები იძლევა.

საპროცენტო განაკვეთის პარიტეტის თეორიიდან გამომდინარე, ვალუტის კურსი მოკლევადიან პერიოდში დამოკიდებულია ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებზე მოსალოდნელ შემოსავლიანობაზე. ეროვნულ დეპოზიტზე შემოსავლიანობას განსაზღვრავს ეროვნული სარგებლის რეალური განაკვეთი, ხოლო

უცხოურ დეპოზიტზე შემოსავლიანობას – სარგებლის განაკვეთი უცხოეთში და ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილების მოლოდინი. ეროვნული ვალუტის გაუფასურების მოლოდინისას, სხვა თანაბარ პირობებში, შემოსავლიანობა უცხოურ დეპოზიტზე და შესაბამისად უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა იზრდება, შედეგად ეროვნული ვალუტის მიმდინარე კურსი ეცემა და პირიქით. აგრეთვე, როდესაც სარგებლის შეფარდებითი განაკვეთი ქვეყანაში მცირდება, ეროვნული ვალუტა უფასურდება და პირიქით.

მოლოდინისა და მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიებიდან გამომდინარე, ვალუტის კურსი გრძელვადიან პერიოდში ფულის მიწოდების ზრდისა და სარგებლის განაკვეთის შემცირების კვალობაზე ეროვნული ვალუტა კიდევ უფრო უფასურდება გრძელვადიან პერიოდში ფასების საერთო დონის ზრდისა და ვალუტის კურსის გაუფასურების მოლოდინიდან გამომდინარე და პირიქით.

ვალუტის საერთო თეორიის მიხედვით ვალუტის კურსის ცვლილების გრძელვადიან ტენდენციებს განსაზღვრავს ვალუტის მიმდინარე რეალური კურსი, რეალური კურსის მოსალოდნელი ცვლილება, ქვეყნებს შორის ფულის მიწოდების, პროგნოზირებადი ინფლაციისა და წარმოების რეალური მოცულობის შეფარდებითი ცვლილება.

როგორც ვხედავთ სავალუტო კურსის ყველა საბაზისო თეორია ფულის მიწოდებისა და სარგებლის განაკვეთის შეფარდებით ცვლილებას ვალუტის მიმდინარე და მომავალ კურსზე მოქმედ მთავარ ფაქტორად განიხილავს. თუმცა ფულის მიწოდებისა და სარგებლის განაკვეთის ცვლილები მოცემული გადამცემი მექანიზმით ვალუტის კურსზე ნაკლებად ახდენს ზემოქმედებას საქართველოში, რამდენადაც ქვეყნის შიგნით სარგებლის განაკვეთის ცვლილებაზე საგარეო ფინანსური ნაკადების რეაქცია სუსტია და ის ფაქტორშემქნელი არ არის.

ჩვენი აზრით, გადამცემი მექანიზმი ასეთია – სარგებლის განაკვეთის შემცირება უფრო აისახება სამომხმარებლო, ვიდრე სანარმოო სექტორზე – მნიშვნელოვნად იზრდება სამომხმარებლო მოთხოვნა (ხარჯები) და უმნიშვნელოდ – სანარმოო მოთხოვნა (საინვესტიციო ხარჯები). ეს დასტურდება საბანკო სექტორის მიერ გაცემული კრედიტების სტრუქტურადაც. მაგალითად 2013-2014 წლებში საბანკო სექტორის მიერ გაცემული მთლიანი სესხების დაახლოებით 39% საცალო პროდუქტებზე (სესხებზე) – ავტო-სესხებზე, ბინების რემონტზე,



მომენტალურ განვადებებზე, საკრედიტო ბარათებზე, ჰიპოთეკურ სესხებზე მოდის, ვაჭრობაზე – დაახლოებით 13%. მაშინ როდესაც ეკონომიკის ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორცაა: სოფლის მეურნეობა – 4,6%, ტურიზმზე – 4,1 %, ენერჯეტიკაზე – 3,2%, წარმოებაზე – 1,2% და სხვ.

ამგვარად, სამომხმარებლო კრედიტის ხელმისაწვდომობის პირობებში პირველ რიგში იზრდება სამომხმარებლო ხარჯები, რაც მაღალი საიმპორტო კვოტის პირობებში აფართოვებს იმპორტს და ზენოლას ახდენს ეროვნული ვალუტის კურსზე გაუფასურების მიმართულებით.

არსებობს მოსაზრება, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების ერთ-ერთი მიზეზია მოლოდინი. ჩვენი აზრით ეროვნული ვალუტის გაუფასურების მოლოდინი იყო ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი რამაც გამოიწვია სავალუტო ბაზარზე სპეკულაციური აქტივობის ზრდა. სწორედ მან უბიძგა საბაზრო ოპერატორებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს (მათ შორის კომერციულ ბანკებს) აქტივების, დანაზოგების ეროვნული ვალუტიდან უფრო მყარ ვალუტაში (უპირატესად დოლარში) გადაყვანისაკენ. შედეგად გაიზარდა მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე, რაცმაც ზენოლა მოახდინა ეროვნული ვალუტის კურსზე მისი გაუფასურების თვალსაზრისით. სპეკულაციური ტრანზაქციები, რომელიც ვალუტის მიმდინარე გაუფასურების ფონზე მზარდი ექსტრაპოლაციური მოლოდინების შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა, აღმოჩნდა უფრო წონადი, ვიდრე ობიექტური მიზეზები. საბოლოოდ ის იმაზე მეტად გაუფასურდა ვიდრე ეს ფუნდამენტური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად უნდა მომხდარიყო.

ადგილი რომ არ ჰქონოდა კურსზე მასობრივ სპეკულაციურ შეტევას შესაძლებელი იყო კურსის „დაჭერა“. რამდენადაც, როგორც საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, სპეკულაციური შეტევა თვითრეალიზდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ვალუტის გაუფასურების ობიექტური ფაქტორები არც ისე ძლიერია და საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დასაფარავად, ანუ კურსის შესანარჩუნებლად რეზერვები საკმარისია.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების მოლოდინი გაჩნდა სავალუტო კრიზისის განვითარებამდე და დაკავშირებული იყო კომერციული ბანკების „ქცევასთან“, კერძოდ: ბანკები ბოლო რამდენიმე წლის გან-

მავლობაში ნაკლებად იძლეოდნენ სესხებს (განსაკუთრებით შედარებით მსხვილ და საშუალოვადიან და გრძელვადიან სესხებს) ეროვნულ ვალუტაში; ბანკები დეპოზიტების დოლარიდან ლარში გადაყვანის, ხოლო სესხების ლარიდან დოლარში გადაყვანის შემთხვევაში სთავაზობდნენ შეღავათიან პირობებს და სხვა.

საბანკო სპეკულაციებზე ირიბად მიუთითებს ისიც, რომ კომერციული ბანკების საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები გაიზარდა შედარებით ზომიერი დევალვაციის პერიოდში. მაგალითად 2014 წლის დეკემბერში ბანკებმა საკონვერსიო ოპერაციებიდან 8,7 მლნ. ლარით მეტი მიიღეს 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ხოლო 2013 წლის დეკემბერში 9,5 მლნ ლარით მეტი 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. მართალია 2015 წლის იანვარ-მარტის თვეებში, ბანკების საკონვერსიო ოპერაციებიდან შემოსავლები უარყოფითი იყო (თებერვლისთვის გარდა), თუმცა ის, ჩვენი აზრით, ძირითადად დაკავშირებული იყო იმასთან, რომ კურსის მკვეთრი მერყეობების პირობებში განუსაზღვრელობა გაიზარდა. აპრილში კი, კურსი როგორც კი შედარებით დასტაბილურდა, ბანკების საკონვერსიო შემოსავლებიც გაიზარდა (23,2 მლნ. ლარამდე). მართალია მოგების ზრდა დევალვაციის ფონზე დაკავშირებულია ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების მასშტაბების ზრდასთან და მაღალ სპრედთან, თუმცა ის, ჩვენი აზრით, უმეტესწილად სპეკულაციური ოპერაციების ზრდის შედეგია.

ამგვარად, მიგვაჩნია, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიზეზი იყო არა იმდენად ობიექტური ეგზოგენური ფაქტორები – საგარეო შოკები და საგადასახდელო ბალანსთან დაკავშირებული პრობლემები, რამდენადაც სუბიექტური ენდოგენური ფაქტორები – მიმოქცევის სფეროში წარმოქმნილი დისბალანსი და დევალვაციის მოლოდინები. უფრო კონკრეტულად, დევალვაცია უპირატესად წარმოშვა მონეტარულმა ფაქტორმა, რომელიც შემდგომ გაამწვავა მოლოდინებმა, რამაც მოახდინა სპეკულაციური შეტევის პროვოცირება და ეროვნული ვალუტის შემდგომი გაუფასურება.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. A. Kireev, International Economics, M.: "Internationalrelations", 2001, 488 p.
3. <http://geostat.ge/>
4. <https://www.nbg.gov.ge/>

# ახალი აბრეშუმის გზის ქართული გამოწვევა

ზურაბ გარაყანიძე — ეკონომიკის დოქტორი,  
სტუ-ს პროფესორი  
მანუჩარ ჯაგოდისვილი — სტუ-ს დოქტორანტი

## Грузинские вызовы нового шёлкового пути

### Резюме

После распада Советского Союза российские руководители осознали, что гонка вооружений вконец истощила страну и что к тому же в их распоряжении нет достаточных ресурсов (которые, в свою очередь, необходимы для любой промышленно развитой страны). США, напротив, добились устойчивого экономического роста: Вашингтон без особого труда решал внешнеполитические задачи, используя богатые месторождения нефти. По этой причине Россия, в свою очередь, решила обеспечить себе доступ к энергетическим ресурсам — как нефтяным, так и газовым. Понимая, что нефтяной сектор не имеет в России особых перспектив для развития, Москва сосредоточилась на газе — его производстве, транспортировке и экспорте.

Начало этому было положено в 1995 году, когда российское руководство поставило перед «Газпромом» новую амбициозную задачу: не ограничиваться своими собственными месторождениями газа и завоевывать себе позиции на газовых месторождениях Азербайджана, Центральной Азии, Ирана, Европы и Ближнего Востока. В Европе запасы природного газа ограничены — на нее приходится меньше 5% совокупных мировых газовых ресурсов. В настоящее время европейский газовый рынок переживает структурные изменения, порождаемые процессом либерализации благодаря возникновению торговли на спотовом рынке. Крупнейшими производителями газа в ЕС являются Нидерланды, Норвегия и Великобритания.

Цель новых инициатив Путина — проектов «Северный поток» и «Турецкий поток» — повысить роль России на международной арене и оказывать более сильное монополистическое давление на ЕС, который на протяжении нескольких следующих десятилетий будет сильно зависеть от российского газа. В противовес этим инициативам направлен проект «Новый шелковый путь — экономический пояс».

**საკვანძო სიტყვები:** ევროკავშირი, ჩინეთი, საქართველო, დერეფანი, ნავთობსადენი, გაზსადენი, რკინიგზა.

## შესავალი

ჩინეთის პრეზიდენტის ფუ ძინტაოს მიერ 2011 წელს ინიცირებული პროექტის „ახალი აბრეშუმის გზა — ეკონომიკური სარტყელი“ სახმელეთო მონაკვეთის საქართველოზე გავლა ქვეყანას სერიოზულ გეოეკონომიკურ სარგებელს „უქადის“. თუმცა, ამ ეტაპზე ეს პროექტი გარკვეული გამოწვევების წინაშე დგას, რაც განსახილველია ა/წლის ოქტომბრისთვის დაგეგმილი „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ჩატარებამდე. ამასთან, ინფრასტრუქტურული უსაფრთხოების ანალიზი, თავისი უწყებათაშორისი ბუნებიდან გამომდინარე, ეროვნული უშიშროების საბჭოს (ეუს) ეგიდით უნდანარიმართოს. საკმარისია აღინიშნოს, რომ აშშ-ს, ევროკავშირის და დსთ-ს წევრი ქვეყნების ეროვნული უშიშროების საბჭოებში ყველაზე დიდი სტრუქტურული ქვედანაყოფები სწორედ არასამხედრო უსაფრთხოების სამსახურებია. საქართველოში ასეთი ფუნქცია არც ეუს-ს და არც კრიზისების მართვის საბჭოს არ გააჩნია. საქართველოს გეოეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოდგენილ მასალაში საქართველოს მილსადენებისა და რკინიგზის ინფრასტრუქტურას და მათს უსაფრთხოებაში ეუს-ს აპარატის როლს განვიხილავთ.

**ახალი აბრეშუმის გზის გეოეკონომიკა** (ინფრასტრუქტურული კვაზიუსაფრთხოების დოქტრინის კრახი) საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ასოცირების ხელშეკრულების“ გაფორმებით წარმოქმნილი ახალი რეალიების გათვალისწინებით, საქართველოს პირველად მიეცა შესაძლებლობა რეალურად ჩაერთოს გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებში. ეს ამოცანა შესაძლებელია წარმატებით გადაიჭრას ევროპა-აზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სივრცის — ახალი აბრეშუმის გზის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ქვეყნის გეოეკონომიკური ინტერესების ჰარმონიზაციის პირობებში.

მე-20 საუკუნეში საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა გამოყენებული იყო, როგორც მხოლოდ სატრანზიტო სავაჭრო კვანძი, კავკასიის დამაკავშირებელი რგოლი ევროპასა და აზიას შორის. გასული საუკუნის ბოლოდან კასპიისპირეთში ენერგომატარებლების ფართომასშტაბიანმა მოპოვებამ და ტრანზიტმა: ა) ერთის მხრივ, უზრუნველყო საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური და ფინანსური უსაფრთხოება; ბ) მაგრამ მეორეს მხრივ, სტაბილური ექსპორტისათვის, განსაკუთრებით

2008 წლის რფ-საქართველოს ომის შემდეგ, საჭირო გახდა ამ ქვეყნების სამხედრო და სატრანსპორტო-საკომუნიკაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დღეს ეს საკითხი ისევ აქტუალურია.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომამდე ექსპერტების უმეტესობა თვლიდა, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საქართველოს უსაფრთხოებას მასზე გამავალი სატრანსპორტო კომუნიკაციები, განსაკუთრებით „საუკუნის პროექტები“ უზრუნველყოფდნენ. მიჩნეული იყო, რომ ამ პროექტებით ქვეყანას ეძლევა შანსი, აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში. ამიტომ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი პირობა იყო.

ამ დოქტრინას შეიძლება „ინფრასტრუქტურული კვაზიუსაფრთხოება“ უწოდოთ. ამის მიზეზი ისაა, რომ მთავრობის მიერ იგნორირებული იყო ამ ინფრასტრუქტურაზე მოქმედი საგარეო ფაქტორები. სწორედ მათი აქტუალიზაციისაკენ უნდა იქნას მიმართული საქართველოს ინიციატივა „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ დაარსების შესახებ. ამ ფაქტორების ანალიზის შედეგი იქნება ჩვენი ქვეყნის რეალური ინფრასტრუქტურული უსაფრთხოება.

საინტერესოა, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსული ჯარებიდან, სავარაუდოდ, დასავლეთზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისათვის, ვითომდა არაზუსტად ნასროლი რამდენიმე ჭურვი და რაკეტა აფეთქდა საქართველოზე გამავალი სამხრეთის ენერგოდერეფნის მილსადენების უშუალო სიახლოვეს. ასევე ცნობილია, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსული არმია, დაახლოებით 25 კმ-იანი ფრონტით მოადგა საქართველოში გაყვანილ მილსადენებს. მან ასევე დაიპყრო შავი ზღვის ფოთისა და ყულევის პორტები. თუმცა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-სუფსას ნავთობსადენები და „სამხრეთკავკასიური გაზსადენი“, რომლებიც რუსეთის შემოჭრამდე თურქეთში ტერორისტების თავდასხმის მიზეზით იყვნენ გაჩერებული, — საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ მალევე ამოქმედდნენ. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტმა დაგვანახა, რომ ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ სიცოცხლისუნარიანობა არა „ინფრასტრუქტურულ კვაზიუსაფრთხოებაზე“, არამედ შავი ზღვისპირეთში რეგიონალურ უსაფრთხოებაზეა დამოკიდებული.

ამით რუსეთმა დასავლეთს თითქოს აგრძნობინა, რომ საქართველოს ევროატლანტიკური სტრუქტურებში მისწრაფების მიუხედავად, მისი ინფრასტრუქტურა სრულიად მოწყვლადია. საბოლოო ჯამში, თუ 2008 წელს პირდაპირი სამხედრო აგრესიით რუსეთმა ვერ შეძლო „დერეფნის“ რომელიმე პროექტის ჩაშლა, 2013 წელს მან მოახერხა ჯერ გლობალური, პა-

ნევროპული „ნაბუქოს“, ხოლო 2014 წელს ყირიმის ანექსიით – აზერბაიჯანი-საქართველო-უკრაინის მარშრუტის „თეთრი ნაკადის“, ოდესა-ბროდი-პლოცკი-გდანსკის და AGRI (LNG)-ს პროექტების შეფერხება.

ჯერ კიდევ 2013 წლის სექტემბერში, ტელეკომპანია „ტაბულას“ და apsny.ge-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციებით, საქართველოში საოკუპაციო გამყოფ ხაზთან, გორის რაიონის სოფ. ყარაფილაში, ოკუპირებულ სოფ. ორჭოსანსა და ქართული მხარის კონტროლირებად სოფ. ფერმას შორის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მხარე საზღვრის დაფიქსირებას აპირებს ბაქო-სუფსას მილსადენის გადაკვეთით. ბოლო პერიოდში ასეც მოხდა. ამან გამოიწვია ამ მილის 1600 მ მონაკვეთის ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხვედრა, რაც სავარაუდოდ ოპერატორი კომპანიის - -ის, აგრეთვე „შაჰდენიზისა“ და AIOC-ის დანარჩენი დასავლელი აქციონერების მხრივ საინვესტიციო სტიმულებს დაასუსტებს.

დღეისათვის რეგიონში დისლოცირებულია რფ-ს 149-ე და 153-ე არმიები, რომლებიც საბრძოლო მზადყოფნაში არიან. რუსი სამთავრობო ექსპერტების ნაწილი არ ფარავს, რომ რუსები შეეცდებიან მილსადენების გადაკვეთით „გაჭრან“ დერეფანი სამხრეთ ოსეთიდან, ბორჯომის გავლით ჯავახეთში, რათა გიუმრისთან დამყარდეს სახმელეთო სატრანსპორტო კავშირი. ასევე, რუსეთი ძალის დემონსტრირებისა, და სავარაუდოდ, გიუმრის ბაზასთან დასაკავშირებლად, სახმელეთო სამხედრო ოპერაციას განახორციელებს სირიაში კონფლიქტის ესკალაციის შემთხვევაშიც. სომხურმა მხარემ, რომელიც რუსეთისა და ირანის სტრატეგიული მოკავშირეა და რომელიც სატრანსპორტო-ინფრასტრუქტურული პროექტების მიღმა დარჩა, არაერთხელ განაცხადა, რომ შეუძლია დაბომბოს მილსადენები და სხვა სატრანსპორტო კომუნიკაციები. ანალოგიურად, ირანის ხელისუფლებამაც რამდენჯერმე ხაზი გაუსვა, რომ დასავლეთის მხრიდან მასზე სამხედრო შეტევის შემთხვევაში, ის კასპიის საზღაოებსა და მილსადენებს დაარტყამს. მეტიც, 2008 წელს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და 2010 წელს გიუმრის ბაზის მოქმედების ვადის 49 წლით გახანგრძლივების შესახებ რუსეთ-სომხეთის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ (რეატიფიცირებულია 2011 წელს), რუსი ექსპერტები ღიად აცხადებენ, რომ „რუსეთი დაბრუნდა კავკასიაში“, — გიუმრის რუსულ ბაზას სომხეთის „სასიცოცხლო ინტერესების დაცვა“ დაევალა.

სამხრეთ კავკასიაში გამავალ მილსადენების ინფრასტრუქტურას არაერთხელ დამუქრა სომხეთიც, სადაც TRACECA-ს ინფრასტრუქტურის სიახლოვეს, რუსეთი ახალი სამხედრო ბაზის აგებას აპირებს. ასევე, საფრთხე მომდინარეობს ყარაბაღის ოკუპირებული ტერი-

ტორიებიდან, სადაც სომხური ფორმირებები TRACECA-ს სატრანსპორტო კომუნიკაციებიდან სულ რაღაც 14-16 კმ-ით არიან დაშორებული.

დღემდე რუსეთ-სომხეთის სახმელეთო გზის არარსებობის გამო, მოსკოვის მოკავშირე სომხეთში არსებული რფ-ს გიუმრის სამხედრო ბაზის ერთ-ერთ მოვალეობად, მეზობელი ქვეყნებზე ძალისმიერი ზემოქმედების გარდა, რჩება დასავლური ენერგომარშრუტების დესტაბილიზაცია. ვანაძორში და იჯევანში, სომხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრებთან, რუსეთი გეგმავს მეორე ბაზის გახსნასაც (მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები). ამ ბაზიდან უშუალო მუქარა შეექმნება სატრანსპორტო-ენერგეტიკულ პროექტებს აზერბაიჯანსა და საქართველოში. ამიტომ, მომავალი ბაზის მანევრულობას ერევანი და მოსკოვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ ბაზაზე იგეგმება საშუალო დიპაზონის რადიოსალოკაციო სადგურის აგება, რამაც მეზობელი ქვეყნების სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ობიექტების თავზე საჰაერო სივრცე უნდა გააკონტროლოს. ბაზაზე გიუმრიდან, სავარაუდოდ, გადასროლილი იქნება ორი საზენიტო-სარაკეტო პოლკი 500 სამხედრო მოსამსახურით.

აღნიშნული საფრთხეების გასანეიტრალებლად საჭიროა დაბალანსებული სატრანსპორტო პოლიტიკის გატარება. კერძოდ, ახალი აბრეშუქის გზის ერთ-ერთი დანიშნულება 2016 წლიდან, როდესაც „ნატო“ ავღანეთიდან ტვირთის გამოტანას დაიწყებს, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ზემოაღნიშნული საფრთხეებიდან დაცვაც იქნება. **მიგვაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტთან, ეროვნული უშიშროების საბჭოში, უნდა დამუშავდეს ახალი გეო-ეკონომიკური მიდგომა.** ეკონომიკის სამინისტროში კი, სატრანსპორტო დერეფნის სამმართველოსთან შეიქმნას მარკეტინგული ჯგუფი, რომელიც იმუშავებს გადამზიდავებთან და ექსპედიტორებთან, რათა სატარიფო და არასატარიფო ბარიერების შეზღუდვით გაადვილდეს მათი ოპერირება.

თავის მხრივ, „ნატოსთვისაც“ პრიორიტეტულია ავღანური ტვირთებისთვის დივერსიფიცირებული გზები. საქართველოს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, შეუძლია გაატაროს ეს ტვირთები, რაც ქვეყანას გარკვეულ შემოსავალს მოუტანს. საქართველო შესთავაზებს „ნატოს“ ავღანეთიდან ჯარისკაცებისა და ტვირთის გადმოზიდვის უმოკლეს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით. სავარაუდოდ „ნატო“ აუცილებლად გამოიყენებს საქართველოს შეთავაზებას, რადგან მას ავღანეთში წლების მანძილზე დაგროვილი უზარმაზარი ტვირთის უკუტრანზიტის არაერთი გზა ესაჭიროება, და ამასთან, სახმელეთო გადაზიდვა, საჰაეროსთან შედარებით გაცილებით იაფი ჯდება.

ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, ავღანეთიდან გადმოსაზიდი ტვირთის ნაწილი შესაძლოა საქართველოშიც დარჩეს. ეს მაგალითად, შესაძლოა იყოს საგზაო ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალებები, თუ სხვადასხვა სახის ლოგისტიკური ინვენტარი. ამ პროცესში ჩართვა საქართველოს მეტ უსაფრთხოებას მოუტანს. ამ ტვირთს, გარდა იმისა, რომ სამოქალაქო მომსახურება სჭირდება, ასევე ესაჭიროება გარკვეული უსაფრთხოების გარანტიები, და შესაბამისად, განხორციელებს ზენოლა ნებისმიერ ქვეყანაზე, რომელიც დაემუქრება საქართველოს. მნიშვნელოვანია, რომ როგორც ავღანეთის საშვიდობო მისიის პარტნიორი ქვეყანა, საქართველო დაფიქსირდება ასევე ISAF-ის სატრანსპორტო გადაზიდვებში მონაწილეობითაც. ამასთან, შეთანხმება ისე უნდა გაფორმდეს, რომ მომავალში ის გამოყენებულ უნდა იქნეს ეკონომიკური მიზნებისათვისაც. **მიგვაჩნია, რომ ამ საკითხებზეც ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი უნდა მუშაობდეს.**

**ნავთობის ინფრასტრუქტურის გამონევეტი.** ჯერ კიდევ 2009 წელს აზერბაიჯანის ხელისუფლება ირწმუნებოდა, რომ 2015 წლისათვის რესპუბლიკაში ნავთობის წარმოება ყოველწლიურად 60-65 მლნ ტონას მიაღწევდა, რაც საექსპორტო მილსადენებს სრულად შეავსებდა. თუმცა, 2010 წლის III კვარტალში ქვეყანაში ნავთობის მოპოვების პიკის მიღწევის შემდეგ (ამ წელს მოპოვებული იქნა 50.83 მლნ ტონა ნავთობი), შეინიშნება ამ მაჩვენებლის კლება. კერძოდ, 2011 წელს აზერბაიჯანში ნავთობის მოპოვებამ 45.3 მლნ ტონა შეადგინა, ნაცვლად საპროგნოზო 51.4 მლნ ტონისა; 2012 წელს – 43.9 მლნ ტონა, ნაცვლად 46 მლნ ტონისა; 2013 წელს დაგეგმილი იყო ნავთობისა და გაზის კონდენსატის მოპოვება 43.2 მლნ ტონის ოდენობით. აზერბაიჯანის სახელმწიფო სტატისტიკური კომიტეტის მონაცემებით, შემცირების ტრენდი 2013-2014 წლებშიც შენარჩუნებული იყო. და ეს ხდება ახალი ჭაბურღილების ბურღვის, შეღებუ ახალი პლატფორმების დადგმისა და ნანოტექნოლოგიების დაწერვის, ანუ ინვესტირების პირობებში.

შედეგად, სახეზეა საქართველოდან ნავთობის რეექსპორტის კლება. კერძოდ, 2012 წელს ექსპორტის მოცულობა წინა წლის ექსპორტზე 7.5%-ით ნაკლები იყო: თუ 2011 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით განხორციელდა 32.2 მლნ ტონა ნავთობის ტრანსპორტირება, 2012 წელს ამ მაჩვენებელმა 29.67 მლნ ტონა შეადგინა. ეს ტენდენცია 2013 წელსაც გაგრძელდა. ამავე დროს, 2013 წლის იანვარ-ნოემბერში ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენით 1.6 მლნ ტონა ნავთობი იქნა გადატვირთული, რაც გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს 13.7%-ით ჩამორჩება; ბაქო-სუფსას ნავთობსადენით გადაიტვირთა 2.5 მლნ ტონა ნედლეული, რაც 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემზე 3.7%-ით ნაკლებია; 2013

ნელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანით 8.6 მლნ ტონა თურქმენული ნავთობის ტრანსპორტირების დაწყებამ პოზიტიურად ვერ შეცვალა სიტუაცია და ამ მილით სულ 18.3 მლნ ტონა ნავთობი გაიგზავნა, რაც 2012 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე 1.4%-ით ნაკლებია. პოზიტიურად ვერ შეცვალა მდგომარეობა 2014 წელს ამ მილით 4 მლნ ტონა ყაზახური ნავთობის დამატებით ტრანსპორტირებამაც.

გარდა კასპიისპირეთიდან საქართველოს გავლით გადასაზიდი ნავთობის მოცულობის შემცირებისა, არსებობს ე.წ. ინსტიტუციური რისკიც. კერძოდ, თუ თენგიზიდან (ყაზახეთი) ნოვოროსიისკამდე (რუსეთი) მხოლოდ რკინიგზაა ნავთობის სატრანსპორტო კომპონენტი, საქართველოზე გამავალი მარშრუტი გაივლის ყაზახეთის რკინიგზას და საპორტო ტერმინალებს, შემდეგ კასპიის სანაოსნოს ბორანს, აზერბაიჯანულ საპორტო ტერმინალებს, აზერბაიჯანის რკინიგზას, საქართველოს რკინიგზას და საქართველოს საპორტო ტერმინალებს. შედეგად ვიღებთ ექვსკომპონენტიან საქსპორტო მარშრუტს, რომლის ჯამური ტარიფი, რა თქმა უნდა, რუსულზე მაღალი გამოდის.

ამასთან, რეგიონში ჩვენი გეოეკონომიკური კონკურენტი, რუსეთი, ახორციელებს დივერსიფიცირებულ სატარიფო პოლიტიკას. ამაში მას ხელს უწყობს დიდი ტერიტორია, რაც დამადაბლებელი კოეფიციენტების გამოყენების საშუალებას იძლევა; ს/ს „რუსეთის რკინიგზების“ (РЖД) ხელშია შავი ზღვის ნავმისადგომების, სხვადასხვა სათავსოების (დაჭირბული/ გათხევადებული გაზის, ნავთობ-ქიმიური ტვირთების და ა.შ.) და მოძრავი შემადგენლობის უმეტესობა. მას გააჩნია მძლავრი კვლევითი ცენტრი, რომელიც მხოლოდ საკუთარი ტარიფების კონკურენტუნარიანობას იკვლევს; ერთი მესაკუთრის, РЖД-ს მიერ, სხვადასხვა ბერკეტების გამოყენება შესაძლებელს ხდის РЖД-ს ტარიფის შემცირებას.

რუსეთისაგან განსხვავებით საქართველოში არ არსებობს „რკინიგზის განვითარების სტრატეგია“. რომელშიც დარგის განვითარების ძირითადი მიმართულებები იქნება გამოყოფილი. კერძოდ, ახალი არეალის ათვისება, დამატებითი ფრახტის მოზიდვა, რაც თავისთავად გაზრდის ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციას. „სტრატეგია“ თავისთავად გულისხმობს რკინიგზის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას. არსებობს სხვა პრიორიტეტებიც, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება ერთ მთავარ მიზანს – გაზარდოს ახალი აბრეშუქის გზის, სატრანზიტო მაგისტრალის გეოეკონომიკური კონკურენტუნარიანობა და ის უფრო მიმზიდველი გახდეს სხვა დერეფნებთან მიმართებაში. **მიგვაჩნია, რომ ამ საკითხების უწყებათაშორის კოორდინაციას ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი უნდა ახორციელებდეს.**

**გაზის ინფრასტრუქტურის გამონვევები.** რუსეთის მიერ 2014 წლის მარტში ყირიმის

ანექსიის და 2014 წლის ნოემბრის ბოლოს აფხაზეთთან ე.წ. მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების გაფორმების შედეგად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტები. კერძოდ ისინი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტისათვის გამოყენებას გულისხმობენ. ამ „დერეფანს“ დასავლეთი უნდა „ერთ მუშტად შეეკრა“ და ის რუსულ ენერგომატარებლებზე საბედისწერო დამოკიდებულებისაგან ეხსნა, მაგრამ რუსეთის მიერ ყირიმის და აფხაზეთის ფაქტობრივი ანექსიით საფრთხე დღეს სწორედ „დერეფანს“ შეექმნა. **მიგვაჩნია, რომ უწყებათაშორისი ხასიათიდან გამომდინარე, ამ საკითხებზეც ეროვნული უშიშროების საბჭო უნდა მუშაობდეს.**

საქმე ის არის, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე გაეროს ნევრი სახელმწიფოები მიერთებულნი არიან გაეროს 1982 წლის „საზღვაო კონვენციას“ (UN Maritime Convenciaon), რომლითაც დადგენილია 12 საზღვაო მილიანი ტერიტორიული წყლები და 200 მილიანი განსაკუთრებული საზღვაო ეკონომიკური ზონები. შავი ზღვის ნაგრძელებული გეომეტრიის გამო, მისი ჩრდილოეთ-სამხრეთის ნაპირები ჯამში 400 მილს ვერ აღწევს. ამიტომ, ამ ზღვაზე განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონად არაა 200 მილი, არამედ ქვეყნებს შორის თანაბრად დაშორებული ხაზი, ანუ „მოდიფიცირებული მედიანა“ ითვლება და ზღვას ე.წ. ნეიტრალური წყლები არ გააჩნია.

ყირიმის და აფხაზეთის ანექსიამდე უკრაინასა და თურქეთს განსაკუთრებული ზონების ყველაზე დიდი სეგმენტები ჰქონდათ. სწორედ ამის გამო, უკრაინის გვერდის ამქცევი რუსული „სამხრეთის ნაკადის“ ნოვოროსიისკი-ვარნას საზღვაო სექციის გასაყვანად რუსეთი, მთელი რიგი დათმობების ფასად, თურქეთს 2009 წელს შეუთანხმდა. ამჟამად იმავე თემაზე მოლაპარაკებები „თურქული ნაკადის“ ირგვლივ მიმდინარეობს.

მართალია მოსკოვის ქმედებები არალეგიტიმურია, მაგრამ ყირიმის და აფხაზეთის ანექსიის შედეგად ბუნებრივია, მარშრუტის ასეთი ცვლილება აღარ იქნება აუცილებელი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შავ ზღვაში განსაკუთრებული ზონა უკრაინას ყირიმის სამხრეთით, და საქართველოს აფხაზეთის სანაპიროსთან, უბრალოდ აღარ ექნება.

საქმე ისაა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ევროპის ენერგობაზარზე რუსეთი თავის „ენერგეტიკულ იარაღს“ საქართველოში შემოჭრაზე კრიტიკის შესამცირებლად იყენებდა. ამიტომ, 2008 წლის ნოემბერში ბრიუსელმა „ევროკავშირის მეორე ენერგორევიუ – ენერგოუსაფრთხოებისა და სოლიდარობის სამოქმედო გეგმა“ დაამტკიცა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იქმნება ევროკავშირის ნევრი ქვეყნების ურთიერთდაკავშირებული მილსადენების სისტემა, ე.წ. „ტრანსევროპული

ქსელი“ (TEN). ამავე დროს განისაზღვრა წევრი ქვეყნების „თამაშის საერთო წესები“ ენერგო-პროექტების ირგვლივ მესამე მხარესთან მოლაპარაკებებში, ანუ შეიქმნა „საერთო ინტერესების პროექტების“ (PCI) ისეთი მექანიზმი, რომელიც წევრ ქვეყნებს ბრიუსელთან შეუთანხმებლად უკრძალავს ენერგომომარაგებისა და ტრანზიტის ხელშეკრულებების გაფორმებას.

ამის შემდეგ, 2009 წლის 8 მაისს ევროკავშირის პრადის სამიტზე, მიიღეს ისტორიული დოკუმენტი „სამხრეთის დერეფანი – ახალი აბრეშუქის გზა“, რომელშიც კასპიისპირეთისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ერთად, საქართველოც მოიაზრება. ამ დოკუმენტით განისაზღვრა ოთხი სტრატეგიული პროექტი: „ნაბუქო“, „ინტერკონექტორი თურქეთი-საბერძნეთი-იტალია“ (ITGI), „ტრანსადრიატიული გაზსადენი“ (TAP) და „თეთრი ნაკადი“ (White Stream). სწორედ ეს უკანასკნელი პროექტი დაზარალდა ყველაზე მეტად ყირიმის და აფხაზეთის ანექსიის შედეგად, რადგან ის საქართველო-უკრაინა(ყირიმი)-რუმინეთის მარშრუტს გულისხმობს და ევროკავშირისთვისაც, სხვა პროექტებთან შედარებით, უფრო მომგებიანია. „დერეფნის“ დარჩენილი სამივე პროექტი გულისხმობს „მაჰდენიზის“ გაზის საქართველოზე გამავალი „სამხრეთკავკასიური გაზსადენი“ (SCP) და თურქეთის ტერიტორიაზე დაპროექტებული „ტრანსანატოლიური გაზსადენი“, TANAP-ით ევროპაში ტრანზიტს.

ექსპერტები, ევროზონის ფინანსური პრობლემების ფონზე, არ გამოორიცხავენ „დერეფნის“ პროექტების გათვალისწინებით, მათ სხვადასხვა ფორმით ტრანსფორმაციას, რომელთა პროექტებიც ეროვნული უშიშროების აპარატის ეგიდით უნდა განიხილებოდეს.

ერთ-ერთი ასეთი ტრანსფორმაციული იდეაა ევროპული და რუსული გაზსადენების გაერთიანება ფინანსური უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად. ეს საკითხი პირველად 2010 წლის დასაწყისში დაისვა. 2011 წლის 10 იანვარს, ის კვლავ წამოჭრა აშშ-ს ელჩმა იტალიაში დ. ტორნმა. სამწუხაროდ, საქართველოში ამ პროექტზე მსჯელობა თითქმის არ ყოფილა.

ამგვარი გაერთიანების იდეას რუსეთში მართალია ღიად უარყოფდნენ, მაგრამ კულუარული ინფორმაციით, „სამხრეთის ნაკადის“ შეჩერებამ შეიძლება გარკვეული როლი ითამაშოს და „გაზპრომი“ აიძულოს, რომ უკრაინული გაზის ქსელის გვერდის ამქცევ სხვა მარშრუტზე დაიწყოს ფიქრი, ან ევროპულ ბაზარზე თავისი გაზი გაცილებით ნაკლებ დანახარჯიანი, მარშრუტით გადაგზავნოს. ამ პროექტებიდან უკრაინასთან, მხოლოდ ყველაზე ნაკლებად დამუშავებული, ჯერ იდეის დონეზე არსებული, „თეთრი ნაკადი“ ასოცირებული. თანაც, უკრაინის გაზის ქსელის გამ-

ტარუნარიანობა შეზღუდულია. ექსპერტების გათვლებით, უკრაინაზე ტრანზიტის გაზზე ევროპის მზარდ მოთხოვნას, სრულად ვერ დააკმაყოფილებს. ამიტომ, პროექტების არა უკრაინის საშუალებით, არამედ სხვა ფორმატში გაერთიანებას, ახლა რუსეთმა შეიძლება დაუჭიროს მხარი. ექსპერტულ წრეებში უკვე გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ შეიძლება მოსკოვში ევროპული „დერეფნის“ გაზსადენებთან რუსული აირის დაკავშირების ადგილის მოძიება დაიწყოს.

დღევანდელ პირობებში, ადგილი სადაც რუსეთის და კასპიისპირეთის გაზის დასაყვლური მარშრუტები იკვეთება, არის საქართველო. კერძოდ, საქართველოში გადის „ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი“, რომელიც რუსეთის ქ. მოზდოკიდან საქართველოს ტერიტორიით სომხეთს უკავშირდება. ის გარდაბანსა და ჯანდარას შორის კვეთს „სამხრეთკავკასიურ გაზსადენს“ (SCP), რომლითაც ამჟამად „მაჰ-დენიზის“ პირველი სტადიის გაზი არა მარტო თურქეთს, არამედ მისი გაზის ქსელით, ევროკავშირის წევრ ქვეყანას, — საბერძნეთსაც მიენოდება. SCP გაზსადენიდან საქართველო, სატრანზიტო მოსაკრებლის სახით, გატარებული გაზის 5%-ს იღებს უფასოდ, 5%-ს — შეღავათიან ფასად.

„მაგისტრალური გაზსადენი“, ორი დაწყებული მილისგან შედგება, — ძირითადი მილის დიამეტრია 1200 მმ, ხოლო სათადარიგოსი, — 700 მმ. დღეს ამ გაზსადენის ძირითადი მილით გაზი სომხეთს მიენოდება, ვინაიდან საქართველო 2007 წლიდან „მაჰ-დენიზი 1“-ის გაზით მარაგდება.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, ეს გაზსადენი, საპროექტო სიმძლავრესთან შედარებით (წლიურად 18 მლრდ კუბმეტრი), გაცილებით ნაკლები დატვირთვით (1.93-1.44 მლრდ კუბმეტრი) მუშაობს. თუმცა, საბჭოთა პერიოდშიც, მისი დატვირთვა არ აჭარბებდა წლიურად 9.5 მლრდ კუბმეტრს. ამჟამად, „მაგისტრალური გაზსადენიდან“ ტრანზიტის საფასურად „საქართველოს გაზისა და ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია“ იღებს გატარებული რუსული გაზის 10%-ს, რაც 2008-2014 წლებში 193-144 მლნ კუბმეტრის ფარგლებში მერყეობდა. ეს კი საქართველოს გაზის მოხმარების 11.2-11.0%-ია.

სომხეთის კონტროლის პალატის 2009-10 წწ. ენერგო-სისტემის შემონახვის მასალებიდან ირკვევა, რომ სომხეთში იმპორტირებული ირანული გაზის ნაწილი საქართველოსაც მიენოდება, რის სანაცვლოდაც სომხეთში „ერენის თბოელექტროსადგური“ საქართველოდან იღებს ელექტროენერგიას თანაფარდობით, — 1 კუბმეტრ ირანულ გაზში 4.5 კვტ/სთ ელექტროენერგია. სომხეთში იგივე ელექტროსადგური 1 კუბმეტრ ირანულ გაზში, რომელიც „არმროსგაზპრომის“ „თავრიზი-მეგრის“ გაზსადენით მიენოდება, ირანს უბრუნებს 3

კვტ/სთ ელექტროენერჯიას. ნათელია, რომ „ერევნის თბოელექტროსადგური“ საქართველოში გატანილსა და ირანიდან მიღებულ გაზის ყოველ კუბმეტრს შორის 1.5 კვტ/სთ ელექტროენერჯიის ტოლ სხვაობას იღებს. ამის შედეგია, რომ თუ 2009 წელს „ერევნის თბოელექტროსადგურმა“ საქართველოში 259 მლნ დრამის გაზი შემოიტანა, უკვე 2010 წელს ეს მაჩვენებელი გაათმაგდა და 2.2 მლრდ დრამი შეადგინა, რამაც სომხეთს საკმაოდ დიდი რაოდენობით ქართული ელექტროენერჯია მისცა.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ „მაგისტრალური გაზსადენის“ ერთ-ერთი მილით საქართველოს ირანული გაზის მცირე რაოდენობა უკვე მიეწოდება. თუ ვთქვათ, ამ გაზსადენის 1200 მმ-იანი მილი ქ. გარდაბანთან SCP-ს დაუკავშირდება, მაშინ ის შესაძლებელია გადაიტყვეს რუსული გაზის ერთი ნაწილის, რომელიც „სამხრეთის ნაკადისთვის“ იყო განკუთვნილი, დასავლეთისკენ საექსპორტო ახალ მარშრუტად. ეს გაზი, SCP-ს გავლით, შემდგომში „ნაბუქოთი“ ან „ტრანსადრიატიკით“ (TAP), ანუ „სამხრეთის გაზის დერეფნის“ რომელიმე გაზსადენით, ან „ტრანსანატოლიური გაზსადენით“, თურქეთიდან ევროპაში გაიგზავნება.

მიუხედავად ბრიუსელის წინააღმდეგობისა, სავარაუდოდ, აშშ-ს მხრივ გაზსადენების გაერთიანების იდეის კვლავ წამოწევა, ევროპაში გაზის საექსპორტო პროექტებს შორის კონკურენციის შესუსტებას ისახავს მიზნად. ამ მიზეზით, ეს იდეა ევროკავშირის ფინანსური პრობლემების ფონზე, შესაძლოა მალე ბრიუსელისთვისაც მიმზიდველი აღმოჩნდეს. ეს ევროპას გაზმომარაგების ალტერნატიული მარშრუტების განხორციელებას გაუადვილებს, ვინაიდან „სამხრეთის გაზის დერეფნის“ განხორციელებით უკვე მოსკოვიც დაინტერესდება და მოიხსნება ამ დერეფნისადმი რუსეთის ანტაგონიზმი. მეტიც, ზოგიერთი ქართველი ექსპერტი და პოლიტიკოსი თვლის, რომ ეს კავშირი რუსულ და ევროპულ პროექტებს ურთიერთშემავსებელს გახდის, რითაც საქართველომაც შეიძლება ნახოს სარგებელი. კერძოდ:

**ჯერ ერთი**, ამ გზით გაიზრდება საქართველოზე გამავალი რუსული, აზერბაიჯანული და ირანული გაზის ნაკადები. შესაბამისად, მოიმატებს ქვეყანაში უფასოდ და შეღავათიანად დარჩენილი გაზის მოცულობა. ამით შეივსება ნახევრად დაუტვირთავი SCP და „მაგისტრალური“ გაზსადენები, და საქართველოს სატრანზიტო ამონაგები გაიზრდება, ისე რომ დამატებით ხარჯების განევა არც ქვეყნის ბიუჯეტიდან და არც დასავლეთელი დონორების მხრიდან საჭირო არ იქნება, — აუცილებელი იქნება მხოლოდ მიღების გადაკვეთაზე — ქ. გარდაბანთან, სოფ. ჯანდარაში ე.წ. ინტერკონექტორის აგება.

**მეორე**, გაიზრდება ქვეყნის ენერგო-უსაფრთხოება, რადგან SCP-სთან მიერთებით რუ-

სეთი დაინტერესდება „მაგისტრალური გაზსადენის“ მაქსიმალურად შევსებით და მისი გამართული მუშაობით, რადგან ეს მილი რუსეთს ახალი მარშრუტით, მაღალი წარმადობის დასავლურ საექსპორტო გაზსადენებთან დააკავშირებს. ასევე, გაიზრდება დასავლეთის მიერ საქართველოს უსაფრთხო სატრანზიტო დერეფნად გამოყენების ინტერესი, რადგანაც საქართველო გადაიტყვევა გაზმომარაგების რეგიონალურ კვანძად.

**მესამე**, SCP-სა და „მაგისტრალური“ გაზსადენების ურთიერთდაკავშირება ირანისა და სომხეთის ინტერესებსაც დააკმაყოფილებს. ირანის გაზის ექსპორტის ეროვნული კომპანიის დირექტორმა განაცხადა, რომ ირანი აპირებს სამჯერ გაზარდოს გაზის ექსპორტი და მსოფლიო გაზით ვაჭრობაში თავისი წილი 2012 წლის 2%-დან 2015 წლის ბოლოსთვის 10%-მდე გაზარდოს. ჩინოვნიკმა ხაზი გაუსვა, რომ ამას თეირანი თავისი გაზის რუსეთში (რომელი მილით, უცნობია?!) და სხვა მეზობელ ქვეყნებში გატანით შეეცდება.

ზოგიერთი ქართველი სპეციალისტის ნაშრომში მითითებულია, რომ „მაგისტრალური გაზსადენის“ ძირითადი მილი, რომლითაც ის ქ. გარდაბანთან SCP-ს შეუერთდება, შესაძლებელია მეორე ბოლოდან რევერსით, „თავრიზი-მეგრის“ გაზსადენის და სომხეთის გაზის ქსელის გავლით, გახდეს გარდაბნის მომავალ „ჰაბში“ ირანული გაზის სამხრეთიდან მიღების საშუალება. თავის დროზე – 2005-2006 წლებში, ამ აზრს, სრულიად სამართლიანად, „მაგისტრალური გაზსადენის“ პრივატიზაციის მონინალმდეგეები ავითარებდნენ. ეს იდეა სომხეთისთვის მისაღებია, რადგან ამ გზით ის თავის დიდი ხნის ოცნებას აისრულებს და პანევროპულ პროექტში ჩაერთვება. თანაც ერევანი რუსეთისაგან ალტერნატიული გაზმომარაგების წყაროს და სატრანზიტო მოსაკრებლებს მიიღებს. ამასთან, რუსეთიდან მისი გაზმომარაგება ჩვეულებრივ გაგრძელდება „მაგისტრალური გაზსადენის“ 700 მმ-იანი სათადარიგო მილით, რომლის სიმძლავრე, სომხეთის დღევანდელ მოთხოვნილებას (2011-2014 წწ. წელს ეს მაჩვენებელი საშუალოწლიურად დაახლოებით 2 მლრდ კუბმეტრი იყო), სრულად დააკმაყოფილებს. ამრიგად, გარდაბნის რუსულ-აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის „ჰაბი“ რეგიონის ყველა ქვეყნის, და არც მთავარია – საქართველოს, ინტერესებს დააკმაყოფილებს. ამ საკითხსაც. ეროვნული უშიშროების საბჭოს საპარატის კოორდინაცია სჭირდება.

**რკინიგზის ტრანსპორტის გამონწვევები.** ახალმა აბრეშუმის გზამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს „საქართველოს რკინიგზის“ აფხაზეთის მონაკვეთის ამუშავებაში. მისი ამოქმედებით, უპირველეს ყოვლისა, რუსეთი დაინტერესდება, რადგან მიიღებს გასასვლელს სტრატეგიული მოკავშირეების – სომხეთის, ირანის, სირიის მაგისტრალისკენ. „საქართველოს

რკინიგზით“ რუსეთი ასევე შეძლებს ბოსფორი-დარდანელის გავლით ნავთობის ტრანსპორტირების მოსალოდნელი წლიური ქვოტირების (ეკოლოგიური შეზღუდვების<sup>1</sup>) პირობებში, ნავთობპროდუქტების დასავლეთში ექსპორტი ტანკერების ნაცვლად რკინიგზით – საქართველო-თურქეთის გავლით, ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის მარშრუტთან დაკავშირებით განახორციელოს. ამ გზის აღდგენა ყაზახეთის და იქ ოპერირებადი ამერიკული ნავთობკომპანიების ინტერესებშიც შედის. საქმე ისაა, რომ 2016 წლის ბოლოს მთავრდება „კასპიის მილსადენის კონსორციუმის“ (CPC) თენგიზ-ნოვოროსიისკის ნავთობსადენის რეკონსტრუქცია და მისი წლიური სიმძლავრის 25 მლნ ტონიდან 67.5 მლნ ტონამდე გაზრდა. ეს პროექტი 2011 წელს კრიმსკის წყალდიდობამ შეაფერხა, თუმცა ამჟამად მისი გაძლიერება სწრაფად მიმდინარეობს. ყაზახეთის თენგიზის, კაშაგანის, კუმკოლის და კარაჩაგანაკის ნახშირწყალბადების თურქული სრუტეებით ტანკერებით ტრანსპორტირებას, სავარაუდოდ, ეკოლოგიური მოსაზრებებით (სტამბულის ცენტრში — ბოსფორით უკვე ყოველ 12 წუთში ერთი დიდი გემი გაივლის, რომელთაგან ყოველი მესამე — ტანკერია!) თურქეთი არ დაუშვებს. ამდენად, ერთადერთი გამოსავალია რკინიგზით, აფხაზეთის გავლით, ნოვოროსიისკიდან საქართველო-თურქეთის მარშრუტით ყაზახური ნავთობის გადატანა. სავარაუდოდ, ამ პრობლემას რუსეთი და ყაზახეთი საქართველოს ხელისუფლების წინაშე CPC-ის რეკონსტრუქციის დასრულებამდე — 2016 წლის შუა ხანებში დააყენებენ. ამით, კრემლში მძლავრი ენერგეტიკული ლობის არსებობის პირობებში, საქართველოს აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის პერსპექტივა გაუჩნდება (სხვათა შორის ამ გზით აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების იდეას ჯერ კიდევ 1992 წელს ე. შევარდნაძე აყენებდა). მით უმეტეს, რომ ამ საკითხის დარეგულირებაში ისეთი ძლიერი „აქტორი“ ჩერთვება, როგორც ყაზახეთი და იქ არსებული ამერიკული ენერგოკომპანიები! **ეს საკითხებიც ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის კოორდინაციით უნდა დამუშავდეს.**

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რუსეთისა და სომხეთის ინტერესებშია არა ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის, არამედ ადლერი – თბილისი – გიუმრი – ყარსის მარშრუტის აღდგენა და გიუმრიდან არა მარტო თურქეთთან, არამედ ირანთანაც დაკავშირება. მაგრამ, 2009 წელს დაწყებული თურქეთ-სომხეთის დიალოგის („საფეხბურთო დიპლომატია“) ნარეჟიმატივობის შემდეგ, სავარაუდოდ, გიუმ-

რი-ყარსის რკინიგზის აღდგენა ჩაიშალა. ამასთან, რუსეთი 2009 წლიდან მოლაპარაკებებს აწარმოებს ირანთან მეგრი-თავრიზის რკინიგზის მშენებლობაზე, რომლისადმი წვდომა ასევე მხოლოდ „საქართველოს რკინიგზით“ შეიძლება.

ამრიგად, ისტორიულად ადლერი-თბილისი-გიუმრი-ყარსის მარშრუტის აღდგენა მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზების დაკეცივით შემცირდა ტვირთზიდვა „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ მიმართულებით. ეს პირველ რიგში სომხეთის ეკონომიკას აზარალებს. აზერბაიჯანთან დაძაბული და მოუგვარებელი ურთიერთობების გამო ეს ქვეყანა ფაქტურად კავკასიური ინტეგრაციული პროცესების მიღმა დარჩა. ლოგიკურად კი, „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ მიმართულების აღდგენა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შემდეგ წამოიჭრა. კერძოდ, მართალია TRACECA-ს ფარგლებში განხორციელებული გადაზიდვები აღმავალი დინამიკით ხასიათდება, მაგრამ დღეს საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალი მაინც არასრულადაა გამოყენებული. თუ 1990 წელს საქართველოს რკინიგზის ტვირთზიდვა 50 მლნ. ტონა იყო, 2005 წელს მან მხოლოდ 18.9 მლნ. ტონა, ხოლო 2010 წელს – 16.5 მლნ ტონა შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2014 წელს უკვე 13.8 მლნ ტონა იყო.

ამასთან, ძირითადად სჭარბობდა ბათუმისკენ ნავთობპროდუქტების გადამისამართება. თვით ბათუმის პორტის ტვირთბრუნვაც დაღმავალი დინამიკით ხასიათდება – თუ 2013 წელს მან 6.9 მლნტონა შეადგინა, 2014 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 5.1 მლნ ტონა იყო. ანალოგიურ დინამიკას გვიჩვენებს ქართული ნავსადგურების ჯამური მაჩვენებლებიცამ მონაცემების ფონზე ჩნდება კიდევ ერთი კითხვა „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ მიმართულების აღდგენის „სასარგებლოდ“: ხომ არ გადააქცევს (კონკურენციის თვალსაზრისით) ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზა ქართულ პორტებს ჩიხად ევრაზიული ტვირთების თურქული პორტებისკენ გადამისამართების შემთხვევაში? უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული საფრთხე არსებობს და ამ საფრთხის გასაწინააღმდეგოდ საქართველოზე გამავალი ტვირთნაკადების დივერსიფიკაცია აუცილებელია.

სამწუხაროდ დღეს, საქართველოს სარკინიგზო და საავტომობილო ტრანზიტული ტვირთების უმეტესობა არა ცენტრალურ აზიაში, არამედ სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იტვირთება და შესაბამისად მცირდება ცენტრალური აზიიდან ფრახტის მოცულობა. TRACECA-ს პოტენციურად დაკარგული ტვირთზიდვა, სპეციალისტების შეფასებით, წლიურად 6-8 მლნ. ტონას შეადგენს. ქართულ პორტებში „საპორტო გადამუშავების“ მაღალი ღირებულების გამო შავიზღვისპირა ხუთმა თურ-

<sup>1</sup> შავი ზღვის სტრატეგიული პარტნიორობის პროგრამით გათვალისწინებულია §30 მლრდ ეოლოგიური ფონდის შექმნა.



ქულმა პორტმა, რომლებშიც ინტენსიური სარეკონსტრუქციო სამუშაოები ახლახანს დასრულდა, შეიძლება მოიგონ იმდენი, რამდენსაც დაკარგავს ორი ქართული პორტი. ანუ ცენტრალური აზიის ევროპასთან დამაკავშირებელ ერთადერთ ქართულ გზას, ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის ამოქმედების შემდეგ, დაემატება გზა ქ. ყარსის გავლით თურქული პორტებისკენ, ჩვენი პორტების გვერდის ავლით.

ამასთან, მართალია TRACECA ევროპისათვის კასპიის ზღვამდე ტრანზიტის პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება, არსებობს კიდევ ორი დერეფანი რუსეთისა და ირან-თურქეთის გავლით, რომელთა განვითარებაც გაეროს SPECA-ს პროექტის ფარგლებში ხორციელდება. სატრანსპორტო ხაზები, რომლებიც რუსეთისა და ყაზახეთის გავლით უკავშირდებიან ირანის, და მისი გავლით, – თურქეთის პორტებს, მუდმივად სრულყოფის პროცესშია. ეს პორტები უფრო მოქნილ სატარიფო პოლიტიკას ექვემდებარებიან, ვიდრე საქართველოს პორტები. მაგალითად, „ყირიმი-კასპიის“ ხაზზე შავი ზღვის მიმართულებით საექსპორტო ნავთობის ტანკერებით მიწოდებაში ქართული პორტების კონკურენციის გამო, ამ საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრომ 20 პროცენტით შეამცირა გადაზიდვების სატრანსპორტო ტარიფი. ამიტომ, ახლანდელი ირანი-აშშ დაპირისპირება რომ არა (რაც სხვათა შორის, სულ უფრო სუსტდება) და სხვა პოლიტიკური პრობლემები, ამ მიმართულებებს ქართული პორტებისათვის სერიოზული კონკურენციის განევა შეეძლება. ეს ტარიფებიც უშიშროების საბჭოს აპარატის კოორდინაციით უნდა მუშავდებოდეს.

ახალი აბრეშუმის გზის ამოქმედების უპირველესი სარგებელი ისაა, რომ არა მარტო საფუძველი ჩაეყრება ჩინეთი-ცენტრალური აზიაკავკასია-თურქეთი-ევროკავშირის საკონტინენტო და ე.წ. მშრალი ტვირთების რუსეთის და ირანის ალტერნატიულ სატრანზიტო დერეფანს, არამედ გაღრმავდება კავკასიის რეგიონის შემდგომი ინტეგრაცია ევროპასთან. მაშასადამე პროექტს გეოპოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ეს ინტეგრაცია გამოიწვევს აბრეშუმის გზის ქვეყნების სპეცსამსახურების საერთო საფრთხეების თავიდან აცილებაში თანამშრომლობას, მათი უსაფრთხოების ურთიერთკოორდინაციას, და საბოლოო ჯამში, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოსა და აზერბაიჯანის ინტეგრაციის დაჩქარებას.

აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის საერთო რკინიგზით დაკავშირების იდეა პირველად განხილულ იქნა ერთიანი სატრანსპორტო კომისიის შეხვედრაზე 1993 წლის ივლისში. შემდგომში ეს ინიციატივა აისახა ტრანსევროპული რკინიგზის ქსელის გეგმაში, რომელიც დაამტკიცა გაეროს ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ (UNECE). 2002 წლის ივლისში აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ტრანსპორტის მინისტრებმა ხელი მოაწერეს მარშრუტის დადგენის ოქმს, ხოლო 2005 წლის 28 თებერვალს, — შეთანხმებას ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების ჩატარებაზე. გაეროს ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზა №1 პრიორიტეტად მიიჩნია.

მიკურმა კომისიამ (UNECE). 2002 წლის ივლისში აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ტრანსპორტის მინისტრებმა ხელი მოაწერეს მარშრუტის დადგენის ოქმს, ხოლო 2005 წლის 28 თებერვალს, — შეთანხმებას ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების ჩატარებაზე. გაეროს ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზა №1 პრიორიტეტად მიიჩნია.

გარკვეული სამუშაოებია განხორციელებული კასპიისპირეთშიც. მათი პირველი პოზიტიური შედეგია ის, რომ 2005 წლის დეკემბრიდან კასპიისპირა ყაზახურ პორტ აქტაუში 3850 კმ რკინიგზით ხდება ჩინური ტვირთების მიღება ყაზახეთ-ჩინეთის საზღვარზე მდებარე სადგურ დოსტლიკიდან (ყოფილი დრუჟბა). შემდეგ მოხდება ტვირთის ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს 826 კმ სიგრძის რკინიგზამდე აქტაუ-ბაქოს ბორნით ტრანსპორტირება, რომელიც თავის მხრივ საქართველოს გავლით გადამისამართდება ყარსი-სტამბულის 1933 კმ-იან მონაკვეთზე.

მეორე პოზიტივია ის, რომ გარდა საკონტინენტო და მშრალი ტვირთების გადაზიდვების ინტენსიფიკაციისა (რეალისტური ექსპერტული გაანგარიშებებით მოსალოდნელია TRACECA-ს დერეფნით გადაზიდვების წელიწადში 20 მლნ. ტონით ზრდა), ამ რკინიგზით ცენტრალური აზიის და კავკასიის ქვეყნებს გაუადვილდებათ უმოკლესი გზით ხმელთაშუაზღვისპირეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ბაზრებთან დაკავშირება. ასევე, ხმელთაშუაზღვისპირა თურქულ პორტ მერსინიდან ზღვით ტვირთი პირდაპირ გაიგზავნება ამერიკის, ისრაელის, ეგვიპტის, ან ჩრდილოეთ აფრიკის სხვა ქვეყნებში და სამხრეთ ევროპისკენ.

და მესამე, როდესაც ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზა და სხვა სამხრეთ-კავკასიური მაგისტრალეები გადაიქცევიან ახალი აბრეშუმის გზის ორგანულ ნაწილად, ისევე როგორც მილსადენების მშენებლობის შემთხვევაში, აშშ-ს და ევროკავშირის კავკასიაში წარმომადგენლობა კიდევ უფრო გაფართოვდება. იმავდროულად შემცირდება რეგიონში რუსეთის და მისი მოკავშირეების გავლენა. ამასთან, აზერბაიჯანი და თურქეთი არ დაუშვებენ ადღერი-თბილისი-გიუმრი-ყარსის საუკუნოვანი რკინიგზის გახსნას სომხეთის რეგიონალურ პროექტებიდან თვითიზოლაციისა და ყარაბაღის კონფლიქტის დაურეგულირებლობის პირობებში. ე.ი. ეს პროექტი რეგიონალური კონფლიქტების მოგვარებასაც შეუწყობს ხელს. უფრო მეტიც, ბოსფორის ქვეშ 2013 წელს გაყვანილმა 55 მეტრის სიღრმის მარმარაის გვირაბმა ერთმანეთს დააკავშირა არა მხოლოდ სტამბულის გებზესა (ანატოლია) და ჰალკალის (ევროპა) რაიონები, – მან ასევე შეადუღაბა ორ კონტინენტს შორის უმთავრესი გლობალური სატრანსპორტო სისტემა – ახალი აბრეშუმის

გზა. შესაბამისად, საქართველო გეოეკონომიკის აქტიურ სუბიექტად ყალიბდება, და აქედან გამომდინარე, მისი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია კომუნიკაციურ და ინფორმაციულ გლობალიზაციაში მონაწილეობა ხდება.

### დასკვნები და წინადადებები

ამრიგად, სტრატეგიული თვალსაზრისით საქართველოსთვის ახალი აბრეშუმის გზა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) და ბაქო-სუფსას ნავთობსადენებზე, ან „სამხრეთკავკასიურ გაზსადენზე“ (SCP) და ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალურ გაზსადენზე არანაკლებ მნიშვნელოვანია: ნავთობი და გაზი 40-50 წლის განმავლობაში შეიძლება ამოიწროს, გლობალური აბრეშუმის გზა კი მსოფლიო მნიშვნელობას დიდი ხნის მანძილზე შეინარჩუნებს. ეს გზა, ბოსფორის ფსკერზე არსებული მარმარაის გვირაბით და ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის საშუალებით,

ევროპის სატრანსპორტო სისტემას დააკავშირებს აზიისას. ამიტომ, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და ევროკავშირი დიდ ინტერესს იჩენენ მისდამი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცენტრალური აზიის ტვირთების მოსაზიდად, აბრეშუმის გზას საქართველოს მთავრობის უფრო მეტი სახელმწიფო მხარდაჭერა სჭირდება. კერძოდ:

➤ TRACECA-ს კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად სასურველია კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან მუშაობის მუდმივად კოორდინაცია და მათთან შეთანხმებული სატარიფო პოლიტიკის გატარება. წინა წლებთან შედარებით, 2014 წელს რკინიგზის ტვირთბიდვის შემცირება, გარკვეულ ნეგატიურ პროცესებზე მიგვანიშნებს.

➤ კარგი იქნება ტრანსპორტირებაში ჩართულ რკინიგზებთან, საბორნე გადასასვლელებთან და პორტებთან „ლოგისტიკური ჯაჭვის“ შექმნა და ბიზნესმენებისათვის შეთავაზება. ამ პროცესში აქტიურად უნდა ჩაერთონ საქართველოს დიასპორისა და დიპლომატიური წარმომადგენლები ცენტრალურ აზიაში, ჩინეთისა და ინდოეთში. უნდა მოხდეს წარმოების და გადაზიდვების მიმართულებების კომპლექსური ანალიზი და ამით პოტენციური მოსაზიდი ტვირთის დადგენა;

➤ საჭიროა ტრანსპორტის სამინისტროს შექმნა — ტრანსპორტსა და გზას ერთი „პატრონი“ სჭირდება. მანამდე კი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, საგარეო და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებმა უნდა შეისწავლონ ცენტრალურაზიური ფრახტი (6-8 მლნ ტონის ანუ პოტენციურად მოსაზიდი მოცულობა, რაც დამატებითი ტვირთების მოზიდვის და ე.წ. „გამჭოლი“ ტარიფების ამოქმედების, ახალი საბორნე მიმართულებე-

ბის გახსნის პირობებშია შესაძლებელი). სავარაუდოდ, წლიურად 8-10 მლნ ტონა ტვირთი აზიიდან ევროპის მიმართულებით გადაიზიდება ალტერნატიული, რუსეთზე გამავალი დერეფნების გამოყენებით. მეზობლებთან შეთანხმებული სატარიფო პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ამ ნაკადის მოზიდვა;

➤ აუცილებელია ტვირთის მფლობელების, უზბეკი, თურქმენი და ყაზახი მენარმეების გამოვლენა და მათთან მოლაპარაკებების წარმართვა ისე, რომ მოხდეს გარანტირებული მოცულობის საქართველოში ტრანსპორტირების შემთხვევაში, ტარიფის დაკლებაზე შეთანხმება. კასპიაზე საჭიროა ბორნების და გენერალური ოპერატორის სისტემის ამოქმედება. უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები აზერბაიჯანთან „გამჭოლი“ ტარიფის დანესებაზე ისეთი ტვირთისთვის როგორებიცაა: ბამბა, ნავთობი, ხორბალი, ნახშირი, მომავალში — თხევადი გაზი;

➤ ფოთის და ბათუმის პორტები 100-პროცენტური სახელმწიფო ნილობრივი მონაწილეობით არსებული სანარმოებია. მიუხედავად იმისა, რომ 2006 წელს გაუქმდა ყოფილი ტრანსპორტის მინისტრის №42 ბრძანების პირველი ნაწილი, რითაც ნავსადგურებს მიეცათ უფლება დამოუკიდებლად განახორციელონ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების ტარიფების რეგულირება, — სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრეს, შეუძლია პარტნიორის უფლების გამოყენება და საპორტო მომსახურების სატარიფო განაკვეთების შემცირების მიზნით გადახედვა, რათა ისინი შავი ზღვის თურქული და რუსული პორტების ტარიფებთან შედარებით, კონკურენტუნარიანი გახდნენ;

➤ საქართველოს პორტებმა ტვირთბრუნვის უფრო მეტად დივერსიფიცირება უნდა მოახდინონ, რათა მათ პერსპექტივაში შეძლონ ნავთობის და ნავთობპროდუქტების გადაზიდვების შემცირებით მოსალოდნელი დანაკარგების „მშრალი ტვირთებისა“ და კონტეინერების გადაზიდვების ზრდით კომპენსირება;

➤ საქართველოს ნავსადგურების (ფოთი, ბათუმი, ყულევი) ტვირთების გატარების ჯამური შესაძლებლობა წელიწადში 40-45 მლნ ტონას შეადგენს. დღეს ტრანზიტული ტვირთნაკადის მოცულობა 20-25 მლნ ტონაა (რკინიგზა+სავაგტომობილო ტრანსპორტი), ანუ საქართველოს საზღვაო ნავსადგურების პოტენციალური შესაძლებლობა დაახლოებით სანახევროდ არის დატვირთული. ამასთან გასათვალისწინებელია რომ, ყარსი — ახალქალაქის რკინიგზის 2015 წლის ბოლოს ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ სატრანზიტო ნაკადის ნაწილი დააკლდება საქართველოს ნავსადგურებს. ამასთან, ბოლო 10 წლის განმავლობაში რეგიონებს შორის საქონელბრუნვის ზრდის გლობალური ეკონომიკური მაჩვენებლები არ გამოიჩვენებენ

ზრდის მაღალი ტემპებით და, ამავე დროს, ადგილი აქვს სხვა დერეფნების მხრიდან გამდაფრებული კონკურენციას. ამიტომ საქართველოში ანაკლიას, წლიურად 100 მლნ ტონა წარმადობის პორტის მშენებლობა, გამართლებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აქცენტი გაკეთდება იმ სპეციფიკურ ტვირთებზე (ხორბალი, ბამბა, გათხევადებული გაზი და ა.შ) რომელთა გადაამუშავებაც სხვა მეზობელ კონკურენტ ნავსადგურებში (თურქეთი, უკრაინა, რუსეთი) შეზღუდულად ან საერთოდ არ ხორციელდება. ათწლეულების შემდეგ TRACE-CA-ს ხელშეკრულების ქვეყნები უკვე მოიცავენ გლობალური სივრცის უზარმაზარი ნაწილს ამერიკიდან იაპონიამდე. ამ სივრცეზე „ახალი აბრეშუმის გზა — ეკონომიკური სარტყელის“ პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობას, მათი სუვერენიტეტის, პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებას, მსოფლიო ბაზრებთან ალტერნატიული სატრანსპორტო და სატრანზიტო კომუნიკაციებით მათ დაკავშირებას. სასიხარულოა, რომ 2008 წლის ომის შემდეგ საქართველო ისევ ამ კომუნიკაციების გზაზეა.

➤ როგორ მოხდება საქართველოსთვის ამ როლის გაძლიერება და ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულებაში ახალი აბრეშუმის გზის კონცეფციის გამოყენება?! რა იქნება საქართველოსთვის უსაფრთხო ინფრასტრუქტურა ამ გზაზე – აზიის ბაზრებზე მისაღწევად ურემები ხომ აღარ გამოიყენება?! საქართველო მხოლოდ ტრანზიტული ფუნქციით შემოიფარგლება? მაშინ, როცა საკუთარი ლოგისტიკური ტექნოლოგიები არ აქვს?! ამ კითხვებს პასუხი „თბილისის ახალი აბრეშუმის გზის ფორუმამდე“ ეუს აპარატმა, თავისი უწყებათაშორისი ხასიათიდან გამომდინარე, უნდა გასცეს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ირაკლი ღარიბაშვილი: საქართველო მზად არის ენერჯეტიკის მწარმოებელი და გამტარიც იყოს, 2013 წ; <http://www.epn.ge/?p=178066>.
2. ალადაშვილი ბ., „რუსული მედია — საქართველოდან ირანელი ბიზნესმენები გარბიან“ <http://www.ambebi.ge>.
3. პაპავა ვ., არატრადიციული ეკონომიკის, თბილისი, 2011.
4. კალანდია ი., გლობალიზაცია და ცივილიზაციათა ურთიერთობა. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, თბილისი. 2009, 2.
5. იაკობიძე დ., გლობალური დინამიზმის ქართული სინამდვილე. თბილისი, 2011.

6. პავლიაშვილი ს., მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და გლობალიზაციის თავისებურებანი საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენციის მასალები, თსუ. 2012.
7. ჯიბუტი მ., ინფლაციისა და უმუშევრობის ურთიერთობის პარადოქსი საქართველოში. ეკონომიკური პოლიტიკა და ბიზნეს პროცესების მართვა. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, თბილისი, 2011.
8. გეგეშიძე ა., გეოპოლიტიკა თბილისი, 1999, გვ. 32, გვ.41.
9. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. ეკონომიკური პოლიტიკა, თბილისი, 2011.
10. შრომები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2012.
11. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თსაუ. 2013. გვ. 273
12. საქართველოს ეკონომიკა, სიახლე, თბილისი 2012.
13. საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენციის მასალები, თსუ. 2012, 6-7 აპრილი.
14. Papava V. Iadimer. The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Implications for Georgia, In: The Baku-Tbilisi-Ceyhan.Pipeline: Oil Window to the West, Ed. By S. Frederick Starr and Svante E. Cornell, Uppsala University, p. 97; <http://www.silkroadstudies.org/BTC.htm>.
15. S. Pavliashvili, Zigzags of Inflation in Post-Soviet Georgia, Academy Press, San Francisco, 2011.
16. Z. Garakanidze. INFLUENCE OF THE MIDDLE EASTENSION ON THE EU'S SOUTHERN GAS CORRIDOR (co-author). THE Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Volume 7, Issue1-2 2013; [http://www.ca-c.org/c-g/2013/journal\\_eng/c-g-1-2/07.shtml](http://www.ca-c.org/c-g/2013/journal_eng/c-g-1-2/07.shtml).
17. Z. Garakanidze. REGIONAL ENERGY PROJECTS FOR GEORGIAN-RUSSIAN RELATIONS. THE Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Volume 6 Issue 3 2012; P. 51; [http://www.cac.org/cg/2012/journal\\_eng/c-g-3/00.shtml](http://www.cac.org/cg/2012/journal_eng/c-g-3/00.shtml).
18. Z. Garakanidze. Important Step has been Made in Supply and Transit of the Shah Deniz 2 Gas. Turkey, CESRAN, Political Refl ection. Vol. 2 | No.4; 2011, p.24-30. [http://cesran.org/index.php?option=com\\_content&view=article&id=1353&Itemid=224&lang=en](http://cesran.org/index.php?option=com_content&view=article&id=1353&Itemid=224&lang=en).
19. Z. Garakanidze. Successful Visit of the EC High Level Officials to Azerbaijan and Turkmenistan. Turkey, CESRAN, Political Refl ection. 2011, Vol. 2 | No.1; p.49-53. [http://cesran.org/index.php?option=com\\_content&view=article&id=1185&Itemid=224&lang=en.27](http://cesran.org/index.php?option=com_content&view=article&id=1185&Itemid=224&lang=en.27)

# სიღარიბესთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამები

ხათუნა თოდუა ანსუ-ს ასოცირებული პროფესორი

## რეზიუმე

სიღარიბე მთელ საქართველოში ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად რჩება. გაიზარდა სოციალური უთანასწორობა და შეიცვალა სიღარიბის პროფილი ცალკეულ სოციალურ ჯგუფებს შორის. სიღარიბის წინააღმდეგ სახელმწიფო პერმანენტულ ღონისძიებებს ახორციელებს. 2005 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულია 51 დადგენილება სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ. 2008 წლის იანვარში საქართველომ შეიმუშავა პროგრამა - „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, 2011 წელს საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა „საქართველოს სტრატეგიული განვითარების „ათპუნქტიანი გეგმა“ მოდერნიზაციისა და დასაქმებისათვის (2011-2015)“, რომლის მე-8 პუნქტი ასეთნაირად არის ფორმულირებული: „სოციალური პოლიტიკის დახვეწა — მიზნობრიობისა და თანაზომადობის უზრუნველყოფა, სიღარიბის შემცირება“.

საქართველოს მთავრობის უმნიშვნელოვანეს მიზნად კვლავაც რჩება სიღარიბის შემცირება, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის კეთილდღეობის ამაღლებაზე ზრუნვა.

### The Poverty Reducing Social Programs

Khatuna Todua

#### Summary

The poverty and increased social inequality are the most serious problems in Georgia. Georgian Government adopted the resolution N51, which is targeted on reduction of poverty.

In January of 2008 year Georgia adopted a program called - „United Georgia without Poverty“; Also in 2011 year was presented a ten-point plan of strategic development, the main point of which is „Poverty Reduction“. The improvement of social security and the reduction of Poverty level are still the main goals of Georgian Government.

### Государственные Программы Борьбы с Бедностью

Хатуна Тодуа

#### Резюме

Бедность - одна из наиболее острых проблем Грузии. В последнее время обострилось социальное неравенство, а так-же изменился профиль

бедности между различными социальными группами. Государство ведет активную борьбу против бедности; В 2005 году правительство Грузии приняло постановление 51 о сокращении уровня нищеты и совершенствования системы социальной защиты населения. В 2008 г. была принята программа: „Единая Грузия без Бедности“, а в 2011 году - „10-пунктный план стратегического развития Грузии, в целях модернизации и трудоустройства“ ( 2011-2015 г.г.), 8-ой пункт плана ставит главной целью уменьшение бедности.

Главнейшей целью правительства Грузии и впредь является уменьшение уровня бедности, а так-же повышение благосостояния социально уязвимых слоев населения.

**საკვანძო სიტყვები:** სიღარიბის დონე, საარსებო მინიმუმი, სოციალური დახმარება.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური რეფორმებისა და მთავრობის ძალისხმევით შედეგად საქართველოში სიღარიბის შემცირების მიმართულებით, განსაკუთრებით 2013 წლის შემდეგ გარკვეული პროგრესი შეინიშნება, სიღარიბე მთელ საქართველოში ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად რჩება.

განსაკუთრებით ფართო ხასიათს იძენს სიღარიბე ზოგ რეგიონში, გაიზარდა სოციალური უთანასწორობა და შეიცვალა სიღარიბის პროფილი ცალკეულ სოციალურ ჯგუფებს შორის. ჯინის კოეფიციენტი მაღალია და ბოლო ათწლეულის განმავლობაში 0,41-ის ფარგლებში მერყეობს.

### ცხრილი 1. ჯინის ინდექსი 2006-2014 წლებში

| წლები | მთლიანი შემოსავლების მიხედვით | მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით | მთლიანი სახსრების მიხედვით | მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით | მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით |
|-------|-------------------------------|-----------------------------------|----------------------------|---|----------------------------------|
| 2006  | 0,45                          | 0,53                              | 0,47                       | 0,40                                    | 0,47                             |
| 2007  | 0,46                          | 0,53                              | 0,47                       | 0,41                                    | 0,48                             |
| 2008  | 0,45                          | 0,53                              | 0,47                       | 0,41                                    | 0,49                             |
| 2009  | 0,46                          | 0,53                              | 0,48                       | 0,42                                    | 0,49                             |
| 2010  | 0,46                          | 0,52                              | 0,48                       | 0,43                                    | 0,50                             |
| 2011  | 0,46                          | 0,52                              | 0,48                       | 0,42                                    | 0,50                             |
| 2012  | 0,43                          | 0,49                              | 0,46                       | 0,41                                    | 0,49                             |
| 2013  | 0,42                          | 0,46                              | 0,43                       | 0,40                                    | 0,47                             |
| 2014  | 0,41                          | 0,46                              | 0,43                       | 0,40                                    | 0,48                             |

სიღარიბის დონის განსაზღვრისათვის რამდენიმე მაჩვენებელი გამოიყენება. სახელმწიფო სიღარიბის დონის განსაზღვრას სხვადასხვანაირად აწარმოებდა 2004 წლამდე პერიოდში და შემდგომ. 2002 წელს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ საარსებო მინიმუმის მიხედვით, მოსახლეობის 52 % იყო. 1994 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 80 %-ს, ხოლო 1995 წელს — 60 %-ს. სიღარიბის დონე ყველაზე დაბალი იყო 1996 წელს — დაახლოებით 46 %.

2004 წლიდან სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურმა შემოიღო გათვლის ახალი მეთოდოლოგია — მოახდინა საარსებო მინიმუმის კორექტირება და თითქმის მესამედით შეამცირა სამომხმარებლო კალათის ღირებულება, რამაც განაპირობა სიღარიბის დონის სტატისტიკურად მკვეთრად შემცირება — 2004 წელს ეს მაჩვენებელი 35,7 %-მდე დაეცა, ნაცვლად 52 %-ისა 2003 წელს. თუმცა, 2005 წელს კვლავ მოიმატა და 39,4 % შეადგინა.

ამჟამად ოფიციალური სტატისტიკა სიღარიბის დონის განსაზღვრისათვის არა აბსოლუტურ, არამედ ფარდობით მაჩვენებლებს იყენებს, რაც საარსებო მინიმუმის ქვემოთ მყოფი ადამიანების რიცხვის დადგენას გარკვეულწილად ართულებს.

სადღეისოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის შესახებ ინფორმაციას სოციალური მომსახურების სააგენტო ფლობს. მონაცემები ეფუძნება საარსებო შემწეობის მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობას, ასევე მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მათი წილის განსაზღვრას. ამ მაჩვენებლით, სიღარიბის დონე საქართველოში 9-10 %-ია.

## ცხრილი 2. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა

| სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა<br>(რეგისტრირებული სიღარიბე) |         |         |         |             |
|---|---------|---------|---------|-------------|
|   | 2011    | 2012    | 2013    | 2014        |
| საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა                                 | 411 091 | 435 961 | 437 239 | 432 48703   |
| წილი საშუალო წლიურ მოსახლეობასთან (%)                                 | 9,2     | 9,7     | 9,7     | 11,6<br>9,7 |

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ღარიბად ითვლება ადამიანი, რომლის დღიური შემოსავალი 1,25 დოლარზე ნაკლებია. ამ მაჩვენებლით, ექსტრემალური სიღარიბის დონე საქართველოში ღარიბის დოლარზე მიმდინარე კურსის მიხედვით, 66 ღარიბის ტოლია თვეში ერთ სულ მოსახლეზე, ხოლო სიღარიბის დონე — 2 დო-

ლარი დღეში, რაც ღარიბე გაანგარიშებით თვეში 108 ღარიბის ერთ სულ მოსახლეზე. აქედან გამომდინარე, ექსტრემალურ სიღარიბეში მოსახლეობის 5%, ხოლო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ კი — 15 %-ია.

სიღარიბის წინააღმდეგ სახელმწიფო პერმანენტულ ღონისძიებებს ახორციელებს. 2005 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილება 51 სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ. 2008 წლის იანვარში საქართველომ შეიმუშავა პროგრამა — „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, რამაც პრიორიტეტული გახადა სოციალური სექტორის გაუმჯობესება.; 2011 წელს საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა „საქართველოს სტრატეგიული განვითარების „ათპუნქტიანი გეგმა“... მოდერნიზაციისა და დასაქმებისათვის (2011-2015)“, რომლის მე-8 პუნქტი ასეთნაირად არის ფორმულირებული: „სოციალური პოლიტიკის დახვეწა — მიზნობრიობისა და თანაზომადობის უზრუნველყოფა, სიღარიბის შემცირება“.

მომავალში სიღარიბის შემცირების მიზნით კვლავ აუცილებელია ენერგიული ნაბიჯების გადადგმა, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისათვის სოციალური დაცვის სისტემის შემდგომი დახვეწა.

სოციალური დაცვის სისტემა მოიცავს 2 ძირითად კომპონენტს — მიზნობრივ სოციალურ დახმარებას (TSA) სიღარიბის ზღვარს მყოფი ოჯახებისათვის და საპენსიო სისტემას.

დღეს საქართველოში სოციალური უზრუნველყოფის რამდენიმე პროგრამა ხორციელდება. აქედან, განსაკუთრებით აღსანიშნავია საარსებო შემწეობა, რომელიც გაიცემა იმ ოჯახებზე, რომლებიც სოციალურად დაუცველის სტატუსით სარგებლობენ. ასეთი სტატუსის მინიჭება ხდება სოციალურად უკიდურესად დაუცველ ოჯახებზე, საზოგადოების ეკონომიკური მოწყვლადობის ერთ-ერთ მაჩვენებლად სწორედ ასეთი ოჯახების წილი ითვლება მთელს მოსახლეობაში.

საქართველოში სოციალურ დახმარებას რეფორმამდე, 2005 წლამდე, რამდენადმე განსხვავებული სახე ჰქონდა, დახმარების სისტემა კატეგორიების განსაზღვრას ეფუძნებოდა, კერძოდ, ოჯახზე გაიცემოდა შემწეობა 22 ღარიბის ოდენობით, 5 კატეგორიის ოჯახისათვის. სოციალური უზრუნველყოფის ქსელი შეიქმნა 2004 წელს, რეფორმების შედეგად შემოღებულ იქნა მისამართული დახმარება, 2006 წლიდან

სახელმწიფომ გააუქმა უმუშევართა ყველანაირი დახმარება (მარტოხელა პენსიონერების, ობლების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების, უსინათლოებისა და მრავალშვილიანი ოჯახების კატეგორიებისათვის). დღეს ფინანსური დახმარების განევა ხდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობისა და მონყვლადი ოჯახებისათვის.

სოციალური დაცვის და დასაქმების ღონისძიებები შეუერთდა უკიდურესად შეჭირვებული ადამიანების მიზნობრივად ორიენტირებული დაცვის სისტემას.

საზოგადოების ამ ჯგუფებისაკენ სოციალური დახმარების მიმართვისათვის შეიქმნა მონყვლადი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა, რომელშიც შეტანილია მონაცემები იმ ღარიბი ოჯახების შესახებ, რომელთაც სახელმწიფოს სოციალური დახმარების თხოვნით მიმართეს. ამასთან, ყოველ ოჯახს შეფასების ინდივიდუალური ქულა ენიჭება, რომელიც ამ ოჯახის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე იძლევა წარმოდგენას, მონაცემთა ერთიანი ბაზა, შესაძლებელს ხდის სპეციფიკური მიზნობრივი ჯგუფისაკენ მიმართოს დახმარება.

2013 წლის მონაცემებით, მიზნობრივი სოციალური დახმარების მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებულია საქართველოს მოსახლეობის 40 %-მდე, ანუ 1,7 მილიონამდე ადამიანი, რომელთაგან 443 000 სარგებლობს საარსებო შემწეობით. მიზნობრივი სოციალური დახმარება მოსახლეობის დაახლოებით 10 %-ს ფარავს. 2012 წლის ბიუჯეტში სოციალური დახმარებებისათვის გამოყოფილი იყო დაახლოებით 141 მილიონი ლარი; 2013 წლის ივლისიდან მიზნობრივი სოციალური დახმარებების დაფინანსება გაორმაგდა, ყოველთვიური თანხა გაიზარდა 30-დან 60 ლარამდე, ოჯახის ყოველ დამატებით ნევრზე კი — 24 -დან 48 ლარამდე, შედეგად, 2013 წელს წლიურმა ხარჯმა შეადგინა 213 მილიონი ლარი, რაც მშპ-ს 0,5 %-ია.

დღეისათვის საქართველოში სოციალური პოლიტიკის მთავარი პრინციპი კვლავ შეფასების სისტემის მიერ გამოვლენილი ყველაზე ეაჭირვებული ადამიანებისათვის სახელმწიფოს მიერ რესურსების მიწოდებაა. ამავე დროს, მიზნობრივი სოციალური დახმარების ეფექტიანობის ზრდისათვის აუცილებელია ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფა, მისამართულობის გაუმჯობესება.

რაც შეეხება ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ღონისძიებებს, აქედან ძირითადია პენსია, რომლის მიღების უფლება აქვს საპენსიო ასაკის ნებისმიერ მოქალაქეს (საპენსიო ასაკი შეადგენს მამაკაცებისათვის 65 წელს, ხოლო ქალებისათვის — 60 წელს). ხანდაზმულობის პენსია 2013 წლის სექტემბრიდან 150 ლარამდე გაიზარდა 2010 წლის 115 ლართან შედარებით, ხოლო მიმდინარე წლის სექტემბრიდან დაგეგმილია მისი გაზრდა 10 ლარით. დღეისათვის ბენეფიციარების რაოდენობაა 684 000, რაც მოსახლეობის 15 %-ია, ხოლო საპენსიო ხარჯები დაახლოებით 1 მილიარდი ლარია.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში მოსახლეობის დაბერების პროცესი შეინიშნება, შესაბამისად, დინამიკაში პენსიონერთა რაოდენობა მზარდია, გაეროს პროგნოზით, 2050 წლისათვის ასაკით პენსიონერები საქართველოს მოსახლეობის 25% იქნება, რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ სამომავლოდ გარდაუვალია სოციალური დანახარჯების პერმანენტული ზრდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ეტაპობრივად დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა, რაც საბაზისო პენსიის არამდგრადი ზრდისაგან გამონეული წნეხის შესუსტების საწინდარი იქნება. ამასთანავე, საჭიროა საბაზისო პენსიის მიბმა ინფლაციასთან. ეს ღონისძიება დაიცავს პენსიას გაუფასურებისაგან.

დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია კეთილდღეობის ზრდისაკენ არა სოციალური დახმარებებით, არამედ დასაქმების შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობით, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება იხსნის პასუხისმგებლობას უღარიბესი ფენებისათვის მიზნობრივი სოციალური დახმარების განევაზე.

ქვეყანაში სიღარიბის ფართო გავრცელების პირობებში სიღარიბის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრისა და შესაბამისი რისკების განეიტრალების მიზნით, საქართველოს მთავრობამ სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის დამატებითი ღონისძიებები შეიმუშავა — მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს გაუნია სხვადასხვა სახის მომსახურება და მიზნობრივი ფულადი დახმარება შემდეგი სახით:

- საარსებო შემწეობა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისათვის;
- საყოფაცხოვრებო სუბსიდია;
- რეინტეგრაციის შემწეობა (ოჯახებისათვის, რომლებიც მოახდენენ ოჯახის წევრის სა-

აღმზრდელი დანესებულებებიდან ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებას;

➤ სახელმწიფო დახმარება (ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მარჩენალდაკარგულებისათვის, რომლებმაც დაკარგეს 2 ან მეტი შვილი ან არიან მარტოხელა) და სხვ. ცხადია, სოციალური დახმარების სისტემის ფარგლებში გატარებული ზემოაღნიშნული ღონისძიებანი ხელს უწყობს სოციალური ტრანსფერების მიზნობრიობის გაზრდას, სიღარიბეში მცხოვრები ოჯახების ცხოვრების სტანდარტების ამაღლებას.

საქართველოს მთავრობის უმნიშვნელოვანეს მიზნად კვლავაც რჩება სიღარიბის შემცირება, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის კეთილდღეობის ამაღლებაზე ზრუნვა; სოციალური დაცვა კვლავაც მთავრობის პოლიტიკის ძირითადი მახასიათებელია.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020. ნოემბერი, 2013 წ.
2. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია — დამოუკიდებლობის 20 წელი, შუალედური ანგარიში, ფონდი — ლიბერალური აკადემია, თბილისი, 2012 წ.
3. ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2011-2014 წლებისათვის, საქართველოს მთავრობა.
4. სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა საქართველოში, შემაჯამებელი დასკვნა, ევროპის კომისია, 2011 წ.
5. 2015-17 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა.
6. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## ინოვაციების კომერციალიზაცია

ირინე მამალაძე — სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

### რეზიუმე

განვითარებული ქვეყნების სამრეწველო წარმოების ზრდის 75%-ზე მეტს დღეს ინოვაციების გამოყენებით აღწევენ. გარდა ამისა, კრიზისული ეკონომიკების გამოცოცხლებისა და აღორძინების მთავარი „ნამალიც“, როგორც წესი, ინოვაციური პროცესების გააქტიურებაა. ამის გათვალისწინებით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ინოვაციური გზით განვითარების გარეშე საქართველოს ეკონომიკას პერსპექტივა არა აქვს.

ქვეყანაში ინოვაციური პროცესების დაძვრისა და დაჩქარების სასიკეთო პირობების შექმნა პირველ რიგში მისი ხელისუფლების ორგანოების საზრუნავია. თვალსაჩინო შედეგებს აშშ-მ, გფრ-მა, იაპონიამ და სხვა ქვეყნებმა იმის წყალობით მიაღწიეს, რომ თავიანთი ქვეყნების მდგრადი განვითარება სწორედ ძლიერი სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკით უზრუნველყვეს.

ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესის სრულყოფისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვარგარეთ მიღებული იმ გამოცდილების გაცნობას, რომელიც ამ პროცესის ხელშეწყობისა და უზრუნველყოფილის დარგშია დაგროვილი.

### Коммерциализация инноваций

#### Резюме

Свыше 75% роста промышленного производства развитых стран сегодня достигается за счёт использования инноваций. Кроме того, главным «лекарством» оживления и возрождения кризисных экономик, как правило, является активизация инновационных процессов. С учетом этого можно утверждать, что без инновационного пути развития у экономики Грузии нет перспектив.

Задействование и ускорение инновационных процессов в стране – задача в первую очередь органов её власти. США, ФРГ, Япония и другие страны достигли очевидных экономических результатов благодаря тому, что устойчивое развитие собственных стран они обеспечили именно на основе сильной инновационной политики.

Для улучшения процесса коммерциализации инноваций важное значение имеет ознакомление зарубежного опыта, полученного в сфере поддержания и обеспечения данного процесса.

**საკვანძო სიტყვები:** ინოვაციები, კონკურენტუნარიანობა, კომერციალიზაციის პროცესის მონაწილეები, საინოვაციო პოლიტიკა.

აღიარებულია, რომ პროფესიულ მენეჯმენტთან შეხამებული ინოვაციები ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია. სხვადასხვა გათვლებით, განვითარებული ქვეყნების სამრეწველო წარმოების ზრდის 75%-ზე მეტს დღეს ინოვაციების გამოყენებით აღწევენ. გარდა ამისა, კრიზისული ეკონომიკების გამოცოცხლებისა და აღორძინების მთავარი „ნამალიც“, როგორც წესი, ინოვაციური პროცესების გააქტიურებაა. ამის გათვალისწინებით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ინოვაციური გზით განვითარების გარეშე საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობას პერსპექტივა არა აქვს. ცხადია, ამას უნდა უზრუნველყოფდეს ფართო განათლება, მძლავრი მეცნიერება და მისი შესაბამისი ტექნიკურ-ტექნოლოგიური ბაზა. მათგან ზოგიერთს შენარჩუნება, ზოგს განახლება-განვითარება, სხვას კი რეალიზება-გამოყენება ჭირდება. არადა, ჩვენი ინოვაციური სისტემა საბჭოთა პერიოდის დასრულების შემდეგ პრაქტიკულად შეცვლილი არაა.

ქვეყანაში ინოვაციური პროცესების დაძვრისა და დაჩქარების სასიკეთო პირობების შექმნა პირველ რიგში მისი ხელისუფლების ორგანოების საზრუნავია. გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ინოვაციური საქმიანობის სფეროში მტკიცე და მიზანმიმართული პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მიღწევა და შენარჩუნება. თვალსაჩინო ეკონომიკურ შედეგებს აშშ-მ, გფრ-მა, იაპონიამ და ამ რანგის სხვა ქვეყნებმა იმის წყალობით მიაღწიეს, რომ თავიანთი ქვეყნების მდგრადი განვითარება სწორედ ძლიერი სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკით უზრუნველყვეს. ხსენებული ინოვაციური პროცესის ყველა მონაწილის მოტივაციას ამ ქვეყნებში განაპირობებდა:

- გონივრულად მონყობილი და ეფექტიანად მოქმედი საგადასახადო და საბაჟო სისტემები;



- კეთილსინდისიერი კონკურენციის სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა და ა.შ.

მსოფლიო პრაქტიკა დამაჯერებლად გვიჩვენებს რომ სამეურნეო ცხოვრებაში სამეცნიერო ცოდნისა და კვლევების შედეგების გამოყენების ყველაზე ეფექტიანი ხერხია ყველა იმ მხარის ურთიერთხელსაყრელი კომერციული თანამშრომლობა, რომლებიც საბაზრო საქონლად აქცევენ მეცნიერების შედეგებს. სწორედ ამ ხერხს უწოდებენ მეცნიერულ კვლევა-ძიებათა შედეგების კომერციალიზაციას. მისი ეფექტიანად წარმართვის მისაღწევად მიზანმიმართულად და სისტემურად უნდა მოქმედებდნენ როგორც ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურები, ისე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და კერძო სექტორი. საკმარისი არაა საინოვაციო საქმიანობის სფეროში მოღვაწე სპეციალისტების, პირველ რიგში კი — ტექნო-ლოგიების ტრანსფერის დარგის მენეჯერების პროფესიული მომზადება, რადგან ქვეყანაში ინოვაციური პროცესების მასშტაბურად წარმართვა სრულიად წარმოუდგენელია შესაბამისი ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბების, განვითარებული საინოვაციო ინფრასტრუქტურის არსებობის გარეშე.


კონკურენციის გამწვავებისა და გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობას გადამწყვეტნილად განსაზღვრავს ტექნოლოგიების კომერციალიზაციის მექანიზმების ათვისებაში არსებული მიღწევები. ამის აშკარა ნიმუშია აშშ, სადაც სწორი სახელ-მნიფო პოლიტიკის გატარებით ტექნოლოგიები კომერციალიზაციაში ლიდერობა და მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონეა უზრუნველყოფილი.

აღსანიშნავია, რომ საინოვაციო ინფრასტრუქტურის განშტოებული ქსელის ჩამოყალიბებას ხანგრძლივი დრო სჭირდება — 10 და 15 წელიც კი. რაც შეეხება საქართველოში ამ მხრივ დღეს არსებულ მდგომარეობას, მკვლევარები მას ახასიათებენ როგორც საინოვაციო პოლიტიკის შემუშავების წინა ეტაპს, როცა ინოვაციის საკითხები ჩართული კია ქვეყნის განვითარებაზე მსჯელობაში, მაგრამ ეს პოლიტიკა ჯერ კიდევ არაა ფორმირებული.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ო. შატბერაშვილი, გ. ქოჩორაძე, მ. ცაცანაშვილი საინოვაციო პოლიტიკა საქართველოში: რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას. ელ. რე-

ხელისუფლება უკვე ახორციელებს ცალკეულ ღონისძიებებს იმ სფეროებში, რომლებიც უშუალოდ შედიან საინოვაციო პოლიტიკის საკითხთა ჩამონათვალში, მაგრამ ეს ქმედებები ჯერ-ჯერობით ფრაგმენტულია და ხანდხან წინააღმდეგობრივიც.<sup>2</sup> ცხადია, ეს კიდევ უფრო გააჭიანურებს აღნიშნული ინფრასტრუქტურის ფორმირების პროცესს.

ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესის სრულყოფისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვარგარეთ მიღებული იმ გამოცდილების გაცნობას, რომელიც ამ პროცესის ხელშეწყობისა და უზრუნველყოფილის დარგშია დაგროვილი. ერთ-ერთი მათგანია მთავრობების მიერ 2008 წ. შემოღებული ის შეღავათები, რომლებიც, მართალია, სისტემური და რადიკალური არაა, მაგრამ მთელ რიგ წარმოებებსა და ფინანსურ სექტორზე ვრცელდება და კონკრეტული კრიზისული ვითარების ადექვატურია:



სურ. 1 საგადასახადო შეღავათები მეცნიერებაზე განუთლი დანახარჯების 1 დოლარზე<sup>3</sup>

გასათვალისწინებელია, ასევე, ინოვაციების კომერციალიზაციის ფინანსური, ორგანიზაციული და ნორმატიულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის მიმართულებით დაგროვილი გამოცდილება (იხ. ცხრ.)

ნებისმიერი ინოვაციური ფირმის მთავარი მიზანი ცახდია, მოგების მიღებაა. ამიტომ ისინი გულმოდგინედ ეწევიან ინოვაციების კომერ-

სურსი: [eapnationalplatform.ge/admin/editor/uploads/files/publications/Policy%20paper\\_WG2\\_Inovatia.pdf](http://eapnationalplatform.ge/admin/editor/uploads/files/publications/Policy%20paper_WG2_Inovatia.pdf). გვ. 1  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 2.  
<sup>3</sup> A.C. Maeva, O. B. Zonova Проблемы коммерциализаций на пути построения инновационной модели экономики. ელ. რესურსი. [www.economicarg-gu.ru/2011\\_1/zonova.pdf](http://www.economicarg-gu.ru/2011_1/zonova.pdf). გვ.3

ციალიზაციის ხერხების ანალიზს, ავლენენ თითოეული მათგანის შესაბამისი დანახარჯების და მოსალოდნელი შემოსავლების მოცულობებს. საგულისხმოა, რომ დანახარჯების ძირითადი მუხლები მომავალი მყიდველების მოძიებას უკავშირდება, რადგან დღეს არსებულ ვითარებაში ადგილზე მათი პოვნა ძალიან ძნელია. ამიტომ ინოვაციების შემქმნელები მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ მნიშვნელოვანი თანხების ხარჯვა მათ კლიენტების მოზიდვაზე მოუწევთ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ო. შატერაშვილი, გ. ქოჩორაძე, მ. ცაცა-ნაშვილი საინოვაციო პოლიტიკა სა-

ქართველოში: რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას. ელ. რესურსი:

[eapnationalplatform.ge/admin/editor/uploads/files/publications/Policy%20paper\\_WG2\\_Inovatia.pdf](http://eapnationalplatform.ge/admin/editor/uploads/files/publications/Policy%20paper_WG2_Inovatia.pdf)

2. Е.А. Кандрашина Институциональные условия коммерциализаций инноваций. Вестник Самарского экономического университета, 2009, 5 (55) გვ. 50-54
3. Комков Н.И., Бондарева Н.Н. Проблемы коммерциализаций научных исследований и направления и решения. // Проблемы прогнозирования, 2007, №1
4. А.С. Маева, О. В. Зонина Проблемы коммерциализаций на пути построения инновационной модели экономики. ელ. რესურსი. წწ. ეცონომიკარგგუ.რუ/2011—1/ზონოვა.პდფ.

### ინოვაციების კომეციალიზაციის უზუურნველყოფის უცხოური გამოცდილება\*

| უზრუნველყოფის მიმართულება | გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტი   | ინსტრუმენტები  | ქვეყნები   |
|---------------------------|--|--|--|
| ფინანსური                 | სამეცნიერო კვლევებისა და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოთა სახელმწიფო საფინანსო მხარდაჭერა | სახელმწიფო დაკრედიტება და სახელმწიფო გარანტირება; საგადასახათო შეღავათები; დაჩქარებული ამორტიზაცია; მეცნიერებადტევადი პროდუქტის მხარდამჭერი საექსპ. საიმპ. კვოტები | აშშ, იტალია, ბელგია, შვედეთი, კანადა, დ. ბრიტანეთი |
|                           | კერძო ინვესტიციების სტიმულირება  | საპატენტო და ვენცურული კომპანიების შექმნა  | შვედეთი, აშშ                                       |
|                           | ინოვაციების შემქმნელთა მხარდაჭერა  | ეროვნული ბრენდებისა და ინოვაციური ბიზნესის მხარდაჭერა  | ევროკავშირი, აშშ                                   |
|                           | მაღალრენტაბელური ინოვაციების შემქმნელთა მხარდაჭერა                                       | ინოვაციების შემქმნელებსა და ბიზნესს შორის შუამავლობის მექანიზმის შემუშავება  | ევროკავშირი, აშშ                                   |
| ორგანიზაციული             | სამეცნიერო კვლევების სტიმულირება   | კლასტერებისა და ტექნოლოგიური პარკების სისტემის განვითარება   | ევროკავშირი  |
|                           | სამეც. ტექნოლოგიური და სამრეწველო პოლიტიკის ინტეგრირება                                  | ახალი ჰოლდინგური კომპანიების შექმნა და განვითარება   | გფრ  |
|                           | საზოგადეობრივი და კერძო ინიციატივების წახალისება სახელმწიფოს მიერ.                       | პერსონალის გაცვლის სახელმწიფო მხარდაჭერა, კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის განვითარება   | ავსრალია, გფრ                                      |
| ნორმატიულ-სამართლებრივი   | მეცნიერთა წახალისება ინოვაციათა ტრანსფერში   | შექმნილ კომპანიებში აქციათა ფლობის უფლებს კვლევით დანსებულე-ბაში მეცნიერის სტატუსის არანაკლებ 6 წლით შენარჩუნების პირობით  | იტალია, გფრ, საფრანგეთი                            |
|                           | კვლევის შედეგებზე საკუთრების უფლების დამკვიდრება   | მენარმოების უფლება<br>მიღებული როიალტის დაბეგვრაზე უარის თქმა  | საფრანგეთი<br>ირლანდია                             |
|                           |  | საკუთრების შერეული ფორმა მეცნიერისათვის მინიჭებული განსაკუთრებული უფლების პარალელურად  | ფინეთი, შვედეთი, იტალია, საბერძნეთი                |
|                           | სახელმწიფოს მიერ მეცნიერებზე განეული ხარჯების კონტროლი                                   | ინოვაციური კომპანიების შექმნაში ბიუჯეტის სახსრების დაბანდების შესაძლებლობა   | ბელგია, საფრანგეთი, აშშ, გფრ                       |

\* Комков Н.И., Бондарева Н.Н. Проблемы коммерциализаций научных исследований и направления и решения. // Проблемы прогнозирования, 2007, №1 გვ. 47-48

# ფინანსური შუამავლობის განვითარება საქართველოში პრობლემები და ტენდენციები

ლილი გვენეტაძე — სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

## რეზიუმე

ფინანსური შუამავლობა, ეკონომიკური სუბიექტების არაპირდაპირი დაფინანსება და საფინანსო ბიზნესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს. საქართველოში ფინანსური შუამავლობის განვითარება საფინანსო საშუამავლო სექტორის განვითარებას მოითხოვს. ეს სექტორი საფინანსო საშუამავლო ინსტიტუტებისაგან შედგება. ნაშრომში: შესწავლილი და განალიზებულია — კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო კომპანიებისა და საპენსიო ფონდების შედეგობრივი მაჩვენებლები, მათი ადგილი და როლი ფინანსური შუამავლობაში. ანალიზის შედეგად გამოვლინდა საფინანსო საშუამავლო სექტორში არსებული ზოგიერთი ტენდენციები, პრობლემები და გაკეთებულია დასკვნები.

## Financial Intermediation Development in Georgia Problems and Tendencies

### Summary

Financial Intermediation that is Indirect financing of the economic players is one of the important sectors of the economic activities. The development of financial intermediation in Georgia is requires the effective structure of financial intermediation institutions. The thesis studies and analysis the current performance of commercial banks, credit unions, microfinance organizations, insurance companies and pension funds. Their place and role in the financial intermediation. The analysis revealed some tendencies, problems and based on this are made conclusions.

**საკვანძო სიტყვები:** საფინანსო სექტორი, საფინანსო ინსტიტუტები, ფინანსური შუამავლობა, არაპირდაპირი დაფინანსება, დაკრედიტება, დოლარიზაცია.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.<sup>6</sup> აღნიშნულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს ინვესტი-

ციების ზრდა, დანაზოგების ინვესტიციებად გარდაქმნა და მთლიანად ქვეყნის საფინანსო სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირება წარმოადგენს.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, საფინანსო სექტორი — საფინანსო სექტორის წარმომადგენლების ერთობლიობაა.<sup>1</sup> ამავე კანონის მიხედვით, საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს ფინანსური შუამავლები, საფონდო ბირჟა და სხვა საფინანსო სერვისის ცენტრები მიეკუთვნება. შესაბამისად საფინანსო სექტორი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ურთიერთდაკავშირებული საფინანსო ინსტიტუტების (ფირმების) ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის, როგორც პირდაპირ ისე არაპირდაპირ დაფინანსებას, საფინანსო რესურსების მოძრაობასა და გადანაწილებას. ეკონომიკის საფინანსო სექტორში შემოსავლების დიდი ნაწილი ფინანსური შუამავლობის შედეგად მიიღება. **ფინანსური შუამავლობა, საფინანსო შუამავლების მონაწილეობით, ეკონომიკური სუბიექტების არაპირდაპირი დაფინანსებაა.**<sup>8</sup> მსგავსად სხვა დარგებისა, საფინანსო საშუამავლო ინსტიტუტები (ფირმები) თავიანთ საქმიანობას მოგების მიღების მიზნით ეწევიან, ფინანსური შუამავლობა კი ბიზნესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ ფინანსური შუამავლები ეკონომიკას უფრო ეფექტურსა და დინამიურს ხდიან.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური შუამავლობა საქართველოში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია, მისი როლი კერძო სექტორის დაფინანსებაში მნიშვნელოვანია. შესაბამისად ფინანსური შუამავლობის განვითარება ისეთი ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას და რეალიზაციას მოითხოვს, რომელიც გრძელვადიანი დანაზოგების ზრდას და ინვესტიციებში მის ეფექტურ ტრანსფორმაციას შეუწყობს ხელს. აღნიშნულიდან გამომდინარე საფინანსო შუამავლობის განვითარების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების შესწავლა და მისი დაძლევის გზების გამონახვა უაღრესად აქტუალურია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ქვეყანაში კორპორაციების დაფინანსების სისტემა თავისებურებებით ხასიათდება. იმავდროულად არსებობს ერთი საერთო კანონზომიერება. კერძოდ, კვლევებმა აჩვენეს, რომ მრავალ განვითარებულ ქვეყნებში, როდესაც ფირმები თავისი საქმიანობის დაფინანსებისათვის საშუალებას ეძებენ, როგორც წესი მიმართვენ არა ფასიანი ქაღალდების ბაზარს, არამედ საფინანსო შუამავლებს. ასეთი ქვეყნებია მაგალითად: აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, გერმანია და საფრანგეთი.<sup>6</sup>

მე-20 საუკუნის დასასრულსა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს ინდუსტრიულ ქვეყნებში ეკონომიკის საფინანსო სექტორის სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური ცვლილებები განიცადა. რიგ სახელმწიფოებში განხორციელდა საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ლიბერალიზაცია, დაჩქარდა კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი, შეიქმნა უმსხვილესი უნივერსალური საფინანსო საბანკო ჯგუფები, რომლებიც ლიდერულ პოზიციას იკავებენ ნაციონალურ და მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე. საფინანსო სექტორის სეგმენტებს შორის დაიწყო ტრადიციული საზღვრების თანდათანობით გაუქმება. აღსანიშნავია ცალკეული სახის საფინანსო ინსტიტუტების, მაგალითად საინვესტიციო ფონდების ზრდის ტენდენცია, რომლებმაც შეძლეს დანაზოგების მნიშვნელოვანი ნაწილის აკუმულირება და საფინანსო სექტორის აქტივებში მათი ხვედრითი წონის არსებითი ზრდა.

აღნიშნული პროცესები უდიდეს გავლენას ახდენს, მსოფლიოს განვითარებულ და ნამყვან ქვეყნების საფინანსო ინდუსტრიაში — ბანკებზე, საინვესტიციო, სადაზღვევო კომპანიებზე და სხვა ორგანიზაციებზე, რაც ამ ქვეყნებში საფინანსო შუამავლობის თანდათანობით ტრანსფორმაციას განაპირობებს. იმავდროულად ეს პროცესები ზემოქმედავენ ახდენს სხვა ქვეყნების და მათ შორის განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე და საფინანსო სექტორზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ განვითარებად საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ფირმების შესახებ ინფორმაციის მოპოვება საკმაოდ რთულია.

შესაბამისად ასეთ ქვეყნებში ფასიანი ქაღალდების ბაზარი ადგილს უთმობს ბანკებს და სხვა საფინანსო შუამავლებს. საფინანსო შუამავლების სამი კატეგორია არსებობს: **ა. სადეპოზიტო დანესებულებები** (ბანკები) — კომერციული ბანკები, შემნახველ-გამსესხებელი ორგანიზაციები, ურთიერთშემნახველი ბანკები,

საკრედიო კავშირები; **ბ. სახელშეკრულებო შემნახველი დანესებულებები** — სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები; **გ. საინვესტიციო შუამავლები** — საფინანსო კომპანიები (საინვესტიციო ფონდები), ორმხრივი ფონდები და ფულის ბაზრის ორმხრივი ფონდები.<sup>8</sup>

საქართველოს საფინანსო სექტორში სადეპოზიტო დანესებულებები კომერციული ბანკებით და საკრედიტო კავშირებით არის წარმოდგენილი. ამასთან ქვეყნის საფინანსო სექტორში საბანკო სექტორი დომინირებს. ბანკები ზოგადად, აქტივების თვალსაზრისით, დღეს ყველაზე მსხვილი და უძველესი ფინანსური შუამავლებია. ბანკების ფინანსური შუამავლებია, ვისთანაც საშუალო ადამიანი ყველაზე უფრო ხშირად ურთიერთობს.<sup>7</sup> 2014 წლის მდგომარეობით საქართველოს საბანკო სისტემა 21 კომერციულ ბანკს აერთიანებდა, საბანკო სექტორის მთლიანი აქტივები კი მშპ-ს 70%-ს შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბანკების რაოდენობის შემცირების ტენდენცია აღინიშნება (1994 წელს იყო 229,<sup>9</sup> 2000 წელს 32, ხოლო 2014 წელს 21 ბანკია),<sup>2</sup> ის მოსახლეობის რიცხოვნობასა და ეკონომიკის მასშტაბებთან დამოკიდებულებით ოპტიმიზაციას მოითხოვს.

ყურადღებას იმსახურებს ქვეყნის საბანკო სექტორში უცხოური კაპიტალის უშუალო მონაწილეობის ზრდის ტენდენცია. ასე მაგალითად 2004 წელს უცხოური კაპიტალის მონაწილეობით კომერციულ ბანკების 57% ფუნქციონირებდა, 2014 წელს კი 90%. 2014 წელს არარეზიდენტი მესაკუთრეების მონაწილეობა ბანკების აქტივებში, საბოლოო მფლობელობის მიხედვით 87%-ს, ხოლო სააქციო კაპიტალში 84%-ს შეადგენდა.<sup>11</sup> უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველოს საბანკო სექტორი საკმაოდ ძლიერი სტრატეგიული ინვესტორებთანაა წარმოდგენილი, მათ შორის, მსხვილი ევროპული და რეგიონული საბანკო და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებით, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში დამატებითი კაპიტალის ლიკვიდობის ინექციის უნარი შესწევთ.

ქვეყნის საბანკო სექტორში, 2010-2014 წლებში, კომერციული ბანკების სესხებისა და დეპოზიტების მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ასე მაგალითად, 2010 წელთან შედარებით 2014 წელს ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები, დაახლოებით 2-ჯერ (12,7 მლნ ლარი შეადგინა) გაიზარდა. აქედან ეროვნულ ვალუტაში 3-ჯერ, ხოლო უცხოურ ვალუტაში კი 1,7-ჯერ. ვადიანი დეპოზიტების მოცულობა იმავე პერიოდში 2,8-

ჯერ გაიზარდა (7,6 მლნ ლარი შეადგინა). აქედან ეროვნულ ვალუტაში დაახლოებით 5,5-ჯერ, ხოლო უცხოურ ვალუტაში 2,3-ჯერ. ამავე პერიოდში დანაზოგების დონე გაიზარდა 10,4 პროცენტული პუნქტით და 20,2 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში **დანაზოგების ზრდისა მისი ინვესტიციებში ტრანსფორმაციის პროცესი გააქტიურდა.**

შეიცვალა საქართველოს საბანკო სექტორის მიერ ეკონომიკის დაკრედიტების სტრუქტურაც. ასე მაგალითად 2014 წელს 2010 წელთან შედარებით რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების მოცულობა გაიზარდა 51%-ით. ამასთან თუ კი 2010 წელს გაცემული სესხის მთლიანი მოცულობის 43 პროცენტი ვაჭრობის სექტორზე მოდიოდა, ხოლო სოფლის მეურნეობაზე, მრეწველობაზე და მშენებლობაზე შესაბამისად 1; 27 და 8,4 პროცენტი. 2014 წელს ვაჭრობის სექტორზე გაცემული სესხების ხვედრითი წილი შემცირდა და 40,1 პროცენტი შეადგინა, რაც შეეხება სოფლის მეურნეობაზე გაცემული სესხების მოცულობას, ის დაახლოებით 3-ჯერ გაიზარდა და მასზე გაცემულ სესხებზე მთლიანი სესხების მოცულობის 2,1 პროცენტი მოდის. მრეწველობაზე და მშენებლობაზე გაცემული სესხების მოცულობა გაიზარდა, მაგრამ მისი ხვედრითი წილი მთლიან სესხებში შესაბამისად 23,7 და 7,2 პროცენტს უდრის<sup>2</sup>. **მიგვაჩნია, რომ ეკონომიკის დაკრედიტების სტრუქტურული გაჯანსაღების შემდგომი სტიმულირება ქვეყნის ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას შეუწყობს ხელს.**

საქართველოს საბანკო სექტორში, როგორც მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს ფინანსური დოლარიზაციის დონე. მაღალი დოლარიზაციის პირობებში გაცვლითი კურსის მკვეთრი ცვლილება საბანკო სექტორისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. ასეთი რისკის თავიდან ასცილებლად ბანკები უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებს, ეროვნულ ეკონომიკაზე, სესხებად კვლავ უცხოურ ვალუტაში გასცემენ. ასეთ შემთხვევაშიც კი, იმ ვალუტების შეუსაბამობის გამო, რომლებშიც დენომინირებულია ბანკისა თუ მსესხებლის შემოსავლები და ვალდებულებები, დოლარიზაცია საბანკო სექტორის სისტემურ რისკს ზრდის. შესაბამისად **ფინანსური დოლარიზაციის დაბალი დონე საბანკო სექტორის სისტემურ რისკს ამცირებს და ასევე ხელს უწყობს მონეტარული პოლიტიკის უფრო ეფექტურად მოქმედებას.**

საქართველოში, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სეს-

ხებისა და დეპოზიტების მოცულობა იზრდება, ფინანსური დოლარიზაციის დონე კი მიუხედავად იმისა, რომ შემცირების ტენდენციით ხასიათდება ის ჯერ კიდევ მაღალია. ასე მაგალითად 2014 წელს 2010 წელთან შედარებით სესხის დოლარიზაციის საშუალო დონე შემცირდა 12 პროცენტული პუნქტით და 2014 წელს 61 პროცენტი გახდა. უნდა აღინიშნოს ის, რომ სესხის დოლარიზაციის დონე 2010 წელს 2006 წელთან შედარებით მხოლოდ 1 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ასეთივე ტენდენციას გვიჩვენებს დეპოზიტების დოლარიზაციის დონის დინამიკა. 2014 წელს 2010 წელთან შედარებით დეპოზიტების დოლარიზაციის საშუალო დონე 15 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 57% გახდა<sup>2</sup>. 2010 წელს 2006 წელთან შედარებით კი აღნიშნული მაჩვენებელი 6 პროცენტული პუნქტით შემცირდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოცემულ პერიოდში სესხებისა და დეპოზიტების დოლარიზაციის დონე განსხვავებულია მოკლე და გრძელვადიან პერიოდისათვის, შესაბამისად მისი საშუალო დონე რეალურ მდგომარეობას ზუსტად ვერ ასახავს. მიუხედავად ამისა, ზოგადად, ფინანსური ნაკადების დოლარიზაციის დონეზე დაკვირვება მნიშვნელოვანია, რამდენადაც აღნიშნული მაჩვენებელი ეკონომიკური აგენტების კურსის ცვლილების მოლოდინს და ეროვნული ვალუტის ნდობის მოლოდინს უკავშირდება.

რაც შეეხება ისეთი არასაბანკო სადეპოზიტო ინსტიტუტს, როგორცაა საკრედიტო კავშირი მისი როლი საქართველოს ეკონომიკის დაფინანსებაში უმნიშვნელოა. საკრედიტო კავშირში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირებს. ის სესხს მხოლოდ თავის წევრებზე გასცემს და ანაბრებს მხოლოდ თავისი წევრებისაგან იზიდავს, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც უზრუნველყოფილი ისე არაუზრუნველყოფილი. ქვეყანაში 2010 წელს სულ 18, ხოლო 2014 წლის მონაცემებით 17 საკრედიტო კავშირი იყო. ამ პერიოდში მთლიანი აქტივები გაიზარდა დაახლოებით 2-ჯერ და 8,1 მლნ ლარი შეადგინა.

ფინანსური შუამავლების ისეთ კატეგორიას, როგორცაა სახელშეკრულებო შემნახველი დაწესებულებები — სადაზღვევო კომპანიები და საპენსიო ფონდები, საფინანსო შუამავლობის სფეროში, აქტივების ეფექტური გარდაქმნა შეუძლიათ. კომპანიები სადაზღვევო პრემიების ინვესტიციიდან მიღებული შემოსავალს სადაზღვევო მომსახურების მიზნით იყენებენ. როგორც 2010 ისე 2014 წლებში საქართველოს

სადაზღვევო ბაზარზე 16 კომპანია მოქმედებდა. 2014 წელს 2010 წელთან შედარებით გაფორმებული პოლისების რაოდენობამ 88%-ით გაიზარდა და 4,9 მლნ შეადგინა. 2014 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული ჯამური სადაზღვევო პრემია შემცირდა 16%-ით და 302,6 მლნ ლარი შეადგინა, რაც სადაზღვევო ბაზარზე კომპანიების ნაკლებად გააქტიურებას გვიჩვენებს. სადაზღვევო სახეობის მიხედვით, ჯამურ მოზიდულ პრემიაში 43%-ით სამედიცინო დაზღვევა ლიდერობს. სადაზღვევო ბაზარზე კომპანიების შემდგომი გააქტიურება სადაზღვევო პროცესებისა და სადაზღვევო მარკეტინგის ეფექტურ მენეჯმენტს მოითხოვს.

რაც შეეხება საპენსიო ფონდების სისტემას, ის მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში დიდ პოპულარობით სარგებლობს. საპენსიო ფონდის დამფუძნებლები სადაზღვევო კომპანიები არიან. 2014 წლის მონაცემებით საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე რეგისტრირებული სადაზღვევო კომპანიების მიერ დაფუძნებულია 5 საპენსიო სქემა, საიდანაც მხოლოდ ორი ანხორციელებს აქტიურად საპენსიო დაზღვევას. მართალია 2010-2014 წწ სქემაში საპენსიო საპენსიო შენატანის; საპენსიო რეზერვებისა და საპენსიო სქემის საინვესტიციო შემოსავლის მიხედვით ზრდის ტენდენცია შეინიშნება, ამასთან მისი როლი დანაზოგებისა და დროებით თავისუფალი ფულადი სასხრების ინვესტიციებად ტრანსფორმაციაში ჯერ უმნიშვნელოა.

საქართველოს ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო სფეროში „გამარტივებული“ ზედამხედველობის პოლიტიკას ატარებს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ ლიბერალურმა საზედამხედველო გარემომ მიკროსაფინანსო სექტორის განვითარებას შეუწყობს ხელი და ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა. საქართველოში, 2010 წელს 2014 წელთან შედარებით გაიზარდა: საფინანსო სექტორში მონაწილე მიკროსაფინანსო ორგანიზაციები რაოდენობა დაახლოებით 1,4-ჯერ; მთლიანი აქტივების ოდენობა 3,2-ჯერ (1,1 მლნ ლარი შეადგინა); წმინდა სესხების მოცულობა 3,7-ჯერ (841,4 მლნ ლარი შეადგინა). მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი სამი სექტორით არის წარმოდგენილ. კერძოდ, ვაჭრობა და მომსახურება, სოფლის მეურნეობა და მეტყვეობა და სამომხმარებლო სესხები. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სახსრებს, როგორც არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებიდან, ისე ნაკლებად ინფორმირებულ ფიზიკური პირებიდან იღებენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველო-

ში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ არარეზიდენტი საფინანსო ინსტიტუტების დაინტერესება იზრდება. დაურეგულირებელი საფინანსო შუამავლობის ზრდამ კი ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ მდგრადობას მომავალში შეიძლება გარკვეული საფრთხე შეუქმნას.

## დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფინანსური ბიზნესი განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება, ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს კერძო სექტორის არაპირდაპირ დაფინანსებაში. დღეისათვის ქართულ საფინანსო სექტორში განმსაზღვრელი ადგილი კომერციულ ბანკებს უკავია. რაც ეკონომიკის ბანკებზე დამოკიდებულების ხარისხის და შესაბამისად რისკ-ფაქტორების ზრდას განაპირობებს. ეკონომიკაზე ფინანსური შუამავლობის დადებით ეფექტი მოითხოვს, ეკონომიკის დაფინანსებაში არასაბანკო საფინანსო სექტორის ხვედრითი წილის ზრდას. ასევე უნდა გაიზარდოს მათი როლი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების მიმართულებით. ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ მდგრადობას შეიძლება გარკვეული საფრთხე შეუქმნას დაურეგულირებელი საფინანსო შუამავლობის ზრდამ.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ორგანული კანონი, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ თბ. 2009.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში., 2006-2010წწ.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი., 2001-2014 წწ.
4. საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, 2006-2010წწ;
5. საქართველოს სოციალურ ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველოს 2020 – საქართველოს მთავრობა — <http://static.mrdi.gov.ge>
6. Зви Боди, Роберт Мертон., Финансы., Вильямс. 2007
7. Фредерик С. Мишкин., Экономическая теория денег, банковского дела и финансовых рынков., Москва • Санкт-Петербург • Киев 2006
8. Андреас Биллмайер и Шуанг Динг., Финансирование экономического роста в Грузии, Экономический вестник, 2007.
9. საქართველოს ეროვნული ბანკი, სტატისტიკა., <https://www.nbg.gov.ge/index.php?m>
11. საით მიჰყავს საქართველო საბანკო სისტემას ., <http://www.commersant.ge>

# ეკონომიკის მართვის მეთოდები

ლუარა გვაჯაია – სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

## რეზიუმე

სტატიაში მოცემულია ეკონომიკის მართვის მეთოდის არსი და მნიშვნელობა, განხილულია სამი ძირითადი მეთოდი – ადმინისტრაციულ-მბრძანებლური (განკარგულებითი), ეკონომიკური სტიმულირების და სოციალურ-ფსიქოლოგიური. მართვის ადმინისტრაციულ-განკარგულებითი მეთოდი დამყარებულია მართვის სუბიექტის ბრძანება-განკარგულებების მეშვეობით მართვის ობიექტზე ზემოქმედების მოხდენაზე და ამ უკანასკნელის მიერ ბრძანების განუხრელად შესრულებაზე. ასეთი მეთოდი დამახასიათებელია და ამავდროულად ტიპურიცაა ცენტრალიზებულად მართვად არასაბაზრო ეკონომიკისათვის, მაგრამ იგი გარკვეულწილად გამოიყენება საბაზრო ეკონომიკაშიც.

ფართოდაა განხილული ეკონომიკური სტიმულირების მეთოდის არსი და მნიშვნელობა, იგი დაფუძნებულია მართვის ობიექტის მატერიალურ დაინტერესებაზე და დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის. ასევე სტატიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მართვის მესამე – სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდის განხილვას, რომელიც უშუალო კავშირშია ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეთა მორალურ ქცევებთან; მას მიაკუთვნებენ დარწმუნების მეთოდს, დამყარებულია ადამიანის ფსიქოლოგიაზე და ქცევის ტიპებზე.

**საკვანძო სიტყვები:** მართვა, ეკონომიკა, მეთოდი, სუბიექტი, ობიექტი, ადმინისტრაციულ-განკარგულებითი, სტიმულირება, ნახალისება, სოციალურ-ფსიქოლოგიური, მორალური, ზემოქმედება, მმართველობითი, ქცევები, ხელმძღვანელი, შემსრულებელი, ბრძანება, დარწმუნება.

## Economic Management Methods

### Summary

The article considers the essence and significance of technique of management of economy. Three basic techniques are considered: administrative-directive (commanding), stimulation of economy and social-psychological. Administrative-directive technique of management is based on influence of commands and

orders of management subject upon management object and conformity of the object. Such technique is typical for centrally governed non-market economy, but it's also used in market economy to a certain degree.

The article widely considers the essence and significance of technique of stimulation of economy. It is based on object's material interests and it is typical for market economy. Besides, significant part of article is dedicated to the third, social-psychological technique of management that is directly related to moral activities of participants of economic field. It includes technique of assurance that is based on human psychology and types of behaviour.

**Keywords:** management, economy, technique, subject, object, administrative-directive, stimulation, promotion, social-psychological, moral, influence, administrative, behaviours, director, administrant, order, assurance

**მართვა ზოგადად** – ეს არის ადამიანის, სოციალური ჯგუფების და საზოგადოების გაცნობიერებული ზემოქმედება ობიექტებზე და გარემომცველ სამყაროში მიმდინარე პროცესებზე, მათში მონაწილე ადამიანებზე და ადამიანთა ურთიერთობებზე, რომლის მიზანია პროცესების წარმართვა განსაზღვრული მიმართულებით სასურველი, საჭირო შედეგების მისაღებად.

მართვის ყველაზე მთავარი ობიექტი **ეკონომიკაა**, იგი წარმოგვიდგება მსოფლიო ეკონომიკის, ქვეყნის ეკონომიკის, მისი რეგიონების, ქალაქების, დარგების, საწარმოების ეკონომიკის, ეკონომიკური რესურსების და წარმოების ფაქტორების, ფინანსების, სამეცნიერო-ტექნიკური და ინფორმაციული პოტენციალის და სხვათა სახით.

**მართვის სუბიექტებად** ეკონომიკაში ჩვეულებრივ გამოდიან სახელმწიფო-საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამართლებრივი ორგანოები, მართვის დარგობრივი, საუნწყებო, ტერიტორიული ორგანოები, ეკონომიკური ობიექტების მესაკუთრეები, სამეურნეო ხელმძღვანელები, მენეჯერები.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების საფუძველზე მეცნიერ-ეკონომისტების მიერ ჩამოყალიბდა ეკონომიკის მართვის ძირითადი მეთოდები და ინსტრუმენტები. ჩვენი სტატიის მიზანია განვიხილოთ და გავაანალიზოთ თა-

ნამედროვე ეტაპზე ეკონომიკის მართვაში გამოყენებადი ძირითადი მეთოდები. **მართვის მეთოდი** – ეს არის მართვის განხორციელების გზა, ხერხი, რომლის მეშვეობით მართვის სუბიექტი მმართველობით ზემოქმედებას ახდენს მართვის ობიექტზე თავისი სურვილებისა და მიზნების განსახორციელებლად. მართვის მეცნიერებაში გამოყოფენ სამ ძირითად მეთოდს: ადმინისტრაციულ-მბრძანებლური (განკარგულებითი), ეკონომიკური სტიმულირების და სოციალურ-ფსიქოლოგიური.

**მართვის ადმინისტრაციულ-განკარგულებითი მეთოდი**, როგორც სახელწოდები-დან ჩანს, დამყარებულია მართვის სუბიექტის ბრძანება-განკარგულებებზე, რომელთა მეშვეობით ხდება მმართველობითი ზემოქმედება მართვის ობიექტზე, რაც გულისხმობს მის მიერ მართვის სუბიექტის განკარგულების განუხრელად შესრულებას თავისი სურვილის გათვალისწინების გარეშე; ამიტომ ადმინისტრაციულ-განკარგულებით მეთოდს ასევე უწოდებენ მბრძანებლურს, დირექტიულს. მართვის ასეთი მეთოდი დამახასიათებელია და ამავდროულად ტიპურიცაა ცენტრალიზებულად მართვად არასაბაზრო ეკონომიკისათვის, რომელშიც მმართველობითი ზემოქმედებები მიმართულია ზემოდან ქვემოთ კანონების, წესების, დირექტიული გეგმების, დადგენილებების, ინსტრუქციების, განკარგულებების, ბრძანებების სახით; უკუკავშირები ქვემოდან ზემოთ მოიცავს ძირითად ინფორმაციას ბრძანების შესრულებაზე; მას არ ახასიათებს დემოკრატიულობა და ლიბერალიზმი. როგორც ცნობილია, მართვის ასეთი მეთოდი სრულად იყო გამოყენებული ყოფილი საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკის მართვაში.

არ შეიძლება ითქვას, რომ მართვის ადმინისტრაციულ-განკარგულებითი მეთოდი დამახასიათებელია მხოლოდ ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკისათვის. მას გარკვეულწილად ვხვდებით საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც, (როგორც მაკროეკონომიკურ, ისე მიკროეკონომიკურ დონეზე), იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელისათვის მბრძანებლური საწყისები არ ვლინდება ისეთი ფართო მასშტაბით, როგორც ერთიანი ცენტრიდან მართვად ეკონომიკაში. დირექტიული მართვა ნებისმიერი ეკონომიკის პირობებში აუცილებელია არმიის, პოლიციის, უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების სამსახურებში.

**მაკროეკონომიკურ დონეზე** საბაზრო ეკონომიკაში ადმინისტრაციულ-განკარგულებითი

მართვის ინსტრუმენტი სახელმწიფო ეკონომიკური და ფინანსური გეგმები, ბიუჯეტი, პროგრამები; ისინი განმტკიცებულია აუცილებლად შესასრულებელი ღონისძიებებით, მითითებებით, ვალდებულებებით, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების, ორგანიზაციების მიერ.

**მიკროეკონომიკურ დონეზე** ადმინისტრაციულ-განკარგულებითი მეთოდით მართვის ტიპური გამოვლინებაა ორგანიზაციის (ფირმა, სააქციო საზოგადოება და სხვა) ხელმძღვანელის მიერ მიღებული და დამტკიცებული გეგმები, პროგრამები, წესდებები, ბრძანებები, რომლებიც მოიცავენ კონკრეტულ დავალებებს შემსრულებლების, თანამშრომლებისადმი და რომელთა უცილობლად შესრულება ყველა მათგანისათვის სავალდებულოა. ასევე მათ რიცხვს მიეკუთვნება ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული მუშაკთა სამსახურებრივი ქცევის სავალდებულო ინსტრუქციები, წესები და ნორმები, კოლექტივის შესაძლო მონაწილეობით ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ გაცემული საწარმოო დავალებები, საფინანსო გეგმები, გადაწყვეტილებები რესურსების, ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების შესახებ.

ამრიგად, მართვის ადმინისტრაციულ-განკარგულებითი მეთოდის მთავარი მანიშნებელია მართვის სუბიექტის მმართველობითი ზემოქმედების აღსრულების სავალდებულოება იმ პირებისათვის, ვისკენაც არის ადრესირებული მითითებები, დავალებები.

ადმინისტრაციულ - განკარგულებით მეთოდს გააჩნია როგორც გარკვეული დადებითი მხარეები, ისე ნაკლოვანებები. უფრო ხშირად ასეთი მეთოდის გამოყენება აუცილებელი და მომგებიანია იმ შემთხვევებში, როდესაც შეიძლება ორგანიზაციის მუშაკების მხრიდან საშემსრულებლო დისციპლინის, პასუხისმგებლობის დაბალი დონე, რასაც შედეგად მოყვება განსაზღვრული ფუნქციების არასრულფასოვნად შესრულება. მისი გამოყენება აუცილებელია მაშინაც, როდესაც სამუშაო შესასრულებელია სასწრაფოდ, გადაუდებლად ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული წესებით, ნორმებით, რომელიც გამორიცხავს მოქმედების დადგენილი გეგმიდან გადახრის დაშვებას. ასევე აღნიშნული მეთოდის გამოყენება აუცილებელია, როდესაც საქმე ეხება კანონების, სახელმწიფოს, საზოგადოების მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების შესრულებას.



ადმინისტრაციულ-განკარგულებითი მეთოდის ნეგატიური მხარე მდგომარეობს იმაში, რომ იგი ბოჭავს მუშაკთა შემოქმედებით ინიციატივას და აქცევს მათ ე.წ. „რობოტებად“, რომლებიც ბრმად და გაუაზრებლად ასრულებენ ბრძანებას ზემოდან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სამუშაოთა არაეფექტიანი შესრულება. შიშველი ადმინისტრირება წარმოშობს ჩინოვნიკ-მმართველების ძალაუფლებას, მართვის ბიუროკრატიზაციას, ხდება ხელმძღვანელობის გარდაქმნა ე.წ. „უფროსობად“, ადგილი აქვს ადამიანური ღირსებების, ადამიანთა თანასწორობის პრინციპის უპატივცემულობას. აღნიშნული თვისებების გამოვლენა ახასიათებთ ჩვეულებრივად იმ ხელმძღვანელებს, რომელთაც არ გააჩნიათ ღირსეული ადამიანებისათვის დამახასიათებელი ფასეულობათა მარაგი მორალურ-ეთიკური თვისებების სახით.

მიუხედავად მთელ მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკის დემოკრატიზაციის და ლიბერალიზაციის პროცესისა, რომელიც ეხება მართვის სფეროსაც ადმინისტრაციულ-განკარგულებითი მეთოდის შეზღუდვის მიმართულებით, მბრძანებლური, კომანდური მეთოდების გამოყენება რჩება მართვის აუცილებელ ნაწილად. ფაქტიურად მართვის ადმინისტრაციულ-განკარგულებითი მეთოდი გამოიყენება მართვის ყველა დონეზე სხვადასხვა დონით.

**მართვის ეკონომიკური სტიმულირების მეთოდი** დაფუძნებულია ადამიანებში მატერიალური დაინტერესების არსებობის ფაქტის გამოყენებაზე. აქედან გამომდინარე ეკონომიკური ნახალისება გამოდის როგორც მართვის მეთოდი, რომელიც პირდაპირ კავშირშია ადამიანთა სურვილებთან და ინტერესებთან, აღძრავს მართვის ობიექტის ეკონომიკურ დაინტერესებას. ამ მიზნით მართვის ორგანოები იყენებენ ისეთ ნამქეზებლურ სტიმულებს, როგორცაა, ხელფასი, პრემირება, შეღავათების დაწესება, შეზღუდვების შერბილება, ეკონომიკური თავისუფლების გაფართოება, ქონებრივი ფასეულობების გადაცემა საკუთრებაში და ა.შ..

მართვის ეკონომიკური მეთოდების პირობებში ადმინისტრაციულ - განკარგულებითი ცენტრალიზებული შემოქმედება ვერტიკალით „ზემოდან ქვემოთ“ - კარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც მართვის მთავარი მეთოდისა. ეკონომიკის ქვემდგომი რგოლები ღებულობენ ბევრად მეტ უფლებებს და შესაძლებლობებს მმართველობითი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად გამოიმუშავებაში, რის შედეგად იქმნება ორგანიზაციის თვითმმართველო-

ბის წინაპირობა. კანონები, რომლებიც არეგულირებენ ეკონომიკურ ურთიერთობებს უფრო მეტად იძენენ არა მკაცრი დირექტივების ხასიათს, არამედ უფლებების, ნებართვების და კანონების სახეს, თუმცა ისინი შეიცავენ აგრეთვე შეზღუდვებსაც (დასჯის ღონისძიებები, სანქციები) დადგენილი წესებისა და ნორმების დარღვევისათვის.

ეკონომიკური სტიმულირების მეთოდი დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის. ამ მეთოდის მომხრეები პირდაპირი მბრძანებლურ-განკარგულებითი მეთოდის გამოყენებას მართვის ობიექტთან მიმართებაში მიიჩნევენ დაუშვებელ ზენოლად, უფლებებისა და მოქმედებათა თავისუფლების ჩამორთმევას ობიექტის შიგა საქმეებში ჩასარეგად, რასაც მოყვება ობიექტის უკმაყოფილება და შესაძლოა სანინააღმდეგო მოქმედებაც კი. მეთოდების განსხვავება ვლინდება აგრეთვე ხელმძღვანელობის სტილშიც. ადმინისტრაციულ-განკარგულებითი მეთოდისათვის დამახასიათებელია ავტორიტარული სტილი, ხელმძღვანელის დიქტატურა, ეკონომიკური მეთოდისათვის კი - ლიბერალური სტილი, განმტკიცებული დემოკრატიული მიდგომებით, ამიტომ ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას უწოდებენ **ეკონომიკის ლიბერალიზაციას**. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რომ ეკონომიკური მეთოდი მთლიანად არ გამოორიცხავს განკარგულებით მმართველობას, რაც ვლინდება იმაში, რომ ხელმძღვანელი უფლებამოსილია მიიღოს პირადი და საბოლოო გადაწყვეტილება მის ფუნქციებში შემავალ საკითხებზე. ამიტომ ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური მეთოდისათვის დამახასიათებელია შერეული სტილი - ლიბერალური და ავტორიტარული სტილების შერწყმით.

ეკონომიკური სტიმულირების მეთოდი გამოიყენება მართვის **მაკროეკონომიკურ და მიკროეკონომიკურ დონეებზე**. მართვის ზედა დონეებზე გამოიყენება ისეთი ეკონომიკური სტიმულები, როგორცაა, საგადასახადო შეღავათი, კრედიტის პროცენტის დაბალი განაკვეთები, სარგებლიანი პირობების შეთავაზება სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისას, სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების არენდით გაცემისას. მართვის დაბალ დონეებში ეკონომიკური სტიმულების და ბერკეტების სახით ფიგურირებს ხელფასი და სხვა სახის შემოსავლები, პრემიალური ანაზღაურება, ფინანსური დახმარება, შეღავათების,

მატერიალური სიკეთეების შეთავაზება ეკონომიკური საქმიანობის უშუალო მონაწილეებისათვის, დაბალი რგოლის რიგითი შემსრულებლებისა და ხელმძღვანელებისათვის.

ეკონომიკური სტიმულირების მეთოდები ხასიათდებიან მაღალი მოქნილობით, გამომდინარე პირდაპირი კავშირიდან საქმიანობის შედეგისა და მატერიალური ნახალისების ან დასჯის მასშტაბებს შორის. ამ მნიშვნელობით ეკონომიკური მეთოდი წარმოადგენს მართვის სიტუაციურ, ადაპტაციურ ატრიბუტს. ეკონომიკური მეთოდების გამოყენება ქმნის ხელმძღვანელობის მმართველობითი დატვირთვის შემცირების საშუალებას იმ პირობებში, როდესაც შემსრულებლისათვის უკვე ცნობილია, რომ სამუშაოს წარმატებით შესრულებისათვის მათ ელოდებათ გარკვეული ჯილდო. ასეთ სიტუაციაში ხელმძღვანელის მხრიდან ზემოდან მართვა ავტომატურად გადადის შიგა თვითმმართველობის რეჟიმში თვით შემსრულებლის მხრიდან საკუთარი მოქმედების გზით, იგი დამოუკიდებლად ახორციელებს თავის მოქმედებებს ისეთნაირად, რომ მიაღწიოს მეტი გასამრჯელოს მიღებას. ხელმძღვანელი კი ასეთ შემთხვევაში კოორდინაციას უწევს და მიმართულებებს აძლევს სამუშაოს წარმატებით შესრულებაში დაინტერესებულ შემსრულებელთა საქმიანობას. მართვის ეკონომიკური მეთოდის დროს ხელმძღვანელის ფუნქცია ბრძანებების გაცემის გზით იძულებითი შრომის სფეროდან გადაინაცვლებს შესასრულებელ დავალებათა არსის ახსნაში, მათი მაღალ დონეზე შესასრულებლად რაციონალური ილეთების, საუკეთესო ტექნოლოგიების სწავლებაში. ამავდროულად ხელმძღვანელის მისიაში შედის დაქვემდებარებულ მუშაკთა საქმიანობის შედეგების შეფასება, რათა მათ შრომის შედეგების შესაბამისად მიიღონ შესაფერისი გასამრჯელო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკური და ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდები ურთიერთგამომრიცხავები არ არიან. ჯერ ერთი, ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს, რომელ მეთოდს მიანიჭოს უპირატესობა, რა მიმართულებაში შეიძლება გახდნენ ისინი ურთიერთშემცვლელელები და რა ზომით შესაძლოა მათი შერწყმა, და მეორე, მიუხედავად არსებითი განსხვავებისა, ეს მეთოდები მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებულები და თითქმის არ შეუძლიათ არსებობა ერთმანეთის გარეშე მრავალდონიანი მართვის პროცესებში.

**სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები** – ეფუძნება ადამიანთა სოციალური ფსიქოლოგიის, მათ საზოგადოებრივ მორალს და ქცევის კონკრეტული ტიპების მიმართ ფსიქოლოგიურ მიდრეკილებას. ამ მეთოდებს ასევე უწოდებენ მორალურ-ფსიქოლოგიურს, ვინაიდან იგი უშუალო კავშირშია ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეთა მორალურ ქცევებთან. თავისი შინაარსით სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები მიეკუთვნება დარწმუნების მეთოდების კატეგორიას, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკური საქმიანობის პროცესში ადამიანების ფსიქოლოგიასა და ქცევის სახეებზე მორალურ და ზნეობრივ ზემოქმედებაზე. თითოეულ ადამიანში ჩანერგილია და განუწყვეტლივ ფორმირდება შრომაზე, ფულზე, სიმდიდრეზე, ეკონომიკურ ურთიერთობებსა და ქცევის წესებზე შეხედულებების გარკვეული სისტემა. მთლიანობაში ეს არის ნაერთი პრინციპებისა და წესებისა, რომლებსაც შეიძლება ეწოდოს ეკონომიკური ფსიქოლოგია, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს თითოეული ადამიანის შინაგანი მორალური კოდექსის ნაწილს. ნებისმიერი ადამიანი თავის ქმედებებს ახორციელებს არა მარტო ქვეყანაში მოქმედი იურიდიული კანონებით და მისგან გამომდინარე მმართველობითი ზემოქმედებით მართვის სხვადასხვა სუბიექტის მხრიდან, არამედ თავისი პირადი შეხედულებების, საკუთარი შინაგანი პატიოსნებისა და მორალური კოდექსის ორიენტირების შესაბამისად. ეს ვლინდება როგორც ეკონომიკურ, ისე ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ადამიანურ ქცევებში.

მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები ეყრდნობა ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის, თანამშრომლობის პრინციპებს როგორც ხელმძღვანელთა და დაქვემდებარებულთა შორის, ისე საერთო საქმის შემსრულებელთა შორის ურთიერთობის პროცესში. მისთვის დამახასიათებელია მართვის დემოკრატიული, ლიბერალური სტილი, ადამიანებზე პირადი ზეწოლისგან, იძულებისგან თავის არიდება. მართვის ასეთი მეთოდი ეფექტიანია მაშინ, როცა ეკონომიკური საქმიანობა დაკავშირებულია არა უბრალოდ ხელმძღვანელის დავალებათა შესრულებასთან, არამედ ითხოვს საკუთარ ინიციატივას, საქმისადმი შემოქმედებით მიდგომას, დამყარებულს პასუხისმგებლობის, სავალდებულოობის გრძნობაზე, მოვალეობის შესრულებაზე.

სოციალურ-ფსიქოლოგიურ მეთოდს გააჩნია ზოგიერთი საერთო ეკონომიკური სტიმუ-

ლირების მეთოდთან იმ მიმართებით, რომ მართვის სუბიექტი, რომელიც რეალიზებას უკეთებს ამ მეთოდს, ზოგჯერ იყენებს მორალური სტიმულირების მეთოდს ისეთი არამატერიალური სახის ნახალისების ფორმით, როგორცაა, დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის თანამშრომლის შექება, მაღლობის გამოცხადება და სხვა. ადამიანებისათვის ნახალისების ასეთი ფორმა მნიშვნელოვანი სტიმულია უკეთესი მუშაობისათვის, რიგ შემთხვევებში მორალური სტიმულირება ხდება უფრო ქმედითი, ვიდრე მატერიალური, ფულადი, იგი დიდ კმაყოფილებას ანიჭებს ადამიანებს. მორალურ სტიმულს შეუძლია შეეხოს ადამიანის სულს, რაც შეიძლება ვერ მოახდინოს მატერიალურმა ნახალისებამ.

სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდების პრინციპული განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ მათი ზემოქმედება დამოკიდებულია პიროვნების ფსიქოლოგიურ ტიპზე და განწყობაზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ მეთოდით ეფექტიანად გამოსაყენებლად აუცილებელია შეირჩეს დარწმუნების, მორალური ზემოქმედების ხერხები, რომლებიც დადებითად იმოქმედებენ ადამიანებზე. ასევე საჭიროა დაკვირვებით შეირჩეს ინდივიდუალური და ჯგუფური ზემოქმედების ფორმები, მართვის ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებას შედეგად მოყვება დადებითი საპასუხო რეაქცია — პასუხისმეზობლისა და საშემსრულებლო დის-

ციპლინის, ინიციატივის ამაღლება, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რეალურ პრაქტიკაში ადამიანების, საწარმოო კოლექტივების, სოციალური ჯგუფების მართვისას ძალზე იშვიათად იყენებენ მხოლოდ ერთ მეთოდს. ეკონომიკის მართვაში შეიძლება გამოყენებული იქნეს ერთდოულად, პარალელურად მართვის სამივე მეთოდი, მაგრამ სხვადასხვა პროპორციით. ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც თავისთავზე იღებს მართვის ძირითად დატვირთვას, ხდება ნამყვანი, განმსაზღვრელი, დანარჩენი კი თავიანთი მიდგომებით ხელს უწყობენ ძირითადი მეთოდის მოქმედებათა გაძლიერებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გრეგორი მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. თბილისი. 2001.
2. ბარათაშვილი ე., ქუთათელაძე რ., გვაჯაია ლ., ყურაშვილი გ. საინვესტიციო მენეჯმენტი. თბილისი. 2011.
3. აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ. საინოვაციო მენეჯმენტი. თბილისი. 2015.
4. Б.А. Райзберг. Курс управления экономикой. Москва. 2003 г.
5. А. Е. Карлик, Е. М. Рогова, М.В.Тихонова, Е. А. Ткаченко. Инвестиционный менеджмент. 2008.

# საქართველოს ჩართულობა ახალი აზრეუმის გზის პროექტში და მოსალოდნელი გეოეკონომიკური ეფექტები

მაია ბენია — სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

ირინა ბენია — სტუ-ს დოქტორანტი

## Вовлеченность Грузии в проект нового “шелкового пути” и ожидаемые геоэкономические эффекты

Maია Бeния - Асоц. профессор ГТУ  
Ирина Бeния - Докторант ГТУ

### Резюме

История „шелкового пути“ начинается со II века до нашей эры. Она включала в себя Китай, Индию, Египет, Иран, Древний Рим и другие страны того времени. Грузия также являлась одним из звеньев этой симбиозной цепочки со своей транзитной функцией. Это давало возможность тогдашнему Грузинскому Государству быть в эпицентре тех процессов, которые происходили в тогдашней Европе и Азии, ознакомливаться с новейшими достижениями и технологиями научного прогресса, держать руку на пульсе происходящих событий как в политике, так и экономике. Со временем, в связи с прекращением функционирования шелкового пути и Грузия утратила свою роль в данном процессе. В статье рассмотрены новые политические и экономические перспективы, которые смогут открыться перед страной в случае реализации новых инициатив ряда государств, касающихся возможного восстановления данного проекта. Проанализированы возможные выгоды для Грузии в сфере политики, экономики и безопасности.

**საკვანძო სიტყვები:** აბრეშუმის გზა, გეოპოლიტიკური კორიდორი, ეკონომიკური თანამშრომლობა, ვაჭრობა, უსაფრთხოება, ენერგომატარებლები.

ძველი აბრეშუმის გზის ისტორია იწყება ჩვ. წ. II საუკუნეში, როდესაც ჩინელი დიპლომატი ჩჟან ციანი ეწვია ცენტრალური აზიის ქვეყნებს დიპლომატიური მისიით. ძვ. წ. 120 წელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩჟან ციანმა, ჰანის დინასტიის მაშინდელ იმპერატორს ლიუ ჩეს მოახსენა დეტალური ანგარიში ცენტრალური აზიის რეგიონში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ. ამ პერიოდიდან იწყება ჩინეთის მჭიდრო კონტაქტები დასავლეთის სახელმწიფოებთან. უძველესმა აბრეშუმის გზამ ამჟამად დიდი წვლილი შეიტანა ჩინეთსა და

სხვადასხვა ქვეყნებს შორის მეგობრული კავშირების გაძლიერებასა და კულტურების გავრცელებაში. აბრეშუმის გზის ფუნქციებში შედიოდა როგორც კულტურული თანამშრომლობა, აგრეთვე პოლიტიკური ურთიერთკავშირები, ტექნოლოგიური მიღწევების გაზიარება, დახვეწა და განვითარება. თავად სახელიც „აბრეშუმის გზა“ არ გულისხმობდა მხოლოდ აბრეშუმით ვაჭრობას, ეს სახელი ეწოდა იმის გამო, რომ სწორედ ჩინურ აბრეშუმს მოჰქონდა ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოგება იმ პერიოდისთვის. გარდა აბრეშუმისა, ვაჭრობის წყარო გახლდათ მონები, ატლასი, სუნამო, სუნელები, მინის ჭურჭელი და ა.შ. ვრცელდებოდა მაშინდელი ტექნოლოგიებიც. კერძოდ, აბრეშუმის, ფაიფურის, ქაღალდის, დენთის და სხვადასხვა საბრძოლო იარაღის დამზადების მეთოდები.

აბრეშუმის გზის არეალი იმდენად დიდი იყო, რომ იგი ფარავდა ჩინეთს, ინდოეთს, ეგვიპტეს, სპარსეთს, არაბეთს და რომს. პირველად სიტყვა „აბრეშუმის გზა“ გამოიყენა ფერდინანდ ფონ რიხტოფენმა 1877 წელს. გარდა იმისა, რომ ეს იყო გეოეკონომიკური ერთეული, ეს გახლდათ ასევე დიდი გეოპოლიტიკური ნარმონაქმნი, რომელიც ხელს უწყობდა სახელმწიფოებს დაეხვეწათ ტექნოლოგიები, გაეფართოვებინათ ვაჭრობის არეალი და ეკონომიკური ურთიერთობები.

უძველესმა აბრეშუმის გზამ ჩინეთი და საქართველო მჭიდროდ, ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ დააკავშირა. საქართველო იყო ერთ-ერთი რგოლი სიმბიოზური ჯაჭვისა, რომელსაც ერქვა აბრეშუმის გზა. საქართველომ იცოდა საკუთარი ფუნქცია, იპოვა საკუთარი თავი და გააცნობიერა, თუ რა როლი უნდა ეთამაშა იმდროინდელ მსოფლიოში, ეს იყო ტრანზიტორი სახელმწიფოს ნიშა, რაც საქართველოს საშუალებას აძლევდა სცოდნოდა იმ პროცესების შესახებ, რაც მიმდინარეობდა ევროპასა თუ აზიაში, ზიარებოდა ტექნოლოგიურ მიღწევებს, ყოფილიყო დიდი სახელმწიფოების ყურადღების ქვეშ, რომლებიც იზრუნებდნენ საქართველოს უსაფრთხოებაზე, ვინაიდან სწორედ საქართველოს უსაფრთხოება იქნებოდა მათი ეკონომიკური მოგების გარანტორი. საქართვე-

ლომ მნიშვნელოვანწილად დაკარგა სახელმწიფოებრივი ფუნქცია მაშინ, როდესაც თავად ძველმა აბრეშუმის გზამ ფუნქციონირება შეწყვიტა XVI საუკუნის მიწურულს, ცენტრალური აზიის რეგიონში მიმდინარე ომებისა და ევროპელების მიერ აფრიკის შემოვლით, საოკეანო გზის საბოლოოდ ათვისების გამო. როგორ უნდა დაიბრუნოს საქართველომ თავისი ისტორიული ფუნქცია ან რას გულისხმობს ეს ისტორიული ფუნქცია დღეს, როცა აღარ ხდება მონებით ვაჭრობა, არაა საჭირო პარფიუმერიისა და სუნელების ქარავნებით გადატანა და მსოფლიოც უფრო ურთიერთდამოკიდებული გახდა? შეიძლება თუ არა „ენერგო მატარებლების პოლიტიკამ“ საქართველოს დაუბრუნოს თავისი ისტორიული ფუნქცია? არის „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“, „ბაქო-თბილისი-სუფსა“, „ნაბუკო“ სწორედ ის პროექტები, რომელიც საქართველოს ფუნქციას დაუბრუნებს? ალბათ არის თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დღეს ენერგო რესურსები მსოფლიოსთვის, რამდენი იხარჯება სახელმწიფოების მიერ, რომ განხორციელდეს ესა თუ ის პროექტი.

საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს სტაბილურობა და ინტერესთა ჩართულობა რეგიონში. სტაბილურობა (თუ მას დემოკრატიული მმართველობის ფორმაც ემატება) ხშირად ასოცირდება კეთილდღეობასთან და ინვესტიციების შემოდინებასთან, რაც საქართველოს დამატებით ფუნქციებს შესძენს. ენერგომატარებლები ეკონომიკური მნიშვნელობის გარდა არის პოლიტიკური ფაქტორიც, ევროპა მწირი რესურსების გამო მოიხმარს 25-30% რუსულ გაზს, რაც რუსეთს დამატებით პოლიტიკური მანევრების საშუალებას აძლევს, რომელსაც იგი ხშირად თავისი პოლიტიკის განსახორციელებლად იყენებს. სტაბილურობა-სა და მშვიდობის გარეშე რეგიონში წარმოუდგენელია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილისი-სუფსა, ნაბუკო-ს პროექტების განხორციელება. ეს ის პროექტებია, რომლებმაც შეიძლება საქართველოს დაუბრუნოს ფუნქცია და აქციოს იგი ძირითად აქტორად რეგიონში.

მე-20 საუკუნეში საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა გამოყენებული იყო, როგორც მხოლოდ სატრანზიტო სავაჭრო კვანძი, კავკასიის დამაკავშირებელი რგოლი ევროპასა და აზიას შორის. გასული საუკუნის ბოლოდან კასპიისპირეთში ენერგომატარებლების ფართომასშტაბიანმა მოპოვებამ და ტრანზიტმა უზრუნველყო საქართველოსა და

აზერბაიჯანის ეკონომიკური და ფინანსური უსაფრთხოება, მაგრამ, მეორეს მხრივ, სტაბილური ექსპორტისთვის, განსაკუთრებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, საჭირო გახდა ამ ქვეყნების სამხედრო და სატრანსპორტო-საკომუნიკაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომამდე ექსპერტების უმეტესობა თვლიდა, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საქართველოს უსაფრთხოებას მასზე გამავალი სატრანსპორტო კომუნიკაციები, განსაკუთრებით „საუკუნის პროექტები“ უზრუნველყოფდნენ. მიჩნეული იყო, რომ ამ პროექტებით ქვეყანას ეძლევა შანსი, აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში. ამიტომ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი პირობა იყო.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტმა დაგვანახა, რომ ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ სიცოცხლისუნარიანობა არა „ინფრასტრუქტურულ კვაზიუსაფრთხოებაზე“, არამედ შავი ზღვისპირეთში რეგიონალურ უსაფრთხოებაზეა დამოკიდებული. რუსეთმა დასავლეთს თითქოს აგრძნობინა, რომ საქართველოს ევროატლანტიკური სტრუქტურებში მისწრაფების მიუხედავად, მისი ინფრასტრუქტურა სრულიად მონყვლადია. საბოლოო ჯამში, თუ 2008 წელს პირდაპირი სამხედრო აგრესიით რუსეთმა ვერ შეძლო „დერეფნის“ რომელიმე პროექტის ჩაშლა, 2013 წელს მან მოახერხა ჯერ გლობალური, პანევროპული „ნაბუქოს“, ხოლო 2014 წელს ყირიმის ანექსიით – აზერბაიჯანი-საქართველო-უკრაინის მარშრუტის „თეთრი ნაკადის“, ოდესა-ბროდი-პლოცკი-გდანსკის და AGRI (LNG)-ს პროექტების შეფერხება.

აღნიშნული საფრთხეების გასაწინააღმდეგოდ საჭიროა დაბალანსებული სატრანსპორტო პოლიტიკის გატარება. კერძოდ, ახალი აბრეშუმის გზის ერთ-ერთი დანიშნულება 2016 წლიდან, როდესაც „ნატო“ ავღანეთიდან ტვირთის გამოტანას დაიწყებს, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ზემოაღნიშნული საფრთხეებიდან დაცვაც იქნება.

თავის მხრივ, „ნატოსთვისაც“ პრიორიტეტულია ავღანური ტვირთებისთვის დივერსიფიცირებული გზები. საქართველოს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, შეუძლია გაატაროს ეს ტვირთები, რაც ქვე-

ყანას გარკვეულ შემოსავალს მოუტანს. საქართველო შესთავაზებს „ნატოს“ ავღანეთიდან ჯარისკაცებისა და ტვირთის გადმოზიდვის უმოკლეს მარშრუტს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით. სავარაუდოდ, „ნატო“ აუცილებლად გამოიყენებს საქართველოს შეთავაზებას, რადგან მას ავღანეთში წლების მანძილზე დაგროვილი უზარმაზარი ტვირთის უკუტრანზიტის არაერთი გზა ესაჭიროება, და ამასთან, სახმელეთო გადაზიდვა, საჰაეროსთან შედარებით გაცილებით იაფი ჯდება.

ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, ავღანეთიდან გადმოსაზიდი ტვირთის ნაწილი შესაძლოა, საქართველოშიც დარჩეს. ეს მაგალითად, შესაძლოა იყოს საგზაო ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალებები, თუ სხვადასხვა სახის ლოგისტიკური ინვენტარი. ამ პროცესში ჩართვა საქართველოს მეტ უსაფრთხოებას მოუტანს. ამ ტვირთს, გარდა იმისა, რომ სამოქალაქო მომსახურება სჭირდება, ასევე ესაჭიროება გარკვეული უსაფრთხოების გარანტიები, და შესაბამისად, განხორციელდება ზენოლა ნებისმიერ ქვეყანაზე, რომელიც საქართველოს დაემუქრება. მნიშვნელოვანია, რომ როგორც ავღანეთის საშვიდობო მისიის პარტნიორი ქვეყანა, საქართველო დაფიქსირდება ასევე ISAF-ის სატრანსპორტო გადაზიდვებში მონაწილეობითაც. ამასთან, შეთანხმება ისე უნდა გაფორმდეს, რომ მომავალში ის გამოყენებულ უნდა იქნეს ეკონომიკური მიზნებისათვისაც.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ასოცირების ხელშეკრულების“ გაფორმებით წარმოქმნილი ახალი რეალიების გათვალისწინებით, საქართველოს პირველად მიეცა შესაძლებლობა რეალურად ჩაერთოს გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებში. ეს ამოცანა შესაძლებელია წარმატებით გადაიჭრას ევროპა-აზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სივრცის – ახალი აბრეშუმის გზის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ქვეყნის გეოეკონომიკური ინტერესების ჰარმონიზაციის პირობებში.

ბოლო წლებში ჩინეთმა წამოაყენა სტრატეგიული კონცეფცია „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის“ შექმნის, საქართველომ კი „აბრეშუმის გზის აღდგენის“ შესახებ. ეს ორივე კონცეფცია მიზნად ისახავს სარტყელის გასწვრივ მდებარე ქვეყნებს (მათ შორისაა საქართველოც) შორის კომუნიკაციის, საგზაო კავშირების, ვაჭრობის, ვალუტის მიმოსვლისა და ხალხთაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესებას. ქვეყნები ერთად უნდა განვითარდნენ და მიაღწიონ კეთილდღეობას.

ევრაზიის გასაყარზე მდებარე საქართველო „ეკონომიკური სარტყელის“ მნიშვნელოვანი ნაწილია. „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის“ შექმნის იდეა შესაძლებლობას აძლევს საქართველოს გახდეს ევრაზიის დამაკავშირებელი სავაჭრო და ლოგისტიკური სატრანზიტო ქსელი. ნიშანდობლივია, რომ ამ ფართომასშტაბიანი პროექტის განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ეკონომიკური კორიდორის გასწვრივ მცხოვრები ადამიანების რაოდენობა სამ მილიარდს გადააჭარბებს, შესაბამისად, მასშტაბები და პოტენციალი ახალი პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ახალი ბაზრებისა, იქნება უპრეცედენტო და უნიკალური.

ჩინეთის ხელისუფლების კონცეფციის თანახმად, ოფიციალური პეკინი სთავაზობს ევრაზიის სახელმწიფოებს თანამშრომლობის ახალ მოდელს, რაც ითვალისწინებს ერთობლივი ძალისხმევით აბრეშუმის გზის ეკონომიკური კორიდორის ფორმირებას — თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ზონების შექმნით, ერთიანი საგზაო ქსელების მშენებლობით, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებით, სახალხო დიპლომატიის გააქტიურებით და ა.შ.

აბრეშუმის გზა თანამშრომლობის გზაც უნდა იყოს. ჩინეთ-საქართველოს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობა სწრაფად ვითარდება, მაგრამ კიდევ დიდი სივრცეა აუთვისებელი. ავტომაგისტრალების, რკინიგზის, პორტების, ელექტროენერჯის, კომუნიკაციების, წარმოებისა და სხვა სფეროებში ჩინეთს მდიდარი გამოცდილება აქვს. ინდუსტრიის კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტით განსაზღვრულ 22 ყველაზე მსხვილი ინდუსტრიიდან 7-ში ჩინეთს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. ფოლადის, ცემენტის, სამშენებლო მასალების, ავტომობილების, ქსოვილების... 220-ზე მეტი სახეობის პროდუქციის წარმოებაში წამყვან ადგილზეა. ჩინეთის ეკონომიკის გაძლიერების კვალდაკვალ, ჩინურმა კომპანიებმა საზღვარგარეთ ინვესტიციების განხორციელება დაიწყეს. საქართველოს უპირატესი გეოგრაფიული მდებარეობა, ხელსაყრელი საინვესტიციო პირობები, ევროკავშირთან და მეზობელ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, საქართველოს მთავრობის მისწრაფება განავითაროს ინფრასტრუქტურა, წარმოება და შემოიტანოს მეტი უცხოური ინვესტიცია, ყოველივე ეს ბევრ ჩინურ კომპანიას იზიდავს. 2014 წელს სწორედ ჩინეთიდან შემოვიდა ყველაზე დიდი რაოდენობის ინვეს-

ტიცია და მოსალოდნელია, რომ მომავალშიც უფრო მეტი ჩინური კომპანია მიიღებს მონაწილეობას ქვეყნის ეკონომიკის მშენებლობაში.

2014 წელს ჩინეთ-საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვამ 823 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და 28 პროცენტით მოიმატა ჩინეთი საქართველოს რიგით მეოთხე სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა, ხოლო წლიური მონაცემებით რიგით პირველი ინვესტორი. ჩინური კომპანიები შეუფერხებლად ახორციელებენ საინვესტიციო პროექტებს, მათ შორის აღსანიშნავია 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური სოფლის მშენებლობის, 60 მაგისტრალის გაუმჯობესების (ამ მიზნით ჩინეთმა საქართველოს გადასცა 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის გრანტი). გრანტების საერთო მოცულობამ 55 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, საბაჟო სკანირების დანადგარების შესყიდვას, სათბურების მშენებლობას მოხმარდა. თანამშრომლობა განათლებისა და კულტურის სფეროშიც სწრაფად ვითარდება. შეუფერხებლად ფუნქციონირებს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუციის ინსტიტუტი. 16 ჩინელი მოხალისე მასწავლებელი საქართველოს ოცამდე სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში ასწავლის ჩინურ ენას. უკვე 600-ზე მეტი ქართველი სტუდენტი ეუფლება ჩინურს, რაც წინა წელთან შედარებით, ორჯერ მეტია. ხელი მოეწერა განათლების სფეროში ახალ შეთანხმებას და გაიზარდა სამთავრობო სტიპენდიების რაოდენობა.

ათეული წლებია საქართველოს სარწყავ-სამელიორაციო სისტემას რეაბილიტაცია არ ჩატარებია, რაც ძალიან დიდ პრობლემას უქმნის გლეხებს და ფერმერებს. დაწყებულია სარწყავი და სადრენაჟე არხების რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტები. აღნიშნული სპეცტექნიკა საშუალებას იძლევა უფრო სწრაფად და ეფექტიანად ვანარმოთ სარწყავი არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ხელმოწერილია ჩინურ-ქართული თანამშრომლობის პროექტი — „ბოსტნეულის მოშენების ტექნოლოგია საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც 30-ზე მეტი სათბური აშენდება“.

„ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენა არის ახალი იმპულსი, რომელიც ერთიან სავაჭრო სისტემაში აქცევს ქვეყნებს ევროპიდან ჩინეთამდე. აბრეშუმის გზა ახალ შესაძლებლობას უჩენს არა მარტო ჩვენს ქვეყანას, არამედ ევროპისა და აზიის ქვეყნებსაც, დაამყარონ ახალი ეკონომიკური კავშირები და სავაჭრო ურთიერთობები“, - განაცხადა პრემიერ-

მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა და აღნიშნა, რომ ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას ჩინეთთან, რომელიც საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ხუთეულშია.

საქართველო იქნება პირველი ქვეყანა რეგიონში, რომელთანაც ჩინეთი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებს დაიწყებს. აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით არაერთი მსხვილი საინვესტიციო პროექტი განხორციელდება. იზრდება ჩინური კომპანიების მხრიდან საქართველოში დაინტერესება. „ახალი აბრეშუმის გზა“ შექმნის ახალ შესაძლებლობებს ქვეყნისთვის, მოიტანს ახალ ინვესტიციებს, ეკონომიკურ განვითარებასა, ვაჭრობის გააქტიურებას. „ახალი აბრეშუმის გზა“ არის კონცეფციური სარტყელი – ერთი გზა. ეს არის ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენის პროექტი. „ახალი აბრეშუმის გზის“ პროექტში აქტიურადაა ჩართული აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი, რომლის კაპიტალი პირველ ეტაპზე 100 მილიარდია, თუმცა საბოლოოდ 500 მილიარდიან ინვესტიციებზეა საუბარი. ამასთანავე, ჩინური კომპანიები დაინტერესებულნი არიან მიიღონ მონაწილეობა ანაკლიის პორტის მშენებლობაში, რაც არის სერიოზული განაცხადი ჩვენი ქვეყნისთვის.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები იმყოფებიან რა, საერთაშორისო სატრანსპორტო და ენერგეტიკული გადაზიდვების გზაჯვარედინზე, მუდმივად განიცდიან უფრო მსხვილი პოლიტიკური ერთეულების და გაერთიანებების ზემოქმედებას. მათზე გავლენის მოპოვებას ცდილობენ, როგორც რეგიონალური: რუსეთი, თურქეთი, ირანი, ასევე გარე ძალები: აევროკავშირი, ისრაელი, ჩინეთი. კავკასიაში და მის გარშემო მიმდინარე პროცესების განხილვისას, შეუძლებელია არ ვახსენოთ ისტორიული აბრეშუმის გზა ანუ სავაჭრო არტერია, რომლის გამოც მრავალი საუკუნის განმავლობაში მიდიოდა ბრძოლა კავკასიისთვის.

დღეს მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, რეგიონის მომავალი დამოკიდებულია ორ სტრატეგიულ პროექტზე, ერთის მხრივ დასავლეთი ცდილობს, ამერიკული „ახალი აბრეშუმის გზის“ კონცეფციის შესაბამისად მოიპოვოს კონტროლი ცენტრალური აზიის ენერგორესურსებზე, რუსეთისა და ჩინეთის გვერდის ავლით და მეორეს მხრივ რუსეთი ქმნის ევრაზიულ კავშირს.

„ახალი აბრეშუმის გზის“ მნიშვნელობის შესახებ, შარშან ინდოეთში ვიზიტის დროს, აშშს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ილაპარაკა, ხოლო ამერიკულმა ნეოკენსერვატიულმა გამოცემამ „National Interest“ აღნიშნა რომ, ეს პროექტი ცენტრალური და სამხრეთ აზიის ქვეყნებისათვის შეიძლება გახდეს „პოლიტიკური პრიორიტეტი ნომერ ერთი“. თავის მხრივ რუსეთი ყველანაირ ბერკეტს იყენებს რათა „ევრაზიულ კავშირში“ რაც შეიძლება მეტი ქვეყანა გაერთიანოს. აბრეშუმის გზის კონტექსტში, ცენტრალურ აზიაში, სამხრეთ კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები და პროცესების შესაძლო განვითარება ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

თანამედროვე მსოფლიოში ყველა სახელმწიფო ეძებს საკუთარ ადგილს, საკუთარ ნიშას, რათა ღირსეული ადგილი დაიკავოს საერთაშორისო არენაზე. დღევანდელი საქართველოსთვის მნიშვნელოვანია რომ გახდეს რაც შეიძლება საჭირო ქვეყანა, რაც გარანტი იქნება არა მარტო ეკონომიკური მოგებისა, არამედ პოლიტიკური და კულტურული სიძლიერისა, რომლის დეფიციტსაც განიცდის საქართველო.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზურაბ გარაყანიძე, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ახალი აბრეშუმის გზის ქართული გამოწვევები - ნაწილი 120 აგვისტო, 2015-12:27 [veqtori.ge/.../1061-akhali-abreshumis-gzis-qartuli-gamotsvevebi---natsili](http://veqtori.ge/.../1061-akhali-abreshumis-gzis-qartuli-gamotsvevebi---natsili).
2. კავკასია-რეგიონის ფუნქცია და აბრეშუმის გზის როლი აბრეშუმის გზის ისტორიული ფუნქცია გიორგი დვალისვილი <https://m.facebook.com>
3. Hansen, V, The Silk Road (Oxford University Press, USA, 2012).
4. [www.silk-road.com](http://www.silk-road.com).
5. <http://www.china-briefing.com/news/2015/09/15/chinas-silk-road-economic-belt-new-issue-of-china-briefing-magazine.html>
6. <http://www.globalresearch.ca/the-new-silk-road-a-chinese-style-new-deal-the-economic-and-geopolitical-consequences/5466022>
7. A Western Strategy for the South Caucasus by Svante E. Cornell, S. Frederick Starr, Mamuka Tsereteli · Silk Road Paper · CACI-SRSP · February 2015
8. Шустов А. «Новый Шёлковый путь» из Америки. Вашингтон реализует в Центральной Азии крупный интеграционный проект. 27.08.2012. URL: [http://www.stole-tie.ru/geopolitika/novyj-shelkovyj\\_put\\_iz\\_ameriki\\_647.htm](http://www.stole-tie.ru/geopolitika/novyj-shelkovyj_put_iz_ameriki_647.htm).
9. Савин. Л. Новый шёлковый путь и евразийская интеграция. Интернет-портал «Око-планеты», 02.04.2013.
10. Западная Европа – Западный Китай. Международный транзитный коридор. URL: <http://europe-china.kz>



# MODERN TECHNOLOGY INFLUENCE ON HUMAN LIFE

Mariam Shiukashvili — Senior teacher of GTU

## Summary

People can hardly imagine their lives without modern technologies nowadays. It is almost impossible to go out without a mobile phone, computer and so on. For example, these devices have become an important part of our life. Moreover, almost every day either a new technology is being invented or an old one is being improved. To stay up-to-date people keep buying newer items. Soon our houses and work places will look like “electronic stores”. Technology is all around us. First of all, we need it for work. All modern offices are equipped with computers, scanners, printers, and other useful machines.

Perhaps, the most important thing about technological progress is that it allows us to do many things which would be impossible without it. For example, we can communicate with friends from other countries with the help of computers. We can even see them and have a live conversation. But there are many people who are against new technologies. Technological progress has made our lives more interesting. Thanks to computers and Internet you can find more useful resources. Technological progress continues and it moves rather fast.

**Keywords:** Internet, Electronic stores, Technology, Network, Packet switching, Security.

## რეზიუმე

დღეს წარმოუდგენელია ადამიანების ცხოვრება თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე, როგორცაცაა მობილური ტელეფონი, კომპიუტერი და ა.შ. თანამედროვე ტექნოლოგიები ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა და ისინი ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ყოველდღიურად ხდება გამოგონება ახალ-ახალი ტექნოლოგიების ან ძველის ჩანაცვლება ახლით. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს თანამედროვეობა, ადამიანს უწევს ახალი ტექნიკის შექმნა და ათვისება. ჩვენს გარშემო თანამედროვე სამსახურები თუ სხვა დაწესებულებები აღჭურვილია ახალი ტექნოლოგიებით, როგორცაცაა კომპიუტერები, სკანერები, პრინტერები და ა.შ. ეს ტექნოლოგიები ადამიანის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს, თუნდაც ის, რომ ერთი ადამიანი კომპიუტერისა და ქსელის საშუა-

ლებით უკავშირდება სხვა ადამიანს, უცხო ქვეყანაში. ტექნოლოგიურმა პროგრესმა ადამიანის ცხოვრება უფრო საინტერესო გახადა, მისი წყალობით შესაძლებელია ყველაზე სასარგებლო რესურსების მოძიება. სულ მალე შესაძლოა ჩვენი სახლები და სამუშაო ადგილები დაემსგავსოს „ელექტრონულ საცავებს“.

## Introduction

Technology in our lives has had an impact on all aspects of life. Over the years, played a technology and especially the Internet a major role in influencing the culture of people, as well as the human mind. It becomes everything in our lives depends mainly, whether directly or indirectly on the technology. In the past to get any information was difficult and needed to go through several steps to get processed as a return to libraries and resources and science paper. But now it has become a pressing one button can get a lot of information and the value and have great value in our lives. Technology has had a significant positive impact on our lives, especially information and thinking that seemed to grow in the younger generation there is speculation that there remains a negative payoff of this technology and this is normal in all aspects of life.

Technology has had a significant positive impact in the new generation of young people. With the emergence of multitasking and rapid switching between the information there became a beautiful positive impact on access to information and start racing with something new with the availability of time. There is a negative impact on the risk of information and overwhelmed plentiful and the quality of this information and the reader and personal life have all been dating a negative impact.

**Internet a global net.** The Internet has already entered our ordinary life. Everybody knows that the Internet is a global computer network, which embraces a hundred of millions of users all over the world and helps us to communicate with each other.

The history of Internet began in the United States in 1969. It was a military experiment, designed to help to survive during a nuclear war, when everything around might be polluted by radiation and it was dangerous to get out for any living being to get some information to anywhere. Information sent over the Internet takes the shortest and safest path available from one computer to another. Because of this, any two computers on the net will be able to stay in touch

with each other as long as there is a single route between them. This technology was called packet switching.

Invention of modems, special devices allowing your computer to send the information through the telephone line, has opened doors to the internet for millions of people.

Most of the Internet host computers are in the United States of America. It is clear that the accurate number of users can be counted fairly approximately, nobody knows exactly how many people use the Internet today, because there are millions of users and their number is growing.

**picture 1. You and Modern Technologies**



Nowadays the most popular Internet service is e-mail, social nets. Most of the people use the network only for sending and receiving e-mail messages. They can do it either they are at home or in the internet clubs or at work. Other popular services are available on the Internet too. It is reading news, available on some dedicated news servers, telnet, etc.

In many countries, the Internet could provide businessmen with a reliable, alternative to the expensive and unreliable telecommunications systems its own system of communications. Commercial users can communicate cheaply over the Internet with the rest of the world. When they send e-mail messages, they only have to pay for phone calls to their local service providers, not for international calls around the world, when you pay a good deal of money. But saving money is only the first step and not the last one. There is a commercial use of this network and it is drastically increasing. Now you can work through the internet, gambling and playing through the net.

#### **Internet and some problems.**

However, there are some problems in the internet. The most important problem is security. When you send an e-mail, your message can travel through many different networks and computers. The data is constantly being directed towards its destination by special computers called routers. Now it is possible to get into any of the computers along the route, intercept and even change the data being sent over the Internet. But there are many encoding programs available, these programs are not perfect and can easily be cracked. Another big and serious problem of

the net is control. Yes, there is no effective control in the Internet, because a huge amount of information circulating through the net. It is like a tremendous library and market together. In the future, the situation might change, but now we have what we have. It could be expressed in two words –an anarchist’s dream.

From the other hand, this innovation can also have a negative influence on people. First of all, it is a lack of mobility. For instance, instead of getting to work on foot, the majority prefer to use public transport or their own car. Therefore, getting into the way of dealing with technology we forget about our health. But activity strengthens the immune system and intensifies a resistive capacity of our organism to stress.

Apart from that, an application of modern contrivances in place of development intellection may lead to mental degradation. Many teenagers make even the easiest computing with calculator, than count in their head.

#### **1.2 How to avoid some Internet problem**

Internet has become an integral part of human life; some use it for fun, while other surf for productive work.

Almost every user of a personal computer or a laptop encounters different problems in the computer system that may occur due to various reasons. It is necessary to identify the main problems and the ways to solve them, all by yourself.

- Internet is full of viruses, Trojans, worms and banner advertising. Once the malware gets into your computer, it starts to create problems and the system starts functioning improperly, gives error and sometimes freezes the entire window of any given program. Therefore, it is necessary to install an antivirus for the security of your computer. An antivirus program scans your computer for malicious software and tries to eliminate the errors, virus and bugs etc.

- If you use Internet or a local area network, you cannot ensure system safety without a firewall. This program is designed to block the invasion of your computer by remote access. Modern fraudsters use Trojans and remote access software for the purpose of obtaining confidential data on your computer, or even control it, so you must have a protective firewall. You can find a huge amount of software in the market which performs these functions. The most popular brand is Outpost Firewall.

- The internal components of computer system unit must be protected from dust. This will prolong the life of the cooler and prevent damage to the internal circuit boards, such as the video card or network card. It is recommended to clean the system unit at least once a month. Use the ordinary vacuum cleaner to remove dust. Wipe places such as fan blades, with a cotton swab dipped in a weak alcohol solution. Wipe the computer case and plastic surfaces from inside.

- Avoid placing the system unit under the table and in the corners of rooms. If you can, then relocate all of the items that collect dust, such as pillows and rugs, as far as possible from your computer.

If you have enough money to protect your computer from dust, replace the standard cooling system with copper tubing. This will prevent the suction of dust into the body without compromising on cooling computer parts.

### **Conclusion**

Now that the development of technology has become wider, there is no area limitation. Wherever you are, as long as the internet is accessible, you can get to know what has happened to the world today. As a student, you are now able to learn in global scale without having to leave your classroom.

On Albert Einstein's words it will be terrible if „The technology will surpass our human interaction. The world will have a generation of idiots“. People must use every new technology only for raising their intelligence. For example, computers are one of great importance in modern hospital. The chief use of computers is the storing and sorting the medical knowledge which has been acquired in the last 50 years. Doctors can't possible keep up with all discoveries. The only solution of the problem is store medical knowledge in a computer. Today there are medical computer centers where all existing knowledge of symptoms of various diseases and of their treatment is stored. Doctors feed data on symptoms in

the computer and get the necessary information on correct diagnostics and treatment.

The computer has proved as a friend and servant to science, technology and industry. The computer through Internet expands business opportunities. Computerization has been done: in business, banking, electronic publishing, engineering, creative designing, fashion designing, etc. It is used in railways, airlines, research establishments, postal and communication departments, meteorology, medical science, stock-broking etc, it has been done in defence, they help radars, missile and rocket launching. They have opened new avenues of shopping and entertainment.

No doubt, technology brings a lot of benefits to our lives. It helps us and eases our job. There are a lot advantages of technology such as spreading news can be easier, low-cost communication, email for assignments, discovering of new medicines and so on. Though there are some disadvantages that the technology brings, but still, we have to be thankful for all the benefits we can get from technology.

### **References:**

1. <http://www.engwebcountry.ru/topics/topic/internet-i-sovremennaja-zhizn-internet-and-modern-life>
2. <http://www.indevcenter.com/advantages-of-technology.html>
3. <http://www.publishyourarticles.net/knowledge-hub/essay/an-essay-on-the-role-of-computers-in-everyday-life.html>

## ბიზნესის სუბიექტების კონკურენციული სტრატეგია და ტაქტიკა

მარინა ბალათურია — სტუ-ს ასისტენტი პროფესორი  
მანანა ბერუაშვილი — სტუ-ს დოქტორანტი

### რეზიუმე

სამენარმეო ბიზნესის სუბიექტები კონკურენციული ქცევის სტრატეგიის გარეშე ვერ შეძლებენ შეიმუშაონ ამა თუ იმ სახის მოქმედებისათვის მოტივირებული მიზანდასახულობა. ვერ შეძლებენ დადებითი ზეგავლენა მოახდინონ კომპანიის შიდა საქმეების გაუმჯობესებაზე და თავისი ბიზნესის გარე სფეროს მდგომარეობაზე, სტრატეგიის არ არსებობის შემთხვევაში კონკურენციულ უპირატესობათა დაკარგვის ფასად, კონკურენტუნარიანობის დაქვეითებად და მისი კონკურენციული პოტენციალის ძირის გამოთხრით.

კონკურენციული მოქმედების სტრატეგიული მართვა ნებისმიერ სამენარმეო ფირმაში იწყება მიზნობრივი სტრატეგიული გადაწყვეტილებების ფორმირებიდან. ნაშრომში განხილულია კონკურენციული ქცევის სტრატეგიების გამოყენების სახეები. აგრეთვე ბიზნესში შესვლისა და ბიზნესიდან გასვლის სტრატეგია.

**საკვანძო სიტყვები:** სამენარმეო ბიზნესი, კონკურენციული პოტენციალი, ბიზნესის სუბიექტები.

### Summary

Business subjects of the enterprise without competitive behavior strategy could not be able to collaborate motivate purpose for the actions, also to impact positively for the companies inter questions or to the conditions of their goals. In the case of not existence the strategy competitive activities inevitability gain chaotic characteristics, what are the leaves to the company as the lowering of the competitors and damaging the competition of its potentiality.

Strategically manage of the competitive activities in each enterprise firm begins by the forming target strategic decisions. Competitive behavior of the strategy usage faces are: The strategy of mechanical monopolization, integrated consolidation strategy, simple, quiet separate (isolate) strategy. Strategy of co-operative solidarity and strategy of compromise collaboration.

**Keywords:** Enterprise business, Competitive potential, Business subjects.

ბიზნესის კონკურენციულ მოქმედებათა შინაარსი განისაზღვრება საქმიანი (სამენარმეო) მოტივაციით, რომლითაც ხელმძღვანელობს თითოეული ფირმა. ბიზნესის სუბიექტების კონკურენციული მოტივაცია შეიცავს მოტივების ერთობლიობას, რომლებითაც კომპანიები ხელმძღვანელობენ, ფიქრობენ, რომელი მონინალმდეგის წინააღმდეგ არიან განწყობილი სამოქმედოდ რათა მიაღწიონ მიზანს. იმისათვის, რომ შეუდგეს კონკურენციულ მოქმედებებს, კომპანიის ხელმძღვანელობამ აუცილებელია გაიაზროს თავისი ინტერესები, გამოავლინოს ინტერესების „კონფლიქტი“ გარემოცვის სხვადასხვა წარმომადგენლების ინტერესებთან და ამის საფუძველზე შეადგინოს მეტოქეების სია, რომლებთანაც მოცემულ კომპანიას მოუწევს შეჯახება.

ბიზნესის სუბიექტები ცდილობენ რა იპოვონ საუკეთესო პასუხი თავიანთი ყოფისა და განვითარების ყველაზე უფრო არსებით საკითხებზე, იწყებენ თავიანთი ფუძემდებლური მიზნების განსაზღვრისა და ფორმულირების ძიებას, რომლებსაც ჩვენ შემდგომ სტრატეგიულ მიზნებს ვარქმევთ, ანუ ვუნოდებთ კონკურენციული ქცევის სტრატეგიებს. სამენარმეო ბიზნესის თითოეული სუბიექტი საქმიანი მოღვაწეობის განხორციელების პროცესში შეიმუშავებს და იყენებს სხვადასხვა განსხვავებულ სტრატეგიებს — სანარმოო, გასაღების, ფინანსურს, ინოვაციურს, საკადროს, საალრიცხვოს და სხვა. სამენარმეო ბიზნესის უმრავლესი სუბიექტების მოქმედება სტრატეგიულ კონკურენციულ უპირატესობათა უზრუნველყოფისათვის მოიცავენ ფირმის საქმიანი მოღვაწეობის ძირითად სახეებს, თუ რისთვის შეიქმნა ფირმა დასაწყისში.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კომპანიის მიერ სტრატეგიული კლიენტების არჩევას ანუ პროდუქციისა და მომსახურების მომხმარებლების შერჩევას, რომელთა დადებითი დამოკიდებულება ფირმის ნაწარმისადმი განმსაზღვრელ მნიშვნელობას იქონიებს კომპანიის არსებობის უზრუნველყოფაზე. სამენარმეო ფირმის ხელმძღვანელობა გვერდს ვერ უვლის კითხვას იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება იქნან მიჩნეული სტრატეგიულ კონკურენტებად. ასეთებად მიჩნეულ უნდა იქნან ფირმის პირდაპირი და პირობით — პირდაპირი მეტოქეები, რომლებსაც უქმნიან და პერსპექტივაშიც შეუძლიათ შეუქმნან მოცემულ ფირმას ხიფათი კონკურენციული პოზიციების თვალსაზრისით.

თითოეული კომპანია მიისწრაფვის აბსოლუტური სტრატეგიული დამოუკიდებლობისა-

კენ, რომლის მიღწევაც შეუძლებელი ხდება იმის გამო, რომ ბიზნესის ყველა სუბიექტი ყოველგვარი გამოწვევის გარეშე ერთმანეთზე არიან დამოკიდებული. ბიზნესის სუბიექტების კონკურენციული ქცევის სტრატეგიულ მოტივებსა და მათ სტრატეგიულ მიზანმიმართულებებს შორის არსებობს ურთიერთდამოკიდებულება. კონკურენტების სტრატეგიული მიზანმიმართულების საფუძველში ყოველთვის დევს კონკურენციულ მოქმედებათა სტრატეგიული მოტივაციის მოდელი. კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული და დამტკიცებული კომპანიის სტრატეგიული მიზნობრივი გადაწყვეტილებები ემსახურებიან საყრდენ მოტივაციად კონკურენციული მოქმედებების შემდგომი განვითარებისათვის.

კონკურენციული მოქმედებების სტრატეგიული მართვა ნებისმიერ სამენარმეო ფორმაში იწყება მიზნობრივი სტრატეგიული გადაწყვეტილებების ფორმირებიდან. ბიზნესის სუბიექტების კონკურენციული ქცევის პრაგმატული სტრატეგია ყოველთვის ეყრდნობა მათ განკარგულებაში სტრატეგიული კონკურენციული პოტენციალის არსებობას, რომლის შინაარსის ქვეშ უნდა გავიგოთ რესურსების ერთობლიობა, რომელთაც აქვთ სტრატეგიული მნიშვნელობა. სტრატეგიული ინტელექტუალური პოტენციალი მოიცავს, ორგანიზაციულ პოტენციალს, სამენარმეო პოტენციალს და ადამიანურ პოტენციალს. სამენარმეო ბიზნესის სუბიექტების ინტელექტუალურ პოტენციალს ყოველთვის აქვს მათთვის სტრატეგიული მნიშვნელობა რადგან ცოდნა, ჩვევები, უნარი და გამოცდილება ხელს უწყობს კომპანიის მიზნობრივი სტრატეგიული მიზანდასახულების რეალიზაციას. კონკურენტების მოტივირებული ინტელექტუალური განვითარების კანონის არსი შეიძლება შემდეგნაირად იქნეს გამოხატული, რაც უფრო ჭკვიანნი არიან კონკურენტები მით უფრო კონკურენტუნარიანები არიან ისინი. მოცემული კანონი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნესის სუბიექტების მიერ თავიანთ კონკურენციულ მოქმედებათა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. კონკურენციული ქცევის სტრატეგიული სტრუქტურებიდან გამოიყოფა სტრატეგიული ქცევითი მანევრები ბიზნესის სუბიექტებისა. სტრატეგიულ მანევრში იგულისხმება კომპანიის კონკურენციულ მოქმედებათა სახის ცვლილება სტრატეგიულ დონეზე, კონკურენციულ მოქმედებათა მეთოდების კომბინაციის შეცვლა, სტრატეგიულ დონეზე კონკურენციულ მოქმედებათა ხარისხის ამაღლება ან შემცირება და სხვა.

სამენარმეო ბიზნესის სუბიექტები, რომლებიც მიისწრაფვიან სტრატეგიული დომინირებისაკენ შეიძლება მოტივირებულნი იყვნენ ინტეგრირებადი კონსოლიდაციის სტრატეგიის გამოყენებაზე. მოცემული სტრატეგიის ასეთი სტრუქტურები დამახასიათებელია იმ ფირმე-

ბისათვის, რომლებიც წარმოადგენენ მსხვილ სპეციალიზებულ და მრავალდარგობრივ სტანდარტულ ბიზნესს და ზრდიან თავიანთ საბაზრო ხვედრით ნილს არა ბაზრიდან კონკურენტების მექანიკური გამოძევებით, არამედ მათი თავისთან სხვადასხვა საშუალებებით შემოერთებით, თუნდაც მათი საკუთარი განცალკავებული სტრუქტურულ ქვედანაყოფად გადაქცევით.

ტაქტიკურ კონკურენციულ უპირატესობაში იგულისხმება სამენარმეო ბიზნესის სუბიექტების შესაძლებლობებისა და მიღწევათა ერთობლიობა, რომლებიც განასხვავებენ მის უკეთესს მხარეებს კონკურენტებისაგან. ტაქტიკური კონკურენციული უპირატესობების მიღწევა შეიძლება კომპანიების მიერ ხელსაყრელი კონკურენციული პოზიციების დაკავებით, მათ მიერ ხელსაყრელი კონკურენციული პოზიციების შენარჩუნებით, კონკურენციული პოტენციალის დესტრუქციული ხასიათის გაძლიერებით, საკუთარი კონკურენციული ძალის დემონსტრირებით.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის გამოცდილებამ ცხადყო, რომ არ არის საკმარისი მართო საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლა. აუცილებელია ეკონომიკური პოლიტიკის ტიპის შერჩევა. აუცილებელია არჩევანის გაკეთება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სასარგებლოდ, პრიორიტეტული დარგებისა და წარმოების სახეების განსაზღვრა, მათი დაჩქარებული განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა. საერთაშორისო ბაზრის მკაცრ და მძაფრ კონკურენციულ ბატალიებში ჩაბმა და ქართული პორდუქტისათვის საერთაშორისო ავტორიტეტის მოპოვება. საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები აგებულ უნდა იქნას იმ სანარმოებისა და დარგების ნახალებით და ინვესტირებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მსოფლიო ბაზრის შესატყვისი კონკურენტუნარიანი პროდუქტის გამოშვებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი რ., საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. გამომცემლობა „სიახლე“ თბ., 2014.
2. ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. თეორია, პრაქტიკა, ანალიზი. გამომცემლობა „სიახლე“ თბ., 2009.
3. ვეშაპიძე შ., გრიშკაშვილი ა., ლეკაშვილი ე., ასლამაზიშვილი ნ. მსოფლიო ეკონომიკა. თბ., 2008.
4. საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ., 2011.

# მენარმული და მენეჯერული მართვის შეხამების პრობლემა ბიზნეს-ინჟინერინგის განვითარების ფონზე

მერაბ გველესიანი — სტუ-ს პროფესორი  
ნათან თაფლიაშვილი — ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

## რეზიუმე

ბიზნეს-ინჟინერინგის გენეზისი მოხსენებაში განიხილება როგორც მენარმული და მენეჯერული ინტერესების წინააღმდეგობის ახლებური გადაწყვეტისათვის წინაპირობების მომზადების პროცესი, რომელმაც გასული საუკუნის ბოლო ათწლეულები მოიცვა და თავდაპირველად გაიარა ინჟინერინგისა და რეინჟინერინგის ეტაპები.

ინჟინერინგი გულისხმობს სანარმოო-ტექნოლოგიური სტრუქტურების მართვის ჰორიზონტალური მეთოდიდან პროცესულზე გადასვლას, რომელიც შესაძლებელი გახდა საუკუნის 60-70-იან წლებში განვითარებულ ქვეყნებში პოსტიდუსტრიული საზოგადოების ნიშნების გაჩენამ, უწინარესად — ტექნოლოგიების ინტელექტუალიზაციამ. იგი ამარტივებს ფირმის შიდა მართველობით სტრუქტურებს.

რეინჟინერინგი გულისხმობს ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სტრუქტურების პერმანენტულ განახლებას, რაც პროცესულ მართვას აკავშირებს ფირმის მარკეტინგულ სტრატეგიასთან.

ბიზნეს-ინჟინერინგი გულისხმობს პროცესული მეთოდით ფირმის შიდა და გარე (მომხმარებელთან, ბაზართან მიმართებაში მარკეტინგული) მართვის შერწყმა-გამთლიანებას. იგი ზრდის მენეჯერული მმართველობის გამჭვირვალობას და უადვილებს მენარმეს მენეჯმენტის კონტროლს, სტიმულირების სისტემის გაუმჯობესებას, ათავისუფლებს მას მენეჯმენტური ფუნქციების ისეთი შეთვისებისაგან, რასაც იგი ზოგჯერ იძულებით მიმართავდა მენეჯერთა კორპუსთან თავისი ურთიერთობის არასაკმარისი ეფექტიანობის გამო.

**საკვანძო სიტყვები:** მენარმე, მესაკუთრე, მენეჯერი, მარკეტინგი, ინჟინერინგი, ბიზნეს-ინჟინერინგი, მართვის პროცესული მეთოდი.

## Problems in combining of entrepreneur and managerial managements at background of genesis of Business Engineering

### Summary

Business Engineering Genesis is considered in the report as a process of preparation of modern decisions

in the field of interests of entrepreneur and managerial contradictions. This process has covered the last decades of the last century and was originally passed through the stages of engineering and reengineering.

Engineering is considering as transition of industrial-technological horizontal method management to the process method of management, which became possible due to the birth of the post-industrial society at 60-70-ies in the developed countries and, first of all – due to the technology intellectualization. It simplifies the structures of internal management of a firm.

Re-engineering is a permanent renewal of the technological and organizational structures, which links the process management to the firm's marketing strategy.

Business Engineering is considering as firm's marketing management process method merging-integration (in regard of customer, market). It increases transparency of managerial governance and makes it easier for entrepreneurs the managerial governance control, improvement of stimulation system, liberates it from such assimilation of management functions, when entrepreneurs are forced to address the managers due to the fact of a lack of efficiency of relationship with managers

---

**მენარმეთა და მენეჯერთა ინტერესების წინააღმდეგობა** გასული საუკუნის მიკროეკონომიკური სტრუქტურების ერთერთ უმწვავეს პრობლემად იქცა, მაგრამ იმავე საუკუნემ შეამზადა წინაპირობები მის გადასაწყვეტად. საუბარია წინაპირობებზე, რომლებიც საუკუნის ბოლო ათწლეულებში გამოჩნდა ჯერ ინჟინერინგის, ხოლო შემდეგ, მის საფუძველზე, ბიზნეს-ინჟინერინგის სახით და თანდათანობით ფეხს იკიდებს მსხვილ ბიზნეს-სტრუქტურებში. მენარმული და მენეჯერული მართვის ოპტიმალური შეხამების რა შესაძლებლობას ბადებს საფირმო მმართველობის ეს ახალი მეთოდი? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, საჭიროა თავდაპირველად წიაღსვლები მოვანყოთ ბიზნეს-ინჟინერინგის ისტორიასა და წინარეისტორიაში, რომელმაც უნდა გვიჩვენოს, რატომ და როგორ რთულდებოდა კორპორაციული მმართველობა და მის კვალობაზე რატომ იზრდებოდა მენარმეთა და მენეჯერთა ინტერესების დაშორება. მათ ის დანიშნულებაც აქვთ, რომ უფრო მკა-

ფიოდ დაგვანახონ საკვანძო ტერმინების — მენარმე, მესაკუთრე, მენეჯერი, მარკეტინგი, ინჟინერინგი, ბიზნეს-ინჟინერინგი, მართვის პროცესული მეთოდი და სხვა — ცნებითი შინაარსი, ვიდრე ეს კეთდება ლიტერატურაში, ყოველივე ამის გარეშე დასმულ კითხვას პასუხი ვერ გაეცემა.

**ტექნოლოგიური** პროცესი ვერ შედგება, თუ მასში არ მონაწილეობს სამი ფაქტორი, რომელთაც, დამკვიდრებული ტერმინოლოგიით, ეწოდება შრომა, მიწა და კაპიტალი. ეს ფაქტორები საბაზრო ეკონომიკაში, ჩვეულებრივ, სხვადასხვა პირის საკუთრებას წარმოადგენენ და იმისათვის, რომ ისინი შეერთდნენ, საჭირო ხდება მეოთხე ფაქტორი — მენარმული უნარი, რომლის ფუნქციაა არა უბრალოდ შეერთება, არამედ ეფექტიანი შეერთება, რაც ფირმის კონკურენტუნარიანობის საძირკველს ქმნის.

ეს უნარი ყველა მენარმეს, ცხადია, ერთნაირი ვერ ექნება. იმარჯვებს ის, ვინც ნოვაციებს ახორციელებს. წარმოების ფაქტორთა ყოველი შეერთება გულისხმობს სამი ფუნდამენტური ეკონომიკური საკითხის გადაწყვეტას — რა აწარმოოს მენარმემ, როგორ აწარმოოს და ვისთვის აწარმოოს. მათი გადაწყვეტა რისკთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით — ნოვაციების განხორციელებისას. აქედან მოდის მენარმის დახასიათება როგორც იმ პირისა, რომელიც თავის თავზე იღებს წარმოების ფაქტორთა გამოყენების რისკს და რომელიც ნოვატორია. ნოვატორობა მენარმული საქმიანობის მნიშვნელოვანი ნიშანის და ეს მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება, მაგრამ ზოგჯერ მას მენარმის (მენარმული უნარის) ძირითად ნიშნად მიიჩნევენ და მასში ეძებენ განსხვავებასაც ბიზნესმენისა და მენარმის ცნებებს შორის. ჩვენი აზრით, ეს ძიება ხელოვნურია და საჭიროდ მიგვაჩნია პირველ რიგში მას გავემიჯნოთ.

მრავალი მენარმე დღესაც იფარგლება რუტინული ფუნქციით — სიტუაციის კონტროლით, ხშირად — მხოლოდ მენეჯერთა კონტროლით. იგი მაინც იწოდება მენარმედ და წარმოადგენს კიდევ მას, რაკი ერთხელ მან — ან შესაძლოა მისმა წინაპარმა — უკვე შეუერთა ერთმანეთს წარმოების სამი ფაქტორი. ამ ფაქტორთა შეერთება, რომელიც თავისთავად არ წარმოადგენს ნოვატორულ აქტს, მენარმის ძირითადი მახასიათებელია. მნიშვნელობა არა აქვს, გარედან მოზიდულ რესურსებს (ფაქტორებს) უერთებს იგი ერთმანეთს, საკუთარს თუ ერთსაც და მეორესაც. თეორიული თუ პრაქ-

ტიკული ანალიზისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ ყველა ეს ფაქტორი, მენარმული უნარის ჩათვლით, უნდა შეფასდეს (პირველ რიგში თვითონ მენარმემ უნდა შეაფასოს) საბაზრო ღირებულებით და ისინი აისახოს წარმოების ეკონომიკურ დანახარჯებში, მაშინ როდესაც ბუღალტრულ დანახარჯებში საკუთარი რესურსების დანახარჯი ასახვას არ პოულობს (მათში აისახება მხოლოდ შეძენილი რესურსები).

ამ გარემოების ხაზგასმა საჭიროა იმიტომ, რომ ზოგჯერ მენარმისა და მესაკუთრის ცნებები ერთიმეორისგან მკაფიოდ არ არის გამიჯნული არც თეორიაში და არც პრაქტიკაში. ცხოვრებაში ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ ერთსადაიმავე პირს, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს პირი ერთდროულად ატარებს როგორც მესაკუთრის, ისე მენარმის ანუ ორ სხვადასხვა ეკონომიკურ „ნიღაბს“. მაგალითად, აქციონერთა საერთო კრება და მის მიერ შექმნილი სამეთვალყურეო საბჭო ასრულებს მენარმის როლს, თუმცა სააქციო საზოგადოების სახსრებს ხშირად საკუთართან ერთად და უდიდეს ნაწილშიც მოზიდული სახრები შეადგენენ; მაგრამ ცხოვრებამ მოამრავლა ისეთი მენარმეებიც, რომლებმაც „ცარიელი ხელეობით“ მოჰკიდეს საქმეს ხელი, რაკი კარგა ხანია სალი მენარმული იდეის (და, მით უფრო, ამასთან ერთად შესაბამისი ბიზნეს-გეგმის) მქონე კაცს განვითარებულ ქვეყნებში ადვილად შეუძლია მოიზიდოს საჭირო კაპიტალი სხვადასხვა არხებით, მათ შორის, განსაკუთრებით ვენჩურული ფირმებიდან. ასეთ შემთხვევაში ჩვენ უფრო ნათლად ვხედავთ მენარმისა და მესაკუთრის „ნიღბების“ სხვაობას, რადგან მენარმე, რომელიც არ არის არცერთი რესურსის მესაკუთრე თავის მენარმულ უნარს გარდა, მთლიანად ითვისებს ფირმის მოგებას, მოზიდული კაპიტალის მესაკუთრე კი — მხოლოდ სარგებელს.

მენარმის ნოვატორულ ფუნქციაზე ყურადღება პირველად გაამახვილა იოზეფ შუმპეტერმა, რომელმაც გასული საუკუნის პირველ ნახევარში შექმნა მენარმული უნარის თანმიმდევრული თეორია. ამ ფუნქციის წარმონევა იმდროინდელ, დღევანდელთან შედარებით დაბალი დონის, ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ-ეკონომიკურ სტრუქტურებში გენიალურ მიხვედრად უნდა ჩაითვალოს, რადგან ძირეული თვისებრივი ძვრები, რომელთა თავდაპირველი, იმ დროს მოუმიწვებელი ნიშნები დაუდო თავის ანალიზს საფუძვლად შუმპე-

ტერმა, განხორციელდა უკვე მისი გარდაცვალების (1950 წ.) შემდეგ. ამავე ხანიდან რთულდება მენარმული და მენეჯერული მართვის ფუნქციები და ისინი უფრო მეტად შორდება და უპირისპირდება ერთმანეთს. სახელდობრ, მეცნიერულ-ტექნოლოგიურმა რევოლუციამ ამ დროიდან შესაძლებელი გახადა პროდუქტის დიფერენციაციის გაღრმავება და ეკონომიკის ახალ-ახალ დარგებში მონოპოლისტური კონკურენციის საბაზრო სტრუქტურების გაბატონება [იხ.: 1, 55-57]. ამ ტიპის სტრუქტურაში ფირმები ორიენტაციას იღებენ მომხმარებელთა ასევე უფრო ღრმად დიფერენცირებულ საჭიროებებზე მათი ასაკის, სქესის, კულტურის, გემოვნების, შემოსავლისა და სხვა ნიშნების მიხედვით, რომელთა შესწავლა ხდება იმ გადაწყვეტილების მიღებამდე, თუ რა ანარმოს ფირმამ. ანუ საკითხი, რა ანარმოს ფირმამ, იმთავითვე წყდება შეჯერებით საკითხთან, ვისთვის ანარმოს.<sup>14</sup> 1970-იანი წლებიდან ამ პროცესმა ლოგიკური გაგრძელება ჰპოვა მარკეტინგული სტრატეგიის პრობლემის ნამონევაში, რომლის უმაღლეს მიზნად იქცა მომხმარებელთან გრძელვადიანი მომგებიანი ურთიერთობის აგება.

მომხმარებლის საჭიროებათა წინასწარი შესწავლა, მათი გრძელვადიანი პროგნოზირება და ამ საფუძველზე სტრატეგიის აგება ნიშნავს ფირმის მარკეტინგული საქმიანობის შინაარსის განვითარებას (უფრო ზუსტად კი — მარკეტინგის ავსებას საკუთარი შინაარსით). ფირმის ძირითადი ინსტრუმენტი, რომლითაც იგი ზემოქმედებს მომხმარებელზე, ხდება თვით პროდუქტი და არა — მისი განთავსება სამიმოქ-

<sup>14</sup> ამ ეპოქის ერთერთი უდიდესი ეკონომისტი ჯონ კენეტ გებრეიტი 2004 წელს წერდა: „წარსულში ეკონომისტები ტრადიციულად ხაზს უსვამდნენ იმას, რომ... მომხმარებელი კარნახობს, რა უნდა იქნას წარმოებული, შესყიდული და გაყიდული... ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ახალი პროდუქტის შემუშავება და შექმნა, და არცერთი მწარმოებელი არ მოჰკიდებს ხელს ახალი პროდუქტის წარმოებას ისე, თუ წინასწარ არ შექმნა მასზე მოთხოვნა... დადგა რეკლამის, გაყიდვის ხელოვნების, ტელევიზიისა და მომხმარებელთა მართვის საუკუნე, მაშასადამე, მომხმარებლისა და ბაზრის დამოუკიდებლობა თმობს პოზიციებს“ [2, 23]. იმავე პროცესის რამდენადმე განსხვავებული აღქმა-შეფასებაა მოცემული სხვა წყაროებში [იხ.: მაგალითად: 3, 47; 4, 55], სახელდობრ, მომხმარებლის კმაყოფილება მათში დაყენებულია ფირმის მიზანთა მწვერვალზე. მაგრამ რომელი შეფასებაც არ უნდა მივიჩნიოთ მართებულად, ნათელია ის, რომ საქმე გვაქვს ძირეულ ძვრებთან ეკონომიკურ სტრუქტურებში.

ცეცო არხებში და საფასე, სარეკლამო და სხვა სამიმოქცეცო მანიპულაციები. ამასთან, ფირმა, როგორც ითქვა, პრიდუქტის სრულყოფაზე კი არ არის კონცენტრირებული, არამედ მისი ისეთი სახეობისა თუ — უფრო ხშირად — ნაირსახეობის შექმნაზე, რომელიც პასუხობს მომხმარებლის ისეთ საჭიროებებს, რომლებიც ჯერ ჯეროვან დონეზე არაა დაკმაყოფილებული კონკურენტების მიერ ან საერთოდ არ არის ცნობილი თვით მომხმარებლისთვისაც კი. მაგრამ იმისათვის, რომ უპასუხოს, საჭიროა ბაზრების შესწავლა (ხშირად — მსოფლიო მასშტაბითაც), მათი სეგმენტაცია ზემოთ უკვე ჩამოთვლილი ნიშნებით და მიზნობრივი ბაზრის ფრთხილი შერჩევა. ეს მასშტაბური პროცესი მეცნიერული კვლევის ხასიათს იღებს და მენარმეს უჭირს არათუ მისი გაძლოლა, არამედ გაკონტროლებაც კი.

ასევე უძნელდება მას მიმწოდებლებთან გრძელვადიანი მომგებიანი ურთიერთობის აგება, რადგან პროდუქტის დიფერენციაციის კვალობაზე ღრმავდება როგორც შრომითი, ისე მატერიალური რესურსების დიფერენციაცია. მიზეზი უფრო თვალნათელი რომ გავხადოთ, დავეუპარალებლოთ ეს პროცესი შინამეურნეობაში შესყიდვების სიძნელის ზრდას: ნორმალური შემოსავლის მქონე ოჯახი მით უფრო მეტ დროს კარგავს შესყიდვებზე, რაც უფრო ფართოა არჩევანი პროდუქტის (მათ შორის მომსახურების) სახეობებსა და ნაირსახეობებს შორის. როდესაც (1980-იან წლებში) პროდუქტის დიფერენციაციამ მაღალ დონეს მიაღწია, აშშ-ში იშვა და გავრცელდა სლოგანი „იარე საყიდლებზე დაცემამდე!“ ბევრ ოჯახსა თუ ახლობელთა წრეში, სპონტანურად თუ მიზანმიმართულად, სხვაგან და ჩვენთან გამოიყოფიან შესყიდვების „ექსპერტები“, შესყიდვის „მენეჯერები“ და პირები, რომლებიც „დაცემამდე დადიან“ საყიდლებზე. ყველასათვის მეტ-ნაკლებად ნაცნობი მსგავსი ყოფითი სიტუაციები ერთგვარ, თუნდ ბუნდოვანსა და ნაწილობრივ, წარმოდგენას მაინც შეუქმნიან საფირმო შესყიდვების სიძნელეებზეც იმათ, ვინც შორს დგას ამ პრობლემისაგან. ნაწილობრივს — იმიტომ, რომ შინამეურნეობები არ იძენენ სამუშაო ძალას, ხოლო როცა მინის შექმნა დასჭირდებათ, არც ეს უქმნის მათ განსაკუთრებულ პრობლემებს, ფირმებისათვის კი შესყიდვების ეს სფეროებიც პრობლემატურია. საკმარისია ითქვას, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები მზარდ მოთხოვნას აყენებენ მაღალკვალიფიციურ მუშაკებზე — არა „ხელოსნებზე“, — არა-



მედ „ხელოვანებზე“, რომელთა მოზიდვისა და შემდეგ, შენარჩუნების სიძნელეები ავლენენ მათ შრომაზე მოთხოვნის მეტობას მიწოდებაზე სამუშაო ძალის რიცხოვნობის საერთო სიჭარბის ფონზე.

განსაკუთრებით ეს ითქმის იმ წამყვან (ტოპ-) მენეჯერებზე, რომელთაც ეკისრებათ მენეჯერებისა და მატერიალური რესურსების მოზიდვა და პროდუქტის გასაღება. მათ შრომის ანაზღაურებაში ხშირად მაღალია პრემიების წილი, რაც მათგან უკეთესთა გამორჩევისა და უარესთა განთესვის საშუალებას წარმოადგენს. შედეგად, ხშირად უკეთესთა ანაზღაურება მნიშვნელოვნად აღემატება იმავე კატეგორიის სხვა მენეჯერთა ანაზღაურებას, რაც იწვევს წინააღმდეგობებს როგორც მენეჯერებსა და მწარმეს შორის, ისე თვით მენეჯერთა კორპუსის სტრუქტურებში.

სიძნელეები, რომლებსაც შევხებით, მსხვილ კომპანიებში მწარმისგან, ალღოს გარდა, ითხოვს იმ მასშტაბისა და იმდენად მრავალპროფესიონალურ ცოდნას, რომ წარმოუდგენელია მას იგი ჰქონდეს. ამიტომ გასული საუკუნისთვის ნიშანდობლივი იყო მწარმეთა მიერ თავიანთი ფუნქციების მზარდი ნაწილის დელეგირება მენეჯერთა კორპუსზე. ამ რეალობამ წარმოშვა აზრი — მათ შორის მაღალკვალიფიციურად შედგენილ ენციკლოპედიურ ლიტერატურაში ასახული, — რომ აქციონერულ კომპანიაში მწარმის ფუნქციები დაყოფილია აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს შორის [იხ.: 5, 247].

დიახ, დაყოფილია, ოღონდ სიტყვა „დაყოფა“ არ გვიჩვენებს ვინ ან რამ დაჰყო ისინი. ვფიქრობთ, აქ აჯობებს განვასხვაოთ მწარმის მიერ თავის ფუნქციათა დელეგირება დირექტორთა საბჭოზე და ამ ფუნქციათა ბუნებრივი დაყოფა. კორპორაციულ სტრუქტურებში მწარმე ეწევა არა მარტო ფინანსურ რისკს — განსაზღვრავს არა მარტო კორპორაციის ფინანსური და რესურსული ნაკადების ძირითად მიმართულებებს, — არამედ რჩება იმ პირად, რომელიც თავის თავზე იღებს წარმოების ფაქტორთა ეფექტიანი შეერთების რისკსაც კორპორაციის თითოეულ უჯრედში და ამას იგი ახორციელებს უპირველესად ტოპ-მენეჯერთა შერჩევით (დირექტორთა საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრით). ანუ მასზეა დამოკიდებული თანამდებობაზე მათი დატოვებისა და მათი შემოსავლების სიდიდის საკითხის გადაწყვეტა. იგია ფირმის იურიდიული პირი, მენეჯერები კი მხოლოდ მისი სახელით მოქმედებენ.

აქციონერს შეუძლია დაიკავოს მენეჯერის ნებისმიერი თანამდებობა, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ ორი ეკონომიკური „ნიღბით“ მოგვევლინება. თუკი მას აქციათა საკონტროლო პაკეტი არ უპყრია, თანამესაკუთრეებს, საერთო გადაწყვეტილებით, შეუძლიათ გაათავისუფლონ იგი, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი, არაერთი მენეჯერივით, თავის გამორჩენას დააყენებს კომპანიის ინტერესზე მაღლა. ამ ტრივიალური ჭეშმარიტების ხაზგასმა ხაზს უსვამს იმასაც, რომ მართვის სადავეები მაინც მწარმის ხელშია, ოღონდ ისინი მოადუნა, მათი ქმედუნარიანობა შეამცირა მართვის სტრუქტურათა გართულებამ და გამჭვიროვალობის დაკარგვამ.

**მართვის** სირთულეთა ზრდას, XX საუკუნის შუახნებიდან მოყოლებული, ფირმის შიგნით რუქტურებში გამარტივების ტენდენცია შეეწყვილა. უკვე 60-იან წლებში განვითარებულ ქვეყნებში გამოიკვეთა პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ზოგიერთი ნიშანი, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია ახალი, ინტელექტუალური ტექნოლოგიების შექმნა, რომელიც ამცირებს „კუნთებზე“ მოთხოვნას. ფაბრიკა-ქარხნებმა დაცარიელება იწყო, ხოლო ადამიანებმა გადაინაცვლეს პროდუქტების შემქმნელი ტექნოლოგიების მართვის პულტებთან, ოფისებში და მომსახურების სფეროში, რომელიც ასევე პერმანენტულად აახლებს ტექნოლოგიებს. ერთმნიშვნელოვნად არ შეიძლება ითქვას, რომ გამარტივდა თვით ტექნოლოგიები. მათმა მართვამ ბევრ შემთხვევაში წარმოშვა სიძნელეები შესატყვისი კვალიფიკაციის ნაკლებობის გამო, მაგრამ ვინც პულტებთან აღმოჩნდა, მათი მართვა შედარებით გაადვილდა მათი რიცხოვნობის შემცირებისა და იმის შედეგად, რომ მათი ინტელექტუალური დონე შესაძლებელს ხდის მათ მთლიანობაში დაინახონ ტექნოლოგიური პროცესი მისი სანყისი რგოლიდან ბოლომდე [უფრო ფართოდ — იხ.: 6, 27-29].

ინჟინერინგი გულისხმობს სწორედ პროცესების მართვას — მართვის პროცესულ მეთოდს, რომელიც ჩვენ გვესმის როგორც მართვა პროცესების მთლიანობაში (მთლიანობითი) ხედვის საფუძველზე [იხ. იქვე]. იგი ენაცვლება მართვის ჰორიზონტალურ მეთოდს, თუმცა არ უკუაგდება მას როგორც თავის დაქვემდებარებულ ფორმას. ინგლისური წარმოშობის სიტყვა „ინჟინერინგი“ (engineering) ატარებს სხვადასხვა მნიშვნელობას, რომლებიც

საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისაგან, მაგრამ თითოეული მათგანი მიგვანიშნებს ასახული საგნის (მოვლენის) მთლიანობაზე. მათ შორისაა ისეთი მნიშვნელობები, როგორებიცაა „პროექტირება“ და „შენების ხელოვნება“, რომლებიც უახლოვდებიან სანარმოო პროცესთა მთლიანობაში აღქმასა და ორგანიზაციას (შენებას).

მართვის პროცესის გამარტივების პროცესული (ინჟინერინგული) მეთოდი არ უნდა გავიგოთ პრიმიტიულად, თითქოს ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფი შემძლეა გაუძღვეს მსხვილ ან თუნდ საშუალო კორპორაციულ სტრუქტურას. ასეთი რამ ხდებოდა და ხდება მხოლოდ შედარებით მცირე სანარმოებში. შედარებითი სიმარტივე შეიძლება ექნეს ტექნოლოგიების მართვას მხოლოდ მასობრივი წარმოების მსხვილ სტრუქტურებში ანუ ისეთში, სადაც ტექნოლოგიური ხაზები გამიზნულია ერთი სახეობის პროდუქტის მასობრივ გამოშვებაზე. მაგრამ პროდუქტის დიფერენციაცია ამცირებს ასეთი წარმოების წილს და ტექნოლოგიების მობილურობა შესაძლებელს ხდის ტექნიკური საშუალებების მრავალმიზნობრივ გამოყენებას, როცა ისინი სხვადასხვა პროდუქტის ან ერთი სახეობის პროდუქტის სხვადასხვა ნაირსახეობის გამოშვებას ემსახურება.

თავისი სიძნელეები შეიძლება ახლდეს პროცესული მეთოდის დანერგვას მომსახურების სფეროს მსხვილ და საშუალო ორგანიზაციებშიც (ბანკები, ჯანდაცვის სტრუქტურები და სხვანი), მაგრამ ეს არ ნიშნავს ამ მეთოდის არახელსაყრელობას. პირიქით, აქ უფრო მეტად იჩენს თავს ჰორიზონტალური მართვის ნაკლოვანებები ამ სფეროს პროდუქტის (მომსახურების) ღრმა დიფერენციაციის გამო.

მართვის სტრუქტურების გარდაქმნის მთავარ ამოცანას დღეს წარმოადგენს არა ჰორიზონტალურ მეთოდზე უარის თქმა, როგორც ეს ზოგჯერ წარმოუდგენიათ, არამედ კორპორაციების მსხვილ სტრუქტურულ განყოფილებათა მმართველობითი ავტონომიის შეზღუდვა პროცესული მეთოდის გამოყენების მეშვეობით.

ჯერჯერობით, ინჟინერინგს ჩვენ შევხებით სანარმოო ტექნოლოგიების ფარგლებში — ტექნოლოგიებისა, რომლის ნაწილებიც ამ პროცესის უშუალოდ წარმართველი ადამიანებიც არიან. ინჟინერინგი სწორედ ამ ფარგლებში გაჩნდა, მისი განვითარების მომდევნო საფეხურად კი გადაიქცა რეინჟინერინგი. პრეფიქსი

„რე“ აქაც, რა თქმა უნდა, პირველ რიგში განმეორება-განახლებას აღნიშნავს, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე უბრალო განმეორებასთან არ გვაქვს: ტერმინმა დაიმკვიდრა ადგილი როგორც იმ პროცესის ამსახველმა, როცა ფირმა პერმანენტულად აახლებს თავის ტექნოლოგიურსა და ორგანიზაციულ სტრუქტურებს; ხოლო ამის აუცილებლობა გაჩნდა იმ გარემოპირობებში, რომლებშიც ფირმა გამუდმებით ეძებს თავის ნიშს საბაზრო სამყაროში ან — საშუალებებს თავისი ნიშის განსამტკიცებლად და ამ მიზნით პერმანენტულად აახლებს პროდუქტს მომხმარებლის საჭიროებათა ცვალებადობის შესაბამისად, რაც ტექნოლოგიებში შესაბამის ცვლილებასაც ითხოვს. აქედან ნათელია, რომ რეინჟინერინგი უკავშირდება ფირმის მარკეტინგულ ძიებებს და მარკეტინგული საქმიანობის საჭიროებებს.

ვფიქრობთ, ეს კავშირი უნდა იქნას მიჩნეული ბიზნეს-ინჟინერინგის წარმოშობის წინაპირობად: ნოვატორმა კორპორაციებმა მართვის პროცესული მეთოდი გამოიყენეს შიდასაფირმო და გარე მიკროგარემოს მართვის პროცესთა შეერთებისათვის. ეს ბუნებრივად მოხდა ანუ ამას დიდი გამომგონებლობა არ დასჭირებია: რაკი მარკეტინგული სტრატეგია საფუძვლად დაედო ფირმის საქმიანობას, ამ სტრატეგიის შემუშავებაში საჭიროა მონაწილეობა მიიღონ არა მხოლოდ მარკეტოლოგებმა, არამედ ფირმის სხვა წამყვანმა პირებმაც. სხვაგვარად რეინჟინერინგი (ტექნოლოგიათა პერმანენტული განახლების პროექტირება და განხორციელება) მოსწყდება ფირმის უმაღლეს მიზანს (მომხმარებელთან გრძელვადიანი მომგებიანი ურთიერთობას აგებას). მხოლოდ მათი ერთიანობის საფუძველზე შეიძლება პროცესული მეთოდი გადაიქცეს ბიზნესის შენების მეთოდად (მისი შენების „ხელოვნებად“), რაც ბიზნეს-ინჟინერინგის არსის მთავარ მსაზღვრელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ [იხ. აგრეთვე: 7, 79-84].

**ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ არის კონკრეტული ფაქტობრივი მასალა ცალკეულ კორპორაციებში ბიზნეს-ინჟინერინგის დღევანდელი მდგომარეობისა და მომავლის შესახებ, მით უფრო რომ მართვის ამ მეთოდს საქართველოში ფეხი არ შემოუდგამს და რომ იგი ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში იწყებს გავრცელებას; მენეჯმენტის უცხოური სახელმძღვანელოები კი აღნიშნავენ არსებითად მხოლოდ იმას, რომ მენეჯმენტი აღარ იფარგლება**

შიდასაფირმო სტრუქტურების შესწავლით და მზარდ მნიშვნელობას ანიჭებს გარე მიკრო-სტრუქტურებთან კავშირებს [იხ.: მაგალითად, 8, თ. 3-4]. ამიტომ გამოვთქვამთ მხოლოდ ვარაუდებს ბიზნეს-ინჟინერინგული მმართველობის მოდელის ოპტიმიზებისა და ამ მოდელის პირობებში მენარმული და მენეჯერული მართვის შეხამების შესახებ, რომლებიც სასურველია სამუშაო ჰიპოთეზად იქცეს მეცნიერებისა და პრაქტიკოსებისათვის, მათ შორის მაღალი ტექნოლოგიის მფლობელი კორპორაციების მესვეურთათვის მატერიალური წარმოებისა თუ მომსახურების (საბანკო, ჯანდაცვის და ა.შ.) სფეროებში, ვინაიდან მართვის პროცესული მეთოდის ეფექტიანი გამოყენება მხოლოდ ასეთი ტექნოლოგიების არსებობისასაა შესაძლებელი.

მნიშვნელოვნად არ მიგვაჩნია, ბიზნეს-ინჟინერინგული მართვის პირობებში შეინარჩუნებს თუ არა დირექტორთა საბჭო თავის სახელწოდებას. მნიშვნელოვანია ის, რომ ფირმის დარგობრივი და ფუნქციური, შესაძლოა აგრეთვე ტერიტორიული განყოფილების ხელმძღვანელთა (ჰორიზონტალური მართვის მენეჯერთა) ხელიდან მართვის სადავეები გადაეცეს იმ პირებს — ტოპ-მენეჯერებს — რომლებიც პასუხისმგებელი გახდებიან ცალკეული (მსხვილი) ტექნოლოგიური პროცესების ეფექტიან გაძღოლაზე, დაწყებული ამისთვის საჭირო რესურსების მოზიდვით და დამთავრებული მათი გასაღების ორგანიზაციით, რათქმაუნდა, მარკეტინგულ ძიებებში მათი მონაწილეობის ჩათვლით. მათი გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულო უნდა შეიქნას ჰორიზონტალური მართვის მენეჯერთათვის, რომელთაც უფლება ექნებათ ამ გადაწყვეტილებათა უმაღლეს მენეჯერულ ორგანოში „გასაჩივრება“ (სამსჯელოდ გამოტანა). ასეთი წინააღმდეგობების მინიმიზაციის საშუალებად კი შეიძლება ჩაითვალოს ჰორიზონტალური მართვის რგოლების ხელმძღვანელთა თანამდებობებზე თვით იმ ტოპ-მენეჯერთა დანიშვნა, რომელთა მეურვეობაში არსებული პროცესების ბირთვისაც შესაბამისი რგოლები ქმნიან.

შევნიშნავთ, რომ ტერმინი „პროცესული მართვა“ არ უნდა გაუიგივოთ ვერტიკალურს ანუ მკვეთრად არ უნდა დავუპირისპიროთ ჰორიზონტალურ მართვას. იგი მას კი არ გამორიცხავს, არამედ იქვემდებარებს, რის ოპტიმალურ ვარიანტსაც ჩვენი აზრით მენეჯერულ

ფუნქციათა განაწილების ზემოთ შემოთავაზებული მოდელი წარმოადგენს.

მცირერიცხოვან ტოპ-მენეჯერთა ხელში მენეჯმენტის სადავეების ასეთი კონცენტრაცია ფართო შესაძლებლობებს ქმნის მენარმეთა და მენეჯერთა ურთიერთობის ოპტიმიზაციისათვის. კერძოდ:

- იგი ზრდის მენეჯერთა კოპრუსის საქმიანობის გამჭვირვალობას და, შესაბამისად, მასზე განხორციელებული მენარმული კონტროლის ეფექტიანობას;
- კომპანიის ტექნოლოგიური და ორგანიზაციულ-ეკონომიკური პროცესების მთლიანობაში აღქმა ტოპ-მენეჯერთა მიერ აახლოვებს მათ ხედვას მენარმის ხედვასთან და მენარმეს საშუალებას აძლევს მიიღოს მათგან ადეკვატური და ნათელი ინფორმაცია;
- მართვის პროცესული სისტემა აადვილებს მენარმული და მენეჯერული ინტერესების ოპტიმალურ შეხამებას: მენარმეს, რომელსაც უადვილდება უშუალოდ დაინახოს ტოპ-მენეჯერთა მცირერიცხოვანი ჯგუფის თითოეული წევრის წვლილი შუალედურსა თუ საბოლოო შედეგებში, უადვილდება გაარკვიოს ისიც, რა პირობებით განაახლოს ხელშეკრულება და, ამასთან, განსაზღვროს მათი წილი მოგებაშიც. ამის შესაძლებლობას იგი პრაქტიკულად მოკლებულია ჰორიზონტალური მართვის გამოყენებისას, რის გამოც მოგებაში მონაწილეობის მრავალნაწილი სისტემის ეფექტიანობა მაღალი ჯერჯერობით არ არის. ხოლო პროცესული მართვის შემოთავაზებულ მოდელში ვერ წარმოიშობა ის მწვავე წინააღმდეგობები, რომლებიც ნიშანდობლივია მენარმეთა და მენეჯერთა ურთიერთობისათვის და რომლებსაც სულ უფრო მეტი ზიანი მოაქვთ კომპანიებისათვის მართვის სისტემის გართულებისა და რისკების ზრდის ვითარებაში, რადგან ეს პროცესები ასუსტებენ მენარმის კონტროლს მენეჯმენტზე;
- ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ თვით მენეჯმენტის რგოლებს შორის „ჰორიზონტალური“ წინააღმდეგობის პრობლემა, რადგან შედარებით მარტივდება იმის ამოცნობა, რომელი რგოლი აზვიადებს თავის დამსახურებას და საერთო „ქვაბიდან“ მეტის „დათრევას“;
- საბოლოო ანგარიშით, მცირდება მენარმული და მენეჯერული მართვის ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენების აუცილებლობა; მცირდება აგრეთვე მენარმეთა მხრივ, კონტ-

როლის გაუმჯობესების მიზნით, მენეჯერული თანამდებობების დაკავებისა თუ მეთვალყურეთა საბჭოს მიერ მართვის სადავეების ხელში აღების აუცილებლობა, რასაც ზოგჯერ აქვს ადგილი. მსგავსი სიტუაციები მენარმეს აიძულებს ყურადღება გადაუტანოს საკუთარი ფუნქციებიდან არაადეკვატურზე — მენეჯერულზე, რაც ზიანს აყენებს ფირმას. მაგალითად, იგი ხელს უშლის კაპიტალის დივერსიფიკაციას ახალ სფეროებში, რასაც რისკების ეპოქაში დიდი მნიშვნელობა აქვს ფირმის მდგომარეობის სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიზნეს-ინჟინერინგი მონოდებულია ერთ მთლიანობად შეკრას ფირმის მმართველობითი სისტემა, მათ შორის შიგა და გარე (მომხმარებლებთან, მიმწოდებლებთან და პარტნიორებთან) მიმართებაში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გველესიანი მ., რა არის მარკეტინგი, თბ., „კომენტარი“, 2011.
2. Кеннет Г. Д., Экономика невинного обмана. Правила нашего времени, Москва, 2009.
3. Шив Чарльз Д., Хайзм Александр Уотсон, Курс МВА по Маркетингу. Москва, 2003.
4. არმსტრონგი გ., კოტლერი ფ., მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 2007.
5. ასათიანი რ., თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია, თბ., „სიახლე“, 2014.
6. გველესიანი მ., მარკეტინგული ხედვა — ბიზნეს-ინჟინერინგის ფუძეთაფუძე. ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2011, 21-29.
7. გველესიანი მ., ბიზნეს-ინჟინერინგი სვლა ფართო გაგებისაკენ//საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები: 20-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები, 1, თბ., 19-21 სექტემბერი, 2012, გვ. 79-84.
8. Мескон М. Х., Альберт М., Хедоури Ф., Основы менеджмента, Москва, «Дело», 2000.

# ინვესტიციების მოზიდვის ინსტრუმენტების ევოლუცია და პრობლემები

მერაბ ვანიშვილი – სტუ-ს პროფესორი,  
დათა ფარულავა – სტუ-ს დოქტორანტი

## რეზიუმე

სტატია აღწერს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ევოლუციას მის ისტორიულ კონტექსტში. საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებები (IIA — სსშ) არ არის ყოველთვის ეფექტური რიგ ქვეყნებში ინვესტიციების შემოდინებისთვის. ინვესტიციების მოზიდვა უმეტეს ქვეყნებში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში არის მთავრობათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ეკონომიკის განვითარებისთვის. ინვესტიციების მოზიდვის ინსტრუმენტები კი, თავის მხრივ, არ არის ხშირ შემთხვევებში საფუძვლიანად შესწავლილი. ხშირია შემთხვევები, როდესაც მიღწეულია სსშ, თუმცა ინვესტირებას რეალურად არ აქვს ადგილი პროექტის განხორციელების ეტაპზე. ნარუმატებელი საინვესტიციო შეთანხმებები, როგორც წესი, არის ქვეყნის არაჯანსაღი საინვესტიციო სტრატეგიის განხორციელების შედეგი. საქართველოს მსგავსი განვითარებული ქვეყნები მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს იღებენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან (FDI), თუ ეს ინვესტიციები ეფექტურად არის დაგეგმილი და განხორციელებული ქვეყნის პრიორიტეტებისა და ინვესტორის კომერციული ინტერესების გათვალისწინებით. ინვესტიციების მოზიდვის ინსტრუმენტების არაეფექტურად გამოყენებამ პროექტის განხორციელების ეტაპზე შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

**საკვანძო სიტყვები:** IIA — სსშ — საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებები; FDI — პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; UNCTD — გაერთიანებული ერების კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე.

## The evolution and problems of attraction of investment instruments

Merab Vanishvili - GTU, Professor  
Data Parulava - GTU, PhD student

## Summary

This article describes the evolution of foreign direct investment in its historical context. International Investment Agreements (IIA - sssh) are not always

effective in a number of countries for investments. Attracting investment in most countries, especially in developing countries is an important tool for economic development for governments. Attracting investment instruments, in turn, is often thoroughly studied. Very often, when reached sssh, but actually does not have a place to invest in the project implementation stage. Disappointing investment agreements, as a rule, is the result of an unhealthy investment strategy. Of such developed countries significant economic benefit from foreign direct investment (FDI), if it is properly planned and carried out the country's priorities and investments from the commercial interests of the investor. Attracting investment instruments inefficient use of project implementation can be significant damage to the country's national interests.

ინვესტიციები, განსაკუთრებით კი FDI მიზნეულია ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ინსტრუმენტად; ამ ინსტრუმენტის მართვის სტრატეგიები კი ხშირად არ არის სრულად განვითარებული. ყოველთვის არსებობდა პოზიტიური და ნეგატიური ხედვები FDI-სთან მიმართებაში: ზოგი მიიჩნევს მას, როგორც ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობას სსშ-ების საშუალებით, ზოგი კი თვლის, რომ FDI შეიცავს ადგილობრივი/ეროვნული წარმოების განადგურების რისკს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მასშტაბით FDI მკვეთრად გაიზარდა XX საუკუნის დასაწყისში, შემცირდა XX საუკუნის შუა წლებში და მკვეთრად გაიზარდა საუკუნის მიწურულს. საინტერესო ფაქტია ის, რომ ინვესტიციები იზრდება მსოფლიო მნიშვნელობის ომების შემდეგ, ინვესტიციების მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე და შემდეგ, ისევ სწრაფად გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან რამდენიმე წელიწადში.

ნებისმიერი გლობალური პროცესების მსვლელობაში, იქნება ეს საომარი სიტუაცია თუ მსოფლიო ფინანსური კრიზისი, ყველაზე მეტად ზარალდებიან განვითარებადი ქვეყნები. ბუნებრივია, რომ ნეგატიურ პროცესებს ნეგატიური გავლენა აქვთ განვითარებად ქვეყ-

ნებზეც, მაგრამ მათ ხელთ არსებული ფინანსური რესურსები და სწრაფი განვითარების ამბიციის ნარმოშობს ახალ ბიზნეს შესაძლებლობებს განვითარებადი ქვეყნებისთვის. სწრაფი ზრდის სტრატეგიით განვითარებული ქვეყნების კომერციული თუ სახელმწიფო ორგანიზაციები ახორციელებენ აგრესიულ საინვესტიციო პოლიტიკას განვითარებად ქვეყნებში. რთულ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნები კი სიხარულით ეგებებიან უცხოურ ინვესტიციებს და სსშ-ს დეტალური შესწავლის მოლაპარაკების გარეშე ხელს აწერენ რიგ პირობებს და ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებენ ეროვნულ ინტერესებს.

ყოველივე ეს არის გლობალური ტენდენცია, რასაც სწრაფი ტემპით ზრდის შესაძლებლობა მისცა XX საუკუნეში დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის და კონკურენტული ბიზნეს-გარემოს არსებობისთვის ჩამოყალიბებულმა საბაზრო ეკონომიკამ.

FDI წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ფინანსურ ინტერესს ეკონომიკური განვითარებისათვის, მაგრამ აუცილებელია რომ ქვეყნის პოლიტიკის ავტორებს ჰქონდეთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული:

- ფინანსური ინსტრუმენტები ინვესტიციების მოზიდვისთვის;
- ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგია ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

გასული სამი ათწლეულის განმავლობაში მთავრობები უფრო და უფრო ლიბერალურები ხდებიან FDI-ის მიმართ. დღესდღეობით ქვეყნები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ ინვესტიციების მოზიდვის კუთხით და ხშირ შემთხვევაში ეროვნულ უსაფრთხოებასაც კი გვერდზე გადაწევენ შემომავალი ინვესტიციების გაზრდის მიზნით. მთავრობები გახდნენ ლიბერალურები ეროვნულ და რეგიონულ დონეზე, მაგრამ არ არსებობს კომპლექსური ჩარჩო, რომელიც გაითვალისწინებს მულტინაციონალურ ინტერესებს.

აუცილებელია იმის გათვითცნობიერება, რომ FDI არ უნდა მივიღოთ როგორც მხოლოდ პოზიტიური ან როგორც მხოლოდ ნეგატიური მოვლენა. ინვესტიციების მოზიდვის ინსტრუმენტების, სტრატეგიის ჩამოყალიბების და განხორციელების ეტაპზე აუცილებელია კომპლექსური მიდგომა და, როგორც ეროვნული უსაფრთხოების, ასევე რეგიონული პოზიციონირების მტკიცე შენარჩუნება.

ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიის ჩამოყალიბებისას აუცილებელია დადგინდეს იქნეს ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები, რომლის მიმართაც FDI ინტერესის გამოჩენის შემთხვევაში, მთავრობებმა უნდა იმოქმედონ არსებული მკაცრი პოლიტიკით, რათა მოხდეს სსშ-ს დეტალური შესწავლა, სადაც ნათლად იქნება ჩამოყალიბებული ქვეყნის როგორც მოკლევადიანი (10 წელი) ასევე გრძელვადიანი (50 წელი) სარგებელი და რისკები.

აუცილებელია FDI-ის ტიპისა და მოტივაციის განსაზღვრა და მისი დეტალური ანალიზი. მაგალითად, 1960-იან წლებში ინვესტიციების დიდი რაოდენობა შეინიშნებოდა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების წარმოების სექტორში, რის გამოც ეს ბაზრები განიცდიდნენ ტრანსფორმაციას; ამ ბაზრებს გააჩნდათ ნავთობისა და გაზის რესურსი. მაგრამ ამ ინდუსტრიაში ნაკლები ინვესტიციის გამო, ბაზარმა განიცადა ტრანსფორმაცია და ბუნებრივი რესურსების ძიება და მოპოვება გახდა არაპრიორიტეტული მიმართულება მთავრობებისათვის, რადგან ინვესტიციების დიდი ნაწილი მოდიოდა წარმოებაზე, რასაც უმაღლეს მოჰქონდა პოზიტიური ეფექტი ქვეყნის ეროვნულ ნაწარმზე. იმის დასადგენად, თუ რა გავლენას ახდენს FDI ეკონომიკაზე, აუცილებელია მოხდეს FDI-ის ტიპის ანალიზი, თუ რამ მოიზიდა ინვესტიცია და რა გავლენას ახდენს ეს ეროვნულ წარმოებაზე.

FDI-სთან დაკავშირებით მრავალი კვლევა არსებობს, ჩვენ კი ამ სტატიაში შევხებით საკითხს მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს FDI-ს ეკონომიკურ ზრდაზე. UNCTD (გაერთიანებული ერების კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე) აღწერს შვიდ ძირითად სფეროს, რომელთა განვითარებაზეც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს FDI-ს. მათ მიეკუთვნება:

- სამუშაო ადგილების შექმნა და ინდივიდების შემოსავლის ზრდა;
- კაპიტალის ფორმირება და ბაზარზე წვდომის რეგულაციების განვითარება;
- ბაზრის სტრუქტურის მოდერნიზაცია;
- ტექნოლოგიური წინსვლა და პროფესიული უნარების განვითარება;
- ბაზრის ფისკალური სიმტკიცე;
- პოლიტიკური კულტურის განვითარება;
- სოციალური საკითხების გაუმჯობესება.

ბიზნეს შესაძლებლობები ისეთ ქვეყნებში, როგორცაა, მაგალითად, სინგაპური და ირლანდია განვითარდა ეკონომიკაში განხორციე-

ლებული უხვი FDI-ის შედეგად. ეს ქვეყნები ათეულობით წლის წინ განხორციელებული ინვესტიციებიდან დღესაც იღებენ სარგებელს, სწორედ რომ ჯანსაღი სტრატეგიული მიდგომით ინვესტიციების მოზიდვის საკითხებში. არსებული რეალობაა, რომ ქვეყნები, რომლებიც არაჯანსაღი ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიას მიმართავდნენ, ვერ ლებულობენ გრძელვადიან სარგებელს წინა წლებში განხორციელებული ინვესტიციებიდან. მაგალითად, ქვეყნები, რომლებიც მოიზიდავენ ინვესტიციებს ტანსაცმლის სავაჭრო სექტორის განვითარებაზე, მაგრამ არ მოიზიდავენ ინვესტიციებს ტანსაცმლის წარმოების სექტორის განვითარებაზე, გრძელვადიან პერსპექტივაში FDI-დან ვერ იღებენ სასურველ სარგებელს.

ფინანსისტები სალაკუზი და სულივანი აღნიშნავენ „განვითარებული ქვეყნების სუვერენიტეტი შეიძლება შელახულ იქნეს სსშ-ით, თუ კონკრეტულ შემთხვევაში არ არის გარანტირებული რომ ქვეყანა არ იქნება შეზღუდული გარკვეული რეფორმების გატარებაში“. ხშირია შემთხვევები, როდესაც მიღწეულია სსშ და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე საჭიროა, მაგალითად, საგადასახადო რეფორმის გატარება და შეზღუდულია მსგავსი ქმედებისგან, რამდენადაც ამ რეფორმამ შეიძლება პირდაპირი ზიანი მიაყენოს ქვეყანაში უკვე არსებულ ინვესტორს.

FDI-ის აღქმა ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა, განსაკუთრებით ეს ეხება მის გავლენას ტექნოლოგიურ განვითარებაზე. 1970-იან წლებში, როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იყო FDI დინების ბუმი განვითარებად ქვეყნებში, ამან გამოიწვია თანამედროვე ტექნოლოგიური რევოლუცია, რამაც, ერთი მხრივ, დაასაქმა ტექნოლოგიურ განვითარებაში ჩართული პროფესიონალები, ხოლო მეორე მხრივ, შეამცირა და, ზოგ შემთხვევაში გააქრო სხვადასხვა პროფესიები. მაგალითად, დურგალი დღესდღეობით ნაკლებად პრიორიტეტულ და დაბალი რეპუტაციის მქონე პროფესიას მიეკუთვნება, როდესაც ის XX საუკუნის შუა წლებში ერთ-ერთი წამყვანი პროფესია იყო სხვადასხვა განვითარებად ქვეყნებში.

განხორციელებული ინვესტიციებით მხარდაჭერილმა ტექნოლოგიურმა რევოლუციამ ისეთი პროფესიები, როგორცაა, მაგალითად, დურგალი ჩანაცვლა ხის მწარმოებელი რობოტ-დანადგარებით.

ინვესტიციების მოზიდვის არაჯანსაღმა სტრატეგიამ და ფინანსური ინსტრუმენტების არაეფექტურმა გამოყენებამ განვითარებად ქვეყნებში გამოიწვია ტრადიციული ეროვნული წარმოების ჩანაცვლება ინდუსტრიით, რომელიც არ არის დამახასიათებელი ადგილობრივი ბაზრებისათვის. ქვეყნის ეკონომიკაში ძველი, არამომგებიანი ინდუსტრიების თანამედროვე მომგებიანი ინდუსტრიებით ჩანაცვლება მისასალმებელია, მაგრამ ამისთვის მთავრობებს უნდა გააჩნდეთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული გრძელვადიანი სტრატეგია ინვესტიციების მოზიდვაზე მუშაობისას.

განვითარებადი ქვეყნები, რომლებსაც არ გააჩნიათ მკაფიო გრძელვადიანი სტრატეგია, როგორც წესი, ვერ აღწევენ წარმატებებს. ნებისმიერ ინვესტორს კაპიტალის დახარჯვისას ამოძრავებს პოტენციური მოგება, რომელსაც ის მიიღებს ინვესტიციის შედეგად, მთავრობებს კი ამოძრავებთ მეტი სამუშაო ადგილის შექმნა. თუ FDI არ ემსახურება ქვეყნის გრძელვადიან გეგმებს, ინვესტორმა შეიძლება შექმნას სამუშაო ადგილები, მაგრამ მოულოდნელად შეიძლება გადაწყვიტოს ბაზრიდან გასვლა და გაზარდოს უმუშევრობის დონე ქვეყანაში. აუცილებელია რომ მთავრობებს ინვესტიციების მოზიდვების სტრატეგიაში გათვალისწინებული ჰქონდეთ ადგილობრივი მუშა ხელის დასაქმებისა და, ზოგადად, ეროვნული ინტერესების დაცვის საკითხი.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებების როლი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საკითხებში განვითარებად ქვეყნებში UNCTD (გაერთიანებული ერების კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე). ნიუ იორკი და ჟენევა, 2009: [http://unctad.org/en/Docs/diaeia20095\\_en.pdf](http://unctad.org/en/Docs/diaeia20095_en.pdf)
2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და განვითარება, ისტორიული პერსპექტივა, Dirk Vilem te Velde, ODI (საგარეო განვითარების ინსტიტუტი). - ჟენევა, 2006: <http://www.odi.org/sites/odi.org.uk/files/odi-assets/publications-opinion-files/850.pdf>.
3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა თქვენს საზოგადოებაში, განვითარების პარტნიორობა. - სიეტლი, 2009: <http://www.psrc.org/assets/57-64/FDIsmallreport.pdf?processed=true>.

# საქართველოში ინსტიტუციურ სფეროში არსებული პრობლემების შეფასება

დემნა კვარაცხელია — სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

## რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში ინსტიტუციურ სფეროში არსებული პრობლემები. დასაბუთებულია, რომ ეროვნული მეურნეობის ტრანსფორმაციის განვლილ პერიოდში ვერ მოხერხდა ცივილური საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბება, რასაც ადასტურებს ელიტის სასარგებლოდ ინსტიტუტების ფორმირების ხშირი შემთხვევა, რაც აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

## Summary

The article provides analysis of the institutional problems in Georgia, it argues that in the period of national economy transformation the institutional environment corresponding to the civilized market economy was not formed and this is evidenced by the frequency of formation of the institutes for the benefit of elite, delaying economic development of the country. Consequently, it offers the priorities for institutional changes.

**საკვანძო სიტყვები:** ინსტიტუტები, არაფორმალური და ფორმალური ინსტიტუტები, სელექცია, ინსტიტუციური ტრანსფორმაცია, ეკონომიკური განვითარება.

სოციალური ორგანიზმისათვის დამახასიათებელია სელექციისა და შეგუების გზით ჩამოყალიბებული ინსტიტუტებისა და სტრუქტურების არსებობა, რომლებიც ხელს უწყობენ მისი შიგნით გარემოს სტაბილურობას და გარე გარემოში მის უმტკივნეულო და ეფექტიან ინტეგრირებას.

ინსტიტუტების ქვეშ იგულისხმება საზოგადოებაში ჩამოყალიბებული „თამამის წესები“, ანუ „ადამიანის მიერ შექმნილი“ შეზღუდვები, აგრეთვე მექანიზმების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მათ შესრულებას. მათი დანიშნულებაა ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზება, ადამიანებს შორის ურთიერთობების დარეგულირება და გაურკვევლობის შემცირება. განასხვავებენ არაფორმალურ და ფორმალურ ინსტიტუტებს. არაფორმალური ინსტიტუტები მოიცავს: ჩვეულებებს, ტრადიციებს, სამეურ-

ნეო საქმიანობის სფეროში ჩამოყალიბებულ ქცევის ნორმებს და ასე შემდეგ. მათი წყაროა ისტორიული მემკვიდრეობა და კულტურა [8, გვ. 126].

ამრიგად, არაფორმალური ინსტიტუტები, ანუ ტრადიციის ფორმით ჩამოყალიბებული აზროვნებისა და ქცევის სტერეოტიპები, წარმოადგენენ ეროვნული კულტურის ელემენტებს. „ტრადიციები პირადობის დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს ერისთვის, რომლის დაკარგვის შემთხვევაში იკარგება და ისპობა მისი შემქმნელ-მატარებელი ხალხიც. სწორედ აღნიშნულის შემდეგ იქმნება მის ნაფუძვარზე უცხოთა დამკვიდრების პირობები, მათთვის დამახასიათებელი ყველა ფენომენით, მათ შორის ტრადიციებითაც“ [1, გვ. 3]. საუბარია იმ პროგრესულ ტრადიციებსა და ჩვეულებებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ერის თვითმყოფადობის განმტკიცებასა და სულიერ აღორძინებას, საზოგადოებრივი ურთიერთობების მონესრიგებას, საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობისა და უკონფლიქტო თანაარსებობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.

არაფორმალური ინსტიტუტების სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს ბუნებრივი შერჩევის პროცესი, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება და მისი ცალკეული სუბიექტები გაითავისებენ ქცევისა და ურთიერთობების იმ ნორმებს, რომლებიც შიდა და გარე გარემოსთან მათი შეგუებისათვის და ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია. ბუნებრივი შერჩევის პროცესი აგრეთვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს შიდა და გარე გარემოს ცვლილებისას საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ახალი ნორმების ფორმირებაში.

სელექციისა და შეგუების პროცესში სიცოცხლისუნარიანი ხდება და დროის გამოცდას უძლებს ის ინსტიტუტი (რომელმაც შეიძლება განიცადოს გარკვეული მოდიფიკაცია-განახლება, ძირითადი საწყისი ნიშან-თვისებების შენარჩუნების პირობებში), რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების სულიერ-კულტურულ წინსვლას. ხოლო მანკიერი ხასიათის ინსტიტუტები, რომლებიც წარმოქმნილი არიან პათოლოგიური მოვლენების ზეგავლენით და რომლებიც ძირითადად წარმოიშობიან ძნელბედო-



ბის ჟამს (სულიერი და ზნეობრივი დაცემის პირობებში), დაძლეულ იქნებიან დროთა ვითარებაში, ხალხის სულიერ-ზნეობრივი გაჯანსაღების კვალდაკვალ, ან უარეს შემთხვევაში ნაკლებ ზეგავლენას მოახდენენ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე და მის განვითარებაზე. თუმცა მათი აღზევება სათანადო პირობებში (შიგა და გარე დესტრუქციული ძალების მოქმედების შედეგად, ზნეობრივი ატმოსფეროსა და მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებისას) ისევ მოსალოდნელია. ამიტომ საჭიროა მუდმივი ბრძოლა სახელმწიფოებრივი და კერძო ცხოვრების გაჯანსაღებისა და სრულყოფილი მორალურ-ზნეობრივი კლიმატის ჩამოყალიბებისათვის.

სელექციისა და შეგუების გზით წარმოქმნილი ინსტიტუტების (ჩვეულებები, ქცევისა და ურთიერთობების ნორმები, სტრუქტურები) მეშვეობით საზოგადოების წევრებს, მის სხვადასხვა ფენებსა და სტრუქტურებს შორის ყალიბდება თანამშრომლობისა და თანაარსებობის პირობები.

ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშემწყობი და ეროვნული ინტერესების შესაბამისი ჩვეულებები და ტრადიციები უნდა გახდეს ეროვნული სამართალშემოქმედებისა და შესაბამისად, ფორმალური ინსტიტუტების ფორმირების საფუძველი.

ფორმალური ინსტიტუტების ქვეშ იგულისხმება სამართლებრივი ნორმები, კანონები და სტრუქტურები, რომლებიც შექმნილია სათანადო უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ.

არაფორმალური ინსტიტუტები ფორმალურთან ერთად წარმოქმნიან ერთიან სისტემას. მათ შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირები და ურთიერთგანპირობებულობა. სხვადასხვა სახის ნეგატიური პროცესების ზემოქმედებით, ფორმალურ და ჯანსაღ არაფორმალურ ინსტიტუტებს შორის ჩამოყალიბებული შესაბამისობისა და წონასწორობის დარღვევა, საზოგადოებაში ინვეს ნიჰილისტურ დამოკიდებულებას სოციალური ურთიერთობების განმსაზღვრელი ტრადიციული ნორმებისადმი. ამის შედეგად ყალიბდება ანტისაზოგადოებრივი, პათოლოგიური არაფორმალური ინსტიტუტები, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს შესაბამისი ფორმალური ინსტიტუტების ფორმირებას, ანუ წარმოიქმნება გაუკუღმართებულ არაფორმალურ და ფორმალურ ინსტიტუტთა უწყვეტი ჯაჭვი, რომლებიც წარმოქმნიან ერთიან სისტემას. აღნიშნული ვითარების გამოს-

წორება დამოკიდებულია ხალხისა და ხელისუფლების ნებაზე, არსებული მდგომარეობის გაჯანსაღების მოთხოვნებისა და სურვილების ინტენსივობაზე.

ჯანსაღი არაფორმალური და ფორმალური ინსტიტუტების ერთიანი სისტემის ჰარმონიული განვითარება მოითხოვს აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის ზუსტი შესაბამისობის მუდმივ უზრუნველყოფას, რაც უნდა განახორციელოს მარეგულირებელმა სტრუქტურებმა. „ცოცხალ ბუნებაში უშქარი მანესრიგებელი წრეა, ისინი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ისეთი შეუცვლელნი არიან, რომ სიცოცხლის წარმოშობას ვერ წარმოვიდგინთ ამ მარეგულირებელი წრის იმავდროულად გაჩენის გარეშე“ [4, გვ. 18]. საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი ინსტიტუტების ურთიერთკავშირსა და განვითარების რეგულირება კი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.

საქართველოში ეროვნული მეურნეობის რესტრუქტურისაციის განვლილ პერიოდში, ვერ მოხერხდა ცივილური საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბება, რისი დამადასტურებელიცაა სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაციის ინსტიტუტების სასურველ დონეზე განუვითარებლობა და საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება, აგრეთვე მოქმედი საკანონმდებლო ნორმების რეალიზაციის ქმედითი მექანიზმების არარსებობა, რაც თავის მხრივ საკანონმდებლო ბაზის დაუხვეწაობის შედეგია. არანაკლებ დამაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ სოციალისტური ეკონომიკური სისტემიდან მემკვიდრეობით მიღებული მანკიერი ტრადიციების შედეგად, ეკონომიკის სუბიექტები ინერციით განაგრძობენ ჩრდილოვანი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი არაფორმალური ინსტიტუტებისადმი ერთგულებას.

საქართველოში „ინსტიტუციური გარდაქმნებისათვის ძალისხმევა სუსტია, რადგანაც იგი სხვადასხვა კერძო კორპორაციული ინტერესების მსხვერპლია, იგი სხვადასხვა ჯგუფურ, პარტიულ, ბიუროკრატიულ, კლანურ ინტერესებს ეწირება“ [2, გვ. 195]. უახლოეს წარსულში საკანონმდებლო საქმიანობა ცალკეული გავლენის ჯგუფების მიერ იყო მონოპოლიზირებული, რომლებიც სასურველი კანონების მისაღებად მიმართავდნენ მოსყიდვის, შანტაჟისა და ლობირების მეთოდებს. სამწუხაროდ, ამ სფეროში, მიუხედავად ბოლოდროინდელი ცალკეული მცდელობებისა, სასურველი მდგომ-

მარეობა ჯერ კიდევ მიუღწეველია. ამიტომ, სამართლებრივი გარემო ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს ჯანსაღი კონკურენციული ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ყველა ეკონომიკური სუბიექტისათვის თანასწორი პირობების ფორმირებას, რაც ჩრდილოვანი ეკონომიკის და კორუფციის აყვავების საფრთხეებს შეიცავს.

მსხვილი ბიზნესის ნომენკლატურული წარმომადგენლებისა და ჩინოვნიკთა ინტერესების დაპირისპირება საზოგადოების ინტერესებთან განაპირობებს დანარჩენი მენარმეების დათრგუნვას ათასგვარი ოფიციალური და არაოფიციალური შეზღუდვებით, რაც მათ არ აძლევს ნორმალური მუშაობისა და განვითარების საშუალებას, რის შედეგადაც ქვეყანაში აღინიშნება სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება. მოგებული კი რჩება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ვინრო წრე, რომელიც საკუთარი მერკანტილისტური მიზნების მისაღწევად ხშირად მიმართავს სამართლებრივი ბოიკოტის პოლიტიკას, ანუ ხელს უშლის ისეთი კანონების მიღებას, რომლებიც აუცილებელია მენარმეობის განვითარებისთვის, ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესებისთვის და საერთოდ სამამულო წარმოების აღორძინებისთვის. ასეთი ვითარება განაპირობებს საზოგადოებაში არაჯანსაღი ატმოსფეროს ფორმირებას, შრომითი და მატერიალური რესურსების ქვეყნის გარეთ გადინებას, საბოლოო ანგარიშით კი ქვეყნის გაპარტახებასა და გაჩანაგებას.

გარდამავალ ეკონომიკაში, საბაზრო ინსტიტუტების ფორმირების პროცესში, ძირითად პრობლემას წარმოადგენს შეუთანხმებლობა ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს შორის. ფორმალური ნორმები სპეციალური უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით შეიძლება შეიცვალოს მომენტალურად. ხოლო არაფორმალური ინსტიტუტების ცვლილებას გააჩნია არაერთგვარადი ხასიათი. ისინი იცვლებიან თანდათანობით [7, გვ. 110]. არაფორმალური ნორმების ცვლილების ტემპის განსაზღვრაში „არსებით როლს ასრულებს კულტურა, შემთხვევითობა და ბუნებრივი შერჩევა“ [8, გვ. 127].

არაფორმალური ნორმების კონსერვატიულობა და მათი ცვლილების შეუთავსებლობა ფორმალური ინსტიტუტების ცვლილებასთან ხშირად განაპირობებს ახალი საბაზრო სტრუქტურების გადაქცევას დასავლეთის მონინავე ქვეყნების სტრუქტურების იმიტაციად. მიუხედავად ამისა, არსებულ სიტუაციაში, განსაკუთ-

რებული მნიშვნელობა გააჩნია საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური ინსტიტუტების ფორმირებას: ფორმალური წესებისა და ნორმების შემუშავებას, სათანადო „თამაშის წესების“ სწრაფ დადგენას, სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაციის ეფექტური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, რაც განსაზღვრავს ახალ გარემოში საქმიანობის პირობებს. ხოლო ახალი არაფორმალური ნორმები წარმოიქმნება თანდათანობით – ლეგალური კერძო ბიზნესის განვითარებისა და ახალ გარემოში ოპტიმალური ქცევის ნორმების ბუნებრივი შერჩევის პარალელურად [7, გვ. 110-121].

ბოლოდროინდელ კვლევებში [9] განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინსტიტუტების ხასიათს ინოვაციებისადმი დამოკიდებულების კონტექსტში. შესაბამისად, ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური წარმატების (ან წარუმატებლობის) მიზეზად დადგენილია ისეთი პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების არსებობა (ან არარსებობა), რომლებიც ხელს უწყობენ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა-გამოყენების ნახალისებას, თითოეული ინდივიდის ძალისხმევისა და ინოვაციების წამახალისებელი სტიმულების შექმნას. ავტორთა აზრით მხოლოდ ინკლუზიური ინსტიტუტები უზრუნველყოფენ სტიმულებს ეკონომიკურ აქტივობაში საზოგადოების ყველა ფენის ჩასართავად. ექსკლუზიური ინსტიტუტები კი განამტკიცებენ ელიტების მონოპოლიას.

ელიტის სასარგებლოდ ინსტიტუტების ფორმირების კლასიკური მაგალითია ცვლილებების შეტანამდე საქართველოში მოქმედი „საქართველოს შრომის კოდექსი“ [5], რომელიც მთლიანად დამსაქმებლის ინტერესებზე იყო მორგებული და პრაქტიკულად, სრულიად უუფლებო მდგომარეობაში აყენებდა დასაქმებულს. აღნიშნული ხარვეზები ძირითადად აღმოიხვრა შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდეგ [6].

ვინაიდან ინსტიტუტები განსაზღვრავენ როგორც მთელი საზოგადოების, აგრეთვე მისი ეკონომიკური ბაზისის, ანუ საბაზრო ეკონომიკის, ნორმალური ფუნქციონირების პირობებს, ამიტომ მათი დეფორმაცია და გავლენის ცალკეული ჯგუფების ინტერესებზე მორგება განაპირობებს ინფორმაციის ასიმეტრიულობას, ბაზრების არასრულყოფილებას, მონოპოლიური ურთიერთობების გაბატონებასა და ალტერნატიულ მიმართულებებს შორის რესურსების არაეფექტიან განაწილებას. ეს კი, თავის მხრივ აფერხებს საზოგადოების ფართო ფენების აქ-

ტიურობას, მათი ნიჭისა და უნარის გამოვლენა-გამოყენებას, შესაბამისად ახშობს მათ აქტიურობას ინვესტიციების, ინოვაციებისა და სოციალური მოღვაწეობის სხვა სფეროებში, რაც ხელს უშლის ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას. ამიტომ, ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი სტაბილური ინსტიტუტების ჩამოსაყალიბებლად და საზოგადოების ფინანსური, ინტელექტუალური და პროფესიულ-შემოქმედებითი პოტენციალის ასამაღლებლად აუცილებელია საქართველოს ხელისუფლებამ განსაკუთრებით იზრუნოს: მოსახლეობის პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებისა და უფლებების გასაფართოებლად, ინდივიდების პირადი პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობის შესარბილებლად (უპირველეს ყოვლისა, შესაძლებლობების უფრო სამართლიანი განაწილების გზით) და ცალკეული ფენების ეკონომიკურ-პოლიტიკური გავლენის დასაბალანსებლად [3, 185-191].

ამრიგად, სისტემური ეკონომიკური კრიზისის დაძლევა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა, ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ეკონომიკური ზრდის დანარჩენი ფაქტორების (შრომა, კაპიტალი, სამენარმეო უნარი, მიწა) ეფექტური მართვა მოითხოვს ინსტიტუციურ სფეროში არსებული „ვინრო“ ადგილების აღმოფხვრას, საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ინსტიტუციური გარემოს ფორმირებას, რისთვისაც აუცილებელია:

- სახელმწიფო კანონშემოქმედებითი მოღვაწეობის გააქტიურება. განსაკუთრებით აქტუალურია საგადასახადო კოდექსის, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობის, გაკოტრების შესახებ ნორმატიული აქტების, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და ა.შ. სრულყოფა-დახვეწა;
- სამენარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ინსტიტუტების (ანტიმონოპოლიური, საბიუჯეტო-საფინანსო, საბანკო-

მონეტარული და ა.შ.) ეფექტიანობის ამაღლება;

- საბაზრო ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით კი საფინანსო ინსტიტუტების: კომერციული ბანკების, საინვესტიციო ფონდების, სადაზღვეო კომპანიების და ა.შ., შემდგომი განვითარება;
- საინფორმაციო სისტემების განვითარება.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კეკელია მ. ეროვნული ტრადიციების სოციალური ფუნქცია. თბ., 1989.
2. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001.
3. კვარაცხელია დ. ინსტიტუტები და ეკონომიკური განვითარება. თანამედროვე მენეჯმენტის თეორია და პრაქტიკა. I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ლიდერთა კლუბი). 2014.
4. ლორენცი კ. ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა. თბ., 1992.
5. საქართველოს ორგანული კანონი: „საქართველოს შრომის კოდექსი“. 17. 12. 2010, 4113.
6. საქართველოს ორგანული კანონი: „საქართველოს შრომის კოდექსი“. 12.06.2013. 729.
7. А. Дерябина М. Институциональные аспекты постсоциалистического переходного периода. ж.: “В.Э”, 20001 г, №2.
8. Нуреев Р. Теория общественного выбора. ж.: “В.Э”, 2002 г., № 8.
9. Acemoglu D., Robinson J.. Why Nations Fail: The origins of power, prosperity, and poverty. 2012

# პროგრესული უცხოური გამოცდილების გამოყენება სამამულო სანარმოებში: სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

ნატო ჩიკვილაძე — სტუ-ს ასოცირებული პროფესორი  
ლაშა კაკულია — სტუ-ს დოქტორანტი

## რეზიუმე

უკანასკნელ წლებში დასავლეთში ინტენსიურად მიმდინარეობს მენეჯმენტის ნაციონალური თავისებურებების კვლევა. ისტორიული მოვლენების გამო, საქართველო პრაქტიკულად ჩამოშორებული აღმოჩნდა ბიზნესის მართვის განვითარების ევოლუციური პროცესიდან, რომელიც დასავლეთში მიმდინარეობდა XX საუკუნეში. საქართველოში ბიზნესის განვითარება ობიექტურად მოითხოვს, სოციოკულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, მენეჯმენტის დასავლური თეორიისა და გამოცდილების შემოქმედებით გააზრებას და ამის საფუძველზე ბიზნესის ეფექტიანი მოდელის ჩამოყალიბებას, ბიზნესის მართვის პრობლემებისათვის თეორიული და მეთოდოლოგიური პოზიციების შემუშავებას.

**საკვანძო სიტყვები:** შედარებითი მენეჯმენტი; საქმიანი კულტურა; ადამიანური ფაქტორი; კროს-კულტურა.

## Резюме

В последние годы на западе происходит интенсивное исследование национальных свойств менеджмента. Из за исторических событий, Грузия XX веке была отгеснена от эволюционного процесса развития управления бизнесом на западе. В Грузии развитие бизнеса объективно требует, с учетом социокультурных свойств, творческое осмысление западной теории и опыта менеджмента и на этом основе формирование эффективной модели бизнеса, разработать к проблемам управления бизнеса теоретические и методологические позиции.

**Ключевые слова:** Сравнительный менеджмент; Деловая культура; Человеческий фактор; Кросс-культура.

## შესავალი

დღეს ძალზედ აქტუალურია სხვადასხვა საქმიანი კულტურების გამოცდილების გაცვლა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებების კონტექსტში. უნდა ითქვას, რომ საქართველო ასევე არ რჩება ამ

პროცესებიდან განზე და მისი შესვლა მსოფლიო თანამეგობრობაში უცილობლად იწვევს გავლენას საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე, ხოლო შედარებითი მენეჯმენტის როლი იზრდება. ამასთან საჭიროა შემდეგი მომენტების გამოყოფა:

- პირველ რიგში, სამამული ეკონომიკის შემდგომი ინტერნაციონალიზაცია გამოიწვევს საქართველოში უცხოური და ერთობლივი სანარმოების რიცხვის ზრდას, სულ უფრო მრავალფეროვანი გახდება საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმები. ეს ხელს შეუწყობს საქართველოს მსო-ში საქმიანობას, შეზღუდვების მოხსნას საქართველოში უცხოური ფირმების სხვადასხვა სფეროების საქმიანობაზე (სადაზღვევო, საბანკო საქმე და ა. შ.) და მთელი რიგი სხვა ფაქტორები;
- გავლენ საერთაშორისო ბაზრებზე და დაუახლოვდებიან საერთაშორისო სტანდარტებს ასევე მსხვილი სამამული სანარმოები და კორპორაციები (რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საზოგადოების ცხოვრებაზე). ამ კომპანიების საქმიანობის მასშტაბები ხშირად გაცდება ჩვენი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, რაც აამაღლებს შედარებითი მენეჯმენტის, როგორც გამტარის როლს საერთაშორისო ეკონომიკაში.

## ძირითადი ნაწილი

საქართველოში დღეისათვის აღინიშნება პროფესიონალი მენეჯერების ნაკლებობა, იმ დროს, როდესაც მათი არსებობა წარმოადგენს აუცილებელ ელემენტს ნებისმიერი სახელმწიფოს განვითარებისათვის. სამამული ეკონომიკის ზრდა პირდაპირ არის დამოკიდებული ადამიანურ რესურსებზე, ასევე სანარმოსა და სახელმწიფოს მიერ მათი გამოყენების უნარზე. იმაზე, თუ რამდენად წარმატებულად აღიქვამენ მენეჯერები უცხოურ გამოცდილებას, შეუძლიათ იყვნენ მოქნილნი და მზად ახალი ტექნოლოგიების ასათვისებლად, ასევე მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი შრომითი

რესურსების თავისებურებები, დამოკიდებუ-  
ლია ბიზნეს-ერთეულების წარმატებულობა. ნა-  
თელია, რომ ადამიანის შესაძლებლობების  
გახსნისათვის მაქსიმალური პირობების შესა-  
ქმნელად საწარმოში აუცილებელია ინსტრუ-  
მენტების მთელი კომპლექსის გამოყენება და  
შეუძლებელია დასავლელი კოლეგების გამო-  
ცდილებისათვის გვერდის ავლა.

ადამიანური ფაქტორის გაძლიერება კომ-  
პანიების მართვის პროცესში თანამედროვე  
მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი ნიშანია. ამ  
რესურსის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყე-  
ნება ხდება გადამწყვეტი მომენტი შედარებითი  
მენეჯმენტის პრაქტიკული მიმართულების  
ფარგლებში და მოწოდებულია პერსონალის  
განვითარებისაკენ, საწარმოების ეკონომიკური  
ეფექტიანობის და ასევე მათი სოციალური  
პასუხისმგებლობის ამალგებისაკენ.

➤ ქართული საწარმოები უცხოურთან შედა-  
რებით არასაკმარის ყურადღებას უთმობ-  
ენ პერსონალის განვითარებას (უპირვე-  
ლესად, ეს ვლინდება შეფასების ადექვა-  
ტური სისტემის, სწავლების, პროფესიული  
დონის, მოტივაციის და წახალისების არ-  
არსებობაში);

➤ კორპორატიული კულტურა იმყოფება და-  
ბალ დონეზე, ანუ სტრუქტურული, საბჭო-  
თა სისტემისათვის დამახასიათებელი მიდ-  
გომები უკვე დავიწყებულია, ხოლო ახლე-  
ბი ჯერ კიდევ არ არის შექმნილი (გან-  
საკუთრებით იქ, სადაც საჭიროა თანამშ-  
რომლისადმი ინდივიდუალური მიდგომა);

ზრუნვა პერსონალზე წარმოადგენს პრინ-  
ციპულ მომენტს უცხოური კომპანიების საქმი-  
ანობაში (მაგალითად, ადექვატური სოციალუ-  
რი პაკეტის არსებობა, რომელიც მოიცავს  
მომსახურებების ფართო ჩამონათვალს, დაწყე-  
ბული სამედიცინო დაზღვევით და დამთავ-  
რებული სპორტული კლუბების აბონემენტე-  
ბითა და საგზურებით, რაც წარმოადგენს  
შეთავაზების განუყოფელ ნაწილს პერსონალის  
დაქირავებისას). ამრიგად, საზღვარგარეთ ორ-  
განიზაციის მიერ შეთავაზებული სოციალური  
პაკეტის ხარისხი წარმოადგენს ერთ-ერთ ძი-  
რითად მაჩვენებელს სამუშაოს არჩევისას, ძი-  
რითად ხელფასთან ერთად.

ზემოთჩამოთვლილ მაჩვენებლებთან ერთად  
(პირველ რიგში მართვაში ადამიანის ფაქტორის  
ზრდის ტენდენცია) შედარებითი მენეჯმენტის  
აქტუალობა უშუალოდ საქართველოსათვის  
მოცემულ მომენტში განისაზღვრება წანამძღვ-  
რების არსებობით.

ჯერ ერთი, გასათვალისწინებელია ისიც,  
რომ საერთაშორისო ბიზნესის სუბიექტები სა-  
ქართველოში ხვდებიან საკმაოდ სპეციფიკურ  
კულტურას, რომელიც ზოგჯერ ისეთ განუსა-  
ზღვრელობებსა და გაუთვალისწინებელ სიტუ-  
აციებს წარმოშობს, რომ მათი ახსნა ტრადი-  
ციული თეორიებით ვერ ხერხდება.

მეორეც — ძალზე აქტუალურია საკითხი  
მენეჯმენტის მოდელების ან იდეოლოგიების  
გამოყენების შესახებ: ანგლო-საქსური მოდე-  
ლის გამოყენება რომელიც ხშირად აწყდება  
მთელ რიგ სიძნელეებს? თუ ხისტი, საკმაოდ  
ეფექტიანი ამერიკული მენეჯმენტი, რომელიც  
აქტიურად გამოიყენება განვითარებული ეკო-  
ნომიკის მქონე სხვადასხვა ქვეყნებში. საკითხი  
კი იმაშია, შეიძლება თუ არა ჩვენთან მისი  
გამოყენება. და თუ შესაძლებელია, მაშინ რო-  
გორ? მისწრაფება ამერიკული მოდელის ბრმად  
გადაღებისაკენ უაზრობაა, აქ აუცილებელია მ.  
ვებერის სიტყვების გახსენება: „დასავლური  
ტიპის კაპიტალიზმი შეიძლება წარმოშობილი-  
ყო მხოლოდ დასავლურ ცივილიზაციაში”.  
გარდა ამისა, მართვის დასავლური და უპირ-  
ველესად ანგლო-საქსური მოდელი არ არის  
სრულყოფილი, რისი დასტურიცაა უკანასკნე-  
ლი დროის მთელი რიგი ხმაურიანი გაკოტ-  
რებები (Enron, Parmalat, Arthur Andersen და  
სხვ.). ერთი შეხედვით თავისი სიმარტივისა და  
ეფექტიანობის მიუხედავად, ეს მოდელი სა-  
ქართველოში ყველგან ვერ იქნება გამოყენე-  
ბული, ხოლო დადებითი გადამწყვეტილების მი-  
ღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას კონ-  
კრეტული სიტუაცია.

მესამეც, უკანასკნელი წლების გამოცდი-  
ლება ნათლად აჩვენებს, რომ ეკონომიკური  
ზრდა შეუძლებელია მენეჯმენტის საკუთარი,  
ქართული მოდელის, მართვის სამამულო სის-  
ტემების სრულყოფის გარეშე. მართვის ადექვა-  
ტური მოდელის შემუშავება წარმოადგენს  
აუცილებელ პირობას შემდგომი ეკონომიკური  
ზრდისათვის. ისმის აქტუალურ კითხვა: რატომ  
ხდება, რომ ჩვენ ასე თუ ისე მდიდარი ბუნებ-  
რივი რესურსების, უნიკალური კულტურის,  
ისტორიულად დინამიური, ნიჭიერი, შრომის-  
მოყვარე და ტოლერანტული ხალხით ყველაზე  
ღარიბი ვართ ცივილიზებულ ქვეყნებს შორის.  
მის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დავასახე-  
ლოთ ის, რომ მმართველი ფენა თრგუნავს ქარ-  
თული ცივილიზაციის საბაზისო ფასეულობებს,  
არ ითვალისწინებს ეროვნული ხასიათის თავ-  
ვისებურებებს, რაც ძალზე უარყოფითად აისა-  
ხება საწარმოს მართვაზე და აქვეითებს მეურ-

ნეობის ეფექტიანობას. პროცესს აჩქარებს ის, რომ ჩვენმა ქვეყანამ თანამედროვე ეტაპზე გადაიღწერა თანამშრომლობა სხვადასხვა საქმიან კულტურებთან, აქტიურად მიდის მსოფლიო ბიზნესის სისტემაში ჩართვის პროცესები, რაც მოითხოვს საქართველოსგან გარკვეულ კონცეფციას, მათ შორის მენეჯმენტის სფეროში. მსოფლიო თანამეგობრობაში საქართველოს შესვლასთან ერთად გამოცდილების გაცვლა მხოლოდ გაძლიერდება.

ამასთანავე ნათელია, რომ იმ მიზნების მიღწევა, როგორცაა ეროვნული პროდუქტის გაორმაგება, სამამულო სანარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელია უცხოური გამოცდილების გარეშე, უპირველესად კი მართვამი.

მეორეს მხრივ, ცოდნის გამოყენება შედარებითი მენეჯმენტის სფეროდან შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში.

ასე, საქართველოში 2011 წელს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო“. კონფერენციაში მონაწილე მეცნიერთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს შორის, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია მოცემული დასკვნა საქართველოს ნაციონალური კულტურის გამოვლინების ფორმების შესახებ, რომელიც შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. კომპანიის თანამშრომელთა პასიურობა, პირადი პასუხისმგებლობის დაბალი დონე;
2. კადრების შერჩევისას, პროფესიონალებთან შედარებით, „თავისი“ პიროვნებებისათვის უპირატესობების მინიჭება;
3. ადამიანთა შორის ურთიერთობისათვის განსაკუთრებული, ზოგჯერ პირად მიზანზე მეტი (მაგ. მაღალი ხელფასი) მნიშვნელობის მინიჭება. ხშირად გაიგონებთ” კოლექტივი კარგია, თორემ არ დავრჩებოდი სამუშაოდ” ან პირიქით;
4. კოლექტივის რომელიმე წევრს პრობლემური სამსახურეობრივი სიტუაციის პირობებში ყოველთვის აქვს უახლოესი ხელმძღვანელისაგან დახმარების იმედი.

თანამედროვე საქართველო იმყოფება ეკონომიკური განვითარების საკუთარი მოდელის ძიების რთულ მდგომარეობაში, ეკონომიკური რეგულირების ამა თუ იმ ვარიანტის პრაქტიკული არჩევანი კი პოტენციურად შესაძლებლების უდიდესი სპექტრიდან განისაზღვრება, პირველ რიგში, მოცემული ქვეყნის საქმიანი კულტურით. აქ შედარებითი მენეჯმენტის ინს-

ტრუმენტარიების გამოყენებისას აუცილებელია იმის დადგენა, როგორია ისეთი ფაქტორის ზემოქმედება, როგორცაა ეროვნული კულტურა, საქართველოს ეკონომიკის გარდაქმნისათვის, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისებაზე და გლობალიზაციის პროცესში ინკორპორაციაზე. ეროვნული თავისებურებები შეისწავლება ბიზნესის მართვის გამოყენებასთან მიმართებაში, რადგან ეროვნულის გაგების გარეშე ძნელია იმ ზოგადის ფორმირება, რაც დაგვეხმარებოდა მმართველების და მართულების ქცევის ახსნაში თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში.

შედარებითი მენეჯმენტი საქმიანი კულტურის იმ უარყოფითი ნიშნების გამოვლენის საშუალებას იძლევა, ასევე მენეჯმენტისაც, რომელიც ზეგავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე მთლიანად და ისე გამოდის, რომ ის განუყოფლადაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან.

შედარებითი მენეჯმენტის ინსტრუმენტარიების გამოყენებით შეიძლება მოხდეს მართვის სრულყოფა ცალკეულ სანარმოებში, „სუსტი ადგილების“ გამოვლენა, რომლებთანაც საჭიროა ბრძოლა და რომლებიც აქვეითებენ სანარმოს ეკონომიკურ ზრდას, რაც განსაკუთრებით ეფექტიანია საკუთარი თავის სხვა, ეკონომიკურად უფრო წარმატებულ ქვეყნებთან შედარებისას.

დღეისათვის საქართველო გარკვეულ წარმატებებს აღწევს საქმიანობის ზოგიერთ სფეროში – ხელოვნებაში, მუსიკაში, სპორტში, მეცნიერულ დარგებში, ეს იმ დროს, როდესაც ქართული მენეჯმენტი ძალზე შორსაა გლობალიზაციით მოცემული პრინციპებისა და სტანდარტებისაგან. მენეჯმენტის სისტემა, რომელიც პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს, ჩვენის აზრით, უნდა შეიცავდეს ეფექტიანობას მართვის მაღალი დონით, ამ დარგში ძირითად თანამედროვე ტექნოლოგიებს (დაგეგმვა, მოტივაცია, ბიუჯეტირება, ტექნოლოგიები, მოტივაცია და ა. შ.), ასევე მენეჯერების მომზადების მაღალ დონეს.

ეკონომიკური ინტეგრაცია გარე სამყაროსთან ხელს უწყობს არა მხოლოდ წარმოების გაზრდას, არამედ კორპორატიული მართვის ხარისხის გაზრდას. ნათელია, რომ კარგი კორპორატიული მართვის მქონე კომპანიებს შორის დომინირებენ კომპანიები ან უცხოური კაპიტალის მონაწილეობით, ან აქტიური მსესხებლები კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე. ამიტომ ნაადრევია ლაპარაკი საქართველოში

კორპორატიულ მართვაზე საერთაშორისო ბაზრის ან უცხოელი ინვესტორების მნიშვნელოვან ზეგავლენაზე. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ და არა იმდენად ფინანსური რესურსები, რამდენადაც ქვეყანაში საქმიანი კულტურის შემოტანა, მაღალი მოთხოვნები წაყენება ქართულ კომპანია-პარტნიორების მიმართ, რაც პასუხობს კიდევ საქართველოში შედარებითი მენეჯმენტის გამოყენებადობის პრაქტიკულ ამოცანებს.

### დასკვნა

1. მართვის სფეროში ტექნოლოგიების გაცვლა ხდება თანამედროვე დროში კომპანიის განვითარების განუყოფელი რესურსი. გამოცდილების გაცვლა აქტიურად გამოიყენება პრაქტიკაში უმსხვილესი უცხოური ქვეყნების მიერ, ისეთების, როგორებიცაა აშშ და იაპონია. განსაკუთრებულია ამ პროცესის როლი ამ ქვეყნების განვითარების ადრეულ სტადიებზე. დღეისათვის ინფორმაციის და ტექნოლოგიების გაცვლა მენეჯმენტის სფეროში გამოიყენება ყველა უცხოური საზოგადოებების მიერ.

2. ყოველ ქვეყანას გააჩნია საკუთარი საქმიანი კულტურა, რომელიც გავლენას ახდენს მართვის თავისებურებებზე. მრავალი საქმიანი კულტურების არსებობა ქმნის გამოცდილების ეფექტიანი გაცვლის საშუალებას და შესაძლებლობას იძლევა „სხვა კუთხით“ შევხედოთ ჩვეულ სტერეოტიპებს მართვის სფეროში.

3. კულტურათშორის გაცვლაში გარდაუვალია კონფლიქტებისა და გაუგებრობების, ე.წ. „კულტურული შოკის“ წარმოშობა. შედარე-

ბითი მენეჯმენტის ერთ-ერთი ამოცანაა დახმარება მსგავსი სიტუაციების გადალახვაში.

4. შესაბამისობა მენეჯმენტსა და მენტალიტეტს შორის – სოციალურ სისტემის წონასწორობის ერთ-ერთი ფუძემდებლური ნიშანია, რომელსაც ახასიათებს სოციალური კონფლიქტების არარსებობა. ამის მაგალითს წარმოადგენს XX საუკუნის 90-იან წლებში აშშ-ს საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის ეკონომიკური განვითარება.

5. შედარებითი მენეჯმენტის სოციალური როლი პირველ რიგში ნაკარნახევია მართვაში ადამიანის როლის გაძლიერებით. ამასთან კავშირში აშკარაა უცხოური გამოცდილების გამოყენება პერსონალის განვითარებასა და სოციალური მხარდაჭერის საკითხებში, ბიზნესის ეთიკასა და კორპორატიულ მართვაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო, თბ., 2011.
2. ჯამაგიძე ლ., პაპაჩაშვილი ნ., შაბურიშვილი შ., სიხარულიძე დ., საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო საქართველოში, თბ., 2011.
3. Люис Р., Деловая культуры в международном бизнесе, М., 1999.
4. Эпштейн М.З., Сравнительный менеджмент, С.П., 2003.
5. Тромпенаарс Ф., Хэмпден-Тернер Ч., Национально-культурные различия в контексте глобального бизнеса-МН: ООО. Попурри, 2004.

# საბიუჯეტო ინვესტიციების როლი საქართველოს რეგიონების განვითარებაში

ნიკო ჩიხლაძე — ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი,  
აკ. ნერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი  
ნანა რუსაძე — სტუ-ს დოქტორანტი

## THE ROLE OF BUDGET INVESTMENT IN THE DEVELOPMENT OF GEORGIA'S REGION

Niko Chikhladze - Ph.D in Economics  
Nana Rusadze - Doctoral Student of GTU

### Summary

In the current context, resolving the paramount objectives facing society – achieving economic growth and improving living standards of the population - is impossible without investments attraction to the real sector of the economy.

Over the last decades, a new structure of the investment sphere has been formed in Georgia's economy. On the initial stage of its formation, the State lost the function of the monopolist-investor. Eventually, the investment market began to form as well as the subjects promoting investment activities.

Investments play a predominant role in socioeconomic development of the country. Implementation of above mentioned activities and putting in action mechanisms will foster „unclogging the budget“, and focusing the State party's efforts and resources on the essentially significant sectors and programs that is a prerequisite for economic recovery.

თანამედროვე პირობებში საზოგადოების წინაშე არსებული უმთავრესი ამოცანების გადაჭრა — ეკონომიკური ზრდის მიღწევა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, წარმოუდგენელია ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების მოზიდვის გარეშე.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკაში საინვესტიციო სფეროს ახალი სტრუქტურა ჩამოყალიბდა. მისი ფორმირების სანყის ეტაპზე სახელმწიფომ დაკარგა მონოპოლისტ-ინვესტორის ფუნქცია. თანდათან დაიწყო ჩამოყალიბება საინვესტიციო ბაზარმა და ინვესტირების ხელშემწყობი სუბიექტების ფორმირებამ. ეჭვგარეშეა, ეკონომიკის ინვესტიციური უზრუნველყოფის საკითხის მნიშვნელობა განპირობებულია ინვესტიციის უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქციით კვლავწარმოების პროცესებში.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში საინვესტიციო საქმიანობაზე შემაკავებელ როლს ასრულებს შემდეგი ფაქტორები:

1. საქართველოს ეკონომიკის მჭიდროდ ამოკიდებულება მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე პროცესებთან. მსხვილ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია საქართველოს სუსტ ეკონომიკაზე. რუსეთ-უკრაინის დროში განელილი კონფლიქტი, რუსეთის წინააღმდეგ დანესებული სანქციები და ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მყიდველობითი უნარის შემცირება მნიშვნელოვნად აზარალებს ქართულ ექსპორტს და ფულადი გზავნილების მოცულობას. დასახელებულმა ორმა ფაქტორმა, ინვესტიციების მოცულობის შემცირებასთან ერთად მნიშვნელოვნად ნაახალისა საქართველოში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დაცემა, რომელიც არსებული მდგომარეობით გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 28%-ით არის გაუფასურებული [1].

2. მოსახლეობის რეალური შემოსავლების და დანაზოგების დაბალი დონე, რაც უარყოფითად აისახება ერთობლივ მოთხოვნაზე. საქსტატის მონაცემებით, საშუალოთვიური შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე მხოლოდ 273,1 ლარს შეადგენს. ფულადი გზავნილები შინამეურნეობების მოხმარების მნიშვნელოვანი წყაროა, რაც, თავის მხრივ, მთლიანი შიდა პროდუქტის ყველაზე დიდი კომპონენტია (72%, I კვარტალი 2015). მყიდველობითი უნარის დაცემას ასევე ხელი შეუწყო უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა და რუსეთის ეკონომიკის შესუსტებამ. რუსეთის ხვედრითი წილი გზავნილებში 2012 წელთან (იანვარი-მაისი) შედარებით 17%-ით, ხოლო გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 13%-ით შემცირდა და 37% შეადგინა [2].

3. მექანიზმების უქონლობა, რომლებიც გამოიწვევდნენ საინვესტიციო რესურსების გადადინებას კაპიტალურად უზრუნველყოფილიდან კაპიტალურად დეფიციტურ სექტორებში. არ არსებობს ქმედითი მექანიზმები, რომლითაც მოხდებოდა საინვესტიციო რესურსების ეფექტური „გადადინება“ ეკონომიკის კაპიტალდეფიციტური სექტორისაკენ, რაც კაპიტალის გატანის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევა.



საქსტატის 2013 წლის მონაცემებით, ინვესტიციებმა ფიქსირებულ აქტივებში მრეწველობასა და მშენებლობაში 1,4 მლრდ. ლარი შეადგინა, ტრანსპორტსა და კავშირგამბულობაში — 878,2 მლნ. ლარი, ხოლო სოფლის მეურნეობაში — 152 მლნ. ლარი, განათლებაში კი 42,7 მლნ. ლარი [3].

**4. საბანკო სფეროს ინვესტიციური მიმართულების გაძლიერება და საინვესტიციო საქმიანობის საკრედიტო-საფინანსო პოტენციალის განმტკიცება.** სამწუხაროდ, საბანკო სექტორი არ არის ორიენტირებული რეალურ სექტორზე. 2014 წელს კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ეკონომიკაზე გაცემული სესხების მიხედვით ყველაზე მსხვილი სექტორებია: ვაჭრობა (49%), მრეწველობა (20%) და მშენებლობა (10%). კიდევ უფრო საინტერესო სურათია რეგიონულ ჭრილში: იმერეთის რეგიონში 2015 წლის 1-ლი აპრილის მონაცემებით, 438 ათასი ლარის და უცხოურ ვალუტაში 347 ათასი დოლარის ექვივალენტის სესხი გაიცა. გაცემული სესხების 60% ვაჭრობაზე მოდის. მშენებლობის წილი 13%-ია, მრეწველობისა — 17%. სოფლის მეურნეობაზე კი სესხების მხოლოდ 10% გაიცა [4].

**5. ეკონომიკური სუბიექტების ძირითადი ორიენტაცია შიგა ბაზარზე და საქსპორტო შესაძლებლობების გამოუყენებლობა.** თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია მომხმარებლებისა და ინვესტორების ნდობის გამყარება და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მაქსიმალურად გამოყენება, რაც შექმნის პირობებს ექსპორტის დივერსიფიკაციისათვის და ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოღინებას საქართველოში.

საზოგადოდ, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეტროსპექტივა ფაქტობრივად საინვესტიციო საქმიანობის ასახვაა. ერთ-ერთი მთავარი ასპექტი, რაც განსაზღვრავს რეგიონების განვითარების პერსპექტივებს, არის რეგიონის მიერ საინვესტიციო მიმზიდველობის გამოყენების ხარისხი. თავის მხრივ, რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი შეიძლება შეფასდეს, როგორც რეგიონის ძირითად კაპიტალში მოზიდული ინვესტიციების მოცულობა, ფინანსირების ყველა წყაროს (შიგა, უცხოური) მიხედვით, რეგიონის ეკონომიკური, სოციალური და ბუნებრივი რესურსების, გეოგრაფიული მდებარეობის და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით [5].

ეკონომიკაში არსებულმა კრიზისულმა მოვლენებმა და გარდამავალ პერიოდში ქვეყანაში

მიმდინარე პროცესებმა ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში განსხვავებული, არაერთმნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა და ამასთან, გააღრმავა რეგიონების უთანასწორობა.

მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, საქართველოში საკმაოდ მკვეთრადაა გამოხატული ტერიტორიული განსხვავებანი, რაც განაპირობებს კიდევ, მის რეგიონული თავისებურებებს. განსხვავება შეიმჩნევა როგორც ცალკეულ რეგიონებს შორის, ისე რეგიონის შიგნით, ტერიტორიულ ერთეულთა (თვითმმართველი ქალაქები და მუნიციპალიტეტები) მიხედვითაც [6].

მნიშვნელოვანი დისბალანსი არსებობს ქალაქ თბილისსა (მის შემოგარენს) და ქვეყნის დანარჩენ ნაწილს შორის. ასევე, აშკარა განსხვავებებია იმ პირობებში, რომლებიც გვხვდება ქალაქად, ერთი მხრივ, და სოფლად, მეორე მხრივ. ამავდროულად, მაღალმთიანი რეგიონების პირობები სრულიად განსხვავდება საქართველოს სხვა ნაწილებში არსებული პირობებისგან. საქსტატის 2015 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ბიზნესის ბრუნვის 72,4% (თითქმის 8 მლრდ. ლარი) ქვეყნის დედაქალაქშია კონცენტრირებული. რეგიონებიდან აჭარა ლიდერობს, სადაც ბიზნესის მთლიანი ბრუნვის თავმოყრილია 6,5%. შემდგომ მოდის ქვემო ქართლი 696 მლნ. ლარით (6,3%). ყველაზე პასიური ამ თვალსაზრისით რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთია, სადაც ბიზნესის ბრუნვამ მთლიანი ბრუნვის 0,04% შეადგინა [7].

საქართველოს რეგიონებში საინვესტიციო საქმიანობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია განხილულ იქნას ინვესტიციების დაფინანსების წყაროები. აღნიშნული სტრუქტურით შეიძლება მსჯელობა რეგიონებში არსებული ეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკური ქცევის შესახებ, დაფინანსების რომელ წყაროზე აკეთებენ ორიენტაციას — სახელმწიფო სახსრებზე (საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდები) თუ უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე.

ეკონომიკური აქტივობის შეფერხებისას (დაქვეითებისას, დეპრესიისას) მნიშვნელოვანი როლი სწორედ სახელმწიფოს ენიჭება, მისი ფისკალური და მონეტარული ინსტრუმენტების გამოყენებით.

ბოლო წლებში ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გატარებულ ფისკალურ პოლიტიკაში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე განუხლები ხარჯი პოზიტიურ როლს ასრულებს. იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეკონომიკური აქტივობის ამალვებას. ამდენად, გამართლ-

ბულად მიიჩნევა სახელმწიფოს მიერ ასეთი პროექტების სწრაფი ტემპებით დაფინანსება, რაც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის გააქტიურებას. 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 431,4 მლნ. ლარის ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსდა [8].

2006-2013 წლებში ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების დინამიკის განხილვა ცხადყოფს, რომ ამ პერიოდში საკმაოდ მაღალი იყო სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წილი (24-37%). 2013 წელს სახელმწიფო სექტორის მიერ ფიქსირებულ აქტივებში 1234,5 მლნ ლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების საერთო მოცულობის 31,3%-ია (იხ. ნახ. 1). ამდენად, სახელმწიფო სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა ამ წელს მშპ-ის 4,6% შეადგინა. ბუნებრივია, მაღალი ხვედრითი წილი ამ ინვესტიციებისა სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება.

საქართველოში ყველა საინვესტიციო პროექტი ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე ძირითადად ხორციელდება რეგიონული განვითარების ფონდის (რგფ) ან მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) მიერ.<sup>1</sup>


რგფ აქცენტს აკეთებს გრძელვადიან და განვითარებაზე ორიენტირებულ თბილისის მიღმა არსებულ მზარდ და დინამიურ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ინვესტირებაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები განსაზღვრავენ რეგიონული განვითარების პრიორიტეტულ ამოცანებს და ინვესტიციების როლს ამ ამოცანების გადაწყვეტაში, თუმცა, ეს არ ხდება რაიმე საფუძვლიან ანალიზზე დაყრდნობით. უფრო მეტიც, ზოგიერთი ადგილობრივი ხელისუფლება პასიურად მონაწილეობს ამ პროცესებში და არც საინვესტიციო პროექტების ინიციატორებად გვევლინებიან. უმეტესწილად, საჯარო ინვესტიციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ცენტრალიზებულია [9].

საქართველოში მიმდინარე დეცენტრალიზაციის პროცესების ფონზე რეგიონულმა (მუნიციპალურმა) საბიუჯეტო ინვესტიციებმა სტრუქტურული გარდაქმნების ინსტრუმენტის როლი უნდა შეასრულოს.

<sup>1</sup> საკითხის შინაარსიდან გამომდინარე, აქცენტს გადავიტანთ რგფ-ზე, რამდენადაც საბიუჯეტო ინვესტიციებს, რომელიც თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში აისახება, სწორედ იგი ახორციელებს.

## ნახაზი 1




ქვეყანაში მიმდინარე საინვესტიციო პროცესების ძირითადი ტენდენციების ერთგვაროვნების მიუხედავად, რეგიონულ (მუნიციპალურ) ასპექტში ძირეული განსხვავებები შეინიშნება. ეს განპირობებულია მეურნეობრიობის პირობების ტერიტორიული სპეციფიკით და საინვესტიციო კლიმატის განმსაზღვრელ ფაქტორთა ინდივიდუალური ბუნებით, რაც შეიძლება კონკრეტული რეგიონის ზოგიერთი მაჩვენებლის გაანალიზებამ გვიჩვენოს.

იმერეთის რეგიონში საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად განეულმა ხარჯებმა 200,7 მლნ. ლარი შეადგინა. ამ ხარჯებში გადამწყვეტია რეგიონული განვითარების ფონდიდან, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან და საგზაო დეპარტამენტიდან განეული ხარჯები.

ცალკე განვიხილოთ რეგიონში განხორციელებული საინვესტიციო პროექტები რომლებშიც ჩართულია რეგიონული მმართველობა და/ან თვითმმართველობები. ასეთი სახის პროექტებზე 2014 წელს იმერეთში სულ 55,5 მლნ. ლარი დაიხარჯა. ბინებრივია, ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით რეგიონული განვითარების ფონდი გამოირჩევა, საიდანაც დაფინანსების ხვედრითმა წილმა 64% შეადგინა (იხ. ნახ. 2)

## ნახაზი 2



ფინანსების ცენტრალიზაციის მაღალი დონის პირობებში, როცა მწირია საკუთარი შემოსავლები (ტრანსფერის გარდა) ფაქტობრივად შეუძლებელია მსჯელობა საბიუჯეტო ინვესტიციების რაიმე სახის ეფექტზე. როგორც ანალიზმა გვიჩვენა, იმერეთის რეგიონში განხორციელებული საინვესტიციო პროექტებიდან ადგილობრივი ბიუჯეტების მიერ დაფინანსებული პროექტები მხოლოდ 11%-ს შეადგენს.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულია მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო დონეზე რეგიონული მენეჯმენტის ეფექტიანობის გაზომვას საბიუჯეტო ინვესტიციებისათვის. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ბიუჯეტიდან განხორციელებული ინვესტიციების სახელმწიფო მენეჯმენტის განხორციელება.

ამისათვის შემოგვაქვს საბიუჯეტო ინვესტიციების ეფექტიანობის კოეფიციენტი (სი). იგი გვჩვენებს სახელმწიფო მენეჯმენტის დანახარჯთა თანაფარდობას რეგიონში განხორციელებულ საბიუჯეტო ინვესტიციებთან. ემპირიული დაკვირვებით თუ დავუშვებთ, რომ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 60% პირდაპირ თუ ირიბად მიმართულია ტერიტორიული ერთეულის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისაკენ, გვექნება:

$$K_{სი} = 0,6E_{სა} / I_{სა}$$

სადაც,  $E_{სა}$  საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯებია, ხოლო  $I_{სა}$  კონკრეტულ რეგიონში განხორციელებული საბიუჯეტო ინვესტიციებია.

იმერეთის რეგიონისათვის 2014 წლის შედეგებით ეს მაჩვენებელი იქნება:

$$K_{სი} = 0,6X 32,7/55,5=0,353$$

ეს ნიშნავს, რომ რეგიონში საბიუჯეტო ინვესტირებას ყოველ 1000 ლარზე 353 ლარიანი მენეჯმენტი ესაჭიროება, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.<sup>2</sup>

შესაბამის მონაცემთა ბაზის არსებობის პირობებში შესაძლებელია კოეფიციენტების გამოყვანა ყველა რეგიონისათვის, რაც სრულყოფილი ანალიზის საშუალებას მოგვცემს.

საკითხის შესწავლამ შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა:

<sup>2</sup> მონაცემების არქონის გამო ვერ მოვახერხეთ სხვა რეგიონებთან შედარებითი ანალიზის ჩატარება.

1. საჭიროა ქვეყნის ინვესტიციური პოტენციალის აღდგენა და შიგა ინვესტიციური შესაძლებლობების განვითარება.

2. აუცილებელია სახელმწიფოს საინვესტიციო საქმიანობის გაზრდა და ინვესტიციების დაფინანსების მექანიზმების სრულყოფა;

3. მცირე და საშუალო ბიზნესს უნდა მიეცეს სტიმული საინვესტიციო პროექტებში ჩასართავად (დღეისათვის ამ ზომის ბიზნესზე ბრუნვის მხოლოდ 16,7% მოდის);

4. საჭიროდ მიგვაჩნია უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნა ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებს შორის. ხშირად გუბერნატორის ადმინისტრაციის ფუნქციები ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით სრულ თანხვედრაშია რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან. რჩება შთაბეჭდილება, რომ გუბერნატორის ადმინისტრაციები ამ სამინისტროს დანამატია ან მისი ერთ-ერთი რგოლი;

5. უნდა გადაიხედოს კანონმდებლობა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „სახელმწიფო შესყიდვების“ კანონი, რომელიც რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე ხშირად ანტიმასტიმულირებლადაც კი გვევლინება (საბუნდრო დოკუმენტაციის მომზადებით დაწყებული და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტიმულირებით მექანიზმების არქონით დამთავრებული);

6. აუცილებელია რეგიონებში განვითაროთ ინვესტიციური პოლიტიკა და კულტურა, რასაც პოზიტიური მუხტის შეტანა შეუძლია საინვესტიციო საქმიანობის განვითარებაში.

ამდენად, ინვესტიციები გადამწყვეტ როლს ასრულებენ რეგიონებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების რეალიზაცია და მექანიზმების ამოქმედება ხელს შეუწყობს „ბიუჯეტის განტვირთვას“ და სახელმწიფოს ძალისხმევისა და რესურსების გადატანას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დარგებისა და პროგრამების განსახორციელებლად, რაც სოციალური და ეკონომიკური სფეროს გაჯანსაღების სანინდარია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გარე შოკების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (4.07.2015).  
[http://www.commersant.ge/index.php?m=5&new\\_s\\_id=24415&cat\\_id=5](http://www.commersant.ge/index.php?m=5&new_s_id=24415&cat_id=5)

2. შემცირებული გზავნილების შესაძლო გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.  
<http://www.pmcgi.com/publications/newsletter/item/890-issue-49-shemcirebuli-gzavnilebis-shesadzlo-gavlana-saqartvelos-ekonomikaze>
3. [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=211&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo)
4. **რობაქიძე რ.**, ქუთაისის კრიზისული მოლოდინების დაძლევის შესაძლებლობანი  
<http://commerciant.ge/?menuid=96&id=17628&lang=1>
5. Теунаева Э.Б., Инвестиции как фактор социально-экономического развития. „Управление экономическими системами: электронный научный журнал“. №3, 2012
6. ლავთაძე გ., ჩიხლაძე ნ., იმერეთის მხარის ეკონომიკური განვითარების პრობები და პერსპექტივები. აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი, 2009 გვ. 20.
7. [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=211&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo)
8. [http://mof.ge/images/File/saxbiuj2015\\_Iward/TAVI\\_VI.pdf](http://mof.ge/images/File/saxbiuj2015_Iward/TAVI_VI.pdf)
9. sajaro investiciebis marTva municipalur doneze. The Network of Institutes and Schools of Public Administration in Central and Eastern Europe. თბ., 2012. გვ. 5.  
<http://nala.ge/uploads/files/50042183a2a06.pdf>

**მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების  
მაღალი დონე-კრეატიული ეკონომიკის განვითარების  
ძირითადი ფაქტორი**

**რევაზ შენგელია — სტუ-ს პროფესორი  
ჟუჟუნა ნიკლაური-შენგელია — სტუ-ს პროფესორი**

**Summary**

In the conditions of the creative economy, the main tool for the increase of a country's development level is the rapid economic growth aimed at public welfare, and the main factor for this kind of economic growth is the high level of the scientific and technological knowledge, of its update-reproduction. The particular focus is on three forms of the scientific-technological knowledge, on the importance of their consideration into practice for the reduction of public employment losses; Furthermore, there is highlighted in the field of education, the role of people working on formation of knowledge in the economy in order to improve the current situation and moving the country forward. Moreover, there are given the arguments, conditionally dividing the human capital investments into two groups: direct and indirect investments; and it is concluded that the direct investment in human capital increases the volume of this capital, and the indirect costs - lengthen the working life of this capital, improve its capacity, and reduce the morbidity and mortality.

**Keywords:** Creative economy. Competitive scientific and technical knowledge, its level, reproduction of the scientific and technological knowledge and its updated forms, competitive person, the direct and indirect investments in human capital.

**რეზიუმე**

კრეატიული ეკონომიკის პირობებში ქვეყნის განვითარების დონის ამაღლების უმთავრესი საშუალებაა მოსახლეობის საყოველთაო კეთილდღეობისკენ მიმართული სწრაფი ეკონომიკური ზრდა, ხოლო ასეთი ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორი — მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის, მისი განახლება-კვლავწარმოების მაღალი დონე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების ახალ სამ ფორმაზე, მათი პრაქტიკაში გათვალისწინების მნიშვნელობაზე საზოგადოებრივი შრომის დანაკარგების შემცირების თვალსაწიერით; ასევე წარმოჩენილია განათლების სფეროში, ცოდნის ფორმირების პროცესში მოღვაწე მუშაკთა როლი ეკონომიკაში

არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად და ქვეყნის შემდგომი წინსვლის საქმეში. მოცემულია ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების პირობითად ორ — პირდაპირ და ირიბ ინვესტიციებად დაყოფის არგუმენტაცია და გაკეთებულია დასკვნა, რომ პირდაპირი დაბანდება ადამიანურ კაპიტალში ზრდის ამ კაპიტალის მოცულობას, ხოლო ირიბი ხარჯები — ახანგრძლივებენ ამ კაპიტალის ექსპლუატაციის ვადას, აუმჯობესებენ მის ქმედუნარიანობას, ამცირებენ ავადობას და სიკვდილიანობას.

**საკვანძო სიტყვები:** კრეატიული ეკონომიკა. კონკურენტუნარიანი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა, მისი დონე, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოება-განახლების ფორმები, კონკურენტუპირატესობების მატარებელი ადამიანი, ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული პირდაპირი და ირიბი ინვესტიციები.

კრეატიული ეკონომიკის პირობებში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლების უმთავრესი გზაა სწრაფი ეკონომიკური ზრდა. ასეთი ეკონომიკური ზრდის მიღწევისათვის კი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების მაღალი დონე, რაც იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში (კომპანიაში, დარგში და ა.შ.) ფართოდ ინერგება ახალი ცოდნა და შესაბამისად დაბალია მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების ხარისხი, მეტია კონკურენტებთან ბრძოლაში გამარჯვების შანსი. ამიტომ თანამედროვე სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში გადასარჩენად, როგორც პროფესორი გურამ ჯოლია სავსებით მართებულად აღნიშნავს, საჭიროა, ჯერ ჩვენ შევიცვალოთ, მუდამ ვისწრაფვოდეთ ახლისკენ, ვიზროვნოთ და ვიმოქმედოთ შემოქმედებითად ანუ კრეატიულად. თანამედროვე პროგრესული ადამიანი არ უნდა იყოს მხოლოდ სხვისი შექმნილის

მომხმარებელი. იმავდროულად უნდა ვცდილობდეთ, ვიყოთ კრეატიულებიც, რადგან ვინც არ ქმნის რაიმე ახალს, ის მხოლოდ სხვის მიერ შექმნილს იმეორებს და/ან მოიხმარს [1. გვ.9]. სხვაგვარად, ანუ შემოქმედების განვითარების გარეშე წარმოუდგენელია სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, მითუმეტეს კრეატიული ეკონომიკის პირობებში.

ტრადიციული ეკონომიკისაგან განსხვავებით კრეატიული ეკონომიკის პირობებში საერთოდ მორალური მოძველების და განსაკუთრებით მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების, მისი კვლავწარმოება-განახლების დონეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. აქ მორალური მოძველების ობიექტური მოვლენა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. მთავარი სპეციფიკა იმაშია, რომ თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა (რომელსაც ადამიანი აგროვებს მთელი სიცოცხლის მანძილზე), **კრეატიული ეკონომიკის განვითარების ძირითადი ინსტრუმენტი ხდება.** დღეს მაღალ განვითარებას უფრო მეტად აღწევენ ის ქვეყნები, რომლებიც დიდ ცოდნას კი არ ქმნიან, არამედ მათთვის სასარგებლო დიდ ცოდნას იყენებენ პრაქტიკულად.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების, მისი განახლება-კვლავწარმოების პრობლემის ანალიზს გააჩნია ის სპეციფიკა, რომ მათი გათვალისწინებამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი შრომის იმ დანაკარგების დროულ აღმოფხვრას, რომლებიც წარმოიშობიან მორალურად მოძველებული ტექნიკის ფუნქციონირების, მოძველებული ცოდნის, სწავლების მეთოდების, ხერხების გამოყენების დროს. იმისათვის, რომ საზოგადოების, სანარმოს, კომპანიის დანაკარგი ასეთი ცოდნის, ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენების პირობებში კიდევ არ გაიზარდოს, ჩვენი აზრით, საჭიროა არსებული მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის ეფექტიანად ფუნქციონირების პერიოდი შეესაბამებოდეს უახლესი, უფრო სრულყოფილი ცოდნის გამოჩენის ტემპებს. ამ გაგებით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მაგალითად, მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემა მოძველებული ხერხებით, მეთოდებით, სამეცნიერო ლიტერატურით. ამასთან, უმაღლესი სასწავლებლების მთავარი ამოცანა უნდა იყოს არა მარტო არსებული ცოდნის გადაცემა, არამედ იმის სწავლება, რომ, მაგალითად, ინტერნეტსა და ბიბლიოთე-

კებში არსებული ინფორმაციის ოკეანიდან საჭიროა მხოლოდ მისთვის სასარგებლოს ამოღება და გამოყენება [1. გვ. 25].

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების ეკონომიკური შინაარსი ჩვენ დროს ჩამორჩენილ, თანამედროვე სამყაროს და განვითარებულ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ტექნოლოგიებს ვერაყოლილ მოვლენად წარმოგვიდგენია. თანამედროვე სამყაროში დიდი ხანია დაკარგა მოსვენება, სტატიკურობა. დედამინა თითქოს „უფრო სწრაფად ბრუნავს“. გუშინდელი მოდელის ტექნიკა (მაგ.: ტელეფონი, ესა თუ ის ნივთი, მექანიზმი და ა.შ.), დღეს უკვე მოძველებულია. იგი ვერ იმუშავებს უკეთესად თანამედროვე და განახლებულ, მოდერნიზებულ ანალოგიებთან შედარებით, რაც კომპანიებს იძულებულს ხდის გამუდმებით სრულყოფილ წარმოების ტექნოლოგიები, ბაზარს შესთავაზონ ახალი პროექტები, პროდუქტები, იდეები, მიდგომები და სხვა. ე.ი. აუცილებელია ასეთი ტექნიკის შეცვლა, განახლება, გაუმჯობესება. მაგრამ როცა ადამიანის მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მოძველებაზე მსჯელობა, საჭიროა მისი გადამზადება. მაგალითად, თუ ადრეულ ეპოქებში საკმარისი იყო რაიმე ხელობის შესწავლითა ადამიანს თერძობით ან მენაღებობით მთელი სიცოცხლის მანძილზე უზრუნველყო საკუთარი და საკუთარი ოჯახის მოთხოვნილებანი, დღეისათვის სწრაფცვალებადი კონკურენტული სამყარო მოითხოვს ადამიანის, როგორც წარმოების მთავარი ფაქტორის კვალიფიკაციის ამაღლებას მინიმუმ 5 წელიწადში ერთხელ [2. გვ. 96.], რათა ის მოერგოს თანამედროვე სამყაროს გაზრდილ მოთხოვნებსა და აჰყვეს სამყაროს სწრაფვას გაუმჯობესებისკენ. კომპანია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებს, ვერ იმუშავებს ეფექტიანად, ვერ იქნება კონკურენტუნარიანი და, ამდენად, ვერ იქნება განვითარებული, ანუ მომგებიანი. ტექნიკა, ტექნოლოგია, რომელიც მორალურად მოძველდა, ვერ უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას. ასევეა ადამიანებიც, განსაკუთრებით პედაგოგები (მაგალითად, მორალურად მოძველებული მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მატარებელი მასწავლებელი ვერ შექმნის (აღზრდის) თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის პროდუქციას (მოსწავლეს, სტუდენტს). მათთვისაც აუცილებელია მოერგონ დროს და აჰყვენ თანამედროვე სამყაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ცოდნა განიცდის „მორალურ მოძვე-

ლებას“ — მათი თეორიული და პრაქტიკული მიღწევები აღარ შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებს. ადამიანი შეიძლება ფიზიკურად კარგად გამოიყურებოდეს, მაგრამ მორალურად უკვე ვეღარ აკმაყოფილებდეს მოცემული დროისთვის არსებულ მოთხოვნებს. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა მსგავსად ფიზიკური კაპიტალისა, მოძველებას ექვემდებარება. თუმცა აქ საქმე გვაქვს როგორც ცოდნის მოძველებასთან, ასევე ცოდნის მატარებელი ადამიანის ფიზიკური და სულიერი სიმხნევის დაცემასთან. როგორც ცნობილია, ფიზიკურ კაპიტალში განხორციელებულ ერთსა და იმავე ინვესტიციას, სხვა თანაბარი პირობებში, ასე თუ ისე თანაბარი შემოსავალი მოაქვს, მაშინ როცა ორი ადამიანი, თანაბარ პირობებში მიღებული განათლებით, სრულიად განსხვავებულ შედეგებს აღწევს. ამის მიზეზია განსხვავებანი ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებში, ბუნებრივ მახასიათებლებსა და გარემო პირობებში. უფრო კონკრეტულად, ადამიანის, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მატარებლის ფიზიკური და სულიერი სიმხნევე დამოკიდებულია მრავალ სოციალურ ფაქტორზე — ჯანდაცვის, კულტურისა და დასვენების, კვების დონეზე. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვეთანხმებით სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა იმ დასკვნას, რომ გარდა განათლების სფეროში განხორციელებული ინვესტიციებისა, აუცილებელია სათანადო ყურადღება მიექცეს თავად ადამიანური კაპიტალის დაფინანსებას, რაც უცილობლად აისახება შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ეფექტიანობის ზრდაში [3]. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ყოველი სახელმწიფოს ინტერესში უნდა შედიოდეს ინვესტიციების განხორციელება „ადამიანისეულ კაპიტალში“, რომელიც, გარდა ცოდნისა, მოიცავს ჯანდაცვის, კულტურის, სპორტისა და სხვა სოციალური ინსტრუმენტების ნაკრებს და რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის, როგორც ინტელექტუალური კაპიტალის მატარებლის **მორალურ განახლებას**. ამ გაგებით ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები, სავსებით სამართლიანად, პირობითად შეიძლება ორ, პირდაპირ და ირიბ, ინვესტიციებად დაიყოს. პირდაპირს მიეკუთვნოს დანახარჯები ადამიანის განათლებასა და პროფესიულ გადამზადებაზე, ხოლო ირიბს — სამედიცინო მომსახურებაზე და სხვა სახის სოციალურ უზრუნველყოფაზე განეული ხარჯები. პირდაპირი დაბანდება ადამიანურ კაპიტალში

ზრდის ამ კაპიტალის მოცულობას, ხოლო ირიბი ხარჯები — ახანგრძლივებენ ამ კაპიტალის ექსპლუატაციის ვადას, აუმჯობესებენ მის ქმედუნარიანობას, ამცირებენ ავადობას და სიკვდილიანობას [4. გვ.52], რაც გარკვეული პერიოდის შემდეგ დიდ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგს მოგვცემს. მაგრამ ინვესტიციების ასეთ დაყოფას თუ გავიაზრებთ ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ საქართველოში ამის მიღწევა საკმაოდ შორეული პერსპექტივა იქნება, რადგან თუ გავითვალისწინებთ ცოდნის ხარისხს, ჯერ ერთი, მის განახლებას საქართველოს უმაღლესი განათლების მქონე პირები ნაკლებად ახერხებენ და მეორე, დაბალია სოციალურ პირობები, რომლებიც, როგორც ზემოთ ავლინებთ, აუცილებელია ადამიანის, როგორც ცოდნის კაპიტალის მატარებლის მორალური მოძველების შესაჩერებლად. ასეთი მდგომარეობის, კერძოდ კი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების მოვლენის ობიექტურად არსებობა იმითაც დასტურდება, რომ ჩვენში როგორც ცალკეული ინდივიდი, ისე სახელმწიფო ყოველნაირად ცდილობს დაზოგოს სახსრები განათლებაზე და მეცნიერებაზე და ანგარიში არ გაუწიოს იმ ფაქტს, რომ იაფი და უხარისხო ცოდნიდან მიღებული ზარალი და დანაკარგები ბევრად სჭარბობს ძვირ, მაგრამ მაღალხარისხიან ცოდნაზე გაღებულ ხარჯებს. მეტიც, ხშირად თავს ვინონებთ, რომ საქართველო იაფი მუშახელის გამო მიმზიდველია უცხოელ ინვესტორთათვის და გვაგინყდება, რომ იაფი მუშა-ხელი დაბალ კვალიფიკაციას, დაბალ შემოსავალს ნიშნავს, დაბალი შემოსავალი კი — ცხოვრების დაბალ დონეს, სიღარიბეს. ხაზგასასმელია, ისიც, რომ დაბალკვალიფიციური მუშაკი (იაფი მუშა-ხელი) და ინოვაციები, მონინავე ტექნიკა-ტექნოლოგია შეუთავსებელი მოვლენებია, რაც ბუნებრივად აფერხებს პროგრესს და ცოდნაზე დამყარებული კრეატიული ეკონომიკის განვითარებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ მართლაც გვსურს ეროვნული ეკონომიკის გრძელვადიანი, მდგრადი ზრდა, ანუ საყოველთაო და დიფერენცირებული კეთილდღეობა, ინვესტირება უნდა მოვახდინოთ სუსტად განვითარებულ მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაში, რადგანაც ინვესტირებას განათლებაში გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ფიზიკურ კაპიტალში (ახალი დაზგა-დანადგარები, შენობები, გზები და სხვა). ასე მაგალითად, განვითარე-

ბულ ქვეყნებში განათლებასა და მეცნიერებაზე განეული კაპდაბანდებები მშპ-ს ზრდის 40%-ით, ხოლო 5-7 წელიწადში, როდესაც ეს ინვესტიციები სრული ეფექტის მოცემას დაიწყებს, მათი უკუგება აღემატება ნავთობისა და გაზის მოპოვებაზე უკუგებას [5. გვ. 40].

წარმოების, ეკონომიკის მსგავსად მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაც თვითგანახლებად სისტემას წარმოადგენს, რომელშიც პარალელურად მიმდინარეობს ახალი ცოდნის შექმნისა და არსებული ზოგიერთი ცოდნის მორალური მოძველების პროცესები. განსაკუთრებით უფრო სწრაფი ტემპით, მყისიერად მიმდინარეობს ეს პროცესები გამოყენებით მეცნიერებებში, ვიდრე საზოგადოებრივ, თეორიულ მეცნიერებებში. ასეთ პირობებში ცოდნის, განსაკუთრებით მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის წლიდან წლამდე უცვლელი ოდენობით დატოვება, განმეორება იგივე იქნებოდა რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ინოვაციების, სიახლეების დანერგვის უგულვებელყოფა. არადა XXI საუკუნე ხომ ისეთი საუკუნეა, როცა ცოდნა განიხილება, როგორც ეკონომიკაში გადამწყვეტი, მისი კონკურენტუნარიანობის წინასწარი პირობა [6. გვ. 11]. **ამიტომ საზოგადოება იძულებულია სისტემატურად განახლოს ანუ აკვლავწარმოოს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა.**

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების (სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილი თეორიულ-პრაქტიკული მიღწევების, ცოდნის, გამოცდილების დაუფლების) **პირველი-არასრული, ნაკლები შეკვეცილი ფორმის** დროს ამა თუ იმ დარგის, სფეროს მუშაკი თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას მთლიანად ვერ ფლობს (ცხოვრების განმავლობაში შეძენილმა ცოდნამ უკვე ამონურა თავისი ზღვრული სარგებლიანობა და „მორალური მოძველების“ პროცესს განიცდის), რის გამოც იგი **კონურენტუნარიანი** ვერ იქნება. ეს კი, როგორც **კონკრეტული ადამიანისთვის**, ასევე **ქვეყნისთვისაც** პრობლემას ქმნის იმ თვალსაზრისით, რომ, ერთი მხრივ, ეს მუშაკი ვერ გამოიყენებს ტექნიკური პროგრესით მიღწეულ შედეგებს და, მაშასადამე, ვერ იქნება უზრუნველყოფილი სამუშაო ადგილით და, მეორე მხრივ, ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს საკუთარი ეკონომიკური, სოციალური, ტექნიკური და ა.შ. მაჩვენებლებით.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების **მეორე — მარტივი ფორმის** დროს ამა თუ იმ დარგის, სფეროს მუშაკი

თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას (ეს ცოდნა ხანგრძლივი პერიოდების მანძილზე უცვლელია) მთლიანად ფლობს, ინარჩუნებს საქმიან კონტაქტებს, დადებით იმიჯს და სამუშაო ადგილს, რის გამოც იგი **კონურენტუნარიანი** მანამ, სანამ მის მიერ ცხოვრების განმავლობაში შეძენილი ცოდნა ამონურავს თავის ზღვრულ სარგებლიანობას და „მორალური მოძველების“ პროცესს დაექვემდებარება და ზიანს არ მიაყენებს არც თავის თავს და არც ქვეყანას.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების **მესამე - გაფართოებული ფორმის** დროს ამა თუ იმ დარგის, სფეროს მუშაკი თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას არა მარტო სრულყოფილად ფლობს, არამედ დამატებითაც **აქტიურად** დამოუკიდებლად მონაწილეობს მის შემოქმედებითად (კრეატიულად) განვითარებასა და დანერგვაში (თვით უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაც კი სწრაფად ძველდება და ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ უწყვეტ შემართებლად მიიჩნეოდა, შეიძლება ახალ პირობებს აღარ შეესაბამებოდეს. ამიტომ სპეციალისტს სჭირდება არა პასიური, არამედ დამოუკიდებელ კრიტიკულ აზროვნებაზე დამყარებული **აქტიური** და **განვითარებადი** (ცოდნა), აქვს გარემოში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატური შინაგანი განახლების, ადაპტირების უნარი, ასევე ფლობს თანამედროვე მსოფლიო ენას, მისაღებ პიროვნულ თვისებებს, საქმიან კონტაქტებს და დადებით იმიჯს. ასეთი პირადი კონკურენტუნარიანობის მატარებელი ადამიანი კი არ ეძებს სამუშაოს, არამედ თავად **სამუშაო ეძებს მას**. ასეთი თვისებების მქონე მუშაკი კონკურენტუნარიანი იქნება არა მხოლოდ თავის ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში [7. გვ. 18]. ე.ი. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების **მესამე ფორმის** დროს ადგილი აქვს ცოდნის განახლება - კვლავწარმოებას გადიდებული, სულ უფრო მზარდი ოდენობით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ტემპების კვალდაკვალ.

იბადება კითხვა: რა არის საჭირო იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების დაბალი დონის სავარაუდო შედეგები?

საქართველო მდიდარია ნიჭიერი, მაღალი დონის მეცნიერთა პლეადებით. ისინი არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს ნამყვან ინსტიტუტებში წარმატებით მოღვაწეობენ. ეს



იმედს გვაძლევს, რომ საქართველო მომავალშიც შეძლებს დააკომპლექტოს, მაგალითად, თავისი სამეცნიერო ცენტრები ღირსეული მეცნიერებით, რომლებიც შეძლებენ მსოფლიოს ტექნოლოგიების მცოდნე კადრების მომზადებას. დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში და აგრეთვე საბავშვო ბაღებშიც კი განათლების, ცოდნის შექმნის საშუალებების მაღალ დონეზე დაყენებას. ამ პრობლემების მოგვარებისათვის კი საჭიროა:

➤ პირველ რიგში, სახელმწიფომ იზრუნოს იმაზე, რომ მოძველებული განათლების მქონე მომსახურე პერსონალი არ დარჩეს სამუშაო ადგილების გარეშე, რადგან ეს აუცილებლად გამოიწვევს საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილებას და ხელისუფლებისადმი უნდობლობის გაჩენას. ამისთვის აუცილებელია პერმანენტულად ხდებოდეს მათი გადამზადება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, უნდა იზრუნოს გადამზადების თანამედროვე ცენტრების შექმნაზე ქვეყანაში. ეს დაწესებულებები ორიენტირებული იქნება მომსახურე პერსონალის მუდმივ გადამზადებასა და მათი ცოდნის განახლება-კვლავწარმოებაზე. გადამზადების ცენტრები მუდმივად მოახდენენ მათთვის ახალი ცოდნის მიღების უზრუნველყოფას, რაც საწარმოებს, კომპანიებს, სასწავლო დაწესებულებებს და ა.შ. აღარ მისცემს იმის საფუძველს, რომ კონკრეტული მომსახურე პერსონალი სამუშაო ადგილის გარეშე დატოვონ და მიზეზად მათი დაბალი კვალიფიკაცია დაასახელონ. ასეთი პროექტის წამოწყება, აამაღლებს როგორც თავად მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციას, ასევე იმ სტუდენტთა კვალიფიკაციას, რომლებიც იღებენ განათლებას უკვე გადამზადებული მასწავლებლებისაგან.

➤ ასევე აუცილებელია უცხოური გამოცდილების, ცოდნის გაზიარებაც. ჩვენს ქვეყანაში უნდა ჩამოვიდინო უცხოელი, კვალიფიციური კადრები, რათა მათ გაუზიარონ საკუთარი ცოდნა ქართველ კოლეგებს. ეს რა თქმა უნდა არ ეხება მხოლოდ სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებსა და ლექტორებს, ასეთი ქმედება უნდა განხორციელდეს ყველა სახის საწარმოსა თუ სხვა დაწესებულებაში, რადგან ქვეყნის განვითარებისთვის არა მხოლოდ განათლების სფეროს, არამედ ბევრი სხვა სფეროს განვითარებაცაა აუცილებელი. ყველას კარგად გვესმის, რომ ეკონომიკური, სოციალური, განათლების დონით, საქართველო ვერა

და ვერ უახლოვდება ევროპულ და არა მარტო ევროპულ განვითარებულ ქვეყნებს. ამისთვის კი საჭირო და აუცილებელიცაა მსგავსი პროექტების ხშირი განხორციელება. ასეთი ღონისძიების გატარებისათვის, რა თქმა უნდა, ბიუჯეტს გარკვეული თანხის გაღება მოუწევს, მაგრამ აუცილებელია ეს თანხა გამოყოს სახელმწიფომ, რადგან იგი ქვეყნის მომავალ განვითარებას და წინსვლას მოხმარდება.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის **გაფართოებული ფორმით** განახლება-კვლავწარმოება დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული. ამ მიმართულებით ინვესტიციების როლი უაღრესად დიდია. ისეთი პატარა ეკონომიკის ქვეყნის ასალორძინებლად, როგორც საქართველოა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შიდა ინვესტიციები. მაგრამ. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს უარი ვთქვათ უცხოურ ინვესტიციებზე. ამიტომ ხელისუფლებისათვის ეს საქმიანობა უნდა გახდეს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი შემადგენელი ნაწილი. ამ კუთხით მთავრობაში შესამუშავებელია ადგილობრივი ინვესტიციების წამახალისებელი სტრატეგია. ამასთან სასურველია ინვესტიციები უპირატესად წარიმართოს ინტელექტუალური, ადამიანური კაპიტალის, ცოდნის განსავითარებლად. **ცოდნის ჩამოყალიბების სფეროში მორალური მოძველების საკითხი პირველ რიგში იმიტომ არის გასათვალისწინებელი, რომ სწორედ აქ, საწყის ეტაპზე იწყება მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება და შემდეგ იგი აშკარა გამოხატულებას პოულობს საწარმოებში ფუნქციონირებად ტექნიკასა და ტექნოლოგიაში. გამომდინარე აქედან, პრობლემის მოგვარება უნდა დაგინდოს არა წარმოების სფეროში, არამედ იდეის, ცოდნის ფორმირების პროცესში.**

ამრიგად, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის ხარისხის ამაღლება, მისი დონის განსაკუთრებით **გაფართოებული ფორმით** განახლება-კვლავწარმოება რომელიმე ერთი ქვეყნის პრობლემა არ არის. იგი არა მარტო საქართველოს, არამედ ბევრ განვითარებად თუ განვითარებულ ქვეყანასაც აწუხებს. ნებისმიერ ქვეყანას, მაგალითად, თანამედროვე ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის ესაჭიროება თანამედროვე ეკონომიკური ცოდნით, მდიდარი გამოცდილებით, შინაგანი განახლების უნარით, მსოფლიო ენით, ტექნიკითა და ტექნოლოგიით და მისაღები ადამიანური თვისებებით აღჭურვილი ადამიანები, რადგანაც ამგვარი **პირადკონკურენტუნარიანი ადამიანე-**

ბის გარეშე წარმოუდგენელია კონკურენტუნარიანი ფირმები, ხოლო კონკურენტუნარიანი ფირმების გარეშე-საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ქვეყანა [7. გვ.17-18]. ამიტომ საჭიროა ამ პრობლემის მოგვარებაზე ერთობლივი მუშაობა. ბუნებრივია, გლობალიზაციის პროცესი ამ საკითხის მოგვარებასაც გამოიწვევს, რადგან იგი, ამავე დროს უზინარეს ყოვლისა, ახალი გამოცდილების, ცოდნის გაზიარებასაც გულისხმობს, რაც მითუმეტეს განვითარებადი ქვეყნებისათვის სასიცოცხლოდ საჭირო და აუცილებელია.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯოლია გ., კრეატიული ეკონომიკა და განვითარება. თბ., 2015.
2. ხურცია ლ., საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო რეგულირება საქართველოში. დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2006.
3. ხურცია ლ., ინვესტიცია ინტელექტში – გლობალური გამოწვევა განვითარებადი ქვეყნებისათვის. ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, 2(18), 2008.
4. Бреслав Л. Лисовик Б. Ломова И. Кадровый потенциал и пути его повышения. Человек и труд.2003.№4).
5. ჟურნალი „კომენტარი“, 2003 წ. 1.
6. სამადაშვილი უ., შენგელია რ. თანამედროვე ეკონომიკა. თბ.; 2013, გვ.11.
7. ჟურნალი „ეკონომიკა“, 5-6, 2014.

## სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის შესახებ

სულხან დევაძე — ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

### რეზიუმე

საქართველოსთვის ეკონომიკური რეფორმების გატარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ხდება სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპები და ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება.

დღეისათვის უცხოური ინვესტიციებისადმი მიდგომა და მათი როლი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გააზრებული კონცეპტუალურ, სახელმწიფო და პოლიტიკურ დონეებზე. არასაკმარისადაა შემუშავებული როგორც სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპები ამ სფეროში, ასევე სახელმწიფო რეგულირების მოქმედი მექანიზმები.

საქართველოში ინვესტიციების ოპტიმალური მოზიდვისათვის აუცილებელია ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი თანმიმდევრობითი განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს საინვესტიციო კლიმატის და ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის გაუმჯობესებას.

#### About country's investment policy

##### Summary

One of the priority directions of economical reforms in Georgia is to work out and realize an investment policy that ensures high tempo of economical development and raises economical effectiveness.

Today an approach towards foreign investment and its role has not been realized yet on the governmental and political level. The governmental policy principles, as well as active mechanisms of government policy regulations have not been worked out entirely.

In order to raise tourists' inflow in Georgia it is necessary to work out the united government policy and to execute it in succession that helps the investment climate and country's investment attractiveness.

**საკვანძო სიტყვები:** უცხოური ინვესტიციები, საინვესტიციო კლიმატი, სახელმწიფოს პოლიტიკა, ეკონომიკის დარგები.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოსთვის, როგორც საბაზრო ურთიერთობების განვითარებაზე ორიენტირებული დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის, ეკონომიკური რეფორმების გატარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ხდება სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპები და ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლა საქართველოში დიდი და მკაფიოდ მერყევი ამპლიტუდით ხასიათდება, რაზეც ნათლად მეტყველებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები (ცხრილი 1).

**ცხრილი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2009–2014წწ**

| წელი            | 2009  | 2010  | 2011   | 2012  | 2013  | 2014   |
|-----------------|-------|-------|--------|-------|-------|--------|
| მლნ. აშშ დოლარი | 658,4 | 814,5 | 1117,2 | 911,6 | 941,9 | 1758,4 |

მსხვილი ინვესტორი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ნიდერლანდები, აზერბაიჯანი, დანია, თურქეთი, რუსეთი, აშშ, ჩინეთი და იაპონია, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები.

დღეისათვის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ერთ-ერთ რეალურ ბერკეტს წარმოადგენს ინვესტიციები და სწორედ ამითაა

გამონვეული ქვეყნის მთავრობის ბოლო ნაბიჯები საინვესტიციო პროცესების აქტივიზაციისაკენ. საინვესტიციო პოლიტიკა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის მნიშვნელოვან ელემენტს და განისაზღვრება მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად.

დასავლელი ექსპერტების აზრით მთლიანობაში საინვესტიციო კლიმატი საქართველოში მიუხედავად გარკვეული დადებითი მხარეებისა, ხასიათდება შემაფერხებელი ფაქტორებითაც, რომელთაც შეიძლება მივაკუთვნოთ ბიოროკრატიული ბარიერები, ფინანსური რისკები, ხარვეზები საგადასახადო კანონმდებლობაში და ადმინისტრირებაში, ასევე არასაკმარისად განვითარებული სამართლებრივი ინფრასტრუქტურა დაზღვევის სფეროში და ა.შ., რომელთაც შეუძლიათ შეამცირონ უცხოური კაპიტალისა და ინვესტიციების შემოდინების პროცესი.

ამასთან ერთად, უცხოური ინვესტიციებისადმი მიდგომა და მათი როლი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გააზრებული კონცეპტუალურ, სახელმწიფო და პოლიტიკურ დონეებზე. საერთაშორისო კაპიტალი მოიზიდება და გამოიყენება ინტუიციურ, ხშირად კი ქაოსურ საფუძველზე პრინციპით „იძლევიან – მიიღე“.

უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტიციების მაქსიმალური რაოდენობით მოზიდვა თვითმიზანი არ არის (თუმცა ამას ხშირად ნაკლებად იგებენ სახელმწიფო ჩინოვნიკები), პრობლემაა მათი ეფექტური გამოყენება და დადებითი მულტიპლიკატიური ეფექტის მიღება, რომელიც საშუალებას მისცემს მიღებული ინვესტიციების შესაბამისად განვითარებულ ეკონომიკას მოიზიდოს ახალი კაპიტალი და შემდგომში თვითონ გადავიდეს ინვესტიციების თვითდაფინანსებაზე.

აღნიშნულის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ არასაკმარისადაა შემუშავებული როგორც სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპები ამ სფეროში, ასევე სახელმწიფო რეგულირების მოქმედი მექანიზმები.

სრული ეკონომიკური სტაბილიზაცია და მით უმეტეს ცალკეული დარგების სტაგნაციისა და ეკონომიკური კოლაფსიდან ეკონომიკური ზრდის მიღწევა შესაძლებელია საინვესტიციო პოლიტიკის რადიკალური შეცვლით, ინვესტორების ფუნქციების მოდიფიკაციით და ინვესტირების სტიმულირებით.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საფუძველს უნდა წარმოადგენდნენ საბაზისო პრინციპები, რომელთა შესრულებაც, ჩვენი აზრით, უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ფორმებით, ქვეყნის კონკრეტული ეკონომიკური პირობებისა და ამოცანების გათვალისწინებით და მათ შეიძლება მივაკუთვნოთ: ეკონომიკური უსაფრთხოების პრინციპი; სახელმწიფოს საინვესტიციო მიზნების რეალიზაციის პრინციპი; კრე-

დიტების ალებისათვის პროექტების მეთოდის გამოყენების პრინციპი; შიდა დაგროვების ნორმის კრედიტის ღირებულებაზე წინსწრების პრინციპი; პროექტების შერჩევის დროს კონკურენტუნარიანობის პრინციპი და ინვესტიციების სტრატეგიულ და პრიორიტეტულ დარგებში დაშვების შეზღუდულობის პრინციპი.

დღეისათვის საქართველოს საგარეო სახელმწიფო ვალი შეადგენს დაახლოებით 13,0 მლრდ. აშშ. დოლარს. უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი თანხის უკან დაბრუნება პროცენტებით — საკმაოდ მძიმე ტვირთია ჩვენი ქვეყნისათვის. ამიტომ, ის უარყოფითი მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ადრე უცხოური კაპიტალის მოზიდვის საქმეში, დაუშვებელია მომავალში. სამომავლოდ საინვესტიციო პოლიტიკაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივი (სამამულო) ინვესტიციების სტიმულირებას წარმოების სფეროს განვითარებაში. ამისათვის აუცილებელია საფონდო ბაზრის აქტივიზაცია. ინვესტიციები მიმოქცევის სფეროდან უნდა გადაერთონ წარმოების სფეროში, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები და შემცირდეს უმუშევრობა.

ბოლო წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკის განხორციელებაში დაშვებული იყო სერიოზული ცდომილებები — არ არსებობდა უცხოური კაპიტალის დაბანდების სტიმულირების ქმედითი მექანიზმი, რომელიც იქნებოდა მოთხოვნების და ეკონომიკის საბაზრო ტრანსფორმაციის ამოცანების ადეკვატური. აღნიშნული ეხება უცხოური ინვესტიციების მოცულობების შეფასების მეთოდოლოგიასა და მეთოდიკებს, უცხოური კაპიტალის მოზიდვის ფორმებსა და დასაშვებ მასშტაბებს, ასევე უცხოური კაპიტალის მოზიდვის ორგანიზაციულ და ეკონომიკურ მექანიზმებს, რეგიონალურ და დარგობრივ გადანაწილებას.

თუ მივადევნებთ თვალს უმსხვილეს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ეკონომიკის სექტორების მიხედვით, აქ ლიდერობენ ისეთი დარგები, როგორებიცაა: ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საფინანსო სექტორი, სამთომომპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობა და ა.შ. ამავე დროს უმნიშვნელო ყურადღება ეთმობა სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებს. ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს მშპ-ში მნიშვნელოვანი რყევებით ხასიათდება. თუ 2006 წლისათვის მისი წილი შეადგენდა 12,8%-

ს, 2011 წელს ის შემცირდა 8,8%-მდე, ხოლო 2014 წლისათვის უმნიშვნელოდ გაიზარდა და შეადგინა 9,2 %.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინვესტირების მდგომარეობა უაღრესად არადა-მაკმაყოფილებელია. 2010 წელს საქართველოში განხორციელებული იქნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 814,5 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, 2011 წელს 1117,2 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო 2014 აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 1758,4 მლნ აშშ დოლარი. აღნიშნული ინვესტიციებიდან სოფლის მეურნეობის აღორძინებაზე და თევზჭერაზე მიმართული იქნა შესაბამისად 8,7; 14,9 და 12,3 მლნ. აშშ დოლარი, ანუ შემოსული ინვესტიციების მხოლოდ 1,0% ; 1,3% და 0, 7% შესაბამისად.

აგრარული ბაზარი და სამამულო მომხმარებელი საჭიროებს დაცვასა და პროტექციას. დღეისათვის საქართველოში სასოფლო სამეურნეო პროდუქციის იმპორტი კვლავ იზრდება. საქართველოს ბაზარზე შემოვიდა ვადაგასული იმპორტული სასურსათო პროდუქცია, რომელიც საშიშია მისახლეობისათვის. იმპორტული საკვები პროდუქტების ხარისხზე შესაბამისი კონტროლის დაწესების მიზნით აუცილებელია სერთიფიცირების რეჟიმის გამკაცრება ქვეყნის საბაჟო საზღვრებზე. ამავე დროს სასურველია დავიცვათ ძირითადი წესი: პროდუქციის იმპორტი, რომლის წარმოებაც შესაძლებელია ქვეყანაში, იზღუდება გაცილებით მაღალი გადასახადებით.

ზემოთ აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია მოხდეს გარკვეული ცვლილებები საინვესტიციო პოლიტიკაში სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში. ვინაიდან ინვესტორები დიდად არ არიან დაინტერესებულნი დააბანდონ თავიანთი კაპიტალი სოფლის მეურნეობაში, სასურველია განხილული იქნას აღნიშნულ დარგში ინვესტიციების ყველა სახის გადასახადიდან გარკვეული დროით განთავისუფლების საკითხი. აუცილებელია ასევე მოხდეს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონელზე და მომსახურებაზე მონოპოლისტური ფასების რეგულირება. საქართველოს ეკონომიკაში სამამულო და უცხოური ინვესტიციების სტიმულირებისათვის, ჩვენი აზრით, სავალდებულოა შესაბამისი ეროვნული პროგრამა, რომელიც უნდა წარმოადგენდეს საკანონმდებლო, ნორმატიული და პროგრამული დოკუმენტების ჯაჭვის მნიშვნელოვან რგოლს, მიმართულს ქვეყანაში

საინვესტიციო აქტივობის ამაღლების უზრუნველყოფისაკენ. პროგრამა ზოგადად უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- საქართველოში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას;
- ინვესტიციების მოცულობების მკვეთრი გაზრდისათვის აუცილებელი ღონისძიებების შემუშავებას და რეალიზაციას;
- სამამულო და უცხოური ინვესტიციების ეფექტურობის ამაღლებას.

პროგრამის რეალიზაციაში ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას ინვესტორების ქონებრივი ინტერესების სადაზღვევო დაცვა. ამავე დროს ინვესტიციების შემოდინების შემაფერხებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ის, რომ ჯერ კიდევ ახლო წარსულში მოქმედი ხელისულების პირობებში არსებობდა პრობლემა საკუთრების უფლების დარღვევის მიმართულებით: ხელისუფლების მიერ 32 ქვეყანასთან შეჩერებული იყო ინვესტიციების დაცვის ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმება. ეს ქვეყნები დღეს ელოდებიან მოლაპარაკების განახლებას და აღნიშნული პრობლემა უახლეს პერიოდში იქნება გადაწყვეტილი.

საქართველოში ინვესტიციების ოპტიმალური მოზიდვისათვის აუცილებელია ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი თანმიმდევრობითი განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს საინვესტიციო კლიმატის და ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის გაუმჯობესებას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქოქიაური ლ., საინვესტიციო საქმე. თბ., 2011.
2. ბარათაშვილი ე. და სხვები. საინვესტიციო მენეჯენტი. თბ., 2011.
3. გიტმანი ლ. ჯ., ჯონკი მ.დ.. ინვესტირების საფუძვლები (თარგმანი). თბ. 2008.
4. გვარუციძე ა., ლ. გვაჯაია. უცხოური ინვესტიციების როლი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ინოვაციური განვითარების საქმეში. ჟ. "ეკონომიკა" 1-2, 2008წ.
5. სიჭინავა ა.,. ინვესტიციები. თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა. თბ. 2010.
6. გ. ყუფარაძე. საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში. თბ., 2013.

## ინფლაციის სტრატეგიული მართვის პრობლემა

ტარიელ კიკვაძე — სტუ-ს პროფესორი  
დავით გეგია — სტუ-ს დოქტორანტი

### რეზიუმე

სტატიაში ინფლაცია განიხილება როგორც სისტემური ფენომენი, რომელშიც ჩართულია საზოგადოების სხვადასხვა ფენები, ჯგუფები და ინდივიდები. ინფლაციის მართვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა ასპექტი — ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური (საკუთრივ, ვინრო მნიშვნელობით), ფსიქოლოგიური, მასმედიური, აგრეთვე, სახელმწიფოს მართვის ორგანიზაციულ არქიტექტურა (პარლამენტი, ეროვნული ბანკი, მთავრობა, პრეზიდენტი, სასამართლო სისტემა). მისი ეფექტური მართვა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საექსპერტო, კვლევითი და მმართველობითი, სისტემის, ცოდნის მომაცემთა ბაზის, თეზაურუსის შექმნასა და ეფექტურ გამოყენებაზე, რაც თავის მხრივ გულისხმობს ადეკვატური საჯაროობის უზრუნველყოფას. მიდგომა აერთიანებს ინფლაციის ისტორიულ და უახლეს პრობლემებთან დაკავშირებულ კვლევებსა და კონცეფციებს.

სტატიაში ინფლაციის მართვის პრობლემატიკა დაკავშირებულია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან, რომლებიც ინტეგრირებული უნდა იყვნენ პროგრამულ-მიზნობრივი ან მართვის სხვა თანამედროვე კონცეფციებთან, რაც უფრო ეფექტურს გახდის ინფლაციის მართვის სისტემურ პროცესს და შეამსუბუქებს საზოგადოებაზე მისი ზეგავლენით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ და მატერიალურ წნეხს.

**საკვანძო სიტყვები:** ინფლაცია, მართვა, საექსპერტო სისტემა, სისტემური მიდგომა, მასმედია, თეზაურუსი, საჯაროობა, პროგრამულ-მიზნობრივი, მონაცემთა ბაზა.

### Summary

The article discusses the inflation as a complex, interdisciplinary and system phenomenon. Various social groups, almost entire society are engaged in process that is determined by inflation. Dealing with inflation one should take into account sociology, sociolinguistics, social-psychology, personal psychology, various branches of economic theory and economic policy, politics, media psychology and sociology, general systems theory and organizational structure of the state policy and power distribution, elite theory,

publicity of inflation management. The efficacy of the inflation control process strongly depends on the possibility of designing of the scientific-research and control expert systems, knowledge databases (including thesaurus), that implies a background for adequate level of the publicity of the entire inflation process. The article stands on concept that the only goal-oriented programmable management is able to bring all of the achievements together and direct society power on targeting inflation problem under the constructive public monitoring.

**Keywords:** inflation, control, management, policy, expert system, system approach, media, thesaurus, publicity, goal-oriented programming, database.

ინფლაცია საზოგადოებაში მიმდინარე რთული, ყოვლისმომცველი და გამჭოლი პროცესია. დღევანდელ, მეცნიერულ, ექსპერტულ ლიტერატურაში, მასმედიაში და ეკონომიკურ პრაქტიკაში, მიუხედავად უდიდესი მნიშვნელობისა, არ მოიპვება ინფლაციის სახეების ერთიანი კლასიფიკაცია, რომლებსაც აღიარებდა ამ პროცესის ყველა მონაწილე. არსებობენ მხოლოდ ძალიან ზოგადი კრიტერიუმები და ამასთან ერთად ხშირად თვით ტერმინები ინფლაციის სახე, ტიპი, ფორმა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით გვევლინება. ბოლო წლებში განვითარებულმა უაღრესად გამწვავებულმა ინფლაციით გამოწვეულმა კრიზისებმა გარდაუვალი გახადა ასეთი კლასიფიკაციების წარმოშობა. ამას წინ უძღოდა, დღეისთვის ცნობილი, ინფლაციის ყველა კონცეფციის თუ თეორიის შედარებითი ანალიზი და გამაერთიანებელი თეორიის ინდუცირების ენერგიული მცდელობები. შედეგად დღეს მივიღეთ ინფლაციის კონცეფციის ეკლექტიკური მოდელი, რომელიც ითვალისწინებს სალამანკას უნივერსიტეტში XVI საუკუნეში ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს — ინფლაცია განპირობებულია ქვეყანაში ძვირფასი ლითონების ჭარბი შემოდინებით, პოლიტეკონომიურ (კლასიკური) პარადიგმას — ფულის მიწოდება ავტომატურად ზრდის ფასებს, მარქსისტული თეორიის დასკვნას — კერძო მონოპოლიების მიერ ფასების გაბერვის შესახებ, ლოზანის სკოლის მიერ შესწავლილ — თანაფარდობას თვითღირებულებასა და გასაყიდ ფასს შორის, კეინსის თეორიას — საწარმოო ფაქტორების ბაზრებზე დეფიციტის

შესახებ, მონეტარისტულ თეორიას — ფულის ბაზარზე ჭარბი მიწოდების შესახებ, სტრუქტურალისტურ თეორიას — ეროვნული (საზოგადოებრივი) სიმდიდრის სტრუქტურის ცვლილების შესახებ, ფისკალურ თეორიას, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფისკალური ბალანსის დეფიციტის ანალიზს, სამოქალაქო საზოგადოების თანხმობის კონცეფციას, რომლის კვლევის საგანს შემოსავლების გადანაწილების პროცესში შეუთანხმებლობა წარმოადგენს, რეფლექსური თამაშების ფორმალურ თეორიაზე დაფუძნებული ინფლაციის მოდელირების უახლესი მიდგომები. ყველა ეს კონცეფცია თუ თეორია, დამოუკიდებლად, ინფლაციის ურთულესი ფენომენის, მხოლოდ ცალკეულ ასპექტს შეისწავლის, მოითხოვს გამაერთიანებელ მოდელს და მის, შემდგომ, პრაქტიკაში რეალიზებადობის, სისრულის და არანინალმდებლობის და თავსებადობის შემოწმებას. დღეისთვის შეიძლება ითქვას, რომ ყველა ამ თეორიაში (მოდელში) აღმოჩენილი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, ფაქტორები, პარამეტრები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და ერთობლივად განაპირობებენ ინფლაციის ზემოქმედებას საზოგადოებაზე.

ამ მოდელების შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა ინფლაციის გამომწვევი მიზეზების ტაქსონომია, რომლის თანახმადაც მიზეზები დაიყო ოთხ კლასად ზოგად, კერძო, შინაგან და გარეგან მიზეზებად. პირველის დამახასიათებელი ნიშნებია თავისუფალ სავალუტო კურსზე გადასვლა, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, მთავრობის (სახელმწიფოს) ეკონომიკური პოლიტიკა, ქვეყნებს შორის კაპიტალის მიმოქცევის ზრდა, შიდა ბაზარზე უცხოური ვალუტის მიმოქცევის დაშვება, ფასების დაჩქარებული ლიბერალიზაცია, პრივატიზაცია, ხოლო მეორის — სტრუქტურული (წარმოების ვარდნა, დისპროპორციები ეკონომიკაში, ექსპორტის ვიწრო სპეციალიზირებული ორიენტაცია, ტრანზაქციური სექტორის ზრდა, მონოპოლიზმი) და ინსტიტუციონალური (არასრულყოფილი ფულად-საკრედიტო და საგადასახადო სისტემა, დაუბალანსებელი ბიუჯეტი). გარეგანი მიზეზებია: ფასების რყევა მსოფლიო ბაზრებზე (იმპორტირებულ საქონელზე მსოფლიო ბაზრებზე ფასების ზრდა ინვეს ინფლაციის „იმპორტირებას“, საექსპორტო საქონელზე მსოფლიო ბაზრებზე ფასების ვარდნა ინვეს საგარეო ვაჭრობისგან შემოსავლების კლებას), სხვა მიზეზებით საგარეო ვაჭრობისგან შემოსავლების კლება, სა-

გარეო ვაჭრობის პირობების გაუარესება, საგარეო-ვაჭრობისა და საგადასახადო ბალანსების უარყოფითი სალდო, სამეურნეო კავშირების ინტერნაციონალიზაცია, მსოფლიო სტრუქტურული კრიზისები (ნედლეულის, ენერგეტიკული, სავალუტო), სახელმწიფოს სავალუტო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ინფლაციის სხვა ქვეყნებში ექსპორტზე. კერძოდ, ოქროს და ვალუტის არალეგალურ ექსპორტზე. შინაგანი მიზეზებია: ეკონომიკის სტრუქტურის დეფორმაცია (სამომხმარებლო პროდუქციის მწარმოებელი დარგების მკვეთრი ჩამორჩენა — განუვითარებლობა); სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი; ინფლაციური მოლოდინები; ფულის დაუსაბუთებელი ემისია; ფასების გაზრდა მოსალოდნელი დანაკარგების კომპენსაციის მიზნით; ეკონომიკაში ციკლური პროცესებით გამოწვეული დისპროპორციები; შრომის ნაყოფიერების ზრდის წინმსწრები და შეუსაბამო შრომის ანაზღაურება; უსაფუძვლოდ მაღალი ფასების დამწესებელი მსხვილი მწარმოებლების მონოპოლია ბაზრებზე; სახელმწიფო ვალის ზრდა, რომელიც აკნინებს ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობას და ამწვავებს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს; გადასახადების და საპროცენტო განაკვეთების ზრდა, რაც საინვესტიციო სტიმულებზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს.

დღეისთვის ასევე შემუშავებულია ინფლაციის სხვადასხვა სახეების საზოგადოებაზე ზემოქმედების კლასიფიკაცია. ჰიპერინფლაცია, რომლის დროსაც ფასები იზრდება ასტრონომიული ტემპებით, განსხვავება ფასებსა და ხელფასებს შორის კატასტროფული ხდება, საზოგადოების ყველაზე მაღალშემოსავლიანი ფენების ცხოვრების დონეც კი მკვეთრად ეცემა, წამგებიანი ხდებიან უდიდესი ფირმები; მას მწყობრიდან გამოჰყავს სამეურნეო მექანიზმი, ვინაიდან ეკონომიკური აგენტები მასიურად „გაურბიან“ ფულს მისი საქონლად გადაქცევის მიზნით. ეკონომიკური კავშირები ირღვევა და ბარტერული გაცვლის ფორმებს იძენს. ღია (აშკარა) ინფლაცია, რომლის დროსაც ფასების საერთო დონე სისტემატურად მატულობს. ფარული ინფლაცია, რომლის დროსაც არაბუნებრივად გაზრდილფასებიანი „შავი“ ბაზრები წარმოიქმნება და თავს იჩენს სასაქონლო დეფიციტი. ჩახშობილი ინფლაციის დროს სასაქონლო დეფიციტი იზრდება ფასების ფორმალური სტაბილურობის პირობებში, რასაც ცენტრალიზებულად უზრუნველყოფენ მმართველი ორგანოები (ამ დროს იყენებენ დო-

ტაციების მექანიზმს, რომელიც მთელ რიგ სასაქონლო პოზიციებზე ფასების ზრდის გარკვეული დროით გადავადებას იწვევს). ციკლური ინფლაცია ასოცირებულია ძირითადი კაპიტალისა და ინფრასტრუქტურული ელემენტების დაძველებასთან. ემისიური ინფლაციის დროს ფულადი მასის ზრდა წინ უსწრებს სასაქონლო მასის ზრდას. ინსტიტუციონალური ინფლაციის დროს მკვეთრად იზრდება ტრანსაქციური და საერთო დანახარჯები. დაუბალანსებელი ინფლაციის დროს ძნელდება კაპიტალის ჩადების სფეროების შერჩევაზე დასაბუთებული გადანყვეტილებების მიღება. არეალური ხდება სამრეწველო-ინდუსტრიული სექტორის განვითარება. ამ პირობებში ყველაზე ეფექტური ხდება მოკლე სპეკულაციურ-საშუამავლო ოპერაციები. ეგრეთწოდებული მოულოდნელად, ყოველგვარი წინასწარ დაკვირვებადი ნიშნების გარეშე, მოვარდნილი ინფლაცია იწვევს ფასების სინგულარულ ზრდას, რაც უარყოფითად მოქმედებს საგადასახადო სისტემაზე და ფულის მიმოქცევაზე. კვლავნარმოებითი ინფლაციის დროს იკლებს მაღალხარისხიანი, მრავალფუნქციური საქონლის გამოშვება და ძვირად ღირებული ტექნოლოგიების გამოყენება. მოგების ინფლაციის დროს ფასები იზრდება, საქონლის ხარისხის ამალღების გარეშე. საგადასახადო ინფლაციის დროს იზღუდება ინვესტირების შესაძლებლობები. შედეგად, მცირდება წარმოების დონე და აქედან გამომდინარე მიწოდებაც, რაც თავისთავად ინფლაციის დამატებითი მიზეზი ხდება. მოთხოვნის ინფლაციის დროს მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას და შედეგად ვიღებთ ფასების ზრდას. მიწოდების ინფლაცია, რომლის დროსაც წარმოების მოცულობა და დასაქმების დონე კლებულობს, ხოლო დანახარჯების ყველა კომპონენტი განუხრელად იზრდება. უმართავი ინფლაციის დროს სახელმწიფო რეალურად ვერ ფლობს ინფლაციის კორექტირების საჭირო ბერკეტებს. საგარეო (იმპორტირებული, ეგზოგენური) ინფლაცია — ინფლაციური ტენდენციების ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანა. იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდა იწვევს შიდა ბაზარზე ფასების ზრდას. კლასიკური ინფლაცია — ბრუნვაში გამგებელი ფულის მასის მოცულობის ცვლილებით მიმოქცევის სფეროს ქაღალდის ფულით (ნაცვლად რეალური ფულის — ოქროს მოთხოვნისა) გადავსება. საბაზრო ინფლაცია — ფულის ოქროსთან მიმართებაში გაუფასურება, რომელსაც თან სდევს რეალური შრომის ანაზღაურების ვარდნა.

დისბალანსური ინფლაცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია დისპროპორციები მიკრო და მაკროდონეზე. სტრუქტურული ინფლაცია, რომლის დროსაც ქვეყანაში მკვეთრად ეცემა სიცოცხლის ხარისხი, იზრდება და მწვავედება დისპროპორციები მთელს ეკონომიკაში. ფსიქოლოგიური ინფლაცია, რომელიც იწვევს წარმოების შემცირებას, სიცოცხლის ხარისხის მკვეთრ ვარდნას, ძირითადი ფონდების მკვეთრ გაუფასურებას, მესაკუთრეების მასიურ ცვლას, სახელმწიფოსადმი ნდობის და მისი დამოუკიდებლობის დაკარგვას. ადმინისტრაციული, რომელიც სტიმულს აძლევს დანახარჯების ინფლაციას. მასმედიური ინფლაცია, რომელიც წარმოშობს ინფლაციურ ისტერიას და ამით რთავს ფსიქოლოგიური ინფლაციის კრიზისოგენურ მექანიზმებს.

ყოველივე ზემოთ განხილულის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ინფლაციის მართვის სახეების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშანთვისებებისა და დროის, სივრცის და გამოყენების მახასიათებლების მიხედვით. მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით განიხილება მიწოდების ანტიინფლაციური პოლიტიკა (მისი არსია ეროვნული პროდუქტის ბუნებრივი დონის ზრდა ინფლაციის დონის შესამცირებლად, ხოლო ინსტრუმენტებია ზღვრული საგადასახადო განაკვეთების შემცირება გამოშვების მოცულობის სტიმულირების მიზნით), დეზინფლაციური პოლიტიკა (მისი არსია მდგომარეობს სახელმწიფოს მარეგულირებელ ზემოქმედებაში სახელმწიფო ფინანსების და ფულადსაკრედიტო სფეროში, ხოლო ინსტრუმენტებია ფულის ამოღება: კუპიურების განადგურება, საბანკო ანგარიშების განადგურება, სახელმწიფოს ხელთ არსებული ფინანსური სახსრების შეკვეცა: საპროცენტო განაკვეთის გაზრდა, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება და სხვ.), აქტიური პოლიტიკა (მისი არსი მდგომარეობს ფულის გაუფასურების და ფასების ზრდის შეზღუდვაში, ხოლო ინსტრუმენტებია: ფულადი ემისიის კონტროლი, ბიუჯეტის ემისიური დაფინანსების დაუშვებლობა, ფულის მასაზე მიმდინარე კონტროლის დაწესება ღია ბაზარზე ოპერაციების განხორციელებით, ფულადი სურროგატების გამოყენების აკრძალვა, კონფისკაციური ხასიათის ფულადი რეფორმის განხორციელება) და ადაპტირების პოლიტიკა (მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბაზრის ყველა სუბიექტი, საოჯახო მეურნეობები, ფირმები, სახელმწიფო და სხვები, თავის



ქმედებებში ითვალისწინებენ ინფლაციურ პროცესებს, პირველ რიგში იმით, რომ გადაითვლიან ხოლმე იმ დანაკარგებს, რომლებიც გამონვეულია ფულის მსყიდველობითი უნარიანობის შემცირებით, ხოლო ინსტრუმენტარი გულისხმობს ინდექსაციის გამოყენებას, შეთანხმებას პროფკავშირებთან და მენარმებთან ხელფასის და ფასების ზრდის ტემპების თაობაზე; საპროცენტო განაკვეთის ინფლაციის დონის სიდიდით გაზრდას). ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარების ხასიათისა და ტემპების მიხედვით ცნობილია „შოკური თერაპია“ (მისი არსია ფულადი მასის შემცირება და ფულადი რეფორმის გატარება, ხოლო ინსტრუმენტებია დეველვაცია, ნულიფიკაცია, დენომინაცია) და „გრადუირების“ პოლიტიკა, რომლის არსია ფულის მასის თანდათანობითი შემცირება, ხოლო ინსტრუმენტი — ფულადი შემოსავლების ინდექსაცია. გატარების ადგილმდებარეობის მიხედვით ანტიინფლაციური პოლიტიკა იყოფა გარე (რომლის არსებითი ნიშნებია ის რომ მას ატარებენ მთავრობა ან ცენტრალური ბანკები და რომელიც მოიცავს სამ ძირითად ვარიანტს: შემოსავლების პოლიტიკას, შემზღუდველ ფისკალურ პოლიტიკას; შემზღუდველ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. მისი განხორციელების დროს იყენებენ შემდეგ ინსტრუმენტებს: ხელფასების და სხვა სახის შემოსავლების შეზღუდვა; სახელმწიფო „შესყიდვები“; გადასახადები; ტრანსფერები; აუცილებელი რეზერვების ნორმის ცვლილება; საპროცენტო განაკვეთის ცვლილება; ღია ბაზარზე ოპერაციების განხორციელება) და შიდა (თვითრეგულირება შიდა მექანიზმების ამოქმედების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებას: ხისტი და რბილი საბიუჯეტო შეზღუდვები; ფარდობითი რეალური შემოსავლების განონასწორება; რესურსების ფარდობითი სიჭარბე და მათი კვლავწარმოებადობა გრძელვადიან პერსპექტივაში; ბაზრების კონკურენტულობის ზრდა) პოლიტიკად. ანტიინფლაციური პოლიტიკა, გატარების დროითი პერიოდის მიხედვით, იყოფა გრძელვადიან და მოკლევადიან პოლიტიკად. გრძელვადიანი პოლიტიკის არსი მდგომარეობს მოსახლეობის ინფლაციური მოლოდინების შეზღუდვა-ჩაქრობაში, ხოლო ინსტრუმენტებია გასახადების გაზრდა, სახელმწიფო ხარჯების შეკვეცა, ფულადი მასის ლიმიტის დაწესება და ფულადი ფაქტორების ზეგავლენის შესუსტება. მოკლევადიან პერიოდში პოლიტიკის არსია ინფლაციის ტემპის დროებითი კლება, ხოლო

ინსტრუმენტებია ჯამური მიწოდების გაფართოება მთლიანი მოთხოვნის გაზრდის გარეშე (სანარმოებისთვის შეღავათების დაწესება); საკუთრების ნაწილობრივი პრივატიზაცია; დიდი რაოდენობით ახალი კერძო სანარმოების აქციების გაყიდვა და სხვა.

ზემოთ წრმოდგენილი ინფლაციის მრავალგანზომილებიანი და მრავალასპექტიანი განხილვა სამწუხარად ვერადავერ იქნება (დამატებით, ანტიინფლაციური პოლიტიკის არჩევანის განმსაზღვრელი ფაქტორების, ანალიზით შევსებულიც კი) საკმარისი იმისათვის, რომ რომელიმე ქვეყნის ხელისუფლებამ ავტომატურად განახორციელოს წარმატებული ანტიინფლაციური პოლიტიკა. ეს ვერ განხორციელდება თუ არ შეიქმნება შესაბამისი მართვის სისტემა, თავისი ყველა ატრიბუტით და არ განხორციელდება მისი საჯარო, გახსნილ ინსტიტუტად დაფუძვნება და განვითარება. ეს ინსტიტუტია შეიძლება ატარებდეს სხვადასხვა ეფექტურ, მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკაში კარგად ცნობილ, ფორმებს. მან შეიძლება მიიღოს ეგრეთწოდებული სტრატეგიული სამეურნეო ერთეულის სახე, დამოუკიდებელი სახელმწიფო პროექტის სახე ან ისეთი გამოცდილი სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემებში და მოქნილი ინსტიტუციის სახე როგორსაც მიზნობრივი პროგრამა წარმოადგენს. ამ ჩამონათვლიდან ნებისმიერის არჩევის შემთხვევაში მისთვის კრიტიკული მნიშვნელობის იქნება, რომ ამ ორგანიზაციას ჰყავდეს ერთი ხელმძღვანელი და იმავდროულად პასუხისმგებელი პირი; ასევე კრიტიკული მნიშვნელობის იქნება, რომ მის სტრუქტურაში მოქნილად იყოს შერწყმული ყველა ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება (უნივერსიტეტების ჩათვლით) და არა მხოლოდ ცალკეული ექსპერტები (ამის გადაუდებელი აუცილებლობა არსებობს იმის გამო, რომ ფენომენი, რომელსაც ჩვენ ამ სტატიაში ვიხილავთ სინამდვილეში გაცილებით ინტერდისციპლინარულია თავისი არსით და საზოგადოების პრაქტიკაზე ზემოქმედებით, ვიდრე სხვა, ეკონომიკური, თეორიების და პრაქტიკების ნიაღში აღმოცენებული და იქიდან, სრულიად საზოგადოებრივ მოვლენად, გადაქცეულ სხვა ფენომენი. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის თავისი პრობლემურობით და მნიშვნელოვნობით იმავე ადგილზე მაინც არის, როგორც უკვე დიდი ხანია მოიაზრება შრომის (დასაქმების, უმუშევრობის) ეკონომიკური კატეგორია და პრაქტიკა. ასევე კრიტიკული მნიშვნელობის ელემენტია, მართ-

ვის საჭიროებებიდან გამომდინარე, ცოდნის მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი პერმანენტული სრულყოფა, რომელიც საბოლოო ჯამში უნდა გარდაიქმნას ინფლაციის საექსპერტო სისტემად და საბოლოოდ ჩამოყალიბდეს ავტომატურ წინმსწრებ რეჟიმში მაუნყებელ ნაწილობრივ ავტომატურ დიაგნოსტიკურ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ მართვის კომპიუტერულ სისტემად. ეს სისტემა ექსპერიმენტალური კვლევების პლატფორმა გახდება, რომელზეც შესაძლებელი იქნება, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი, მიუხედავად შთამბეჭდავი მოცულობისა, მაინც არასრულყოფილი და მნიშვნელოვანი დანაკლისებით (აქ საკმარისია გავისხენოთ მაგალითად ლუდვიგ ფონ მიზესის დოქტრინები, იანოშ კორნაის ორდონიანი მიდგომა, ყოფილი საბჭოთა კავშირისთვის დამახასიათებელი სასაქონლო დეფიციტში გამოვლენილი ფარული ინფლაცია და სხვა უახლესი და არცთუ ისე შორეულ წარსულში შექმნილი თეორიები, მოდელები და მათ ბაზაზე განხორციელებული პრაქტიკები და პოლიტიკები) წარმოდგენილი კონცეფციების, ინსტრუმენტების, მოდელების ან/და მათი ნებისმიერი კომბინაციების სისტემატური ანალიზი და ახალი თეორიების, მოდელების, პრაქტიკების და პოლიტიკების გენერირება. როგორც ცნობილია ასეთი კომპიუტერული სისტემის შექმნის პროცესი სხვა სიკეთესთან ერთად სისტემის მაორგანიზებელ-წარმომქნელ როლსაც ითამშებს და ერთმანეთთან შეადუღაბებს მართვის მთლიანი სისტემის ცალკეულ კომპონენტებს. ის შექმნის ინფლაციის მართვის საჯაროობის მომსახურების მატერიალურ წინაპირობასაც და გამოყენებული იქნება ინფლაციის სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მონიტორინგის ინსტიტუტის შესაქმნელად. ამ სისტემის არსებობა

სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს და სოციალურ ფენებს მისცემს საშუალებას მიმართონ მას, როგორც ადამიანური ფაქტორის ნეგატიური მხარეებისგან განთავისუფლებულ, მიუკერძოებელ ავტორიტეტს, ინტერაქტიური, პირდაპირი წვდომის რეჟიმში. საჯაროობისთვის და შედეგად ინფლაციის არაბიფურკაციული მართვისთვის ამ კომპიუტერული სისტემის ასევე ერთ-ერთი უდიდესი ღირებულება იმაშიც იჩენს თავს, რომ მისი ლინგვისტური უზრუნველყოფის შექმნის დროს შეიქმნება ჩვენი განხილვის საგანთან დაკავშირებული თეზაურუსი, რომელიც მთელს საზოგადოებას შესთავაზებს საერთო, ვერიფიცირებულ ოპერიაციონალურ საკომუნიკაციო ტერმინოლოგიას, რაც ესოდან კრიტიკული მნიშვნელობისაა ინფლაციის მეცნიერული მართვისთვის, რომელიც დღეს პირველ, გაუბედავ, ნაბიჯებს დგამს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე. და სხვები, სტრატეგიული მენჯმენტი, თბილისი, 2013, 434 გვ.
2. როდე ე., ბანკები, ბირჟები და სავალუტო ოპერაციები კაპიტალისტურ ქვეყნებში, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება, გამომცემლობა „სარანგი“, ქუთაისი, 1993. 436 გვ.
3. Friedman M., Inflation and Unemployment: Nobel lecture, 1977, Journal of Political Economy, Vol. 85, pp. 451-472;
4. Samuelson P., Solow R., Analytical Aspects of Anti-inflation Policy, American Economic Review, 1960, May, pp. 177-194;
5. Чалых Е.В. Показатели инфляции. Теория и практика функционирования финансовой и денежно-кредитной системы России, материалы международной научно-практической конференции, Воронеж, 2009г.. – С. 210-214.

# სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის კონცეპტუალური საკითხები

ნაზი ჭიკაიძე — სტუ-ს ასოცირებული პროფესორი  
ნანი მამპორია — სტუ-ს უფროსი მასწავლებელი

## რეზიუმე

სოციალური უსაფრთხოება სოციალური სისტემის ფუნქციონირების, კვლავნარმოებისა და განვითარების უსაფრთხოების ოპტიმალური დონის მიღწევის მდგომარეობაა, რომელიც მიიღწევა სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ განხორციელებული პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, იდეოლოგიური, ორგანიზაციული, სოციალურ-ფსიქოლოგიური ზომების ერთობლიობით, რომლებიც იძლევიან საზოგადოებაში არსებული კონსტიტუციური წყობისა და სოციალური სტაბილურობის შენარჩუნების საშუალებას.

სოციალური უსაფრთხოება ორიენტირებული უნდა იყოს საზოგადოების განვითარების შესაბამისი მიზნებისა და მიმართულებების უზრუნველყოფაზე, პიროვნების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და მისი ინტერესების დაცვაზე, დესტრუქციული პროცესებისა და მოვლენების თავიდან აცილებაზე, სოციალური სტრუქტურის ყველა ელემენტის ურთიერთკავშირში ჰუმანიზმისა და ჰარმონიის პრინციპების საფუძველზე.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური უსაფრთხოება, ცხოვრების დონე, სოციალური სიკეთე, პრევენცია, დაზღვევა, რისკი.

## Conceptual Issues of the Social Security Policy

Nazi Chikaidze  
Associate Professor of GTU  
Nani Mamporia  
Senior Teacher of GTU

## Summary

Social security is a situation of the achievement an optimal level of function social system, reproduction, and security of development. It can be reached by the combined measures of the state and the society on the political, legal, economic, ideological, organizational, social and psychological levels. They provide the maintained of the public constitutional order and social stability.

Social security should be focused on the goals of development of society and directions to ensure the satisfaction person's needs and its interests, and the prevention of destructive processes, on the principles

of harmony every element of social structure and on the humanity relationship.

საქართველოს უახლესი ისტორიის ძირითადი მახასიათებლები სახელმწიფოს სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის ახლებურ გააზრებას მოითხოვს, რათა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ევროინტეგრაციის სტრატეგიის ვალდებულებებთან.

მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოება წარმოადგენს სამართლებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამედიცინო, ზნეობრივი და ფსიქო-სოციალური გარანტიების სისტემას, რომელიც შრომისუნარიან მოსახლეობას უქმნის თანაბარ პირობებს ცხოვრების დონის ასამაღლებლად, მათი პირადი შრომითი წვლილის, ეკონომიკური დამოუკიდებლობის და ინიციატივების საფუძველზე, ხოლო ტრადიციული რისკის მქონე ჯგუფებისთვის (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მარტოხელა დედები, დევნილები, პენსიონერები, მრავალშვილიანი ოჯახები და ა.შ.), თვითრეალიზაციის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, აწესებს სხვადასხვა სახის შეღავათებს, შემწეობებსა და დახმარებებს.

თანამედროვე საქართველოში სოციალური უსაფრთხოება შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყოს მის მიღწევაზე მიზანმიმართული პოლიტიკით და სახელმწიფოსა და საზოგადოების ქმედებით. ამისთვის აუცილებელია ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები, მათ შორის: ეკონომიკური ზრდა, მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა, დემოგრაფიული კრიზისის დაძლევა, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის განათლების, ჯანდაცვის სისტემის, კულტურის სფეროს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, პიროვნების უსაფრთხოების ქმედითი სისტემის შექმნა, მოქალაქეთა ქონების დაცვა.

მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების ძირითადი ორიენტირებია:

- ტრადიციული რისკის მქონე კატეგორიებისათვის თვითრეალიზაციის თანაბარი პრობებით უზრუნველყოფა (სხვადასხვა სახის დახმარებების და შეღავათების სქემების შემუშავება);

- ეკონომიურად აქტიური კონტიგენტისათვის თვითდაცვითი პირობებით უზრუნველყოფა;
- სოციალური სფეროს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და მისი მარეალიზებელი სტრუქტურების ამოქმედება (მოსახლეობის პროფესიული ორიენტაცია, პროფესიული მომზადება-გადამზადება, ფსიქოლოგიური დაცვა, სადაზღვევო სქემების ამოქმედება და ა.შ.).

ამ ეტაპზე სოციალური უსაფრთხოების სტრატეგიად უნდა ვაღიაროთ ქვეყნის მოსახლეობის, ოჯახზე ორიენტირებული სოციალური უსაფრთხოების ერთიანი, საბაზისო ავტომატიზირებული მოდელის შემუშავება; სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ფსიქოლოგიური მდგომარეობების, პრიორიტეტების, პრევენციული ღონისძიებების, აქცენტების და ინდიკატორების განსაზღვრა.

სოციალური უსაფრთხოების ტაქტიკად კი უნდა მივიჩნიოთ ტრადიციული რისკის მქონე ფოკუს ჯგუფების შესახებ სრული საინფორმაციო, საბაზისო მონაცემების მოკრება, ქონებრივი და შემოსავლების ცენზის დადგენა.

სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ორიენტირებული უნდა იყოს მოსახლეობის ცხოვრების დონის თანმიმდევრობით განვითარებაზე, სოციალური დისკრიმინაციის შემცირებაზე, ძირითად სოციალურ სიკეთეებზე თანაბრად ხელმისაწვდომობაზე და პრევენციულ ღონისძიებებზე, რაც გულისხმობს:

- მაღალხარისხიან განათლებას და სამედიცინო მომსახურებას;
- მოსახლეობის პირველადი, სასიცოცხლოდ აუცილებელი, ინდივიდუალური მოთხოვნილებების უზრუნველყოფას;
- საზოგადოების პოლარიზაციისა და სიღარიბის შემცირებას, შემოსავლების გაზრდას, ღირსეული დასაქმების შესაძლებლობათა ხელშეწყობის ფონზე;
- ტრადიციული რისკის მქონე მოსახლეობის მიზნობრივი სოციალური უსაფრთხოების სქემების სრულყოფას.

პერსპექტივაში სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა გახდეს იმ ღონისძიებათა განუყოფელი ელემენტი, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი სოციალური გარემოს ფორმირებას და სოციალურ-ეკონომიკური რისკებისაგან მოსახლეობის დაცვას.

სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა განხორციელდეს ორი ძირითადი ორგანიზაციული პრინციპით:

- დაზღვევის პრინციპი;
- მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პრინციპი.

**დაზღვევის მიზანია:** სოციალური სადაზღვევო რისკების მკაფიოდ განსაზღვრული კატეგორიების შექმნა; სადაზღვევო რისკების ფინანსური გარანტიების გამჭვირვალე სისტემის შექმნა.

**მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზანია:** სიღარიბესთან ბრძოლა; სოციალური თანასწორობის მიღწევა და ფოკუს ჯგუფებისადმი მიზნობრივი დახმარება.

სადღეისოდ, საქართველოს მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხორციელდება არასრული საფინანსო გარანტიით შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ფედერალური და მუნიციპალური სამედიცინო დახმარება;
- მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის შრომის დაცვა და დასაქმებით დახმარება; საყოფაცხოვრებო საჭიროებების არაფულადი დახმარება;
- სხვადასხვა სახის ფინანსური დახმარებები.

საყურადღებოა, რომ მოსახლეობის სოციალურ უსაფრთხოებაზე გამოყოფილი თანხები ვერ უზრუნველყოფს ვერც ერთი სოციალური პრობლემის მოგვარებას, რაც უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა თავისი სოციალურ-ეკონომიური შედეგებით საკმაოდ არაეფექტურია და რადიკალურ რეფორმირებას მოითხოვს.

**რეფორმა უნდა ითვალისწინებდეს:**

- არსებული ფინანსების ხარჯვას პრიორიტეტების მიხედვით,
- ალტერნატიული დაფინანსების მოზიდვას;
- მოსახლეობის სოციალური უფლებების დაცვის ცივილურ დონემდე აყვანას;
- სოციალური უსაფრთხოების სქემების მართვის ოპტიმიზაციას.

მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების სისტემის განვითარება შესაძლოა განხორციელდეს ეტაპობრივად, ვალდებულებების საფეხურებრივ დონეებზე დაყოფის ფონზე. შესაძლებელია გამოიყოს მოსახლეობის სოცია-

ლური უსაფრთხოების სახელმწიფო ვალდებულებების შემდეგი პირობითი დონეები:

- ნულოვანი დონე — სახელმწიფოს ზოგადი ვალდებულება მთელი მოსახლეობისათვის;
- პირველი დონე — დამატებითი სახელმწიფო ვალდებულება ტრადიციული რისკის მქონე კატეგორიისადმი;
- მეორე დონე — ნებაყოფლობითი დამატებითი ღონისძიებების ხელშეწყობაზე ვალდებულება სახელმწიფოს მხრიდან (ნებაყოფლობითი სოციალური სადაზღვევო პროგრამები, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივები და ა.შ.);
- მესამე დონე — სრულყოფილი სოციალური უსაფრთხოების განსაზღვრის სტანდარტირება, როგორც ვალდებულება ძირითად ორიენტირზე.

**სახელმწიფო ვალდებულებების პირობითი დონეები უნდა შეჯერდეს:**

- სიღარიბისა და სიღატაკის რეალურ კრიტერიუმებთან;
- სოციალური უსაფრთხოების ფორმების პრიორიტეტებთან;
- საზოგადოებრივ აზრთან, სოციალური საჭიროებების მოთხოვნილებების შესაბამისად;
- დაფინანსების წყაროებთან და მოცულობასთან.

მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების დიფერენცირების ძირითადი პრინციპები უნდა

ეყრდნობოდეს შემდეგ ძირითად — სტაბილურ, გარდამავალ და დინამიურ პარამეტრებს: ძირითადი პარამეტრებია: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ფიზიკური მდგომარეობა; თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. გარდამავალი პარამეტრებია: დემოგრაფიულ-სოციალური მდგომარეობა; ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა; მოსახლეობის სოციალური დახმარების პრიორიტეტული კონტიგენტის განსაზღვრა. დინამიური პარამეტრები უნდა ეყრდნობოდეს მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების ძირითადი მიმართულებების პრიორიტეტულ დონეებს, სადაც ნებისმიერი ღონისძიება აღქმული იქნება არა დახმარების ან შეღავათის კუთხით, არამედ მოსახლეობის მოცემული კატეგორიისათვის თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფის პოზიციიდან.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ვანიშვილი მ., სოციალური ეკონომიკა, თბ., 2013.
2. საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, თბ., 2006. 29 დეკემბერი
3. [www.hwngo.org.ge/publications](http://www.hwngo.org.ge/publications).

## ფასიანი ქალაქების ბაზარი და ინტერნეტ-ტექნოლოგიების როლი მის ფუნქციონირებაში

თამარ ჩაჩანიძე — სტუ-ს დოქტორანტი

### რეზიუმე

თანამედროვე ინტერნეტ-ტექნოლოგიების გავლენით მსოფლიოში ხდება ბიზნესის მართვის პროცესების ფუნდამენტური სტრუქტურული გარდაქმნები. მნიშვნელოვანწილად, ეს ცვლილებები შეეხო ფინანსურ სფეროსაც, რომელიც თავისი ბუნებით არის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ელექტრონული კომერციისთვის, რადგან იგი იძლევა თითქმის ყველა პროცესის სრული ავტომატიზაციის საშუალებას.

ინტერნეტი – ეს არის არაფორმალური გლობალური კომპიუტერული ქსელი, რომელიც აერთიანებს მილიონობით მომხმარებელს და წარმოადგენს ღია სისტემას, არ გააჩნია რაიმე სახის ცენტრი, საიდანაც იგი შეიძლება კონტროლდებოდეს. ინტერნეტი უზრუნველყოფს კავშირის რამდენიმე საშუალებას. ყოველი მათგანი ხასიათდება ინფორმაციის მყისიერი გადაცემით. ამისთვის კი საჭიროა მხოლოდ კომპიუტერი და ინტერნეტთან კავშირი.

ელექტრონული ვაჭრობა მსოფლიო საფონდო ბირჟის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ინტერნეტი ნელ-ნელა გადაიქცა ფინანსური ტრანზაქციებისა და ინვესტიციების გლობალურ გამანაწილებელ სივრცედ. ინტერნეტ-ტექნოლოგიების საშუალებით ფასიანი ქალაქების შექმნა, რაც მთელს მსოფლიოში აღიარებულია თავისუფალი კაპიტალის დაბანდების საუკეთესო საშუალებად, ხელმისაწვდომი გახდა ყველა მსურველისათვის. სულ რაღაც რამდენიმე წამშია შესაძლებელი საინვესტიციო პორტფელის შექმნა და აქტივების მართვა, ყველა საჭირო ინფორმაციის მიღება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

**საკვანძო სიტყვები:** ფასიანი ქალაქები, საფონდო ბირჟა, ნლინე-ტრეიდინგი, საბაზრო ეკონომიკა, დილერი, საბროკერო ფირმები, ინვესტიციები.

ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი პირობაა ფინანსური ბაზრების განვითარება. განვითარებული ფი-

ნანსური ბაზრები ქვეყანაში საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვის, ინვესტიციების ზრდის და ადგილობრივი ფინანსური რესურსის ეფექტიანი გადანაწილების წინაპირობაა. საქართველოში ფინანსური ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია. ბიზნესისთვის ფინანსური რესურსის მოზიდვის ძირითად წყაროს კომერციული ბანკებიდან აღებული სესხი წარმოადგენს, ხოლო სააქციო კაპიტალით დაფინანსების წყარო შედარებით გამოუყენებელია. ფასიანი ქალაქების ბაზრის განვითარება მთავრობის მიერ გამოცხადებულ ქვეყნის განვითარების სტრატეგიაშია ასახული და პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს [4].

საბაზრო ეკონომიკის არსებობა ფასიანი ქალაქების ბაზრის, ანუ საფონდო ბაზრის გარეშე წარმოუდგენელია. მოგეხსენებათ, ფასიანი ქალაქი არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საკუთრების უფლებას ან სასესხო დამოკიდებულებას დოკუმენტის გამომშვებ პირსა და მის მფლობელს შორის [1].

ეკონომიკური თვალსაზრისით ფასიანი ქალაქები შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც კაპიტალის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც აიოლებს მის გადანაწილებას, შეუძლია მიმოქცევაში იყოს როგორც საქონელი და მოიტანოს შემოსავალი [1].

საფონდო ბირჟა – ესაა მექანიზმი, რომელიც თავს უყრის ფასიანი ქალაქების მყიდველებს და გამყიდველებს. საფონდო ბირჟისა და ფასიანი ქალაქების ბაზრის ცნებები ერთიდაიგივეა.

ფასიანი ქალაქების ბაზარი დაკავშირებულია ისეთი სახის ბაზრებთან, როგორცაა კაპიტალის ბაზარი, ფულადი ბაზარი, ფინანსური ბაზარი. ტრადიციულად ამ ბაზრებზე წარმოადგენილია ფულადი რესურსების მოძრაობა.

ფასიანი ქალაქებით ვაჭრობა ინტერნეტის მეშვეობით – ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად საქონელს ქსელში წარმოადგენდა და წარმოადგენს აშშ-ს ფასიანი ქალაქები. ინტერნეტში მსგავსი მომსახურების ძირითადი მომწოდებლები არიან დისკაუნტ-ბროკერები და საბროკერო კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფასიანი ქალაქების შექმნა-

რელიზაციას კლიენტის მოთხოვნისამებრ გარკვეული საკომისიო გადასახადის ფასად. ეს კომპანიები კლიენტს მხოლოდ და მხოლოდ ეხმარებიან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის პროცესში და არანაირ მონაწილეობას არ იღებენ მათ შემდგომ დაბანდება-განკარგვაში. დისკაუნტ-ბროკერები ბაზარზე გამოჩნდნენ ინტერნეტის გაჩენამდე გაცილებით ადრე და ორიენტირებულები იყვნენ ძირითადად იმ ინვესტორებზე, რომლებიც უპირატესობას ანიჭებდნენ დამოუკიდებლად ბაზრის ანალიზს, დამოუკიდებლად გადანყვეტილებების მიღებას და შესაბამისად ბაზარზე ოპერირებდნენ მცირე თანხებით. გარიგებების შესახებ ბრძანებები გაიცემოდა ტელეფონის საშუალებით, ხოლო გარიგებების ანგარიშების დაგზავნა ხდებოდა ფოსტის საშუალებით. თუმცა, ინტერნეტის განვითარების შემდეგ ინფორმაციის გაგზავნის სერვისი აღმოჩნდა ნამდვილად მოთხოვნადი [1].

პირველ რიგში ინტერნეტის საინფორმაციო და ანალიტიკური რესურსები სადღეისოდ საშუალებას გვაძლევს ჩავატაროთ ბაზრების დამოუკიდებელი ანალიზი ისეთი ინფორმაციისა და საშუალებების გამოყენებით, რომლებიც ადრე ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ პროფესიონალებისთვის. მეორეც, WallStreet-ის წამყვანი ანალიტიკოსებისა და ტრეიდერების რჩევების მოძებნა ნებისმიერ აქციაზე სავსებით შესაძლებელია ინტერნეტის ქსელში. მესამე, ვისაც არ აქვს დრო, რომ დამოუკიდებლად აწარმოოს ანალიზი, შეუძლია ისარგებლოს სპეციალური საიტებით, რომლებიც რეკომენდაციებს იძლევიან ყიდვა-გაყიდვაზე სიგნალების ტექნიკური ანალიზის საფუძველზე, როგორცაა მაგალითად საიტი [www.tradehard.com](http://www.tradehard.com). მეოთხე, მსგავს კომპანიებში პირადი საბროკერო ანგარიშის გახსნისთვის საჭირო სანყისი კაპიტალი მერყეობს რამდენიმე ასეული დოლარის ფარგლებში, ხოლო საკომისიომ შესაძლოა მიაღწიოს 0.005%-ს გარიგების თანხიდან [1].

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის საქართველოს ფასიანი ქაღალდებით დაინტერესებული ინვესტორებისთვის მსგავსი სერვისი ხელმისაწვდომი არ არის, მისი განვითარების სისწრაფის გამო, მთელს მსოფლიოში, უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს ბაზარზეც გაჩნდებიან დისკაუნტ-ბროკერები.

თანამედროვე ინტერნეტ-ტრეიდიგის (ვაჭრობა ინტერნეტის მეშვეობით იგივე ონლაინ-

ვაჭრობა) ზოგადი დებულებები – ინტერნეტ-ტრეიდიგმა პირველად მოიპოვა პოპულარობა 90-იან წლებში, როგორც ტექნოლოგიამ, რომელიც საშუალებას იძლევა, გაამარტივოს და დააჩქაროს პროცესი კერძო ინვესტორების მიერ ფასიანი ქაღალდებით ოპერაციისას, ასევე როგორც ძალიან მომგებიანმა ბიზნესმა. საბოლოოდ, ამან გამოიწვია მსოფლიო საფინანსო ბაზრების ფუნქციონირების ეკონომიკური მოდელებისა და კონცეფციების გადასინჯვა, პრინციპულად ახალი კონკურენტული გარემოს წარმოქმნა, ტექნოლოგიური სტანდარტების შემუშავება, ახალი მოტამაშეების, სავაჭრო ადგილების და საფინანსო ინსტრუმენტების გაჩენა.

Online-ტექნოლოგიებმა დროულად მოუსწრო დისკაუნტ-ბროკერებს. ამ სიმბიოზის შედეგად ეს ბიზნეს-მოდელი აღმოჩნდა ეკონომიკურად მოთხოვნადი და მეტიც, ფაქტიურად შეიქმნა მომსახურების ახალი ბაზარი. ინტერნეტ-ტრეიდიგი, ისევე, როგორ ნებისმიერი ინტერნეტ-ბიზნესი, იზრდება ბრუნვის ხარჯზე. ამუშავდა შეკრული ჯაჭვი, რაც უფრო ნაკლებია საკომისიო და მარტივია ტექნოლოგია, მით მეტია კლიენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მეტია ტრანზაქცია, მეტია მოგება, იმისდამიუხედავად, რომ საკომისიო მუდმივად მცირდება. ბროკერების გვერდით მაშინვე გაჩნდნენ ფინანსური ინფორმაციის მიმწოდებლები, დაიწყო ახალი ჟურნალების, წიგნების გამოცემა, იმართება კონფერენციები, იხსნება სასწავლო და კონსალტინგური ცენტრები და ა.შ. აღმოცენდა მომსახურებათა მთელი რიგი დარგი. მეორე მხრივ, ამ ბიზნესმა, რომელმაც აამოძრავა კლიენტთა ახალი ფენა. საფონდო ბაზარზე მიიზიდა კერძო ინვესტორების მასები. მოთხოვნა აქციებზე შეუქცევადად ზრდიდა აქციების კოტირებას, ხელს უწყობდა მაღალ ლიკვიდურობას და მიგვიყვანა საინვესტიციო ეიფორიამდე. ბევრი ანალიტიკოსი თვლის, რომ ეს ფენომენი იყო აშშ-ს საფონდო ბაზრის წინსვლის ძირითადი მიზეზი ბოლო წლებში.

მომხმარებელთა მხრიდან ამ მომსახურების მოთხოვნადობას ადასტურებს საფონდო ბირჟის რეაქციაც. მაგალითად, ცნობილი საბროკერო კომპანია Charles Schwab ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ იყო აუტსაიდერი. თუმცა, დროულად გაერკვა რა ტენდენციაში და გადაეწყო მომსახურების მიწოდებაზე ონლაინ-რეჟიმში, გახდა წამყვანი ონლაინ საბროკერო კომპანია მსოფლიოში. Charles Schwab ახლა ემსახურება 3.3 მილიონ საინვესტიციო ანგარიშს

და ასრულებს დაახლოებით 180 ათას ტრანზაქციას დღეში [2].

აღსანიშნავია, რომ ინტერნეტ-ტექნოლოგიების დანერგვით შემცირდა საბაზრო სიტუაციებზე გადანყვეტილების მიღებისა და მათზე რეაგირების დრო ბაზრის მონაწილეების მიერ. გარიგებების რაოდენობის მკვეთრი ზრდის გამო გაიზარდა კაპიტალის ბრუნვა. საინვესტიციო სტრუქტურულმა ცვლილებებმა ახალ ტექნოლოგიებთან ერთად გამოიწვია ბაზრის ხასიათისა და დინამიკის ცვლილება. ტექნიკური ანალიტიკოსებიც კი საყოველთაოდ აღიარებენ, რომ ნაცადი და გატესტირებული მოდელები უკვე აღარ მოქმედებს. მსოფლიო საფინანსო ბაზრები აქტიურად გადადიან განვითარების ახალ „საცალო“ მოდელზე, გადაწყობენ რა თავის ინფრასტრუქტურას ინდივიდუალურ ინვესტორზე.

ვაჭრობის ორგანიზების ახალი პრინციპები მოითხოვს მათი ბრუნვის ახალი ინსტრუმენტებისა და წესები შემუშავებას. აშშ-სა და ევროპაში მკვეთრად აჩქარდა ახალი სავაჭრო ადგილების შექმნის პროცესი, მათ შორისაა ალტერნატიული სავაჭრო სისტემები (ATS) და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი (ECN), გაიზარდა კონკურენცია მათ შორის [3].

ვინაიდან ინტერნეტი მომხმარებელს წვდომის ერთი წერტილიდან შეუზღუდავი რაოდენობის ინტერაქტიული მომსახურების საშუალებას აძლევს, ამიტომ ბიზნესის განვითარება

(კერძოდ კი ინტერნეტ-ტრეიდინგის განვითარება) ეფუძნება „ფუნქციური სისრულის“ პრინციპს, რაც ნიშნავს, რომ კომპანიები ისწრაფვიან, თავიანთ საიტზე გააერთიანონ მომსახურებათა იმგვარი სრული კომპლექტი – საბანკო, საინვესტიციო, სადაზღვევო, საინფორმაციო, რომ კლიენტს არ გაუჩნდეს სხვა ფორმებთან ურთიერთობის საჭიროება.

ამგვარი სრული მომსახურების მქონე ფინანსური კომპანია, ფაქტობრივად, ღებულობს შესაძლებლობას, აკონტროლოს კლიენტის ნებისმიერი ფულადი ოპერაცია. ყოველივე ამის შედეგად ბროკერებისა და საბროკერო ფორმების საკმაო რაოდენობა იქცა პარტნიორად.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://works.tarefer.ru/102/100423/index.html>
2. <http://www.aup.ru/books/i003.htm>
3. [https://en.wikipedia.org/wiki/Electronic\\_trading](https://en.wikipedia.org/wiki/Electronic_trading)
4. <http://www.radiotavisupleba.ge/content/>  
ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში



# საქართველოში ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ბანმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები

ირინა ბენია — სტუ-ს დოქტორანტი  
რიკა ბენ იაკოვ — სტუ-ს დოქტორანტი

## რეზიუმე

რამდენადაც საქართველოს ეკონომიკის მომავალზე დიდადაა დამოკიდებული მძიმე ეკონომიკური, სოციალური და სხვა ტიპის პრობლემების გადაწყვეტა, კონკურენტუნარიანობის მიღწევა მისთვის მეტად მნიშვნელოვანია. იმისათვის, რომ საქართველოს ეკონომიკამ შეძლოს სწრაფი წინსვლა, აუცილებელია მისი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განვითარება. ეროვნული მთავრობა, კერძო ბიზნესი, შესაძლებლობები, მოთხოვნა და კონკურენცია ქმნიან ერთიან ინტეგრირებულ სტრუქტურას, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად. რეგიონები და არა ქვეყნები წარმართავენ მსოფლიო ეკონომიკას. იმისათვის, რომ ქვეყანა გაუმკლავდეს ეკონომიკურ სირთულეებს და ამ გზაზე წარმატებებს მიაღწიოს, დიდად არის დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს იგი ინოვაციური მიდგომების დანერგას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

### The main determinants of the business competitiveness in Georgia

Irina Benia  
Rivka Ben Yaakov

#### Summary

To achieve competitive advantage is the main goal of our country as for Georgia's future economy it's very important to solve hard economic, social and the other type of problems. Our country's fast economic development needs hard sustainability. National government, private business, opportunities, demand and competitiveness make united integrated structure, which operates in accordance to the governmental interests. Regions and not the countries lead the world economy. Georgia's ability to resist economic obstacles and maintain success on this way is depended on the implementation of novation and strengthening of the competitiveness level.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალიზაცია, ბიზნესი, ინოვაცია, კონკურენტუნარიანობა, ეროვნული ეკონომიკა, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი.

გასული საუკუნის ბოლო წლებიდან დღემდე მსოფლიო ეკონომიკა გლობალიზაციის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს. ეს პროცესი, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და, შესაბამისად, ამარტივებს რესურსებისა და საქონლის მოძრაობას, რაც ეროვნული ეკონომიკების წინაშე სახავს ახალ ამოცანებს — აწარმოონ ისეთი ხარისხისა და ფასის საქონელი, რომლითაც შეძლებენ კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების მიღწევას.

ჰარვარდის ბიზნეს სკოლის პროფესორის მაიკლ პორტერის აზრით, ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამოსავალი წერტილია კომპანიების კონკურენტუნარიანობა, ისეთი ფირმების არსებობა, რომელთაც მინიმალური დანახარჯებით მაღალხარისხიანი და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოების უნარი აქვთ.

კონკურენტუნარიანი ფირმების არსებობა გამოიწვევს კონკურენტუნარიანი დარგების ფორმირებას, რაც განაპირობებს ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას საერთაშორისო ბაზარზე.

თუ რა იგულისხმება ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ქვეშ, მაიკლ პორტერი ამას შემდეგნაირად აყალიბებს:

1. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაღალი, საშუალოვადიან პერიოდში სტაბილური ტემპების მიღწევის უნარი;
2. წარმოების ფაქტორთა მწარმოებლურობა;
3. ქვეყანაში წარმოებული საქონლის და შესაბამისად მწარმოებლების უნარი კონკურენცია გაუწიონ სხვა ქვეყნებში წარმოებულ ანალოგებს მსოფლიოს სხვადასხვა (მათ შორის შიდა) ბაზრებზე.<sup>1</sup>

პორტერის აღმასის მოდელი „Diamond Model“-ის თანახმად გლობალურ პირობებში კონკურენტული უპირატესობა დამოკიდებულია კერძო ბიზნესის წარმატებულ საქმიანობაზე.

ეროვნული მთავრობა, კერძო ბიზნესი, შესაძლებლობები, მოთხოვნა და კონკურენცია ქმნიან ერთიან ინტეგრირებულ სტრუქტურას, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოებრივი ინ-

<sup>1</sup> Porter, M., On Competition, Harvard Business School Press; (1998).

ტერესების შესაბამისად. რეგიონები და არა ქვეყნები წარმართავენ მსოფლიო ეკონომიკას.

პორტერის ალმასის მოდელში სახელმწიფო კატალიზატორის როლს თამაშობს, მისი უპირველესი ფუნქციაა შექმნას ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემო, კანონმდებლობა და ინფრასტრუქტურა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური გარემოს მდგომარეობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მძიმე ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა. საქართველოსთვის კონკურენტუნარიანობის მიღწევა განმსაზღვრელია. იმისათვის, რომ საქართველოს ეკონომიკამ შეძლოს სწრაფი წინსვლა, აუცილებელია მისი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ქვეყნებს შორის გლობალური კონკურენტუნარიანობის საკითხზე მუშაობს შვეიცარიული ორგანიზაცია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF), ის 2005 წლიდან აქვეყნებს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსს. კვლევა კონკურენტუნარიანობას განმარტავს, როგორც იმ ინსტიტუტების, პოლიტიკისა და იმ ფაქტორთა ერთობლიობას, რომლებიც ქვეყნის პროდუქტიულობის დონეს განსაზღვრავს. როდუქტიულობის დონე ეკონომიკაში ჩადებული ინვესტიციებიდან მიღებული მოგების დონეს განაპირობებს, რაც ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელია. ამდენად, კონკურენტუნარიანობა

წარინად ითვლება ის ეკონომიკა, რომელიც დროთა განმავლობაში სწრაფად იზრდება.

2014-2015 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში შესწავლილია 144 ქვეყანა. თითოეული ქვეყანა შეფასდა 119 კრიტერიუმით, აქედან, 33 კრიტერიუმის (მთავრობის ვალი, ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაცია, გადასახადების დონე, ექსპორტი, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მოსწავლეთა და სტუდენტთა რაოდენობა) მონაცემთა წყარო არის ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, ხოლო დანარჩენი კრიტერიუმებისთვის (საკუთრების უფლებები, პოლიტიკისებისადმი ნდობა, სასამართლოს დამოუკიდებლობა, პოლიტიკის გამჭვირვალობა, კრიმინალი, მედიცინისა და განათლების დონე, ინფრასტრუქტურის ხარისხი) ინფორმაციის წყარო არის მცირე, საშუალო და დიდ სანარმოთა პირდაპირი გამოკითხვა, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ახორციელებს. გამოკითხვა კონფიდენციალურია, კომპანიების პასუხების ხილვა შეუძლია მხოლოდ შვეიცარიის მხარეს. საქართველოდან კვლევაში მონაწილეობას იღებს 200-მდე ფირმა, რომლებიც შემთხვევითობის პრინციპით შეირჩევა ყოველ წელს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კვლევა ბიზნეს გარემოს მიმართ მენარმეთა დამოკიდებულებას, აღქმას უფრო ეყრდნობა, ვიდრე ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას.

### საქართველოს პოზიცია კრიტერიუმების მიხედვით

| კრიტერიუმები ჯგუფების მიხედვით        | პოზიცია მსოფლიოში | ქულა (მაქსიმუმი 7) |
|---------------------------------------|-------------------|--------------------|
| საბაზისო მოთხოვნები                   | 48                | 4.9                |
| ინსტიტუტები                           | 48                | 4.2                |
| ინფრასტრუქტურა                        | 59                | 4.3                |
| მკროეკონომიკური გარემო                | 48                | 5.1                |
| ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება    | 63                | 5.8                |
| ეფექტიანობის მასტიმულირებელი          | 79                | 3.9                |
| უმადლესი განათლება და ტრენინგები      | 92                | 3.9                |
| საქონლის ბაზრის ეფექტიანობა           | 60                | 4.4                |
| შრომის ბაზრის ეფექტიანობა             | 41                | 4.5                |
| ფინანსური ბაზრის განვითარება          | 76                | 3.9                |
| ტექნოლოგიური მზადყოფნა                | 67                | 3.8                |
| ბაზრის ზომა                           | 103               | 3.0                |
| ინოვაციები და სოფისტიკაციის ფაქტორები | 118               | 3.1                |
| ბიზნესის სოფისტიკაცია                 | 113               | 3.5                |
| ინოვაციები                            | 121               | 2.7                |

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014-2015 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის“ ანგარიშის მიხედვით, საქართველომ

პოზიცია გაიმჯობესა და 72-ე ადგილიდან 69-ე ადგილზე გადაინაცვლა. 2012-2013 წლის

ანგარიშის მიხედვით, ამ რეიტინგში საქართველო 77-ე ადგილზე იყო.

2014-2015 წლის რეიტინგით, ძირითადი მოთხოვნების მიხედვით საქართველო 48-ე პოზიციას იკავებდა (წინა წლებში 64-ე და 57-ე ადგილი), ეფექტურობის მასტიმულირებელი ფაქტორის მიხედვით კი 79-ეზე (წინა წლებში 87-ე და 86-ე ადგილი). გაუმჯობესებულია ინოვაციური ფაქტორთა მაჩვენებელიც და ქვეყანას 118-ე ადგილი აქვს მიკუთვნებული (წინა წლებში 120-ე და 122-ე ადგილზე). როგორც ვხედავთ, ბოლო ორი წლის მანძილზე რეიტინგის განმსაზღვრელი ყველა ძირითადი მაჩვენებელი გაუმჯობესებულია.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, ანგარიშების მიხედვით, ყველაზე მეტი გაუმჯობესება მაკროეკონომიკური სტაბილურობის მაჩვენებელზე მოდის. საქართველომ რეიტინგში 88-ე ადგილიდან (2012-2013) 48-ე (2014-2015) ადგილზე გადაინაცვლა. აგრეთვე გაუმჯობესდა პროდუქციის ბაზრის ეფექტიანობის მაჩვენებელიც, შესაბამისად ქვეყანამ 82-დან მე-60 ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო, ფინანსური ბაზრის განვითარების მხრივ 93-დან 76-ე ადგილზე გადავიდა.

ბოლო ორი წლის განმავლობაში განსაკუთრებული გაუარესება არც ერთ მაჩვენებელზე არ შეიმჩნევა. პრობლემურად რჩება ინოვაცია, ბიზნესის განვითარება (118-ე, 122-ე ადგილი) და ბაზრის ზომა (99-ე, 103-ე ადგილები).

რაც შეეხება ხელისშემშლელ ფაქტორებს, დღეისათვის საქართველოში შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:

1. მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე და შესაბამისად დაბალი მსყიდველობითუნარიანობა;
2. განათლებისა და მეცნიერების დაბალი დონე;
3. დაზოგვის დაბალი ნორმა და შესაბამისად შიდა ინვესტიციების დაბალი დონე;
4. კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი და არასატარიფო ბარიერების არსებობა;
5. წარმოებული პროდუქციის მაღალი ენერგოტევადობა და დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მაღალი ფასი ენერგომატარებლებზე;
6. დაბალი ტექნოლოგიური დონე;
7. წარმოებული პროდუქციის დაბალი ხარისხი;
8. მოძველებული მონყობილობა-დანადგარები;

9. იაფი, მაგრამ დღეისათვის ხშირ შემთხვევაში დაბალი კვალიფიკაციის მუშახელი;

10. მონოკულტურული, ყოფილ საბჭოთა ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობა;

11. რესურსული დამოკიდებულება;

12. სუსტი ინფრასტრუქტურა და ა.შ.

მიუხედავად ბოლო წლების მიღწევებისა, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეიტინგის თანახმად, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მიხედვით, საქართველო ჯერ მხოლოდ 90-ე ადგილზეა.<sup>1</sup>

ამრიგად, თუ შევაჯამებთ მიღებულ შედეგებს, მივიღებთ შემდეგ სურათს:

უპირატესობები: საქართველო შედარებით კონკურენტუნარიანია ინსტიტუტების განვითარებით, ინფრასტრუქტურით, შრომის ბაზრის ეფექტიანობით, დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით, სავალუტო კონტროლის არარსებობით, დაბალი კრიმინალით, ბიზნესის დანყებისა და წარმოებისთვის ბიუროკრატიული პროცედურების ნაკლებობით.

პრობლემები: საკუთრების უფლებების დაცვაში, ინოვაციებში, საშუალო და უმაღლეს განათლებაში, მეცნიერებასა და კვლევების წარმოებაში, კონკურენციის დონეში შიდა ბაზარზე, ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობაში, პროფესიონალ სამუშაო ძალაში, პოლიტიკოსებისადმი საზოგადოების ნდობასა და პოლიტიკის არასტაბილურობაში.

პატარა ქვეყნისთვის შემზღვეველი ერთადერთი კრიტერიუმი, რასაც ინდექსი მოიცავს, არის ბაზრის ზომა, რომლის მიხედვითაც საქართველოს 103-ე ადგილი უჭირავს. თუმცა აღნიშნული კრიტერიუმის გავლენა ქვეყნის ჯამობრივ მაჩვენებელზე დაახლოებით 5%-ის ფარგლებშია. იმავე მაჩვენებლით სინგაპური 31-ე პოზიციას იკავებს, მაგრამ მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს პოლიტიკოსებისადმი საზოგადოების ნდობისა და მთავრობის პოლიტიკის გამჭვირვალობის მიხედვით, ინფლაციის დაბალი დონით, საჰაერო ტრანსპორტის ხარისხით, დანყებითი განათლების დონით, მათემატიკური და სამეცნიერო განათლებით, საბაჟო პროცედურების სიმარტივით. მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს საკუთრების უფლებების დაცვით, ინვესტორების დაცვით, ტალანტის მოზიდვით, საპორტო

<sup>1</sup> The Global Competitiveness Report 2009-2010 © 2009 World Economic Forum;

ინფრასტრუქტურითა და ექსპორტის ეკონომიკის მიმართ სიდიდით.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში როგორც წარმატებების, ასევე წარუმატებლობების ყველაზე კომპლექსურ სურათს იძლევა და მისი გაანალიზება დაეხმარება ჩვენს პოლიტიკოსებს იმის დანახვაში, თუ რა პრობლემების წინაშე დგას ქართული კომპანიები და რა მდგომარეობაა ამ მხრივ სხვა ქვეყნებში. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ავტორიტეტული ორგანიზაციაა და მის მიერ გამოქვეყნებული შედეგები გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ქართველი, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსებისა და ინვესტორების მიერ.

ამრიგად, იმისათვის რომ ქვეყანა გაუმკლავდეს ეკონომიკურ სირთულეებს და ამ გზაზე წარმატებებს მიაღწიოს, დიდად არის დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს იგი

ინოვაციური მიდგომების დანერგას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნოდარ ხადური, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები, 2010 წლის 8 ივლისი.
2. ბესო ნამჩავაძე |Forbes Georgia| ნოე, 14, 2014 საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა.
3. The Global Competitiveness Report 2009-2010 © 2009 World Economic Forum.
4. Porter, M., On Competition, Harvard Business School Press; (1998).
5. <http://forbes.ge/news/453/saqarTvelos-ekonomikis-konkurentunarianoba>
6. <http://factcheck.ge/article/chveni-konkurentunarianoba-უმჯობესდება>

## ინფლაციური პროცესები საქართველოში

ლია პიტიურიშვილი — ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
სეუ-ს ასოცირებული პროფესორი

ნინელი თევდორაშვილი — ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
სეუ-ს ასოცირებული პროფესორი

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინფლაციური პროცესების მიმდინარეობა საქართველოში, რომელიც გარდამავალი პერიოდის ურთულეს პრობლემათა შორის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. განხილულია ფასების დონის ცვლილება 1991 წლიდან დღემდე დინამიკაში, ახსნილია მერყეობის მიზეზები და შედეგები, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელების პირობებში, როგორ იცვლება ინფლაციის ტემპი, საქართველოში საკუთარი ეროვნული ვალუტის, ლარის შემოღებით, როგორ მოხდა ინფლაციის ტემპის შენელება და ეროვნული ეკონომიკის რამდენადმე წინსვლა. დღეისათვის ინფლაცია სერიოზული გამონვევაა ბევრი ქვეყნისთვის. დოლარის კურსის გამყარებამ მსოფლიოს ახალი რეგულაციის შემოღებისკენ უბიძგა, მას თან დაერთო ნავთობის ფასის დაცემა. საქართველოს ეკონომიკა, რომელიც მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია საერთაშორისო ბაზარზე, რა თქმა უნდა მთელი რიგი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, სტატიაში ამ საკითხების ირგვლივ აქტუალური მსჯელობაა და ინფლაციური პროცესების მიმდინარეობის და მისი შენელების ღონისძიებებზეა საუბარი.

### Summary

This article will discuss topical issues and current inflationary pressures and slowing down other measures as The article describes the inflationary process in Georgia, which are the most difficult problems of the transition period is one of the main problems. Discusses the changes in the price level from 1991 to the present dynamics, explains the causes and consequences of volatility, macro-economic stabilization program implementation in terms of how it changes the inflation rate of the US's own national currency, the Lari introduction to the inflation and the slowdown in the national economy has to move forward. At present, inflation is a serious challenge for many countries. Dollar exchange rate strengthening in the introduction of new regulations in January, it was followed by a fall in oil prices. Georgia's economy, which is largely linked to the international market, of course, a number of challengeswell.

**საკვანძო სიტყვები:** ინფლაცია, ფასების დონე, ეროვნული ვალუტა, ლარის კურსი, ანტიინფლაციური პოლიტიკა, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, დოლარიზაცია;

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი საქართველოსთვის ურთულესი აღმოჩნდა. ეკონომიკის განვითარება მძაფრი წინააღმდეგობის და მოვლენათა მკვეთრი ცვლილების პირობებში მიმდინარეობდა. საქართველოს ეროვნულ მეურნეობას მძიმე დარტყმა მიყენა ეკონომიკურმა ბლოკადამ, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ანგარიშსწორების ბლოკირება, ანუ რუსეთის ცენტრალური ბანკიდან რუსული რუბლის საბანკო ნიშნების მიწოდების შეწყვეტა.

საქართველოში ადგილი ჰქონდა ფასების დონის რამდენიმე ეტაპად ამაღლებას. 1991-92 წწ. ინფლაცია ძირითადად განპირობებული იყო ფასების ლიბერალიზაციით, ხოლო 1993-94 წწ. კი ფულის ჭარბი ემისიით და ინფლაციური მოლოდინით გამოწვეული ფულის მიმოქცევის სიჩქარის მკვეთრად ამაღლებით. ეკონომიკის სამინისტროს მონაცემების თანახმად სამომხმარებლო საქონელზე ფასები და ტარიფები საშუალოდ გაიზარდა 1992 წ. — 25-ჯერ, 1993 წ. — 92-ჯერ, 1994 წ. — 120-ჯერ, 1995 წ. -57%-ით.

ერთდროულად გამოვლინდა, როგორც მოთხოვნის ინფლაცია ისე დანახარჯების ინფლაცია. მოთხოვნის ინფლაცია ძირითადად გამოწვეული იყო ფულის ჭარბი ემისიით.

ინფლაცია საქართველოში გამოწვეული იყო მთელი რიგი მიზეზებით, მაგრამ ინფლაციის გამკაცრება და მისი გადაზრდა ჰიპერინფლაციაში ძირითადად განპირობებული იყო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად და შეღავათიანი კრედიტების მისაცემად განხორციელებული ფულის ჭარბი, უკონტროლო ემისიით და ინფლაციური მოლოდინით განპირობებული ფულის მიმოქცევის სიჩქარის გადიდებით. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელების დაწყების შემდგომ პერიოდში საქართველოში ინფლაციის ტემპი მკვეთრად შემცირდა.

საქართველომ ლარის შემოღებით შეიძინა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ატრიბუტი — ეროვნული ფულის ნიშანი. მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის დამკვიდრებს უზრუნ-

ველყოფის მიზნით შემუშავდა საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის მოქმედი პროგრამა, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტად მიჩნეული იქნა ეროვნული მატერიალური სფეროს სწრაფი აღგენა.

ინფლაცია დღეს სერიოზული გამოწვევაა ბევრი ქვეყნისათვის. უკვე მიმდინარეობს აქტიური მსჯელობა რეგულაციის ახალი ნებსების შემოღების თაობაზე. ბევრი ექსპერტი იმაშიც თანხმდება, რომ ნავთობზე ფასების ზრდა სპეკულაციური გარიგებების შედეგიც არის. ყოველ შემთხვევაში 100 დოლარზე ზევით ფასის ზრდა სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის არა მხოლოდ იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებს, არამედ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებსაც. ნავთობის ფაქტორი წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების და შესაბამისად, რეალიზაციის ფასის ზრდაზე აისახება.

ინფლაციის პრობლემა დღეს მარტო საქართველოში არ დგას და იგი მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე პროცესებთან. პირველ რიგში ეს ეხება სასურსათო პროდუქციაზე და ნავთობზე ფასების ზრდას, რომელიც გასული წლის ზაფხულიდან დაიწყო. მართალია, ინფლაციის წლიური მაჩვენებელი აზერბაიჯანსა და სასომხეთში შედარებით დაბალ ნიშნულზეა, მაგრამ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახვევა 2-3 %-ით აქაც თვალსაჩინოა.

ანტიინფლაციური პოლიტიკის საბაზისო ნაწილი მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებაა. ასეთ შემთხვევაში ცენტრალური ბანკის მთავარი ამოცანა, ბაზარზე ზედმეტი ფულის მასის რეგულირება ხდება, მისი შემცირების მიმართულებით. შესაბამისად, ფულის მასის ნაწილის ბრუნვიდან ამოღებით, მოთხოვნა ფულზე იზრდება, რაც აისახებ აკიდევ საბანკო კრედიტზე. მაგრამ ეს ყველაფერი მაინც იმაზეა დამოკიდებული მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება რა ინტენსივობით მიმდინარეობს.

მსოფლიოს ყველა ძირითადი ცენტრალური ბანკის მსგავსად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო ინსტრუმენტად გამოიყენება მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთი. მოკლევადიანი განაკვეთების ცვლილება შემდგომ გადაეცემა გრძელვადიან განაკვეთებს და გავლენას ახდენს ეკონომიკის მდგომარეობაზე. მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტის ცვლილება გავლენას ახდენს მომავალ ინფლაციაზე. შესაბამისად, ფასების სტაბილურობის ეფექტიანად მიღწევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპროგნოზო ინფლაცია.

მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკი ეყრდნობა ეკონომიკის მრავალმხრივ ანალიზსა და მაკროეკონომიკურ მოდელირებას. მონეტარული პოლიტიკის ენდოგენურობის გათვალისწინებით მაკროეკონომიკური მოდელირება ეფექტიან იარაღს წარმოადგენს

პროგნოზირებისთვის. იგი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ინფლაციის სათანადო პროგნოზს, ხოლო მეორე მხრივ, იძლევა მკაფიო ინსტრუქციას მონეტარული ინსტრუმენტებით რეაგირებისთვის, რათა ინფლაცია დაბრუნდეს მიზნობრივ დონეზე.

საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის დონე მაღალია, შესაბამისად, დოლარის მიმართ ლარის გაუფასურებას დიდი გავლენა აქვს სხვადასხვა ეკონომიკურ პროცესზე და მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

საქართველოში საქონლისა და მომსახურების იმპორტი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 65%-ს შეადგენს, ხოლო შიდა მოხმარების 70%-ს. იანვარ-თებერვალში ინფლაციის დონე (0.4%) მაღალი არ ყოფილა, თუმცა მარტიდან ლარის კურსის გაუფასურებამ იმპორტირებულ პროდუქციაზე დაიწყო ასახვა. არაოფიციალური მონაცემებით, იმპორტირებულ სურსათზე ფასები 10%-ზე მეტად გაიზარდა. ინფლაციის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ამცირებს ნავთობპროდუქტებზე შემცირებული ფასები. მარტიდან იურიდიული პირებისთვის უნდა გაძვირებულიყო გაზის საფასური, მაგრამ მთავრობამ 2 თვით გაზის საფასურის ნაწილობრივი სუბსიდირება განახორციელდა გაძვირება მაისამდე გადაავადა. აღნიშნული სუბსიდია სახელმწიფოს 15 მილიონი ლარი უჯდება.

საქართველოს სახელმწიფო ვალის 73%-ს (4.1 მლრდ დოლარი) საგარეო სახელმწიფო ვალი შეადგენს. საგარეო ვალი საქართველოს ძირითადად დოლარსა და ევროში აქვს. შესაბამისად, ლარის გაუფასურება ზრდის საგარეო ვალის ტვირთს. 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის თებერვლის ბოლომდე დოლარში გამოსახული საქართველოს საგარეო სახელმწიფო ვალი არ გაზრდილა, მაგრამ ვალუტის კურსის გაუფასურების გამო ლარში გამოხატული საგარეო სახელმწიფო ვალი 1.4 მილიარდი ლარით გაიზარდა და მშპ-ის 30% შეადგინა (8.8 მლრდ ლარი). სახელმწიფო ბიუჯეტს შემოსავალი ლარში აქვს, შესაბამისად, საგარეო ვალის მომსახურებისას დოლარის შესყიდვა სჭირდება.

კურსის გაუფასურებისა და ინფლაციური პროცესების შესაჩერებლად გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკაც უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპზე. ეს მაჩვენებელი მიმდინარე 2015 წლის იანვარში 0.5%-მდე შემცირდა. შესაბამისად, ლარის გაუფასურების ერთ-ერთ უარყოფით შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ კურსის სტაბილურობისთვის გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის უარყოფითი გავლენა ეკონომიკის ზრდაზე.

გამართლებულია ფინანსური სტაბილურობისთვის გადადგმული ნაბიჯები, მაგრამ არ უნდა დაგვავინყდეს, რომ ამ ნაბიჯებს საკუთარი ფასი აქვს მოსახლეობისთვის.

ლარის კურსის გაუფასურების დადებითი შედეგი შეიძლება იყოს საგარეო სავაჭრო

პირობების ხელშეწყობა. რადგან საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტები მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ლარის კურსის ძველ ნიშნულზე დარჩენის შემთხვევაში, გაძვირდებოდა ქართული პროდუქციის ექსპორტი და გაიზარდა უცხოური პროდუქციის საქართველოში იმპორტი. ეს კიდევ უფრო გაზარდდა საქართველოს საქონლით საგარეო ვაჭრობის უარყოფით ბალანსს, რომელმაც 2014 წელს 5.7 მილიარდ დოლარს მიაღწია და ლარის კურსის გაუფასურების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა. მიმდინარე წლის იანვრიდან საქართველოში პროდუქციის იმპორტმა იკლო და მიმდინარე წლის თებერვალში წინა წლის თებერვალთან შედარებით 3.5%-ით შემცირდა, სწორედ სავაჭრო პირობებზე გავლენა იგულისხმება, როდესაც საუბარია მცურავი გაცვლითი სავალუტო კურსის სტაბილიზატორის როლზე. კურსის ცვლილება უნდა დაეხმაროს ქვეყანას საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებასა და ვალუტის შემოდინება-გადინების დაბალანსებაში. ამ ეფექტის მისაღწევად საჭიროა, რომ საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის ფასები მნიშვნელოვნად არ გაძვირდეს და ჩვენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტები მეტად აღარ გაუფასურდეს.

2015 წლის მაისში, აპრილთან შედარებით, საქართველოში ინფლაციის დონემ 0,6% შეადგინა, ხოლო წინა წლის მაისის მაჩვენებელთან შედარებით ინფლაციის დონე 3,5 პროცენტით გაიზარდა. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: 12-თვიან პერიოდში ფასები გაიზარდა 3,9%-ით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 1,19 პროცენტული პუნქტი შეადგინა. აღსანიშნავია ფასების მატება ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (27,1%), ზეთი და ცხიმი (9,1%), ყავა, ჩაი და კაკაო (8,3%), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (5,9%), თევზი (4,5%), ხორცი და ხორცის პროდუქტები (4,0 %). ამასთან, ფასები შემცირდა რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფზე (-1,6%); ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ფასები გაიზარდა 6,6%-ით, რამაც წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,64 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა. ფასები გაიზარდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მონეობილობების ქვეჯგუფზე (13,1%), ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებასა (4,9%) და საავადმყოფოების მომსახურებაზე (3,7%); ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 11,9%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,62 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა როგორც ალკოჰოლურ სასმელებზე

(13,4%), ასევე თამბაქოს ნაწარმზე (10,4%); ტრანსპორტის ჯგუფში ფასები შემცირდა 3,2%-ით, რაც წლიურ ინფლაციაზე 0,38 პროცენტული პუნქტით აისახა. აღსანიშნავია ფასების კლება სანვავ-საპოხ მასალებზე (-9,9%). როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, ინფლაციის დონის დაბალ ნიშნულზე შენარჩუნება, ძირითადად, სანვავისა და, აქედან გამომდინარე, სატრანსპორტო ხარჯების შემცირების გამო მოხერხდა. იმისთვის, რომ სერიოზულ აღმავლობას მიაღწიოს ეროვნულმა ეკონომიკამ, აუცილებელია ხელისუფლებამ უპირველესად ჩამოაყალიბოს ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი და ამ მიზნის მიღწევის მიმართულებები, რომელთა განხორციელებასაც დაემორჩილება ნებისმიერი საოჯახო მეურნეობა, ფირმა თუ კორპორაცია, რა თქმა უნდა შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ამოქმედებით.

ინფლაცია ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და საშიში პროცესია, ინფლაციის პროცესი არ არის შემთხვევითი პროცესი, განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ, თუმცა ეს მათ სერიოზულ საფრთხეს არ უქმნის, რადგან იქ ფართოდ გამოიყენება ინფლაციური პროცესების შეზღუდვისა და კონტროლის მეთოდები. ინფლაციის მართვა დიდ პრობლემას წარმოადგენს ფულადი და ზოგადად, ეკონომიკური პოლიტიკისთვის. სახელმწიფოს ხარჯების მაქსიმალურად შემცირებისთვის საჭიროა ჩატარდეს ფართო სპექტრის ანტიინფლაციური ღონისძიებები, მათ შორის – წარმოების სტიმულირება, საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება, საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნა, რათა დაარეგულიროს ფასები და შემოსავლები.

ანტიინფლაციური ღონისძიებების გატარებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ინფლაციის გამომწვევი ეგზოგენური ფაქტორების შემცირებისკენ, რადგანაც ენდოგენური შიდა ფაქტორები ინფლაციის მიმართ ქვეყნას შიგნით შეუძლია მართოს, ეგზოგენურს კი ქვეყანა ვერ მართავს. ინფლაციის წინააღმდეგ ღონისძიებებში უპირატესობა უნდა მივანიჭოთ, დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვანიშვილი მ., მიკრო-მაკრო ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2009 წ., 590-632 გვ.
2. ოთინაშვილი რ., საქართველოს ეკონომიკა თბ 2009 წ., 336-345 გვ.
3. <http://www.geostat.ge/>
4. <http://mof.ge/>
5. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

# საინვესტიციო გარემო: პირობები და თავისებურებები საქართველოში

მეგი ანანიძე – სტუ-ს დოქტორანტი  
რევაზ შენგელია — სტუ-ს პროფესორი

## რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში განვითარებადი ქვეყნების მთავარი მიზანია უცხოური ინვესტიციების ნაკადების მოზიდვა, რადგან იგი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორია და ხაზს უსვამს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. ინვესტიციების ზრდას კი, პირველ რიგში სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნა განაპირობებს. ასეთი გარემო კი ბიზნეს მფლობელებს აძლევს შესაძლებლობას განავითაროს საკუთარი ბიზნესის მასშტაბები. მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ დიდია კონკურენცია ინვესტიციების მოსაზიდად, აქედან გამომდინარე საქართველო მაქსიმალურად უნდა შეეცადოს ინვესტიციების მოსაზიდად სასურველი ბიზნეს გარემოს შექმნას, მაგრამ ამასთანავე ამ გარემომ არ უნდა დააზარალოს ქვეყნის ინტერესები. განვითარებადი ქვეყნები ინვესტიციების დახმარებით სარგებლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებით, ერთვებიან საერთაშორისო წარმოებასა და სავაჭრო ქსელებში, იზრდება დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის დონე და ა.შ. ამ მიმართულებით ნაშრომში მოცემულია საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს ანალიზი, პრობლემების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც დღეისთვის არსებულ სიტუაციაში საქართველოს დაეხმარება ახალი, მსხვილი და გრძელვადიანი ინვესტიციების მოზიდვაში.

## Investment Environment-Conditions and peculiarities in Georgia

Megi Ananidze – PhD student of GTU  
Revaz Shengelia – Professor of GTU

In the modern world of developing countries, the main objective is to attract foreign investment flows, as it is an important stimulus for economic growth and emphasize the country's political and economic stability. Investment growth was primarily due to the investment environment. Such an environment provides an opportunity for business owners to develop their own business scale. The world market is large enough to compete in order to attract

investments, hence the need to try to attract more investment to the business climate in Georgia, but also in harmony should not harm the country's interests. Developing countries in support of the investment in modern technology, involved in international production and trade networks, increasing employees' skill level, etc. The work deals with the analysis of the business environment in Georgia, concerns and recommendations, which are now in the current situation of the new large-scale and long-term help to attract investments.

**საკვანძო სიტყვები:** ინვესტიცია – კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება; საინვესტიციო გარემო – კაპიტალის დაბანდებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; ბიზნესის წარმოების ეკონომიკური და არაეკონომიკური გარემოებები

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები არ არის მხოლოდ ფინანსური კაპიტალის შემოდინება ქვეყანაში, მას თან ახლავს მართვის თანამედროვე პრაქტიკის, პროდუქციის ხარისხის მახასიათებლების, ცოდნის, მარკეტინგის და ა.შ შემოდინება, რაც ხელს უწყობს მიმღებ ქვეყანას საერთაშორისო წარმოების ქსელში ინტეგრაციას და წარმატებული ექსპორტის განხორციელებას. ის ეხმარება სამამულო წარმოებას გახდეს კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ბაზარზე, აფართოებს საექსპორტო ბაზრებს, ზრდის სამუშაო ადგილებს და ა.შ.

ქვეყანაში ბიზნესის წარმოება დამოკიდებულია ეკონომიკურ და არაეკონომიკურ გარემოებებზე. ეკონომიკურ გარემოებას მიეკუთვნება ეკონომიკური სიტუაცია (მშპ, შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, სავალუტო რეზერვები და ა.შ) და ეკონომიკური პოლიტიკა (ფისკალური, მონეტარული, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და ა.შ), ხოლო არა ეკონომიკურ გარემოებებია სოციალური (ტრადიციები, განათლება, ღირებულებები და ა.შ), პოლიტიკური გარემო (სამთავრობო სისტემის დამოკიდებულება საქმიან წრეებზე, მათი დამოკიდებულება პროფკავშირებზე და ა.შ.), ტექნოლოგიური გარემო (მეთოდები და მიდგომები



საქონლის წარმოებისას და ა.შ) და სამართლებრივი გარემო (მთელი რიგი კანონები რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის საქმიანობაზე).

საქართველო მას შემდეგ რაც დაადგა საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზას ძალიან სწრაფი ტემპით ახორციელებს მთელ რიგ რეფორმებს. გარდა ამისა მისი სტრატეგიული მდებარეობა მიმზიდველს ხდის ქვეყანას ინვესტორებისთვის. საქართველოში ინვესტიციების სტიმულირებისთვის გადაიხედა „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერისა“ და „უცხოური ინვესტიციების“ კანონები, შემცირდა ლიცენზიების რაოდენობა, გამარტივდა ნებართვის გაცემის პროცედურები, შეიქმნა 3 თავისუფალი ეკონომიკური ზონა (ქუთაისი, ფოთი და თბილისი) და 2 ტურისტული ზონა (ქობულეთი და ანაკლია). დაიხვეწა საგადასახადო და საბაზო კანონმდებლობა, შემცირდა კორუფცია. საქართველოში გამარტივებულია ბიზნესის დაწყების პროცედურები. მაგრამ გარდა აღნიშნული ცვლილებებისა არის მთელი რიგი პრობლემებიც, რომლებიც აფერხებენ ინვესტიციების მოზიდვას. ასეთ პრობლემებს მიეკუთვნება

სასამართლო სისტემა, რომელმაც უნდა დაიცვას როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ინვესტორების უფლებები, თავისუფალი კონკურენციის არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ 2005 წელს დაარსდა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო“, მას მაინც არ გააჩნია რეალური ბერკეტები, რათა ბაზარზე შეზღუდოს მონოპოლიები. ასევე მნიშვნელოვანია საბანკო კრედიტები, რომლებზეც საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთებია და გართულებულია სესხის აღების პროცედურები, მაღალი პროცენტები სესხებზე დახმარების ნაცვლად ბიზნეს ლოდად აწევს. ასევე მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყანაში არსებული პოლიტიკა, ეს ორი სეგმენტი ერთმანეთზე დამოკიდებული. ერთის მხრივ, ბიზნესი მოქმედებს პოლიტიკაზე, ხოლო მეორეს მხრივ პოლიტიკა განსაზღვრავს ბიზნესის ქცევის წესებს.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით საქართველოში შემოდინებული უცხოური ინვესტიციების მოცულობა ასეთია (იხ. ცხრილი):

**საქართველოში შემოდინებული უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2005–2015 წლებში, მლნ. აშშ დოლარი**

| წელი  | სულ     | I კვ. | II კვ. | III კვ. | IV კვ. |
|-------|---------|-------|--------|---------|--------|
| 2005  | 449.8   | 89.4  | 105.9  | 75.6    | 178.9  |
| 2006  | 1 190.4 | 146.0 | 306.9  | 280.7   | 456.7  |
| 2007  | 2 014.8 | 421.4 | 401.5  | 489.1   | 702.9  |
| 2008  | 1 564.0 | 537.7 | 605.4  | 134.7   | 286.2  |
| 2009  | 658.4   | 114.0 | 177.2  | 173.2   | 194.0  |
| 2010  | 814.5   | 166.5 | 208.3  | 225.6   | 214.1  |
| 2011  | 1 117.2 | 209.7 | 248.3  | 316.6   | 342.6  |
| 2012  | 911.6   | 261.2 | 217.7  | 199.0   | 233.7  |
| 2013  | 941.9   | 252.3 | 207.9  | 254.8   | 226.9  |
| 2014* | 1 758.4 | 309.5 | 196.2  | 726.0   | 526.7  |
| 2015* | 530.0   | 175.3 | 354.7  |         |        |

**წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები**

თუ დავაკვირდებით აღნიშნულ მონაცემებს, ადვილად მივხვდებით თუ რა გარემოებებმა გამოიწვია აღნიშნული მაჩვენებლების ზრდა ან კლება. კერძოდ, 2005 წელს ქვეყანაში წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა ინვესტიციების კლება, რაც გამომწვეული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის და-

სრულებით, მაგრამ ამავე წელს განხორციელდა „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერისა“ და „უცხოური ინვესტიციების“ კანონების ცვლილება, გამარტივდა ლიზენზიების და ნებართვების აღება, სახელმწიფომ დაიწყო მთელი რიგი შეღავათების დანერგვა, რაც წაახალისებდა ინვესტორებს, რამაც გარკვეული შედეგი

გამოიღო და შესაბამისი მაჩვენებლებში აისახა შემდგომ წლებში. 2007 წელს კი მან მაქსიმალურ შედეგს მიაღწია. სამწუხაროდ 2008 წლის საომარი მოქმედებების გამო 2008 წელს და შემდგომ პერიოდში დაფიქსირდა ინვესტიციების კლება. საქართველოში საომარ მოქმედებებს თან დაერთო მსოფლიო კრიზისი, რამაც გამოიწვია ინვესტიციების კლება მსოფლიო ბაზარზე.

გარდა ამისა 2012 წელს ხელისუფლების ცვლამ და პოლიტიკური გარემოს ცვლილებამ საკმაოდ დიდი გავლენა იქონია ინვესტიორებზე, რადგან გაურკვეველი იყო ახალი ხელისუფლების ხედვა და მიდგომები ინვესტიციების მოზიდვასა და ინვესტირებთან ურთიერთობების კუთხით. ახალი ხელისუფლების პირობებში განხორციელებულმა ზოგიერთმა ცვლილებებმა გამოიწვია ინვესტიციების შეჩერება, კერძოდ სავიზო რეჟიმის ამოქმედებამ 24 ქვეყანასთან, რომელთაც ადრე 360 დღიანი უვიზო რეჟიმი ქონდათ. ახალი კანონმდებლობით ვიზით მხოლოდ 90 დღით შეიძლება იმყოფებოდნენ საქართველოში, რამაც ინვესტირების უკმაყოფილება გამოიწვია. ასევე ლარის კურსის ვარდნა, ეს ერთ-ერთი მიზეზთაგანია რამაც გამოიწვია კაპიტალის გატანა, ინვესტორი ცდილობს გადაარჩინოს საკუთარი კაპიტალი და გააქვს უფრო მყარი ეკონომიკის ქვეყანაში. ასევე ხელისუფლების ცვლილებამ გამოიწვია ზოგიერთი ბიზნეს მფლობელის რისკების წინაშე დაყენება, რამაც გამოიწვია აღნიშნული ბიზნესის შეჩერება ან კაპიტალის გატანა საზღვრებს გარეთ. ასევე ეროვნული ბანკის საქმიანობაში ჩარევა ინვესტირებისთვის ძალიან ცუდი მაჩვენებელია.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა მაქსიმალურად გადართულია ინვესტიციების მოზიდვაზე, არსებობს მთელი რიგი საკითხები, რომელთა გადაჭრა საჭიროა იმისათვის, რომ ბიზნეს გარემო საქართველოში მიმზიდველი და საიმედო გახდეს, მითუმეტეს იმ პერიოდში, როდესაც მეზობელ ქვეყნებშიც, რომლებსაც ასევე გარდამავალი ეკონომიკა აქვთ, ასევე მაქსიმალურად ცდილობენ მიიზიდონ უცხოური ინვესტიციები.

ინვესტიციურ გარემოს, ინვესტიციურ აქტიურობასა და ეკონომიკურ ზრდას, განვითარებას შორის არის მჭიდრო დიალექტიკური კავშირითიერთობა. საუკეთესო, რაციონალური საინვესტიციო გარემო ინვესტიციების (ადგილობრივი, ისე უცხოური) დიდი ოდენ-

ობით მოზიდვას, თავის მხრივ, ინვესტიციები ასრულებს კატალიზატორის როლს ეკონომიკური ზრდისათვის, განვითარებისათვის, ხოლო ეკონომიკური ზრდის, განვითარების მისაღები დონე და მიღწეული მიკრო, მაკროეკონომიკური პირობები აუცილებელი პირობაა ინვესტიციური აქტიურობისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. სიჭინავა ა. ინვესტიციები, თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა. თბ., 2010წ. გვ.16.
2. აბრალავა ა., კერესელიძე დ. ინვესტიციების ზოგიერთი აქტუალური საკითხი საქართველოში. ჟურნ. „ეკონომიკა“, 9-10, 2011, გვ. 19-27.
3. დათუნაშვილი ლ. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო — ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების საფუძველი. იხ. ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. 25 დეკემბერი, 2008 წ. თბ; 2008, გვ., 83.
4. დათუნაშვილი ლ. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო — ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების საფუძველი. იხ. ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. 25 დეკემბერი, 2008 წ. თბ; 2008, გვ., 83.
5. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. თბ., 2006, გვ. 117.
6. რ. შენგელია, ინვესტიციები და მათი როლი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების განვითარებაში, თბ., 2013წ.
7. შ. გოგიაშვილი, კონკურენტული კანონმდებლობა და ბიზნეს გარემო საქართველოში, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“ 1 2006.
8. თ. შენგელია, რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაცია და უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოში, თბ., 2010წ.
9. ი. მესხია, გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა, ჟურნალი სოციალური ეკონომიკა“ 2 თბ., 2009.
10. შ.გოგიაშვილი, კონკურენტურობის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, თბილისი 2009.
11. [www.tradingeconomics.com](http://www.tradingeconomics.com)
12. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

# ტენდერების ჩატარების სრულყოფის ზოგიერთი საკითხი

თეიმურაზ გოგნაძე — თსუ-ს მთავარი სპეციალისტი,  
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

## რეზიუმე

სტატიაში მოცემულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით ჩატარებული ტენდერების ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები, რომელშიაც ასახულია ის ნაკლოვანებები, რომლებიც გააჩნია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ელექტრონული ფორმით ტენდერების ჩატარების პროცესს. განხილულია შესყიდვების რეგულაციის პრობლემა. შემოთავაზებულია ტენდერში მონაწილე სუბიექტების (შემსყიდველი და მომწოდებელი) კორუფციის, თაღლითობის და წინასწარი შეთანხმების აღმოფხვრის საშუალებები.

## Some Issues Concerning Tenders Conduction Improvement

**Teimuraz Gognadze**

TSU Chief Specialist of TSU,  
Business Administration Doctor

## Summary

The article enlightens conclusions, made based on the analyses of tenders, held using the integral electronic system of the State Acquisitions Agency; they express the defects of tenders, held in electronic form by the State Acquisitions Agency. Shown is the problem of acquisition regulation. Offered are the means helping to avoid the corruption, maraud and preliminary negotiated deeds in connection with subjects (buyer and supplier) participating in tender.

ტენდერის სტრუქტურა აშშ-ში შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში [1]. ცნობილია, რომ 1946 წელს გერმანიის ქალაქების აღსადგენად გამოყოფილი იქნა დიდი რაოდენობის ფული, რომლის დიდი ნაწილი დაურიგდათ ამერიკელ ჩინოვნიკებს და მისი გამოყენება მოხდა არაეფექტიანად. აღნიშნულის თავიდან აცილებისა და მომწოდებლების ობიექტურად ამორჩევის მიზნით ამერიკელებმა ჩამოაყალიბეს ტენდერის ჩატარების პროცედურები.

სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს საზოგადოების სამართლებრივ დაცვას, ნაციონალურ

ნალურ უსაფრთხოებას, ჯანდაცვას, განათლებას და ა.შ., სარგებლობს უფლებით ბიუჯეტის ხარჯზე უზრუნველყოფის სახელმწიფო და მუნიციპალური დანებსებულებები მათი ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად საჭირო რესურსებით. სახელმწიფო მოხელეებმა საბიუჯეტო სახსრების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებისათვის მიმართეს ტენდერების ჩატარების პრაქტიკას სახელმწიფო შესყიდვებზე. ტენდერები გვაძლევს საშუალებას ავირჩიოთ მასში მონაწილეებიდან ისეთები, რომლებიც საუკეთესო ფასებით, ხარისხიანი საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფს დამკვეთ ორგანიზაციას [2].

სახელმწიფო საბიუჯეტო თანხების არაგონივრული ხარჯვისა და შესყიდვების სფეროს საქმიანობაში ხარვეზების პრობლემის მოსაგვარებლად შესყიდვების სისტემის ეფექტურობის გაზრდის მიზნით საჭირო გახდა არსებული სისტემის რადიკალური მოდერნიზაცია.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განხორციელებული რეფორმის შედეგად, 2010 წლის 1 დეკემბრიდან ტენდერები მხოლოდ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით ტარდება. თუ თვალს გადავავლებთ დღემდე ამ სისტემით შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ტენდერების რაოდენობრივ სტატისტიკას დადებულ ხელშეკრულებათა მიმართებაში, ნათლად ჩანს რომ მრავალი გამოცხადებული ტენდერი ჩავარდა.

ჩაშლილი და არშემდგარი ტენდერები დიდ ზარალს აყენებს არა მარტო შემსყიდველ ორგანიზაციას, არამედ მომწოდებლებს როგორც ბიზნესის წარმომადგენელს. ჩაშლილი ტენდერების გამო დროულად ვერ ხერხდება სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო თანხების აკუმულირება, ბიუჯეტის შევსება. ეს უკანასკნელი გამონვეულია ტენდერში მონაწილე მომწოდებლის მიერ გამოშვებული პროდუქციის ან შესაძლო მომსახურების დაგვიანებული რეალიზაციის გამო, მასზე საგადასახადო კანონით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადის სახელმწიფო ბიუჯეტში გადაურიცხაობის გამო. ტენდერში მონაწილე წარმოება/ორგანიზაცია, ჩაშლილი ან არშემდგარი ტენდერის

გამო, დამატებით განიცდის ისეთ დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია ტენდერში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის გაფორმებასა და იმ დროის დანაკარგებთან, რასაც მოითხოვს მომწოდებლის მხრიდან სხვადასხვა საკითხის დაზუსტება.

ჩაშლილი ტენდერი დროში აფერხებს დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებს. ჩაშლის მიზეზი კი ხშირად პოტენციურ მონაწილეთა პასიურობაა. ზოგიერთი ტენდერი კონკრეტულ კომპანიაზეა მორგებული ანუ იმდენად დეტალურადაა მოთხოვნებში მონაცემები განერილი, რომ ბევრი კომპანია ტენდერებში მონაწილეობას ვერ იღებს.

გარდა ჩაშლილი ტენდერებისა ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემდეგ სახელმწიფო იძულებულია იგივე ტენდერი თავიდან გამოაცხადოს, რის გამოც იკარგება დრო, ბიუჯეტის შესრულების ნაწილი და ქვეყანაში საჭირო რაოდენობის თანხა ვეღარ ტრიალებს[3].

სწორედ ასეთი ტენდერების შეუსრულებლობა იწვევს ბიუჯეტის ჩავარდნას. აქ ყველაზე მთავარი მიზეზი გადავადებებია. ორთვიანი, სამთვიანი და ოთხთვიანი ტენდერის ვადები ზოგჯერ 2-3 წლით გაუგებარი მიზეზებითაა გადავადებული, რადგან კომპანიები ვერ ახერხებენ დროულად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკასა და ბიუჯეტზე. აღსანიშნავია სხვა ტიპის დარღვევაც: ზოგ შემთხვევაში საწყისი ღირებულება სულ სხვაა და მერე ორმაგდება... გაურკვეველია ყველაფერი სწორად არ დაგეგმეს, თუ იმ კომპანიამ ითაღლითა, რომელსაც სამუშაოს შესრულება ევალებოდა-ჯერ დაბალი ფასით მოიგო ტენდერი და მერე გააძვირა? ...ზოგიერთი სამუშაო უკვე შესრულებულია, მაგრამ შესრულდა ორი წლის შემდეგ და გაცილებით ძვირად. მაგალითად თავის დროზე 1.5 მილიონი ლარი ღირდა და მერე გახდა 2.5 მილიონი. ასეთი ტიპის დარღვევები შეეხება თითქმის ყველა მიმართულებას იქნება ეს მშენებლობა თუ სხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები. ხშირად ხელშეკრულებების კომერციული საიდუმლოებებიდან გამომდინარე გაურკვეველია რატომ ვერ ასრულებდნენ კომპანიები ტენდერის პირობებს. გასარკვევია გადავადების მიზეზები. რატომ არის დიდი განსხვავება შესასრულებელ და უკვე შესრულებულ სამუშაოს ღირებულებებს შორის, როდესაც ასეთი კომპანიები დღესაც ხშირად იმარჯვებენ ტენდერებში.

პრობლემა იწყება არა ტენდერში გამარჯვებული კომპანიის შერჩევით, არამედ სატენდერო პროექტის წინადადების მომზადების დროს, რომელსაც შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ადგენენ [4].

გაბერილი, არარეალური ციფრებიდან გამომდინარე ჩნდება ეჭვი, რომ ვილაცას ინტერესებია ჩადებული ამ პროექტში. ხშირია შემთხვევები ტენდერებში ისეთი კომპანიების მრავალჯერ გამარჯვებისა, რომელსაც ვერც ერთი სამქმე ბოლომდე ვერ მიჰყავს. უნდა არსებობდეს სპეციალური სამსახურები, რომლებიც უნდა არკვევდნენ პროექტისათვის გამოყოფილი თანხების რეალობას.

ყველაზე მცდარი მიდგომაა ტენდერებში გამარჯვებული იმის მიხედვით შეარჩიო, ვინც ყველაზე მცირე თანხას მოითხოვს. კომპანიები თამაშობენ გამარჯვებისათვის და ძალიან მცირე თანხას წერენ სატენდერო განცხადებაში, რის შემდეგაც აღმოჩნდება, რომ ხარჯი უფრო დიდია და საქმეს ვეღარ აკეთებენ... თუ გადაამჭრელი ზომები არ იქნა მიღებული პრობლემა უფრო გაღრმავდება. უნდა გამოვლინდეს არაკეთილსინდისიერი მუშაკები, რომლებიც გამიზნულად ადგენენ სატენდერო წინადადებებს და ტენდერში გამარჯვებული კომპანიები, რომლებსაც კანონით გათვალისწინებული 10 %-ის ნაცვლად 50%-იანი მოგების მიღებას ცდილობენ...

მაინც რა ნაკლოვანებები გააჩნია ტენდერების ჩატარების სისტემას?

პირველ რიგში დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნიკური დავალების სწორად და ზუსტად შედგენას. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება დაფუძნებული უნდა იყოს ბაზრის კვლევაზე და ანალიზზე. ტენდერის გამოცხადებამდე მათ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ და მეტი დრო დაუთმონ ბაზრის კვლევასა და ანალიზს, მისთვის საჭირო ხარისხის შესყიდვის ობიექტების საბაზრო ღირებულების დადგენასა და სავარაუდო ღირებულების სათანადოდ განსაზღვრას. რა თქმა უნდა შესყიდვებში არის დაგეგმარების პრობლემა, რადგან მასზე ძალიან ცოტა სტრუქტურა მუშაობს, რომელსაც აქვს სამსახური ან ერთი პიროვნება მაინც, რომელიც ახდენს მოთხოვნების კონსოლიდაციას[5].

მაგალითისათვის, თუ ნოუთბუქის საბაზრო ღირებულებაა 2000 ლარი და შენ გინდა მისი 800 ლარად შეძენა, გამორიცხულია. ან გვინდა პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და

საკონსულტაციო მომსახურებები ორ თვეში, როცა ამის დამუშავებას ჭირდება ერთი წელი მაინც, მაშინ ტენდერში არავინ მიიღებს მონაწილეობას, რადგანაც ყოველ გადაცილებულ დღეზე მომწოდებელ კომპანიას უწევს ჯარიმის გადახდა. ამიტომ იმ პირებს, რომლებიც ტენდერებს ბაზრის შესწავლის გარეშე აცხადებენ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი ტატო ურჯუშელაშვილი: „კომპეტენცია. არაკომპეტენტური ხალხია ჩართული ყველა მხრიდან, არაკომპეტენტური ტექნიკური დავალება გაიცემა და არაკომპეტენტური მონიტორინგი გვაქვს. ერთი მაინც რომ იყოს ამ სისტემიდან ამოვარდნილი, ის პროცედურას გააჩერებს და შეეცდება ისევ სანყისთან მიიყვანოს, საიდანაც დაირღვა, მაგრამ თუ მასში ჩართული ყველა მხარე თავის საქმეს არაკომპეტენტურად აკეთებს, მაშინ სავსებით შესაძლებელია ნებისმიერი გარიგება გაძვრეს ამ სისტემაში“. ...”როგორ შეიძლება კარგად დაგეგმილი ტენდერი ჩაგეშალოს?-ეს დოყლაპიობაა... უნდა გაირკვეს იმ პირების პასუხისმგებლობა, რომლებიც ტენდერებს ბაზრის შესწავლის გარეშე აცხადებენ“[6].

ჩვენ გვინდა ამჟამად თქვენი ყურადღება მივაპყროთ ტენდერში მონაწილე კომპანიების (ანდა კომპანიის) მხრიდან არაკეთილსინდისიერ ქმედებებს, რომლებიც გვაიძულებენ კანონმდებლობაში შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები, რათა ადგილი არ ექნეს კორუფციულ გარიგებებს. არც შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან და არც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან არავითარი ყურადღება არ ექცევა ამ საკითხს. ამ უკანასკნელის ინტერესებში უნდა შედიოდეს არა მარტო ელექტრონული სისტემით ტენდერის ჩატარება, არამედ იგი უნდა იყოს პასუხისმგებელი მიწოდებული ინფორმაციის ობიექტურობაში, რათა არ ქონდეს ადგილი თალღითობას, რითაც ზარალდება სახელმწიფო ბიუჯეტი. ამ მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში უნდა შეიქმნას მობილური ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ჩატარებული ტენდერების ობიექტურობას მასში მონაწილე კომპანიების მხრიდან და მიიღებს გადაამჭრელ ზომებს კორუფციის აღსაკვეთად. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

1. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და საკონსულტაციო სამუშაოები (შესყიდვის კატეგორია 72200000) — ასეთი სახის ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება მოითხოვს დიდ დროს და სამუშაო გა-

მოცდილებას. ასევე უკვე შექმნილი პროგრამები საჭიროებს ტესტირებას და ბოლოს ექსპლუატაციაში მიღებას.

შემსყიდველი ორგანიზაცია გამოცხადებული ტენდერით ითხოვს ამ სამუშაოს შესრულებას მთლიანად ხელშეკრულების დადებიდან სამი თვის ვადაში. აქედან ერთი თვის განმავლობაში უნდა მოხდეს შესყიდვის ობიექტის სატესტო-სამუშაო ვერსიის წარდგენა. ცხადია ამ ხნის განმავლობაში ასეთი სერიოზული პროგრამული პროდუქტის შექმნას (მაშინაც კი როცა პროგრამული პროდუქტი მზადაა დასაწერად) ვერცერთი გამოცდილი კომპანია ვერ შეძლებს. ასეთი მოქმედება ზღუდავს კონკურენციას და მომწოდებელ ორგანიზაციებს არასათანადო მგდომარეობაში აყენებს. ცხადია ტენდერში მონაწილეობა შეუძლია იმ კომპანიას, რომელსაც უკვე შექმნილი აქვს ანალოგიური პროგრამული პროდუქტი და შემსყიდველმა ორგანიზაციამ ეს წინასწარ იცის.

როგორც მოსალოდნელია ასეთ ტენდერებში იმარჯვებს ის პრეტენდენტი, რომელზეც გაკეთებულია მინიშნება და შემსრულებელი კომპანიაც დარწმუნებულია, რომ ხელშეკრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მას არ დაეკისრება საჯარიმო სანქციები და მოხდება ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივება. მართლაც ასეთ ტენდერებში ხდება ის რაზედაც ვსაუბრობთ. მომწოდებელი ვერ ეტევა ტენდერის შესრულების დროში და ითხოვს მის გახანგრძლივებას რამდენიმე თვით, რაც რა თქმა უნდა კმაყოფილდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ. ცხადია გახანგრძლივების ვადის გასვლაც ვერ შველის საქმეს, მაგრამ შემსყიდველი ორგანიზაცია მათ მიუხედავად დაუსრულებელი პროექტისა უფორმებს მიღებაჩაბარების აქტს და ფაქტობრივ გადახდებში ასახავს სახელშეკრულებლო თანხის ჩარიცხვას 100 %-ით, ფორმდება ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა და პროგრამული უზრუნველყოფის ხსენებული მომსახურებები ხელშეკრულების დადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ფორმდება შესაბამისი აქტით. ვადის თითქმის ორი-სამი წელი. შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მკაცრად დგება საჭიროება პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტის გამოყენებისა, რისთვისაც იგი იძულებულია საკუთარი პერსონალით და ფინანსური სახსრებით შეძლოს აღნიშნული საკითხის მოგვარება.

2. მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები (გზებზე ასფალტის დაგება) (შესყიდ-

ვის კატეგორია 45200000) — ერთ-ერთი ტენდერის მიხედვით 2.5 კმ სიგრძის გზის ასფალტის დასაგებად 2 527 000 ლარია გამოყოფილი. იდენტური პროექტისათვის 2.9 კმ სიგრძის გზისათვის კი 102 400 ლარი. ორივე შემთხვევაში შესასრულებელია ერთი და იგივე სამუშაო, მეტიც 400 მეტრით უფრო გრძელ გზაზე სამუშაოები ბევრად მცირე თანხებით ფინანსდება. 2.5 კმ სიგრძის გზაზე ასფალტის დაგებისათვის სინამდვილეში საჭიროა დაახლოებით 875 000 ლარი. ხედავთ რა თანხა რჩება ზედმეტი? რატომ? სამწუხაროდ კითხვები არ უჩნდებათ იქ, სადაც ტენდერში გამარჯვებული უნდა გამოვლინდეს. 2 527 000 ლარად სამ 2.5 კმ სიგრძის გზაზე დავაგებდით ასფალტს [4].

3. ტენდერში გამარჯვებულ ფირმას შემსყიდველ ორგანიზაციაში შეაქვს სატენდერო მოთხოვნებისაგან ტექნიკური მახასიათებლებით განსხვავებული პროდუქტი, რაზედაც არანაირ რეაგირებას არ ახდენს შემსყიდველი ორგანიზაცია.

4. კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები (შესყიდვის კატეგორია 30200000) — აქ სპეციფიკაციებში მონაცემები ისეა განერილი, რომ იგი თითქმის ერთი-ერთში შეესაბამება მოთხოვნილს. შემსყიდველ და მომწოდებელ კომპანიებს შორის კომერციული ინტერესების თანხვედრისას შემსყიდველი კომპანია პოტენციურ მომწოდებელთან შეთანხმებით ზრდის ტენდერის ღირებულებას (იგულისხმება რამდენიმე ათეული კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა). ტენდერით გამოცხადებული ფასი შესაძლებელია ბევრად აღემატებოდეს მის საბაზრო ღირებულებას. ცხადია შეთანხმებული მოქმედებით ტენდერში იმარჯვებს ის კომპანია, რომელსაც შემსყიდველმა კომპანიამ წინასწარ დაუსვა მის ხელთ არსებული კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკური მახასიათებლები და შეათანხმა სავარაუდო ფასი. ამიტომ ასეთ ტენდერში რამდენიმე პოტენციური წესიერი მომწოდებელი კომპანია ვეღარ დაბულობს მონაწილეობას და საბოლოოდ შემსყიდველისათვის მიწოდებული კომპიუტერული ტექნიკაც ვერ გამოირჩევა მაღალი ხარისხით.

დაუშვათ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა  $S_s$  ლარი, გამარჯვებულმა კომპანიამ შემოგვთავაზა  $S_G$  ლარი და შესყიდვის საბაზრო ღირებულება შეადგენს  $S_M$  ლარს, მაშინ უნდა სრულდებოდეს შემდეგი პირობები:  $S_S \sim S_M$  და  $S_G \leq S_s$ . თუ ეს პირობები დარღვეულია, მაშინ

ადგილი აქვს კომპანიების (ან რომელიმე კომპანიის) მხრიდან ტენდერისადმი არაკეთილსინდისიერ მიდგომას. რომლებშიც ხშირად მონაწილეობს ორივე სუბიექტი (შემსყიდველიც და მომწოდებელიც).

სწორედ ამისათვისაა საჭირო ბაზრის მოკვლევა გადამონმებული იქნას რომელიმე მაკონტროლებელი ორგანოს მიერ, რომ ადგილი არ ქონდეს გაბერილ ციფრებს, რომელსაც მივყავართ სახელმწიფო ბიუჯეტის დატაცებამდე.

შესყიდვების არსებული სისტემა დადებითი მოვლენაა. იგი კორუფციის დონის შემცირებასთან ერთად ზრდის შესყიდვების ეფექტურობას და ხელს უწყობს ჯანსაღ კონკურენციას. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ვალდებულია უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს ელექტრონული ტენდერების მონიტორინგს, რათა არ მოხდეს კანონის დარღვევა. შესყიდვების სისტემის დახვეწასთან ერთად აუცილებელია შეიცვალოს არსებული კანონმდებლობაც, რათა სრულად აისახოს განხორციელებული და წარმატებული ცვლილებები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ვინაიდან ტენდერებს იგებენ უპასუხისმგებლო კომპანიები შეიძლება დავასკვნათ: სახელმწიფო შესყიდვების კანონისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული დებულებების სრულყოფასთან ერთად შესყიდვების რეგულაციის პრობლემის გამო საჭიროა შესყიდვების სფეროს ძირეული გადახედვა და რეფორმირება.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. გოგნაძე სატენდერო დავალების ელექტრონული ფორმირება, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 6, ნოემბერ-დეკემბერი, 2011 წ.
2. მ. მალრაძე, თ. გოგნაძე სახელმწიფო შესყიდვების მართვის სრულყოფა ელექტრონული ტენდერების გამოყენებით ჟურნალი „ეკონომიკა“, 9-10, 2012
3. ხათუნა ჩიგოგიძე, [bpi.ge](http://bpi.ge) ტენდერები, რომლის გამოც საქართველოს ეკონომიკამ იზარალა, 25 დეკემბერი 2014 წ.
4. ეკა ლომიძე, ტენდერებში გაყვლეფილი საქართველო, გაზეთი "კვირის პალიტრა", 01.06.2015წ.
5. [www.tsu.edu.ge](http://www.tsu.edu.ge)
6. ცაგო კახაბერიძე გაზეთი ბათუმელები, სახელმწიფო შესყიდვები და კორუფციის რისკები, 19.04.2014 წ.

# საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები

რამაზ ოტინაშვილი — სტუ-ს პროფესორი  
მაგდა იაშვილი — სტუ-ს დოქტორანტი

## Some impeding factors development of small business in Georgia

Ramaz Otinashvili – Professor, GTU  
Magda Iashvili – PhD Student, GTU

Nowadays, at the modern stage of economic development, small business plays a main role in the development of Georgian economy. Thus, there is always relevance to analyze the factors, which impedes growing of small business in our country.

The article shows the results of the survey held in a small business enterprises located in the different regions of Tbilisi. There was discovered, that the picture of the recent small business market is not successful. It's necessary to hold a direct and purposeful state policy to improve small business. Article describes the main directions for encouraging small business used by European democratic countries.

### რეზიუმე

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საქართველოსთვის, მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესის განვითარება. ამიტომ, ყოველთვის აქტუალურია იმ ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზი, რომლებიც აფერხებენ ქვეყანაში მცირე ბიზნესის გავრცელებას.

სტატიაში განხილულია ავტორთა მიერ თბილისში მცირე ბიზნესის სხვადასხვა ობიექტებზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. აღმოჩნდა, რომ მცირე ბიზნესში დღეისათვის არსებული სურათი არასახარბიელოა. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს ბიზნესის ხელშემწყობი პოლიტიკის გატარება. ჩამოთვლილია დასავლეთში აპრობირებული მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები.

**საკვანძო სიტყვები:** მცირე ბიზნესი; განვითარების ტენდენციები; ხელისშემშლელი ფაქტორები.

საქართველოში მცირე ბიზნესი საკმაოდ არასახარბიელო ვითარებაშია. მიუხედავად იმისა, რომ მცირე მენარმეთა პრობლემებზე ბევრს საუბრობენ, იმართება შეხვედრები, კონფერენციები და დისკუსიები, ამ სფეროში არსებული მრავალი პრობლემა კვლავ მოუგვარებლად რჩება. მცირე მენარმეთა შემოსავლებისა

და მათი რაოდენობის ზრდის ნაცვლად ადგილი აქვს მსხვილი ბიზნესის გაფართოებას. აღნიშნული მოსაზრება 2014 წელს გაუქმებულ იქნა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებულ ანგარიშში, სადაც ითქვა, რომ 2012 წლიდან მოყოლებული ქვეყანაში მსხვილი გადამხდლების რაოდენობა გაიზარდა, რაც აისახა მათი შემოსავლების დაახლოებით 5 მლრდ ლარიანი ზრდით. ეს რა თქმა უნდა დადებითი ტენდენციაა, მაგრამ ქვეყნისთვის ამ ეტაპზე ბევრად მნიშვნელოვანი სწორედ მცირე ბიზნესის ზრდა და განვითარებაა.

არსებობს მთელი რიგი ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ეროვნული ვალუტის გაუფასურება და გამომდინარე აქედან არასტაბილური ფასები, რაც პირდაპირ ზემოქმედებს მცირე ბიზნეს-ობიექტების როგორც შესყიდვებზე, ისე რეალიზაციაზე. აღნიშნულთან უშუალო კავშირშია მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითუნარიანობა, რაც განპირობებულია მათი უდიდესი ნაწილის არასაკმარისი შემოსავლებით.

დასავლეთში შემოსავლების მიხედვით მსჯელობენ პიროვნების პოლიტიკურ შეხედულებაზე, გემოვნებასა და განათლებაზე, მის ასაკსა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზეც კი. შემოსავლების სიმცირის დროს ილახება ადამიანის, როგორც მატერიალური, ისე სულიერი ცხოვრება. ამიტომ, უკეთესი ცხოვრებისკენ, შემოსავლების გამრავლებისკენ სწრაფვა ბუნებრივი პროცესი და ნებისმიერი პიროვნებისთვის ეკონომიკური ლოგიკით ნაკარნახევი საბოლოო მიზანია.

დაბალი მსყიდველობითი უნარის გარდა, მცირე მენარმეებისთვის ბიზნესის გაფართოების ერთ-ერთ ბარიერად მაღალი გადასახადები ითვლება. დღეისათვის მცირე მოვაჭრეებს არ აქვთ საშუალება ბიუჯეტში გადაიხადონ მხოლოდ მიღებული შემოსავლების რაოდენობის პროპორციულად განანილებული გადასახადები. ცხადია, რომ ეს მცირე მენარმის ბიზნესზე აისახება უარყოფითად.

ექსპერტების ერთი ჯგუფი თვლის, რომ სახელმწიფო ვერ ახორციელებს სათანადოდ მცი-

რე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკას. აღნიშნული საწარმოები უყურადღებოდ არიან მიტოვებული უკვე მრავალი წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც უმუშევრობასთან გამკლავება სწორედ მცირე საწარმოებში მოქალაქეთა დასაქმებით არის შესაძლებელი.

ქვეყანას დღემდე არ გააჩნია აღნიშნული ბიზნესების განვითარების სტრატეგია, ხოლო ის პროგრამები, რომლებსაც მთავრობა ახორციელებს იმდენად მიზერულია, რომ მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საკმაოდ ბუნდოვანია.

როგორც „საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრის“ ერთ-ერთ კვლევაშია აღნიშნული, საქართველო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ კანონიც არ აქვს. მართლაც, თუ გადავხედავთ ევროპის განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობას დავინახავთ, რომ მათ ყველას აქვთ მიღებული კანონი მცირე მენარმეთა მხარდასაჭერად, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მათ ასეთი კანონი არა გააჩნიათ, მაშინ აღნიშნული ქვეყნები ევროკავშირის კანონმდებლობით სარგებლობენ.

ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა მცირე ბიზნეს გარკვეული ობიექტების კვლევა. წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით გამოკითხულ იქნა ქ. თბილისის ვაკისა და საბურთალოს რაიონების რამდენიმე მცირე საწარმო-ობიექტი: სილამაზის სალონები, პურის საცხობები, საჩუქრების მაღაზია, სამშენებლო მასალების მაღაზია, ხილ-ბოსტნეულით სავაჭროები და მცირე ზომის სასურსათო (სამ-ოთხ სექციანი) მაღაზიები. თავდაპირველად ძნელი იყო დასმულ შეკითხვებზე პასუხების მიღება, თუმცა გარკვეული საუბრების შემდეგ ბიზნეს-ობიექტების მფლობელები და მომუშავეები უფრო თავისუფლად პასუხობდნენ შეკითხვებზე.

კვლევაში ჩართულ მცირე საწარმოთა მენეჯერებს პრიორიტეტების მიხედვით უნდა დაეღაცებინათ და შესაბამისი ქულა მიენიჭებინათ მათთვის საკუთარი ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორებისათვის. შედეგებმა აჩვენა, რომ მცირე მენარმეთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი ეროვნული ვალუტის გაუფასურებაა. (იხ. ცხრილი 1).

**ცხრილი 1. მცირე ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები**

| № | ფაქტორი  | %  |
|---|--|----|
| 1 | ეროვნული ვალუტის გაუფასურება                             | 27 |
| 2 | არასტაბილური ფასები                                      | 20 |
| 3 | მომხმარებელთა დაბალი მსყიდველობითი უნარი                 | 17 |
| 4 | გადასახადების მაღალი განაკვეთები (მათ შორის კომუნალურის) | 11 |
| 5 | არაადეკვატური საბანკო პოლიტიკა                           | 10 |
| 6 | მოძველებული ტექნოლოგიები                                 | 2  |
| 7 | სხვა მიზეზები  | 5  |
| 8 | არ უპასუხა   | 8  |

ეროვნული ვალუტის გაუფასურებისა და არასტაბილური ფასების გამო მომხმარებელი ხშირად ვერ იძენს მისთვის სასურველ საქონელს და ყალიბდება მომხმარებელთა დაბალი მსყიდველობითი უნარი. ეს კი პირდაპირპროპორციულად აისახება მცირე ბიზნესის მდგომარეობაზე. ამგვარად, შექმნილია ე.წ. „მანკიერი წრე“ — დაბალი შემოსავლების გამო ვერ ვითარდება მცირე ბიზნესი. მეოთხე შემაფერხებელ ფაქტორად მენარმეთა მხრიდან დასახელდა გადასახადები. მართლაც, მათ მძიმე ტვირთად აწვებათ სამემოსავლო, მოგების, დამატე-

ბული ღირებულების, აქციზის და საბაჟო გადასახადების განაკვეთები. აღნიშნულს ემატება სულ უფრო მზარდი კომუნალური და იჯარის გადასახადები. მაშინ როდესაც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნული გადასახადებზე მენარმეთათვის გარკვეული შეღავათებია დაწესებული. ასევე აღნიშნული იქნა არაადეკვატური საბანკო პოლიტიკა. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ამ დროს საბანკო პოლიტიკა დამწყები ბიზნესის მიმართ. მენარმეებს არ აქვთ ბიზნესის დასაწყებად საჭირო საწყისი კაპიტალის კრედიტად აღების საშუალება,



რადგან როგორც წესი საქართველოში ბიზნესის წამოწყების საწყისი ეტაპი — ე.წ. start-up არ ფინანსდება. აგრეთვე რთულდება მაღალი საპროცენტო განაკვეთის ქვეშ გაცემული სესხის ყოველთვიური დაფარვა.

მენარმეთა მიერ შერჩეულ ფაქტორებს ჩვენი მხრიდან დავამატებდით მოსახლეობაში არსებულ სათანადო ბიზნეს-განათლებისა და შესაბამისი საბაზრო ჩვევების სიმწირეს.

კარგი იქნებოდა ანალოგიური გამოკითხვების რეგულარული ჩატარება გარკვეული პერიოდულობით, თუნდაც წელიწადში ერთხელ მაინც. ამასთან, სასურველია ასეთი კვლევების, როგორც თბილისის სხვა უბნებში, ისე საქართველოს სხვა რეგიონებშიც ჩატარება. ეს საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ ანალიზი დროისა და რეგიონების მიხედვით.

მაშასადამე, მცირე ბიზნესში დღეისათვის არსებული სურათი არასახარბიელოა. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს ბიზნესის ხელისშემწყობი პოლიტიკის გატარება.

განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მდიდარი გამოცდილება არსებობს. მისი საქართველოს პირობებთან ადაპტაციისათვის, საჭიროა მოხდეს გადასვლა კონცეპტუალურ საფუძველზე დამყარებულ მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება და განვითარება;
- საგადასახადო შეღავათების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ლეგალური ბიზნესის განვითარებას;
- შეღავათიანი მიზნობრივი დაკრედიტება. ფინანსური დახმარების პროგრამები, ბიზნესის დაწყების, გაფართოებისა და მოდერნიზაციისათვის. მონყობილობის და ნედლეულის შესაძენად და ა.შ.;
- უმუშევრობისადმი დახმარების სახელმწიფო პროგრამები სტიმულს აძლევს მსურველებს საკუთარი საქმის დაწყებაში;
- მცირე ფირმების ინოვაციური მოღვაწეობის და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განვითარების პროგრამები;
- რეგისტრაციის და ლიცენზირების გამარტივებული წესის შემოღება;
- საჭირო ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, ანალიზი და პროგნოზირება;
- სანედლეულო, მატერიალურ-ტექნიკურ და სხვა სახის რესურსებთან მისაწვდომობის შეღავათიანი პირობების შექმნა;

- თანამშრომლების და ხელმძღვანელობის მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლებაში დახმარება;
- მომზადება სასწავლო კურსების, საინფორმაციო ბიულეტენების, მეთოდური გამოცემების, გამოკვლევების ჩატარება ბიზნესის მართვის პრობლემებზე;
- სახელმწიფო შესყიდვები და მხარდაჭერა სახელმწიფო კონტრაქტების მიღებაში;
- მენარმეობის ახალი დარგებისა და მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა;
- მცირე ბიზნესის განვითარების რეგიონული ცენტრების ფართო ქსელი ცენტრალური, ადგილობრივი რესურსების კოორდინაციისათვის.
- დახმარება საგარეო-ეკონომიკური მოღვაწეობის განხორციელებაში საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში: ექსპორტი-იმპორტის, სამეცნიერო-ტექნიკურ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში მხარდაჭერა;

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოთინაშვილი რ., საქართველოს ეკონომიკა. სახელმძღვანელო. თბ., სტუ. 2012. 556 გვ.
2. ოთინაშვილი რ., ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები, თბ., სტუ, 2005. 440 გვ.;
3. გოგიაშვილი ო., მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში. დისერტაცია ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2013
4. ჯაფარიძე დ., საქართველოში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკის ანალიზი. თბ., 2012
9. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი. სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2009
10. როსტიაშვილი თ., მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის და განვითარების სტრატეგია დისერტაცია ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. სტუ. თბ., 2009.
7. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
8. [www.mof.ge](http://www.mof.ge)

## ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფულად-საკრედიტო მექანიზმი

ელენე მენაბდე-ჯობაძე — სტუ-ს ასოცირებული პროფესორი  
ნინო ლენტაძე — სტუ-ს დოქტორანტი

### რეზიუმე

სტატიაში: ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფულად-საკრედიტო მექანიზმი — აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ფულად-საკრედიტო ურთიერთობებზე ზემოქმედებაა, რაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკით ხორციელდება. ფულად საკრედიტო პოლიტიკა – ხელისუფლების მიერ, მაკროეკონომიკური პროცესების საჭირო მიმართულებით განვითარებაზე ზემოქმედების ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელსაც იგი ფულის მიმოქცევისა და საკრედიტო ურთიერთობების სფეროში ატარებს. მისი უმაღლესი მიზანი — ეროვნული მეურნეობის განვითარება და მყარი განვითარების უზრუნველყოფა. კონკრეტული მიზნებია: ფულადი სისტემის გამყარება, კაპიტალის ინვესტირების პროცესზე, სამომხმარებლო მოთხოვნაზე და ფასწარმომქმნაზე ზემოქმედება.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში ცენტრალურ ბანკს მთავარი როლი მიეკუთვნება, იგი ძირითადი სუბიექტია. ცენტრალური ბანკის გადასაწყვეტი ამოცანებია: უზრუნველყოს ეროვნული სავალუტო სისტემა, რადგან მყარი ეროვნული ვალუტა ბაზრის ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. კერძო (კომერციული) ბანკების მოქმედებაზე ისეთი ზემოქმედება, რომ სახელმწიფოს ინტერესები უზრუნველყოს. საკრედიტო პოლიტიკის ირიბ მეთოდებს მიეკუთვნება: ოპერაციები ფასიანი ქაღალდების ღია ბაზარზე; სააღრიცხვო (დისკონტური) პოლიტიკა; მინიმალური რეზერვების პოლიტიკა; ფულად-საკრედიტო სფეროში ჩარევის პირდაპირ ფორმად, საკრედიტო დაბანდების ზრდის შეზღუდვა ითვლება.

ცვალებადი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია (როგორც საშინაო ასევე საგარეო) სახელმწიფო რეგულირებაში აქცენტების კეინზიანური მეთოდებიდან მონეტარულზე და პირიქით გადატანას განაპირობებს.

### Summary

Article by Elene Menabde Jobadze: Money & Credit Mechanism of State Regulation of the Economy states that the most significant function of the state is impacting of the money & credit relations and this is provided through monetary policies. Monetary policy is the set of measures intended for providing required orientation of macroeconomic processes' development

implemented by the state in the sphere of cash turnover and credit relations. Its ultimate purpose is balanced and sustainable development. Its specific goals include strengthening of the monetary system, influencing of the investing processes, consumer demand and price formation.

The central bank plays the critical role in implementation of the monetary policies, it is the key subject. Objectives to be solved by the central bank include: provisioning of the national currency system, as the stable national currency is the most important element of the market infrastructure; impacting of the private (commercial) banks so that the state interests were protected. Indirect methods of the monetary policies include: operations at the open securities market; accounting (discount) policies; policies of the minimal reserves; restriction of growth of the credit investments is regarded as a direct form of intervention into the money & credit sphere.

Changing socioeconomic situation (both, domestic and foreign) causes moving of the emphases from the Keynesian methods to the monetary ones and vice versa, in the state regulation.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური თეორია, მაკროეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, სააღრიცხვო (დისკონტური) პოლიტიკა, სალომბარდო პოლიტიკა, მონეტარიაში, კეინზი, ცენტრალური ბანკი.

სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ფულად-საკრედიტო ურთიერთობებზე ზემოქმედებაა, რაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკით ხორციელდება.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა – ხელისუფლების მიერ, მაკროეკონომიკური პროცესების საჭირო მიმართულებით განვითარებაზე ზემოქმედების ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელსაც იგი ფულის მიმოქცევისა და საკრედიტო ურთიერთობების სფეროში ატარებს. მისი უმაღლესი მიზანი — ეროვნული მეურნეობის განვითარება და მყარი განვითარების უზრუნველყოფა. კონკრეტული მიზნებია: ფულადი სისტემის გამყარება, კაპიტალის ინვესტირების პროცესზე, სამომხმარებლო მოთხოვნაზე და ფასწარმომქმნაზე ზემოქმედება.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში ცენტრალურ ბანკს მთავარი როლი მიეკუთვნება, იგი ძირითადი სუბიექტია.

ცენტრალური ბანკის მიერ გადასაწყვეტ ამოცანათა კომპლექსში გამოყოფენ ორს. პირ-

ველი – იგი უზრუნველყოფს ეროვნულ სავალუტო სისტემას (ნაწილობრივ ეს საემისიო პოლიტიკაა), რადგან მყარი ეროვნული ვალუტა ბაზრის ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მეორე მიმართულება — იგი კერძო (კომერციული) ბანკების მოქმედებაზე ისე ზემოქმედებს, რომ სახელმწიფოს ინტერესები უზრუნველყოს.

დღეისათვის ბანკების ოპერატიული საქმიანობის რეგულირებისათვის, ძირითადი ყურადღება საბანკო ოპერაციების რისკს და ლიკვიდურობას ეთმობა. ცენტრალური ბანკის რისკებზე, ლიკვიდურობაზე და საბანკო სისტემის სტაბილურობაზე კონტროლის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი ბანკის მინიმალური საწესდებო კაპიტალია. საერთაშორისო პრაქტიკაში მინიმალური საწესდებო კაპიტალი 5 მლნ. აშშ დოლარის ფარგლებშია. ცენტრალური ბანკი აწესებს დირექტიულ მაჩვენებელს, როგორცაა თანაფარდობა საკუთარ და მოზიდულ სახსრებს შორის. უკანასკნელ პერიოდში ცენტრალური ბანკების მხრიდან გაცემულ კრედიტებზე კონტროლი ძლიერდება. ყველა მსხვილი კრედიტის შესახებ ცენტრალური ბანკი უნდა იყოს ინფორმირებული. განვითარებულ ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული საბანკო დეპოზიტების დაზღვევა, რაც წვრილ და საშუალო მენაბრეებს სრულად იცავს გაკოტრებისგან.

ცენტრალური ბანკი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში გარკვეულ ინსტრუმენტებს იყენებს, რომლებიც პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების მეთოდებს წარმოადგენენ. საკრედიტო პოლიტიკის ირიბ მეთოდებს მიეკუთვნება: ოპერაციები ფასიანი ქაღალდების ღირებულებაზე; სააღრიცხვო (დისკონტური) პოლიტიკა; მინიმალური რეზერვების პოლიტიკა. ფულად-საკრედიტო სფეროში ჩარევის პირდაპირ ფორმად, საკრედიტო დაბანდებების ზრდის შეზღუდვა ითვლება. მოცემული მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრალური ბანკი ზღუდავს კომერციული ბანკების მიერ არასაბანკო სექტორში განხორციელებულ საკრედიტო დაბანდებების ზრდას.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი ინსტრუმენტია ღირებულებაზე ოპერაციების ჩატარება. ცენტრალური ბანკი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვით კომერციულ ბანკებზე, არასაფინანსო სტრუქტურებზე და მოსახლეობაზე, ეფექტურად მოქმედებს ქვეყანაში ფულად-საკრედიტო ურთიერთობების განვითარებაზე. კომერციული ბანკები ცენტრალური ბანკისგან ფასიანი ქაღალდების შექენით თავის რეზერვებს ამცირებენ, რაც პოტენციური მსესხებლების დაკრედიტებას ამცირებს. ცენტრალური ბანკისათვის ფასიანი ქაღალდების მიყიდვისას კომერციული ბანკები თავის რეზერვებს ზრდიან. არასაფინანსო სტრუქტურები, ყიდულობენ რა ცენტრალური ბანკის ფასიანი ქაღალდებს ზრდიან თავის რეზერვებს. არასაფინანსო სტრუქტურები, ყიდულობენ რა ცენტრალური ბანკის ფასიანი ქაღალდებს ზრდიან თავის რეზერვებს. არასაფინანსო სტრუქტურები, ყიდულობენ რა ცენტრალური ბანკის ფასიანი ქაღალდებს ზრდიან თავის რეზერვებს.

ლური ბანკის ფასიანი ქაღალდებს ზრდიან თავის რეზერვებს. არასაფინანსო სტრუქტურები, ყიდულობენ რა ცენტრალური ბანკის ფასიანი ქაღალდებს, ამცირებენ თავის დეპოზიტებს (თანხებს საბანკო ანგარიშებზე) კომერციულ ბანკებში. ამრიგად, ცენტრალური ბანკს ამ სტრუქტურებზე უშუალო ზემოქმედების შესაძლებლობა აქვს, რითაც ამ საქმეში კომერციული ბანკების როლს ამცირებს.

ამიტომ ღირს ბაზარზე ოპერაციების ჩატარების პოლიტიკას, საკრედიტო პოლიტიკის ყველაზე ეფექტურ ინსტრუმენტად თვლიან. ოპერაციები ფასიანი ქაღალდების ღირებულებაზე თავისი ბუნებით საბაზრო ინსტრუმენტია, რომელიც ბაზრის „თამაშის წესებს“ შეესაბამება. ამავე დროს, იგი ცენტრალური ბანკს საშუალებას აძლევს ეკონომიკის არაფინანსურ სექტორში გავიდეს.

მოცემულ ინსტრუმენტს ნაკლოვანებებიც გააჩნია. მათ რიცხვშია მოქმედების დრო. იგი განსაზღვრულია ვადებით. რაც უფრო ხანგრძლივია ფასიანი ქაღალდების მოქმედების დრო, მით უფრო გრძელია საკრედიტო პოლიტიკის მოცემული ინსტრუმენტის გამოყენების პერიოდი. მეორე ფაქტორი, რომელიც ღირს ბაზარზე ოპერაციების გამოყენების ეფექტს აქვეითებს და ამცირებს შემაკავებელი პოლიტიკის შესაძლებლობებს, ცენტრალური ბანკის განკარგულებაში არსებული ფასიანი ქაღალდების რესურსების შეზღუდული რაოდენობაა. პრაქტიკაში ეს ნაკლი ორი საშუალებითაა აცილებული: ან სახელმწიფო ცენტრალური ბანკს ფასიანი ქაღალდების დამატებით რესურსებს გამოუყოფს, ან უფლებას აძლევს — ისინი დამოუკიდებლად გამოუშვას.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტს სააღრიცხვო (დისკონტური) პოლიტიკა და სალომბარდო პოლიტიკა წარმოადგენს. მათი გამოყენების დროს ცენტრალური ბანკი ყველა სხვა ბანკის ძირითადი კრედიტორის სახით გამოდის. იგი კრედიტებს გასცემს ბანკების თამასუქთა ხელახალი აღრიცხვის (დისკონტური პოლიტიკა), ან ფასიანი ქაღალდების (სალომბარდო პოლიტიკა) გირაოში დატოვების პირობით. ცენტრალური ბანკში ამ სახით შესულ თანხებს სალომბარდო კრედიტს უწოდებენ. ცენტრალური ბანკის მიერ ასეთ კრედიტებზე დაწესებულ განაკვეთს, პრაქტიკასა და ეკონომიკურ მეცნიერებაში, ოფიციალურ სააღრიცხვო (დისკონტურ, ან სალომბარდო) განაკვეთს უწოდებენ.

ცენტრალური ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს ეს განაკვეთი. მისი გაზრდით იგი ზრდის კრედიტის „ფასს“, რითაც კომერციული ბანკების მხრიდან სესხებზე მოთხოვნას ამცირებს. ან პირიქით, მისი დაწევით — ამ მოთხოვნის სტიმულირებას ახდენს. კომერციული ბანკები ცენტრალური ბანკიდან მიღებულ თანხებს, ეკონომიკის სხვა ობიექტებზე უფრო მაღალი პროცენტით გაასესხებენ. სა-

პროცენტო განაკვეთის გაზრდა, ე.ი. „კრედიტის გაძვირება“ ზღუდავს სასესხო რესურსებზე მოთხოვნას, აქრობს ფირმების მისწრაფებას ახალი ინვესტიციებისაკენ. განაკვეთის დაქვეითება კი კრედიტს „აიაფებს“ და ხელმისაწვდომს ხდის, რაც ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად კერძო სექტორის სტიმულურებას იწვევს.

ამით სააღრიცხვო პოლიტიკის როლი არ შემოსაზღვრება. სააღრიცხვო პოლიტიკა ფულად-საკრედიტო სფეროში ცენტრალური ბანკის სხვა მარეგულირებელ ეფექტებს აძლიერებს: ნაწილობრივ ღია ბაზარზე განხორციელებულ ოპერაციებზე და აუცილებელი რეზერვების ნორმებზე. გარდა ამისა, ცენტრალური ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკა, საკრედიტო-ფულადი ურთიერთობების სფეროში, ეკონომიკის სხვა სუბიექტებისათვის სახელმწიფო ქმედებების ინიციატორს წარმოადგენს. მაგალითად თუ ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთი იზრდება, ბანკებისთვის ნათელია სახელმწიფოს განზრახვა — შეკვეცოს საქმიანი აქტიურობა. და პირიქით, მისი დაქვეითება მოწმობს სახელმწიფოს მისწრაფებას — მოახდინოს ეკონომიკური პროცესების განვითარების სტიმულირება. ცენტრალური ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკა სხვა მეთოდებსაც იყენებს. მაგალითად ცენტრალურ ბანკს უფლება აქვს შეცვალოს სააღრიცხვო და სალომბარდო ოპერაციებში გამოყენებული ფასიანი ქაღალდების შემადგენლობა.

აუცილებელი რეზერვების პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტი, ფაქტიურად ორ ფუნქციას ახორციელებს: ერთის მხრივ ეს არის საბანკო ნიღბის ოფიციალური დაზღვევა; მეორე მხრივ — ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულატორი. საბანკო მოქმედებების პრაქტიკამ, რომელიც ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX დასაწყისში, აჩვენა რომ საკრედიტო ურთიერთობების სფეროს ოპერაციები განსაზღვრულ დაზღვევას ითხოვენ. ხშირად საკრედიტო ექსპანსიით მეტისმეტად გატაცებული ბანკები მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდნენ. ასე დაიბადა და პრაქტიკულად განხორციელდა იდეა მინიმალური რეზერვების შექმნის შესახებ. მოცემული სისტემა განსაზღვრულ ფულად თანხებს წარმოადგენს, რომლებიც კომერციულმა ბანკებმა ცენტრალური ბანკის ანგარიშზე უნდა იქონიონ. მინიმალური რეზერვების მოქმედების მექანიზმი ძალზე მარტივია. აუცილებელი რეზერვის მინიმალური დონის განსაზღვრით და ცენტრალურ ბანკში მისი ქონის აუცილებლობით, კომერციული ბანკები ცენტრალურ ბანკზე დამოკიდებულნი ხდებიან. ცენტრალური ბანკი აუცილებელი რეზერვების მოცულობის გაზრდით აფერხებს კომერციული ბანკების საქმიან აქტიურობას და შემცირებით — ასტიმულირებს მათ.

მინიმალური რეზერვების პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტი — ეკონომიკურ პროცესებში ჩარევის შედარებით „უხემ“ ფორმას წარმოადგენს. ამიტომ იგი საკრედიტო დარეგულირების სხვა ზომებთან ერთად გამოიყენება, კერძოდ კი სააღრიცხვო და სალომბარდო პოლიტიკასთან ერთად.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მექანიზმი, რომელიც მძლავრ ზეგავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ სიტუაციაზე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრაქტიკაში ფინანსურ პოლიტიკასთანაა შესაბამისობაში. პრობლემა ოპტიმალური ფინანსური და ფულად-საკრედიტო ღონისძიებების მოძებნაშია.

დასავლეთის ქვეყნების სახელმწიფო რეგულირების პრაქტიკამ აჩვენა, რომ ყველაზე რაციონალური ორივე პოლიტიკის შეთანხმებაა. თუმცა კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე შესაძლოა, ფულად-საკრედიტო ან საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკისკენ გადახრა.

ინსტრუმენტების ვარიანტების შერჩევის კრიტერიუმად იღება მაჩვენებლები, რომლებიც ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნიან მაკროეკონომიკურ წონასწორობას. თუკი საზოგადოებაში ყველაზე დიდი ეკონომიკური დაძაბულობა განპირობებულია მასიური უმუშევრობით, შემოსავლების განაწილების არასრულყოფილი სისტემით და ეკონომიკური ზრდის მკვეთრი დაქვეითებით, აუცილებელია ფინანსური ბერკეტების გამოყენება (საბიუჯეტო დაფინანსება, ფისკალური პოლიტიკა). როდესაც ეკონომიკისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს ინფლაცია და ეროვნული ვალუტის გადამხდელუნარიანობის დავარდნა წარმოადგენს, მიმართავენ ფულად-საკრედიტო მექანიზმს ანუ მონეტარიზმს.

ცვალებადი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია (როგორც საშინაო ასევე საგარეო) სახელმწიფო რეგულირებაში აქცენტების კეინზიანური მეთოდებიდან მონეტარულზე და პირიქით გადატანას განაპირობებს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების სრულყოფის გზები <http://www.nplg.gov.ge/gsd/ cgi-bin/ library.exe?e=d-01000-00--off-0ekonomik--00-1----0-10-0--0--0direct>
2. Андреанов В. Государственное регулирование и механизмы саморегуляции в рыночной экономике. ж. Экономист. 2012. №5.
3. მაკკონელი კ., ბრიუ ს. ეკონომიკისი. 4 ნაწილად. თბილისი 1993-1998წწ. თ.11.
4. Кузин Д. Промышленная политика развитых стран: цели, инструменты, оценки. ж. Вопросы экономики. 2013. №9.

## მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საქართველოში

ოლღა ხუციშვილი — სტუ-ს ასოც. პროფესორი  
თეა ხუციშვილი — სტუ-ს ასისტენტი პროფესორი  
ანა მეტრეველი — სტუ-ს მაგისტრი

### რეზიუმე

სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მცირე და საშუალო ბიზნესის სწორ განვითარებაზე. ცნობილია, რომ ნებისმიერი წარმოება წარმოდგენილია მატერიალური წარმოების გარეშე. სწორედ წარმოების პროცესში იქმნება მატერიალური დოვლათი ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც საზოგადოების არსებობის ძირითადი საფუძველია. თანამედროვე მსოფლიოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო ბიზნესი ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით. ის საქმიანი ურთიერთობები, რომლებიც ამ სფეროს განვითარებისათვის არის საჭირო, მნიშვნელოვანი და აუცილებელიცაა ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის.

### Развитие малого и среднего бизнеса в Грузии

Хуцишвили Ольга,  
Хуцишвили Теа,  
Метревели Ана

### Резюме

Экономическое развитие государства во многом зависит от развития малого и среднего бизнеса. Известно, что любой прогресс невозможен без материального производства. Материальное богатство, созданное в процессе производства для удовлетворения потребностей человека, является фундаментом общества. Учитывая текущую ситуацию в социально-экономическом развитии страны в современном мире во многом будут зависеть от малого и среднего бизнеса. Рабочие отношения, которые необходимы для развития этого сектора, является важным и необходимым для дальнейшего развития страны.

**საკვანძო სიტყვები:** მცირე და საშუალო ბიზნესი, საგადასახადო სისტემა, მენარმოება.

### შესავალი

მცირე ბიზნესის განვითარება სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტიკა. დღეს, როდესაც უმუშევრობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, როდესაც ქვეყანას ძალიან სჭირდება უფრო მეტი წარმოებული პროდუქცია და მომსახუ-

რება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მცირე ბიზნესი და მისი განვითარება. მცირე ბიზნესი არის საშუალება, რომ ადამიანები დასაქმდნენ და ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული სახელმწიფო დახმარებაზე. როდესაც ხალხს ექნება საკუთარი შემოსავალი, სახელმწიფოც მოიხსნის სოციალურ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს.

მცირე ბიზნესის წასახალისებლად საჭიროა უფრო მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა. მაგალითად, საგადასახადო სისტემაში ფიქსირებული გადასახადის შემოღება, მცირე ბიზნესისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი უნდა იყოს სესხების სახელმწიფო პროგრამები. მცირე და საშუალო საწარმოებისთვის უნდა არსებობდეს პროგრამები, სადაც ისინი შეძლებენ დაბალპროცენტუანი სესხის მიღებას. დღეს ასეთ პროგრამებზე ხელმისაწვდომობა დაბალია, რაც ვერ უწყობს ხელს მცირე და თუნდაც საშუალო ბიზნესის განვითარებას. საბანკო სექტორში საპროცენტო განაკვეთები მცირე ბიზნესისათვის, რომელთაც პატარა მოცულობის სესხი ესჭიროებათ უფრო ძვირია, ვიდრე მსხვილი სესხები. ამ და ასევე სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, პროდუქციის წარმოებაზე განეული ხარჯები მათთვის უფრო მაღალია, ვიდრე მსხვილი კომპანიებისათვის. კიდევ ერთი გზა მცირე ბიზნესს განვითარებისთვის არის სახელმწიფო შესყიდვების პროგრამებში მისთვის პრიორიტეტის მინიჭება. მცირე და საშუალო ბიზნესი წარმატებულად განვითარდეს, ისეთ სფეროებში, როგორცაა სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, საოჯახო ტურიზმი, მსუბუქი მრეწველობა. მცირე ბიზნესი საკმაოდ მომგებიანი სექტორია და მან შეიძლება დიდი მოგება მოუტანოს ადამიანს.

### ძირითადი ტექსტი

ბიზნესის ხელშეწყობის ვარიანტები რამდენიმე ფაქტორისგან შედგება. უპირველესი, ადმინისტრაციული ბარიერები, რომლის პრობლემაც საქართველოში არ არსებობს. დღეისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაარსება სირთულეს არ წარმოადგენს. შემდეგი პრობლემა — კრედიტისადმი ხელმისაწვდომობა. ბიზნესის დაწყება საკუთარი ხარჯებით ძალიან რთულია. ამ დროს საპროცენტო განაკვეთი მაღალია. იმდენად მაღალია, რომ მცირე ბიზნესი საკუთარი ხარჯებით კრედიტს

ვერ იღებს. ასევე პრობლემები დაკავშირებულია საგადასახადო ადმინისტრირებასთან. ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, ადამიანებს აყოვნებს, რომ წამოიწყონ ბიზნესი. არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელშიც სახელმწიფო არ არის დამნაშავე. ეს არის მოსახლეობის არაკრეატიულობა.

ეკონომისტები თანხმდებიან, რომ სამი მთავარი საკითხი ჭრის ბიზნესის განვითარების ამოცანას: მცირე მენარმეობის წახალისება, მცირე მენარმეობის სწავლება და მცირე მენარმეობის დახმარება გაყიდვაში. თუ ხელისუფლება შეიმუშავებს ამ სამ კომპონენტზე აგებულ მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ერთიან პროგრამას, მას შეუძლია უკვე 3-5 წელიწადში მიიღოს 200000-მდე მცირე სანარმო, რომლებიც ერთობლივი პროდუქტის მინიმუმ 25-30 პროცენტს შექმნიან.

აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ქვეყნებში, მცირე და საშუალო ბიზნესი გაცილებით დიდი ტემპებით ვითარდება. ამის ერთ-ერთი ძირითად მიზეზად ამ სახელმწიფოების მთავრობების როლი შეიძლება დავასახელოთ, ისინი გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობენ ასეთი სფეროების განვითარებას. ვინაიდან სწორედ ამ სფეროს უდიდეს ნაწილზე მოდის, ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა და საშუალო ფენის ფორმირება. ასეთ ქვეყნებში, ბოლო რამდენიმე ათწლეულია მშპ-ს 50-70%-ი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროზე მოდის.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე საუბრისას, საყურადღებოა მნიშვნელოვანი ფაქტი, ბანკი ხშირ შემთხვევაში არ აფინანსებს ბიზნეს იდეას, ისინი აფინანსებენ უკვე მეტ-ნაკლებად გამართულ ბიზნესს. ვინაიდან ამ შემთხვევაში, კვლავ და კვლავ ვითარდება ერთი ორგანიზაციის ბიზნეს-ინტერესები, რასაც მივეყვართ, მონოპოლიამდე, ეს კი პირველ რიგში მომხმარებელს აზარალებს. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერას და საბანკო სექტორის გვერდით დგომას. ეს არის ის ორი უდიდესი ბერკეტი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ბიზნეს სექტორის განვითარება სრულყოფილად.

საბანკო სექტორი საქართველოში მეტ-ნაკლებად კარგადაა განვითარებული. ბანკები განსაზღვრავენ ბიზნეს სექტორის განვითარების ხელშეწყობის პირდაპირ თუ ირიბ მიმართულებას. იმისათვის, რომ დღეს ბანკებმა ამ სფეროში გასცენ სესხები, ისინი ამონებენ დეტალურად იმ შესაძლებლობებს, რომლითაც უნდა მოხდეს იმ გადასახადების გადახდა, რომელიც მოითხოვს „მომავალმა ბიზნესმენმა“. ეს ძალიან მძიმეა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ამ სფეროში ცდილობენ ადგილის დამკვიდრებას, ვინაიდან თუ მომავალი ბიზნესი არ

გაამართლებს რჩება აუარებელი ბანკებიდან აღებული ვალი, რომლის გადახდაც მხოლოდ და მხოლოდ იმ ბიზნესის მესაკუთრეს უნევს რომლის ბიზნესმაც კრახი განიცადა ბაზარზე.

ბიზნესი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია, შეიძლება ითქვას რომ ბიზნესი და ეკონომიკა ერთმანეთის გარეშე პრაქტიკულად წარმოუდგენელია. ეკონომიკა, ეს არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს სამეურნეო საქმიანობაში მონაწილეთა ქცევებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მასში შემავალი მოძმე რესპუბლიკები სრულიად მართო აღმოჩნდნენ საკმაოდ რთული პრობლემის პირისპირ. საჭირო გახდა ყველა მათგანს ეზრუნა ქვეყნის მომავლისათვის და ჩამოეყალიბებინა დამოუკიდებელი ეკონომიკა. რამაც თავის მხრივ ბიძგი მიეცა კოოპერატივებისა, ამხანაგობებისა, კერძო ინდივიდუალური სანარმოებისა, ფერმერული მეურნეობებისა და სხვა მიკროსტრუქტურების ჩამოყალიბებისა.

იმ პერიოდისათვის მატერიალური და ფინანსური რესურსების ბრუნვა სხვაგვარად ხდებოდა, რაც თავის მხრივ ქმნიდა შესანიშნავ პირობებს მცირე და საშუალო სანარმოთა განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით 1990-იანი წლებიდან ვითარება მეტ-ნაკლებად იცვლება, იწყება საზოგადოებრივი ურთიერთობები, ჩნდება საკუთრების ახალი ფორმები და შესამჩნევი ხდება სოციალური ცვლილებები. ასეთმა საზოგადოებრივმა ცვლილებებმა, თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურა მთლიანად მოიცვა. თავდაპირველად შესამჩნევია წარმოების სწრაფი ვარდნა, რასაც თან მოჰყვა სოციალური პირობების გაუარესება, ვინაიდან ძალიან სწრაფად იმატა უმუშევრობამ.

სწორედ ასეთ ვითარებაში იწყებს ჩასახვას და აღორძინებას მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, რაც ერთის მხრივ მოგების მიღებაზე იყო ორიენტირებული და მეორეს მხრივ, იქმნებოდა სამუშაო ადგილები ასეთ მძიმე ვითარებაში. ყოველივე ეს, კი საფუძველი იყო ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი გაზრდისა, ასევე სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესი გახდა ტექნოლოგიური განვითარების წინაპირობა.

საქართველოში ამ პერიოდში რამდენიმე თავისებურება გამოიყოფა. 1980-იანი წლების მეორე ნახევარში ბიზნესის ეს სახეობა დიდი მასშტაბებით ვითარდება. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ პერიოდისათვის სწრაფად ვითარდება საცალო ვაჭრობა. მატერიალური წარმოების ჩავარდნამ ვერ შექმნა ის კლიმატი სწრაფად, რომელიც სჭირდება ვაჭრობის პრინციპების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ამიტომაც ზოგადად ბიზნესმა ძირით

თადად ყიდვა-გაყიდვის სფეროში გადაინაცვლა.

სახელმწიფოსა და ბაზრებს შორის აუცილებელია ჰარმონიულობა და იმ ხილული თუ უხილავი კანონების დაცვა, რომელსაც ეს ორი ორგანო ერთმანეთს უწესებს. მთავარია ქვეყანამ სწორად განსაზღვროს ის კრიტერიუმები და სფეროები, რომლის განვითარებასაც აპირებს პირველ რიგში და ხელი შეუწყოს ბიზნესის სწორ და მიზანმიმართულ განვითარებას.

უნდა ითქვას, რომ სანაყის ეტაპზე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითად მიზანს წარმოადგენს შიდა ბაზრის მომარაგება სამომხმარებლო საქონლით. სანაყის პერიოდში, როდესაც ხორციელდება სანარმოების „ფეხზე დადგომა“, ხდება კაპიტალის დაგროვება განაწილება, ცოდნის გაღრმავება და მცირე სანარმოების მუშაობის თავისებურებების უკეთ გაცნობა და შესწავლა. ვინაიდან ამ ეტაპების გავლის გარეშე რთულია ბაზარზე გასვლისას არ „დამარცხდე“ და ზარალი არ განიცადო კონკურენტებთან ბრძოლაში.

ანგარიშგასანვივია ის ფაქტი, რომ ქვეყანას რომელსაც ასეთი პრობლემა უდგას უმუშევრობის თვალსაზრისით, უნდა ცდილობდეს ისეთი ადამიანების დახმარებას, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ბიზნესი წამოიწყონ და შექმნან სამუშაო ადგილები. ვინაიდან, კარგადაა ცნობილი რომ მონოპოლიურ გარემოში არა თუ ჭირს ბიზნესის დაწყება განვითარება, არამედ, შეიძლება კარგად განვითარებულმა ბიზნესმაც ვერ გაუძლოს „კონკურენციას“ და გაკოტრებამდე მივიდეს. ამ თვალსაზრისით ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად გამოსასწორებელია მდგომარეობა.

მართალია, მონოპოლიური მდგომარეობის გამოსწორება ასე სწრაფად ვერ მოხერხდება, მაგრამ რაც უფრო სწრაფად დაიწყებს სახელმწიფო ბრძოლას და დარეგულირებას ამ სისტემისას, მით მალე მივიღებთ სასურველ შედეგს.

გასულის საუკუნის ბოლოს, როდესაც, საქართველოში განვითარება დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესმა, ამ სფეროს განვითარებაში გამოიკვეთა შემდეგი უმნიშვნელოვანესი პრობლემები, როგორცაა:

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამორჩენა, რომელიც საკმარისად აფერხებს წარმოების მუშაობისა და განვითარების ტემპებს.
- იმ შენობა ნაგებობების მოძიება, რომელიც მას ჭირდებოდა ფუნქციონირებისათვის, ისინი მსგავს შენობებს პარტნიორებისაგან იღებდნენ და ამის გამო მათზე დამოკიდებული ხდებოდნენ.
- დიდ პრობლემას წარმოადგენდა სახელშეკრულებო უდისციპლინობა, არ სრულდებოდა მათ მიერ აღებული ვალდებუ-

ლებები, როგორც ვალდებულებების ასევე შინაარსის მიხედვით.

- ის არსებული გადასახადები, რომელთა გადახდაც უწევდა მენარმეებს.
- საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემები, ლიცენზიის მიღება, ტრანსპორტირება, კავშირგაბმულობა და სხვა.
- ინფორმაციული უზრუნველყოფის დაბალი დონე.
- ორგანიზაციულ-სამართლებრივი გარემოს მოუწესრიგებლობა. მისი ხშირი ცვალებადობა ათას გაურკვევლობასა და პრობლემებს ქმნიდა. ხოლო არსებული კანონები არ სრულდებოდა, ამ ფონზე კიდევ სიტუაციას ართულებს ის ფაქტიც, რომ საშინლად მაღალი იყო მონოპოლია.

დღევანდელი მდგომარეობით ბევრი რამ შეიცვალა ბოლო წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში. საგადასახადო სისტემა გასულ წლებთან შედარებით მეტ-ნაკლებად დარეგულირდა, რაც როგორც სახელმწიფოსათვის ასევე იმ ბიზნეს გარემოსთვისაა აუცილებელი. მცირე და საშუალო ბიზნესის მწარმოებლებს გადასახადების გადახდა კანონით გათვალისწინებული დებულებებით უწევთ. ის განერილია და გათვლილია, რომელსაც არეგულირებს კანონი. ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ასახვას ჰპოვებს ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე.

მცირე ბიზნესის განვითარება ძალიან აქტუალური თემაა ნებისმიერი ქვეყნისათვის. უმუშევრობის შემცირებას და მოსახლეობის დასაქმებას, ხელს უწყობს ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბება. მცირე და საშუალო ბიზნესი ბაზარს აჯერებს ახალი საქონლით და მომსახურებით და ამით აკმაყოფილებს მსხვილი სანარმოების მოთხოვნებს.

საქართველოში მცირე და საშუალო მწარმოების განვითარება ბევრად დაბალია. ნაკლებია სახელმწიფო დახმარებაც მცირე და საშუალო სანარმოების მიმართ. განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება სერიოზული ტემპებით მიმდინარეობს, ეროვნული მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასეთ სანარმოებს, ადგენენ და ანხორციელებენ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებს, უწესებენ მათ მნიშვნელოვან შეღავათებს. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია, რომელიც ეკონომიკის სტაბილური განვითარების ბაზას წარმოადგენს და მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს. მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის გერმანიაში მცირე და საშუალო სანარმოები იყო სანარმოთა რიცხოვნობის 98,7%, საფრანგეთში 99,3%, შვეიცარიაში 99,1% და ავს-

ტრიაში 99,7%. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამერიკასა და ევროპაში მცირე ბიზნესმა ძალიან დიდი მნიშვნელობა შეიძინა.

მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების დონეს ხშირად განსაზღვრავს ქვეყნის დარგობრივი სპეციფიკა და ეკონომიკური მექანიზმი. ამიტომ, როცა მივმართავთ ციფრობრივი მაჩვენებლებით ოპერირებას და განვითარებული ქვეყნების შედარებას ქართულ რეალობასთან, აუცილებელია ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული განსხვავებების, ასევე ეროვნული მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის გათვალისწინება.

- საჭიროა საქართველომ გამოიყენოს მდიდარი მსოფლიო გამოცდილება. მოახდინოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და მხარდაჭერის წარმატებული მოდელების დანერგვა.
- აუცილებელია იმ სახელმწიფოთა გამოცდილების გათვალისწინება რომლებმაც სწრაფ ეკონომიკურ წარმატებებს მიაღწიეს მცირე პერიოდის განმავლობაში.
- საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის საჭიროა — საგადასახადო სისტემის სრულყოფა, საკრედიტო რესურსების გამოყოფა ბიუჯეტიდან, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მისაღებად, მაღალი რისკის პროგრამების სახელმწიფო დაზღვევის უზრუნველყოფა და რეგიონალური განვითარება (ცალკეული რეგიონების სპეციფიკისა და პრიორიტეტების გათვალისწინება).
- აუცილებელია ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის შემუშავდეს საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგია. რომელშიც გათვალისწინებული იქნება მონაწილე ქვეყნების გამოცდილება თეორიული და პრაქტიკული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით.
- მცირე საწარმოებს უფლება უნდა მიეცეთ ფუნქციონირების დაწყებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში ისარგებლონ შეღავათებით.
- მენარმეობის მხარდასაჭერად უნდა იქნეს გამოყენებული ბიზნეს-ინკუბატორების მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევების სწრაფად დანერგვას.
- მცირე და საშუალო ბიზნესისათვის საჭიროა მოგვარდეს საშემოსავლო გადასახადებისა და დაბეგვრის საკითხები.

## დასკვნა

ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში არსებული ბიზნეს მდგომარეობისა და ეკონომიკის განვითარებასთან.

საქართველო რომ განავითაროს თავის სუსტი მხარეები მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართულებით აუცილებელია შემუშავდეს სწორი და მიზანმიმართული გეგმა სამთავრობო დონეზე, ამ სფეროების განვითარებისათვის. ასეთი გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა ამ სფეროს პროფესიონალმა წარმომადგენლებმა, რომელთაც გარკვეული გამოცდილება აქვთ ამ სფეროში, წინააღმდეგ შემთხვევაში გაცილებით უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდება არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ ყველა სახელმწიფო სტრუქტურა.

მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა, პოლიტიკური სტაბილურობის ხელშეწყობა და მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე. გერბაია ბ. ლლონტი ვ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები. თბილისი. უნივერსალი. 2012 წ. გვ: 15,15. 34,40.
2. ბარათაშვილი ე. ბაკაშვილი ნ. ფარესაშვილი ნ. გერბაია ბ. მესხიშვილი დ. „თანამედროვე ბიზნესის სტრატეგიები“ გამომცემლობა „უნივერსალი“ - თბილისი 2011.
3. ლობჯანიძე ვ. „საერთაშორისო ბიზნესის მართვა და რეგულირება“ – თბილისი 2011.
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი
5. საქართველოს კანონი — “საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, 12/18/2009 2440;
6. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს 672 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია;
7. საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმძღვანელო “სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის მეთოდოლოგია” (GFSM 2001);
8. [http://www.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia\\_gogiasvili.pdf](http://www.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia_gogiasvili.pdf)
9. <http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/07/blog-post.html>
10. [http://abg.org.ge/docs/sme\\_support\\_policy.pdf](http://abg.org.ge/docs/sme_support_policy.pdf)



# ბიზნესის რეგულირება სახელმწიფოს მიერ და კონკურენციის პოლიტიკა

ნათია ტეტუნაშვილი — სტუ-ს დოქტორანტი  
მაგდა ბაქანიძე — სტუ-ს დოქტორანტი

## რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია საქართველოში ბიზნესის რეგულირების არსი, მისი მნიშვნელობა, ძირითადი ასპექტები და კონკურენციის პოლიტიკა. მასში განხილულია სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ფუნქციები და კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის არსი; აღწერილია ბიზნესში სახელმწიფოს ჩარევის მიზანი და ბაზრის რეგულირების საკანონმდებლო ბაზა.

სტატიაში ასევე მოცემულია ეფექტიანი კონკურენციის პოლიტიკის დანერგვის აუცილებლობა. თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული ბიზნესგარემო მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. კონკურენციის პოლიტიკის მეშვეობით ხდება საერთაშორისო ბაზარზე ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა, რადგან თავისუფალი კონკურენცია განაპირობებს საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ფასების რეგულირებას, ხელს უწყობს სიახლეების დანერგვას, პროდუქტიულობის ამაღლებას და, შესაბამისად, საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო რეგულირება, სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები, სახელმწიფო რეგულაციები, კონკურენციის პოლიტიკა.

## Summary

The article presents the essence of business regulation in Georgia, its importance, main aspects and competition policy. It discusses the main economic functions of the state and essence of the competitiveness policy; it also discusses the aim of the state intervention in the business and the legislative base of market regulation.

The article also provides the necessity of implementation of effective competition policy. Free, fair and competitive business environment is

important for the country's economic development. Competition policy support the country's competitiveness in the international market. Free competition determines improvement of the quality of goods and services, price regulation, encourages implementation of various innovations, raising productivity and, therefore, it grows the economic welfare of society.

**Keywords:** state regulation, the state economic functions, competition policy.

სახელმწიფო რეგულირება ეს არის სახელმწიფოს ზემოქმედება სახელმწიფოებრივი ორგანოების მეშვეობით ეკონომიკურ ობიექტებსა და პროცესებზე და მასში მონაწილე პირებზე; მისი განხორციელება ხდება იმ მიზნით, რათა პროცესებს მიეცეს ორგანიზებული ხასიათი, მონესრიგდეს ეკონომიკური სუბიექტების მოქმედება, უზრუნველყოფილ იქნეს კანონების, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა. სახელმწიფო რეგულირება მოიცავს ადმინისტრირებას, დაბეგვრას, აღრიცხვას, კონტროლს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებით იცვლება ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვა. ბიზნესის წარმატებით ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამისი გარემოს არსებობა, რომლის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოს (ხელისუფლებას) წამყვანი როლი ენიჭება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში განსაკუთრებული აქტუალობით სარგებლობს საკითხი სახელმწიფოს ფუნქციების შესახებ. ეკონომიკის ლიბერალიზაციის დროს სულ უფრო იცვლება და ახალ დატვირთვას ღებულობს სახელმწიფოს როლი თანამედროვე სამეურნეო ცხოვრებაში. სახელმწიფოს როლი მრავალ ღონისძიებებში გამოიხატება, მას შეუძლია შექმნას თანაბარი პირობები ყველა ინდივიდისათვის, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწინდარია. სახელმწი-

ფო წყვეტს ეკონომიკურ პრობლემებს ნებისმიერ ქვეყანაში, რაც ობიექტური აუცილებლობითაა განპირობებული.

ზოგადად, სახელმწიფოს რეგულაციები: კანონები, პოლიტიკა, ტრადიციები ზეგავლენას ახდენენ ინდივიდების ეკონომიკურ ქცევებზე. ზოგიერთ ინდუსტრიაში ან საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი ძალიან მაღალია. მაგრამ სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს საზოგადოებისათვის აუცილებელი მნიშვნელობის საქმიანობა, რისთვისაც ასრულებს სხვადასხვა ფუნქციებს. აქედან შეიძლება გამოვყოთ: 1. კანონშემოქმედებითი, 2. მენარმეობრივი და 3. საერთაშორისო.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა უნდა გამომდინარეობდეს სახელმწიფოს პრიორიტეტული ფასეულობებიდან და მის განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. სამენარმეო საქმიანობის მასტიმულირებელი კანონმდებლობა არის ნამდვილი რეგულატორი საბაზრო მექანიზმისა, რადგან საკანონმდებლო ბაზა სახელმწიფოს ხელშია, სწორედ მას შეუძლია „თამაშის წესების“ დადგენა. საკანონმდებლო რეგულირება ნორმალურ საბაზრო მეურნეობაში ხორციელდება: ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით; კანონმდებლობით საკუთრების შესახებ; საგადასახადო კანონმდებლობით; კანონმდებლობით მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ და სხვა.

ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოს ფუნქციები საკმაოდ მრავალფეროვანია, აქედან საგადასახადო პოლიტიკა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მთავარ ბერკეტად არის მიჩნეული. განვითარების მოცემულ ეტაპზე, ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების არსებული მდგომარეობიდან და სახელმწიფო ინვესტიციებიდან გამომდინარე, გადასახადის ოდენობა ინდივიდუალურად განისაზღვრება.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესებიდან გამომდინარე, საერთაშორისო ბაზარზე უდიდესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, რაც თვით ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა

ფაქტორებით არის განპირობებული. დღეს სახელმწიფოს მიერ კონკურენციის რეგულირების მთავარი სამართლებრივი აქტია „საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ“, რომელიც 2014 წლის 31 მარტიდან ამოქმედდა. ამ კანონის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

ბაზარზე თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით საერთაშორისო პრაქტიკა ასხვავებს კონკურენციის ორგანოს და სექტორულ მარეგულირებელს. მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ კონკურენციის პოლიტიკასა და ბაზრის რეგულირებას შორის არსებითი განსხვავებაა; კერძოდ, თუ კონკურენციის ორგანოს ფუნქციები ძირითადად კომპანიის სამენარმეო საქმიანობის კანონიერების შემოწმებით შემოიფარგლება, სექტორულ მარეგულირებელს აქვს უფრო ფართო უფლებამოსილებები, როგორცაა, მაგალითად, კომპანიის სატარიფო ან საინვესტიციო გადაწყვეტილების კონტროლი. კონკურენციის ორგანო ამოწმებს კონკრეტული სამენარმეო საქმიანობის კანონთან შესაბამისობას და შემდეგ ახდენს სათანადო რეაგირებას, ანუ რეაქცია კომპანიის მიერ ბაზარზე გარკვეული ქმედების განხორციელებას მოჰყვება. კონკრეტული სექტორის მარეგულირებელი ორგანო კი (მაგ., კომუნიკაციების, ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ორგანო) წინასწარ ახდენს რეაგირებას და, შესაბამისად, აძლევს ან არ აძლევს ავტორიზაციას განსაზღვრულ სამენარმეო ინიციატივას.

ქვეყანაში გატარებულ ეკონომიკურ რეფორმებს, კერძოდ, ვაჭრობისა და საინვესტიციო გარემოს ლიბერალიზაციას, პრივატიზებას და დერეგულაციას, შეუძლია მნიშვნელოვნად აამაღლოს კონკურენციის დონე. კონკურენციის პოლიტიკა, თავის მხრივ, მიზნად ისახავს, უზრუნველყოს ისეთი პირობების არსებობა, როდესაც კონკურენცია ბაზარზე ისე არ შეიზღუდება, რომ საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობას ზიანი მიადგეს. კონკურენციის პოლიტიკის საბოლოო მიზანია მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილება.

იგი ცდილობს, ერთმანეთისგან გამიჯნული იყოს კონკურენციის დაცვა და კონკურენტი ეკონომიკური აგენტების დაცვა. შიგა ბაზარზე არსებული კონკურენცია ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ბაზარზე მოქმედი კომპანიებისათვის, რათა მათ მოახდინონ ინვესტირება თავიანთი კონკურენტული შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.

სახელმწიფოს უმთავრეს ეკონომიკურ ფუნქციას წარმოადგენს საკანონმდებლო ფუნქცია. ზოგადად, ბიზნესის და ბაზრის რეგულირებისათვის საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. ძირითადი საკანონმდებლო აქტებია: საგადასახადო კოდექსი, კანონი მენარმეთა შესახებ, სამოქალაქო კოდექსი და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები სპეციფიკიდან გამომდინარე.

ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების უმთავრეს მიზანს თანამედროვე, გლობალური ეკონომიკის ფორმირების

პირობებში, კონკურენტუნარიანობის ამაღლება წარმოადგენს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://economics-agruni.yolasite.com/resources/Lecture%207.pdf>
2. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e4---4---0-11-11-en-10---10-ka-50--00-3-preferences-00-0-00-11-1-0utfZz-8-10-0-11-1-1utfZz-8-00&a=d&c=ekonomik&cl=CL1.2&d=HASH01327124d82fcbd27ef5b151.13#HASH01327124d82fcbd27ef5b151.13>
3. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e4---4---0-11-11-en-10---10-ka-50--00-3-preferences-00-0-00-11-1-0utfZz-8-10-0-11-1-1utfZz-8-00&a=d&cl=CL1.2&d=HASH01327124d82fcbd27ef5b151.33>
4. [http://www.transparency.ge/sites/default/files/post\\_attachments/Competition%20Policy%20in%20Georgia%20\(GEO\).pdf](http://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Competition%20Policy%20in%20Georgia%20(GEO).pdf)
5. „საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ“
6. „საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ“
7. Tirole J., „The Theory of Industrial Organization“, 1988, MIT Press, MA

# სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის თეორიული ანალიზი

სოფიო თალიაშვილი — თსუ-ს დოქტორანტი

## Theoretical analysis of the government's fiscal policy

Sophie Taghiashvili

PhD student of the Tbilisi State University

### Summary

Theme is related to the fiscal mechanisms of regulation of the economy in transition characteristics, as well as fiscal policies of various economic schools and their analysis of views, among them are theories about the mercantilism, classic, institutional, Keynesian, neoclassical and monetarist. It is clear that a different economic school makes different rates about fiscal policy, but each of them recognizes the fiscal policy as a major instrument in economic stabilization.

In the article is analyzed the theoretical basics of fiscal policy and also there is done a systematic review by periods and is stated each school's basic principles by matching them.

In the theme is reflected the fiscal policies of macroeconomic characteristics and problems which Georgia has to solve in nearest future, among them is to reach the stable economy the basis of which is the right determination of fiscal policy and its trends.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური სკოლების თეორიები; ფისკალური პოლიტიკა; საგადასახადო სისტემა; საბიუჯეტო მოწყობა.

აღნიშნული თემა ეხება როგორც ფისკალური მექანიზმებით გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების თავისებურებებს, ასევე ფისკალური პოლიტიკის შესახებ სხვადასხვა ეკონომიკური სკოლისა და მიმდინარეობის შეხედულებათა ანალიზს. გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სპეციფიკის, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების, რეგულირებაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა, შესწავლა და მეცნიერული ანალიზი ეფექტურია მხოლოდ აღნიშნული საკითხისადმი სისტემური მიდგომის პირობებში, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება რომ ეკონომიკა, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი მოიცავს როგორც საბაზრო მექანიზმებს, ასევე სახელმწიფო რეგულატორებს, რომელთა ეკონომიკაზე გავლენისადმი კომპლექსური მიდგომა მოითხოვს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი

უმნიშვნელოვანესი მიმართულების გამოკვეთას, როგორცაა ფისკალური პოლიტიკა.<sup>1</sup>

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის განსაზღვრა ნებისმიერი ქვეყნისათვის ერთ-ერთი საკვანძო და პრობლემატური საკითხია, მისი გადანყვევის ხარისხზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება სათავეს იღებს კაპიტალიზმის განვითარების სანყის ეტაპზე, რამაც ასახვა ჰპოვა გვიანდელ მერკანტილიზმში. ამ კონცეფციის მიხედვით სახელმწიფო ეკონომიკას არეგულირებს აქტიური სავაჭრო ბალანსის მეშვეობით და იყენებს მას როგორც ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

კლასიკური თეორია აღიარებს რა ეკონომიკური ლიბერალიზმის კონცეფციას, ემყარება ბაზრის თვითრეგულირების სისტემას. ამ მიმართულების წარმომადგენლები სახელმწიფოს როლს ეკონომიკურ პროცესებში მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფუნქციებით საზღვრავდნენ, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკური სუბიექტების ფუნქციებში ჩარევად. ეკონომიკის რეგულირებისადმი ასეთი მიდგომის მთავარ ღერძს წარმოადგენდა ადამ სმიტის „უხილავი ხელის“ კონცეფცია, მოგვიანებით კი ჟან ბატისტ სეის მოქმედების თავისუფლების იდეა იმის შესახებ, რომ მიწოდება წარმოშობს მოთხოვნას.

კლასიკური მოდელის ალტერნატიულ მიმართულებად XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა ინსტიტუციური თეორია. ის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფაში განსაკუთრებულ როლს აკისრებს ისეთ ინსტიტუტებს, როგორცაა: სამართალი, ოჯახი, ტრადიციები, პროფესიული კავშირები და სხვა, აღნიშნული თეორიის მიხედვით ისინი უნდა ემსახუროდნენ საზოგადოებრივ ძალთა განონანსწორებას, ხოლო სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი განისაზღვრება ამ ინსტიტუციების ფორმირებითა და რეგულირებით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრივ რეგულირებას აქვს არანაკლები მნიშვნელობა, ვიდრე საბაზრო მექანიზმებს. ამ კუთხით, ინსტიტუციონალიზმი ითვლება ეკონომი-

<sup>1</sup> ო. ბლანშარი. მაკროეკონომიკა. მეხუთე გამოცემა, თსუ. თბილისი 2010. გვ. 33.

მიკის აქტიური სახელმწიფოებრივი რეგულირების კონცეფციის წინამორბედად.<sup>2</sup>

საზოგადოების შემდგომმა ეკონომიკურმა განვითარებამ კლასიკური მიდგომის კორექტირების აუცილებლობა გამოიწვია. კერძოდ კაპიტალის კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის ბაზაზე მსხვილი კორპორაციების შექმნამ შეზღუდა კონკურენცია და თავისუფალი ფასნარმოქმნა, შედეგად ეკონომიკურმა სისტემამ დაკარგა მოქნილობა რასაც მოჰყვა 1929 - 1933 წლების ეკონომიკური კრიზისი. ეკონომიკური პროცესების ამ მიმართულებით განვითარება გახდა მიზეზი იმისა, რომ ეკონომიკური რეგულირების კლასიკური თეორია ჩაანაცვლა ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის ქეინზიანურმა თეორიამ. ქეინზმა უარყო ეკონომიკის თვითრეგულირების შესაძლებლობა და სახელმწიფო ფუნქციების გაფართოება აღიარა. აღნიშნული თეორიის თანახმად, შეუძლებელია ეკონომიკური პროცესების ოპტიმალური დაბალანსება მხოლოდ თვითრეგულირებისა და საბაზრო მექანიზმების მეშვეობით. თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში განმსაზღვრელი როლი უნდა შეასრულოს ერთობლივი მოთხოვნის მართვამ, რომლის უმთავრეს ბერკეტადაც სახელმწიფო ფინანსებია აღიარებული. სახელმწიფო ფინანსებისა და შესაბამისად ფისკალური პოლიტიკის ქეინზიანურმა თეორიამ უარყო მანამდე არსებული მიდგომა დაბალანსებული ბიუჯეტის უპირატესობის შესახებ და ერთ-ერთ მთავარ საკითხად აქცია ბიუჯეტის დეფიციტის პრობლემა. აღნიშნული თეორია ერთმანეთისაგან მიჯნავს ფისკალური პოლიტიკის ორ სახეობას: დისკრეციულს და ავტომატურ ანუ „ჩაშენებული სტაბილიზატორების“ პოლიტიკას.

დისკრეციულია ისეთი საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა, როცა ხელისუფლება ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის გათვალისწინებით და შესაბამისად ახორციელებს მასტიმულირებელ ან შემაკავებელ პოლიტიკას. პირველ შემთხვევაში სახელმწიფო ზრდის ხარჯებს, ან ამცირებს გადასახადებს, რითაც საბოლოო ჯამში ზრდის ერთობლივ მოთხოვნას და სტიმულს აძლევს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, ამასთან გადასახადების შემცირებას შეიძლება არ მოჰყვეს ერთობლივი მოთხოვნის ზრდა, რად-

<sup>2</sup> თ. გამსახურდია. საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბილისი „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2003. გვ. 55-57.

გან შეიძლება გადასახადებში არგადახდილი თანხა ნაცვლად მოხმარებისა დანაზოგებში მიმართოს, ასეთ შემთხვევაში ცხადია უფრო ეფექტიანი შეიძლება იყოს ხარჯების ზრდა.

„ჩაშენებული სტაბილიზატორების“ ქვეშ მოიაზრება ისეთი ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც ავტომატურად რეაგირებს ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებზე და არ საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან რაიმე დამატებით ღონისძიებათა გატარების აუცილებლობას. ასეთ სტაბილიზატორებს მიეკუთვნება: პროგრესული საგადასახადო სისტემა, საპროცენტო განაკვეთის, ფასების დონისა და წარმოების რეალური მოცულობის ცვლილებების ავტომატური მექანიზმები. მაგრამ ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული სტაბილიზატორები ვერ უზრუნველყოფენ ეკონომიკური პროცესების ოპტიმალურ მართვას, ამიტომ წარმოიშობა ე.წ. დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის გამოყენების აუცილებლობა.

„ჩაშენებული სტაბილიზატორების“ თეორიამ შემდგომში თავისი განვითარება ჰპოვა ნეოქეინზიანელების ეკონომიკურ შეხედულებებში. მათი თეორიის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის, როგორც ფისკალური პოლიტიკის და ერთობლივი ეროვნული პროდუქტის განაწილება-გადაანაწილების ინსტრუმენტის, მთავარ ფუნქციად მიჩნეულია ეკონომიკური ციკლის ფაზების რეგულირება, ხოლო ეკონომიკური სისტემის წონასწორული მდგომარეობის მიღწევისა და შენარჩუნებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას როგორც სახელმწიფო ხარჯები, ასევე გადასახადები და ამ ინსტრუმენტების გამოყენება უნდა მოხდეს ეკონომიკური ციკლის ფაზების ცვალებადობის შესაბამისად. კერძოდ, ეკონომიკური ზრდის პირობებში სახელმწიფომ უნდა გაზარდოს გადასახადების განაკვეთები, ამის საპირისპიროდ შეამციროს სახელმწიფო ხარჯები, რათა მოახდინოს გარკვეული ფინანსური რეზერვის ფორმირება, რომლის გამოყენებასაც ეკონომიკური კრიზისის პერიოდში შეძლებს.<sup>3</sup>

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან განვითარებულ ქვეყნებში თავი იჩინა ეკონომიკაში სახელმწიფოს მეტისმეტი ჩარევის უარყოფითმა შედეგებმა. პრობლემები გამოვლინდა ინფლაციური პროცესების გაძლიერებაში, სახელმწიფო აპარატის გაბერვაში, ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის ზრდაში, ბუნებრივია ყოველივე ამან გამოიწვია ეკონომიკური ზრდის შენელება. აუცილებელი გახდა ეკონომ-

<sup>3</sup> ი. მესხია. საჯარო ფინანსები, გადასახადები და ბიუჯეტი. თბილისი, 2012. გვ. 23-25

მიკაში სახელმწიფოს ჩარევის საკითხის გადახედვა, რის შედეგადაც წარმოიშვა ნეოკლასიკური თეორია. ამ თეორიის მიხედვით ბაზარი თავად ქმნის ეკონომიკური ზრდის საუკეთესო პირობებს, ამიტომ სახელმწიფოს ჩარევამ კი არ უნდა შეზღუდოს ბაზარი, არამედ უნდა უზრუნველყოს კონკურენციის განვითარება. ფისკალური პოლიტიკის მიმართ ამ უკანასკნელთა შეხედულებები მიზანშეწონილია განხილულ იქნეს მისი ორი ძირითადი მიმართულების — „მინოდების ეკონომიკის“ და მონეტარისტული თეორიის მიხედვით.

„მინოდების ეკონომიკის“ მოდელის რეალიზაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ფინანსებს, კერძოდ, გადასახადების შემცირებას და სახელმწიფო ხარჯების შეზღუდვას. ნეოკლასიკური სტრატეგიის მომხრეები განსხვავებით ქეინზის კონცეფციისაგან, აქცენტს აკეთებდნენ და ამოსავალ წერტილად თვლიდნენ მინოდების სტიმულირებას. მათი აზრით, მინოდების სტიმულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სწორედ ფისკალური პოლიტიკის ისეთი ინსტრუმენტის ამოქმედება, როგორცაა გადასახადების შემცირება. საგადასახადო მექანიზმის გამოყენების ანალოგიურია „მინოდების ეკონომიკის“ თეორიის მიმდევრების დამოკიდებულება ფისკალური პოლიტიკის მეორე ინსტრუმენტის, სახელმწიფო ხარჯების მიმართ. ისინი გამოდიან სახელმწიფო ხარჯების ზრდასა და ინფლაციას შორის არსებული მჭიდრო კავშირის ბუნებიდან. აღნიშნული მიდგომით, სახელმწიფო ხარჯების მეტისმეტი ზრდა იწვევს ბიუჯეტის დეფიციტის გადიდებას, ეს უკანასკნელი კი წარმოშობს გაზრდილ სახელმწიფო ვალს, რამაც შეიძლება შექმნას ნოყიერი ნიადაგი ქვეყანაში ინფლაციური პროცესების განვითარებისათვის, ამიტომ ინფლაციის შემცირებისათვის ისინი აუცილებლად მიიჩნევენ სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, განსაკუთრებით რეალური პროგრამების დაფინანსების შეზღუდვას, რადგან სწორედ სოციალური დაფინანსების ხარჯები არის „ინფლაციური გენის“ მატარებელი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „მინოდების ეკონომიკის“ თეორია არა თუ უარყოფს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების უმნიშვნელოვანესი ბერკეტის, ფისკალური პოლიტიკის გამოყენებას, არამედ მიიჩნევს მას აქტიურ და ქმედით ღონისძიებათა სისტემად, მაგრამ ქეინზიანური და ნეოქეინზიანური თეორიებისაგან განსხვავებით ის ითვალისწინებს გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, რითაც უზრუნველყოფს ერთი

მხრივ გადასახადების შემცირების კვალობაზე ეკონომიკურ ზრდას, მეორე მხრივ კი სახელმწიფო ხარჯების შეზღუდვით ასტიმულირებს ანტიინფლაციურ პროცესებს.

ფისკალური პოლიტიკის მიმართ „მინოდების ეკონომიკის“ თეორიის მომხრეთა შეხედულებებისაგან არსებითად განსხვავდება მონეტარისტთა შეხედულებები. მონეტარისტულ თეორიაში, ქეინზიანური, ნეოქეინზიანური და „მინოდების თეორიისაგან“ განსხვავებით, დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება ფისკალურ პოლიტიკას. მონეტარისტებისათვის ფისკალური პოლიტიკის ბერკეტების — გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების გამოყენებას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც მათი მეშვეობით შესაძლებელია ფულის მიმოქცევაზე ზემოქმედება. ამდენად, მონეტარისტული მიდგომით, ეკონომიკური სტაბილიზაცია შეიძლება მიღწეულ იქნეს ეფექტიანი და მოქნილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით, ხოლო ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია მხოლოდ ფულის მასის რეგულირებით „დაეხმაროს“ ეკონომიკას. ამგვარი გაგებით ფისკალურ პოლიტიკას მონეტარისტებისათვის აქვს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემაში წმინდა სახით არ გამოიყენება არც ერთი ზემოთ დახასიათებული თეორია. მიუხედავად ნეოკლასიკური მიმართულების პოპულარობისა, ეკონომიკის რეგულირების ქეინზიანური მეთოდი მთლიანად არ შეცვლილა, განხორციელდა მხოლოდ მისი ძირითადი პოსტულატების სინთეზი ნეოკლასიკური თეორიის ზოგიერთ დებულებასთან, რის საფუძველზეც აღმოცენდა „ნეოკლასიკური სინთეზი“, რომელიც ეფუძნება ერთი მხრივ ქეინზიანელობას ხოლო მეორე მხრივ მონეტარისტულ მიდგომას. „ნეოკლასიკური სინთეზის“ თავისებურებაა ის, რომ იგი განსხვავებით ყველა ზემოხსენებული თეორიისაგან, ეკონომიკურად მიზანშეუწონლად მიიჩნევს ფისკალური პოლიტიკის დამოუკიდებელ გამოყენებას ეკონომიკური სტაბილიზაციისათვის. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, ფისკალური პოლიტიკის გატარება მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ეფექტიანი, როდესაც იგი ხორციელდება შესაბამის ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში და მხოლოდ და მხოლოდ მასთან ინტეგრირებულად.<sup>4</sup>

<sup>4</sup> დ. გიორხელიძე. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები. თბ., „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“, 2003, გვ. 173.

ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი სახელმწიფოებისათვის ფისკალურ გადაწყვეტილებებს განსხვავებული მიზანი აქვს: მაღალ განვითარებულ ქვეყნებში ეს პოლიტიკა მიზანმიმართულია უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდის ტემპები დინამიკაში. განვითარებულ ქვეყნებში — მიღწეული ეკონომიკური სტაბილურობიდან ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლა პრიორიტეტი. ხოლო გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფისკალური პოლიტიკა მონოდებულია პასუხობდეს საბაზრო ეკონომიკაზე სრულყოფილი გადასვლისათვის და ეკონომიკური სტაბილურობისათვის პირობების მომზადებას.

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობა და ცხოვრების დონე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამ ქვეყანაში მოქმედ საგადასახადო სისტემის გამართულობასა და სახელმწიფოს მიერ გატარებულ საგადასახადო პოლიტიკაზე, იმის გათვალისწინებით, რომ გადასახადები სახელმწიფოს არსებობის ეკონომიკური საფუძველი და ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა. საგადასახადო პოლიტიკა ფისკალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად ქვეყნის გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის თავისებურებებთან მისადაგებული საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და სრულყოფის ხარისხზე დიდადაა დამოკიდებული ისეთი უმნიშვნელოვანესი სფეროების განვითარება, რომლებიც თავად განაპირობებენ სახელმწიფოს ფინანსური უზრუნველყოფის დონესა და ხარისხს. ამ მხრივ საგადასახადო პოლიტიკამ და მის მიერ ჩამოყალიბებულმა საგადასახადო სისტემამ აქცენტი უნდა გააკეთოს და აქტიური ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკის პრიორიტეტული დარგებისა და სექტორების განვითარებაზე, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების მინიმუმამდე დაყვანაზე, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების აქტივიზაციაზე, ქვეყნის სოციალური სფეროს განვითარების ხელშეწყობაზე, წარმოების ეფექტიანობის ზრდასა და მთლიანობაში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.<sup>5</sup>

უნდა ითქვას, რომ საქართველოში მიმდინარე ეტაპზე განხორციელებული საგადასახადო რეფორმა ზოგიერთი გადასახადის განაკვეთის შემცირების მიმართულებით თავისთავად პოზიტიური მოვლენაა მაგრამ, როგორც მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს არ არსებობს იმის

ერთმნიშვნელოვანი დადასტურება, რომ გადასახადების განაკვეთების შემცირებას მოკლევადიან პერიოდში აუცილებლად მოჰყვება საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა. ამასთანავე საგადასახადო განაკვეთების შემცირებით მიღებული ფისკალური ეფექტი განსაკუთრებით გამოკვეთილად შეიძლება გამოჩნდეს საგადასახადო რეფორმის გატარებიდან არა მოკლევადიანი პერიოდის, არამედ დროის შედარებით დიდი ინტერვალის გასვლის შემდეგ.<sup>6</sup>

მართალია, ბოლო წლების განმავლობაში ბევრი რეფორმა გატარდა და ქვეყანა მნიშვნელოვნად მიუახლოვდა ევროკავშირის სტანდარტებს, მაგრამ არსებული მონაცემები მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისა და ამ პროცესებში სახელმწიფოს აქტიური როლის განსაზღვრისათვის. ეკონომიკის მდგრადი განვითარების წინაპირობების შექმნისათვის, მიზანშეწონილია სამართლებრივი და ინსტიტუციური სისტემის სრულყოფა და საბაზრო ეკონომიკის მექანიზმებთან სრული თავსებადობა. ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია საგადასახადო კანონმდებლობის კიდევ უფრო დახვეწა, მნიშვნელოვანია, რომ უფრო სრულყოფილი გახდეს საბიუჯეტო მონყოფა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიუჯეტის დეფიციტის რეგულირების საკითხები.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბლანშარი ო. მაკროეკონომიკა. მეხუთე გამოცემა, თსუ. თბილისი, 2010;
2. გიორხელიძე დ. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები. თბ., 2003;
3. გამსახურდია თ. საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., 2003;
4. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები. თბ., 2000;
5. მესხია ი. საჯარო ფინანსები, გადასახადები და ბიუჯეტი. თბ., 2012;
6. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა (თეორია და პოლიტიკა). თბ., 2005;
7. ჩიქვილაძე მ. საგადასახადო საქმე. თბ., 2007.

<sup>5</sup> გ. მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. თბ., 2000, გვ. 329.

<sup>6</sup> მ. ჩიქვილაძე. საგადასახადო საქმე. თბილისი. 2007. გვ. 47.

# უპრავი ქონების შეფასების დასავლური მეთოდების ადაპტირება საქართველოს პირობებისათვის

შოთა გუჯაბიძე — სტუ-ს დოქტორანტი

## რეზიუმე

სოციალისტური სისტემის ნგრევისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ საქართველოში უძრავი ქონების ბაზრის საკანონმდებლო და საგადასახადო რეგულაციებს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა და ბაზარიც სპონტანურად ყალიბდებოდა. არ ხდებოდა და არ ხდება უძრავი ქონების ბაზრის მეცნიერულ დომეზე შესწავლა და სწავლება, რის გამოც ბაზარზე შესაბამისი სპეციალისტების ნაკლებობაა. მიუხედავად გარკვეული გადადგმული ნაბიჯებისა ამ მიმართულებით, უძრავი ქონების ბაზარზე არ არსებობს დახვეწილი საკანონმდებლო სისტემა, რომელიც დააარეგულირებდა უძრავი ქონების შეფასების სტანდარტებს. აზარზე შესაბამისი კადრების ნაკლებობის გამო უძრავი ქონების შეფასება ხდება არა კომპეტენტური სპეციალისტების მიერ, რაც აფერხებს სავაჭრო ურთიერთობებს აღნიშნულ ბაზარზე და ხელს უშლის მის შემდგომ განვითარებას. აღნიშნული საკითხის კვლევის პროცესში, ჩვენი მიზანია მოვახდინოთ უძრავი ქონების შეფასების დასავლური მეთოდების მაქსიმალურად მორგება და ადაპტირება საქართველოს პირობებისათვის. საქართველოს უძრავი ქონების ბაზარს გააჩნია სპეციფიკური თავისებურებები, რისი გათვალისწინებაც უნდა მოხდეს შეფასების პროცესში. ერთ-ერთი ამოცანაა შემუშავდეს უძრავი ქონების შეფასების ერთიანი ფორმატის URAR-ის (Universal Residential Appraisal Report) ქართულ ბაზარზე მორგებული ვერსია. ხსენებული შეფასების ფორმატის გამოყენება მკვეთრად გააუმჯობესებს არსებულ სიტუაციას ამ მიმართულებით, რადგან URAR-ი მაქსიმალურად ობიექტურია სტანდარტული შეფასების დროს და განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გამოიყენება უმეტეს შემთხვევებში უძრავი ქონებით ვაჭრობისას.

**საკვანძო სიტყვები:** უძრავი ქონების ბაზარი; ქონების შეფასების მეთოდები; ფასწარმოქმნის მექანიზმები; შეფასების კრიტერიუმები.

## Adaptation of Real Estate valuation methods to the Conditions of Georgia

Shota Gujavidze

### Summary

After socialist systems demolition and formation as an independent country in Georgia legal and tax regulations of real estate market were not paid a proper attention and the market has evolved spontaneously. There was no scientific study of real estate market and teaching in this direction too and appropriate of this there's lack of specialists in that field. Despite some steps in this direction, on Georgian real estate market there is no refined legal system that would regulate the real estate appraisal standards. Due to lack of the relevant specialists on real estate market, appraisal is being performed by incompetent staff, this action inhibits trade relations on the market and hinders its further development. In the research process of mentioned issue, our goal is to manage the adjustment and adaptation of real estate Western appraisal methods to Georgian market conditions. Georgian real estate market has specific characteristics, which should be taken into account in the appraisal process. One of the tasks is to develop real estate appraisal unified format - URAR (Universal Residential Appraisal Report) adjusted version for Georgian market. Using mentioned format of appraisal will dramatically improve situation in this field as the URAR is the most objective method in standard cases of appraisal and been used mostly on the real estate trade market.

კავკასიის რეგიონის ქვეყნები, ისევე როგორც ამ რეგიონის ცენტრალური სახელმწიფო – საქართველო გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ეტაპზეა. ქვეყანა მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზაზე დგას. ცოტა ხნის წინ საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. ევროკავშირი და საქართველო ჩართული არიან ამბიციურ პროექტში, რომელიც „ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის“ (DCFTA) შექმნას ისახავს მიზნად. უნდა აღმოიფხვრას „საზღვრის მიღმა“ არსებული დაბრკოლებები, რითაც საქართველოსთვის გაიხსნება და გაფართოვდება ევროკავშირის შიდა ბაზარი. ბაზარზე დაშვების დაბრკოლებათა ორმხრივი და ეტაპობრივი მოხსნა DCFTA-ს



გეგმის შესაბამისად უნდა მოხდეს. უძრავ ქონებას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ აქტივს და მსხვილ რგოლს მსოფლიო ვაჭრობაში დიდი ადგილი უკავია, როგორც ქვეყნის ეკონომიკის ასევე ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებაში. საქართველოსა და ევროკავშირის მიერ DCFTA-ს შექმნის ფარგლებში გათვალისწინებული საგადასახადო და საკანონმდებლო რეგულაციები აუცილებელია ევროკავშირის ბაზართან დაახლოებისათვის და საბოლოოდ მასზე შესვლისათვის. ამისათვის ჩვენ რაც შეიძლება კარგად უნდა შევისწავლოთ DCFTA-ს შექმნის პროექტით გათვალისწინებული რეგულაციები და ხელი შევუწყოთ მათი საქართველოს სინამდვილეში ადაპტაციისა და ჰარმონიზაციის პროცესების სწორად წარმართვას, რათა საქართველომ დროულად შესძლოს ევროკავშირის ბაზარზე შესვლა.

ჩვენი შესწავლისა და კვლევის საგანი უძრავი ქონების ბაზარი და უძრავი ქონების შეფასებისა და მართვის მეთოდებია. საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე ისევე როგორც ზოგადად კავკასიის რეგიონში ამჟამად მეტად საკამათო სიტუაციაა. მოციალუსტური სისტემის ნგრევამ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამ პოსტ საბჭოთა ქვეყნებში სხვა მრავალ ცვლილებასთან ერთად მოიტანა კერძო და დაცული საკუთრება, რამაც უძრავი ქონების ბაზრის შექმნასა და ვაჭრობის განვითარებას შეუწყო ხელი. 2000 წლიდან იწყება შედარებით სტაბილური ეკონომიკური წინსვლა რაც გახდა ერთ-ერთი წინაპირობა უძრავი ქონების ბაზრის განვითარებისა და გაძლიერების. ამჟამად უძრავი ქონების ბაზარს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკაში და სწრაფი ტემპებით ვითარდება. 2006 წლიდან ბაზარი ველარ აკმაყოფილებდა არსებულ მოთხოვნას რამაც სამშენებლო კომპანიების მომრავლება განაპირობა და დაიწყო ახალი უძრავი ქონებების დიდი რაოდენობით შექმნა. საქართველოში უძრავი ქონების ბაზარს განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს და მეტად მომგებიანია არსებულ რეალობაშიც კი, მაგრამ ბაზრის განვითარებას საგრძნობლად აფერხებს ის ფაქტი, რომ საქართველოში ამ მხრივ საკანონმდებლო და საგადასახადო რეგულაციები არ არის სრულყოფილი და მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპულსგან, რადგან ამ საკითხს წლების მანძილზე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა და ყალიბდებოდა სპონტანურად. საქართველოში არ ხდება უძრავი ქონების ფასების დინამიკის

ღრმა და საფუძვლიანი კვლევა, ამის გამო არ არის წვდომა რეალურ მონაცემებზე, ვერ ხერხდება ქონების ობიექტურად შეფასება და ფერხდება საბაზრო ურთიერთობები. ბაზრის განვითარებას აფერხებს ისიც, რომ ქვეყანას არ ყავს შესაბამისი სპეციალისტები ამ სფეროში. რა ხდება ამ სფეროს სამეცნიერო დონეზე შესწავლა და სწავლება, რაც განაპირობებს ბაზარზე თვითნასწავლი, არა კომპეტენტური შემფასებლებისა და მოვაჭრეების ოპერირებას და ზრდის სპეკულაციური გარიგებების, შეფასებისას მიკერძოვებულობის და არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების ალბათობას. და რაც მთვარია – მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ უკვე მოაწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, აღნიშნული საკითხების მოგვარების გარეშე ვერ მოხერხდება მისი ევროკავშირის ოჯახში სრულ-ფასოვან წევრად მიღება.

რაც შეეხება ცალკეული უძრავი ქონების შეფასების მექანიზმებს, საქართველოში დღეს უძრავი ქონების შეფასება ძირითადად შედარების მეთოდის გამოყენებით ტარდება, რომლის დროსაც შესადარებელი ობიექტების შერჩევა არასრული დამთხვევით კეთდება და საბაზრო ფასის განსაზღვრა ძალიან მწირი პარამეტრების მიხედვით ხდება. შედარების მეთოდის გამოყენების დროს შესადარებელ ობიექტს იღებენ საგაზეთო ან ინტერნეტ განცხადებებიდან, სადაც გამყიდველისთვის სასურველი ფასებია მითითებული და არა რეალურად რეალიზაციის ღირებულება. ზოგ შედარებით წინ წაწეულ სააგენტოებსა და აუდიტორულ კომპანიებში ხდება ასეთი განცხადებებიდან აღებული ფასების კორექტირება მითითებულ ღირებულებაზე 20%-ის გამოკლებით. ამის მოტივი შემდეგია – კეთდება დაშვება რომ გამყიდველი სწორედ ამ ოდენობის ფასსამატს გააკეთებდა განცხადებაზე, გაყიდვის პროცესში ვაჭრობისას თანხის დასაკლება. იუხედავად იმისა რომ ამ ლოგიკას აქვს არსებობის უფლება ეს დაშვება ასახავს საბაზრო ურთიერთობების მხოლოდ ერთ-ერთი განვითარების შესაძლო ვარიანტს. იგივე ლოგიკით გამყიდველს საჩქაროობიდან ან სხვა არსებითი მიზეზებიდან გამომდინარე შეიძლება მითითებული ჰქონდეს რადიკალურად განსხვავებული (ნაკლები) ფასი. ამიტომ ამ მიდგომის გამოყენება დაუშვებელია და შესადარებელი ობიექტების მოძიება უნდა ხდებოდეს საჯარო რეესტრის ბაზაში უკვე რეგისტრირებული ყიდვა-გაყიდვის ტრანზაქციების საფუძველზე. უძრავი ქონების შეფასე-

ბისას ასევე გამოიყენება მეთოდები: დანახარჯების მიხედვით და შემოსავლების მიხედვით მიდგომა. დანახარჯების მიხედვით მიდგომა გულისხმობს მიწის შეძენის ფასს დამატებული მასზე არსებული ნაგებობის აშენების, გაუმჯობესებისა და აღჭურვის ღირებულებებს გამოკლებული ყველანაირი ცვეთა. ეს მეთოდი არ ასახავს ობიექტის საბაზრო ღირებულებას და გამოიყენება უმეტესად კომერციული ან სპეციალური გარიგებების დროს. ლაც შეეხება შეფასებას შემოსავლების მიხედვით – ეს მეთოდი გულისხმობს უძრავი ქონებიდან მომავალი პოტენციური შემოსავლების ღირებულებად მიმდინარე მდგომარეობის მიხედვით, თუმცა როგორც უნდა განისაზღვროს შემოსავლის ოდენობა თუ არ მოხდება საბაზრო ღირებულების ობიექტური შეფასება რეალურ დროში. შესაბამისად ამ მეთოდით შეფასება დამოკიდებულია პირველ რიგში ისევ საბაზრო ფასით, ანუ ობიექტის შედარების მეთოდით შეფასების ობიექტურობაზე.

ასევე უნდა აღინიშნოს რომ კომპანიები, რომლებიც უძრავი ქონების შეფასებას ახდენენ, თავიანთ დასკვნაში წერენ, რომ შეფასების დროს იგულისხმებოდა რაიმე ფაქტორების არ არსებობა, რომლებსაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ შესაფასებელი ობიექტის ღირებულებაზე, და შემფასებელი პასუხისმგებლობას იხსნის მსგავსი ფაქტორების აღმოჩენისაგან. ჩვენ ვთვლით რომ უძრავი ქონების შეფასებისას, შემფასებლის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა მოქმედი ეკონომიკური და ფიზიკური ფაქტორი.

უძრავი ქონების შეფასებისადმი ასეთი მიდგომებით, შეფასების დროს შესადარებელი და გასათვალისწინებელი პარამეტრების არ ცოდნისა თუ უგულვებელყოფის გამო შეფასების შედეგები ხშირად შეიძლება არ ასახავდეს ქონების რეალურ ღირებულებას და იყოს ობიექტურობას მოკლებული. ამის მიზეზი ძირითადად შემფასებლების კომპეტენციაზეა დამოკიდებული. საუკეთესო შემთხვევაში შეფასებას ლიცენზირებული აუდიტორი, ხოლო უარეს შემთხვევაში შესაბამისი განათლების არ მქონე, პრაქტიკოსი მაკლერი გააკეთებს. რა თქმა უნდა აუდიტორების საქმიანობას არ ვაკნინებთ და არც მათ კომპეტენციაში შეგვაქვს ეჭვი, მაგრამ ვთვლით, რომ მათ არ გააჩნიათ უშუალოდ უძრავი ქონების საფუძვლიანი ცოდნა და არც სასწავლო დაწესებულებებში სადაც აუდიტორები გადიან სწავლებას ისწავლება უძრავი ქონების შეფასება როგორც ცალკეული საგანი.

საქართველოს კანონში აუდიტორული საქმიანობის შესახებ დეტალურადაა განსაზღვრული აუდიტორთა საქმიანობის სფერო, მაგრამ არაფერია ნახსენები კონკრეტულად უძრავი ქონების შეფასებაზე, ჩვენ ვთვლით რომ ამ საპასუხისმგებლო და დელიკატური საქმიანობის აუდიტორებზე მიკუთვნება არაკორექტულია. უძრავი ქონების შეფასებას ცალსახად უნდა უძღვებოდეს შესაბამისი განათლების მქონე სპეციალისტი, რომლის საქმიანობაც უნდა იყოს ლიცენზირებადი.

აქვე უნდა აღინიშნოს სახელმწიფოს როლი, რომელმაც უნდა მოახდინოს შესაბამისი რეგულაციებისა თუ ნორმატიული აქტებისა და სტანდარტების დამკვირდება, რადგან ამ სფეროში არ არსებობს კორექტული მომანერგებელი კანონმდებლობა. არსებული კანონმდებლობით სერთიფიცირებული შემფასებლის დასკვნა სავალდებულოა მხოლოდ სახელმწიფო ქონების შეფასებისას, რაც განსაზღვრულია საქართველოს კანონით "სახელმწიფო ქონების შესახებ". კონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბაზაზე არსებობს „შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის სერთიფიკაციის ორგანო“ რომლის ბაზაშიც 2008 წლიდან დღემდე მხოლოდ ასამდე სერთიფიცირებული შემფასებელი ირიცხება, და მიუხედავად ამ მიმართულებით გადადგმული გარკვეული ნაბიჯებისა, მათი სწავლება და შეფასების მეთოდები არაა სრულყოფილი და საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის რეალობაზე მაქსიმალურად მორგებული.

ჩვენი კვლევების შედეგად პირველად საქართველოში მივიღებთ რეალურ შედეგებს, რაც აუცილებელია უძრავი ქონების ბაზრის ევროპულ ბაზართან დაახლოვებისა და საბოლოოდ მასზე შესვლისათვის. კვლევის პროცესში, ბაზარზე უძრავი ქონების ტიპების მიხედვით, ფასების დასადგენად ჩვენ ვიყენებთ სტატისტიკური ანალიზის მეთოდს, ეროვნული რეესტრის, სახელმწიფოს სტატისტიკური დეპარტამენტისა და თბილისის მერიის მიერ მონოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ეს საშუალებას მოგვცემს ობიექტურად ავსახოთ ბაზარზე ფასების მდგომარეობა რეალურ დროში. რაც შეეხება უძრავი ქონების დეტალური შეფასებისა და ფასების ცვალებადობის პროგნოზირებისათვის, ამისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის კათედრაზე არსებული „ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის“ ბაზაზე

(ფარგლებში) იგეგმება უძრავი ქონების ბაზრის კომპიუტერული მოდელის შექმნა. კომპიუტერული მოდელირება საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად დაზუსტებული და ამომწურავი ინფორმაცია მივიღოთ ბაზრის მდგომარეობაზე, ნებისმიერ სეგმენტში. ასევე მოგვცემს საშუალებას ვანარმოთ უძრავი ქონების შეფასება ყველა იმ პარამეტრის გავალისწინებით რასაც შეუძლია ფასის ცვალებადობაზე გავლენის მოხდენა.

ჩვენს კვლევაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი უძრავი ქონების ცალკეული ობიექტის შეფასების მეთოდია. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გამოიყენება ე.წ. ნოდებული URAR-ის (Universal Residential Appraisal Report) საცხოვრებლის უნივერსალური შეფასების ფორმა, რომელშიც დეტალურადაა ჩამოთვლილი უძრავი ქონებისა და მასზე შესადარებელი ობიექტების ყველა ანგარიშგასანევი პარამეტრიც. URAR-ის მიხედვით უძრავი ქონების შეფასების მექანიზმი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და კომპლექსურად ითვალისწინებს ობიექტის ლოკაციას, ურბანული განვითარების დონეს, მიმდებარე ტერიტორიის განვითარების ტემპს, ფასების ზრდისა თუ ვარდნის ტენდენციას ობიექტის სიახლოვეს, მოთხოვნა-მიწოდების ბალანსს მიმდებარე ტერიტორიაზე, ანგარიშსწორების ფორმას, ხმაურის და აქტივობის დონეს, საკანალიზაციო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ორგანიზებას, ობიექტის ექსპლუატაციის ვადას, შენობის ფუნდამენტის ტიპს და მდგრადობას, გადახურვის ტიპს, გამოყენებულ და ექსტერიერის მოსაპირკეთებელ მასალებს, ობიექტის ცვეთის დონეს, სამეზობლოს სოციალურ სტატუსს, ხანძარსა და სხვა ფაქტორებს, უსაფრთხოებას, შენობის ენერგო ეფექტურობას, ობიექტის ინოვაციურ ტექნოლოგიურ სერვისს (გათბობა-

ვენტილაციის ავტომატიზირებული სისტემები, საოჯახო ტექნიკისა და ელ.მონყობილობების დისტანციური მართვა) და სხვა მრავალ ფაქტორს.

საქართველოში უძრავი ქონების შეფასება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხდება ბევრი ფაქტორის უგულვებელყოფით და უმეტესად შემფასებლის სუბიექტურ აზრსა თუ გამოცდილებას ეფუძნება. ევროკავშირის უძრავი ქონების ბაზარზე მოქმედი ოპერატორების გამოცდილების არ გაზიარების გამო შეუძლებელი ხდება ფასების ობიექტურად შეფასება და მათი ცვალებადობის პროგნოზირება, როგორც გრძელ – ისე მოკლევადიან პერსპექტივაში. შემფასებლის სუბიექტური მოსაზრება გამოიყენება URAR-ის ფარგლებშიც, მაგრამ ბევრად დახვეწილი სახით, შემფასებლის დასკვნა დართულია URAR-შიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შეფასების სხვა მრავალ პარამეტრს შორის დასკვნა იკავებს URAR-ის საერთო მოცულობის მხოლოდ 10%-ს. ასეთი მიდგომა მაქსიმალურად ამცირებს ადამიანურ ფაქტორს შეფასებისას და მინიმუმამდე დაჰყავს მიკერძოვებულობის ალბათობა. ტექსტზე დართულია URAR-ის ქართულად შესრულებული ვერსიის სამუშაო ვარიანტი (მაგალითისათვის), რომლის დახვენასა და ბაზარზე მორგებისთვისაც აქტიურად ვმუშაობთ.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://certification.org.ge/>
2. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“
3. საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ მე-7 და მე-15 მუხლები.

საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა სპეციალობის, განსხვავებული ფასეულობებისა და შეხედულებების წარმომადგენელები საფუძველს უყრიდნენ ეკონომიკურ თეორიის განვითარებას. აღნიშნული ნაშრომი არის მცდელობა ამ თეორიების საერთო მდგენელების მიგნების და საქართველოს რეალობაში მათი გამოყენების შესაძლებლობების შექმნისათვის. ამ იდეის სწორად გატარების აუცილებლობიდან გამომდინარე პირველ ეტაპზე ვფიქრობ საჭიროა შემდეგი სახის თეორიული მიმდინარეობების განხილვა: 1. კლასიკური, ნეოკლასიკური, ეკონომიკური განვითარების, კეინსიანური, შუმპერტიანული, სავაჭრო და ენდოგენური განვითარების თეორიებს შორის საერთო მდგენელების მოძებნა, ამ მოდელების ეგზოგენური ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთქმედება; ეკონომისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ბაზრის მაქსიმალური თავისუფლება წარმოაჩენს და ზრდის ეკონომიკას ჯანსაღი გზით, რაც სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა აჩვენა სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა კრიზისის და სტაგნაციის პირობებში, ამ პირობების თავიდან ასაცილებლად და ეკონომიკის დივერსიფიკაციის სეგმენტში. გამომდინარე იქიდან, რომ განვითარების კონკრეტული ეტაპი ყველა ქვეყანაში მოთხოვნების უნიკალურობით ხასიათდება (რეკომენდაციები ევროკავშირის სახელმწიფოთა მთავრობებს, ჰოვარდ რიდი და ნილ ლოსონი და კიდევ მსოფლიოდან 100 ეკონომისტის მიერ მოწონებული ნაშრომი – „კარგი ეკონომიკა კარგი საზოგადოებისთვის“). საქართველოს ეკონომიკასაც ბუნებრივია სპეციფიკური სტიმულირება სჭირდება.

ამ მიდგომის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი გახლავთ ჯასტინ იუფუ ლინ – ის ნაშრომი „ახალი სტრუქტურული ეკონომიკა, განვითარებისა და პოლიტიკის ხელახალი გააზრება“, რომელიც აანალიზებს ბოლო 50 წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესებს განვითარების ეკონომიკის კუთხით. ნაშრომმა მრავალი დისკუსია გამოიწვია ეკონომისტებში და ბევრი გამოხმაურებაც არსებობს, მაგრამ საბოლოოდ მათი ძირითადი ნაწილი შეთანხმდა სახელმწიფოს ახლებური როლის აუცილებლობაზე. ამ

მიდგომის იდეა მდგომარეობს სტრუქტურული ეკონომიკის სტიმულირების და სახელმწიფოთა შორის და სექტორთა შორის ფარდობითი უპირატესობის გზების მოძიებაში. განვითარების ეკონომიკის ისტორიაში სხვა და სხვა შეხედულებები სჭარბობდა და ეს შეხედულებები (რომელიც ადექვატური იყო სხვადასხვა ეტაპზე) ამ ნაშრომის მიხედვით სამ „ტალღად“ დაყვეს. ე.წ. პირველი ტალღა ეწოდება დაცული ეკონომიკების ერას, სადაც ტარიფებით ან/და რაოდენობრივად იცავდნენ ბაზრებს. დღევანდელი გადასახედიდან მაღალი სოციალური ღირებულების და განვითარების ტემპების შედარებითი შეზღუდულობის გამო ეს მოდელი არ არის რეკომენდირებული; მეორე ტალღა ე.წ. „LAISSEZ FAIRE“<sup>1</sup>, რომელიც სრულ თავისუფლებას გვთავაზობს — ეკონომიკის განვითარებას ანდობს თავისუფალ ბაზარს და ბიზნესს, მაგრამ ამ შემთხვევაში მრავალი ეკონომისტის მოსაზრებით ტექნოლოგიურ პროგრესში, სექტორულ დივერსიფიცირებასა და ინოვაციებში სათანადო ინვესტიცია არ ხდება (პოლ კრუგმანი 1994). განვითარების ახალი სტრატეგია, რომელსაც „მესამე ტალღას“ უწოდებენ დაფუძნებულია თავისუფალი ეკონომიკის პრინციპებზე, ოღონდ სახელმწიფოს აქტიური ჩარევით და როლით დამატებითი ფაქტორების გამოძებნის, ფინანსური ჩავარდნის და ინოვაციების დაფინანსების საკითხებში. შესაბამისად ამ მოდელით სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქციაა იმ ფაქტორების კომპენსირება რომელიც დინამიური განვითარების და ზრდის პროცესის შემაფერხებელი ძალა გახლავთ და შექმნას ე.წ. ფარდობითი (შედარებითი) უპირატესობა სექტორებში.

შედარებითი უპირატესობის ცნება 1990-იან წლებში პორტერმა გახადა პოპულარული და მისი პირობები შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: 1. ქვეყანაში არსებული ინდუსტრიები უნდა იყენებდეს იქ არსებულ შედარებით იაფ რესურსებს; 2. მათ პროდუქციას უნდა ჰქონდეს ადგილობრივი ბაზარი; 3. თითოეული ინდუსტრია უნდა აყალიბებდეს ჯგუფს; 4. უნდა არსებობდეს ადგილობრივ ბაზარზე ამ ინდუსტრიისთვის კონკურენტუნარიანობა.

თუმცა, რომელიმე ეტაპზე უპირატესობის არ არსებობა არ ზღუდავს მისი შექმნის შესა-

ძლებლობას. მაგალითად ცნობილმა ეკონომისტმა სტიგლიცმა კორეის მაგალითზე განაცხადა, რომ იმდროინდელი შედარებითი უპირატესობების გათვალისწინებით დღეს კორეას მხოლოდ ბრინჯის წარმოება ექნებოდა. საჭიროა სახელმწიფომ მასტიმულირებელი მექანიზმების მეშვეობით შექმნას აუცილებელი მდგენელები.

ნაშრომში ეკონომიკურ შეხედულებათა განხილვის მეშვეობით, მიზნად ვისახავთ ოპტიმალური მდგენელების სინერგიის გამონახვას და საქართველოსთვის ოპტიმალური მოდელის შესაბამისად რეკომენდაციების შემუშავებას წარმატებული ეკონომიკური ფაქტორების გამოვლენისთვის ჩართული კომპონენტების დროითი მწკრივების გაანალიზების საფუძველზე. ეკონომიკური თეორიები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად - თეორიები, რომელიც ასახავენ ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებს და თეორიები, რომელიც ასახავენ ზრდისა და განვითარების პერსპექტივებს. თუმცა ამ კუთხით თეორიებს შორის არ არის გავლენიანი ძალიან მკაფიო საზღვრები და აქედან გამომდინარე უმჯობესია განვიხილოთ თეორიული დაშვებებისა და ფაქტორთა ჩართულობის მიხედვით:

**ა. კლასიკური** — მასშტაბის ეკონომიის მიღწევის მიზნით კაპიტალისა და ვაჭრობის ფაქტორების ჩართულობის მოდელი, რომელიც ითვალისწინებს დანახარჯების შემცირების მეშვეობით ფარდობითი უპირატესობის შექმნას. ამ მოდელის მიხედვით დაშვებულია, რომ: კაპიტალიზაცია განაპირობებს პროდუქტიულობის ფაქტორში უპირატესობას; ვაჭრობა დამყარებულია აბსოლუტურ უპირატესობაზე (სმიტი) და ინაცვლებს ფარდობითი უპირატესობის ფაზაში (რიკარდო); სადარ ობიექტებს შორის არის ფაქტორთა სრული მობილურობა.

ძირითადი ზრდის ფაქტორებია: ინვესტიციები კაპიტალში, რომელიც ინვესტ პროდუქტიულობის ზრდას და შესაბამისად უფრო ვიწრო სპეციალიზაციას; ვაჭრობის ცვლილება აუტარქიული ჩაკეტილობიდან თავისუფალ ვაჭრობამდე.

იმპლიკაციები (გამოყენება) კონკურენტუნარიანობის ფაქტორისთვის: ყველა სახელმწიფოს ფუნქციაა ფარდობით უპირატესობაზე დამყარებული შრომის ფაქტორის გადანაწილება. თუკი ტექნოლოგიებში და პროდუქტიულობაში სხვაობები არ არსებობს, შესაბამისად არ არსებობს ვაჭრობის საფუძველი; ამ ფაქ-

ტორებში უპირატესობის არსებობის შემთხვევაშიც კი შეიძლება სექტორის ვარდნა.

**ბ. ნეოკლასიკური** — აბსოლუტური კონკურენციის მოდელია სადაც სრული ინფორმატიულობა, ეკონომიკის მასშტაბებზე უკუგება და ყველა ფაქტორის დანაწევრება არის შესაძლებელი. ამ მოდელს ასევე პროპორციული ფაქტორების (ჰეკშერ-ოლინის) მოდელს უწოდებენ.

ამ მოდელის ძირითადი დაშვებებია: სრული ინფორმატიულობა, თანაბარი კაპიტალიზაცია, თანაბარი პროდუქტიულობა, ეკონომიკის მასშტაბზე მუდმივი უკუგება, პროდუქტიულობა და ფაქტორთა სრული განცალკევების შესაძლებლობა, რომელთა ერთობლიობამაც უნდა შექმნას აბსოლუტური კონკურენციის პირობები; ვაჭრობის ინტენსიურობა დამყარებულია შრომისა და კაპიტალის ჩართულობის ინტენსიურობაზე და ეს ფაქტორები ხასიათდება აბსოლუტური მობილურობით.

ამ მოდელით ზრდის მამოძრავებელი ფაქტორია თავისუფალი ვაჭრობის დამკვიდრება.

ხოლო კონკურენტუნარიანობის გამოყენების მხრივ ეს მოდელი გულისხმობს: ყველა სახელმწიფოს ფუნქციაა ფარდობით უპირატესობაზე დამყარებული შრომის ფაქტორის გადანაწილება. თუკი ფაქტორების პროპორციები არ არსებობს, შესაბამისად არ არსებობს ვაჭრობის საფუძველი; ფაქტორთა ფასების გათანაბრება გამოიწვევს შრომისა და კაპიტალის პროდუქტიულობის მაჩვენებლების დაახლოვებას კონკურენტებთან; სრული კონკურენციის პირობებში ფარდობითი უპირატესობის მცნება ნაკლებ მნიშვნელოვანი ხდება.

**გ. კეინსის ეკონომიკური თეორიის** — არსი ძირითადად მდგომარეობს მთლიანი (ჯამური) მოთხოვნისა და დასაქმებულთა ურთიერთქმედების დინამიკაზე მოკლევადიან პერსპექტივაში. ისინი დაფუძნებულია მოლოდინის, მომხმარებელთა სამომხმარებლო და საინვესტიციო ქცევებზე.

ამ მოდელის ძირითადი დაშვებებია რომ: ფასების დინამიკა შედარებით აგვიანებს დროში, რაც რაოდენობრივ ცვლილებებს ინვესტ; ბაზრები აუცილებლად არ არიან წონასწორობის მდგომარეობაში და მოსალოდნელია მოთხოვნის ან მიწოდების უკმარისობა; არა წონასწორობის (ყალბი) ფასებით ვაჭრობა (სუბსიდია და ა.შ.); კაპიტალიზაციისა და შრომის ფაქტორები ურთიერთ შემავსებელი და ურთიერთჩამნაცვლებელია.

ამ მოდელით ზრდის მამოძრავებელი ფაქტორია: კაპიტალის ინტენსივობა; ინვესტიციები; სახელმწიფო ხარჯები, სუბსიდიები და ა.შ

ხოლო კონკურენტუნარიანობის გამოყენების მხრივ ეს მოდელი გულისხმობს: უნდა ჩაერიონ ეკონომიკის ციკლებში და დროის ფაქტორი აქ უმნიშვნელოვანესია; არასრულყოფილი ბაზრების დაშვება განაპირობებს ეკონომიკურ სხვაობებს უპირატესობებში; ეკონომიკური პოლიტიკა განსაზღვრავს სხვაობათა შემცირების ფაქტორს; კაპიტალის ინტენსივობა ზრდის პროდუქტიულობას და ეკონომიკას.

**დ. განვითარების ეკონომიკა** — არის მრავალი ფაქტორის ერთობლიობა — საგარეო დახმარება, საგარეო ვაჭრობა და პირდაპირი საგარეო ინვესტიციები რომელსაც მრავალმა ეკონომისტმა მნიშვნელოვანი კომპონენტები შემატა. როსტოუ (1960 წელი) მიიჩნევს, რომ ეს ფაქტორები უზრუნველყოფენ ზრდას და „ეკონომიკამ თავისი საქმე უნდა გააკეთოს“, მიეცეს ეტაპების გავლის თავისუფალი საშუალება. მაგრამ თეორიის შემდგომმა განვითარებამ ნათელი გახადა, რომ ეს ფაქტორები არასაკმარისია და ე.წ. ცენტრი-პერიფერიის მოდელები ცხადყოფენ რომ ფაქტორთა სხვაობები არსებობენ და დროული ჩაურევლობის შემთხვევაში ისინი შეიძლება უფრო გაიზარდონ. ამის საუკეთესო მაგალითია მირდალის 1957 წლის „წრიული და კუმულაციური შედეგების თეორია“, რომლის მიხედვითაც წარმოების ფაქტორები (უფრო მარტივად კვალიფიციური შრომის კაპიტალი) გაედინება ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოებიდან და კიდევ უფრო იზრდება კონკურენტი სახელმწიფოს უპირატესობა. სწორედ ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ზრდისა და განვითარების ფაქტორებს შორის არსებული სხვაობების დანახვა და ანალიზი, რომელიც უზრუნველყოფს ამა თუ იმ მოდელის სწორ თარგმთირებას, რადგანაც ხშირ შემთხვევაში კონკრეტული მოდელის აპიკაცია ვერ უზრუნველყოფს მიზნების მიღწევადობას განსხვავებული მიზნების გამო. განვითარების ეკონომიკის მოდელი ამ საჭიროების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია, სადაც ეტაპობრივად უნდა გაიმიჯნოს საჭიროებათა ჩამონათვალი და ცალკეული მიზნების მისაღწევად სპეციფიური ეკონომიკური პოლიტიკა განხორციელდეს.

ამ მოდელის ძირითადი დაშვებებია (ფაქტებზე დაფუძნებული დაკვირვება): კონკურენტების შემოსავლები დროთა განმავლობაში არ უახლოვდება ერთმანეთს; რიგი ქვეყნები უკეთ

ვითარდება; ეკონომიკური პოლიტიკა განსაზღვრავს წარმატებას.

ამ მოდელით ზრდის მამოძრავებელი ფაქტორებია: აგრო სექტორიდან უფრო მაღალი ადვალორემის მქონე სექტორებზე გადასვლა; ვაჭრობის თავისუფლება; პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; განვითარების ფონდები.

ხოლო კონკურენტუნარიანობის გამოყენების მხრივ ეს მოდელი გულისხმობს: პროდუქტიულობა განსაზღვრავს ეკონომიკურ შედეგებით წარმატებას; პროდუქტიულობის ზრდა ვერ იქნება სწრაფი პროცესი; განვითარების პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს განვითარების ეტაპების ფაქტორი; ეკონომიკურმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ე.წ. „განვრცობის ეფექტს“, განვითარების ინსტიტუტებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით.

**ე. ეკონომიკური ზრდის ახალი, ენდოგენური თეორია** — არის პირველი მოდელი, რომელმაც ტექნოლოგიური პროცესები წარმოაჩინა როგორც როგორც ენდოგენური დამოკიდებულება და არა ეგზოგენური მოცემულობა. ეს ბუნებრივიცაა რადგანაც ტექნოლოგიური პროგრესი ვერ იქნება „ციური მანა“ რომელიც უპირობოდ მიეცემა სახელმწიფოს. ამ განსხვავებაზეა დაფუძნებული ჩვენი შემდგომი მსჯელობაც. კვლევისა და ძიების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომპონენტი ამ მოდელის მიხედვით განისაზღვრა, როგორც დროსა და ფინანსებზე დამოკიდებული უპირატესობის ფაქტორი, რომელსაც სჭირდება განვითარება და დაცვა. ლოგიკურია, რომ კვლევისა და ძიების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომპონენტი პირდაპირ ვერ გახდება ტექნოლოგიური პროგრესის გამომწვევ ფაქტორად, თუ არ შექმნა შუალედური ფაქტორი - ადამიანური კაპიტალი. ადამიანური ფაქტორის გათვალისწინება არის ენდოგენური მოდელის ერთ-ერთი ძლიერი მხარე.

ამ მოდელის ძირითადი დაშვებებია: ტექნოლოგიური პროგრესი არის შედეგი და არა მოცემულობა; ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება ინვესტს პროდუქტიულობის ზრდას;

ადამიანური ფაქტორი არის წარმოების ფაქტორი; ბაზრები ავტომატურად ვერ უზრუნველყოფენ ოპტიმალურ მოდელს; მიმდინარე მდგომარეობა დამოკიდებულია წარსულ გადაწყვეტილებებზე.

ამ მოდელით ზრდის მამოძრავებელი ფაქტორებია: კვლევისა და ძიების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ხარჯები; ინოვაციურობა

(პატენტები); განათლების დონე; ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში; ცოდნის განვითარების ეფექტიანობა.

ხოლო კონკურენტუნარიანობის გამოყენების მხრივ ეს მოდელი გულისხმობს: პროდუქტიულობის რეგიონალური სხვაობები აიხსნება როგორც ტექნოლოგიებისა და ადამიანური კაპიტალის ფაქტორი; ტექნოლოგიურობასა და ადამიანურ კაპიტალში გაუმჯობესებები არის ეკონომიკური ზრდის ფაქტორები; თავისუფალი ვაჭრობა არის ზრდისა და ტექნოლოგიური პროგრესის გამომწვევი; კვლევისა და ძიების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ხარჯები არის კრიტიკული მნიშვნელობის კომპონენტი; ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციები არის კრიტიკული მნიშვნელობის კომპონენტი;

**ვ. ვაჭრობის თეორია** — ტრადიციული სავაჭრო თეორიები (კლასიკური და ნეოკლასიკური) ვერ იძლევიან პასუხს რატომ შეიძლება არსებობდეს ვაჭრობა თანაბარი განვითარების და ფაქტორების მქონე სახელმწიფოთა თუ რეგიონებს შორის. შესაბამისად ახალი სავაჭრო თეორიების მდგენელები დაეფუძნა მასშტაბების ეკონომიას, პროდუქტების განსხვავებულობის (მრავალფეროვნების) ფაქტორს და არასრულფასოვან კონკურენციას. უპირატესობის ფაქტორები შეიძლება იყოს როგორც ბუნებრივი, არსებული ასევე მოპოვებული, ხელოვნური (შრომის, გაცვლითი კურსის, კაპიტალიზაციის, სავაჭრო გახსნილობის, შრომითი რესურსების კვალიფიკაციის და ა.შ. სახით).

**ვ. 1. სავაჭრო თეორიის მოდელები**, რომელიც დაფუძნებულია მარშალისეულ მასშტაბის ეკონომიურობის მიდგომებზე ადასტურებენ, რომ ინდუსტრიების კონცენტრაცია ქმნის ეკონომიურობის საფუძველს და სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში, კონცენტრირებულად განლაგებული სანარმოების პროდუქტიულობა იზრდება;

**ვ. 2. მონოპოლისტურ კონკურენციაზე დაფუძნებული სექტორები**, რომლებიც მასშტაბურობის ეკონომიას ქმნიან მიწოდების მრავალფეროვნების ზრდის ხარჯზე და მომხმარებელი მოქმედებს ამ არჩევანის ფარგლებში. კრუგმანის თეორიის მიხედვით გაზრდილი შიდა მოხმარება, გადაზიდვის ფაქტორის გათვალისწინებით ქმნის საექსპორტო პოტენციალს;

**ვ. 2. მონოპოლისტურ სექტორებზე დაფუძნებული სექტორები**, რომელიც უპირატესობას პოულობს შუალედური მოხმარების ეტაპზე ხარჯების ოპტიმიზაციაში. შესაბამისად საბო-

ლო პროდუქცია სარგებლობს მეტი პროდუქტიულობით.

ამ მოდელით ზრდის ძირითადი დაშვებებია: ტექნოლოგია (ანუ შუალედური პროდუქციის საბოლოო პროდუქტად გარდაქმნა) არის პროდუქტიულობის მკაფიო ენდოგენური, დამოკიდებული ფაქტორი (მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში თავად ტექნოლოგია ხდება კომპანიის, რეგიონის ან სახელმწიფოს წარმოებაზე დამოკიდებული ფაქტორი, რადგანაც ტექნოლოგიის განვითარება შესაძლებელი ხდება მხოლოდ წარმოების არსებობის შემთხვევაში, ხოლო ტექნოლოგიური პროდუქტიულობა თავად ხდება წარმოების მასშტაბის ეკონომიის ფაქტორი); ახალი ტექნოლოგიების განვითარება ხდება, როდესაც შრომისა და კაპიტალის ურთიერთქმედების შედეგად შექმნილი მოგება მცირდება; ახალი ტექნოლოგიები ქმნის დამატებით გარე ფაქტორებს; ტექნოლოგიური პროცესები ხასიათდება მასშტაბზე მზარდი ეკონომიით; ტექნოლოგიები ხასიათდება არასრულყოფილი მობილურობით; არ არსებობს აბსოლუტური კონკურენცია

ამ მოდელით ზრდის ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორებია: შრომითი კაპიტალი; სპეციალიზებული ინფრასტრუქტურა; მომწოდებელთა ქსელები; ლოკალიზებული ტექნოლოგიები.

ხოლო კონკურენტუნარიანობის გამოყენების მხრივ ეს მოდელი გულისხმობს: ინდუსტრიული სპეციალიზაცია საჭიროა საგარეო მასშტაბების ეკონომიის შექმნისათვის; შიდა ბაზარი მნიშვნელოვანია შიდა მასშტაბების ეკონომიის შექმნისათვის; ინვესტიციები შრომის კაპიტალში, სპეციალიზებულ ინფრასტრუქტურაში, მომარაგების ქსელებში და ლოკალიზებულ ტექნოლოგიებში ქმნის საგარეო მასშტაბების ეკონომიას.

მაკროეკონომიკური თეორიების გარდა მნიშვნელოვანია იმ მიკროეკონომიკური მოდელების განზოგადება და გაანალიზება, რომელიც მოყვანილ თეორიებში არ არის გათვალისწინებული და მაკროეკონომიკური პროცესების დამატებით პერსპექტივებს აღწერს. დამატებით განვიხილოთ მოდელები, რომელიც უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ უპირატესობების მცნებას ფაქტორებს უფრო დეტალური სპეციალიზაციის გზით. მაგრამ ყველა შემთხვევაში, ზრდისა და განვითარების საფუძველი პროდუქტიულობის ზრდა და ამ გზით უპირატესობის მოპოვებაა.

**ზ. ურბანული ზრდის თეორია** დაფუძნებულია იაკობინელების მიდგომაზე, რომ ურბანიზაციის პროცესი დამატებით ეკონომიკურ პერსპექტივებს აჩენს. იგი ეფუძნება ემპირიულ გამოცდილებას, რომლის თანახმადაც ურბანულ კომპანიებს უმცირდებათ ზედნადები ხარჯები, ამავდროულად ლოკალურ დონეზე წარმოების დიფერენცირება ზრდის მომგებიანობას (მილტონ ფრიდმანი 2002 წ.).

**თ. ახალი ინსტიტუციური ეკონომიკა სტრუქტურული თეორიების** (მასშტაბების ეკონომიაზე დამოკიდებული ინდუსტრიის ზომა) საპირწონედ კომპანიის ზომის განმსაზღვრელ ფაქტორად გარიგების, ტრანზაქციის ხარჯების ოდენობას ასახელებს (კოასე, ვილიამსონი). მოგვიანებით ეს მიდგომა განავრცეს ეკონომგეოგრაფებმა კლასტერების ვერტიკალური დეზინტეგრაციის და აუტოსორსინგის მიდგომების პოპულარიზაციისთვის.

**ი. ბიზნესის სტრატეგიის ეკონომიკა** ეყრდნობა ახალი ვაჭრობის და ფაქტორების ჩართულობისა და მდებარეობის თეორიას. მთავარი მამოძრავებელი ძალა ამ მოდელის მიხედვით არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი მიმართულება ჰორიზონტალური ან ვერტიკალური მიმართულებით. ჰორიზონტალური მიმართულება გულისხმობს უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებში ინვესტიციებს კონკურენციის მიზნით. ხოლო ვერტიკალური გულისხმობს ე.წ. „მწვანე მინდორში“ ინვესტიციებს განვითარებად ქვეყნებში შუალედური მოხმარების პროდუქციის გააფხვების მიზნით. ამ თეორიის საუკეთესო მაგალითია პორტერის ბიზნეს კლასტერების თეორია, სადაც რეგიონალური კლასტერების ჩამოყალიბება ქმნის ფარდობით უპირატესობას.

**კ. ევოლუციების /შუმპერტიანიული / თეორია** დაფუძნებულია ანალიზზე, რომელიც ეკონომიკურ განვითარებასა და ზრდას უკავშირებს მენარმეთა მიერ ტექნიკური და ფინანსური ინსტრუმენტების დახვეწას. შესაბამისად ევოლუციური მოდელი არის მენარმის გადაწყვეტილებათა და კონტექსტური ფაქტორების ურთიერთქმედება.

**ლ. ეკონომიკური გეოგრაფია** არის კონკურენციაზე გეოგრაფიული მდგომარეობის ზემოქმედების მოდელი. ეს ფაქტორი ზემოთმოყვანილ სხვა მოდელებშიც არის აღწერილი.

როგორც ხედავთ ყველა ეკონომიკური თეორია ემყარება გარკვეულ ფაქტორებს, რომლებიც თავის მხრივ ზემოქმედებენ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე. უნდა გავი-

თვალისწინოთ, რომ შეუძლებელია ნებისმიერი ნების გამოვლენით მყისიერად ან თუნდაც მცირე პერიოდში შეიქმნას ამ ფაქტორზე დაფუძნებული უპირატესობა. საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილი თანმიმდევრული პოლიტიკა. ამ კონტექსტში ცალკე გამოვყოთ სახელმწიფოს როლი ფაქტორების გამოვლენაში და გაძლიერებაში.

როგორც ვხედავთ ეკონომიკური მდგენელები უპირატესობად გარდაიქმნებიან ფინანსების და დროის ხელმისაწვდომობის ფაქტორთან ურთიერთქმედებით. აქედან გამომდინარე განვიხილოთ რამდენიმე დამაკონკრეტებელი მოსაზრება ამ ფაქტორის ეფექტიანი გამოყენებისა და შემდგომი გარდაქმნის კუთხით.

ბოლო წლებში ძალიან ბევრი მიმდევარი შეიძინა „კანონი-და-ფინანსების-შეხედულება“ (ლა პორტა, კინგი, ლევინი, ლოიაზა და ბეკი), რადგანაც კანონიერება და სამართლიანობა თავად წარმოადგენს ზრდისა და განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. მოდელის მიხედვით სწორედ სამართლებრივი სახელმწიფო და შედარებით იოლად ხელმისაწვდომი ფინანსები არის ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ეგზოგენური მონაცემი. მათი დაკვირვება დაფუძნებულია სახელმწიფოთა განვითარების ანალიზზე. საქართველოშიც ყველა ზომის მენარმეებს პრობლემების ჩამონათვალში პირველ ადგილზე პოლიტიკური სტაბილურობა, კანონიერება და სამართლებრივი სახელმწიფო გამოაქვთ (IFC-2012, 2013, 2014, საქართველოს მენარმეთა გამოკითხვა). იმედია ეს მდგენელები საქართველოში აღარ გახდება პრობლემური, სხვა მდგენელები კი განვიხილოთ ყველაზე ფართოდ გავრცელებული მოდელის ქრილში.

ზოგი ეკონომისტი აკნინებს ფინანსების ფაქტორს (მაგ.: რობერტ ლუკასი 1988, მეიერი და სიერსი 1984) და ამ ფაქტორს ზედმეტად სტრესულს, დაძაბულს უწოდებს. ამ პოლიტიკის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ცალკე აღებული ფინანსები გრძელვადიან პერიოდში არ იწვევს ზრდას და ფინანსების ფაქტორი პასუხობს რეალური სექტორის მოთხოვნებს, რასაც შეგვიძლია დავეთანხმოთ გამომდინარე იქიდან, რომ შედეგის მისაღებად ფინანსების ფაქტორი უნდა გარდაიქმნას პროდუქტიულობის ფაქტორად (იორგენსონი 2005). მეორეს მხრივ მრავალი მეცნიერი (მაგ.: მელტონ მილერი) მიიჩნევენ, რომ ფინანსების ფაქტორის უგულვებლყოფა მნიშვნელოვნად აკნინებს ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს. ესეც ბუნებრი-



ვია, რადგანაც ფინანსების ხელმიუწვდომლობა ზღუდავს, როგორც მინიმუმ, პროდუქტიულობის ფაქტორებს, ასევე ინვესტიციებს, სახელმწიფო და კერძო მოხმარებას. ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია გავითავისოთ, რომ ზემოთმოყვანილი შეხედულებანი არის კორექტული და ურთიერთ შემაჯავებელი. სხვაობები შეხედულებებში წარმოიშვება მიზნების სწორად ჩამოყალიბების, ისტორიული განვითარების ეტაპის, ფაქტორების არსებობის და მათი მობილურობის ხარისხის და ტექნოლოგიების განვითარების დონის შესაბამისად.

გომოდინარე ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან დავახარისხოთ ფაქტორების სწორი გამოყენების შესაძლებლობა შემდგომ კატეგორიებად:

1. პირველ კატეგორიად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის მოცემულობები, რომლებიც არავითარი ფაქტორის ზემოქმედების ქვეშ არ შეიძლება იყოს კორექტირებული. ასეთად მხოლოდ ლოკაციური, ადგილმდებარეობის ფაქტორია, რომელმაც თავის მხრივ უპირატესობა შეიძლება მიანიჭოს სახელმწიფოს ან რეგიონს ბუნებრივი რესურსების არსებობის ან სატრანზიტო ფუნქციის არსებობის კუთხით.

2. მეორე კატეგორია არის ის ფაქტორები, რომელიც ბუნებაზე, პოლიტიკურ მდგომარეობასა და ნებაზე არის დამოკიდებული. მაგალითად ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის და ფაქტორების მობილურობის შესახებ, ომების და კატაკლიზმების არარსებობა.

3. მესამე კატეგორია არის მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც ეკონომიკური თეორიებით ვერ აიხსნება რადგანაც სტატისტიკა აჩვენებს, რომ კეთილდღეობის მატებასთან ერთად მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი მცირდება. თუმცა ამ ფაქტორის კომპენსაციის საშუალება გახლავთ კაპიტალიზაციის ამალღება.

4. მეოთხე კატეგორიაში მოხვედრილია ის ფაქტორები, რომელთა ძირითადი მახასიათებელი გახლავთ მისი არსებობის და მეტ-ნაკლები წარმატების შესაძლებლობა, თუკი არსებობს მათი ფინანსებთან წვდომა. მათს შორის პირველი კატეგორიის ფაქტორები, რადგანაც მათი არსებობის მიუხედავად საჭიროა საბაზრო სახის მიცემა. ამავე კატეგორიაში შედის ყველა დანარჩენი ფაქტორები, შრომის კაპიტალის (მოსახლეობის ოდენობის) ჩათვლით, რადგანაც არსებობს შრომის ჩანაცვლების შესაძლებლობა.

ტრანსაქციების და მასშტაბის ეკონომიურობის ეკონომიკურ მოდელებს შორის არჩევანის გაკეთება, მიკროეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული თეორიების მოთხოვნათა შესაბამისობის გაანალიზებამიმდინარე პროცესების გათვალისწინებით უფრო მნიშვნელოვანი გახდა. თუკი ეკონომიკური ეკონომიკური თეორიების მიზნები საერთო მიზნობრივი მაჩვენებლით არ იქნება განსაზღვრული, და არ იქნება თეორიებს შორის საერთო მდგენელები მიმართული საბოლოო მიზნის მიღწევისაკენ შეუძლებელი გახდება სასიკეთო შედეგების მიღება.

ამის საილუსტრაციოდ განიხილოთ საქართველოს სახელმწიფოს მმართველების მიერ ინფლაციის თარგეთირების მოდელის გამოყენება:

2009 წლიდან საქართველოში გამოიყენება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი და არ კონტროლდება დეველვაციის მაჩვენებელი. საქართველოს რეალობაში გაცვლითი კურსის იგნორირება არის პოტენციური საშიშროების შემცველი, რადგანაც მიუხედავად ინფლაციის თარგეთირების მოდელის აშკარა პროგრესულობისა და უპირატესობებისა, უცხოურ ვალუტაზე მაღალი დამოკიდებულების მქონე ქვეყნის მოქალაქეებისათვის გაცვლითი კურსის იგნორირება შეიძლება ძალიან სავალალო შედეგით დამთავრდეს. შედარებისთვის განვიხილოთ ამ მოდელის უპირატესობანი და სუსტი მხარეები:

**ინფლაციის თარგეთირების მოდელის უპირატესობები:**

- ეს მოდელი უკეთ აბალანსებს ადგილობრივი შოკების შედეგებს და უკეთ ახდენს მათ პრევენციას;
- ამავდროულად ეს მოდელი უკეთ ასახავს ეროვნული ბანკის პირდაპირ მიზნებს და არიდებს პასუხისმგებლობას იმ მაკრო პარამეტრებზე, რომელზედაც მას პირდაპირი ზემოქმედება არ შეუძლია;
- აღნიშნული მოდელი არის ითხოვს საზოგადოებასთან მეტ კომუნიკაციას.

**მოდელის უარყოფითი მხარეები:**

- ეს მოდელი არის ძალიან ხისტი და გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში შესაძლოა შეზღუდოს ეკონომიკური ზრდა და შეზღუდოს ეროვნული გამოშვება (ფრედერიკ მიშკინი და ბენ ბერნანკე 1999 წელი);

- ამ მოდელით ეროვნული ბანკის ანგარიშვალდებულება ნაკლებად მკაფიო ხდება, რადგანაც ინფლაციის კონტროლი უფრო რთულია და მყისიერი კრიტიკერიუმები არ არსებობს;
- ინფლაციის თარგეთირება ბევრად უფრო ეფექტურია ინდუსტრიულ სახელმწიფოებში და უფრო საშიშია განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგანაც ისინი მეტად არიან დამოკიდებული გაცვლითი კურსის ფაქტორზე შიდა და გარე სავალო ურთიერთობებში და ასევე იმპორტირებული პროდუქციის ფასებზე (გაცვლითი კურსის გათვალისწინებით კორექტირებულ ფასებზე);
- ამ მოდელით მოთხოვნილი გაცვლითი კურსის ელასტურობამ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური არასტაბილურობა;
- გაცვლითი კურსისა და მონეტარული აგრეგატების კონტროლისგან განსხვავებით ინფლაციის კონტროლი ეროვნული ბანკისთვის უფრო რთული ამოცანაა და მას არ გააჩნია პირდაპირი ზემოქმედების ინსტრუმენტები. მონეტარული ინსტრუმენტებით ინფლაციის თარგეთირებამდე მრავალი ფაქტორი არის დასაკორექტირებელი (პოლ მასონი, მიგელ სავასტანო და სანილ შარმა 1997წ.);
- ეს მოდელი ეროვნულ ბანკს არ აძლევს საშუალებას დაიცვას ინფლაცია მთავრობის მიერ დეფიციტური ბიუჯეტის წარმოებისგან, რომელიც წარმოქმნის ვალს და შეიძლება გადაიზარდოს დევალვაციაში და მოგვიანებით ინფლაციაში (პოლ მასონი 1997), (სავარაუდოდ სწორედ ამ ეტაპზე იმყოფება დღეს საქართველო).
- უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს რომ, ეს მოდელი ითხოვს გაცვლითი კურსის თავისუფლებას, რაც გარდამავალი ეკონომიკების სახელმწიფოებში თითქმის შეუძლებელია, რადგანაც მათი შიდა და საგარეო ვალები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში და ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილება ზრდის როგორც სავალო ტვირთს ასევე ფასებს (გილერმო კალვო 1999 წ, ფედერიკი მიშკინი 2000 წ). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მათ შეუძლებლად მიაჩნიათ მაღალი დოლარიზაციის

ქვეყნებში ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის სრულფასოვნად განხორციელება.

როგორც ვხედავთ თავად ამ იდეის ავტორები სერიოზულ რისკებს ხედავენ განვითარებად სახელმწიფოებში ინფლაციის თარგეთირების მოდელის გამოყენებაში, მით უმეტეს, როდესაც ეკონომიკა ხასიათდება მაღალი დამოკიდებულებით უცხოურ ვალუტაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული რისკი გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული ბანკის ანგარიშვალდებულებაში საზოგადოების მიმართ. ამ კუთხით უნდა იწარმოებოდეს ყოველთვიური ინფლაციის მიმოხილვა, მაგრამ საქართველოს ეროვნული ბანკის 2014 წლის ნოემბრის (როდესაც უკვე სახეზე იყო პრობლემები) ინფლაციის მიმოხილვა საერთოდ არ უშვებდა იმ სცენარს, რომელიც ფაქტობრივად განვითარდა საქართველოში. გამოცდილებიდან გამომდინარე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებებსაც კი რომელთა დადგომაც სტატისტიკურად მცირე ალბათობით ხასიათდება. თუმცა კრიზისების ისტორიებიდან გამომდინარე ასეთი შემთხვევები დგება. მნიშვნელოვანია, რომ ნავთობის ფასების შემცირება და დოლარის გაცვლითი კურსის გამყარება ფიგურირებდა ყველა ანალიზში და სტრესს ტესტებში, სავარაუდოდ პროცესების ასეთი შესაძლო განვითარება დანახული უნდა ყოფილიყო საქართველოში ჩატარებულ სტრესს ტესტებში, რადგანაც საერთაშორისო დონეზე როგორც სავარაუდო ასევე ისტორიულ მონაცემებში ეს პრობლემა ფიგურირებდა. საქართველოს შემთხვევაში სავარაუდო კრიზისის პრევენცია უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რადგანაც ქვეყანას არ გააჩნია კონტრაქციული ღონისძიებების და კრიზისების პრევენციის განმახორციელებელი სტრუქტურა (ამ ფუნქციას ნაწილობრივ ასრულებს თავად ეროვნული ბანკი). ასეთი ღონისძიებების ვალდებულება არსებობდა 2013 წლის შეთანხმებაში სავალუტო ფონდთანაც მაგრამ სავარაუდოდ ვერ შესრულდა, რადგანაც შემდგომ ვალდებულებებში ეს ფაქტორი იგნორირებულია. შესაბამისად აღმასრულებელ ხელისუფლებას სამოქმედოდ მხოლოდ ხარჯების შემცირების სტრატეგია რჩება, რომელიც ზოგ შემთხვევაში თავისი შედეგებით არანაკლებ საზიანოა ვიდრე გაცვლითი კურსის ინტენსიური მხარდაჭერა ეროვნული ბანკის მიერ.

როგორც დავინახეთ 2014-2015 წლებში მოხდა დოლარის სწრაფი გამყარება და ინფლაციის

თარგეთირებულ ფარგლებში შენარჩუნების ფონზე სამომხმარებლო ფასები დაგეგმილ ფარგლებში შენარჩუნდა.

სამწუხაროდ საქართველოს დღევანდელთა ჯერ ვერ ითვალისწინებს იმ ახალ მიმდინარეობებს, რომელიც საყოველთაოდ მიღებულია 2008 წლის კრიზისის შემდგომ და მმართველობებს ავალდებულებს მაკრო პრუდენტული ღონისძიებების გატარებას და შეფასებების დანერგვას.

ასეთი მიდგომების უმთავრესი აზრი მდგომარეობს ნეო-კლასიკური და ნეო-კეინსისური მიდგომების სისტემტიზაციაში და გამოცდილებაზე დაფუძნებული კონტრაციკლური და ფინანსური ჩავარდნის კონცეფციის აღმოფხვრაში. კრიზისებზე დაკვირვებამ, მათი გამომწვევი მიზეზების შესწავლამ ეკონომისტებს მისცა საკმარისი საფუძველი იმის მტკიცებისათვის რომ ნეო-კლასიკური მიდგომები, რომელიც გულისხმობდა, რომ რობლემები თავად მოგვარდება და საუკეთესო ნამალი ჩაურევლობა და სრული დერეგულირებაა არის კრიზისების საფუძველი და ამავდროულად ხელს უშლის ეკონომიკურ განვითარებას, რადგანაც ეკონომიკური ზრდა იწვევს ყველა მიმდინარეობის მიხედვით მეტ სპეციალიზაციას და პროდუქტიულობას ადამიანური კაპიტალის კუთხით, და შესაბამისად დასაქმების შემცირებას და კაპიტალ ინტენსიურობის ზრდას მეტწილად არსებული სექტორების ხარჯზე, მეორეს მხრივ განვითარების მიზნები სექტორული დივერსიფიცირება და მაღალრისკიანი აქტივობების უზრუნველყოფა გახლავთ. ასეთ აქტივობებს რისკების არსებული სტრუქტურა ვერ დააფინანსებს და შესაბამისად მხოლოდ ეკონომიკური ზრდა ვერ უზრუნველყოფს კრიზისების თავიდან აცილებას.

ამ პრობლემების თავიდან არიდების მიზნით მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ ის მოდელების, რომელიც ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა და დღეს მთელი მსოფლიო ერთხმად აღიარებს მათი განხორციელების პრიორიტეტულობას. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მოდელში ეს მიმართულება საერთოდ არ ფიგურირებს და პირველი მცირედი ნიშანი, რომ საქართველოში ამ მიმართულებაზე ფიქრობენ არის ეროვნული ბანკის შიგნით ზედამხედველობის ფუნქციების ზრდა, რასაც უნდა მოყვეს მაკრო პრუდენტული რეგულირების ორგანოს შექმნა და მიკრო დონეზე პრუდენტული ზედამხედველობა.

როგორც ვხედავთ ეკონომიკური პოლიტიკა დღეს ეფუძნება ბიზნეს ციკლების და საფინანსო ჩავარდნების დაბალანსების ძიებას. თეორიულ ნაწილში ეს დავა არის ნეოკლასიკური რეალური ბიზნეს ციკლების მოდელსა და ნეო-კეინსიანურ მიდგომებს შორის.

რა სხვაობებია? რეალური ბიზნეს ციკლების მოდელი: ეფუძნება ძალიან მყარ მიკრო გამოცდილებას და მისი სანდოობა ამით ძალიან იზრდება;

1. წარმოადგენს დინამიურ (სტოქასტიკურ) ზოგადი წონასწორობის მოდელს და ითვალისწინებს სუბიექტურ და ინსტიტუციონალურ ცვლდებს;
2. ბაზრებს მიიჩნევს „არაფრიქციულად“ და მიიჩნევს, რომ ფასები მყისიერად კორექტირდება.

მაშინ როდესაც ახალი კეინსიანური დინამიური სტოქასტიკის ზოგადი წონასწორობის მოდელი: 1. ითვალისწინებს ფულის და მონეტარული პოლიტიკის როლს; 2. ითვალისწინებს ბაზრებზე არასრულფასოვან კონკურენციას (მონოპოლისტურ კონკურენციას); 3. ითვალისწინებს ნომინალური სიმკვრივის როლს (ფასების და/ან ხელფასების ნაწილში); 4. ითვალისწინებს ტექნოლოგიური შოკების აღბათობას.

როგორც ვხედავთ რეალური ბიზნეს ციკლების მოდელი ვერ ასაბუთებს ფულის ნეიტრალურობის პრინციპს რადგამნაც ამ მოდელის მიხედვით ფულის მასის ზრდას შეუძლია არამყისიერად მაგრამ გარკვეულ დროში დადებითი შედეგი მისცეს მთლიან გამოშვებასა და მოხმარებაზე, გააძლიეროს ინფლაცია და უარყოფითი ეფექტი ქონდეს საროცენტო განაკვეთზე. სინამდვილეში რეალური ბიზნეს ციკლების მოდელის ეს ფაქტორები კითხვებს ბადებს ამ მოდელის სრულფასოვნებასთან დაკავშირებით.

მეორეს მხრივ ნეო კეინსიანური მოდელი დაესესხა რეალური ბიზნეს ციკლების მოდელს მიკრო გამოცდილების და დინამიური სტოქასტიკის ზოგადი წონასწორობის მეთოდით მოდელირების ნაწილში ბაზრების არაფრიქციულობის და ფასების მყისიერი კორექტირების ნაწილი, რითაც მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობას ზრდის და რეალურად ასახავს პროცესებს.

პირველ რიგში უნდა განვასხვავოთ სტაბილურობა საფინანსო და რეალურ სექტორში, რომელიც ხშირად არ არიან თანმდევნი, მაგრამ გადაეცემიან ერთმანეთს. მათი ერთობლივი და ცალკეული პპროგნოზირება შესაძლებელია

სისტემური რისკების ანალიზის მეშვეობით. სისტემური რისკები განიმარტება როგორც ფინანსური რისკების განვრცობა რეალურ ეკონომიკაზე.

განვიხილოთ რა ინოვაცია არის ამ მიდგომაში და რა სიახლეებს მოიტანს ამ ინსტიტუტის გაძლიერება.

თავის არსით მაკრო პრუდენტული რეგულირება მოიცავს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მოდელს და მცირედ კონფლიქტში არის როგორც მონეტარულ ასევე ფისკალურ თეორიებთან. რადგანაც მაგალითად მონეტარული თეორია, რომლითაც საქართველოს ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობს ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკურ სექტორებს შორის ბალანსს და ვერ მიმართავს ფინანსურ ნაკადებს გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფის ფაქტორებში. მეორეს მხრივ ფისკალურ პოლიტიკასთან (და ამ ნაწილში მონეტარულთანაც) ფინანსური სტაბილურობის მოთხოვნები შეიძლება კონფლიქტში შედიოდეს მიმდინარე მომგებიანობის მაჩვენებლებთან.

შესაბამისად მაკრო პრუდენტული რეგულირების საგანი არის საფინანსო ნაკადების უკეთ მართვა გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდინარე.

საქართველოს შემთხვევაში ასეთი ინსტიტუტი საერთოდ არ არსებობს და საფინანსო და რეალური ბიზნესის ციკლების სანინაალმდეგოდ არათუ ინსტიტუტები, არამედ ანალიტიკური უზრუნველყოფაც კი არ გაგვაჩნია.

თუ მაკრო პრუდენტულ დონეზე ფინანსური სტაბილურობის რისკების ანალიზი მიმართულია ციკლების გადალახვაზე მას პრაქტიკული იმპლიკაცია გააჩნის მიკროპრუდენტულ დონეზე მისი განხორციელებისათვის, და შესაბამისად სწორი პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში საბანკო ზედამხედველობის ფუნქციების და ავტონომიურობის ზრდა შესაძლებელია

ჩაითვალოს ამ პოლიტიკის განხორციელების ნაწილად. განზოგადებულ დონეზე მიკროპრუდენტულობა რომელიც უნდა უზრუნველყონ საფინანსო ინსტიტუტებმა მოიცავს ძირეულ პრინციპებს, რაზედ აიგება მიკრო სტაბილურობის მოთხოვნები. ესენია: სესხისა და ღირებულების შესაბამისობა. ამ პრინციპში არსებული ღირებულების შეფასების კრიტერიუმებთან მიმართებაშიარის ძირეული სხვაობა და ითვალისწინებს ბიზნეს ღირებულებას ნარჩენი ღირებულების სახით. ეს მექანიზმი ასტიმულირებს სადეპოზიტო დანესებულებების ჩართულობას რეალური ბიზნესის დაფინანსებაში და ცვლის რისკების სტრუქტურას; გადახდისა და შემოსავლის შესაბამისობა. ეს პრინციპი არეგულირებს გადასახდელი თანხების ოდენობის ზღვარს; კაპიტალის ბუფერების მოთხოვნა, რომელიც დიფერენცირებულია, სესხების და დანესებულების ზომის (მნიშვნელობის) მიხედვით.

გამომდინარე ამ მოთხოვნებიდან, უმჯობესდება რეალური სექტორის ფინანსებთან ნვდომის მაჩვენებელი და ეკონომიკური განვითარების ხარჯზე ხდება რისკების დიფერენცირება და კონტრაციკლური აქტივობა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ეკონომიკური თეორია ეფუძნება იმ პრინციპს, რომ ბიზნესი თავად ვერ გაუმკლავდება ციკლურ პრობლემებს და ამ ნაწილში საჭიროა რეგულირება როგორც ფინანსებთან ნვდომის ასევე მათი ნაკადების და გრძელვადიანი პერსპექტივის კუთხით. ამ მიზნების უზრუნველყოფის მიზნით მთელი მსოფლიოს მასშტაბით ძლიერდება ახალ მოდელზე დაყრდნობილი ფინანსური სტაბილურობის ინსტიტუტები, როგორც ანალიტიკურ ასევე ინსტრუმენტალურ ნაწილში. ბუნებრივია ყველა ქვეყანა სპეციფიური მოთხოვნილებებით სარგებლობს და შესაბამისად განსხვავებული ინსტრუმენტები ესაჭიროება.

**სექცია III. აგრობიზნესისა და ტურიზმის განვითარების  
სტრატეგიები**  
**SECTION 2. AGRIBUSINESS AND TOURISM DEVELOPMENT  
STRATEGIES**

**საქართველოში მიწის კონსოლიდაციის განხორციელება  
აუცილებელია**

**ანზორ მესხიშვილი — სტუ-ს ასოცირებული პროფესორი  
პაატა კოლუაშვილი — სტუ-ს პროფესორი**

**Land Consolidation is Necessary in Georgia**

**Anzor Meskhishvili  
Paata koguashvili**

**Summary**

Agricultural land reform began in 1992 in Georgia and lasted until the end of 1998. Non-agricultural land reform applied in 1997-1998. Agricultural land reform caused the fragmentation of the land. Georgia has come to a period when it is necessary to begin to work on the land consolidation issue.

It is necessary to carry out the pilot project of land consolidation with the support of the international organizations; also, it is important to establish the proper legislation and the state program based on this pilot project experience.

**ანოტაცია**

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმა 1992 წელს დაიწყო და 1998 წლის ბოლომდე გაგრძელდა. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 1997-1998 წლებში. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმამ მიწის დაქუცმაცება გამოიწვია. საქართველოში დადგა ის პერიოდი, რომ აუცილებლობას წარმოადგენს დავიწყოთ მუშაობა მიწის კონსოლიდაციის საკითხზე.

აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდეს მიწის კონსოლიდაციის საპილოტე პროექტი, რომლის გამოცდილების ბაზაზე უნდა შეიქმნას შესაბამისი კანონმდებლობა და სახელმწიფო პროგრამა.

საქართველოს სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა დიდადაა დამოკიდებული მიწის რესურსების რაციონალურ გამო-

ყენებასთან. მიწის ეფექტურ მართვას, რომელიც ქვაკუთხედს წარმოადგენს როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის გააჩნია გამოწვევები, რომლებიც პირობითად შესაძლებელია დაიყოს ორ ნაწილად:

1. მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემების არარსებობა შეუძლებელს ხდის სოფლის მეურნეობის პოლიტიკის/სტრატეგიის შემუშავებასა და მის მართვას;
2. მიწათსარგებლობის განვითარების ხედვის, სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამის არარსებობა.

მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემების შეგროვებისთვის საჭიროა შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობის უზრუნველყოფა, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად უნდა მართავდეს მიწის საინფორმაციო სისტემას, რაც შესაძლოა მოიცავდეს ინფორმაციას მიწის დანიშნულების, კატეგორიის, ხარისხის, საირიგაციო/სადრენაჟო ინფრასტრუქტურის და სხვა მონაცემების შესახებ.

მიწის საინფორმაციო სისტემა ინტერდისციპლინარულ პროდუქტს განეკუთვნება, იგი მჭიდრო კავშირშია სხვა უწყებებისთვის საჭირო ინფორმაციასთან და ამდენად იგი უნდა აიგოს სხვადასხვა დაინტერესებული სამთავრობო თუ არასამთავრობო ინსტიტუტებთან კოორდინაციით, მაგალითად იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და სხვა.

მიწათსარგებლობის განვითარების ხედვის, სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამის შემუშავება ასევე მოითხოვს შესაბამის ინსტიტუციურ მოწყობას. მისი არ არსებობა, თავის მხრივ, სერიოზულ გავლენას ახდენს რეგიონ-

ნალურ განვითარებაზე, ადგილობრივი თემების ჩართულობაზე, ასევე სოფლის მეურნეობის და სოფლის ტერიტორიულ განვითარებაზე, სოციალური, დასაქმების, მიწის ბაზრის აქტიურობის, ინვესტიციების მოზიდვის და ზოგადად ეკონომიკის განვითარებაზე.

მინათსარგებლობის განვითარების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მიწის კონსოლიდაცია, რომელიც ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია როგორც ევროკავშირის ძველი და ახალი წევრებისთვის, ასევე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში და რაშია გამოსავალი?

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმა 1992 წელს დაიწყო და 1998 წლის ბოლომდე გაგრძელდა. იგი გულისხმობდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 0.15 ჰა-დან 1.25 ჰა მდე (მაღალ მთიან რეგიონებში 5 ჰა. მდე) დარიგებას. სახნავი მიწის მასივები დაიყო წვრილ კონტურებად და განაწილდა, როგორც სოფლის, ასევე დაბისა და ქალაქის მოსახლეობაზე. სხვადასხვა მიმდებარე მიწა ერთ ნაკვეთად არ იყო გამოყოფილი. პირიქით, გამოყოფის არჩეული ვარიანტით, თითოეულ ოჯახს დაახლოებით 3-7 მიწის ნაკვეთი დაურიგდა, რომლებიც სხვადასხვა ტერიტორიებზეა განლაგებული.

ზოგიერთ რაიონებში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების მიხედვით მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დასახლებების შემოგარენში ხელმისაწვდომი მიწა საკმარისი არ იყო. ამგვარად, ბევრმა კომლმა, ფაქტიურად, მითითებულ 1.25 ჰექტარზე ნაკლები მიიღო. ზოგ ტერიტორიაზე, მიწის დარიგება გართულებული იყო იმის გამო, რომ მთავრობას არ შეეძლო მიწის განაწილების პროცესის კონტროლი და შესაბამის წესებისა და რეგულაციების აღსრულება. ამ მასიური ტრანსფორმაციის პროცესის შედეგად 1,300.000 კომლი (ოჯახი) – დაახლოებით 3.5 მილიონი მოქალაქე - მცირე მიწის ნაკვეთების მესაკუთრე გახდა.

რეფორმამ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაქუცმაცება გამოიწვია. დედოფლისწყაროს რაიონში მიწის რეფორმამდე ირიცხებოდა 46 ათასი ჰექტარი სახნავი მიწა, რომელიც 560 ნაკვეთად იყო წარმოდგენილი. რეფორმის შედეგად დანაწევრდა 26000 მიწის ნაკვეთად. განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში მოხდა მიწების დანაწევრება. ამან გამოიწვია პრივატიზებული მიწის ფრაგმენტაცია

მთელი საქართველოს მასშტაბით. 1992 წლამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ძირითადი ფართობები მუდმივ სარგებლობაში გადაცემული ქონდა 1050 კოლმეურნეობას და სარგებლობაში 700 - სახელმწიფო მეურნეობას. სხვა მიწის მესაკუთრენი ძირითადად ნატურალურ მეურნეობაში მუშაობდნენ.

ასეთმა მდგომარეობამ არა მარტო ხელი შეუშალა სოფლის მეურნეობის განვითარებას არამედ უკან დასწია და ღარიბ, არსებობაზე ორიენტირებულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებად აქცია.

2004 წელს ყოველგვარი დასბუთების გარეშე უსაფუძვლოდ ლიკვიდირებული იქნა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და მის დაქვემდებარებაში არსებული მინათსარგებლობის საპროექტო ინსტიტუტი. მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა ქვეყანაში დღემდე არ ხორციელდება. დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია სახელმწიფოს, რამდენია კერძო საკუთრებაში, რამდენი მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით. არ ვიცით რამდენი ჰექტარი ვენახი, ხილის ბაღი, ციტრუსი, ჩაის ფართობი გვაქვს.

დღეისათვის, საქართველოში არც იურიდიული და არც ინსტიტუციური სათანადო სტრუქტურა არ არსებობს, რომელიც მიმართული იქნებოდა მიწის კონსოლიდაციისა თუ სასოფლო განვითარებისკენ. მიწის კონსოლიდაციის აქტების/დადგენილებების არარსებობის გამო, მიწის კონსოლიდაციის ნებისმიერი პროცედურა, დღესდღეობით არსებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე უნდა შესრულდეს. მიწის კონსოლიდაციის დადგენილების მომზადება აუცილებელი წინაპირობა იქნებოდა მიწის კონსოლიდაციის ღონისძიებათა განსახორციელებლად. სხვაგვარად, კონსოლიდაციისა და მიწის გამოყოფის პროცესი გაცილებით რთული და ხარჯიანი იქნება.

სასოფლო დასახლებების გაბნეული განლაგება მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს მიწის კონსოლიდაციისთვის, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. აქ არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფრაგმენტირების პრობლემა დგას, არამედ სასოფლო სტრუქტურისაც, რომელიც თავის მხრივ დასახლების სტრუქტურას მოიცავს. დასავლეთ საქართველოში, მდინარე რიონის სანაპიროს გასწვრივ, ძირითადი დასახლებების ტერიტორი-

ებზე, სოფლის ცენტრები ძლივს არსებობს. ამის მაგივრად, ლანდშაფტი დომინირებს მიმოფანტულ დასახლებულ ადგილებში, სახლებს შორის მცირე სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებით.

კერძო პირები, რომლებიც დასახლებული არიან მიწის კონსოლიდაციის ფართობზე ან მის მახლობლად, შეუძლიათ გარკვეული სარგებელი მიიღონ სასოფლო განვითარების შედეგად და განსაკუთრებული ინტერესი გააჩნდეთ მიწის კონსოლიდაციის ღონისძიებებში. მიწის მესაკუთრეები და ფერმერები განსაკუთრებულ დაინტერესებას გამოხატავენ მოსაკრებლების გადასახადის გარეშე მიწის ტრანზაქციებთან დაკავშირებით და შესაძლებელია ფერმერების სტიმულირება მათი მეურნეობისა და მიწის ნაკვეთების გასაუმჯობესებლად. აკვეთების კონსოლიდაცია, ახალი გზების მშენებლობა და მისადგომი გზების გაუმჯობესება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რენტაბელურ მეურნეობას სამუშაო დროის შემცირებით.

პოლიტიკოსები აცნობიერებენ სოფლად არსებულ ყველა პრობლემებს, თუმცა არ არსებობს რაიმე პოლიტიკური პროგრამა ან სტრატეგია სიტუაციის გასაუმჯობესებლად. სასოფლო ფართობები ნაკლებად განვითარებულია და ბევრად უარეს მდგომარეობაშია საქალაქო ფართობებთან შედარებით. შესაბამისად, სამუშაოს პოვნისა და უკეთესი საცხოვრებელი პირობების მოძიების იმედით მოსახლეობა ტოვებს სასოფლო ფართობებს და გადადის ქალაქებში. პოლიტიკური მიზანი თანაბრად კარგი საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად, როგორც ქალაქში, ისე სოფლად, წარსულში არ არსებობდა. მაგრამ როგორც ჩანს დრო მომნიშვნელო აქტიური სასოფლო განვითარების პოლიტიკისთვის.

სიტუაციის ანალიზი აჩვენებს, რომ დღეისათვის საქართველოში სასოფლო განვითარებას აფერხებს რიგი ინტეგრირებული პრობლემები. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაცია, ზოგად ფრაგმენტირებული დასახლებების სტრუქტურასთან ერთად, უპირობოდ სერიოზული პრობლემაა, განსაკუთრებით კომერციული მეურნეობისთვის. ამასთან, არსებობს რიგი სხვა პრობლემები და სტრუქტურული პირობები, რომლებიც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის განვითარებას. მაგალითად:

- სასოფლო ტერიტორიებზე სიღარიბე და დაბალი შემოსავლები

- არადაამაკმაყოფილებელი ფიზიკური და სოციალური ინფრასტრუქტურა
- ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების მძიმე მდგომარეობა
- სასოფლო სამეურნეო კრედიტებისა და დაზღვევის სისტემების სიმცირე
- სასოფლო სამეურნეო ინდუსტრიის დაბალი დატვირთვა და არასამეურნეო დასაქმების საშუალებების არ არსებობა
- მწირი ადგილობრივი ბაზრები და უცხოური ბაზრების ძლიერი კონკურენცია
- რამდენიმე კომერციული მეურნეობის საწარმო და დიდი რაოდენობის ნატურალური მეურნეობები
- კერძო ფერმერთათვის მომსახურებისა და დახმარების არადაამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფა.

ასეთ ფონზე აუცილებელია გადაიჭრას საკითხი, თუ მიწის კონსოლიდაციის რომელი მიღებული პროცედურა შეუწყობს ხელს საქართველოს ფერმერების წინაშე არსებული ამ მრავალი პრობლემის გადაჭრას. მძიმე ზოგადი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, მიწის კონსოლიდაცია ვერ შეცვლის მთლიან სურათს, თუმცა ხელს შეუწყობს:

- სასოფლო ინფრასტრუქტურისა და დასახლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას
- პრივატიზებულ მიწაზე არსებული ფრაგმენტაციის შემცირებას
- პრივატიზაციისა და მემკვიდრეობით გადაცემის შედეგად შემდგომი ფრაგმენტაციის თავიდან აცილებას.

საქართველოში მიწის კონსოლიდაციისთვის ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი და უარყოფითი წინაპირობების შეფასებისას შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, რომ მიწის კონსოლიდაცია სასოფლო ტერიტორიებზე ხელს შეუწყობს სიტუაციის გამოსწორებას, რადგან ის ჩამოყალიბებს სექტორთაშორისი სტრუქტურის ჩამოყალიბებას სოფლის საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემის გადასაჭრელად. სოფლად არსებული სიღარიბე და მოსახლეობის ძირითადი საჭიროებები უზრუნველყოფს საქმიანობების ფართო სპექტრს მიწის კონსოლიდაციისთვის, რაც ლიმიტირებულია, მხოლოდ შეზღუდული რესურსებით, როგორცაა ფინანსები და მუშახელი. საქართველოში

მთლიანი ეკონომიკური პირობებისა და გარდამავალი ეკონომიკის მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით მხოლოდ ძალზე მოქნილი მიდგომა შეიძლება იქნეს წარმატებული.

საქათველოსთვის მიწის კონსოლიდაცია უნდა ჩაითვალოს ინსტრუმენტად გრძელვადიანი დაგეგმარების პერსპექტივაში. არსებული სიტუაციის გათვალისწინებით – პირველი მიწის რეფორმის შემდეგ და პრივატიზაციის მეორე ფაზის დაწყებამდე – მიწის კონსოლიდაციის წარმოდგენის სტრატეგია ძალზე ფრთხილი, დროში კარგად გათვლილი და მოქნილი უნდა იქნეს. მიუხედავად იმისა, რომ მიწის კონსოლიდაციის საჭიროება ამჯერად დასაბუთებულია, არ უნდა ვეცადოთ მთელი ქვეყნისთვის მიწის კონსოლიდაციის ფიქსირებული პროცედურების შექმნას. ეს არც მიზანშეწონილია და არც შესაბამისი დღევანდელობაში. მიდგომა ზემოდან-ქვემოთ, მაგალითად სავალდებულო კონსოლიდაციის სქემა, ვერ იქნება მისაღები, ვინაიდან მოსახლეობა არ ენდობა მთავრობის მიერ განხორციელებულ საქმიანობებს. ამგვარად, გათვალისწინებული უნდა იქნეს ეტაპობრივი მიდგომა, სადაც ყურადღება განსაკუთრებულად გამახვილდება საზოგადოებასა და მოქალაქეთა მონაწილეობაზე. პირველ რიგში უნდა გადაიჭრას რამდენიმე ძირითადი საკითხი, რომლებიც მიწის კონსოლიდაციის სტრატეგიის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენენ.

მიწის კონსოლიდაციის ყველა სქემა ჩასმული უნდა იქნეს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების საქმიანობაში. ამჟამად სოფლად დაგეგმარება არ ხორციელდება და პასუხისმგებლობები ბუნდოვან არის გადანაწილებული სამინისტროებს შორის. საქართველოში სასოფლო განვითარებაში სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების ხელახალი წარმოდგენისთვის საჭიროა სტრატეგიის შემუშავება. ეროვნულ დონეზე შესაძლო მიდგომა შეიძლება გახდეს მაკორდინირებელი ორგანოს წარმოდგენა. ეს ორგანო შეიძლება წარმოდგენილი იქნეს სამუშაო ჯგუფით, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი სამთავრობო სააგენტოების წევრებით, ისე როგორც სპეციალისტებით, მაგალითად შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. ადგილობრივი საკრებულოს დონეზე სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარება წარმოადგენს მიწის კონსოლიდაციის პროცედურის განუყოფელ ნაწილს. სივრცითი-ტერიტორიული გეგმა ასევე უნდა უზრუნველყოფდეს საფუძველს გადანყვეტილებების მისაღებად იმ

ტიპის ჩარევებისთვის, რომელიც გადაუდებად აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების, სასოფლო ეკონომიკისა და ლოკალიზებული ეკონომიკური ბრუნვის გასაუმჯობესებლად. მიწის გამოყენების დაგეგმარების პროცესში ნათელი გახდება, თუ რა ტიპის მიწის კონსოლიდაცია იქნება შესაფერისი მოცემულ სიტუაციაში.

ყველა ზემოაღნიშნული მოდელები გათვალისწინებული უნდა იქნენ, ისევე როგორც ადგილობრივი დონის მიდგომები, რომელთა განხორციელებისთვის აუცილებელია მიწის მესაკუთრეთა და ადგილობრივი თვითმმართველობის მონაწილეობა. ნებისმიერი მიწის კონსოლიდაცია ფუნდამენტურად ერევა საკუთრების უფლებებში. თუმცა მკაცრად ჩამოყალიბებული სამართლებრივი რეგულაციები საჭიროა საკუთრების უფლებების სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად. თითოეულ მიწის მესაკუთრეს უნდა ჰქონდეს უფლება შეამონმოს რეგულაციების ზემოქმედება თავის საკუთრებასთან მიმართებაში. მონაწილეობის, თანაბარი ღირებულების საკუთრების გაცვლის, ხარჯების კომპენსაციისა და კონტრიბუციის პრინციპები ნათლად უნდა იქნენ ჩამოყალიბებული. ამგვარად, საჭიროა სპეციალური მიწის კონსოლიდაციის აქტის შედგენა, რომელიც პირველ რიგში უნდა მოიცავდეს მიწის კონსოლიდაციის მიზანსა და ამოცანას.

ყველა მიწის მესაკუთრეს აქვს უფლება მიიღოს იმავე ხარისხისა და იმავე ღირებულების მიწის ნაკვეთი, რომელსაც ის გაცემს. ნაკვეთების შეფასება წარმოადგენს მიწის ნაკვეთების გაცვლის საფუძველს. ამგვარად, მიწის კონსოლიდაციის აქტი უნდა მოიცავდეს მიწის შეფასების პრინციპებს. უთანხმოების შემთხვევაში ასევე უნდა არსებობდეს შეფასების მიმართ პრეტენზიის ან საჩივრის შეტანის საშუალება.

კომპენსაციის პრინციპები საჭიროებს სამართლებრივ დარეგულირებას. მიწის ღირებულებაში გასხვავებები კონპენსირებული უნდა იქნეს. მიწის მესაკუთრეს ასევე შეუძლია ფულადი კონფენსაციის მიღება, თუ ის ამაზე თანხმობას განაცხადებს. აქტივების (ნარგავები, სხვ.) კონპენსაცია ჩვეულებრივ მოხდება ფულადი სახით.

ზოგიერთ შემთხვევაში მიწის კონსოლიდაციას გააჩნია საკუთრების უფლებების დროებითი დატვირთვა. შესაძლოა საჭირო გახდეს საკუთრების პირობითი გადაცემა გარკვეული ტექნიკური მიზეზებით. მესამე პირი უფლებე-



ბი, წინააღმდეგობები და შეზღუდვები ძველი ნაკვეთებიდან უნდა გადავიდეს ახალ ნაკვეთებზე. ეს დროებითი რეგულაციები ნათლად უნდა იქნეს განსაზღვრული კანონით. ასევე უნდა განისაზღვროს პროცედურის დასასრული. ჩვეულებრივ ეს ემთხვევა საჯარო რეესტრის განახლების შემდეგ სერთიფიკატების გადაცემას.

მინის კონსოლიდაცია ზოგიერთ შემთხვევაში მოიცავს გადაწყვეტილების მიღებას, სადაც შესაძლოა ყველა მონაწილე და დაინტერესებული პირები არ დაეთანხმონ ერთობლივ სტრატეგიას. ამგვარად, მინის კონსოლიდაციის პროცედურები სავარაუდოდ კონფლიქტს წარმოშობს. ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება სხვა გარეშე პარტნიორის ჩართვას, რომელსაც შეეძლება შუამავლის როლი შეასრულოს კონფლიქტების შემთხვევაში. ასეთი ფუნქცია შესაძლებელია შეასრულონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა. არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ დიდი წვლილი შეიტანონ მინის კონსოლიდაციის პროექტების განხორციელებაში.

**დასკვნის მაგიერ.** საქართველოში დადგა ის პერიოდი, რომ აუცილებლობას წარმოადგენს

დავინყოთ მუშაობა მინების კონსოლიდაციის საკითხზე.

სამწუხაროდ, საქართველოში მინის კონსოლიდაციის არავითარი გამოცდილება არ არსებობს, რაც ამ მიმართულებით მოქმედების არანაირ შესაძლებლობას არ იძლევა. გამოცდილების შესაგროვებლად აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდეს მინის კონსოლიდაციის საპილოტე პროექტი, რომლის გამოცდილების ბაზაზე უნდა შეიქმნას შესაბამისი კანონმდებლობა და სახელმწიფო პროგრამა.

გაეროს რეკომენდაციების შესაბამისად მინის კონსოლიდაცია განიხილება, როგორც მრავალსექტორული მიდგომა სასოფლო ტერიტორიებზე მინის მართვის გაუმჯობესებისათვის, სადაც ადგილობრივი თემების მონაწილეობა მინის კონსოლიდაციის სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა. მინის კონსოლიდაციის პილოტ პროექტების დიზაინის სახელმძღვანელო შემუშავდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ 2003 წ. აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის.

# თავისუფალი სამენარმეო გარემოს ჩამოყალიბება აგრარულ სექტორში

დალი სილაგაძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## Free business environment in the agricultural sector

Dali Silagadze

### Summary

This paper deals with the free business environment in the agricultural sector, as the business environment and investment significantly affects the productivity of the private sector and the impact on the efficient allocation of resources. Thus, in accordance with the necessary entrepreneurial and investment environment of constant care.

The World Bank's Doing Business Report (Doing Business 2014) doing business in Georgia, according to the data, highlighting all the shortcomings, which hinder the development of the business environment.

Discussed the actions to be undertaken by the state and the future development of the business environment ghonisdziebebi.gansazghvrulea measures and their implementation with the active support role.

Now - on the agenda of the urgent need to increase the efficiency of small businesses in accordance with the requirements of the European Union, which will contribute to the future social and economic challenges of European integration and accelerating the process.

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია თავისუფალი სამენარმეო გარემოს ჩამოყალიბება აგრარულ სექტორში, რადგანაც სამენარმეო და საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს მწარმოებლურობაზე და კერძო სექტორში გავლენას ახდენს რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. ამდენად, შესაბამისად აუცილებელია სამენარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა.

მოცემულია მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშის მონაცემები საქართველოში ბიზნესის კეთების მიხედვით, სადაც წამოჩენილია ყველა ის ნაკლოვანებები, რაც ხელს უშლის სამენარმეო გარემოს განვითარებას.

განხილულია სახელმწიფოს მიერ გატარებული და სამომავლოდ გასატარებელი ღონისძიებები. განსაზღვრულია სამენარმეო გარემოს განვითარებისათვის გასატარებელი ღონისძიებები და მათ განხორციელებაში სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერის როლი.

ამჟამად დღის წესრიგში დგას მცირე მენარმეობის ეფექტიანობის ზრდის გადაუდებელი განხორციელების საჭიროება ევროკავშირის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც ხელს შე-

უნყოფს სამომავლოდ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემათა გადაწყვეტას და ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას.

**საკვანძო სიტყვები:** სამენარმეო გარემო, მსოფლიო ბანკი, მცირე ბიზნესი, აგრარული სექტორი, სახელმწიფო, საქართველოს მთავრობა.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია სამენარმეო და საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს მწარმოებლურობაზე, რამდენადაც კერძო სექტორში გავლენას ახდენს რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. მძაფრი გლობალური კონკურენციიდან და დინამიური ეკონომიკური პროცესებიდან გამომდინარე, ბიზნესის მოთხოვნები სწრაფად იცვლება. შესაბამისად აუცილებელია სამენარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა.

2004 წლიდან საქართველოში ეკონომიკის ლიბერალიზაციისაკენ მიმართული რეფორმების ტალღა დაიწყო. აღნიშნული რეფორმების შედეგად აღმოიფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები და შემცირდა საგადასახადო ტვირთი. მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშის (Doing Business 2014) მიხედვით, საქართველო ბოლო წლებში ერთ-ერთ მონიშნულ რეფორმატორ ქვეყნად იქნა აღიარებული. ამჟამად ქვეყანა ბიზნესკეთების სიმარტივის მაჩვენებლით 185 ქვეყანას შორის მე-8 ადგილს იკავებს. მიუხედავად ამისა რჩება რიგი პრინციპული ხასიათის პრობლემები ცალკეულ სფეროში, რაც ხელს უშლის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. დღეისათვის კვლავ პრობლემად რჩება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა. ასევე გამომწვევად რჩება გადახდისუნარიანობასთან, კომერციული დავების გადაჭრასა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

არსებული სირთულეები საერთო ჯამში აუარესებს სამენარმეო გარემოს, ამცირებს ინვესტიციებს ნდობას და ნაკლებ ეფექტიანს ხდის სხვა სფეროებში ჩამოყალიბებულ ქმედით მექანიზმებს. მაგალითად, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშში საქართველოს უკავია პირველი ადგილი მსოფლიოში ქონების რეგისტრაციის სიმარტივის მიხედვით, თუმცა, ამის მნიშვნელობა ეცემა, თუ საკუთრების უფლება არ არის სათანადოდ დაცული და მასთან

დაკავშირებით წარმოშობილი დავები სწრაფად არ გვარდება.

სამენარმეო საინვესტიციო გარემოს კუთხით არსებულ პრობლემებზე მიუთითებს სხვადასხვა საერთაშორისო შეფასება და ანგარიში. კერძოდ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 2013-2014 წლების მონაცემების მიხედვით საქართველოს აქვს შემდეგი მაჩვენებლები:

- საკუთრების უფლების დაცვა-120-ე ადგილი;
- დავების გადაჭრის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობა-92-ე;
- ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა-138-ე;
- ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობა-123-ე;
- ბაზარზე დომინირების მასშტაბები-119-ე.

მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესება ასევე ასახულია მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშში, რომლის მიხედვით საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი აქვს, თუმცა ამ კუთხით ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული მიმართულებები, სადაც მდგომარეობა გაუმჯობესებას საჭიროებს. მაგალითად გადახდისუნარიანობასთან და კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლის მიხედვით საქართველოს შემდეგი პოზიციები უკავია:

- გადახდისუნარიანობის პროცედურები 88-ე ადგილი;

კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების დონე (%) -33,6%, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალური აზიის რეგიონში საშუალო მაჩვენებელი არის 37,1 %, ხოლო OECD-ის ნევრ ქვეყნებში საშუალოდ -70,6 %.

სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილურად მიმზიდველი საინვესტიციო და სამენარმეო გარემოს შესანარჩუნებლად. ამისთვის კი აუცილებელია რიგი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება. ასევე მთავრობა უზრუნველყოფს ბიზნეს-ინტერესებში არალეგიტიმური ჩარევის დაუმკობლობას. აღნიშნულ სფეროში მთავრობის მიზანს წარმოადგენს არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა დღეისათვის მიღებული შედეგების შენარჩუნებით.

მენარმეობა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ერთობლივად მენარმეები ქმნიან მილიონობით

სამუშაო ადგილს და ამით ხელს უწყობენ პროგრესსა და საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას, ამდენად მენარმეებს, მათ ინციატივებს ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და ნავახალისოთ. ყველაზე მეტად სამური კი თავისუფალი სამენარმეო გარემოს ჩამოყალიბებაა აგროსექტორში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მეტი და წარმატებული ადგილობრივი წარმოების შექმნას და განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას. ტრადიციულად მცირე მენარმეობის ქვეშ იგულისხმება ბიზნესის ფორმა, რომლის საბოლოო მიზანია მოგების მიღება.

საქართველოს მთავრობას გათვითცნობიერებული აქვს რა მცირე ბიზნესის განვითარების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში, აქტიურად უწყობს ხელს და სპეციალური პროგრამების გამოყენებით ასტიმულირებს მცირე ბიზნესის (მენარმეობის) განვითარებას. ამ მხრივ საყურადღებოა “სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თვითდაფინანსების”. პროექტი, რომლის განხორციელებაც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყო 2013 წლის მარტიდან. პროექტის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ყველა რეგიონში ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შექმნა, რომელიც ბიძგს მისცემს ქვეყნის რეგიონებში ეკონომიკის გამოცოცხლებას და მათ შემდგომ განვითარებას. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 30 მილიონი აშშ დოლარია. აქედან 15 მილიონი არის კომერციული ბანკების წილი, სახელმწიფოს წილი მთლიანი თანხიდან 12 მილიონია, ხოლო დარჩენილი 3 მილიონი, ბენეფიციარების თანამონაწილეობის თანხა იქნება. პროექტის ფარგლებში უნდა შეიქმნას დაახლოებით 50 საწარმო იმ რაიონებში, რომლებიც მთავრობის დადგენილებით არის მითითებული. (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანდაფინანსების პროექტი დაიწყო. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აღნიშნულ პროექტთან ერთად, 2013 წლის მარტის თვიდან წარმატებით ახორციელებს “შელავათიანი აგროკრედიტის პროექტს”, რომელიც მიმართულია სოფლად მიკრო და მცირე საწარმოების განვითარების ხელშეწყობისათვის, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან საქესპერტო პროდუქციის წარმოებაზე.

საქართველოში მცირე მენარმეობის განვითარების საქმეში წინგადადგმული ნაბიჯია მთავრობის ახალი ინციატივა, 2014 წლის 1 ივნისს დაწყებული ახალი პროგრამა “ანარმოე საქართველოში”. როგრამის კოორდინატორია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად. მის მიზანს წარმოად-

გენს წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა, მენარმე სუბიექტების მხარდაჭერა, მათი კონკურენტუნარიანობის ზრდა, თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 46 მილიონ ლარს, მათ შორის სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავებაზე მოდის 30 მილიონი ლარი, ინდუსტრიული პროდუქციის წარმოებაზე - 16 მილიონი ლარი. (სახელმწიფო პროგრამა “ანარმოე საქართველოში”) პროგრამის ფარგლებში შექმნილ მცირე სანარმოებს სახელმწიფო მხარდაჭერის კუთხით სთავაზობს სამკომპონენტს, რომელიც მოიცავს ფინანსურ ხელშეწყობას, ინფრასტრუქტურის მხარდაჭერას და საკონსულტაციო მომსახურებას. ფინანსური კომპონენტი მოიცავს: კრედიტის პროცენტის თანადაფინანსებას პირველი ორი წლის განმავლობაში 10%-ის მოცულობით, გირაოს დაზღვევას-კრედიტის მოცულობის 30 %-ისა 2-4 წლის განმავლობაში. ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა მოიცავს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემას უსასყიდლოდ. საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს ბენეფიციარებისათვის ტრენინგების დანერგვაში დახმარების განწევას. ასევე ინოვაციებს და თანამედროვე ტექნოლოგიების მოძიება-დანერგვას. გაცემული სესხის მოცულობის საპროცენტო განაკვეთები მერყეობს: 150000 აშშ დოლარიდან 5000000 ათას აშშ დოლარამდე-13 % (თანადაფინანსება -10 %) 500001 აშშ დოლარიდან ზემოთ 11 % (თანადაფინანსება 10 %).

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში ქვეყნის წინაშე ახალ პერსპექტივებს სახავს 2014 წლის 27 ივნისს მთავრობის მიერ ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც სექტემბრის თვიდან შევიდა ძალაში. ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა დიდი სტიმულია ქვეყანაში ექსპორტზე ორიენტირებული მცირე ბიზნესის განვითარებისათვის. ამასთან ევროკავშირთან ასოცირების შედეგად შესაძლებელი გახდება ევროპული ეკონომიკური პოლიტიკის მოდელთან მიახლოება და მისი პრინციპების დანერგვა ქართული ეკონომიკის რეალობაში. თუ გადავხედავთ ევროკავშირის “მცირე ბიზნესის აქტის” (A “Small Business Act” (SBA)2008) პრინციპებს და მათ საფუძველზე შევავსებთ საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებს, შესაძლებელია ვაღიაროთ, რომ საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ბიზნეს-გა-

რემოს ლიბერალიზებისაკენ, რომელიც მიღწეული იქნა რეგულაციური პრაქტიკის გამარტივებით, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობით და აქტიური საპრივატიზაციო პოლიტიკის გატარებით, ხოლო კორუფციასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებით მნიშვნელოვნად გაჯანსაღდა ქვეყანაში ბიზნეს გარემო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებები შემუშავებული და გატარებული იქნა ზოგადად ყველა სანარმოსთვის. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს ადგილობრივ დონეზე მენარმეობის ან ინციატივების მხარდაჭერი მექანიზმები. ენარმისათვის რისკების შედეგად გამონვეული ზარალის თავიდან აცილების ყველაზე გავრცელებული საშუალებაა დაზღვევა, თუმცა სამუხაროდ ეს სფერო საქართველოს სოფლის მეურნეობაში ნაკლებადაა განვითარებული.

შეიქმნა მცირე ბიზნესის ხელშეწყობის სააგენტო. 2015-2017 წლებში ამ მიმართულებით 150 მლნ ლარია გამოყოფილი. ამ სამი წლის განმავლობაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ქვეყანაში 5 ათასი პროექტის განხორციელებას და 30 000 სამუშაო ადგილის შექმნას გეგმავს.

საქართველოს ხელისუფლებამ მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემდეგი სამი მთავარი საკითხი უნდა გადაჭრას:

1. მცირე მენარმეობის წახალისება
2. მცირე მენარმეთა სწავლება
3. მცირე მენარმეების დახმარება გაყიდვებში.

და ბოლოს, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ, რომელიც მცირე ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით მრავალი გადაუჭრელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, დროული პრიორიტეტული ნაბიჯები გადადგა პრიორიტეტული დარგის — სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სტიმულირებისათვის, იაფი კრედიტის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ამჟამად, ქვეყნის დღის წესრიგში დგას მცირე მენარმეობის ეფექტიანობის ზრდაზე ფოკუსირებული პოლიტიკის გადაუდებელი განხორციელების საჭიროება ევროკავშირის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს სამომავლოდ ცოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტას და ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია
2. “შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის” შედეგები
3. სახელმწიფო პროგრამა “ანარმოე საქართველოში”

# ტურისტული მოხმარების რეგიონ-სული სიდიდის შეფასების თეორიული ასაქმები

იულია ონიანი — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## რეზიუმე

რეგიონებში ტურიზმის განვითარების პროგრამების შემუშავებისა და მისი შედეგიანობის ამაღლების პირობას წარმოადგენს მათი უზრუნველყოფა სტატისტიკური ინფორმაციით, მაგრამ ტურიზმის მრავალი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლის შესახებ ჯერ კიდევ არ მოიპოვება ინფორმაცია და აქედან გამომდინარე რეგიონული ტურიზმის განვითარების პერსპექტივების შესახებ მრავალი კითხვა პასუხგაუცემელი რჩება.

სტატიაში განხილულია საქონლისა და მომსახურების საერთო მოხმარებაში რეგიონულ დონეზე ტურისტული მოხმარების და მისი წილის სტატისტიკური შეფასების მეთოდები. შედგენილია ამოსავალი მაჩვენებლები, — როგორც **ღირებულებითი, ისე ნატურალური**. დასაბუთებულია რეგიონულ დონეზე სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარების მიზანშეწონილობა სამსაფეხურიანი სტრატეგიული შერჩევითი მეთოდის გამოყენებით

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ შემუშავებული **მეთოდოლოგიური და სტატისტიკური მიდგომები რეგიონული ორგანოების** აღმასრულებელ ხელისუფლებას ტურიზმის სფეროს ეფექტური მართვის განახორციელების შესაძლებლობას აძლევს, ეხმარება ტურისტული მოხმარების სიდიდისა და წილის რეგულარული მონიტორინგის ორგანიზებაში.

**საკვანძო სიტყვები:** ტურისტული მოხმარება, ტურისტული მოხმარების რეგიონული წილი, ტურისტული მიწოდება, ტურისტული მოთხოვნა, ტურისტული ინდუსტრია, სტრატეგიული შერჩევა.

## Summary

The condition of development of tourism programs in the region and growing their effectiveness is their maintenance with statistic information, but information can be still found about many important economic values and therefore many questions about

perspectives of regional tourism development are stayed unanswered.

In the article is discussed methods of tourist consumption and statistic evaluation of its share in general consumption of goods and service in the region. There are composed basic indexes as value as well as natural. In the article is substantiated advisability of survey works by using three-level stratified sampling method.

Conclusion is made that developed methodology and statistic approaches gives possibility of effective management of the tourism field to the executive government of the regional entities, also it provides organization of regular monitoring of tourist consumption value and share.

თანამედროვე პირობებში ტურიზმის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი შესაძლებლობით წარმოქმნას ახალი დამატებითი მოთხოვნა საქონელზე და მომსახურებაზე, შექმნას ეკონომიკური ზრდის ყველაზე ძლიერი სტიმულები, სამუშაო ადგილები, ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლების ახალი წყარო, აამაღლოს ქვეყნის და მისი რეგიონების ინვესტიციური მიზიდველობა. ბუნებრივია, რეგიონებში ტურიზმის წარმატებით განვითარებისათვის საჭიროა გვექმნოდეს ეკონომიკური ინფორმაციის ადეკვატური სისტემა.

პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში შეიმჩნევა ინფორმაციის მწვავე ნაკლებობა ტურიზმის წვლილის შესახებ ქვეყნის ეკონომიკაში და მით უფრო რეგიონის ეკონომიკაში. შესაბამისად ადგილი აქვს მოთხოვნას საიმედო სტატისტიკური ინფორმაციაზე, რომელიც ასახავს ამ ეკონომიკური სექტორის მნიშვნელობას და განვითარების დონეს რეგიონულ დონეზე და შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეიმუშაონ მისი განვითარების საქმიანი სტრატეგია, გაატარონ სწორი ეკონომიკური პოლიტიკა ამ სფეროში.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს რეგიონულ დონეზე ტურისტული მოხმარების და მისი წილის სტატისტიკური შეფასება შესაბამისი საქონლისა და მომსახურების საერთო მოხმარებაში. მისი განსაზღვრა შესაძლებელია თუ ცნობილი იქნება ორი სიდიდე:

ტურისტული ინდუსტრიის სანარმოთა საქონლისა და მომსახურების გამოშვების მოცულობა (მიწოდების მოცულობა) და ტურისტების მიერ მათი მოხმარების მოცულობა (ტურისტული მოთხოვნა). პირველი სიდიდე განისაზღვრება ტურისტული ინდუსტრიის სანარმოთა სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების საფუძველზე, ხოლო მეორე სიდიდის განსაზღვრა შეუძლებელია სტატისტიკური კვლევის მეთოდების გამოყენების გარეშე.

საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკის სფეროში, რომელიც შემუშავებული იქნა 2008 წელს და შესულია ეას-ის ახალ რედაქციაში, სხვა საკითხებთან ერთად ეხება აგრეთვე ტურისტული ინდუსტრიის სანარმოებს, ანუ სანარმოებს, რომელთა ძირითად პროფილს წარმოადგენს დამსვენებელთათვის ტურიზმისათვის დამახასიათებელი მომსახურების განევა (პროდუქტების მიყიდვა), რომელიც ორი კრიტერიუმის მიხედვით განისაზღვრება:

ა) დამსვენებლების მიერ განეული ხარჯები მომსახურებისა და პროდუქტების ანაზღაურებაზე უნდა შეადგენდეს ტურიზმზე საერთო დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილს.

ბ) საერთო ტურისტული ხარჯები მომსახურებასა და პროდუქტებზე შეადგენს მთლიანად ეკონომიკაში მომსახურების მიწოდების მნიშვნელოვან ნაწილს.

ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით 2008 წელს, ეკონომიკური საქმიანობის სახეების საერთაშორისო კლასიფიკატორის საფუძველზე, სპეციალისტების მიერ შემუშავებული იქნა ეკონომიკური საქმიანობის სახეების ნაკრები ჯგუფი ტურიზმის სფეროში. დაჯგუფებაში შევიდა საქმიანობის შემდეგი სახეები: დამსვენებელთა განთავსება; საზკვების მომსახურება; კულტურის სფეროს საქმიანობა; სპორტულ-გასართობი საქმიანობა; ტურისტული საქონლით სავაჭრო ვაჭრობა; სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების საქმიანობა.

ამ დაჯგუფებიდან გამომდინარე სტატისტიკური დაკვირვების ფორმა №მს-1-ის- „ძირითადი ცნობები სანარმოს საქმიანობის შესახებ“ მონაცემების მიხედვით განისაზღვრება ტურისტული ინდუსტრიის სანარმოთა ბრუნვის (გამოშვების) მოულობა, რომელიც უშუალოდ მოცემულია ამ ფორმის მე-8 თავში-„ეკონომიკური საქმიანობის სახეები სანგარიშო წელში“.

თუმცა მოცემული ფორმის მიხედვით ანგარიშგებას ახდენენ მხოლოდ მსხვილი სანარმოები. ტურისტულ ინდუსტრიაში მომსახურების

მნიშვნელოვანი ნაწილის შეთავაზება ხდება მცირე, მიკრო და ინდივიდუალური სანარმოების მიერ. ამის გამო მათ მიერ ანგარიშგება ხდება ფორმა №მცს-ის1-, მცირე სანარმოების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ ცნობები”, მიხედვით.

საქმე იმაშია, რომ აღნიშნული ფორმებიდან შესაძლებელია მივიღოთ ტურისტული მომსახურების მოცულობა, რომელიც რეალიზებულია ტურისტული ინდუსტრიის სანარმოების მიერ ქვეყნის დონეზე და არა რეგიონის დონეზე.

იმისათვის, რომ მივიღოთ ნაკრები მონაცემები მცირე, მიკრო და ინდივიდუალური სანარმოების შესახებ რეგიონულ დონეზე საჭიროა შერჩევითი დაკვირვების ჩატარება, რომელიც უნდა მოიცავდეს აღნიშნული მენარმე სუბიექტების 20% მაინც. ამ მიზნით მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას სტატისტიკური დაკვირვების სპეციალური ფორმები და შემუშავებული იქნეს მაჩვენებელთა სისტემა, რომლებიც დაახასიათებენ ტურისტული ინდუსტრიის სანარმოთა (სასტუმროები, მუზეუმები, ზოოპარკები საზ. კვების ობიექტები და სხვ) საქმიანობას რეგიონულ დონეზე.

მაჩვენებელთა რაოდენობრივი მნიშვნელობების ფორმირებისას საჭიროა გავითვალისწინოთ ზოგიერთი თავისებურებები:

1) ტურისტული ინდუსტრიის სანარმო რომელიც ახორციელებს ტურისტულ მომსახურებას, შეუძლია ანარმოს რიგი სხვა მომსახურება (ხშირად ასევე ტურისტულიც). ასე მაგალითად, კოლექტიური განთავსების საშუალებები (კგს) განთავსების მომსახურების გვერდით ხშირად გეთავაზობენ საზკვების მომსახურებას, საექსკურსიო მომსახურებას და ა.შ. ამ შემთხვევაში კოლექტიური განთავსების საშუალებების მომსახურებიდან საჭიროა გამოვყოთ განთავსების მომსახურება, ხოლო სხვა მომსახურების განხორციელების შედეგები, მაგ.: რესტორნების, ბარებისა და კაფეების, შვიტანოთ საზკვების სანარმოების საქმიანობის შედეგებში.

2) გკს-ის, პარკების, კულტურის და სპორტის დაწესებულებების ბრუნვის მაჩვენებელში ორმაგი აღრიცხვის თავიდან აცილების მიზნით არ აღრიცხება იმ სანარმოებისა და ინდივიდუალური მენარმეების ბრუნვა რომელთა შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი არენდირებულია.

3) ტურისტული ინდუსტრიის ზოგიერთი სანარმოო, მაგალითად მუზეუმი, იღებს დოტა-

ციას სხვადასხვა დონის ბიუჯეტიდან. მათი მომსახურების მოხმარება კოლექტიური ხასიათისაა, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს ამ საწარმოების საქმიანობის ფინანსური შედეგების ანალიზის დროს.

რეგიონულ დონეზე ტურისტული ინდუსტრიის საწარმოების საქონლისა და მომსახურების გამოშვების შეფასება უნდა მოხდეს ზემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური საქმიანობის სახეების ქრილში და იმ საწარმოთა ტიპების მიხედვით, როლებიც ამ საქმიანობას ახორციელებენ.

№1-კგს ფორმის — „მონაცემები კოლექტიური განთავსების საშუალებების შესახებ“, მიხედვით კოლექტიური განთავსების საშუალებების კლასიფიკაცია ყოველთვის არ შეესაბამება ეკონომიკური საქმიანობის სახეების დარგობრივი კლასიფიკატორის მიხედვით კლასიფიკაციას. მაგალითად, №1-კგს ფორმის მიხედვით ანგარიშგება ხორციელდება სანატორიალურ-საკურორტო დაწესებულებების მიხედვითაც, რომელთა საქმიანობა დარგობრივი კლასიფიკატორის მიხედვით მიკუთვნებულია სამკურნალო დაწესებულებების საქმიანობას. ამიტომ სანატორიალურ-საკურორტო დაწესებულება მიეკუთვნებულია ტურისტული ინდუსტრიის საწარმოებს მხოლოდ სასტუმროში და მრჩენთა განთავსებისა და მათი კვების ნაწილში.

რეგიონში ტურისტული მოხმარების წილის განსაზღვრისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა გაანგარიშებული იქნეს ამოსავალი მაჩვენებლები, — როგორც **ღირებულებითი, ისე ნატურალური.**

**ღირებულებითი ამოსავალი მაჩვენებლებია:**

- ✓ შემოსავალი განეული მომსახურებიდან;
- ✓ სხვა წყაროებიდან (სახელმწიფო ბიუჯეტი, სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდები, სათაო ორგანიზაცია) შემოსული საშუალებები;
- ✓ საზღვების კერძო საწარმოების ბრუნვა.

**ნატურალურ მაჩვენებლებს** წარმოადგენს: განთავსებული პირების რიცხოვნობა, მათი მოქალაქეობისა და მოგზაურობის მიზნის მითითებით; სასტუმროში ადგილების რაოდენობა; ღამისთევით მოსულთა რაოდენობა.

მონაცემები საზღვების საწარმოების ბრუნვის შესახებ საქართველოს სუბიექტების შესახებ ინახება ერთიან უწყებათაშორის საინფორმაციო-სტატისტიკურ სისტემაში. მას უნდა დაემატოს კერძო საზღვების საწარმოების და №1-კგს-ის ბრუნვის შესახებ მონაცემები.

საქართველოს სუბიექტების საწარმოებისა და ორგანიზაციების ბრუნვა, რომლების ახორციელებენ საქმიანობას კულტურისა და სპორტის სფეროში, გამოითვლება სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგების სპეციალიზირებული ფორმების მონაცემთა გამოყენებით, რომელსაც იყენებს კულტურის სამინისტრო ქვესაუწყებო ორგანიზაციების საქმიანობის სტატისტიკური დაკვირვებისათვის. ფორმების უმეტესობა შეიცავს მონაცემებს დამსვენებელ მკურნალებთან რიცხვის შესახებ და ფინანსურ შემოსულობებს სამეურნეო საქმიანობიდან **და ა.შ.**

რეგიონულ დონეზე ტურისტული მოხმარების შეფასებისათვის მიზანშეწონილია სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარება, შერჩევითი მეთოდის საფუძველზე. შერჩევითი ერთობლიობის ფორმირებისათვის საჭიროა გამოყენებული იქნეს სამსაფეხურიანი სტრატეგიული შერჩევა.

პირველ საფეხურზე შერჩევის ერთეულს წარმოადგენს გამოკითხვის ჩატარების ადგილი-მხარე, ვთქვათ აჭარის ან სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე. მხარის მიხედვით კონკრეტული ქალაქის ან რაიონის შერჩევა ხდება კოლექტიური განთავსების საშუალებების ნომრებისა და დასაწოლი ადგილების ფონდის შესახებ მონაცემების საფუძველზე. ეს მონაცემები შესაძლებელია მივიღოთ ტურისტული და სპეციალური ინტერნეტ საიტების მონიტორინგის საფუძველზე.

მეორე საფეხურზე შერჩევის ერთეულს წარმოადგენს სააღრიცხვო უბანი. შეირჩევა ორი სახის სააღრიცხვო უბანი:

- ✓ სასტუმროები — კოლექტიური განთავსების საშუალებებში მოთავსებული ტურისტების გამოკვლევისათვის;
- ✓ სატრანსპორტო ტერმინალები — ინდივიდუალური განთავსების საშუალებებში მოთავსებული ტურისტების გამოკვლევისათვის.

სასტუმროების შერჩევა ხდება ადგილების რიცხვის მაქსიმალური გაფართოების შესაძლებლობის, არსებული ადგილების გამოყენების კოეფიციენტის, განთავსებული პირების ღამისთევის საშუალო რიცხვის, მათი კატეგორიებისა და სეზონურობის ფაქტორების გათვალისწინებით. გამოკითხვა უნდა იყოს ერთდროული და ითვალისწინებდეს სასტუმროდან ყოველი მეოთხე მოგზაურის გამოკითხვას.

მესამე საფეხურზე უკვე ფორმირდება გამოკითხული დამსვენებლების შერჩევითი ერ-

თობლიობა შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- ✓ გამოიკითხება მხოლოდ სასტუმროში მცხოვრებნი და სასტუმროებიდან გასულელები;
- ✓ გამოიკითხება 16 წელზე უფროსი ასაკის, როგორც უცხოელი, ისე საქართველოს მოქალაქეები;
- ✓ სააღრიცხვო უბნის მიხედვით გამოსაკითხ პირთა შერჩევა უნდა მოხდეს შემთხვევითი წესით. გამოიკითხოს ყოველი მეოთხე.
- ✓ სასტუმროდან გამგზავრებული ჯგუფის გამოკითხვისას (მათ შორის: ოჯახის) გამოიკითხება მხოლოდ ჯგუფის ერთი წარმომადგენელი.

სატრანსპორტო ტერმინალების შერჩევა იმ ტურისტების გამოკითხვის ჩატარებისათვის, რომლებიც გაჩერებული არიან ინდივიდუალური განთავსების საშუალებებში, შერჩევითი ერთობლიობის ფორმირება ხორციელდება მოცემული ადგილის მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ მონაცემების საფუძველზე. სატრანსპორტო ტერმინალებზე გამოიკითხება აგრეთვე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არ ცხოვრობენ მოცემულ სააღრიცხვო ადგილზე და ერთი ღამე მაინც იმყოფებოდნენ მოცემულ ტერიტორიაზე.

ტურისტული მოხმარების რეგიონული სიდიდის და ტურინდუსტრიის სანარმოთა პროდუქციისა და მომსახურების გამოშვებაში მისი წილის გაანგარიშება რამოდენიმე ეტაპად ხორციელდება.

პირველ ეტაპზე ფორმირდება ტურისტული ინდუსტრიის სანარმოთა პროდუქციისა და მომსახურების ნატურალური და ღირებულებითი მაჩვენებლების ამოსავალი ცხრილები. ცხრილის მონაცემების საფუძველზე მიიღება შემდგომი გაანგარიშების ჩატარებისათვის აუცილებელი მონაცემები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, რომელიც რეგიონულ დონეზე არ გაიანგარიშება.

შემდეგ ეტაპზე დგება საბაზო ცხრილები, რომლებიც ივსება სასტუმროებში და სატრანსპორტო ტერმინალებზე ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული მონაცემებით. ცხრილში მოხმარების მაჩვენებელი დაჯგუფებულია რესპოდენტთა მოგზაურობის მიზნის ნიშნის

მიხედვით, რაც სასტუმროებში მოთავსებულ პირთა, მათი ყოფნის მიზნიდან გამომდინარე, სტრუქტურის კორექტირების შესაძლებლობას იძლევა. რაც შეეხება სატრანსპორტო ტერმინალებს, აქ ეს მოთხოვნა არ არის, რადგან გენერალური ერთობლიობა ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს მკაცრად განსაზღვრულ სიდიდეს.

ბოლოს ტურისტული მოხმარების სიდიდის გაანგარიშებისათვის უნდა განისაზღვროს ტურისტული საქონლისა და მომსახურების მახასიათებელი ნილობრივი კოეფიციენტები, რომელთა საშუალებით მოხდება შერჩევითი გამოკვლევის საფუძველზე მიღებული ტურისტული მოხმარების სიდიდის გავრცელება გენერალურ ერთობლიობაზე.

ღირებულებითი მაჩვენებლები — საზღვრის ობიექტებში დანახარჯები საუზმეზე, სადილზე და ვახშამზე, მიიღება კვლევის შედეგად მიღებული მათი რეცხვის გადამრავლებით ნილობრივ კოეფიციენტზე და საუზმის, სადილისა და ვახშამის ღირებულებაზე.

ნატურალური მაჩვენებლები განისაზღვრება გამოკვლევებით გაანგარიშებული მოხმარების სიდიდის, გადამრავლებით შესაბამის ნილობრივ კოეფიციენტზე.

შემუშავებული მეთოდოლოგიური და სტატისტიკური მიდგომები რეგიონული ორგანიზების აღმასრულებელ ხელისუფლებას ტურიზმის სფეროს ეფექტური მართვის განახორციელების შესაძლებლობას აძლევს, ეხმარება ტურისტების მიერ ტურისტული ინდუსტრიის სანარმოთა პროდუქციის მოხმარების სიდიდისა და წილის რეგულარული მონიტორინგის ორგანიზებაში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Гельман В. Я. Статистика туризма. М.: Издательский центр «Академия», 2010.
2. International Recommendations for Tourism Statistics 2008. United Nations and Tourism Organization. Madrid, N.Y., 2008.



# საქართველოს აგრარული სექტორი და XXI საუკუნე: განვითარების რეტროსპექტივა და პერსპექტივა

კახაბერ ციმიცია — ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სასწავლო ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## Georgian Agrarian Sector and the 21<sup>st</sup> Century: Retrospective and Perspective of Development

### Summary

In spite of the fact that there are proper geographic, natural-climate and labour conditions for development of agrarian sector in Georgia, the tendency of regress of the field begun in the period of systemic economic crisis in the last decade of the 20<sup>th</sup> century has not been yet overcome finally. In spite of announcing the field as the priority of the development in 2013-2014 and, accordingly, directing significant funds, no essential change has been observed yet. This means that the measures been carried out are not sufficient. We think that it is important to put forward the following goals in order to provide development of agrarian sector and acceptable level of food safety: elaborating and carrying out programs of development of production of import-substituting agricultural products which must provide effective use of the existing potential of producing livestock farming products, eggs, vegetables, fruit, potato, tea, fish. This will increase the parameters of self-provision and significantly improve employment and income indices; support the formation of optimal field structure of agrarian sector; significantly increase labour capacity in agrarian sector; decrease the import share of food products and increase the export share.

### რეზიუმე

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აგრარული სექტორის განვითარებისათვის ხელსაყრელი გეოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური და შრომითი პირობებია, XX საუკუნის ბოლო ათწლეულში, სისტემური ეკონომიკური კრიზისის პერიოდში დაწყებული დარგის დაქვეითების ტენდენცია ჯერაც არ არის საბოლოოდ დაძლეული. 2013-2014 წლებში დარგის განვითარების პრიორიტეტად გამოცხადებისა და შესაბამისად, მნიშვნელოვანი სახსრების მიმართვის მიუხედავად, დარგის განვითარებაში არსებითი ხასიათის გარდატეხა ჯერაც არ შეიმჩნევა, რიგი პროდუქციის წარმოებაში კვლავაც გრძელდება შემცირების ტენდენცია, რაც მიუთითებს, რომ განხორციელებული ღონისძიებე-

ბი არასაკმარისია. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, აგრარული სექტორის განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების მისაღები ღონის უზრუნველსაყოფად შემდეგი ამოცანების დასახვა: იმპორტშემცვლელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარების პროგრამის შემუშავება-განხორციელება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მეცხოველეობის პროდუქციის, კვერცხის, ბოსტნეულის, ხილის, კარტოფილის, ჩაის, თევზის წარმოების არსებული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება. რაც გაზრდის თვითუზრუნველყოფის პარამეტრებს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების მაჩვენებლებს; აგრარული სექტორის ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებისადმი ხელშეწყობა; აგრარულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი ამაღლება; სასურსათო პროდუქციის იმპორტის წილის შემცირებისა და ექსპორტის წილის ზრდა.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს აგრარული სექტორი. აგრარული რეფორმა. აგრარული ეკონომიკა. განვითარების პრიორიტეტები.

საქართველო აგრარული ტრადიციების ქვეყანაა, რომელიც გამოირჩევა აგრარული სექტორის განვითარებისთვის აუცილებელი გეოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური და შრომითი მონაცემებით. შესაბამისად, აგრარულ სექტორს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქვეყნის ეკონომიკაში. ამასთან, სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, დარგის განვითარების პარამეტრები კვლავაც არასახარბიელოა.

XXI საუკუნის განვლილი პერიოდისთვის საქართველოს აგრარული სექტორის განვითარებაში შესაძლებელია შემდეგი სამი ეტაპის გამოყოფა:

**პირველი ეტაპი.** 2000-2003 წწ. აღნიშნულ პერიოდში დარგში გრძელდებოდა XX ს. ბოლო

ათწლეულში არსებული სისტემური კრიზისის პერიოდში დაწყებული ტენდენციები. ამასთან, მიუხედავად არასტაბილური მაკროეკონომიკური პირობებისა, აგრარულ სექტორში შენარჩუნებული იყო სუსტი ზრდის (საშუალოდ 4,7%) ტენდენცია. ეროვნულ ეკონომიკაში აგრარული სექტორის წილი კვლავაც მაღალია (20%-ზე მეტი).


**მეორე ეტაპი.** 2004-2012 წწ. ამ პერიოდის უფრო ხანგრძლივ ეტაპზე (2004-2010 წწ.) აგრარული სექტორი, დეკლარირების დონეზეც კი, არ შედის ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებებში. მთლიანად ეკონომიკაში რეალური მშპ-ის შედარებით მაღალი ზრდის ტემპის კვალობაზე (საშუალოდ წლიური 6%), აგრარული სექტორი დაცემის ტენდენციით (საშუალოდ 2,8%) ხასიათდება. აღნიშნულისა და ეკონომიკაში განხორციელებული ტრანსფორმაციის კვალობაზე მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს ეკონომიკის სექტორული სტრუქტურა და მასში აგრარული სექტორის წილი (თითქმის სამჯერ) მცირდება.

შემდგომ პერიოდში, კერძოდ კი „2011 წლიდან საქართველოს მთავრობამ დაიწყო სოფლის მეურნეობის, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულების განვითარება. 2012 წ. მარტში წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებდა ათი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის უპირატეს განვითარებას, ეფექტიანი, კონკურენტუნარიანი და მდგრადი აგროსასურსათო სექტორის ფორმირებას, რომელიც დაემყარებოდა საწარმოთა ღირებულებების ჯაჭვის განვითარების ერთიან კომპლექსს“ (4; გვ.40).

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამ პერიოდისთვის განხორციელებული მრავალფეროვანი პროგრამებისა, საქართველოს აგრარულ სექტორში არსებითი პერმუტაცია ვერ მოხდა. ჩვენი აზრით, აღნიშნული გახდა სოციალური ფონის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების შეუძლებლობის ერთ-ერთი მიზეზი.

**მესამე ეტაპი.** 2013 წლიდან დღემდე. აღნიშნული ეტაპისთვის მთავრობის მიერ დეკლარირებულ იქნა აგრარული სექტორის პრიორიტეტულობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა სექტორის დაფინანსება, წარმოდგენილ იქნა საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წლებისთვის. ცხადია, რომ საბოლოო შეფასება ჯერ-ჯერობით ნაადრევია, თუმცა ისიც ცხადია, რომ ადეკვატური ეფექტი ვერ იქნა მიღებული. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ მთელი რიგი პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით კვლავ გრძელდება შემცირების ტენდენცია, ან სახეზეა უმნიშვნელო ზრდა. ჩვენ ვემხრობით პრაქტიკოსთა იმ მოსაზრებას, რომ აღნიშნული თანხების უფრო ეფექტიანი გამოყენება იყო შესაძლებელი.

ამგვარად, XXI საუკუნის პირველ ათწლეულში მთლიანად ეროვნულ ეკონომიკაში მიმდინარე ზრდის პროცესის პარალელურად აგრარული სექტორი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. კერძოდ, 2003-2014 წწ. ქვეყნის რეალური მშპ 8,6 მლრდ. ლარიდან 15,8 მლრდ. ლარამდე (1,8-ჯერ) გაიზარდა, აგრარული სექტორის კი – 1,6 მლრდ. ლარიდან 1,5 მლრდ. ლარამდე (6 %-ით) შემცირდა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ანალოგიური მდგომარეობაა აგროპროდუქციის წარმოებისთვის აუცილებელ საბაზო მაჩვენებლებშიც. კერძოდ, 2010 წლისთვის 1990 წელთან შედარებით დამუშავებული ფართობების მოცულობა 2,5-ჯერაა შემცირებული (4; გვ. 28), მსხვილი რქოსანი პირუტყვის რაოდენობა – 1,2-ჯერ, ღორის – 8-ჯერ, ცხვრისა და თხის – 2,5-ჯერ (4; გვ.31). აღსანიშნავია ისიც რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავაც სახელმწიფო საკუთრებაშია და მათი უმეტესობა არ არის ჩართული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

ამგვარად, საქართველოს აგრარული სექტორის განვითარებისთვის განსაკუთრებულ მუქარებად წარმოგვიდგება:

- აგრარულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა;
- ადგილობრივი პროდუქციის დაბალკონკურენტურობა და სავარგო ბაზრებზე გაღწევის სირთულე;
- აგროპროდუქციის წარმოებისთვის ხელსაყრელი საფინანსო და სადაზღვევო სისტემის არ არსებობა.

ჩვენი აზრით, საქართველოს ტრადიციებისა და ბუნებრივ-კლიმატური პირობების მქონე ქვეყნისთვის აგრარულ სექტორს მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება. სწორი პრიორიტეტებისა და შესაბამისი დაბანდებების პირობებში მას შეუძლია, როგორც სიღარიბის დაძლევაში, ისევე საშუალო ფენის ჩამოყალიბებაში ღირსეული როლის შესრულება. მით უმეტეს, რომ საქართველოს აგრარული ეკონომიკის მცირე ზომებიდან გამომდინარე, რამდენიმე მსხვილ ფერმერულ მეურნეობას შეუძლია გარდატეხა მოახდინოს კონკრეტული საქონლის წარმოებაში და უზრუნველყოს სასურველი პარამეტრები.

ქვეყნის პრობლემა არა მცირემიწიანობაში, არამედ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არაეფექტიან გამოყენებაშია. დაუმუშავებელი და შესაბამისად გამოუყენებელია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილი, დაბალია მოსავლიანობა. რაც მიუთითებს ამ მიმართულებით არსებულ როგორც ექსტენსიურ, ისევე ინტენსიურ რეზერვებზე. ჩვენი აზრით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტიანი გამოყენებისთვის მიზანშეწონილია პრივატიზების დაჩქარება (ან სახელმწიფო საკუთრების მიწების იჯარით გაცემის უფრო მოქნილი მექანიზმის შემუშავება-ამოქმედება) და მიწების დამუშავების სტიმულირება. ჩვენი პროგნოზით, არსებული რეზერვების გამოყენების შემთხვევაში უახლოეს 5 წელიწადში შესაძლებელია

აგრარულ სექტორში 250 %-იანი ჯაჭვური ზრდის უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, აგრარული სექტორის განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების მისაღები დონის უზრუნველსაყოფად შემდეგი ამოცანების დასახვა:

- ✓ იმპორტმემცვლელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარების პროგრამის შემუშავება-განხორციელება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მეცხოველეობის პროდუქციის, კვერცხის, ბოსტნეულის, ხილის, კარტოფილის, ჩაის, თევზის წარმოების არსებული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება. რაც გაზრდის თვითუზრუნველყოფის პარამეტრებს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების მაჩვენებლებს;
- ✓ აგრარული სექტორის ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებისადმი ხელშეწყობა;
- ✓ აგრარულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის მინიმუმ 2-ჯერ მაინც ამაღლება;

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოლუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება: რეალობა და პროგნოზები. თბილისი, 2004.
2. კორდონიე კრისტოფ. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის საზოგადოების განვითარების პერსპექტივები. შამოქმედო გეგმის მონახაზი. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრი. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. კვარტალური მიმოხილვა. დეკემბერი 2005.
3. სამსონი ი. განვითარების გზის ძიება: „საქართველოს ამოცანები“. ეროპული პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები (კვარტალური მიმოხილვა), მარტი, 2006.
4. საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი (შუალედური ანგარიში). ეროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი. ავტორები: თენგიზ შერგელაშვილი, მიხეილ თოქმაზიშვილი.
5. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 2015.

## ფერმერული მეურნეობის ქონება და სანარმოო საქმიანობა

მანანა შალამბერიძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

### რეზიუმე

ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბება და მისი სწორი ორგანიზაცია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. საქართველოში სინამდვილეში, მეურნეობრიობის ეს ფორმა უძველესია და აპრობირებული წლების მანძილზე. ფერმერული მეურნეობა საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, მისი მიზანია ნაკლები დანახარჯებით აწარმოოს მემცენარეობისა და მეცხოველეობის მაღალხარისხოვანი პროდუქცია

ფერმერული მეურნეობის ქონებას შეადგენენ მიწა, მრავალწლიანი ნარგავები, საცხოვრებელი სახლები და სამეურნეო შენობები, სამელიორაციო და სხვა სახის ნაგებობები, პროდუქტიული და მუშა პირუტყვი, ფრინველი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, ინვენტარი და სხვა ქონება, რომელიც აუცილებელია სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობისათვის.

#### Farm property and Production Activities

Manana Shalamberidze

#### Summary

Farming and development and the organization is a matter of national importance. Georgia, in fact, this form of farming carried out within the oldest and proven for years. Farming is important for the development of a market economy, its aim is least costly to produce high-quality plant and animal products.

Farm property of the soil, plants, houses and buildings, reclamation and other types of installations, productive and working cattle, poultry, agricultural machinery and equipment, vehicles, inventory and other assets that are essential to agricultural and other types of activity.

**საკვანძო სიტყვები:** ფერმერული მეურნეობა, ფერმერი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

ფერმერი, რომელსაც აქვს საკუთრებაში მიწის ნაკვეთი, ან ფლობს მას მეურნეობის გასაძლიერებლად თავისი სიცოცხლის მანძილზე, უფლებამოსილია:

- დამოუკიდებლად წარმართოს მიწაზე მეურნეობა.
- დადგენილი წესის თანახმად გამოიყენოს მეურნეობის საქმიანობისათვის ნაკვეთზე არსებული ტორფი, ტყის სავარგულები, წყლის ობიექტები.
- ააშენონს საცხოვრებელი, სანარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის შენობები და ნაგებობები.
- დადგენილი წესის თანახმად შეასრულოს სარწყავი, დასაშრობი, კულტურო-ტექნიკური და სხვა სახის სამელიორაციო სამუშაოები, მოაწყოს ტბები და სხვა სახის წყალსაცავები ბუნების დაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით.
- გადაცვალოს მიწის ნაკვეთი დადგენილი წესის მიხედვით.
- გასცეს მიწის ნაკვეთი ან მისი ნაწილი იჯარით, როცა არის ამისი აუცილებლობა
- გადასცეს მიწის ნაკვეთი მემკვიდრეობით.
- სახელმწიფოებრივი საქმიანობის მიზნით მიწის ჩამორთმევის შემთხვევაში აინაზღაუროს განეული ხარჯები და ზარალი, მათ შორის დაასაბუთოს და მიიღოს მოსალოდნელი დაკარგული მოგებაც იმ ფერმერებმა, რომლებსაც მიწა საკუთრებაში აქვთ, გარდა ზემოთ აღნიშნული უფლებებისა, შეუძლიათ:
- დააგირაონ მიწის ნაკვეთი ისეთ ბანკებში, რომლებიც გასცემენ აგროსესხებს. მიყიდონ მიწის ნაკვეთი იმ გამგებებს, ვის ადმინისტრაციულ საზღვრებშიც არის მიწა. სახელმწიფოს მიერ მიწის ჩამორთმევის შემთხვევაში მიიღონ მიწის სრული ღირებულება, სადაც შევა განეული ხარჯებიც და ზარალიც მ.შ დაკარგული მოსალოდნელი მოგებაც.
- ფერმერს უფლება აქვს მიმწოდებელთან და მომხმარებელთან დადოს ხელშეკრულება. სახელშეკრულებო პარტნიორის შერჩევა და ხელშეკრულების გაფორმება წარმოადგენს მხოლოდ ფერმერული მეურნეობის კომპეტენციას. სახელმწიფო მარტვის ორგანოების, კოოპერაციული ორგანიზაციების და თანამდებობის პირთა ჩარევა სახელშეკრულებო ურთიერთობების დამ-

ყარებასა და ფერმერული მეურნეობის საქმიანობაში, დაუშვებელია.

**ფერმერული მეურნეობები ვალდებული არიან:**

- ეფექტურად და მიზნობრივად გამოიყენონ მიწა, აამაღლონ მისი ნაყოფიერება, განახორციელონ ღონისძიებების კომპლექსი მიწის დასაცავად, თავისი სამეურნეო საქმიანობის შედეგად არ დაუშვან ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება.
- დროულად შეიტანონ მიწის ბეგარა საკუთრებაში არსებულ მიწაზე და საიჯარო გადასახადი იჯარით აღებულ მიწაზე.
- არ შელახონ სხვა მესაკუთრეების, მიწათმფლობელების და მოიჯარეების უფლებები.
- ვალდებული არიან აუცილებლად დაიცვან პროდუქციის ხარისხზე მოქმედი ნორმატივები, სანიტარიული მოთხოვნები და სხვა პარამეტრები.

ფერმერული მეურნეობის ქონებას შეადგენენ მიწა, მრავალწლიანი ნარგავები, საცხოვრებელი სახლები და სამეურნეო შენობები, სამელიორაციო და სხვა სახის ნაგებობები, პროდუქტიული და მუშა პირუტყვი, ფრინველი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, ინვენტარი და სხვა ქონება, რომელიც აუცილებელია სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობისათვის.

**ფერმერული მეურნეობის ქონების შეძენის წყაროებია:**

- ფერმერული მეურნეობის წევრების ფულადი და მატერიალური საშუალებები.
- პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები
- შესრულებული სამუშაოებიდან და შრომითი საქმიანობის სხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები.
- შემოსავლები ფასიანი ქალაქებიდან.
- ბანკების კრედიტი.
- დოტაციები სახელმწიფო ბიუჯეტიდან
- სანარმოების,ორგანიზაციების და მოქალაქეების შეწირულობანი
- სხვა წყაროები, რომლებიც კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

ფერმერული მეურნეობის ქონება ეკუთვნის მის წევრებს საერთო წილობრივი საკუთრების უფლებით. მათ ერთობლივი გადაწყვეტილებით ის იმყოფება მათ საკუთრებაში და გამოიყენება ურთიერთთანხმობის საფუძველზე. ყოველგვარ გარიგებას ქონების განკარგვის შესახებ

ახორციელებს მეურნეობის ხელმძღვანელი (თავკაცი) ან მის მიერ ნდობით აღჭურვილი პირი.

ფერმერული მეურნეობა ერთ-ერთი წევრის მეურნეობიდან გასვლის შემთხვევაში წარმოების ძირითადი საშუალებები გაყოფას არ ექვემდებარებიან. ქონების ნაწილის კომპენსირება ხდება ფულადი თანხით. კომპენსაციის გაცემის წესს ადგენს ფერმერული მეურნეობა ყველა წევრის ურთიერთთანხმობით, ხოლო სხვა შემთხვევაში სასამართლოს წესით. კომპენსაციის გადახდის ვადა 5 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

ფერმერული მეურნეობა, მიწის მესაკუთრეა ის თუ მოსარგებლე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამოუკიდებლად, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე საზღვრავს როგორც თავისი საქმიანობის მიმართულებას, ასევე წარმოების სტრუქტურას და მოცულობას. მას შეუძლია ხელი მოჰკიდოს ნებისმიერი ხასიათის საქმეს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული, მაგრამ წამყვანი ისეთი საქმიანობა უნდა იყოს, როგორცაა სასოფლ – სამეურნეო პროდუქციის წარმოება, გადამამუშავება და რეალიზაცია. მას შეუძლია დამოუკიდებლად, ყოველგვარი ჩართვის გარეშე აირჩიოს მის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ფორმა, მიყიდოს ის სახელმწიფო დამამზადებელ ორგანიზაციებს, გაყიდოს აგრარულ ბაზარზე თუ სხვა მომხმარებლებზე. ყველა შემთხვევაში მის მიერ დაცული უნდა იყოს მოქმედი ნორმატივები პროდუქციის სტანდარტზე, სანიტარულ მოთხოვნებზე და სხვა პარამეტრებზე. ფასებს წარმოებულ პროდუქციაზე ფერმერული მეურნეობა აწესებს დამოუკიდებლად.

ფერმერული მეურნეობების პროდუქციის საექსპორტოდ გაგზავნა და ანგარიშსწორება საზღვარგარეთელ პარტნიორებთან წარმოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სანარმოო საქმიანობის ნორმალურად წარმართვის მიზნით საჭირო მატერიალურ- ტექნიკურ რესურსებს ფერმერული მეურნეობა იძენს როგორც სახელმწიფო ორგანიზაციებიდან ასევე ნებისმიერი ორგანიზაციისაგან და სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო ქსელის მალაზიებში.

ფერმერული მეურნეობების კუთვნილი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და მოწყობილობების, აგრეთვე სატვირთო ავტომანქანების რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას ახორციელებენ სახელმწიფო აგ-

როსერვისის საწარმოები (თუ ასეთი არსებობს) ან სხვა საწარმოები და ცალკეული მოქალაქეები (ინდემნარმეები) დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, როცა ეს გამონაკლისი საწარმოო მოთხოვნების აუცილებლობით, ფერმერული მეურნეობას უფლება აქვს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად გამოიყენოს დაქირავებული შრომა. დაქირავებული შრომის პირობები რეგლამინტირებული უნდა იყოს სათანადო ხელშეკრულებით დასაქირავებულ პირებთან. მათ შრომის ანაზღაურება (ვისთანაც დადებულია ხელშეკრულება) მიეკუთვნება მიმდინარე ხარჯებს და ანაზღაურდება პირველ რიგში. ის არ არის დამოკიდებული ფერმერული მეურნეობის მუშაობის შედეგებზე, როდესაც ეს არ არის გათვალისწინებული განსაკუთრებული ხელშეკრულებით.

ფერმერული მეურნეობის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოება, როგორც თავისი მეურნეობის წევრებისათვის, ასევე დაქირავებული პირებისათვის.

ფერმერული მეურნეობის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, მინის ნაკვეთი მემკვიდრეობით გადაეცემა გარდაცვლილი ქონების ერთ-ერთ მემკვიდრეს, რომელმაც ფერმერულ მეურნეობაში მუშაობის სურვილი გამოთქვა. თუ ასეთი მემკვიდრე რამდენიმეა, შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე, იმ გამგების მიერ, რომლის ადმინისტრაციულ საზღვრებში არის ფერმერული მეურნეობა. მემკვიდრეები, რომლებიც აგრძელებენ მუშაობას ფერმერულ მეურნეობებში თავისუფლდებიან სახელმწიფო გადასახადისაგან მინის მემკვიდრეობით მიღებისათვის.

**ფერმერული მეურნეობების საქმიანობა წყდება შემდეგ შემთხვევებში:**

- როდესაც მინის ნაკვეთი 1 წლის მანძილზე არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

- როცა არსებობს ფერმერული მეურნეობის წევრთა გადაწყვეტილება მისი საქმიანობის შეწყვეტის შესახებ;

- როცა ცოცხალი აღარ არის არცერთი მისი წევრი ან არც ერთ მათ მემკვიდრეს სურვილი არა აქვს განაგრძოს მეურნეობის საქმიანობა;

- როდესაც მინის ნაკვეთის გამოყენება წარმოებს ისეთი მეთოდებით, რომლებიც იწვევენ მიწის დეგრაციას;

- სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მინის ნაკვეთის ჩამორთმევისას;

- გაკოტრების შემთხვევაში.

გადაწყვეტილებას ფერმერული მეურნეობის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ ღებულობს იმ რაიონის გამგეობა, ვის ადმინისტრაციულ საზღვრებშიც ის იმყოფებოდა, ასევე რაიონის გამგეობა იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მინის ნაკვეთის ჩამორთმევის შესახებ. ფერმერული მეურნეობის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ქონება გამოიყენება დაქირავებული მუშაკების შრომის ანაზღაურების, ბიუჯეტის გადასახდელების, ბანკისა და სხვა კრედიტორების ვალების დასაფარავად. დარჩენილი ქონება და მისი რეალიზაციიდან მიღებული თანხები რჩება ან საერთო საკუთრებაში ან ნაწილდება.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გიორგაძე, ჰ. ბახია, მ. სარჯველაძე ბ. ფერმერული მეურნეობის ორგანიზაციის და ეკონომიკის საფუძვლები. თბ. 2004.
2. მ. შალამბერიძე ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი ქუთაისი 2015.

# საქართველოს ტურიზმის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები

მარინა მეტრეველი — სტუ-ს პროფესორი  
ირინა გოგორიშვილი — ეკონომიკის დოქტორი,  
თსუ-ს ასოცირებული პროფესორი

## რეზიუმე

საქართველოში ტურიზმი პრიორიტეტულ დარგად არის გამოცხადებული. 1990-იანი წლების შემდგომ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა დარგის რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის კუთხით, რაც სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება. მიუხედავად ამკარა პოზიტიური ცვლილებებისა დღემდე საქართველოს ტურისტული პოტენციალის მხოლოდ მცირე ნაწილია გამოყენებული და ათვისებული.

წარმოდგენილ ნაშრომში მიზნად დავისახეთ საქართველოს ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ხარვეზების გამოვლენა. კვლევა წარმართება დასახული მიზნების, ინსტრუმენტების, ინდიკატორების, გამტარებლებისა და ინტერესთა კონფლიქტების როგორც ზრდის შემაფერხებელი რისკ-ფაქტორების ანალიზის მიმართულებით.

მეცნიერული კვლევის მეთოდებს შორის გამოვიყენეთ: ანალიზისა და სინთეზის, დედუქციისა და ინდუქციის მეთოდები, აგრეთვე სტატისტიკური მეთოდი. კვლევის პროცესში გამოყენებულია საქართველოში და საზღვარგარეთ ცნობილ მეცნიერთა ნაშრომები (Timothy, D. (2010), Bull, A. (1995), Cooper, C., & Gilbert, D. (2005), Sinklair, M., T. & Stabler, M. (1997), Dann, G. (1981)), ანალიტიკური და სტატისტიკური საერთაშორისო კრებულები და ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის პუბლიკაციები. კვლევის შედეგები ნაშრომში რეკომენდაციების სახით არის წარმოდგენილი.

აღსანიშნავია რომ მასალა, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების საქმიანობისთვის და მეცნიერების კვლევებისთვისაა აუცილებელი, ერთობ მწირი და სრულიად არა-დამაკმაყოფილებელია. მიუხედავად სტრუქტურების არსებობისა, რომლებსაც ევალებათ ტურიზმის, როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავება, მათი საქმიანობა ამ მიმართულებით კრიტიკას ვერ უძლებს. შესაბამისად, შეუძლებელია მოიპოვო მასალა ქვეყანაში ტურიზმის განვითარების საკითხებზე, რომელთა საფუ-

ძველზეც უნდა განვითარდეს დარგის პოლიტიკის თანამედროვე კვლევა.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმის პოლიტიკა, ტურიზმის სტრატეგია, შიდა ტურიზმი, ტურისტული რესურსები, ინვესტიციები.

## Strategic Directions of Georgian Tourism Policy

### Summary

Tourism has been announced as one of the priorities in Georgia. A lot has been done in terms of rehabilitation and reconstruction of the field since 1990s which has been proven by the statistical data. Despite obvious positive changes only a small part of Georgian tourism potential has been exploited so far.

In the presented research I set the goal to reveal the defects of the development of Georgian tourism. The research will be conducted to analyze the objectives, instruments, indicators and the conflicts of interests as one of the obstacles of the development.

From the scientific research methods we used: the methods of analysis and synthesis, deduction and induction and a statistical method. In the research process the methods of the famous Georgian as well as foreign scientists have been used (Timothy, D. (2010), Bull, A. (1995), Cooper, C., & Gilbert, D. (2005), Sinklair, M., T. & Stabler, M. (1997), Dann, G. (1981)), statistical and analytical international publications and the publications of the world wide tourism organizations. The results of the research have been presented as recommendations.

It is worth mentioning that there is lack of materials which are extremely necessary to carry out economical policy and activities related to it. Despite the existence of certain structures which are obliged to create the strategy of the main directions and developments of tourism as an important field of politics, their activities should be definitely criticized. Accordingly, it is impossible to get materials referring to the issues of tourism development in the country on the base of which it would be possible to develop modern research of the policy in this field.

## Стратегические направления политики туризма Грузии

### Резюме

Туризм в Грузии объявлен приоритетной отраслью. После 1990-ых годов многое было сде-

ლანო в направлении реабилитации и реконструкции отрасли что подтверждается статистическими данными. Несмотря на явно позитивные изменения до сих пор использована только малая доля туристического потенциала Грузии.

В данном исследовании нами поставлена цель выявить существенные пробелы политики в туристской отрасли Грузии. Исследование будет нацелено на инструменты, индикаторы, цели, организации проводящие политику и на конфликты интересов которые являются риск-факторами снижающими экономический рост.

В исследовательской работе использованы методы анализа и синтеза, дедукции и индукции, а также статистический метод. В процессе исследования были использованы научные труды известных грузинских и иностранных авторов (Timothy, D. (2010), Bull, A. (1995), Cooper, C., & Gilbert, D. (2005), Sinklair, M., T. & Stabler, M. (1997), Dann, G. (1981)), аналитические и статистические международные сборники, публикации Мировой Туристской Организации. На основе итогов исследования разработаны рекомендации для улучшения развития отрасли.

Особо отмечено что материал требующий для организаций проводящих экономическую политику и научных исследований неудовлетворителен и недостаточен. Несмотря на существование структур которые уполномочены и обязаны разрабатывать политику основных направлений столь значимой отрасли как туризм надо отметить что их деятельность заслуживает жесткую критику. Главной проблемой и сегодня является зыбкость и недостача исследовательского материала без которого невозможно провести всеобъемлющий анализ экономической политики туристической отрасли.

ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრალური მიზანი ქვეყნის ეკონომიკის ზრდისა და განვითარების მიზნის შემადგენელია. ამ მიზნებს შორის წინააღმდეგობა არ არსებობს. უფრო მეტიც, მათ შორის ჰარმონიულობა არსებობს. დამოკიდებულება ამ მიზნებს შორის კომპლიმენტარული ხასიათისაა, რაც ცალსახადაა დეკლარირებული. ამავე დროს, სულ სხვაგვარად ხდება შუალედური მიზნების ფორმირება, რადგან სწორედ მათი რეალიზაცია განაპირობებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის განუხრელ ამაღლებას.

შუალედურ მიზნებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ქვეყანაში შიდა ტურიზმის განვითარებას უნდა მივაკუთვნოთ, რომელიც ერთობლივი მოთხოვნის აქტივიზაციით მულტიპლიკაციურ ეფექტებს წარმოშობს და შედეგად ეკონომიკურ ზრდას ვიღებთ. ამავე დროს შიდა ტურიზმის განვითარებით, დროთა განმავლობაში, ერთობლივი მოთხოვნის ხარის-

ხობრივი მახასიათებლები მაღლდება, რაც ტურიზმის დარგის კონკურენტუნარიანობას ამაღლებს, როგორც შიგადადარებით საერთაშორისო დონეზე, ასევე დარგთაშორისი მიმართულებითაც. აღსანიშნავია ამ მიმართულებით არსებული წარმატებები რომლებიც 1990-იანი წლების მდგომარეობასთან შედარებით გვაქვს, მაგრამ დღეს და მომავალში ასეთი მიღწევები სრულიად არაა დამაკმაყოფილებელია, იგი დარგში არსებულ პოტენციალს არასათანადო რაოდენობითა და ხარისხით იყენებს. საქართველოში საშუალო შემოსავლების მქონე ტურისტთა ჯგუფები ქართული ფირმების ტურ-პაკეტების ყიდვაზე თავს იკავებენ და საზღვარგარეთ (ძირითადად თურქეთში, ბულგარეთში, საბერძნეთსა და ეგვიპტეში) მიემართებიან. რანაკლებ მნიშვნელოვანია გვერდითი არაპირდაპირი უარყოფითი ეფექტები, რომელებიც ამ პროცესს თან ახლავს (მაგალითად, ქართული ვალუტის ლარის კურსის პერმანენტული დაქვეითების ხელშეწყობა). სამწუხაროდ ლარის კურსის დაქვეითებას ტურისტთა ნაკადების მკვეთრი ზრდა არ მოჰყვა, რაც პირდაპირ მიგვითითებს მომსახურების ძალზე დაბალ ხარისხზე.

შუალედურ მიზნებს შორის ტურისტული ინდუსტრიის განვითარება კავშირშია პირველადი მოხმარების პროდუქტების მწარმოებელ დარგებთან და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კვლევა, რომელიც ტურისტთა გამოკითხვის საფუძველზე ვანარმოვეთ გვიჩვენა, რომ მათ შორის უმრავლესობას სურდა საქართველოში მეტი ქართული წარმოების პროდუქტი შეეძინა, მაგრამ სამწუხაროდ არა მარტო ხარისხიანი პროდუქტებია დეფიციტი (ვგულისხმობთ ხარისხისა და ფასის შეუსაბამობას), არამედ თვით პროდუქტების ნაირსახეობაც არჩევანის საშუალებას არ გვაძლევს. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა გვაქვს სოციალური პროდუქტების წარმოებასთან დაკავშირებით. ჩამოთვლილი ხარვეზები ავლენს ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დეფიციტს, რომელიც გამომდინარეობს უპირველეს ყოვლისა საქართველოში ტურიზმის შესახებ მდგომარეობის ცოდნის დეფიციტისგან.

ტურიზმის პოლიტიკის ინდიკატორების მრავალგვარობასა და საიმედოობას (იგულისხმება ინფორმაციის საიმედოობა) უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეალური მდგომარეობის აღსაქმელად. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ მცირე მაგალითს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საქმიანობიდან. იდიკატორებს შორის არ გვაქვს და საერთოდ არ ვიკვლევთ ტურისტთა ჯგუფების დანახარჯებს ასაკობ-



რივი, შემოსავლების, რელიგიური, ექსტრემალთა, მოსწავლე ახალგაზრდობის, სტუდენტთა, ახალგაზრდა ოჯახებისა (მცირეწლოვანი ბავშვებით) და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან, უცხოური ვალუტის შემომტან, ტურისტთა ჯგუფების მოთხოვნისა და მისი დაკმაყოფილების დონეს.

სამწუხაროდ ინდიკატორებთან დაკავშირებით ძალზე მძიმე მდგომარეობა გვაქვს (სტატისტიკა მცირე რაოდენობის ინდიკატორებს ითვლის) და რაც შეეხება ინდიკატორულ მაჩვენებელთა საიმედოობას ეს კიდევ სხვა პრობლემებს ავლენს.

საქართველოში ტურიზმის დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოანგარიშება. ამ ინდექსის დადგენისათვის მაჩვენებლებისა და მახასიათებლების მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმს ანოდეხს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია (IFC), რომელიც წყაროდ იყენებს საერთაშორისო მონეტარული ფონდის მასალებს (IMF). ცხადია ეს მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებელია, რადგან ამ პროცესში ქართველი სპეციალისტებისა და ექსპერტების მონაწილეობა ერთობ შეზღუდულია

ტურიზმის პოლიტიკაში ჩვენს მიერ აღნიშნულ ხარვეზებს შორის ყველაზე დიდ პრობლემას ინსტრუმენტთა დეფიციტი წარმოადგენს. ამ მიმართულებით კვლევამ გამოავლინა სამართლებრივ-იურიდიული ველის სივნიროვე და საკანონმდებლო ბაზის სიმწირე. დღეს ტურიზმის დარგის რეგულირდება საქართველოს კანონები: “ტურიზმისა და კურორტების შესახებ” (1997) და “კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ” (1998). აღსანიშნავია, რომ ორივე კანონი ისე მოძველებულია, რომ აბსალუტურად ვერ პასუხობს თანამედრო მოთხოვნებს.

საქართველოში ტურიზმის პოლიტიკის ძირითადი გამტარებელია ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. ადმინისტრაციის 20-წლიანი არსებობის მიუხედავად ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული და მთავრობისთვის შეთავაზებული ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია, რომელიც ცხადია საქართველოში ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების კონცეფციასთან (რომელიც აგრეთვე არ არსებობს) შესაბამისობაში უნდა იყოს. ფიქრობთ ასეთ ვითარებაში დარგის განვითარებაზე მსჯელობა არარეალურია.

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდა და სახელმწიფოსა და კერძო სექტორებს შორის საზღვრების დადგენის საკითხი უაღრესად მწვავეა, რადგან სამართლებრივ-საკანონმდებლო ბაზა სუსტია და მწირი. ასეთი სიტუაცია წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტებს, რომლებიც ტურიზმის დარგის განვითარების პროცესებს აბრკოლებს (საგადასახადო პოლიტიკა, განათლების თანამედროვე სტანდარტებზე აღზრდილი ადამიანური რესურსი, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის არარსებობა, დარგის არასწორი სარეკლამო პოლიტიკა, ტურიზმის მონაწილეების დაუცველობა და ა.შ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოვადგენთ ქვეყანაში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩვენეული ხედვასა და სტრატეგიული მიმართულებებს (კვლევის მეთოდებად გამოყენებულ იქნა: სისტემური მიდგომა დარგის დღეს არსებული პოლიტიკის შეფასებისადმი, ინდექსისა და დედუქციის მეთოდები).

საქართველოში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობი ეკონომიკურ-პოლიტიკური ფაქტორებია: ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, პოლიტიკური სტაბილურობა, ისტორიული წინაპირობები, კულტურული და ბუნებრივი რესურსი, მთავრობის მიერ დარგის, როგორც ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულობის აღიარება.

საქართველოში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობელი ეკონომიკურ-პოლიტიკური ფაქტორებია: ქვეყნის ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ძირითადი ფაქტორების – განვითარების სტრატეგიის არარსებობა და საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება, საინვესტიციო ბაზის სიმწირე, ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ინდუსტრიის არამიზნობრივად განვითარების ტენდენცია, პროფესიული კადრების ნაკლებობა. ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, საქართველოს ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სექტორში არსებული ლიბერალიზაციის შენარჩუნებისა და ინვესტიციების მხარდაჭერაზე. მთავრობამ უნდა შეასრულოს წამყვანი როლი ტურიზმის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრაში, რომელშიც სრულად იქნება გათვალისწინებული ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და ორგანიზაციული ასპექტები.

ტურიზმის განვითარების პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის განვითარების პოლიტიკას. ამასთან, ეროვნული და რეგიონული ამოცანები უნდა დომინირებდეს და მას ექვემდებარებოდეს ლოკალური და სექტორული ინტერესები. ტურისტულ ინდუსტრიაში, განსა-

კუთრებით მნიშვნელოვანია ტურ-პროდუქტის ფასისა და ხარისხის ისეთი შეფარდება, რომელიც კონკურენტუნარიანს გახდის მას, უპირველეს ყოვლისა, შიდა ბაზარზე.

საქართველოს ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკას საფუძვლად უნდა დაედოს მდგრადი განვითარების კონცეფცია, რაც გულისხმობს ქვეყანაში არსებული ფაქტორული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებით ეკონომიკური ზრდის მიღწევას და ადგილობრივი ტურისტული რესურსების შენარჩუნება-განმტკიცებას. საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისათვის საჭიროა განვითარდეს ტურისტული პროდუქტის წარმოების ტექნოლოგია (მომსახურების სტანდარტები) და ტურისტული ინფრასტრუქტურა (სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, გზები, კომუნიკაციები, განთავსების საშუალებები, ტურისტულ მარშრუტებზე სველი წერტილები, პიქტოგრამები და ა.შ.).

ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა განხორციელდეს ქვეყნის ტურისტული შესაძლებლობების ფართო სარეკლამო კამპანია, რომელიც განაპირობებს, როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა ტურისტული ნაკადების ზრდას. ამასთან, სარეკლამო კამპანიის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს მსოფლიო ტენდენცია — ორიენტაცია არა მხოლოდ ტურისტთა რაოდენობის, არამედ მათგან მიღებულ შემოსავლების ზრდაზე. ისეთი მცირე ტერიტორიის და უნიკალური ბუნებრივი და კულტურული რესურსების მქონე სახელმწიფოსთვის, როგორც საქართველოა, პრიორიტეტულია არა ტურისტთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა, არამედ ტურისტთა გაზრდილი დანახარჯებით მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობა, ტურისტული პროდუქტის გამრავალფეროვნების, მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და სეზონური პერიოდის გახანგრძლივების საშუალებით. ტურისტული პროდუქტისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის წინ ნაწევის ღონისძიებებზე სახელმწიფოს მიერ დაბანდებული ინვესტიციები (საბიუჯეტო სახსრები) შედეგს მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში პერმანენტული დაბანდების პირობებში მოგვცემს. ასეთი სარეკლამო კამპანიის ეფექტიანობის ძირითადი მახასიათებლებია: ფოკუსირება ძირითად მიზნობრივ ბაზრებზე, რეკლამირებაში ინვესტიციების მოცულობასა და ხანგრძლივობაზე. სარეკლამო კამპანია უნდა მიმდინარეობდეს არა მხოლოდ ტურიზმიდან შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებით, არამედ შემოსავლების ზრდის ტემპის შესანარჩუნებლად.

საქართველოს ტურიზმის განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ქვეყანაში შიდა ტურიზმის განვითარება, რადგან იგი ინვესტს ქვეყნის შიგნით ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებას შემოსავლების გადანაწილებას, საგამხდლო ბალანსის გაუმჯობესებას და ხელს უწყობს რეგიონების ეკონომიკური დონის გამოთანაბრებას; მაღალმთიანი რეგიონების ტურისტული პოტენციალის შენარჩუნებას; ქმნის წინაპირობას, საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთი მიმართულების, შემოყვანის ტურიზმის (მომსახურების ექსპორტი) შესაბამისი რესურსებისა და მომსახურების სტანდარტების განვითარებისათვის. ამავე დროს ტურისტულ სანარმოებს ექმნებათ რეინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობა, რაც გეგმაზომიერად განავითარებს შესაბამის ინფრასტრუქტურას და ამაღლებს მომსახურების დონეს; მოქმედებაში მოვა, როგორც უცხოური, ასევე შიდა ინვესტიციები. ეს იქნება ბუნებრივი და მდგრადი სვლა ტურიზმის განვითარების ერთი ეტაპიდან მეორეზე.

გარემოსთან დაკავშირებით, ტურიზმის განვითარების სწორმა სტრატეგიამ ქვეყნის რეგიონებში უნდა უზრუნველყოს გაცილებით უვნებელი ეკოლოგიური ეფექტი, ვიდრე ეკონომიკის რომელიმე სხვა დარგმა, რადგან ტურიზმის ინტერესების სფეროში შედის გარემოს დაცვა. ტურიზმის დადებითი ეკოლოგიური ეფექტის მისაღებად კი საჭიროა დარგის განვითარების სტრატეგიის ზედმიწევნით სწორად დაგეგმვა, კონტროლი და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება, როგორც გადაწყვეტილების, ისე ფინანსური სარგებლის მიღების პროცესში.

ტურიზმის განვითარების სტრატეგია ორიენტირებული უნდა იყოს ტურიზმის განათლების სისტემის სახელმწიფო რეგულირებასა და ინოვაციების ხელშეწყობაზე. განვითარებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა ქვეყანაში შესაძლებელია მხოლოდ მაღალი დონის სამეცნიერო პოტენციალისა და სახელმწიფოს მხარდაჭერის პირობებში. სწორედ ასეთი გარემო მოგვცემს საშუალებას ზუსტად ჩამოყალიბდეს დარგის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგია ნებისმიერი შემაფერხებელი ფაქტორებისა და მოსალოდნელი კრიზისული სიტუაციების გათვალისწინებით. ტურიზმის განვითარების სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს დარგის განვითარების სწორი ხედვა, ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვა და სხვა მიმართულებები; აუცილებელია აგრეთვე, სოციალური პასუხისმგებ-

ლობის - მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების მაქსიმალური გათვალისწინება, რათა ტურიზმში, როგორც დარგთაშორისი კომპლექსი, რეალურად გახდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ფაქტორი.

ტურიზმის განვითარების პოლიტიკის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს დარგის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისი ჰარმონიზაცია. ტურიზმის განვითარების საკანონმდებლო საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ახალი „საქართველოს კანონი ტურიზმის შესახებ“, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს დარგში გასატარებელი სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებს, მიმართულს საქართველოს ერთიანი ტურისტული ბაზრის სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბებისათვის და არეგულირებდეს ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა ქვეყნის მოქალაქეების, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების დასვენებისა და მოგზაურობის განხორციელების პროცესში, თავისუფალი გადაადგილებისა და სხვა უფლებების რეალიზაციისას; ადგენდეს ტურისტთა დაზღვევისა და უსაფრთხოდ მოგზაურობის პირობებს; ტურისტული პროდუქტის ფორმირებისა და რეალიზაციის წესებს; განსაზღვრავდეს საქართველოს ტურისტული რესურსების რაციონალური გამოყენების წესს; ახდენდეს ტურისტული საწარმოებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირებას; ხელს უწყობდეს ტურისტულ საქმიანობას და ქმნიდეს ხელსაყრელ პირობებს მისი განვითარებისთვის; განსაზღვრავდეს და მხარს უჭერდეს ტურიზმის პრიორიტეტულ მიმართულებებს; აყალიბებდეს შეხედულებას საქართველოზე, როგორც ტურიზმისათვის მიმზიდველ ქვეყანაზე; ახორციელებდეს ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი ტურისტული საქმიანობის მონაწილეებისა და მათი გაერთიანებების მხარდაჭერასა და დაცვას.

საქართველოსათვის ტურიზმის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ სახელმწიფოსა და ერის ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების პოპულარიზაციისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში ტურიზმის დარგის მდგრადი განვითარებისათვის საჭიროა დაკონკრეტებული სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება ამ დარგის დაგეგმვის ინოვაციურ მეთოდებს, განვითარებულ ინფრასტრუქტურასა და საერ-

თაშორისო სტანდარტებზე აღზრდილ პროფესიულ კადრებს.

### დასკვნები და წინადადებები:

საქართველოში ტურიზმის პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციის - სსიპ – ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ქვეყანაში სწორი პოლიტიკის განხორციელების პირველი რიგის ამოცანებს უნდა წარმოადგენდეს:

1. ტურიზმის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისი ჰარმონიზაცია. დღეს ტურიზმის დარგი რეგულირდება საქართველოს კანონებით: „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“ და „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“. პირველი ორი კანონი იმდენად მოძველებულია, რომ საჭიროებს განახლებას და გაერთიანებას;

2. ტურიზმის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება შემადგენელი ფაქტორებისა და კრიზისული სიტუაციების გათვალისწინებით;

3. ტურიზმის განვითარების სტრატეგიის მიზანმიმართულად განხორციელებისთვის სამოქმედო გეგმის მომზადება და განხორციელება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- საქართველოს რეგიონებში ტურიზმის მიმართულებების განვითარების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა ტურიზმის რეგიონული მართვის სამსახურებისა და ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებთან ერთად რეგიონების თავისებურებებისა და ევროპული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით;
- ტურისტული პროდუქტის წარმოების ტექნოლოგიის (მომსახურების სტანდარტების) და ინფრასტრუქტურის (სატრანსპორტო ინდუსტრიის, გზების, კომუნიკაციების, განთავსების საშუალებების, ტურისტულ მარშრუტებზე სველი წერტილების, პიქტოგრამებისა და ა.შ.) განვითარების ხელშეწყობა;
- შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა: ა) ადგილობრივი მოსახლეობისათვის ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების წარმოების სტიმულირება (კრედიტები, გრანტები, ტრენინგები); ბ) ქვეყნის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ტურისტული პროდუქტის შემუშავების სტიმულირება და დანეგვა;
- საქართველოს, როგორც ახალი, ტურიზმისთვის სასურველი დანიშნულების პუნ-

- ქტის იდენტიფიცირება მსოფლიოს ტურისტულ ბაზრებზე ტურისტული პროდუქტის რეკლამითა და წინ წაწევის ღონისძიებებით;
- ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციით, მარკეტინგული ღონისძიებებითა და სარეკლამო აქტივობებით: საქართველოს ტურისტული პოტენციალისა და არსებული ტურისტული პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მომზადებითა და მიწოდებით; ინფორმაციის ეფექტურად მიწოდების მიზნით ინტერნეტ-სივრცეში საძიებო სისტემის დახვეწითა და პრიორიტეტულ ბაზრებზე ვებ-მარკეტინგის კამპანიის წარმოებით; საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა ქვეყნების წამყვანი მას-მედიის საშუალებებისა და მსხვილი ტურ-ოპერატორებისათვის პრესა და გაცნობითი ტურების ორგანიზებით; ტურისტული ნაკადების გაზრდის მიზნით საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის პოზიციონირებით მეზობელ და მსოფლიოს სხვა პრიორიტეტულ ტურისტულ ბაზრებზე;
  - საქართველოში კავკასიის ტურიზმის რეგიონულ ცენტრად ჩამოყალიბების ხელშეწყობა ტურიზმის პიორიტეტული მიმართულებების განვითარების სტიმულირების ღონისძიებებით (MICE ტურიზმი, საკურორტო ტურიზმი, ეკოტურიზმი და სხვა);
  - ტურიზმის საგანმანათლებლო სისტემაში ევროპული სტანდარტების დანერგვა (აკადემიურ და პროფესიულ დონეებზე) უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ ტურიზმის მიმართულებებსა და პროფესიულ კოლეჯებთან ურთიერთკავშირში;
  - ტურისტთა უსაფრთხოების ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა (შესაბამისი პროექტების მომზადებითა და განხორციელებით);
  - ტურიზმიდან ბიუჯეტში შემოსავლების დათვლის უახლესი მეთოდის შემუშავება და სტატისტიკური მონაცემთა ბაზის შექმნა (საქსტანდარტთან და შესაბამის სამსახურებთან ერთად);
  - ტურისტული ინფრასტრუქტურის (განსაკუთრებით რეგიონებში) ახალი ერთეულების შექმნის, არსებულების განახლებისა და წარმატებულად ფუნქციონირების სტიმულირება (სხვადასხვა მიზნობრივი პროექტებით, კონსულტაციებითა და ტრენინგების ორგანიზებით).
  - გარემოს, კულტურის, უსაფრთხოების, განათლებისა და ტურიზმთან დაკავშირებული დარგების განვითარებისა და მათთან დაკავ-

შირებული მომსახურების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან, სამეცნიერო და აკადემიურ ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ზემოაღნიშნულის შესასრულებლად, სსიპ – ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, როგორც ქვეყანაში შემოსავლებისა და დასაქმების შესაძლებლობების ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის განვითარება, მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში, დაკავშირებული უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიასთან და ეფუძნებოდეს ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების კონცეფციას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეტრეველი, მ. (2011), ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, ფავორიტი პრინტი, თბილისი, საქართველო
2. მეტრეველი, მ. (2012), გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი, ფავორიტი პრინტი, თბილისი, საქართველო
3. გველესიანი, რ., გოგორიშვილი ი. (2010), ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი II, უნივერსალი, თბილისი, საქართველო
4. Bull, A. (1995). *The Economics of Travel and Tourism*, Harlow: Longman
5. Cooper, C., & Gilbert. D. (2005). „*Tourism – Principles and Practice*“, London
6. Dann, G. (1981). *Tourists motivation: an appraisal*, Annals of Tourism Research, London
7. Metreveli, M., & Timothy, D. (2010). *Religious heritage and emerging tourism in the Republic of Georgia*, Journal of Heritage Tourism
8. Metreveli, M., & Timothy, D. (2010). *Effects of the August 2008 War in Georgia on Tourism and Its Resources*, Book-“Tourism, Progress and Peace”, chapter 9. Edited by I Kelly, University of Western Australia, Australia, O Moufakkir, Stenden University, Netherlands.
9. Sinklair, M., T. & Stabler M. (1997). *The Economics of Tourism*, London
10. *Georgian Tourism in Figures (2015). Structure & Industry Data*
11. *UNWTO World Tourism Barometer (2015)*
12. *The Travel & Tourism Competitiveness Report (2014)*. World Economic Forum
13. <http://wttc-infographic.org/>
14. [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/bop/FTrade\\_January\\_%20March\\_2014\\_GEO.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FTrade_January_%20March_2014_GEO.pdf)
15. <http://www.GNTA.ge>
16. [http://www3.weforum.org/docs/WEF\\_TT\\_Competitiveness\\_Report\\_2013.pdf](http://www3.weforum.org/docs/WEF_TT_Competitiveness_Report_2013.pdf)

# აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის ძირითადი ფაქტორები

პაატა კოლუაშვილი — სტუ-ს პროფესორი  
გიორგი ზიბზიბაძე — სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

## რეზიუმე

თუ რა მნიშვნელობას იძენს სწორი თანმიმდევრული აგრარული პოლიტიკის შემუშავება, ამაზე ნათლად მეტყველებს ევროკავშირის გამოცდილება, რომელმაც მოკლე დროში მოახერხა დასახული მიზნების უმეტესობის რეალიზაცია აგროსასურსათო სექტორში. ევროგაერთიანება გადაიქცა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მთავარი იმპორტიორიდან, მეორე უდიდეს ექსპორტიორად მსოფლიოში.

ავტორის აზრით, დღეს, საკამათო ის კი არ უნდა იყოს, თუ რამდენი ეთანხმება ან არ ეთანხმება სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის იდეას, არამედ ის, თუ რამდენად ობიექტურადაა არგუმენტირებული ასეთი დახმარების საჭიროება.

ევროკავშირის დღევანდელი აგრარული პოლიტიკა წარმოადგენს ერთგვარ ეტალონს გაერთიანების არანევი ქვეყნებისთვის და მადენად, მისი გათვალისწინება მნიშვნელოვნად გამოადგება ჩვენს ქვეყანასაც, რომელსაც უკვე გაკეთებული აქვს არჩევანი ევროკავშირში გასაწევრიანებლად.

## Basic Factors of Agriculture Policy Realization

Paata Koguashvili  
Giorgi Zibzibadze

### Summary

What is important for a consistent agricultural policy, clear indication of the EU's experience, having managed in a short time to realize the objectives of the most of the agricultural sector. European Union became the main importer of agricultural products, the second largest exporter in the world.

According to the author, the controversy should not be, how much state support to agriculture agrees or disagrees with the idea, but how objectively reasonable need for such assistance.

The EU's agricultural policy is a kind of etalon for non-member states of the Union, thus considering above will be very useful for our country as we have made the choice to join the European Union.

მატერიალური წარმოების სხვა დარგებთან (მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და ა.შ.) ერთად სოფლის მეურნეობა ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ორგანული ნაწილია. განუსაზღვრელია სოფლის მეურნეობის როლი ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის, საგადაამხდლო ბალანსის გაუმჯობესებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების დონესა და ტემპებზე არსებითადაა დამოკიდებული ტექნიკურ-ტექნოლოგიურად და სანარმოო-ეკონომიკურად მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების განვითარების ტემპები და პროპორციები. ამის დასტურია ის, რომ სოფლის მეურნეობაში შექმნილი პროდუქციისა და ნედლეულის საშუალოდ 50-60 პროცენტი ნორმალურ ვითარებაში კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის, აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის სანარმოებს მიეწოდება გადამამუშავებისა და მზა პროდუქციის წარმოებისათვის.

სოფლის მეურნეობაში მოხმარებული რესურსების 60-65 პროცენტი სამრეწველო წარმოებისაა. გაანგარიშებულია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ერთი პროცენტული მუხლით გაზრდა იწვევს ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 2-3 პროცენტით გაზრდას, დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას და ა.შ.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებასთან ერთად, როგორც წესი, უმჯობესდება მოსახლეობის კვების სტრუქტურა და ხარისხი, მცირდება იმპორტული სურსათის მოცულობა, რაც, დადებითად აისახება საგადაამხდლო ბალანსის დეფიციტის შემცირებაზე და ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებაზე.

სოფლის მეურნეობის ძირითადი ამოცანა საკვებ პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება და ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფაა. მისი რეალიზაცია სოფლის მეურნეობის ორივე ძირითადი დარგის – მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების დონესა და ტემპებზეა დამოკიდებული.

ეროვნულ მეურნეობაში გამორჩეული ადგილის გათვალისწინებით, საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წლებში შემუშავდა აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, რომლის მიხედვით აგროსასურსათო სექტორის ამოცანად ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა და სასურსათო დამოუკიდებლობის განმტკიცება დაისახა, სასურსათო პოტენციალის სრულად ამოქმედებისა და ეფექტურად გამოყენების საფუძველზე.

სამწუხაროდ, აგრარული პოლიტიკის კონცეფციით განსაზღვრული ძირითადი ამოცანების შესრულება საქართველოში შესაბამისი პოლიტიკური ნების უქონლობისა თუ ეკონომიკური კურსისადმი მათი შეუსაბამობის გამო, ვერ მოხერხდა.

ქართული სოფელი წინა წლებში გატარებული არასწორი სოციალურ-ეკონომიკური (მ.შ. აგრარული) პოლიტიკის გამო უაღრესად დაკნინებულია. ასეთ პირობებში აგროსექტორის კრიზისიდან გამოსვლა და შემდგომი განვითარება შესაბამისი დაცვითი მექანიზმებისა და გარედან დახმარების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

სოფლად მოსახლეობის რეალური დასაქმებისა და შედარებით მოკლე დროში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სათანადო დონის მიღწევა მხოლოდ სისტემური ცვლილებებითა და კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსების სამეწარმეო აქტივობის ამაღლებაა. უნდა გვესმოდეს, რომ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების უძირითადესი პროდუქტია ჯანმრთელი, მაღალკვალიფიციური, სოციალურად და გონებრივად განვითარებული ადამიანი. იგი ქვეყნისთვის არანაკლებ დიდი განძია, ვიდრე ეკოლოგიურად სუფთა გარემო და მსოფლიოში რეალიზებადი პროდუქცია. ამიტომაც **სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა არის, სხვა ყველა ამოცანასთან ერთად (მინასთან მარადიული ურთიერთობა, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სოფლის ტერიტორიული განვითარება და სხვ.), სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მოფრთხილებისა და საზოგადოების გამოსაკვებად მათი შრომის სტიმულირების პოლიტიკა.** ასეა ჯანსაღ ქვეყნებში — ნაკლებ განვითარებულიდან დაწყებული და ყველაზე განვითარებული დემოკრატიებით დამთავრებული. რადგან მათ იციან, რომ ნააგებს ყველა, ვისაც არასწორი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა აქვს.

საქართველოს, პირველ ყოვლისა, განსასაზღვრეო აქვს ძირითადი მიზანი და ამოცანა სოფლის მეურნეობის სფეროში, რომელიც, ჩვე-

ნი აზრით, შეიძლება იყოს ორი მიმართულებისა: პირველი, სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის, შენარჩუნება განვითარება (ამ ამოცანაში შედის კულტურული და ველური ლანდშაფტების დაცვა) და მეორე, სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფელი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება.

ეს ამოცანა, თავისთავად, რა თქმა უნდა, არ შესრულდება. ამ მიზნით საჭიროა პრინციპულად ახალი აგრარული პოლიტიკის შემუშავება (რომელიც მოიცავს სისტემას, სტრუქტურას, ხედვას, სტრატეგიას, ტაქტიკას, კადრების ნებას, კადრების სწავლებას) და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის სრულყოფა, **რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა იმ პრობლემის მოგვარება, რომელიც საბოლოო ანგარიშით, სოფლად სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასა და აგრარული შრომის მოტივაციის ამაღლებას უკავშირდება.**

ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად, საჭიროა შემუშავდეს და ამოქმედდეს სოფლის განვითარების პოლიტიკაც. სოფლის ტერიტორიული განვითარება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოფლის მეურნეობის განვითარება. **სოფელი პირველ ყოვლისა არის სახლობის ერთეული და არა მეურნეობისა.** სოფლის განვითარების პოლიტიკის ერთერთი მთავარი მიზანია სოფლის მოსახლეობის ყოფითი სტატუსის მიახლოებით გათანაბრება ქალაქის მოსახლეობისასთან (ანუ სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება), რასაც სოფლად ადამიანური რესურსების შენარჩუნებისთვის და ამგვარად, სოფლის მეურნეობისა და აგროსასურსათო წარმოების განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა დიდადაა დამოკიდებული მინის რესურსების ეფექტიან მართვასთან და მის რაციონალურ გამოყენებასთან. შახელმწიფო პოლიტიკა უდავოდ უნდა უზრუნველყოფდეს მინის ეფექტურ გამოყენებას, თუმცა ეს მიღწეული უნდა იყოს არა მესაკუთრეობაზე შეზღუდვებით, არამედ მინათსარგებლობის მონიტორინგის საშუალებით, რისთვისაც შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებები იქნება საჭირო, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მინათსარგებლობის მონაცემთა განახლებადი ბაზის შექმნას, ასევე მინათსარგებლობის მონიტორინგის ეფექტური სისტემის ფუნქციონირებას.

მინათსარგებლობის განვითარების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მინის კონსოლიდაცია, რომელიც ერთ-ერთი პრიორიტეტული

საკითხია როგორც ევროკავშირის ძველი და ახალი წევრებისთვის, ასევე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის. საქართველოში მინის კონსოლიდაციის არავითარი გამოცდილება არ არეობს (მინის კონსოლიდაცია განიხილება, როგორც მრავალსექტორული მიდგომა სასოფლო ტერიტორიებზე მინის მართვის გაუმჯობესებისათვის, სადაც ადგილობრივი თემების მონაწილეობა მინის კონსოლიდაციის სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა), რაც ამ მიმართულებით მოქმედების არანაირ შესაძლებლობას არ იძლევა. გამოცდილების შესაგროვებლად აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდეს მინის კონსოლიდაციის საპილოტე პროექტი, რომლის გამოცდილების ბაზაზე უნდა შეიქმნას შესაბამისი კანონმდებლობა და სახელმწიფო პროგრამა.

სოფლის სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ შრომითი რესურსების სამენარმეო გააქტიურება ყველაზე კარგად სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებითაა შესაძლებელი. ეს პროცესი ყველგან სახელმწიფოს აქტიური მათხრობით, მათხრობით და ხელშეწყობით წარმართა.

სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას, ავტომატურად მოსდევს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება. ესაა ცნების „ჯანსაღი საშუალო ფენა“ რეალური შინაარსი.

საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარება შექმნილ ვითარებაში ობიექტურად საჭიროებს ისეთი ეროვნული სტრატეგიის შემუშავება-რეალიზებას, რომელშიც ასახული იქნება უახლოესი წლების (3-5 წ.) ამოცანები (დაქუცმაცებული სანარმოო ბაზის გაერთიანება – მინის კონსოლიდაცია, სოფლად კოოპერაციული მოძრაობის სტიმულირება, კონკურენტუნარიანი, სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგების მაღალი ტემპებით განვითარება) და მათი განხორციელების საშუალებები საქართველოს საშუალო და გრძელვადიანი (10-15წ.) მიზნების გათვალისწინებით (ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და აგრარული კრიზისის დაძლევა, სასურსათის ექსპორტის გაფართოება და სურსათის იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლება).

სწორი სტრატეგიის შემუშავება მხოლოდ ყოველმხრივ გააზრებული აგრარული პოლიტიკის საფუძველზეა შესაძლებელი, რომლის

ფორმირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აგრარულ სექტორში სახელმწიფოს ჩარევის დონის განსაზღვრას, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია სოფლის მეურნეობის, ასევე მოცემული ქვეყნის აგროწარმოების თავისებურებებით, აგრარულ მეურნეობაში არსებული მდგომარეობით, მოსახლეობის მენტალიტეტით.

აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის ჩამოთვლილი ამოცანების გადამწყვეტა საჭიროებს:

- 1) სურსათით თვითუზრუნველყოფის აუცილებელი დონის მიღწევას;
- 2) სასურსათო ბაზრის სტაბილურობის შენარჩუნებას პროდუქციის მიწოდების რეგულირების გზით;
- 3) სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლების სტაბილურ ზრდას;
- 4) სამამულო საქონელმწარმოებელთა ინტერესების დაცვას საგარეო ბაზრის ნეგატიური ზემოქმედებისგან;
- 5) სოფლის განვითარებას და ამ ტერიტორიებზე (განსაკუთრებით მთასა და მთისწინეთში) ადამიანური კაპიტალის შენარჩუნებას;
- 6) სანარმოო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინფრასტრუქტურის ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს სოფლად საქონელმწარმოებელს საჭირო შემოსავლებით და ცხოვრების მისაღები დონით;
- 7) სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ დარგებში სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით საინვესტიციო პროცესების გააქტიურებას, ინოვაციური და მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევების დაჩქარებულ დანერგვას;
- 8) საგარეო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებას;
- 9) წარმოების ორგანიზაციის, მართვისა და რეალური პროგნოზირების ოპტიმალური კურსის შემუშავებასა და რეალიზაციას;
- 10) საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის სახელმწიფო გარანტიების შექმნას.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი აგრარული პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციას, ნათლად ცხადყოფს ევროკავშირის გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ, ბიუჯეტის მოცულობის თვალსაზრისით, ევროგაერთიანების ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო პოლიტიკა ყველაზე ძვირადღირებულია სხვა მიმართულებებთან შედარებით. ამის რეალური შედეგია ის, რომ გაერთიანების ფარგლებში 50-ზე მეტი წლის განმავლობაში გან-

ხორციელებულმა თანმიმდევრულმა აგრარულმა პოლიტიკამ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მთავარი იმპორტიორი მეორე უდიდეს ექსპორტიორად გადააქცია მსოფლიოში (ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ).

ევროგაერთიანების ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო პოლიტიკის შემუშავების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ჯერ კიდევ რომის ხელშეკრულებით (1962 წ.), რომლის მიზნები შემდეგნაირად განისაზღვრა:

- ხელი შეეწყოს ტექნიკურ პროგრესს და ამგვარად, ამალდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა და უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის წარმოების რაციონალური განვითარება, რეზერვებისა და განსაკუთრებით სამუშაო ძალის ოპტიმალური გამოყენება;
- სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შესაბამისი ანაზღაურებით უზრუნველყოფა;
- ბაზრის სტაბილიზაცია;
- სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგების უზრუნველყოფა;
- სოფლის მეურნეობის პროდუქტების მისაღები ფასებით მომხმარებლის უზრუნველყოფა.

ევროგაერთიანების არსებობის ხუთი ათეული წლის მანძილზე, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო პოლიტიკის რეალიზაციის შედეგად, მოხერხდა დასახული მიზნების უმრავლესობის მიღწევა. აღსანიშნავია, რომ ფერმერების შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა და რიგ ქვეყნებში კიდევ გადააჭარბა არასასოფლო სექტორებიდან მიღებულ შემოსავლებს. გადაუჭრელი დარჩა მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების ფასების დარეგულირებისა და რესურსების ეფექტური გამოყენების საკითხი.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ევროგაერთიანების სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო პოლიტიკა ორიენტირებულია:

- შიგა და გარე ბაზრებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდაზე;
- სასოფლო-სამეურნეო სანარმოთა (ფერმერულ მეურნეობათა) სათანადო შემოსავლებით უზრუნველყოფაზე;
- ფერმერებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე, დამატებით დასაქმებასა და შემოსავლების სხვა წყაროებით უზრუნველყოფაზე;

- ახალი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების განვითარების პოლიტიკის შემუშავებაზე;
- სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ფარგლებში უფრო მეტი სტრუქტურული და გარემოდაცვითი ღონისძიებების გატარებაზე;
- სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე;
- სოფლის მეურნეობის კანონმდებლობის გამარტივებასა და მისი გამოყენების დეცენტრალიზაციაზე.

ბოლო პერიოდის ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა შემდეგ მიზნებს ისახავს:

1. სურსათის სტაბილურ მონოდებას მისაღებ ფასად;
2. ფერმერებისთვის ღირსეული ცხოვრების სტანდარტის უზრუნველყოფას;
3. სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის ზრდას, ტექნიკური პროგრესის გზით;
4. აგროწარმოების რაციონალური სისტემის განვითარებას, რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზით;

ეს ფუნდამენტური ამოცანები ესადაგება როგორც საქართველოს, ისე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, რომელთა შემთხვევაშიც მათ აგრარულ პოლიტიკას უნდა დაუმატოს ორი სპეციფიკური მიზანი:

1. სასურსათო თვითუზრუნველყოფა;
2. სიღატაკის დაძლევა სასოფლო ტერიტორიებზე.

სურსათზე მოთხოვნილების პროგნოზის თანახმად, თუ უახლოეს სამ ათწლეულში მისი წარმოება არ გაორმაგდება, მსოფლიო მძიმე სასურსათო კრიზისში აღმოჩნდება. მაღალი აგროპოტენციალის მქონე ქვეყნებს, სურსათის წარმოებაზე თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება. ამგვარი პასუხისმგებლობა აქვს საქართველოსაც, რომელსაც რაციონალური აგარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში შეუძლია გამოკვებოს არათუ ქვეყანაში დღეს არსებული მოსახლეობა, არამედ 10-12 მილიონი ადამიანი.

**დასასრულ.** ევროკავშირის დღევანდელი აგარული პოლიტიკა წარმოადგენს ერთგვარ ეტალონს გაერთიანების არანეკრო ქვეყნებისათვის და ამდენად, მისი გათვალისწინება მნიშვნელოვნად გამოადგება ჩვენს ქვეყანასაც, რომელსაც უკვე გაკეთებული აქვს არჩევანი ევროკავშირში გასანევრიანებლად. საქართველოს უდავოდ აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი პოტენციალი, რომლის ამოქმედება უნდა გახდეს, უნდა გახდეს, მისი აგარული პოლიტიკის უმთავრესი მიზანი.



## სასურსათო უსაფრთხოება და აბროსასურსათო პოლიტიკა

პაატა კოლუაშვილი — სტუ-ს პროფესორი  
თენგიზ ლაჭყვიანი — სტუ-ს პროფესორი

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია სახელმწიფო აგროსასურსათო პოლიტიკის პრიორიტეტები, აგროსასურსათო სექტორის მხარდაჭერისა და მაკროეკონომიკური რეგულირებისათვის წარმოების მოცულობათა კვოტირების სისტემა, აღნიშნულია, რომ მსოფლიო მასშტაბით სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის შეზღუდვა უარყოფითად იმოქმედებს საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოებაზე, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მსოფლიო სოფლის მეურნეობის სანარმოო პოტენციალს, პროდუქციის მოცულობებს და გაზრდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასებს.

სახელმწიფოს აგროსასურსათო პოლიტიკის პრიორიტეტების განხილვისას აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს მის ისეთ უმნიშვნელოვანეს მხარეებზე, როგორცაა სასურსათო, აგრარული და საგარეო-სავაჭრო ასპექტები.

აგროსასურსათო პოლიტიკის პრიორიტეტთა ანალიზისას ამოსავალს წარმოადგენს მისი სასურსათო ასპექტი, რამდენადაც ეს უკანასკნელი რაოდენობრივად ასახავს აგროსასურსათო პოლიტიკის გენერალური მიზნის — სასურსათო უსაფრთხოების მიღწეულ დონეს, განსაზღვრავს ქვეყნის შიგა ბაზარზე საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნის ფიზიოლოგიურ და გადახდისუნარიან საზღვრებს. ამიტომ იგი ხასიათდება მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმის, მოხმარების დამკვიდრებული სტრუქტურის, სურსათით ქვეყნის საერთო უზრუნველყოფისა და თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლებით.

აგრარული ასპექტი განსაზღვრავს ქვეყნის აგროსასურსათო პოტენციალს (სურსათის მიღების უნარს), ახასიათებს წარმოების ფაქტობრივ მდგომარეობას და მოიცავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორცაა სავარგულების პროდუქტიულობა, შრომის მწარმოებლურობა, კულტურათა მოსავლიანობა, პირუტყვის პროდუქტიულობა, პროდუქციის საქონლურობა, წარმოების რენტაბელობა, შრომის ანაზღაურება, სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა, სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა ხელფასისა და

ქვეყანაში საშუალო ხელფასის დონეთა თანაფარდობა.

აგროსასურსათო პოლიტიკის საგარეო-სავაჭრო ასპექტი ასახავს მსოფლიო და შიდა სასურსათო ბაზრების ურთიერთკავშირს და ხასიათდება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით: იმპორტისაგან დამოკიდებულება თითოეული პროდუქტის მიხედვით; კვების პროდუქტების შემოტანისა და გატანის ბალანსი; სურსათის შიდა და მსოფლიო ფასების დონეთა თანაფარდობა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციითა და სურსათით მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის გამო სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისათვის, ან სურსათის იმპორტის შეზღუდვასთან დაკავშირებით საბოლოო მომხმარებლებისათვის მოსალოდნელი ზარალის შეფასება; სასურსათო საქონლით უზრუნველყოფა რეგიონების, ქვეყნების მიხედვით და მთელ მსოფლიოში; ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სურსათის სხვადასხვა სახეებზე.

როგორც ვხედავთ, აგროსასურსათო პოლიტიკის აგრარულ ასპექტს მიკუთვნებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს წარმოადგენს სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის სიდიდე.<sup>15</sup>

აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფო-ებრივი მხარდაჭერისა და მაკროეკონომიკური რეგულირების აუცილებლობა ნაკარნახევია მთელი რიგი ფაქტორებით. საქმე იმაშია, რომ მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო (სასურსათო) პროდუქციაზე შედარებით დაბალელასტიკურია: აღნიშნულ პროდუქციაზე ფასების მომატებისას მოსახლეობა მაინც სტაბილურად შეიძენს და მოიხმარს კვების აუცილებელ პროდუქტებს, მათზე ფიზიოლოგიური მოთხოვნის გამო. მასთან, მოსახლეობას კიდევაც რომ გაეზარდოს

<sup>15</sup> არსებული მონაცემებით, სოფლის საქონელმწარმოებლებისადმი სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის ყველაზე დაბალი დონეა ახალ ზელანდიაში (3%), ავსტრალიაში (10%), აშშ-ში (21%) და კანადაში (27%), მით უფრო, რომ ეს ქვეყნები ხასიათდებიან მკვეთრად გამოხატული საექსპორტო ორიენტაციით. სოფლის საქონელმწარმოებლები ყველაზე მეტ ფინანსურ მხარდაჭერას ლეზულობენ შვეიციაში (82%), ნორვეგიაში (75%) და იაპონიაში (74%), ე.ი. ქვეყნებში, რომლებიც იმყოფებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძლიერების უცუდეს ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში და ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ საკუთარი წარმოების ხარჯზე [2 გვ. 65].

შემოსავლები ან სურსათზე ფასები დაეცეს, მოთხოვნა ადექვატურად არ გაიზრდება, რადგან აქ, გარდა ეკონომიკური ფაქტორისა, მოქმედებს ბუნებრივ-ფიზიოლოგიური ფაქტორიც, რომელიც არსებითად ზღუდავს მოთხოვნას და, შესაბამისად, მოხმარებას.

ზემოაღნიშნულ და სხვა თავისებურებათა გამო, აგროსასურსათო სექტორი პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში სახელმწიფოს ეკონომიკური მხარდაჭერის ობიექტია. გასული საუკუნის 90-იან წლებში აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერა მომხმარებლებს (გადასახადის გადამხდელებს) მსოფლიოში ყოველწლიურად საშუალოდ 350 მლრდ დოლარი უჯდებოდათ.

აგროსასურსათო სექტორის მხარდაჭერისა და მაკროეკონომიკური რეგულირებისათვის გამოიყენება წარმოების მოცულობათა კვოტირების სისტემა (განსაკუთრებით, ევროკავშირის ქვეყნებში), მინის სავარგულების დროებითი გამოყვანა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან (განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში), სასოფლო-სამეურნეო ნედლეულია და სურსათის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, საქონელმწარმოებელთა პირდაპირი სუბსიდირება ფასების მეშვეობით, საგარეო ვაჭრობის რეგულირება (იმპორტზე ან ექსპორტზე ტარიფის აწვეით/ან დაწვეით), სოფლის მეურნეობის მომსახურე დარგების სუბსიდირება, სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელება, სასოფლო დასახლებებში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ.

აგროსასურსათო პოლიტიკის განხორციელებაზე სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ძირითად მიმართულებას ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში წარმოადგენს საბაზრო ფასების მხარდაჭერა (75-80%). სოფლის საქონელმწარმოებლებისათვის პირდაპირი გადასახდელები შეადგენს სოფლის მეურნეობის დაფინანსების მთლიანი მოცულობის 18-20%-ს, ფინანსური მხარდაჭერის სხვა ფორმები კი — 15-20%-ს.

პროდუქციის სახეების მიხედვით, სახელმწიფოს დანახარჯების ძირითადი ნაწილი მოდის აგრეთვე ფასების მხარდაჭერის სისტემაზე.

აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის რაოდენობისა და ხარისხის გასაზომად სხვადასხვა მეთოდებს მიმართავენ. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მხარდაჭერა უნდა გაიზომოს აგროსასურსათო სექტორის მიმართ სახელმწიფოს მიერ განუხლები ფაქტიური ხარჯების მიხედვით, მაგრამ, მე-

ცნიერთა მეორე ნაწილის სამართლიანი მტკიცებით, ბიუჯეტიდან განუხლები სოლიდური დახმარება არ ნიშნავს პროდუქციის მწარმოებლებისათვის რეალურ დახმარებას, თუ იმავედროულად სახელმწიფო აწესებს აკრძალვებს ან შეზღუდვებს ქვეყნის გარეთ პროდუქციის გატანაზე (ექსპორტზე).

ამდენად, სახელმწიფოს მიერ აგროსასურსათო სექტორის მხარდაჭერის რაოდენობრივი აღრიცხვისა და ეფექტიანობის შეფასებისათვის საჭიროა არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობათა დადგენა, არამედ ყველა სხვა ღონისძიების ეკონომიკური შეფასება, რომლებიც ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის დაცვას უკავშირდება. ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერის ამა თუ იმ ღონისძიების შერჩევას, უპირველეს ყოვლისა, აანალიზებენ ქვეყნის შიგა და გარე ბაზრებზე არსებულ ფასებს.

ადგილობრივი ფასების სიდიდის ობიექტურობის დასადაგენად მას, მსოფლიო ფასებს უდარებენ და იმის მიხედვით, თუ როგორია შეფარდება მათ შორის, აკეთებენ დასკვნას.

რაც შეეხება იმ შემთხვევას (ანუ, როცა ადგილობრივ და მსოფლიო ფასს შორის შეფარდება ერთის ტოლია), იგი აჩვენებს, რომ სახელმწიფო ახორციელებს ნეიტრალურ პოლიტიკას. რაც მეტადაცა შეფარდების მაჩვენებელი გადახრილი ერთიდან, მით მაღალია სახელმწიფოს მონაწილეობა ცალკეული პროდუქტის თუ დარგის მხარდაჭერასა და რეგულირებაში.

აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერის ზომა და ხარისხი სხვადასხვაგვარია მსოფლიოს ქვეყნებში ცალკეული ქვეყნები გამოირჩევა ამ მიმართულებით ლიბერალური პოლიტიკის გატარებით (მაგალითად, ახალი ზელანდია), ზოგი

ქვეყანა კი მხარდაჭერის მეტად მაღალი დონით გამოირჩევა (მაგალითად, იაპონია). თუმცა, ასეთი პოლიტიკა მუდმივი არაა და ის თითოეულ ქვეყანაში იცვლება შიგა თუ გარე ფაქტორების ზემოქმედებით [3, გვ. 202].

წარმოების ნომინალური სახელმწიფოებრივი ფინანსური მხარდაჭერის კოეფიციენტი (CNS) წარმოადგენს რაოდენობრივი შეფასების სპეციალურ ფორმას, რომლის საფუძველზეც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა მსოფლიო სასურსათო ბაზრისაგან ამა თუ იმ ქვეყნის იზოლაციის ხარისხის შესახებ; რაც უფრო მაღალია კოეფიციენტი, მით მეტია იზოლაციის ხარისხი.

მთლიანად ეთგო-ს ნევრი ქვეყნების მიხედვით, 1990 წლიდან მოყოლებული, ჩმ შეესაბამება 1,7 მნიშვნელობას, რაც რამდენადმე აჭარბებს 1986-1988 წლების დონეს. ეს იმას ნიშნავს, რომ შიდა ფასების დონე საშუალოდ ეთგო-ს მიხედვით 1,7-ჯერ აჭარბებს მსოფლიო დონეს. პროდუქციის სახეებიდან ყველაზე მეტი ფინანსური მხარდაჭერა და მსოფლიო ბაზრისაგან დაცვის ხარისხი გააჩნია ბრინჯს (6,9) და რძეს (2,5), ყველაზე ნაკლები — მატყლს (1,5) ქათმის ხორცსა და კვერცხს (1,3) [5, გვ. 80].

აგროსასურსათო სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირება და მხარდაჭერა დღევანდელ მსოფლიოში ცალკე აღებული რომელიმე ქვეყნის პრობლემა და საზრუნავი არაა. მსაერთაშორისო პრობლემის დარეგულირებას მიეძღვნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) ე.წ. “ურუგვაისრაუნდი.” ქვეყნებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ დაკუმენტს, ივალდებულეს არ გაზარდონ აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერის მოცულობა, პირიქით, შეამცირონ ის. ამ მხრივ, განვითარებული ქვეყნებისათვის, ვიდრე განვითარებადისათვის. განვითარებულ ქვეყნებს, დაწყებული 1995 წლიდან, წლის განმავლობაში უნდა შეემცირებინათ აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერის მოცულობა 20%-ით, ხოლო განვითარებად ქვეყნებში კი – 10 წლის განმავლობაში 13 %-ით.

ამასთან დაკავშირებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდა შესაძლებელი იქნება ძირითადად იმ ქვეყნებში, რომელთაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის აქვთ ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობები. მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების უმრავლესობის სოფლის მეურნეობა ძირითადად დაზარალდება ფინანსური მხარდაჭერის შემცირებასთან დაკავშირებით.

მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარებას ისიც შეუწყობს ხელს, რომ ტრადიციულად სოფლის მეურნეობის ფინანსური უზრუნველყოფა მაღალი იყო არაკეთილსასურველი ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობების მქონე ქვეყნებში<sup>16</sup> და ზემოაღნიშნული

<sup>16</sup> აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკის აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ყველა ფორმა ეთგო-ს ნევრ ქვეყნებში ერთ სრულად დასაქმებულ ფერმერზე (არანაკლებ 2,2 ათასი საათი სეზონში) წელიწადში საშუალოდ შეფასებული იყო 11-14 ათასი დოლარით. ამასთან, ცალკეული ქვეყნების მიხედვით ეს მონაცემი ვარირებად 2-3 ათასი დოლარიდან – შვეიცარიაში, 33 ათას დოლარამდე – ნორვეგიაში. ვროკავშირის ნევრ ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოდ 8-10

პროცენტული შემცირება მათთვის უფრო მნიშვნელოვანი თანხებით აისახება. მაშასადამე, ურუგვაის შეხვედრის ფონზე განსაკუთრებით დაზარალდება იმ ქვეყნების სოფლის მეურნეობა, რომელნიც მანამ სოლიდური ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობდნენ.

პრობლემის აღნიშნული ამ ანალიზის დროს მიზანშეწონილია ცალკეულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით გამოანგარიშებული ფინანსური დახმარების მაჩვენებელთა ურთიერთშედარება. მაგალითად, ავსტრალიაში, სადაც ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე დახმარების ოდენობა 3 დოლარს შეადგენს, სოფლის მეურნეობას ბევრი არაფერი დააკლდება, თუკი ეს თანხა, ურუგვაიაში მიღებული გადანყვეტილების შესაბამისად, 36%-ით შემცირდება. სამაგიეროდ, სახელმწიფო ფინანსური დახმარების ანალოგიური პროცენტული განაკვეთით შეკვეცა საკმაოდ სოლიდურ თანხას დააკლებს ზოგიერთი ქვეყნის სოფლის მეურნეობას.

მსოფლიო მასშტაბით სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შეზღუდვა უარყოფითად იმოქმედებს მსაერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოებაზე, რამდენადაც ასეთი პროცესების განვითარება, ჯერ ერთი, მნიშვნელოვნად შეამცირებს მსოფლიოს სოფლის მეურნეობის სანარმოო პოტენციალს, რაც დასცემს წარმოებული სასურსათო პროდუქციის მოცულობებს; და მეორე, საგრძნობლად (საშუალოდ 8%-ით) გაზრდის ფასებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, რაც შეამცირებს მასზე ხელმისაწვდომობას.

ზოგადად თუ ვიტყვით, მარტოოდენ ეროვნული აგროსასურსათო სექტორის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა გატარება ვერ წყვეტს ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის სურსათზე ხელმისაწვდომობის პრობლემას.

თეორიულად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფები, თავიანთი ექსკლუზიური პროდუქტების საგარეო ბაზარზე გატანით, ეუფლებიან გარკვეულ საშუალებებს და ახდენენ სურსათის იმპორტს, რომელიც მოსახლეობის ძირითადი ნაწილის დაბალი შემოსავლების გამო, ვერ სარგებლობს სათანადო მოთხოვნით შიდა ბაზარზე. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებს, რომლებიც

ათას დოლარს შეადგენდა, ხოლო აშშ-ში – 20-27 ათას დოლარს. ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გადანგარიშებით, სახელმწიფოს ფინანსური დახმარება ეთგო-ს ნევრ ქვეყნებში აღნიშნულ პერიოდში საშუალოდ შეადგენდა 140-160 დოლარს [2, გვ. 67].

ქრონიკულად აწყდებიან შიმშილის პრობლემას, აქვთ ეროვნული ეკონომიკის სხვაგვარი სტრუქტურა, რომელშიც აბსოლუტურად ჭარბობს აგრარული სექტორი. ამიტომ ამგვარი ქვეყნებისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა იმავდროულად ნიშნავს მაკროეკონომიკური დინამიკის გაუმჯობესებასაც, მოსახლეობის შემოსავლების დონის ამაღლებასაც და, შესაბამისად, ერის კვების ხარისხის გაუმჯობესებასაც.

ცხადია, რომ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა სრულიად სხვადასხვაგვარად დგას და წყდება განვითარებული და განვითარებადი ეკონომიკების პირობებში. 1940-იან წლებში -ს მიერ ფორმულირებული სასურსათო უსაფრთხოების კონცეფცია კარგად ესადაგებოდა, უწინარეს ყოვლისა, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის პირობებს. დღეისათვის კი მის გამოყენებას თითქმის უცვლელი ფორმით ცდილობენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების და, მათ შორის, საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის მიმართაც, რაც, ვფიქრობთ, გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს.

აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ უკანასკნელ პერიოდში ტრანზიტულ (გარდამავალ) პირობებში მყოფ პრაქტიკულად ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში მოხდა საბაზისო კვების პროდუქტების მოხმარებისა და კვების დღე-ღამური რაციონის კალორიულობის მკვეთრი დაცემა.

ეს ხდებოდა იმ ცნობილი მიზეზით, რომ სურსათის ფასების რეალურ (წონასწორობით) დონესთან შედარებით ბევრად უფრო დაბალ დონეზე დაფიქსირებისა და კვების პროდუქტების მოხმარების, განსაკუთრებით ე.წ. სოციალურად მნიშვნელოვანი (უფრო ზუსტად „პოლიტიკური“) პროდუქტების (ხორცისა და რძის) მოხმარების სუბსიდირების გზით შენარჩუნებული იყო მოსახლეობის ხელოვნურად აწეული მოთხოვნა. მაშინ, როდესაც ხორცისა და რძის პროდუქტების მოხმარება ფაქტობრივად არცერთ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში არ შეესაბამებოდა ეროვნული ეკონომიკის განვითარების რეალურ დონეს.<sup>17</sup>

<sup>17</sup> საგულისხმოა, რომ აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკონომიკური გამოკვლევების სამსახურის ბოლოდროინდელი გაანგარიშებების თანახმად, მტკიცე კავშირი ფიქსირდება ხორცის პროდუქტების სულადობრივ მოხმარებასა და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის დონეს შორის. გამონაკლისს შეადგენენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, რომლებშიც ხორცის პროდუქტების მოხმარების უკანასკნელ პერიოდამდე არსებული მაღალი დონე არ შეესაბამებოდა მათს საერთო ეკონომიკურ განვითარებას [2, გვ. 72].

აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ ქვეყნებში მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის დაცემის შესაბამისად დაიწყო ეკონომიკის აგროსასურსათო სექტორის დაქვეითება. ამდენად, აგროსასურსათო სექტორის დაცემა, რამაც აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში თითქმის 70 პროცენტს მიაღწია, — მეორადი, წარმოებული მოვლენაა მოსახლეობის მოთხოვნის დაცემასთან მიმართებით.

ამრიგად, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო სასურსათო ბაზრის ლიბერალიზების ვითარებაში, უმთავრესია ქვეყნის საერთო მაკროეკონომიკური განვითარება და, როგორც ლოგიკური შედეგი, — მოსახლეობის რეალური შემოსავლებისა და, შესაბამისად, სურსათზე ხელმისაწვდომობის ზრდა. სწორედ ხელმისაწვდომობის ზრდა უნდა გახდეს ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც მთავარ ფუნქციას იტვირთებს ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველომ, როგორც მსო-ს წევრმა სახელმწიფომ, საჭიროა, სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მსგავსად, სრულადგაითვალისწინოს ზემოთაღნიშნული ვითარება და რეკომენდაციები, ეროვნული აგრარული პოლიტიკის გადასინჯვისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკანონმდებლო ბაზის შემუშავებისას. ამასთან, მან მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს კვების პროდუქტების წარმოების ზრდისა და სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის ამაღლების ყველა საკუთარი შესაძლებლობა და რეზერვი.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოლუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. თბილისი, 2004, 280გვ.
2. ვანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი: საზოგადოება ცოდნა, 2003, 305გვ.
3. კოლუაშვილი პ., გიორგაძე ჰ., რამიშვილი ბ. საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა სასურსათო პრობლემის მოგვარებაში. - ჟურნალი, „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 9-10, 43-46გვ.
4. Руцкой А. Радугин Н. Продовольственная безопасность: зарубежный опыт. ж. „АПК экономика управление“, М. 1997, №2, С. 7-14.

# რენტაბელური საოჯახო მეურნეობები – საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და განვითარების უტყუარი გზა

შოთა ყიზილაშვილი — სტუ-ს პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი  
კონსტანტინე ყიზილაშვილი — სტუ-ს ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

## რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში „რენტაბელური საოჯახო მეურნეობები — საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების და აღორძინების უტყუარი გზა“ განხილულია საქართველოში სოფლის მეურნეობის ამჟამინდელი მდგომარეობა, მის განვითარებასა და აღორძინებაზე რენტაბელური საოჯახო მეურნეობების გავლენის საკითხები.

საქართველოს ამჟამინდელი სოფლის მეურნეობა ძალზე მძიმე მდგომარეობაშია, მცირდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონე, მოსახლეობის სურსათით და სამრეწველო ნედლეულით უზრუნველყოფა.

სტატიის ავტორთა კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინების ერთ ერთი სწორი გზა არის, თანდათანობით მზარდი რენტაბელური საოჯახო მეურნეობების შექმნა. ასეთი მეურნეობების შექმნა მაშინაა შესაძლებელი, როცა კერძო მეურნეები თავიანთ მეურნეობებში წარმოებულ ნამეტ და ნამატ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს მთლიანად გაყიდონ და შემოსულ ფულად სახსრებს მეურნეობის უკეთ მოწყობაში და განვითარებაში გამოიყენებენ. სტატიის ავტორებს ამ პრობლემების გადაწყვეტის გზად მიაჩნიათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა.

**საკვანძო სიტყვები:** სოფლის მეურნეობა, რენტაბელური საოჯახო მეურნეობები, წარმოების დონე.

## Резюме

В представленной статье „Рентабельные семейные хозяйства- верный путь развития и возрождения сельского хозяйства Грузии“ рассмотрено сегодняшнее состояние сельского хозяйства в Грузии и обсуждаются вопросы влияния рентабельных семейных хозяйств на его развитие.

Нынешнее грузинское сельское хозяйство находится в очень тяжелом состоянии; уменьшается уровень производства сельско-хозяйственных продуктов, обеспечение населения продуктами и производственным сырьем.

В результате исследования авторов статьи установлено, что единственный верный путь возрождения сельского хозяйства Грузии состоит в создании постепенно растущих рентабельных семейных хозяйств. Создание таких хозяйств возможно лишь в том случае, если частные предприниматели будут продавать излишки производимых в своем хозяйстве продуктов, а вырученные деньги используют для улучшения и развития своего хозяйства. Авторы статьи считают, что путь решения проблем- это создание государственных структур для закупки продуктов сельского хозяйства.

**Ключевые слова:** сельское хозяйство, Рентабельные семейные хозяйства, уровень производства.

მსოფლიო რუკაზე ალბათ, ნაკლებად მოიძებნება საქართველოს მსგავსი მაღლიანი ბუნებრივ-კლიმატური პირობების მქონე ქვეყანა, სადაც ტერიტორიის მრავალფეროვანი ექსპოზიციის რელიეფისა და მდიდარი ნიადაგების მეობებით შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყოს სოფლის მეურნეობის მრავალნაირი კულტურის განვითარება და ბუნებრივი სათიბ-საძოვრების სიუხვით მეცხოველეობის მძლავრი საკვები ბაზის შექმნა. ამიტომ, საქართველო ისტორიულად ჩამოყალიბებული, თანაბარზომიერად მაღალგანვითარებული, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ქვეყანა იყო თავისი რეგიონებითა და კუთხე-კუნჭულებით, ბუნებრივი თუ ეკონომიკური პირობებით, შრომითი ჩვევებით, სანარმოო ტრადიციებით. სწორედ სასურველმა ბუნებრივმა პირობებმა და საუკეთესო გონივრულმა შრომითმა ჩვევებმა ქართველ ხალხს იმის საშუალება მისცეს, რომ საუკუნეების მანძილზე გამოეყვანა ხორბლისა და სხვა მარცვლოვანი და პარკოსანი, ვაზის, ხეხილის თუ სხვა კულტურების, ძროხის,

ცხვრის, თხის, ღორის, კამეჩის, ცხენის, ფუტკრის, ფრინველის მრავალი უნიკალური ჯიშის და ამის საფუძველზე განვითარებინა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა.

ქართული, ეროვნულ-ტრადიციული თანაბარზომიერი მაღალგანვითარებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის არსებობის პერიოდში ქართველ ხალხს ყოველთვის ჰქონდა თავისთვის სამყოფი და ნამეტი სურსათ-სანოვაგე. მაგალითად, საქართველოდან 1885 წელს ბათუმის და ფოთის ნავსადგურებიდან საზღვარგარეთ გატანილ იქნა 6207,0 ათასი ფუთი სიმინდი – 60,0 მილიონი მანეთის.

ასეთ ქვეყანაში დღეს სოფლის მეურნეობა უაღრესად მძიმე მდგომარეობაშია, მცირდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონე, მოსახლეობის სურსათით და მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფა, რის გამოც გვიხდება ყოველწლიურად სხვა ქვეყნებიდან სასურსათო და საფურაჟე მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულ-ბაზრეულის, ხორცის, კარაქის, მცენარეული ზეთის, შაქრის და სხვა პროდუქტების დაახლოებით ოთხმოც პროცენტზე მეტის შემოტანა. მაგალითად, საქართველოში 2011 წელს უცხოეთიდან შემოტანილი 184,2 მლნ დოლარის ღირებულების ხორბალი (მაშინ, როდესაც ქვეყანაში გვაქვს ხორბლის ბელელი – შირაქი), 89,7 მლნ დოლარის შაქარი (მაშინ, როდესაც ქვეყანაში გვაქვს შაქრის უნიკალური ნედლეულის შაქრის ჭარხლის ბელელი – შიდა ქართლი), საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები 929,4 მლნ დოლარის. წარმოვიდგინოთ ამ უზარმაზარი ფულადი სახსრების თუნდაც მცირე ნაწილის გამოყენება ამ სფეროში რა სიკეთეს მოგვცემდა. ამიტომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება ყოველმხრივ გააზრებულ, გონივრულ და ახლებურ მიდგომას მოითხოვს, რათა განვითარდეს საქართველოსათვის დამახასიათებელი მაღალგანვითარებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, რაც მყარი საფუძველი იქნება იმისა, რომ მთლიანად გადაიჭრას საქართველოს მოსახლეობის და ტურისტების საკუთარი რესურსების ხარჯზე სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარების საფუძვლად მიჩნეული იყო საქართველოში 1992 წელს ჩატარებული მინის რეფორმა – არსებული სიციალისტური სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაშლისა და პრივატიზაციის გზით მინის კერძო საკუთ-

რებაში გადაცემა. ყოველი ეკონომიკური რეფორმა ქვეყნის აღმშენებლობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების მიხედვით უნდა ხორციელდებოდეს, მაგრამ საქართველოში აგრარული რეფორმა მისთვის წინასწარ საჭირო და აუცილებელი წინაპირობების გაუთვალისწინებლად ჩატარდა. მიტომ ამ აქტს ხალხისთვის არსებითად სიკეთე არ მოუტანია, გარდა მინის კერძო მფლობელობაში მიღებისა.

მინის რეფორმის შედეგად საქართველოში კერძო საკუთრებაში გადასულია 949,0 ათასი ჰექტარი მინა. აქედან 769,0 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულია, მათ შორის სახნავი – 442,0 ათასი ჰექტარი, მრავალწლიანი ნარგავები – 180,0 ათასი ჰექტარი, სათიბი – 43,0 ათასი ჰექტარი, საძოვარი – 84,0 ათასი ჰექტარი. მილიონზე მეტმა მოსახლემ მინა კერძო საკუთრებაში მიიღო უფასოდ, გრძელდება საოჯახო და გაუცემელი მინის ფართობების განკერძოება. საქართველოში 2 მილიონამდე მცხოვრებია მინის მესაკუთრე.

მინის გამოყენების არსებული ფორმების – კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების რეორგანიზაცია-დაშლის შედეგად სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მინის ფართობების ზომები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ათი 40%-მდე იყენებს 0,5 ჰექტრამდე მინას; 0,5 ჰექტრიდან 1 ჰექტრამდე – 30% 1 ჰექტრიდან 5 ჰექტრამდე – 30% 5 ჰექტრიდან 50 ჰექტრამდე – 14% 50 ჰექტრიდან 200 ჰექტრამდე – 0,16%; 200 ჰექტრიდან 500 ჰექტრამდე – 0,03%; 50 ჰექტრარზე ზევით – 0,001%. შაშუალოდ ერთი მეურნეობის მინის ფართობი 4-5 ნაკვეთისაგან შედგება.

როგორც ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, მინის რეფორმის შედეგად ქვეყნის მასშტაბით 70 %-ია იმ მიწათმოსარგებლეთა რიცხვი, რომელთა საკუთრებაშია 0,5 ჰექტრამდე მინა. ამიტომ ასეთ დაქუცმაცებულ მცირე ზომის ნაკვეთებზე ძნელი გახდა მაღალინტენსიური და ეფექტიანი მეურნეობების შექმნა. შწორედ მცირე ზომის არარენტაბელური მეურნეობების არსებობის შედეგია ის, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე კი არ იზრდება, არამედ თანდათანობით მცირდება. მაგალითად, 2005 და 2012 წლებში საკუთრების ყველა ფორმის მეურნეობებში მემცენარეობის პროდუქტების წარმოება (ათ. ტონობით) ასეთია: ხორბალი 190,1 და 95,8 (შემცირდა 93,3 ათ. ტონით); სიმინდი – 421,3 და 169,6 (შემცირდა 141,7 ათ.ტონით); კარტოფი-

ლი - 432,2 და 273,9 (შემცირდა 158,3 ათ ტონით); ბოსტნეული - 436,4 და 185,8 (შემცირდა 250,6 ათ ტონით); ბალჩეული - 119,6 და 42,8 (ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი - 22,8 და 2,9 (შემცირდა 19,9 ათ.ტონით) და ა. შ. საკუთრების ყველა ფორმის მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ამავე წლებში შეადგენდა: ხორცის დაკლული წონით - 104,7 ათას და 19,3 ათას ტონას (შემცირდა 55,4 ათ ტონით); რძე - 755,7 და 582,1 ათასი ტონა (შემცირდა 173,6 ათ. ტონით); კვერცხი -504,6 და 483,1 მლნ. ცალი (შემცირდა 21,5 მლნ ცალით); მატყლი - 2,2 და 1,7 ათასი ტონა (შემცირდა 0,5 ათ. ტონით).

საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციიდან ოჯახურ მეურნეობებზე მოდიოდა ხორბლის 90,0%, სიმინდის - 98% კარტოფილის - 98, ბოსტნეულის - 100, ბალჩეულის - 100, ხილის - 99, ყურძნის -94, ციტრუსების -100, ჩაის ხარისხოვანი ფოთლის -55, ხორცის -94, რძის - 99, კვერცხის - 37, მატყლის - 100 % და ა.შ

ჩვენს მიერ საოჯახო მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ქვეყანაში ოთხმოც პროცენტზე მეტი კერძო მეურნეები სხვადასხვა მიზეზების (მცირე რაოდენობის სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ბაზრის სიშორე, პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო სტრუქტურების არარსებობა, ფულადი სახსრების არქონა და სხვა) გამო, თავიანთ მეურნეობებში წარმოებულ ნამეტ და ნამატ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ვერ ყიდვიან, მაშინ როდესაც ეს პროდუქტები არის მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო. ამიტომ კერძო მეურნეების უმეტესობა თავიანთ მეურნეობებში აწარმოებენ მხოლოდ იმ რაოდენობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, რომელიც თავიანთი ოჯახის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის არის საჭირო. ბუნებრივია, ასეთ პირობებში სოფლის მეურნეობის აღორძინებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი მძიმე დეგრადაციის დროულად გამოსწორების და მისი შემდგომი ნორმალური განვითარება-აღორძინებისათვის

ერთადერთი სწორი გზა არის, თანდათანობით მზარდი რენტაბელური მეურნეობების შექმნა. ასეთი მეურნეობების შექმნა მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა კერძო მეურნეები თავიანთ მეურნეობებში წარმოებულ ნამეტ და ნამატ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს მთლიანად გაყიდვიან და შემოსულ ფულად სახსრებს მეურნეობების უკეთ მოწყობაში და განვითარებაში გამოიყენებენ.

ჩვენი აზრით, რადგანაც კერძო მეურნეები ვერ ახერხებენ თავიანთ მეურნეობებში წარმოებული ნამეტ და ნამატი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვა-რეალიზაციას, ამიტომ ამ პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური გზა არის სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა და მათ მიერ ამ პროდუქტების გარანტირებული ფასებით შესყიდვა. ამ შემთხვევაში კერძო მეურნეებს საშუალება ექნებათ, მათ მიერ წარმოებული ნამეტი და ნამატი სოფლის მეურნეობის პროდუქტები მთლიანად გაყიდონ და მიღებული ფულადი სახსრებით თანდათანობით თავიანთი მეურნეობები გააფართოვონ და რენტაბელური მეურნეობები შექმნან.

რენტაბელური საოჯახო მეურნეობების თანდათანობითი შექმნა არის საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარების უტყუარი გზა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ყიზილაშვილი შ. ყიზილაშვილი კ. ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები საქართველოში. ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“, 2008წ. 6, გვ. 61-63.
2. ყიზილაშვილი კ. ქართული ტრადიციები - საქართველოში ტურიზმის განვითარების ფენომენი. ჟურნ. ეკონომიკა, 2008, 11-12, გვ.148-150
3. ყიზილაშვილი შ. ყიზილაშვილი კ. სარწყავი მიწათმოქმედება - საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინების მაგისტრალური მიმართულება. ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“ 3, 2012წ. გვ.12

## მოსახლეობის ტურისტული აქტიურობის კვლევა

**ნარგიზა ქარქაშაძე** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
**ნათელა ვაშაკიძე** — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

### რეზიუმე

სტატიაში „მოსახლეობის ტურისტული აქტიურობის კვლევა“ მოცემულია ტურიზმის მნიშვნელობისა და როლის შესახებ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. ასევე ნათლადაა წარმოდგენილი ტურისტების შემოდინების სტატისტიკური მონაცემები, საიდანაც ჩანს თუ როგორ იცვლება ტურისტების შემოდინება. გაანალიზებულია შედეგები და მოცემულია ფაქტორები და ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლის ტურიზმის განვითარებას საქართველოში. ამასთან მოცემულია შემდეგი რჩევები, რომელთა გათვალისწინებით მკვეთრად გაიზრდება ტურისტების შემოდინება, რაც აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე:

- გაზარდოს საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის ცნობადობა საერთაშორისო ბაზარზე;
- უზრუნველყოს ქვეყანაში როგორც შემოყვანის, ისე შიდა ტურიზმის განვითარების სტიმულირება;
- ხელი შეუწყოს ტურიზმის ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას;
- გაზარდოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე;
- უზრუნველყოს უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაცია და ძლიერი ბრენდის ჩამოყალიბება.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი, ტურისტული ინფრასტრუქტურა, საერთაშორისო ტურიზმი, საერთაშორისო ვიზიტორები, შიდა ტურიზმი, კონკურენტუნარიანობა, ფასები, ხარისხი.

### Резюме

В статье «Исследование туристической активности населения» даны значение и роль туризма в развитии экономики Грузии. Также ясно представлены статистические данные притока туристов, откуда видно как меняется приток туристов. Проанализированы результаты и даны факторы и недостатки, которые мешают развитию туризма в Грузии. Вместе с этим даны следующие советы, с

учётом которых четко возрастает приток туристов, что отразится на экономическом положении страны:

- увеличить узнаваемость Грузии, как туристической страны на международном рынке;
- обеспечить в стране как приток, так и стимулирование развития внутреннего туризма;
- способствовать созданию благоприятной среды для бизнеса туризма;
- увеличить конкурентоспособность страны на международном туристическом рынке;
- обеспечить популяризацию имиджа безопасной страны и формирование сильного бренда.

ტურიზმი საზოგადოებრივ ცნობიერებაში წარმოიშვა ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტის დროიდან და XX საუკუნის 50-იან წლებში იყო პრივილეგია განსაკუთრებით მდიდარი ადამიანების. გარდამტეხი მომენტი დადგა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში. ტურისტული მომსახურების შეთავაზებების გაზრდამ ტურიზმი გახდა ხელმისაწვდომი არა მხოლოდ მდიდარი ადამიანებისათვის, არამედ თანამედროვე ადამიანებისთვისაც. როგორც ბიზნესის მრავალსახეობა ტურიზმი საქართველოში განვითარდა XX საუკუნის 80-იან წლებიდან. საქართველოში ეკონომიკის განვითარებისათვის ერთ-ერთი წამყვანი დარგი ტურიზმია. ასევე არავინ დავობს იმაზეც, რომ ამ სფეროს განვითარებას ხელს შეუწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის მონაცემები. თურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ, დღეისათვის, ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით საქართველო მზად არის „MICE“ ტურიზმის მამულებზე ღონისძიებებს უმასპინძლოს. მათი თქმით, აღნიშნული ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები და მომსახურების ხარისხი ძირითადად საერთაშორისო ბრენდების ოპერატორებს გააჩნიათ.

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის შემდეგ ქართველებისათვის მისაწვდომი იყო კურორტები არა მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში, არამედ უცხოეთის ქვეყნებში. თუ 1950 წელს საერთაშორისო ტუ-



რიზში ჩართული იყო 25 მლნ ადამიანი, 2008 წელს მათმა რაოდენობამ 1 მლრდ ადამიანს მი-აღწია. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მნი-შვნელოვნად იქონია გავლენა ტურისტული მო-გზაურობების ზრდის დინამიკაზე, 2009 წელს ის შემცირდა 4,3%-ით-880 მლნ ადამიანით.

2010 წელს დაიწყო მსოფლიო ტურიზმის თანდათანობითი ზრდა (4%-ით 2009 წელთან შედარებით), ხოლო 2011 – 12 წლის მონაცე-მების კი ასეთია (იხ.ცხრილი 1).

ცხრილ 2-ში ნაჩვენებია 2013 წლის იანვარი-სექტემბერის მონაცემები ძირითადი ვიზიტორი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, თურქეთიდან, პოლონეთიდან და რუსეთიდან შემოსულ საერთაშორისო ვიზიტორებში ტუ-რისტების წილის შესახებ მაჩვენებლები ეყრდ-ნობა GNIA-ის გამოკითხვის შედეგებს (სხვა ქვეყნების მონაცემები შერჩევის ზომის შეზღუ-დულობის გამო არ არის საკმარისად საიმედო). ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს არამოსაზღვრე ქვეყნებიდან შემოსულ საერთა-შორისო ვიზიტორებში ტურისტების წილი მა-ღალია – პოლონეთი (99.3%) და უკრაინა (88.9%), მაშინ როცა ანალოგიური მაჩვენებელი მოსაზღვრე ქვეყნებიდან საკმაოდ დაბალია და მერყეობს 53.4%-დან (თურქეთი) 64,1%-მდე (რუსეთი).

**ცხრილი 1.**

|  | 2010      | 2011                        | 2012                        |
|--|-----------|-----------------------------|-----------------------------|
| საერთაშორისო მოგზაურები                  | 2,031,707 | 2,822,363<br>(ზრდა 38.92%-) | 4,428,221<br>(ზრდა 56.90%-) |
| ტურისტები                                | 1,076,810 | 1,326,511<br>(ზრდა 23.19%-) | 1,771,288<br>(ზრდა 33.53%-) |
| ტურისტების წილი საერთაშორისო მოგზაურებში | 53%       | 47%                         | 40%                         |

წყარო: <http://www.iset.ge/blog/?p=2544>

საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ 2013 წლის ჯამური მონაცემებით 5,392,303 შე-ადგინა, რაც 22%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს (4,428,221). 2014 წლის იანვარ-ივლისში საქართველოში სულ 2 913 618, ანუ დაახლოებით 3 მილიონამდე, სტუმარი შემოვი-და. პირველ ხუთეულში არიან: თურქეთი, აზერ-ბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი და უკრაინა. მიუ-ხედავად იმისა, რომ ამ სიაში ძირითადად უშუალო სამეზობლო შედის, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ აღმოსავლეთ ევ-როპის ქვეყნებიდან საქართველოსადმი ტუ-

რისტული ინტერესი მნიშვნელოვნად იზრდება. კერძოდ, ყველაზე მეტად ლიტვიდან შემოსულ სტუმართა რაოდენობა გაიზარდა, ასევე 46%-ით გაიზარდა პოლონეთიდან შემოსული ვიზი-ტორების რიცხვი. აქვე აღსანიშნავია, რომ ყვე-ლაზე მეტად იკლო უზბეკეთიდან, ირანიდან და თურქეთიდან შემოსულ სტუმართა რაოდენო-ბამ. ვიზიტორთა უმეტესობა საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტით შემოვიდა, მხოლოდ 12% შემოვიდა საჰაერო გზით.

2015 წლის მონაცემების მიხედვით შედეგები ასეთია:

- o მოგზაურთა რაოდენობა: 3 070 378
- o საქართველოს გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან: 2 927 695
- o მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან: 4.9%

ტოპ 5 ქვეყნებში ჩამოსვლების რაოდენო-ბის: თურქეთი (757 331), აზერბაიჯანი (741 163), სომხეთი (723 909), რუსეთი (482 806), უკრაინა (74 117). 2014 წლის იანვარ-ივლისში საქართველოში სულ 2 913 618, ანუ დაახ-ლოებით 3 მილიონამდე, სტუმარი შემოვიდა. პირველ ხუთეულში არიან: თურქეთი, აზერბაი-ჯანი, სომხეთი, რუსეთი და უკრაინა (იხ. ცხრი-ლი 3 და დიაგრამა 2.).

**ცხრილი 2.**

| ქვეყანა     | ტურისტები | საერთაშორისო ვიზიტორები | ტური-ტების წილი |
|-------------|-----------|-------------------------|-----------------|
| თურქეთი     | 655,979   | 1,228,407               | 53,4%           |
| აზერბაიჯანი | 424,583   | 784,085                 | 54,3%           |
| სომხეთი     | 543,176   | 864,217                 | 62,9%           |
| რუსეთი      | 412,803   | 643,621                 | 64,1%           |
| უკრაინა     | 108,425   | 121,960                 | 88,9%           |
| პოლონეთი    | 59,479    | 59,906                  | 99,3%           |

წყარო: <http://www.iset.ge/blog/?p=2544>

**ცხრილი 3.**

| ტოპ ხუთეული-ქვეყანა | 2014 - შემომავალი | 2015- შემომავალი | პროცენტული ცვლილება |
|---------------------|-------------------|------------------|---------------------|
| თურქეთი             | 798 513           | 757 331          | -5.16%              |
| აზერბაიჯანი         | 683 921           | 741 163          | 8.37%               |
| სომხეთი             | 648 871           | 723 909          | 11.56%              |
| რუსეთი              | 430 434           | 482 806          | 12.17%              |
| უკრაინა             | 80 583            | 74 117           | -8.02%              |
| სხვა                | 285 373           | 291 052          | 1.99%               |
| სულ                 | 2 927 695         | 3 070 378        | 4.87%               |

წყარო: <http://www.radiotavisupleba.ge/content/turizmis-statistika/26572032>

- საქართველომ პირველ კვარტალში 986 366 საერთაშორისო მოგზაური მიიღო, რაც 2%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.
- სტატისტიკურად საქართველოში შემოსული მოგზაურების უდიდესი წილი ზაფხულის სეზონზე აღინიშნება.
- საზღვრის კვეთის მონაცემების მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე 24 საათი და მეტი დროით ქვეყანაში საერთაშორისო მოგზაურების 35% დარჩა, რაც ტურისტების ნაწილს წარმოადგენს. დამატებით ხდება 24 საათზე ნაკლები პერიოდით ჩამოსულთა და ტრანზიტულ ვიზიტორთა დათვლა. მათი წილი შესაბამისად 44% და 21% შეადგენს.

**საერთაშორისო შემოსვლები  
2015 წლის I კვარტალი**


**ცხრილი 4.**

| თვე       | 2014   | 2015   | ცვლილება % |
|-----------|--------|--------|------------|
| იანვარი   | 320005 | 309467 | -3%        |
| თებერვალი | 295434 | 290929 | -2%        |
| მარტი     | 394884 | 385970 | -2%        |

**ცხრილი 5.**

| ვიზიტის ტიპი     | 2014 (I კვარტ) | 2015 (I კვარტ) | ცვლილება % | წილი |
|------------------|----------------|----------------|------------|------|
| 24 საათი და მეტი | 376615         | 348770         | -7%        | 35%  |
| ტრანზიტი         | 176737         | 203841         | 15%        | 21%  |
| ერთდღიანი ვიზიტი | 456971         | 433755         | -5,1%      | 41%  |
| სულ              | 1010323        | 986366         | -2%        | 100% |

**საერთაშორისო მოგზაურობების სტატისტიკა  
(2005-2015 წლის I კვარტალი)  
დიაგრამა 1.**



საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულმა 2013 წლის პერიოდის კვლევამ აჩვენა, რომ მთლიანი საერთაშორისო მოგზაურების 61%-ი ტურისტია. აზერბაიჯანი ლიდერობს საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობით. პირველი კვარტლის მონაცემებით აზერბაიჯანიდან - 283 504 (6%) საერთაშორისო მოგზაური შემოვიდა საქართველოში.

- აღსანიშნავია, რომ 2014-2015 წლის I კვარტლის მონაცემებით ტოპ 15 ქვეყანაში ცვლილებაა. ახალი სავიზო პოლიტიკის გამო ირანმა დაკარგა პოზიციები და მეექვსე ადგილიდან მე-10 ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო ერაყი და ჩინეთი საერთოდ აღარ ხვდებიან ტოპ 15 ქვეყანაში. მათი ადგილი ლიტვამ და ბელარუსიამ დაიკავა.
- საერთაშორისო მოგზაურების უდიდესი წილი მეზობელ ქვეყნებზე მოდის. პირველ კვარტალში მეზობელი ქვეყნებიდან მოგზაურების რაოდენობამ 896 674 შეადგინა. ეს მაჩვენებელი მთლიანი ვიზიტორების 91%-ია. გასულ წელს ხსენებული მაჩვენებელი 90%-ს შეადგენდა.
- უკანასკნელ თვეებში აღსანიშნავია მოგზაურების ზრდა გერმანიიდან, გაერთიანებული სამეფოდან და ყაზახეთიდან, რაშიც დიდ როლს ასრულებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული კამპანიები. პირველი კვარტლის მონაცემების მიხედვით ზრდა გერმანიიდან 64%, ყაზახეთიდან 29%, ხოლო გაერთიანებული სამეფოდან 14%-ს შეადგენს. გერმანიელი ვიზიტორების ზრდა მნიშვნელოვნად განაპირობა გერმანია-საქართველოს საფეხბურთო მატჩმა.

პირველ კვარტალში მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება ბელარუსიდან (39%), რაც გამოწვეულია საქართველოსა და ბელარუსიას შორის ავიამიმოსვლის გახშირებით.


პირდაპირი ავიარეისის გახსნამ ლიტვის მიმართულებით გამოიწვია უპროცენდენტოდ დიდი რაოდენობის მოგზაურების შემოდინება. პირველი კვარტლის მონაცემებით ლიტველი ვიზიტორების რიცხვმა 2 294 შეადგინა, რაც 136%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებს.

ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაცია აცხადებენ, რომ 2011 წლიდან 18 ტურიზმის მიმართულებით განხორციელებულმა პროექტებმა, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის გაუმჯობესებამ, ბევრი ბრენდული სასტუმროს გახსნამ

ხელიშეუწყო MICE ტურიზმის სწრაფ განვითარებას. აწეული სამუშაოების შედეგად 2015 წელს საქართველო 3 მამუტაბურ საერთაშორისო ღონისძიებას მასპინძლობს: იზიარდი, უეფას თასი და ახალგაზრდული ოლიმპიადა.

**დიაგრამა 3.**

**მოგზაურთა ტოპ ხუთეული 2015 წელი**



ტურიზმის განვითარების პერსპექტივაზე საუბრისას საქართველოში ხშირად უსვამენ ხაზს იმ ფაქტს, რომ მისი ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია ტრანსპორტის სიძვირე. ამას გარდა, სერიოზული პრობლემაა ხარისხიანი და საშუალო ფასის საწოლი ადგილები. ღამდენად მომზადებული დახვდა ვიზიტორების გაზრდილ რაოდენობას საქართველოს სასტუმროები 2015-2016 წელს, ეს, ალბათ, სეზონის საბოლოოდ დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანოს მისიაა:

- გაზარდოს საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის ცნობადობა საერთაშორისო ბაზარზე;
- უზრუნველყოს ქვეყანაში როგორც შემოყვანის, ისე შიდა ტურიზმის განვითარების სტიმულირება;
- ხელი შეუწყოს ტურიზმის ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას;
- გაზარდოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე;
- უზრუნველყოს უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაცია და ძლიერი ბრენდის ჩამოყალიბება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. <http://www.iset.ge/blog/?p=2544>
2. <http://www.economy.ge/ge/economic-sectors/tourism>
3. [http://commerciant.ge/?m=5&news\\_id=22517&cat\\_id=11](http://commerciant.ge/?m=5&news_id=22517&cat_id=11)
4. Барометр международного туризма ЮНВТО За первые четыре месяца 2015 года число международных туристских прибытий выросло на 4%
5. <http://www.radiotavisupleba.ge/content/turizmis-statistika/26572032>

## აგროსექტორის დაზღვევა ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით და ქართული რეალობა

ნანა შონია – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სტუ-ს მონვეული პროფესორი  
მიხეილ ჩაკაბერია – სტუ-ს დოქტორანტი

### Insurance of Agrosector by the Use of Innovation Technologies and Georgian Reality

Nana Shonia  
Mikheil Chakaberia

#### Summary

Insurance companies which are functioning in Georgia are oriented on realization of up to 19 insurance products, although, from August 2014 by initiative of the country's Government there appeared new type of insurance: "Agro Insurance", which provides compensation of damage in case if reason of damage became such natural events as hail, excess precipitations, hurricane and fall frost, but here are not provided diseases which sometimes accompanies different kind of plants. If we discuss on above mentioned, coefficient of damage existed in agro sector is reduced, but it would be the main thing if damage will be reduced for farmers with keeping of harvest, i.e, there will be used such new technologies which will protect labor of farmer, even from results of worsened weather, or from different kind of diseases characterized for plants etc.

According to the above mentioned we think that it is reasonable to introduce meteo-stations which forecast diseases of plants and which will give to the farmer an ability to produce product of higher quality and to reduce expenses, and insurance companies will be given an ability to decrease risks and correspondingly to gain profit. Besides it is necessary to increase quantity of anti-hail apparatuses in Kakheti region, at least mastering of 84 points, what would significantly reduce coefficient of damages for farmers.

#### რეზიუმე

საქართველოში ფუნქციონირებადი სადაზღვევო კომპანიები 19-მდე სადაზღვევო პროდუქტის რეალიზებაზე არიან ორიენტირებული, თუმცა, 2014 წლის აგვისტოდან ქვეყნის მთავრობის ინიციატივით გამოჩნდა დაზღვევის ახალი სახე - „აგრო დაზღვევა“, რომელიც ით-

ვალისწინებს ზარალის ანაზღაურებას იმ შემთხვევაში, თუ დაზიანების მიზეზი გახდა ისეთი ბუნებრივი მოვლენები როგორცაა - სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა, მაგრამ აქ არ არის გათვალისწინებული დაავადებები, რომელიც ახლავს სხვადასხვა ჯიშის მცენარეებს. აღნიშნულით თუ ვიმსჯელებთ აგროსექტორში არსებული ზარალიანობის კოეფიციენტი შემცირებულია, მაგრამ უმთავრესი იქნება თუ ფერმერებისთვის ზარალიანობის შემცირება მოხდება მოსავლის შენარჩუნებით, ანუ გამოყენებული იქნება ისეთი ახალი ტექნოლოგიები, რომელიც ფერმერის შრომას დაიცავს, თუნდაც, გაურესებული ამინდის შედეგებისგან, ან ხეხილისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სახის დაავადებებისგან და ა.შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხეხილის დაავადებების პროგნოზირების მეტეო სადგურების დანერგვა, რომელიც ფერმერს მისცემს საშუალებას აწარმოოს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტი და ხარჯები შეუმციროს, ხოლო სადაზღვევო კომპანიებს მისცემს საშუალებას შეამცირონ რისკები და შესაბამისად გავიდნენ მოგებაზე. ამასთან, აუცილებელია კახეთის რეგიონში სეტყვის საწინააღმდეგო აპარატების რაოდენობის გაზრდა, თუნდაც დანაპირები 84 წერტილისათვის, რაც საგრძნობლად შეამცირებს ფერმერების ზარალიანობის კოეფიციენტს.

დაზღვევაში, ზოგადად, რეალიზებულია გარკვეული ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა ადამიანებს შორის წარმოებისა და გაცვლის პროცესში, მატერიალური დოვლათის მოხმარების პროცესში და ა.შ. დაზღვევა თავისი არსით იძლევა გარანტიას რომ მიყენებული ზიანი იქნება ანაზღაურებული. დოვლათის შექმნის პროცესი თავისთავად მოიცავს სხვადასხვა ძალების როგორც ბუნებრივი, ისე საჯარო თანამშრომლობას და დაპი-

რისპირებას. ურთიერთდაპირისპირება ადამიანსა და ბუნებას შორის და საზოგადოებრივი დაპირისპირება ქმნიან პირობებს ნეგატიური მოვლენებისათვის, რომლებიც შემდგომ შემთხვევით წარმოიქმნებიან. იქმნება რისკი, რომელიც მიეკუთვნება წარმოების სხვადასხვა პროცესს და ასევე ნებისმიერ სოციალურ ეკონომიურ ურთიერთობებს. ყველა ეს ფაქტი წარმოადგენს მსოფლიოში სადაზღვეო ურთიერთობების განვითარების საფუძველს.

საქართველოში ფუნქციონირებადი სადაზღვეო კომპანიები 19-მდე სადაზღვეო პროდუქტის რეალიზებაზე არიან ორიენტირებული, თუმცა, 2014 წლის აგვისტოდან ქვეყნის მთავრობის ინიციატივით გამოჩნდა დაზღვევის ახალი სახე - „აგრო დაზღვევა“, რომელიც ითვალისწინებს ზარალის ანაზღაურებას იმ შემთხვევაში, თუ დაზიანების მიზეზი გახდა ისეთი ბუნებრივი მოვლენები როგორცაა - სეტყვა, ქარიზი, ნალექი, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა<sup>18</sup>, მაგრამ აქ არ არის გათვალისწინებული დაავადებები, რომელიც ახლავს სხვადასხვა ჯიშის მცენარეებს.

აგროდაზღვევის პროგრამის მიზანია აგროსექტორში სადაზღვეო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება. პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით დაარსდა და ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს და მართავს სხვადასხვა დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო და გადაამაშუშავებელ საწარმოებს. აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში სააგენტო ხელშეკრულებას აფორმებს სადაზღვეო კომპანიასთან და ზარალის ასანაზღაურებლად გამოყოფილი აქვს 5 მილიონი ლარი. აგროდაზღვევის პროექტში სადაზღვეო პაკეტის ღირებულების 70%-დან 95%-მდე სახელმწიფო იხდის. ამ პაკეტის ღირებულების სუბსიდირებისას სახელმწიფო ანაზღაურებს მაქსიმუმ 30 ათას ლარს ფიზიკური პირის შემთხვევაში, ხოლო 50 ათას ლარს კოპერატივის შემთხვევაში.

აღნიშნულით თუ ვიმსჯელებთ აგროსექტორში არსებული ზარალიანობის კოეფიციენტი შემცირებულია, მაგრამ უმთავრესი იქნება თუ ფერმერებისთვის ზარალიანობის შემცირება მოხდება მოსავლის შენარჩუნებით, ანუ გამოყენებული იქნება ისეთი ახალი ტექნოლოგიები, რომელიც ფერმერის შრომას დაიცავს, თუნდაც, გაურესებული ამინდის შედეგებისგან, ან ხეხილისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სახის დაავადებებისაგან და ა.შ.

მსოფლოში რისკების შემცირების მიზნით ფართოდ გამოიყენება დაზღვევისათვის ისეთი ტექნოლოგიები როგორცაა მეტეო სადგურები. მათი გამოყენებით შესაძლებელია პრევენციული ხასიათის სამუშაოების ჩატარება. მეტეო სადგური უერთდება სერვერს და სერვერზე არსებული პროგრამული საშუალება იძლევა რჩევებს. სისტემის საშუალებით შესაძლებელია დაავადებების პროგნოზირება. აგრო სფეროში ამ სისტემას გარდა რისკების შემცირებისა გააჩნია სხვა დადებითი მხარეებიც, მაგალითად კონტაქტური (ზედაპირული მოქმედების) ნამლების გამოყენება და არა სისტემური (მცენარეში შეღწევის უნარის მქონე) ნამლების გამოყენება. ეს ყველაფერი შესაძლებელია, ვინაიდან, წინასწარ არის პროგნოზირებული დაავადება და შესაბამისი ქიმიკატების გამოყენების შედეგად თავიდან იქნება აცილებული აღნიშნული დაავადება. განვიხილოთ ასეთი ერთ-ერთი მეტეო სადგური iMetos AG/CP/DD 200 (იხ. სურ. 1; 2)

სურ. 1



<sup>18</sup> <http://www.moa.gov.ge/index.php?menuid=17&lang=1&id=243#.Vfu6-IO971V>

სურ. 2



მეტეო სადგურ “iMetos AG/CP/DD 200”-ს გააჩნია შემდეგი ფუნქციები:

1. ავტონომიური კვება
2. მზის ენერჯიაზე მომუშავე ბატარეის დამტენი
3. შ/ლშ მიმღებ გადამცემი
4. ტენიანობის სენსორი
5. ნიადაგის ტენიანობის სენსორი
6. ქარის სიჩქარის სენსორი
7. ნალექის მზომი
8. ფოთლის ტენიანობის მზომი
9. ინფორმაცია რეალურ დროში სერვერზე გაგზავნა
10. ინფორმაციებზე დაყრდნობით ალერტიზის გაგზავნა სმს ის სახით ან სერვერზე (მაგ. მაღალი ტემპერატურა დაბალი ტენიანობა და ა.შ.)

ინფორმაცია იგზავნება სერვერზე, სადაც მომხმარებელი შედის თავისი სახელით და პაროლით. სისტემაში აყენებს ალგორითმებს და შემდეგ სისტემა მეტეო სადგურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იძლევა რჩევებს-პროგნოზს.

მაგ: საქართველოში კომპანია აგროკომმა დანერგა ეს სიტემა და თავის კლიენტებს უგზავნის შემდეგი სახის სმს-ებს:


- ვაშლის ბაღებში ქეცის გავრცელება 100%. თუ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში არ ჩაგიტარებიათ ნამლობები, გთხოვთ გაატაროთ ღონისძიებები. ტელეფონი: 0790 56 47 70
- ვაშლის ბაგებში პირველი თაობის ნაყოფ-ჭამიების გავრცელებაა. გთხოვთ, გაატაროთ სათანადო ბრძოლის ღონისძიებები, ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 0790 56 47 70

კონკრეტულად ეს სისტემა პროგნოზირებას უკეთებს მრავალ დაავადებებს, კერძოდ - ყურძნის შემდეგ დაავადებებს - მილდა, ბოტისი, შავი ჭირი; ვაშლის - პარშა, წითელი ბაქტერიული სიდამპლე ფესვების; მსხლის - პარშა, ფოთლების დაავადება. გარდა ამისა, სისტემას გააჩნია ვიზუალიზაციის შესაძლებლობა (იხ. სურ 3).

გარდა ამისა, აგრო დაზღვევაში ტექნოლოგიების გამოყენების პირველი ნაბიჯი იყო კახეთის რეგიონში სეტყვის საწინააღმდეგო აპარატებს დამონტაჟება, მაგრამ სამწუხაროდ მიმდინარე წელს სეტყვას მაინც ვერ გადაურჩა კახეთის ფერმერების მოსავალი, შედეგი ვერ აღმოჩნდა წარმატებული... კონკრეტული მიზეზი დღემდე დაუდგენელია.

აგრო დაზღვევაში ტექნოლოგიების გამოყენებით მოხდება ფასების ცვლილება, ვინაიდან რისკები იცვლება და შესაბამისად უნდა შეიცვალოს პაკეტის ღირებულებაც. ამ ეტაპზე სოფლის მეურნეობის სამინისტროში ვერ აკონკრეტებენ, რა შედეგი დადგება ტარიფის გადახედვის შემდეგ, გაძვირდება თუ გაიაფდება აგროდაზღვევა. სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ მიმდინარე წლის თებერვალში მხოლოდ ის განაცხადა, რომ გაზაფხულზე დამონტაჟდება სეტყვის საწინააღმდეგო ახალი აპარატები, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა გადაიხედოს ტარიფებიც, მაგალითად, თუ დაზღვევა ხდებოდა 15%-ად, დანადგარების დამონტაჟების შემდეგ ეს უნდა გადაიხედოს. გაზაფხულზე ნამდვილად დამონტაჟდა ახალი აპარატები, მაგრამ ტარიფების გადახედვის ფაქტები დღემდე არ ჩანს. ამასთან, დამონტაჟდა მხოლოდ 2 აპარატი ნაცვლად 84-ისა, რის გამოც თელავის მიმდებარე სოფლები ივნისის სეტყვას მაინც ვერ გადაურჩა.

სურ.3



ზემოთქმულიდან გამომდინარე, მისასაღმებელია მთავრობის 2014 წლის აგვისტოს №1462 განკარგულება აგროდაზღვევის პროგრამის შესახებ, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევასთან დაკავშირებით მზღვეველს, დამზღვევეს და სააგენტოს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს არეგულირებს, რადგანაც სახელმწიფოს ჩარევის გარეშე არც ერთ ძლიერ ქვეყანაში აგრორისკების დაზღვევის დარგი არ განვითარებულა და აუცილებელია სახელმწიფო სადაზღვევო კომ-

პანიებთან ერთდ ინაწილებდეს აგრორისკებს, მაგრამ საქართველოში დღემდე აგროდაზღვევის სეგმენტში სადაზღვევო კომპანიების აქტივობა დაბალია, რადგან კომპანიები მოგებაზე ვერ გადიან, მაგალითად: 2013 წელს 100-მდე სადაზღვეო ხელშეკრულება გაფორმდა აჭარაში ციტრუსის მწარმოებლებთან, ყინვამ მოსავალი გაანადგურა და სადაზღვევო კომპანიებმა უფრო მეტი დახარჯეს, ვიდრე მიიღეს. ფერმერების მხრიდან სულ უფრო იზრდება ნდობა სადაზღვევო კომპანიების მიმართ, რადგან ბევრმა გამოსცადა თავის თავზე ზარალის შემთხვევაში მიღებული ანაზღაურების სიკეთე.

ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კახეთის რეგიონში სეტყვის საწინააღმდეგო აპარატების რაოდენობის გაზრდა, თუნდაც დანაპირები 84 წერტილის ათვისება და ხეხილის დაავადებების პროგნოზირების მეტეო სადგურების დანერგვა, რომელიც ფერმერს მისცემს საშუალებას აწარმოოს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტი და ხარჯები შეუმციროს, ხოლო სადაზღვევო კომპანიებს მისცემს საშუალებას შეამცირონ რისკები და შესაბამისად გავიდნენ მოგებაზე.

# კლასტერების ჩამოყალიბების აუცილებლობა აბრუზიზნაში

**ბადრი გეჩბაია** — ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## Clusters Need of Establishment of Agribusiness BadriGechbaia

### Summary

The rapid industrial development demands the corresponding rate of the agricultural development in order to ensure the reliable food supply for the population. The fall of the agricultural industry, the unprofitability of the agricultural producers do not allow to solve the mission of reliable food supply correspondingly with the social-economical situation.

It was stated that an agricultural region may be developed effectively only in case of more or less grouped system of supporting and relational branches that form the clusters in the region.

**საკვანძო სიტყვები:** კლასტერი, ეკონომიკური პოლიტიკა, ტექნოლოგიური ჯგუფები, კონკურენცია

**Key words:** Cluster, Economic policy, Technology groups, Competition

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს დარგობრივი კლასტერების შექმნა, რომელიც გამიზნულია სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაკენ. ცნობილი მკვლევარის მ. პორტერის განმარტების თანახმად „კლასტერი არის გეოგრაფიულად მეზობელი ურთიერთდაკავშირებული კომპანიებისა და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციების ჯგუფი, რომლებიც მოქმედებენ განსაზღვრულ სფეროში და ახასიათებთ ურთიერთშემავსებელი ერთობა, საზიარობა“. კლასტერის ტერიტორიული მოქმედების ზონა შესაძლოა ვარირებდეს ერთი ქალაქისა ან რეგიონის სამეწარმეო ჯგუფსა და ქვეყნის ან თუნდაც რამდენიმე მეზობელი ქვეყნის ჯგუფს შორის. კლასტერებს გააჩნიათ განსხვავებული ფორმა სიღრმისა და სირთულის მიხედვით, თუმცა კლასტერთა უმრავლესობა მოიცავს: „მზა პროდუქციის“ ან სერვისის კომპანიებს, წარმოების სპეციალიზირებული ფაქტორების მიმწოდებლებს, მექანიზმებისა და ნაწარმის დამაკომპლექტებლებს, მომსახურებით სერვისს, ფინანსურ ინსტიტუტებს, ფირმებს თანხლებს დარგებში; სამთავრობო სტრუქტურები,

რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ კლასტერზე, შესაძლოა განხილულ იქნას როგორც მისი ნაწილი. [3, გვ. 215].

კონკურენტუნარიანობის ფორმირების ეკონომიკური პროცესების შესწავლისათვის კლასტერული მიდგომა რიგ სხვა თეორიებშიც გამოიყენება. ე. ლიმერი განიხილავდა მაღალი დონის კორელაციური ექსპორტის კლასტერებს ვაჭრობის ანალიზისას ეროვნულ დონეზე. ფრანგი მეცნიერები ი. ტოლენადო და დ. სოლიე ტექნოლოგიური სექტორების ჯგუფის ასაღწერად გამოიყენებდნენ ცნებას „ფილიერი“. ილიერების ფორმირების გამომწვევი მიზეზი იყო ერთი სექტორის მეორეზე დამოკიდებულება ტექნოლოგიური თვალსაზრისით. ამგვარად, ფილიერი წარმოადგენს კლასტერების უფრო ვიწრო ინტერპრეტაციას, რამეთუ ისინი ეფუძნებიან კლასტერების წარმოშობის ერთ-ერთ კრიტერიუმს – დარგებსა და ეკონომიკის სექტორებს შორის ტექნოლოგიური კავშირების დამყარებას პოტენციური უპირატესობების რეალიზაციისათვის. კლასტერული მიდგომა ასევე გამოიყენება შვედი თეორეტიკოსების ნაშრომებში. მათი კლასტერული თეორია უმთავრესად ფორმირდება ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურაზე, უფრო ზუსტად კი მსხვილი მრავალეროვნული შვედური კორპორაციების ურთიერთკავშირის შესწავლაზე. თანამედროვე თეორიები კონკურენტუნარიანობის განვითარების შესახებ გამომუშავებულია კლასტერების საფუძველზე ბ. ფელდმანის მიერ. მოცემული თეორიების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ეყრდნობიან სხვადასხვა ქვეყნებში დივერსიფიცირებული ფორმების ფართო ემპირიულ კვლევებს [5, გვ. 35].

მოცემული კვლევებიდან გამომდინარე, შედარებითი უპირატესობების დინამიკის ასახვით, კლასტერები ფორმირდებიან, ფართოვდებიან, ღრმავდებიან, თუმცა დროთა განმავლობაში შესაძლოა პირიქით მოხდეს და შევიწროვდნენ ან საერთოდ დაიშალონ. კლასტერების ამგვარი დინამიურობა არის კიდევ ერთი უპირატესობა ეკონომიკური სისტემის სხვა ორგანიზაციულ ფორმებთან შედარებისას. დროთა განმავლობაში ეფექტურად მოქმედი კლასტერები ხდებიან მსხვილი ინვესტირებისა და ხელისუფლების მუდმივი ყურადღების საგანი ანუ კლასტერი ხდება უფრო მეტი, ვიდრე მისი ნაწილების უბრალო ჯამი. უმეტესწილად კლას-



ტერის ცენტრად გვევლინება რამდენიმე ძლიერი სანარმო, ამასთანავე მათ შორის ნარჩუნდება კონკურენტული ურთიერთობები. მეტოქეების, მყიდველებისა და მიმწოდებლების კონკურენცია ხელს უწყობს წარმოების ეფექტური სპეციალიზაციის ზრდას. ამასთანავე, კლასტერი ასაქმებს მრავალ წვრილ ფირმასა და მცირე სანარმოს. გარდა ამისა, ორგანიზაციის კლასტერულ ფორმას მივყავართ ინოვაციის განსაკუთრებული ფორმის წარმოშობამდე – „ერთიან ინოვაციურ პროდუქტამდე“. კლასტერში ვერტიკალური ინტეგრაციის საფუძველზე გაერთიანება აყალიბებს არა მხოლოდ სხვადასხვა მეცნიერული და ტექნოლოგიური გამოგონებების სპონტანურ კონცენტრაციას, არამედ ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელების განსაზღვრულ სისტემას. ამასთანავე, გამოგონებების ინოვაციად და ინოვაციის კონკურენტულ უპირატესობად ეფექტური ტრანსფორმაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს კლასტერის ყველა მონაწილეს შორის მდგრადი ურთიერთობის ფორმირება.

ამგვარად, თანამშრომლობა ხდება სულ უფრო აუცილებელი, თუმცაღა ის არის გარკვეული საფრთხის მატარებელიც – მას ახლავს დამოუკიდებლობის დაკარგვის შესაძლებლობა (ბაზარზე დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობა, ახალი საქონლისა და პროდუქციის დამოუკიდებლად გათავისება და ა.შ.).

დღეისათვის შეიძლება გამოვყოთ კლასტერული განვითარების სამი ძირითადი „ცენტრი“, კერძოდ: ჩრდილოამერიკული, დასავლეთევროპული და აზიური. ამ შემთხვევაში სახელმწიფო არამარტო ხელს უწყობს კლასტერების ფორმირებას, არამედ თვითონვე გვევლინება კლასტერის მონაწილედ. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ბიოტექნოლოგიური ფირმების განთავსების ადგილად გამოყო ედინბურგის, ოქსფორდისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის რაიონები. ნორვეგიაში მთავრობა ასტიმულირებს თანამშრომლობას კლასტერის „საზღვაო მეურნეობის“ ფირმებს შორის. ფინეთში განვითარებულია სატყეო მეურნეობის კლასტერი, რაც მოიცავს მერქნისა და მერქნოვანი პროდუქციის, ქაღალდის, ავეჯის, პოლიგრაფიული და მასთან დაკავშირებული აღჭურვილობის წარმოებას. მოცემულ კლასტერში ფირმების მჭიდრო ურთიერთქმედება ცოდნის გავრცელების მხრივ კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს მათ ძირითად სავაჭრო მეტოქეებთან მიმართებაში. ექსპერტების შეფასებით, ფინეთი ლიდერია კვლევითი და ტექნოლოგიური კოოპერაციის დონით.

ამგვარად, მიუხედავად მიდგომების სხვადასხვაობისა, ევროპის ქვეყანათა უმრავლესობამ

გამოიმუშავა საკუთარი კლასტერული სტრატეგიები.

დაჩქარებული ინდუსტრიული განვითარება საჭიროებს აგრომრეწველობის განვითარების სათანადო ტემპებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოსახლეობის კვებითი მომარაგება. სოფლის მეურნეობის წარმოების ვარდნა, სოფლის მეურნეობის მწარმოებელთა დანაკარგები ხელს უშლის მოსახლეობის ისეთი სურსათ-საინოვაციო უზრუნველყოფას, როგორცაა მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური გარემოება. დადგენილ იქნა, რომ სოფლის მეურნეობის რეგიონს შეუძლია ეფექტური განვითარება იმ შემთხვევაში, როდესაც დამხმარე და მონათესავე დარგები მეტნაკლებად დაჯგუფებულ არიან რეგიონში და ქმნიან კლასტერს. მონათესავე დარგებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ ის დარგები, რომლებიც აწარმოებენ და გადაამუშავებენ საკვებ პროდუქტებსა და სოფლის მეურნეობის ნედლეულს. დამხმარე დარგებს მიეკუთვნება ის დარგები, რომლებიც ქმნიან პირობებს მონათესავე დარგების ფუნქციონირებისათვის.

დარგების ურთიერთქმედება, მათი სინერგეტიკული ეფექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონულ დონეზე, სადაც უნდა ჩამოყალიბდეს ე.წ. კლასტერი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. „ზრდის წერტილების“ გამოაშკარავება და მხარდაჭერა. აგრომრეწველობის ზონების „ზრდის წერტილებად“ შეიძლება ჩაითვალოს დასახლებული პუნქტები, სადაც განლაგებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი სანარმოები, მეცხოველეობისა და მეთესლეობის მეურნეობები, რეპროდუქციული მელორეობისა და მეფრინველეობის სანარმოები, სამეცნიერო, საცდელი და სასწავლო მეურნეობები. აგრომრეწველობის ზონების ორგანიზება ხდება იმ ტერიტორიებზე, სადაც კარგადაა განვითარებული სოფლის მეურნეობა და წარმოების ინფრასტრუქტურა ან იქ, სადაც არსებობს მისი განვითარების პერსპექტივა. ადმინისტრაციული რაიონების მცირე ზომის ტერიტორიებიდან გამომდინარე, აგრომრეწველობის კლასტერების ორგანიზება მიზანშეწონილია რაიონთაშორის საფუძველზე.

ამგვარად, კლასტერების შექმნა შეიძლება ინიცირებულ იქნეს გეოგრაფიული პრინციპით ანუ იქ, სადაც შეიმჩნევა ანალოგიური სანარმოების მაღალი კონცენტრაცია, როგორც პროდუქციის წარმოების, ასევე ორგანიზაციის პრინციპების მიხედვით. კლასტერების ჩამოყალიბება გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით საშუალებას იძლევა გაიზარდოს სინერგეტიკული ეფექტი მსგავსი სანარმოების არსებობით,

რომლებიც მონაწილეობენ არა მხოლოდ ძირითად ტექნოლოგიურ ჯაჭვში, არამედ ემსახურებიან ძირითად საწარმოებსაც. აქედან გამომდინარე იქმნება ადგილობრივი ინოვაციური ეკონომიკა, რომელიც მიმართულია შეზღუდული რაოდენობის პროდუქციის წარმოებისაკენ კლასტერის ჩარჩოებს მიღმა.

ხარჯების შემცირების ეფექტსა და ერთმანეთის მახლობლად განლაგებული ფირმების საქმიანობის გაერთიანების შედეგად წარმოებრიობის გაზრდას შუამდგომელი აგლომერატს უწოდებდა. მოგვიანებით მაიკლ პორტერმა შემოიტანა ცნება ინოვაციური კლასტერისა, როგორც „გეოგრაფიულად გაერთიანებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიები, რომლებიც არამარტო ერთმანეთის კონკურენტები, არამედ თანამშრომლებიც არიან“. აზრი, რომელიც ჩადებულია კლასტერის განმარტებაში და რომელიც განსაზღვრავს კლასტერის უპირატესობას ბაზრის ორგანიზაციის ტრადიციული აღქმის წინაშე, მდგომარეობს არამარტო ფორმალურ, არამედ უმეტესწილად არაფორმალურ ურთიერთობაში საწარმოებს შორის, რომლებიც კლასტერში შედიან, რაც ქმნის ხელსაყრელ ეფექტს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ყველა საწარმოზე. საწარმოების გარდა კლასტერების შემადგენლობაში შედის ტერიტორიული განათლების სოციუმი, რომელიც კლასტერს ქმნის. ეს ქმნის დამატებით ორმხრივად მომგებიან ურთიერთობებს საწარმოებსა და მოსახლეობას შორის.

კლასტერული ანალიზი მოიცავს ოთხ ურთიერთდამოკიდებულ ეტაპს:

პირველ ეტაპზე აუცილებელია განისაზღვროს კლასტერის საწარმოთა განვითარების ძირითადი მიმართულებანი: უმთავრესი მონათესავე და დამხმარე დარგები. კლასტერის მონაწილენი უნდა იგებდნენ მისი შექმნით და არა აგებდნენ კონკურენტის ზრდასთან ერთად;

მეორე ეტაპზე საჭიროა ბუნებრივი და ადმინისტრაციული დარაიონების გამოყენებით შეფასდეს ბუნებრივ-კლიმატური პირობები და მათი ვარგისიანობა კლასტერის შექმნის მიზნებისათვის;

მესამე ეტაპი საჭიროებს იმის განსაზღვრას თუ როგორი საწარმოები უნდა იქნენ ჩართულნი კლასტერის სტრუქტურაში;

მეოთხე ეტაპი მოიცავს კლასტერის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას. კლასტერის შექმნის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მიეცეს მას განსაკუთრებული თვისებები, რომელთა მეშვეობითაც კლასტერის მონაწილენი შეძლებენ საკუთარი და კლასტერის განვითარებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიღებას.

საქართველოს აგრარულ სექტორს თავისი განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია, რომლის ეფექტიანად გამოყენების პერსპექტივები რეგიონალური აგრარული კლასტერების შექმნითაა შესაძლებელი. კლასტერების სახით ქვეყნის რეგიონებში უნდა ჩამოყალიბდეს მწყობრი სისტემა წარმოებიდან მომხმარებელამდე, რომელიც იქნება დიდი ეფექტის მომცემი დარგებისა და შესაბამისად ინფრასტრუქტურის ოპტიმალური თანაფრადობით, კონკურენტის მაღალი დონით, რომლის როლს მსხვილი ფირმა შეასრულებს [გვ., 53-54].

ამგვარად, დღესდღეისობით აუცილებელია შეიქმნას ინოვაციური მიდგომები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ ეფექტურად გამოვიყენოთ არსებული რესურსები და წარმატებით დავუპირისპირდეთ ნეგატიურ შიდა ფაქტორებს. კლასტერების შექმნა საუკეთესოდ პასუხობს დროის მოთხოვნებს დღევანდელი საქართველოს ეკონომიკაში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Шумпетер Й.А. Капитализм, социализм и демократия: Пер. сангл./Под. ред. В.С. Автономова. – М.: Экономика, 1995. – 540 с.
2. Портер М.Э. Конкуренция: Пер. с англ.- М.: Вильямс, 2006. – 608 с.
3. Романова О.А., Лаврикова Ю.Г. Кластерное развитие экономики региона: теоретические возможности и практический опыт // Экономика региона. – 2007. – № 3. – С. 40 – 51.
4. Feldman V.P., Audretsch D.B. Innovation in Cities: Science based Diversity, Specialization and Localized Competition // European Economic Review. – 1999. – № 43. – P. 31 – 39.
5. Leamer E.E. Sources of International Comparative Advantage: Theory and Evidence // Cambridge, MIT Press, 1984.
6. გეჩბაია, ბ. დევაძე ა. აგროტურიზმის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საკითხისათვის. ჟურნალიმეცნიერება და ცხოვრება 1(5). თბ., 2012. გვ. 88-94.
7. ყორღანაშვილი ლ. კლასტერიზაცია, როგორც რეგიონებისა და მცირე ბიზნესის განვითარების საშუალება. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებები რეგიონების აგროსამრეწველო სექტორში. ბათუმი 2007 წ. გვ., 53-54.
8. ხარაიშვილიე., გეჩბაია ბ. რეგიონული განვითარების კლასტერული სტრატეგიები საქართველოში. სამეცნიერო ინფორმაციული ჟურნალი მეცნიერება და ეკონომიკა, 1(5) 2011. [http://company-nm.com/ru/journal/archive/2011\\_jan/](http://company-nm.com/ru/journal/archive/2011_jan/)

# IMPORTANCE OF TOURISM POLICY IN THE ECONOMIC POLICY OF EUROPEAN UNION

Tsitsino Dzotsenidze — Invited Specialist  
Of Tsereteli State University,  
Giorgi Iakobidze — Master of Ilia State University  
Busniss School

## Summary

EU tourism policy is rather limited, consisting mainly of providing financial support or legislating through other EU policies. The European Union mentioned tourism in the treaties for the first time in 1992 introduced a possibility for the EU to take 'measures in the spheres of energy, civil protection and tourism'. The declaration attached to the treaty declared the EU's intention to discuss the inclusion of a tourism section in the EU treaty in the future. Many of these actions are a continuation of previous initiatives in tourism – promoting Europe as a tourist destination was already among the 2010 tourism strategy priorities, for example. Others reflect newer trends in society or technology. In an increasingly competitive global environment, EU tourism policy will be judged on its capacity to respond to change and deliver added value to actions at Member State and regional or local level.

**Key words:** EU tourism policy; EU treaties; Treaty on the Functioning of the European Union (TFEU); Calypso projects; COSME programs

## European Union's Economic Policy and main trends which affect tourism in the EU

EU tourism policy In recognition of the importance of the tourism industry to the EU economy, and taking into account some of the trends, the EU has taken a wide range of measures in the field of tourism. However, since EU treaties exclude any harmonization of tourism laws and allow the EU only to support, coordinate or supplement the actions of the Member States, EU tourism policy is rather limited, consisting mainly of providing financial support or legislating through other EU policies. The European Union mentioned tourism in the treaties for the first time in 1992 introduced a possibility for the EU to take 'measures in the spheres of energy, civil protection and tourism'. The declaration attached to the treaty declared the EU's intention to discuss the inclusion of a tourism section in the EU treaty in the future.

In 2007, the EU created a **specific section** for tourism in the **Treaty on the Functioning of the European Union (TFEU)**: Title XXII (Article 195). Here, the EU laid down the objectives of EU tourism policy, by stating that EU action 'shall be aimed at: a)

Encouraging the creation of a favorable environment for the development of undertakings in this sector; b) Promoting cooperation between the Member States, particularly by the exchange of good practice.'

Article 195 also lays down the procedure for adopting measures in the sphere of tourism. It states that European Parliament and the Council adopt these measures under the ordinary legislative procedure. The TFEU does not recognize tourism as a stand-alone policy and excludes any harmonization of laws and regulations of Member States. According to Article 6 TFEU, the EU can only "support, coordinate or supplement the actions of the Member States" in tourism. However, as tourism is related to many other policy areas (e.g. agriculture, environment, transport, and the area of freedom, security and justice) in which the EU has exclusive or shared competency with Member States, the EU does legislate on issues which affect tourism. Subsequent to the adoption of a new legal basis for tourism, the Commission adopted a strategy for tourism in 2010 with a Communication on 'Europe, the world's No 1 tourist destination – a new political framework for tourism in Europe'. The Communication outlined the EU's tourism policy and actions to be implemented jointly by the Commission, Member States and their regions, as well as by industry stakeholders. All these actions were to complement the actions of Member States and regions, helping to tackle the challenges faced by the tourism industry. The strategy identified four priority areas for action:

- Simulate competitiveness in the European tourism sector;
- Promote the development of sustainable, responsible and high-quality tourism;
- consolidate the image and profile of Europe as a collection of sustainable and high quality destinations;
- Maximize the potential of EU financial policies and instruments for developing tourism.

Under these priority areas, EU foresaw a number of actions. In the area of competitiveness, it proposed, for example, to develop innovation and the use of information and communication technologies, improve professional skills and encourage the extension of the tourist season (e.g. by coordinating school holidays). In the area of sustainable, responsible and high-quality tourism, it is proposed to monitor sustainable management of tourism destinations and protect the heritage of tourism destinations. EU aims also to strengthen EU cooperation with emerging countries and Mediterranean countries.

Lastly, EU ensures better integration of tourism in other EU policies and to maximize the potential of EU financial support instruments and programs in favor of tourism.

In order to achieve the objectives set in the EU tourism strategy, it is launched numerous projects and initiatives. It has, for example, offered grants, organized events (e.g. the annual European Tourism Forum), competitions and webinars (web seminars on e.g. marketing tourism businesses online), launched websites that provide tourism operators networking opportunities (e.g. [www.tourismlink.eu](http://www.tourismlink.eu)), and published studies and surveys (e.g. Euro barometer reports on the preferences of Europeans towards tourism). Usually, these projects and initiatives have a key theme or objective but can also contribute to other objectives. For example, the Calypso initiative and its follow-up Tourism for Seniors, help disadvantaged groups (e.g. seniors, young people, people with reduced mobility and low-income families) to visit European destinations. Additional objectives are to promote off-season tourism, regional development, generate economic growth, create longer-lasting jobs in the tourism sector, and strengthen European citizenship. Both initiatives are transnational in nature and encourage cooperation between organizations from different Member States. They also promote the involvement of SMEs and various tourism stakeholders, such as local and regional authorities.

In 2009-11, the EU allocated €1-1.5 million per year for Calypso projects and for 2012, €450 000. For its senior tourism initiative, the EU allocated €1 million in 2013. In 2014, the Commission extended the scope of the former senior tourism initiative to cover young people too and allocated a budget of €1.8 million. The funding for these projects came, under the 2007-13 financial framework, from the Entrepreneurship and Innovation Program (EIP), and since 2014, from the Program for the Competitiveness of Enterprises and SMEs (COSME).

In order to develop sustainable tourism, the Commission has co-founded the development of cultural routes that help European as well as non-European tourists to discover how Europeans have lived since ancient times. It has co-funded, for example, the development of a route of astronomical sites in Europe (in Greece, Spain, Italy, Portugal and Bulgaria). Among other things, the project aimed to create a tour package within the countries involved, incorporate and establish European scientific knowledge in astronomy tourism, strengthen existing partnerships and attract new visitors to the participating astronomical sites. In 2013-15, the EU contributed 75% of the cost of the project, some €200 000 (from the COSME programs). The Euro-Commission has also co-founded the development of several cycling routes (e.g. European long distance cycle route network – Euro-Velo routes). The European Parliament has supported these routes; initiating some concrete projects or in seeking to improve their financial support. The Parliament

initiated, for example, a long distance Euro-Velo route – the Iron Curtain Trail which invites tourists to discover the former division of Europe on a 6,800 km cycle track along the length of the former border, combining European culture, history and sustainable tourism. For the period 2014-16, the EU will contribute €2 million (again from the COSME program) to the development of the Iron Curtain Trail.

Various prizes may also be awarded to tourism operators. For instance, routes reserved exclusively for non-motorized journeys can be awarded the European Greenways Award; museums may win the European Museum of the Year Award; and sustainable, little-known tourism destinations the 'European Destinations of Excellence' (EDEN) award.

Furthermore, the EU is taking various measures to promote destination Europe. For instance, from 2012 to 2013, the Euro-Commission ran a 'Europe, whenever you're ready' campaign that encouraged international tourists (with special focus on Brazil, Russia, India, China, Chile and Argentina) to discover Europe. The initiative highlighted Europe's cultural and natural heritage, and showcased not only popular sights but also 'roads less travelled' in various European destinations. The Commission also promotes Europe among third countries through the [visiteurope.com](http://visiteurope.com) website, administered by a non-profit organization the European Travel Commission (ETC). The ETC is an international organization that promotes Europe as a tourist destination. The European Commission has awarded various grants to the ETC (e.g. €830 000 for October 2012 – March 2014) and asked it to develop, in consultation with the industry, a long-term promotion strategy for "Destination Europe".

Many other European policies, and their legislative and no legislative initiatives, are relevant to, or impact upon, tourism. They may affect various elements of the tourism system: resources essential to tourism, tourism enterprises, tourism demand, or areas where tourism is an important economic sector. Some policy areas (e.g. transport and consumer protection) impact tourism more through legislative and non-legislative initiatives, others (e.g. industrial and regional policy) more through financial support. EU industry and SME policies are relevant to tourism mostly because of the financial support they provide. Under this policy, the European Commission (DG GROW – Directorate-General for Internal Market, Industry, Entrepreneurship and SMEs) has a specific unit dealing with tourism which, inter alia, manages tourism initiatives and projects. DG GROW implements the EU programs for the Competitiveness of Enterprises and Small and Medium-sized Enterprises (COSME). Tourism is directly addressed by one of the overall objectives of the COSME program: to improve framework conditions for the competitiveness and sustainability of EU enterprises, particularly SMEs, including in the tourism sector. The COSME program implements the objectives set in the Commission's 2010 tourism strategy, taking into account views expressed in the

Council and the European Parliament, as well as input from Member States in the COSME and Tourism Advisory Committees. For 2015, the COSME program earmarked €9 million for five operational objectives for tourism: 1) Increase tourism demand; 2) diversify tourism offer; 3) Enhance tourism quality sustainability, accessibility, skills, information and innovation; 4) Improve socio-economic knowledge; 5) Increase the visibility of Europe as a tourist destination as well as the diversity of its destinations.

Under these operational objectives, the Commission regularly publishes calls for proposals that allow co-funding of specific projects. The COSME program is also used for other measures, e.g. to produce annual Euro barometer surveys on 'Preferences and Attitudes of Europeans towards tourism' or to cooperate with the ETC and UNWTO. EU consumer policy aims to safeguard the health, safety and economic interests of consumers, as well as to promote their right to information, education and to organize themselves. The EU has adopted several legislative acts that protect tourists as consumers. An example of a consumer policy Directive that is not specifically addressed to tourism, but which may apply, is Directive 2005/29/EC on unfair commercial practices. The Directive outlines commercial practices which are prohibited in the EU, e.g. using misleading marketing techniques and tricking consumers into buying a product they would not have otherwise bought. Consumers who buy package holidays are protected by Directive 90/314/EEC on package travel, package holidays and package tours, currently under revision. Among other measures, the Directive gave package travelers the right to receive all necessary information before signing a contract. It rendered organizers and retailers liable for the performance of all services in the package, and regulated what happens in the event of changes to the package travel contract. Furthermore, it ensured that package travelers are reimbursed and repatriated in the event of organizer and/or retailer insolvency.

In May 2015, the European Parliament and the Council reached provisional agreement over the revision of the Directive on package travel (which still needs to be formally approved). The aim of the revision was to take the internet era into account, where travelers increasingly directly buy different parts of their trips or put them together from different providers sourced via the internet. The initial Directive either does not cover these situations, or does not mention them explicitly, leaving travelers and traders unsure of their rights and obligations. According to the provisional agreement, the definition of 'package' would be expanded to include various types of travel arrangements that combine, for example, an airline ticket, hotel accommodation and car hire, so as to protect travelers in the event of problems. The revised Directive also covers travel combining at least two different types of services bought within 24 hours from separate providers using linked booking processes (referred to as assisted travel

arrangements or click-through packages). Buyers of these arrangements would be afforded the same liability and insolvency protection as buyers of ready-made (travel agent) packages or combinations of services bought from a single sales outlet. Other changes concern, for example, the right of the package traveler to cancel a package deal contract if its price rises prior to departure beyond a certain limit, organizers' obligations when, due to unavoidable and unforeseen events (such as natural disasters or terrorist attacks), it is impossible to ensure the traveler's timely return and package travelers' right to information (e.g. the right to receive approximate departure and return times and information on the type of any possible extra costs).

Transport is one of the most important policy areas for tourism. Even though the EU's general transport strategy does not specifically mention tourism, it does highlight the need to better respond to EU citizens' growing demand for travel. The strategy focuses on several aspects that can improve travel quality. The EU aims to make travel more sustainable, safe, secure and efficient. It also aims to link different transport modes, increase the capacity to carry a growing number of passengers and reduce traffic congestion. The EU is expanding, modernizing and streamlining EU-wide transport infrastructure, by co-financing the development of the trans-European Transport Network (TEN-T). TEN-T funds transport projects of common interest and traffic management systems that facilitate the mobility of goods and passengers within the EU (e.g. projects that connect main airports or seaports to other modes of transports). The preamble to the EU 2013 guidelines for the development of the TEN-T mentions that projects of common interest should seek synergies with other policies such as tourism, and in particular with Euro-Velo cycling routes. In addition, the EU has adopted regulations on the rights of passengers travelling by air, rail, road, sea and inland waterway. These regulations set out passenger rights in the event of a wide range of situations such as delays, cancellations, denied boarding, loss or damage of baggage and accidents. They also give passengers certain rights when it comes to information about the journey, reservations, and ticket fares. Special protection is provided for disabled and reduced-mobility passengers.

The Commission considers that current Schengen visa procedures often hinder legitimate travel to Europe. The new rules would, according to Commission, 'shorten and simplify the procedures for those wanting to come to the EU for short stays, and induce more cost savings and less bureaucracy, whilst maintaining the level of security'. They would, for instance, reduce the decision time on visa applications from 15 to 10 days and give travelers who have lawfully used previously-obtained Schengen visas the possibility to obtain a multiple entry visa. Furthermore, current visa rules do not provide, according to the Commission, a system that covers all types of stay. It gives the example of artists who are

touring Europe. In some cases, such persons would like to stay longer than 190 days, but often do not meet the requirements to obtain long-stay visas. A touring visa would allow them to travel within the Schengen Area for up to one year (without staying in one country for more than 90 days in any 180 day period). According to estimates presented by the Commission, the direct and indirect gains from establishing a touring visa could amount to between €500 million and €1 billion.

Visa policy impact on tourism was specifically mentioned in the report 'A smarter visa policy for economic growth' and legislative proposal on the visa code. Article 33 of the legislative proposal on the visa code suggests, for example, that allowing Member States to temporarily issue visas at the border would promote short-term tourism.

Regional and cohesion policy provides tourism stakeholders with various financing opportunities. Tourism is an important source of economic growth and job creation in many EU regions. Financial support for tourism under regional policy is mostly provided from the European Structural and Cohesion Funds. For example, the European Regional Development Fund (ERDF) aims to increase economic and social cohesion between EU regions. It can support tourism-related research, tourism-related IT-products (e.g. mobile apps), innovative tourism services in less favored and peripheral regions, and niche tourism products and services. In the 2011-14

period, the EU provided, for instance, funding of more than €2 million (50% of the cost of the project) to the World War II Heritage project: a cultural route that introduces visitors to World War II heritage sites in Europe. Many of these actions are a continuation of previous initiatives in tourism – promoting Europe as a tourist destination was already among the 2010 tourism strategy priorities, for example. Others reflect newer trends in society or technology. In an increasingly competitive global environment, EU tourism policy will be judged on its capacity to respond to change and deliver added value to actions at Member State and regional or local level.

#### References:

1. 'Tourism', Peter Robinson et al., 2013.
2. 'OECD Tourism Trends and Policies 2014', OECD, 2014.
3. 'International tourism trends in EU-28 member states. Current situation and forecasts for 2020-2025-2030', UNWTO, 2014.
4. 'World Tourism Barometer', UNWTO, Volume 13, January 2015.
5. 'UNWTO Tourism Highlights, 2015 Edition', UNWTO, 2015.
6. 'Tourism towards 2030 - Global Overview', UNWTO, 2011.

# სოფლის მეურნეობის სპეციფიკური ნიშან-თვისებები ეკონომიკის დარგთა შორის

პაატა კოლუაშვილი — სტუ-ს პროფესორი  
გიორგი ზიბზიბაძე — სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

## რეზიუმე

დღეს, კამათი მიდის მხოლოდ იმაზე, თუ რა სპეციფიკური თავისებურებები ახასიათებს სოფლის მეურნეობას ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებისაგან განსხვავებით. ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ აგრარულ სექტორს გააჩნია 5 განსხვავებული თავისებურება, ხოლო ზოგი მიჩნევს, რომ ასეთი თავისებურებები დარგს 7-დან 9-მდე აქვს. ამასთან, დღეს, პრაქტიკულად, აღარ კამათობენ იმაზე, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე სოფლის მეურნეობა კონკურენტუნარიანი ვერ იქნება მატერიალური წარმოების სხვა დარგებთან მიმართებაში.

ავტორთა აზრით, სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციფიკა ვლინდება, როგორც უშუალოდ პროდუქციის წარმოებაში, ასევე ეკონომიკურ ურთიერთობებში, რომლებიც, საბოლოო ანგარიშით, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების კანონების სპეციფიკურ გამოვლინებას უკავშირდება.

## Specific Character of Agriculture Production

Paata Koguashvili  
Giorgi Zibzibadze

## Summary

Today, there is a debate only about the specific particularities of agriculture unlike other branches of the national economy. Some scientists believe that the agricultural sector has five different features, while others consider that it has from 7- to 9-field characteristics. Besides, nowadays, no longer argue that agriculture sector cannot be competitive without state support.

According to the authors, the agricultural sector specifics are revealed in both the production and economic relations, which are, ultimately, the supply and demand laws for agricultural products.

ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული მეურნეობა მატერიალური და არამატერიალური წარმოების დარგებისგან შედგება, რომლებიც ქმნიან

ერთიან სამეურნეო კომპლექსს. მათ გააჩნია როგორც საერთო, ასევე განმასხვავებელი ნიშან-თვისებები. კერძოდ, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან გამოყენებული რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სტრუქტურის, შექმნილი პროდუქციის გამოყენების, აღწარმოების, შრომის ხასიათისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

სოფლის მეურნეობას, როგორც მატერიალური წარმოების სფეროს ერთ-ერთ დარგს, ასევე გააჩნია ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები და ამავე დროს საწარმოო-ეკონომიკური ფუნქციონირების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოფლის მეურნეობაში მოქმედებს იგივე ეკონომიკური კანონები, რაც ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებში. მაგალითად, საბაზრო ფასწარმოქმნის კანონი, წარმოების შეფარდებითი უპირატესობის კანონი, მოთხოვნა-მიწოდების კანონები და ა.შ. მაგრამ ამავდროულად მას, როგორც დარგს, გააჩნია მკვეთრად გამოხატული დარგობრივი სპეციფიკა და მახასიათებლები, ეკონომიკური კატეგორიები და განვითარების მიმართულებები.

დღეს, პრაქტიკულად, აღარ კამათობენ იმაზე, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე სოფლის მეურნეობა კონკურენტუნარიანი ვერ იქნება მატერიალური წარმოების სხვა დარგებთან მიმართებაში (აქ მსჯელობენ მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად ობიექტურადაა არგუმენტირებული ასეთი დახმარების საჭიროება). კამათი მიდის მხოლოდ იმაზე, თუ რა თავისებურებები ახასიათებს სოფლის მეურნეობას ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებისაგან განსხვავებით. ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ აგრარულ სექტორს გააჩნია 5 სპეციფიკური თავისებურება (ჯაში ი. — სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაცია, 1968. საღარეი-შვილი ო. — სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, 1973. ქარქაშაძე ნ. ბერუჩაშვილი დ. ოდიშვილი მ. — სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, 1975წ. და სხვ.), ხოლო ზოგი ფიქრობს, რომ ასეთი თავისებურება სოფლის მეურნეობას 7- დან 9-

მდე აქვს (სეროვა ე. ვ. — აგრარული ეკონომიკა, 1999. მინაკოვი ი. ა. — სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, 2005. კოვალენკო ი. ა. — სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, 1999. პოპოვი ი. ა. — სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, 2000. სამუელსონი პ. და ნორდჰაუსი ე. — ეკონომიკა, 2000. რიჩარდ ლ. კოლზი და ჯოზეფ ნ. ული, — სოფლის მეურნეობის პროდუქციის მარკეტინგი, 1998 წ. და სხვები).

ჩვენი აზრით, სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციფიკა ვლინდება, როგორც უშუალოდ პროდუქციის წარმოებაში, ასევე ეკონომიკურ ურთიერთობებში, რომლებიც, საბოლოო ანგარიშით, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების კანონების სპეციფიკურ გამოვლინებას უკავშირდება. კერძოდ,

#### **ა) სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებანი:**

1. სოფლის მეურნეობაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვან ნაწილს მანქანა-იარაღებთან, ტრაქტორებთან, სატრანსპორტო და სხვა საშუალებებთან ერთად ბიოლოგიური (ცოცხალი) ძირითადი საწარმოო საშუალებები (კაპიტალი) წარმოადგენს. აღნიშნულის გამო აქ ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული ეკონომიკური და ბიოლოგიური კანონების მოქმედება, ანუ სოფლის მეურნეობაში როგორც პროდუქციის წარმოების, ასევე მისი აღწარმოების ეკონომიკური პროცესები მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებრივ ბიოლოგიურ პროცესებთან. ამასთან ერთად, პროდუქციის წარმოების პროცესი და ამ საქმიანობის ეკონომიკური შედეგი დროში არ ემთხვევა ერთმანეთს (ანუ ადგილი აქვს მკვეთრ შეუსაბამობას დანახარჯების განვებისა და ამოგების პერიოდებს შორის), რაც, თავის მხრივ, განაპირობებს შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენების არსებით განსხვავებულობას სხვა დარგებთან შედარებით.

2. სასოფლო-სამეურნეო წარმოება განლაგებულია შედარებით დიდ და ღია სივრცეზე. ამასთან ერთად, თუ მრეწველობის სხვადასხვა დარგში შრომის საშუალებები ადგილზეა სტაციონარულად დამაგრებული და ისე ამუშავენ შრომის საგნებს (ხორბალს, ტყავს, ლითონს და ა.შ.), მინათმოქმედებაში პირიქით. აქ გამოყენებული მანქანა-იარაღები თავად გადაადგილდება დასამუშავებელ ობიექტზე (მინის სავარგული, ერთნლიანი ნათესები, მრავალნლიანი წარგავები), რის გამოც ენერგეტიკული რესურსების დიდი ნაწილი იხარჯება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ადგილ მონაცვლეობაზე.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მინათმოქმედებაში გამოყენებული წარმოების ძირითადი საშუალებანი (მინისა და მცენარის სახით) აბსოლუტურად იმობილური არიან ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

წარმოების დიდ ტერიტორიაზე განფენილობა იწვევს, როგორც ადგილზე წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ასევე მისი აღწარმოებისთვის საჭირო რესურსების (საწვავი, მინერალური სასუქები, კომბინირებული საკვები და ა.შ.) ტრანსპორტირებაზე მნიშვნელოვან დანახარჯებს სხვა დარგებთან შედარებით.

3. სამრეწველო საწარმოებისგან განსხვავებით, სადაც ადამიანები და მანქანები მუშაობენ შედარებით სტაბილურ გარემო პირობებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამუშაო პირობები და გარემო ცვალებადია და მოსავლის ბედი, ანუ შრომის შედეგი დამოკიდებულია ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მაღალია აგრარული კულტურა და იყენებენ მაღალინტენსიურ ტექნოლოგიებს, აგროწარმოების შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია. გვალვების, წყალდიდობების, მცენარეთა და ცხოველთა მავნებელ-დაავადებათა გავრცელების დიდი ალბათობა ამ სექტორში გარანტირებული მოსავლის მიღების შანსებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

კაპიტალდაბანდებათა შედარებით მაღალი რისკი თავის მხრივ, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში საჭირო ინვესტიციების მოზიდვის ერთი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია.

4. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შექმნილი პროდუქციის საკმაოდ დიდი ნაწილი (საშუალოდ 20 პროცენტამდე) მონაწილეობას იღებს პროდუქციის აღწარმოების პროცესში (თესლის და სარგავი მასალების, მოზარდი პირუტყვის, საკვების და სხვათა სახით), რის გამოც წლის განმავლობაში წარმოებული სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქცია არ შეიძლება ჩაითვალოს სასაქონლო პროდუქციად.

აღწარმოების პროცესის ასეთი პრაქტიკა იწვევს ძირითადი და საბრუნავი ფონდების (კაპიტალის), აგრეთვე წარმოებული პროდუქციის განაწილებისა და გამოყენების ბალანსების დამუშავების და სასაწყობო მეურნეობის განვითარების აუცილებლობას (თესლეულის, პირუტყვის საკვების და სხვა საბრუნავი საშუალებების შესანახად).

5. არსებითი განსხვავება არსებობს აგრეთვე ტექნიკის გამოყენების თვალსაზრისით, რაც განპირობებულია როგორც სასოფლო-სამეურ-



ნეო ნარმოების სეზონური ხასიათით, ისე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გაადგილების ტერიტორიულ-სივრცობრივი ფაქტორით. მცენარეთა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური რუკით გათვალისწინებულ არასამუშაო პერიოდებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მართალია, გაჩერებულია, მაგრამ ის კვლავ რჩება ნარმოებაში (საჭიროებს ტექნიკურ მოვლას, დაცვას და ა.შ.), ანუ ადიდებს დანახარჯებს.

გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების სეზონური ხასიათი ზრდის მოთხოვნას მანქანა-იარაღებზე, რაც ამცირებს მათ შრომის ნაყოფიერებას. ტექნიკის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად საჭირო ხდება მისაბმელი მანქანა-იარაღების უნივერსალიზაცია, წლის განმავლობაში ერთი და იმავე ტექნიკური საშუალებით სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად.

6. სოფლის მეურნეობა სხვა დარგებისგან არსებითად განსხვავდება იმითაც, რომ აქ ნარმოების ძირითად და დღეისთვის უალტერნატივო საშუალებად მიწა გვევლინება. მიწა თავისი ბუნებით და ეკონომიკური ნიშნებით, არა მარტო სასოფლო-სამეურნეო ნარმოების შეუცვლელი, არამედ, სხვა საშუალებებისგან განსხვავებით, ნარმოების მუდმივი საშუალებაცაა.

მიწა გამოიყენება, პრაქტიკულად ყველა სახის ნარმოებაში, მაგრამ თუ მატერიალური და არამატერიალური ნარმოების სხვა დარგებში მიწა გამოიყენება როგორც ბაზისი, საყრდენი შენობა-ნაგებობების, სარკინიგზო და საავტომობილო გზების, ტექნიკური და სხვა საშუალებების განთავსებისთვის, სოფლის მეურნეობაში ის გამოიყენება ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოვლა-მოყვანისათვის, პირუტყვის საძოვებლად, კულტურული ლანდშაფტების მოსაწყობად, ახალი ენერჯის შესაქმნელად ორგანული ნივთიერებების სახით.

მიწა, როგორც ნარმოების ძირითადი საშუალება სოფლის მეურნეობაში, სხვადასხვა ნაყოფიერებისაა, რაც განსაზღვრავს მის ვარგისიანობასა და ხარისხს. მრავალი საუკუნის განმავლობაში მიწა იყო და დღესაც რჩება სოფლის მეურნეობაში ერთდროულად, როგორც ძირითად შრომის საშუალებად, ასევე ძირითად შრომის საგნად.

## **ბ) სანარმოო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სპეციფიკა სოფლის მეურნეობაში**

1. უკანასკნელ პერიოდში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვანი წარმატებების (მათ შორის ე.წ. „მწვანე რევოლუცია“, დაავადებათა გამძლე და მაღალპროდუქტიული

სასოფლო-სამეურნეო კულტურების და პირუტყვის ახალი ჯიშების შექმნა, მიღწევები ბიოტექნოლოგიაში და ა.შ.) მიუხედავად, სოფლის მეურნეობა დღემდე კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე „კონსერვატიულ“ დარგად. საუკუნეების განმავლობაში აქ ძირეულად არაფერი შეცვლილა სოფლის მეურნეობის პროდუქციის (მარცვლეული, კარტოფილი, ხორცი და სხვ.) სასარგებლო თვისებების (ანუ პროდუქტის სარგებლიანობის) ზრდის თვალსაზრისით. როგორც საუკუნეების წინათ, აქ კვლავ მეორდება კულტურათა თესვა, მოვლა-მოყვანის სამუშაოები, მოსავლის აღება და დანიშნულებისამებრ გამოყენება. მართალია, გაიზარდა ნარმოების ტექნოლოგიური დონე, მოსავლიანობის და სხვა მაჩვენებლები, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, მარცვლოვანი თუ სხვა რომელიმე სოფლის მეურნეობის პროდუქტის სახმარი ღირებულება (ანუ საქონლის თვისება, დააკმაყოფილოს ადამიანის ესა თუ ის მოთხოვნილება) კვლავ უცვლელი რჩება. სხვა სიტყვებით რომ გამოვხატოთ, მომხმარებლისთვის სოფლის მეურნეობის და სასურსათო საქონლის სარგებლიანობის დონის ამაღლება დღემდე პრაქტიკულად არ მომხდარა.

აღნიშნული სიტუაციის გამო სოფლად საქონელმწარმოებლები, ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებში დასაქმებულთაგან განსხვავებით, შეზღუდული არიან ნარმოებულ პროდუქციაზე ფასების მომატების საქმეში, მაშინ, როცა სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის გადამამუშავებელნი ან მრეწველობის სხვა დარგების სანარმოები ამ მხრივ არსებით შეზღუდულობას არ განიცდიან. მაგალითად, ღვინის ჩამომსხმელი სანარმოები, საკონსერვო მრეწველობის, ტანსაცმლის ან სხვა მზა პროდუქციის მწარმოებელი სანარმოები, რომელთაც საქონლის გაფორმების, დიზაინის, ეტიკეტირების, შეფუთვის და სხვა მრავალი ოპერაციის ხარჯზე შეუძლიათ გაზარდონ ფასი და მიიღონ შესაბამისი მოგება.

2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის დივერსიფიცირების მკაცრი შეზღუდულობა (ანუ მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქციის სასარგებლო ორგანულ-ფიზიკურ თვისებათა პრაქტიკული უცვლელობა) თავის მხრივ, როგორც წესი, განაპირობებს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და მისი აღწარმოების საშუალებებზე ფასების პარიტეტის ცვლილებებს არა სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან დაკავშირებული მომსახურე დარგების სასარგებლოდ.

3. სოფლის მეურნეობის და სასურსათო საქონელზე მოთხოვნის ელასტიკურობა, როგორც წესი, დაბალია როგორც პროდუქციაზე არსებული ფასების, ასევე მომხმარებლის შემოსავლების მიმართ. კერძოდ, მომხმარებელი სურსათს შეიძენს პრაქტიკულად უცვლელი ოდენობით მიუხედავად მასზე ფასების მატების თუ კლებისა (გამომდინარე ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობიდან).

განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნების მაგალითზე გამოთვლილია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნის 10 პროცენტით გადიდებისთვის საჭიროა ამავე პროდუქციაზე ფასების დაწევა სულ მცირე 40-50 პროცენტით.

არაელასტიკურია სოფლის მეურნეობის პროდუქცია და სასურსათო საქონელი მომხმარებლის შემოსავლების მიმართაც. კერძოდ, დამტკიცებულია, რომ თუ პიროვნებას ან ოჯახს უჩნდება დამატებითი შემოსავლები, მაშინ მთელი შემოსავლების მხოლოდ მცირე ნაწილი იხარჯება დამატებით საკვების შესაძენად, რადგან ადამიანს არ შეუძლია მოიხმაროს იმაზე მეტი საკვები, ვიდრე მისი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა.

4. სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და სასურსათო საქონელზე მოთხოვნის დაბალი ელასტიკურობა განაპირობებს მასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებს. კერძოდ, როგორც ცნობილია, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი განაპირობებს პროდუქციაზე როგორც მოთხოვნის, ასევე მისი მიწოდების სტიმულირებას, მაგრამ, როგორც წესი, სოფლის მეურნეობის და სასურსათო საქონელზე მოთხოვნის დაბალი ელასტიკურობის გამო მათი ერთობლივი მიწოდება იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე ერთობლივი მოთხოვნა. ეს ფაქტი ფასების დისპარიტეტის მუდმივ ზრდასთან ერთად განაპირობებს სოფლის მეურნეობის დარგის ერთობლივი ამონაგების შეფარდებით შემცირებას მატერიალური წარმოების სხვა დარგებთან შედარებით.

5. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო სანარმოო ციკლის შედარებით ხანგრძლივი პერიოდი და სანარმოო რესურსების მობილურობის დაბალი ხარისხი, გა-

ნაპირობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანახარჯებში მუდმივი დანახარჯების პრიმატს, ცვლად დანახარჯებთან შედარებით. ასე მაგალითად, სოფლის მეურნეობის და სასურსათო საქონელზე მოთხოვნის შემცირებისას შეუძლებელია მისი მიწოდების ადეკვატური შემცირება მოსალოდნელი ზარალის თავიდან ასაცილებლად (განსხვავებით სხვა დარგებისგან, სადაც პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირებას მყისიერად შეიძლება მოჰყვეს მიწოდების შემცირებაც). სოფლის მეურნეობაში ასეთი სწრაფი რეაგირება მოთხოვნის ცვალებადობაზე ვერ ხერხდება იმის გამო, რომ ხარჯების დიდი ნაწილი აქ მუდმივი ხასიათისაა და მათი შემცირება (ან გადიდება) დროის ნებისმიერ მონაკვეთში საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებისას შეუძლებელია. ასე მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო ისეთი ხარჯები, როგორცაა მიწის რენტა (იჯარის გადასახადი), ბანკიდან აღებული სესხის პროცენტი, სარემონტო და საექსპლოატაციო ხარჯები, შენობა-ნაგებობების, მანქანა-ტრაქტორების და სხვა ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია და სხვა ხარჯები მენარმის მიერ მაინც უნდა იქნეს განეული, მიუხედავად იმისა, მის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე ფასები მცირდება თუ იზრდება. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ეკონომიკური ზარალი შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს ძირითადი კაპიტალის დაუცველობის ან მოუვლელობის, საჯარიმო სანქციების და სხვა მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების გათვალისწინებით.

**დაბოლოს.** სოფლის მეურნეობის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები ითხოვს ყოველმხრივ ანალიზს და გათვალისწინებას სხვადასხვა სანარმოო-ეკონომიკურ თუ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირების, წარმოების მართვისა და ორგანიზაციის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის და გაადგილების დროს. არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი მხედველობაში მიღება კონკრეტული სანარმოს პროგრამის დამუშავებისას, წარმოების ერთეულების შერჩევის, საქონლიანობის დონის, ბაზარზე პროდუქციის მიწოდების მოცულობისა და სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარამეტრების განსაზღვრის დროს.

# ტურისტული პროდუქტის მომხმარებელთა დაჯგუფების განზოგადებული მეთოდი

ხათუნა კურტანიძე — სტუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების  
აკადემიური დოქტორი,  
ლია კვარაცხელია — სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

## Tourist Product Customer Group Generalized Method

Khatuna Kurtanidze  
Lia Kvaratskhelia

### Summary

At the same chapter we discuss about development of innovation management, as about efficiency development of management functioning. There is no any universal indication for a small and middle business innovative efficiency build-up. It is recommended to use indicators system for effectiveness evaluation, including general and partial indicators, that characterizes the results and processes of innovative processes improvement activity in small and middle businesses. Such approach gives us ability to find out what was the price of the result, but also revealed the passes that are facilitating to improve the effectiveness of innovative activities

**Keywords:** Tourism, Tourist product, Customer group, Gani.

ტურისტული პროდუქტის მომხმარებელი კონკრეტულად ტურისტის მიერ ამორჩეული რეგიონის ტურისტია. სასაქონლო და ფინანსური ბაზრისგან განსხვავებით, სადაც საქონელი მიდის მომხმარებელთან, ტურიზმში პირიქით ხდება მყიდველი მიდის ტურისტულ პროდუქტთან. ეს არის ტურისტის, როგორც მომხმარებლის განსხვავებული ნიშანი. ამიტომაც ტურიზმი ხასიათდება, როგორც ეკონომიკური საქმიანობის განსაკუთრებული სახე.

ტურისტული პროდუქტის მომხმარებელს არ აქვს საშუალება წინასწარ გაეცნოს მისთვის შეთავაზებული მომსახურების ხარისხს, რადგან ტურისტული პროდუქტის ხარისხის შეფასება ხდება ტურისტის მიერ, მხოლოდ ამ პროდუქტის მოხმარების პროცესში.

ტურისტული პროდუქტის მომხმარებლები შეიძლება დავყოთ კატეგორიებად ტიპოლოგიის საფუძველზე. ეს არის სამეცნიერო მეთოდი, რომელიც საფუძველად უდევს ობიექტების დაყოფას და მათი დაჯგუფებას განზოგადებული მოდელისა და ტიპის მეშვეობით. ამოკვლევის მიზნების მიხედვით გამოიყენება ტურისტთა ტიპოლოგიის რამდენიმე სახეობა:

1. ტურისტები, როგორც ტურისტული პროდუქტის მომხმარებლები იყოფა ოთხ კატეგორიად.

- ა) ტურისტები, როგორც ტურისტული პროდუქტის ეკონომიკური მომხმარებლები. რომელთათვისაც დამახასიათებელია მაღალი მგრძობელობა მომსახურების ფასზე, ხარისხსა და ასორტიმენტზე;
- ბ) ტურისტული პროდუქტის პერსონიფიცირებული მომხმარებლები, რომელთათვისაც მთავარია ტურისტული პროდუქტის სახეობა და ტურიზმის მომსახურების ხარისხი. მათთვის მომსახურების ფასს არ აქვს მნიშვნელობა;
- გ) ტურისტული პროდუქტის ეთიკური მომხმარებლები. ისინი ეძებენ მცირეფასიან ტურებს მომსახურების ფართო ასორტიმენტით;
- დ) ტურისტული პროდუქტის აპათიური მომხმარებლები, მათთვის მთავარია მომსახურების ხარისხი და არა ფასი.

2. ტურისტული პროდუქტი წაყენებული მოთხოვნილებების მიხედვით ტურისტები იყოფა სამ კატეგორიად:

- ა) ადამიანები, რომლებიც მოგზაურობენ ტურისტული მოთხოვნილებებითა და სურვილით;
- ბ) ადამიანები, მაღალი მსყიდველობითი უნარით – რომელთა მოთხოვნაც მიმართულია ყველაზე ელიტარული და პერსპექტიული ტურებისაკენ, ორიგინალური მოგზაურობისკენ, ტურისტული მომსახურების მაღალი დონისკენ (კომფორტი, ინდივიდუალური გიდ-თარჯიმანი, ინდივიდუალური ტრანსპორტი და ა.შ.);
- გ) ადამიანები მყიდველთა ქცევებით. ტურისტის ასეთი ქცევა გამომდინარეობს ბუნებრივი, ფსიქოლოგიური, სოციალური და სხვა მიზეზებიდან, რომლის გამოც ტურისტი რეაგირებს რეკლამაზე.

გერმანელმა მეცნიერმა განმა გამოყო ტურისტთა S,F,W,A,B ტიპები.

S ტიპი წარმოდგება გერმანული სიტყვებისგან შ, შ, შ(მზე, პლაჟი, ზღვა). ეს არის ტიპიური დამსვენებელი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს პასიურ დასვენებას საზღვაო კურორტებზე, სიმშვიდესა და კომფორტს. ისინი გაურბიან ხმაურიან გადაადგილებებს და ფაციფუსს, მაგრამ უყვართ ურთიერთობა სასიამოვნო ადამიანებთან.

F ტიპი წარმოდგება სიტყვიდან FERME დამსვენებელი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს შორეულ მოგზაურობებს და ფლირტს. მათთვის დამახასიათებელია შვებულების გატარება ისეთ ადგილებში, სადაც „რალაც ხდება“. ასეთი ტურისტის კრედაა საზოგადოება, სიამოვნება და შთაბეჭდილებათა ცვლა. მათთვის მიუღებელია პასიური დასვენება.

W1 ტიპი დამსვენებლები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ აქტიურ ტურიზმს (ტყეში სეირნობა, ლაშქრობა) მისი კრედაა ფიზიკური აქტი-ურობა სუფთა აერზე.

W2 ტიპი უფრო სპორტსმენია ვიდრე, მოყვარული. ასეთი ტურისტი ტურის შერჩევის დროს ყურადღებას აქცევს ჰობით დაკავების პირობების არსებობას. მისთვის მეორეხარისხოვანია კულტურა, ისტორია, ლანდშაფტი.

A ტიპი ესენი არიან თავგადასავალთა მოყვარულები. ახალი შეგრძნებები, საკუთარ ძალების გამოცდა, ექსტრემალურ სიტუაციებში ყოფნა. აი, ის, რაც განსაზღვრავს ამ ტიპის ტურისტებისათვის ტურის შერჩევის მიზანს.

B ტიპი ცნობისმოყვარე ტურისტები. ასეთი ტურისტები იყოფა სამ ჯგუფად:

ა) ექსპერტები, რომლებიც გვევლინებიან დათვალიერებული ღირსშესანიშნაობების კოლექციონერებად.

ბ) კულტურის და ბუნების ემოციური მოყვარულები.

გ) სპეციალისტები, რომლებიც იღრმავებენ თავის ცოდნას კულტურის, ხელოვნებისა და ისტორიის განსაზღვრულ ერთ სფეროში.

ყველა ფაქტორი, რომელიც იწვევს ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნას შეიძლება გაიყოს ოთხ ჯგუფად: შემეცნებითი ჯგუფი – ეს არის ადამიანის ინტერესი ისტორიული, კულტურული, სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და ბუნებრივ-კლიმატური პირობებისადმი; რეგიონალურ ფაქტორების ჯგუფს მიეკუთვნება ის ღონისძიებები, რომლებიც მოცემულ რეგიონში მოიხიდავს ტურისტს. მათ რიცხვში შედის თეატრალური, კინო და მუსიკალური ფესტივალები, კარნავალები, ბაზრობები, სპორტული ოლიმპიადები; ეკონომიკურ ფაქტორებს მიეკუთვნება ისტორიული მოგზაურობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები, ტურისტული პროდუქტის მყიდველთა შემოსავლები, ტურის ფასი, დანიშნულების ადგილზე საქონლისა და მომსახურების ფასები, საერთო მომსახურების სფეროს ვაჭრობისა და სატრანსპორტო სისტემის განვითარების დონე; ფსიქოლოგიურ ფაქტორებს მიეკუთვნება ადამიანთა რელიგიური მრწამსი, განსაკუთრებული ინტერესი და მისწრაფებანი, დამოკიდებულება რეკლამისადმი და ა.შ.

დღესდღეობით ტურისტული პროდუქტის მომხმარებელთა გამოკვლევის ოფიციალური მექანიზმი არ არსებობს. საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტი უკვე იწყებს იმ სამუშაოების და ღონისძიებების დაწყებას და კონტროლს, რომელიც დაკავშირებულია ზუსტ გამოკვლევასთან. ხშირად გადასახადების დაფარვის მიზნით ტურისტული სააგენტოები არ იძლევიან სრულ ინფორმაციას იმ ტურისტების შესახებ, რომელთაც ისინი ემსახურებიან.

ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა საზოგადოების, მთავრობისა და უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების კოორდინირებული მოქმედება. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს თუ რას ეფუძნება მისი კონკურენტული უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით და გააუმჯობესოს მომსახურება. ტურიზმის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო შესაბამისი რეგულაციებითა და ინფრასტრუქტურის მოწყობით. უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკისრება ინვესტიციებს, რომელიც წარმოადგენს მამოძრავებელ ძალას ტურიზმის განვითარებისთვის.

ტურისტული პროდუქტის მომხმარებელთა ქცევის შესწავლა მიიღება კვლევების დახმარებით. მომხმარებლის ქცევა ექვემდებარება ზემოქმედებას და სოციალურად კანონზომიერია. ტურისტული პროდუქტის მომხმარებელთა შესწავლა შეიძლება შევავსოთ, როგორც მარკეტინგული კვლევის უმნიშვნელოვანესი მიმართულება. ტურისტული პროდუქტის მომხმარებელთა შესწავლა ტურისტული მომსახურების შექმნის ძრითადი მოტივების გამოვლენა და სამომხმარებლო ქცევის ანალიზი, ახდენს ფირმის ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების აღჭურვას მძლავრი არსენალით, რომლის გარეშეც შეუძლებელია თანამედროვე ტურისტულ ბაზარზე საქმიანობა, რაც მარკეტინგის უმთავრესი პრინციპია „იცოდე შენი კლიენტი“.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარკალაია ბ. ეკოტურიზმი და მოსახლეობა, TACIS, თბ., 2000.
2. მელაძე მ., ქობლიანიძე თ. მომხმარებელთა მოთხოვნილებები და სეგმენტები ტურისტულ ბაზარზე, ჟურნალი «მაკრო-მიკრო ეკონომიკა», 2, 2006
3. მეტრეველი მ. ტურიზმი და გარემოს დაცვა (ეკოტურიზმის საფუძვლები), თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2004.
4. [www.geotourism.ge](http://www.geotourism.ge)
5. [www.geotraces.ge](http://www.geotraces.ge)

